ISBN 978-9941-9404-0-8

ისტორია

მუზეოლოგია

ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ერმილე მესხია

მუზეოლოგია

ლექციების კურსი

ბათუმი
2014

მუზეოლოგიის წინამდებარე ლექციების კურსი მომზადებულია ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ერმილე მესხიას მიერ.

წიგნი რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ ხელოვნების უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს მიერ და დამტკიცებულია უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2013 წლის 20 მაისის გადაწყვეტილებით.

წიგნი განკუთვნილია სტუდენტებისათვის, მუზეუმის სპეციალისტებისა და მუზეოლოგიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

რედაქტორი:
მაია ჭიჭილეიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

რეცენზენტები:
სოფიო თავაძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.
რატი ჩიბურდანიძე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

წიგნი გააფორმა ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორმა ქეთევან ვაჩეიშვილმა.

წიგნის გარეკანზე გამოსახულია საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის სიმბოლიკა, ბოლო გარეკანზე – ლომის ფიგურა, ძვ.წ.აღ. XXIII ს. (წნორის განძი).

© ე. მესხია, 2014

ISBN 978-9941-9404-0-8

❖

ილია ჭავჭავაძე

... რაკი მუზეუმი არის, ყოველი... ერთს ადგილას თავს მოიყრის, და ვინ იცის, ამ კაი ადგილას, კარგთა გამგებელთა ხელში ერთად თავმოყრილმა ძველმა ნაშთმა რამდენი ახალი საბუთი მისცეს ჩვენს ისტორიასა და ჩვენის ისტორიის მაძიებელთა და მკვლევართა.

❖

ივანე ჯავახიშვილი

ყოველი შეგნებული ადამიანი ადვილად მიხვდება, თუ რაოდენ დიდი ვალდებულება დააწვა ამიერითგან მუზეუმს. რა თქმა უნდა, პოლიტიკური, ნივთიერი და გონებრივი კულტურის ისტორიის საფუძვლიანი, გაღრმავებული შესწავლისათვის ფართო საზოგადოებასა და მეტადრე მოსწავლე თაობასაც ისეთი მუზეუმები სჭირდება, სადაც ყოველს მსურველს წაკითხული ისტორიის ხორცშესხმულად გასათვალისწინებელი იმდროინდელი ნივთიერი ნაშთების ნახვა შეეძლება.

❖

მიხეილ ჯავახიშვილი

მუზეუმს ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, როგორც გიმნაზიას... ან ქართულ თეატრს და რამდენიმე სკოლას. მისი მნიშვნელობა და სარგებლობა უხმო და უჩინარია, ვითარცა სარგებლობა თეატრისა, მხატვრობისა, მუსიკისა, ლიტერატურისა, სამშობლო ენისა და ყოველგვარ სულიერ შემოქმედებისა, მაგრამ იმათთვის, ვისაც კიდევ სწამს ჩვენი ეროვნულ სიცოცხლის უნარი და ჩვენი მომავალი, იგი ხილულიც არის, ასაზომიც და გასაზომიც.

შინაარსი

ავტორის წინათქმა 7
შესავალი. მუზეოლოგიის საგანი 9
თავი I. მუზეუმის ისტორია
1.1. მუზეუმები წინაანტიკურ და ანტიკურ ეპოქაში 25
1.2. მუზეუმები შუასაუკუნეებში 28
1.3. მუზეუმები ევროპაში 31
1.3.1. დიდი ბრიტანეთი 36
1.3.2. საფრანგეთი 46
1.3.3. გერმანია 65
1.3.4. ესპანეთი 83
1.3.5. ავსტრია 94
1.3.6. შვეიცარია 98
1.3.7. იტალია 100
1.3.8. საბერძნეთი 110
1.3.9. პოლონეთი 119
1.3.10. შვედეთი 121
1.3.11. ჩეხეთი 125
1.3.12. უნგრეთი 126
1.3.13. რუმინეთი 128
1.3.14. სერბეთი 129
1.3.15. პორტუგალია 131
1.3.16. ნიდერლანდები 133
1.3.17. ნორვეგია 136
1.3.18. ფინეთი 139
1.3.19. ბულგარეთი 140
1.4. მუზეუმები აზიაში
1.4.1. ინდოეთი 143
1.4.2. იაპონია 145
1.4.3. ჩინეთი 150
1.4.4. კორეა 154
1.4.5. ისრაელი 155
1.4.6. ერაყი 157
1.4.7. თურქეთი 159
1.4.8. ირანი 166
1.4.9. ევრაზიის სხვა მუზეუმები 168
1.5. მუზეუმები ამერიკაში
1.5.1. აშშ 172
1.5.2. კანადა 189
1.5.3. მექსიკა 194

1.5.4. ჩილე 195
1.6. მუზეუმები აფრიკაში 198
1.7. მუზეუმები ავსტრალიაში..... 201
1.8. მუზეუმები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში 205
1.8.1. რუსეთი 205
1.8.2. უკრაინა..... 217
1.8.3. ბელარუსი 221
1.8.4. ესტონეთი 224
1.8.5. ლიტვა..... 226
1.8.6. ლატვია..... 228
1.8.7. მოლდავეთი..... 230
1.8.8. ყაზახეთი 232
1.8.9. ტაჯიკეთი 234
1.8.10. უზბეკეთი..... 236
1.8.11. ყირგიზეთი 237
1.8.12. თურქმენეთი 239
1.8.13. აზერბაიჯანი..... 240
1.8.14. სომხეთი..... 243
თავი II. მუზეუმები საქართველოში
2.1. მუზეუმები საქართველოში უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე 248
2.2. სამუზეუმო ქსელის განვითარება 1800-1921 წლებში..... 252
2.3. სამუზეუმო ქსელის განვითარება 1921-1991 წლებში..... 281
2.4. საქართველოს მუზეუმები 1991 წლიდან დღემდე 309
2.5. საქართველოს მუზეუმ-ნაკრძალები 316
თავი III. მუზეუმის სახეები და ტიპები
3.1. მუზეუმის სისტემატიზაცია 333
3.2. მუზეუმის მაპროფილებელი ჯგუფები 337
3.3 მუზეუმის ჯგუფები დაცული მემკვიდრეობის მიხედვით..... 346
3.4. მუზეუმთა ჯგუფები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მიკუთვნებისა და სტატუსის მიხედვით..... 349
თავი IV. მუზეუმების არქიტექტურა
4.1. ადრეული მუზეუმების არქიტექტურა..... 350
4.2. მოთხოვნების სამუზეუმო შენობისადმი 355
4.3. თანამედროვე მუზეუმების არქიტექტურა 369
თავი V. სამუზეუმო მუშაობის ფორმები
5.1. მუზეუმების სამეცნიერო-საფონდო სამუშაოები 394
51.1. სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტება 394
5.1.2. სამუზეუმო ფონდების აღრიცხვა 401
5.1.3. სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია 404
5.2. მუზეუმების ექსპოზიციური მუშაობა 411

5.2.1. მუზეუმის ექსპოზიციური მუშაობის ძირითადი ცნებები 415
5.2.2. ექსპოზიციის შექმნის მეთოდები 418
5.2.3. სამეცნიერო-დამხმარე საშუალებები ექსპოზიციაში. ექსპოზიციური აღჭურვილობა 428
5.2.4. სამუზეუმო ექსპოზიციების სამეცნიერო დაპროექტება 435
5.2.5. სამუზეუმო ექსპოზიციის სამხატვრო დაპროექტება..... 439
5.2.6. ექსპოზიციის მოწყობის ეტაპები..... 444
5.3. მუზეუმის საგანმანთლებლო პროექტები 449
5.4. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მუზეუმში 463
5.5. ექსკურსია მუზეუმში 471
5.6. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სხვა ფორმები მუზეუმში 479
5.7. სამუზეუმო პედაგოგიკა და სოციოლოგია 485
5.8. მუზეუმის დამთვალიერებლებთან მუშაობა 488
5.9. სამუზეუმო მუშაობის საერთაშორისო გამოცდილება
5.9.1. დიდი ბრიტანეთი 494
5.9.2. ამერიკის შეერთებული შტატები 503
5.9.3. საფრანგეთი 505
5.9.4. ნიდერლანდები 508
5.9.5. უნგრეთი 510
თავი VI. მუზეუმის მართვის საფუძვლები
6.1. მართვის როლი მუზეუმში..... 513
6.2. მუზეუმის დაგეგმვა..... 517
6.3. ადამიანური რესურსები მუზეუმში 523
6.4. მუზეუმის მარკეტინგი და დაფინანსება 526
თავი VII. სამუზეუმო ინსტრუქციები და აქტები
7.1. კანონი მუზეუმის შესახებ 531
7.2. ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ 537
7.2.1. სამუზეუმო ნივთების აღრიცხვა 541
7.2.2. სამუზეუმო ნივთების ინვენტარიზაცია 542
7.2.3. სამუზეუმო ფასეულობათა დაცვა 544
7.2.4. სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება 549
თავი VIII. საერთაშორისო სამუზეუმო გაერთიანებები
8.1. მუზეუმთა საერთაშორისო საბჭო (ICOM) 552
8.2. მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს შემადგენელი ერთეულები 562
8.3. მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს კომიტეტები..... 564
დასკვნა 565
გამოყენებული ლიტერატურა 567

ავტორის წინათქმა

სამუზეუმო სფეროს სპეციალისტები მუზეოლოგიას (მუზეუმმცოდნეობა) XX საუკუნის სამეცნიერო დისციპლინად (ან მიმართულებად) მიიჩნევენ. განვლილ ერთ საუკუნეში ბევრი რამ გაკეთდა ამ დარგის მეცნიერული კვლევების თვალსაზრისით. უცხოეთის რამდენიმე ქვეყანაში შეიქმნა სამუზეუმო განათლების კონცეფცია და გაიხსნა სასწავლო ცენტრები, მომზადდა საგანმანთლებლო პროგრამები, გამოიცა სახელმძღვანელოები და ა.შ.

საქართველო მუზეოლოგიის კვლევისა და განათლების მხრივ უფრო მოკრძალებულად გამოიყურება. მართალია, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში გამოიცა არაერთი საყურადღებო მონოგრაფია, სახელმძღვანელო, მეთოდური რეკომენდაციები და მითითებები, სამეცნიერო კრებულები, ითარგმნა უცხოენოვანი ლიტერატურა, მათ შორის მუზეუმის მენეჯმენტის თემაზე, რამდენიმე უნივერსიტეტში მომზადდა მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, ისწავლება საგანი მუზეოლოგია, ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის (ხელმძღვანელი ი. ქარაია) თაოსნობითა და მონაწილეობით განხორციელდა მუზეუმების მხარდამჭერი მნიშვნელოვანი პროექტები და სხვა, მაგრამ საქართველო სამუზეუმო ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარების, კადრების მომზადებისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თვალსაზრისით ბევრად ჩამორჩება დასავლეთის ქვეყნებს.

ჩვენში დღემდე ვერ ითარგმნა მუზეოლოგიის ერთი სახელმძღვანელოც კი. არაფერს ვამბობთ მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოების შექმნაზე (მხედველობაში არ გვაქვს რამდენიმე ავტორის გამოცემა, რომლებიც მუზეუმმცოდნეობის რომელიმე მიმართულებას ან მუზეუმის მენეჯმენტის თემას ეხება).

ასეთ პირობებში ძალიან რთულია მუზეოლოგიის საწავლო კურსის ან მუზეუმმცოდნეობის საგანმანთლებლო პროგრამის განხორციელება. მიუხედავად ამისა, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებლები დამოუკიდებლად, თავად ახერხებენ შექმნან სალექციო კურსები და წარმართონ სასწავლო პროცესი. სამწუხაროდ, სალექციო კურსები დღემდე არ გამოცემულა და ფართო საზოგადოების ან სპეციალისტთათვის მიუწვდომელია.

წინამდებარე სალექციო კურსის გამოცემით ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს ამ ხარვეზების დაძლევა. ეს ჩვენს შესაძლებლობებს

აღემატება. შეუძლებელიც არის ერთმა პირმა მოამზადოს თანამედროვე, სრულყოფილი სახელმძღვანელო მუზეოლოგიაში. სახელმძღვანელოს შექმნა დიდ ფიზიკურ დატვირთვასთან ერთად, შესაბამის კომპეტენციასა და გამოცდილებას, სპეციალურ აკადემიურ, სამეცნიერო და შემოქმედებით უნარებსაც მოითხოვს.

ლექციების კურსის შედგენით გვსურდა სტუდენტებისათვის მიგვეწოდებინა სასწავლო მასალა მუზეოლოგიაში. ვინაიდან, პოსტსაბჭოთა პერიოდში ასეთი ტიპის ლექციების კურსი საქართველოში არ გამოცემულა (მხოლოდ 1984 წელს გამოიცა ლ. ჭილაშვილის „მუზუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები“, 2009 წელს - ი. კოშორიძის „მუზეუმმცოდნეობის შესავალი. ევროპული და ამერიკული მუზეუმების მართვის თანამედროვე მეთოდები“), რთული იყო წიგნის სტრუქტურაზე და შინაარსზე მუშაობა. თითქმის ორწლიანი ძიების, მასალების თავმოყრისა და გადამუშავების შემდეგ ჩამოვაყალიბეთ წინამდებარე სახით და მოვამზადეთ გამოსაცემად.

შესავალი. მუზეოლოგიის საგანი

თანამედროვე ცივილიზებული სამყარო წარმოუდგენელია მუზეუმების გარეშე. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში მუზეუმი ითვლება კონკრეტული ქვეყნის კულტურისა და ისტორიის ცენტრად, სადაც დაცულია ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები და ფასეულობანი.

„მუზეუმს“, სხვანაირად, ქვეყნის სავიზიტო ბარათსაც უწოდებენ. ამიტომ, ბუნებრივია, რომ სხვა ქვეყანაში სტუმრად ჩასული ვიზიტიორი, პირველ რიგში, მუზეუმით ინტერესდება, რადგან მუზეუმი აწვდის უტყუარ და ზუსტ ინფორმაციას ქვეყნის კულტურაზე და ისტორიაზე.

მუზეუმის მსგავსი განძთსაცავების ჩამოყალიბების ისტორია ცივილიზაციის სათავეებთანაა დაკავშირებული. საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლებოდა „მუზეუმის“ როლი და დანიშნულება, მაგრამ ყველა ეპოქაში უცვლელი რჩებოდა ერთი პრინციპი – განსაკუთრებული პატივისცემა და მოკრძალება წარსულის ნივთებისადმი, რომლებიც წინაპართა ხსოვნასთან აკავშირებდა ადამიანებს.

პირველი სამუზეუმო ნივთები სასახლეებში და საკულტო-რელიგიურ ადგილებში იყრიდა თავს, როგორც სამეფო ან საგვაროვნო კოლექციები. მოგვიანებით სამუზეუმო ნივთებმა სპეციალურად აგებულ შენობებში გადაინაცვლეს და ასე მოაღწიეს ჩვენამდე.

სიტყვა „მუზეუმი“, ისევე როგორც ბევრი სხვა ტერმინი, ბერძნული წარმოშობისაა და სიტყვა-სიტყვით აღნიშნავს „მუზათა ტაძარს“ (ბერძ. μουσείο[ν]), როგორც უწმინდეს რელიქვიათა ძვირფას ადგილს.

მუზეუმების ფორმირების კვალდაკვალ ჩამოყალიბებას იწყებს სამუზეუმო ექსპონატების შესწავლის ტრადიცია, რომელმაც თანდათან მეცნიერული კვლევის ხასიათი შეიძინა და ახალ სამეცნიერო მიმართულებად ჩამოყალიბდა.

მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, უტყუარ ჭეშმარიტებას წარმოადგენს ფაქტი, რომ დღეს მუზეოლოგია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა (ან მიმართულება) არსებობს, რომელიც იკვლევს მუზეუმების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას.

მუზეოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ფორმირების პრობლემები აქტიურად განიხილებოდა გასული საუკუნის

20-30-იან წლებში. 1934 წელს მადრიდში გამართულ სამუზეუმო საქმის საერთაშორისო კონფერენციაზე დაისვა საკითხი მუზეოლოგიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ციკლის დისციპლინებიდან გამოყოფისა და დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების შესახებ. 1946 წელს პარიზში შეკრებილმა 14 ქვეყნის დელეგატებმა შექმნეს მუზეუმთა საერთაშორისო საბჭო (Internacional council of museums, შემოკლებით – ICOM), რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მუზეოლოგიის ჩამოყალიბებაში.

1977 წელს ICOM-ის გენერალურ კონფერენციაზე მორავიის მუზეუმის (ჩეხეთი) დირექტორის ი. ლინეკის ინიციატივით შეიქმნა მუზეოლოგიის საერთაშორისო კომიტეტი (Internacional commitete for muzeologu, შემოკლებით – ICOFOM), რომელიც მუზეოლოგიის სტატუსის განსაზღვრისათვის საერთაშორისო დისკუსიის არენად გადაიქცა. ამ ორგანიზაციამ 1980 წელს გამოსცა ჟურნალი "Muzeological Working Papers" (მუზეუმის საერთაშორისო დოკუმენტები), რომელიც აშუქებს დისკუსიის მასალებს.

ჟურნალის პირველი ნომრის ერთ-ერთი სტატიის დასახელება მეტად საინტერესო იყო: "მუზეუმმცოდნეობა – მეცნიერება თუ მხოლოდ სამუზეუმო პრაქტიკული საქმე?".

"ICOM"-ი და მასში შემავალი ორგანიზაციები ცდილობენ მუზეოლოგია აღიარებულ იქნას დამოუკიდებელი სტატუსის მქონე სამეცნიერო დისციპლინად. ამ მიზნით ტარდება სიმპოზიუმები და სამეცნიერო კონფერენციები, იქმნება თეორიული გამოკვლევები, სახელმძღვანელოები, ლექსიკონები და ა.შ.

რა არის „მუზეოლოგია?"

მეცნიერები მუზეოლოგიის შემდეგ განმარტებას გვთავაზობენ:

„მუზეოლოგია არის მეცნიერება, რომელიც შეისწავლის მუზეუმების წარმოშობის ისტორიას, მათი მართვისა და ადმინისტრირების, კოლექციათა მოვლის, რეგისტრაციისა და შენახვის თანამედროვე მეთოდებს".

ფართო მნიშვნელობით, მუზეოლოგია იკვლევს მუზეუმების ისტორიას, მათ ფუნქცნიონირებას, მუზეუმების სხვადასხვა ტიპებს, ასევე მათ როლს თანამედროვე საზოგადოებაში. იგი იკვლევს ექსპონატების რეგისტრაციის, კონსერვაციის, სამეცნიერო კვლევის, განათლების, ექსპონირებისა და, ზოგადად, მუზეუმების მართვის მეთოდებს (მართვის ისტორიას), ასევე ამ სისტემების

ურთიერთკავშირს საზოგადოებასთან და გარესამყაროსთან.

მუზეოლოგიის ინსტიტუციონალური (რ. ბენეში, ვ. ვინტერი, ტ. სილიანოვა-ნოვიკოვა, ე. ჰიუნსი და სხვ.) და საგნობრივი მიდგომის მომხრეები (ზ. ბრუნი, ხ. ვეკსი, ა. გრეგოროვა, რ. ლანგი, ზ. სტრანსკი, ტ. ხეტეში, დ. შულცი, ვ. ენნენბახი) მუზეოლოგიას თვლიან მეცნიერებად, რომლის საგანია – მუზეუმი, როგორც სოციალური ინსტიტუტი. ასეთი მიდგომისას აქცენტი კეთდება მუზეუმის, როგორც სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემნახველი და გადამცემი დაწესებულების საზოგადოებრივი ფუნქციის შეწავლაზე.

მიუხედავად ამისა, დღემდე არ არის ჩამოყალიბებული ერთი აზრი მუზეოლოგიის დამოუკიდებელ დისციპლინად ჩამოყალიბების თაობაზე. ზოგიერთი მკვლევარი (კ. შრაინერი, ი. იანი, ტ. შოლა და სხვ.) მუზეოლოგიას არ აღიარებს მეცნიერებად. მათი აზრით, ამ დისციპლინას არ გააჩნია კვლევების მეთოდი, სტრუქტურა და საგანი. ისინი მუზეოლოგიის როლს მუზეუმის ისტორიისა და საზოგადოებაში მისი ადგილის შესწავლით განსაზღვრავენ.

სპეციალისტთა აზრით, მუზეოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, აქვს თავისი სტრუქტურა. გამოყოფენ **საერთო მუზეოლოგიას** (შეისწავლის საკითხებს, რომლებიც უკავშირდება ყველა პროფილისა და ტიპის მუზეუმის საქმიანობას) და **სპეციალურ მუზეოლოგიას** (შეისწავლის პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია ცალკეული პროფილის მუზეუმებთან, აგრეთვე, სპეციფიკურ საკითხებთან, რომლებიც არ არის დაკავშირებული სხვა პროფილური დისციპლინების კვლევების სფეროებთან).

უცხოენოვან ლიტერატურაში, როგორც წესი, სხვადასხვა ტერმინებით გამოიყენება „მუზეუმმცოდნეობა“ და „მუზეოლოგია“.

XX საუკუნის ბოლო ათწლეულში გაჩნდა ტენდენცია განესხვავებინათ ცნებები „მუზეუმმცოდნოება“ და „მუზეოლოგია“, მაგრამ უშედეგოდ. მეცნიერები ვერ შეთანხმდნენ, მოეძებნათ პრინციპული განსხვავება მუზეოლოგიასა და მუზეუმმცოდნეობას შორის.

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში სხვაობა მუზეუმთმცოდნეობასა და მუზეოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინებს შორის, არ განიხილება. მკვლევართა ნაწილი ორივე ტერმინს განიხილავს იდენტურ ცნებებად. ამიტომ უცხოეთის უნივერსიტეტებში ცალკე კურსად იკითხება „მუზეოლოგია“ ან „მუზეუმმცოდნეობა“.

მკვლევართა შორის დავის საგანს წარმოადგენს, თუ რომელ სამეცნიერო მიმართულებას მიაკუთვნონ მუზეოლოგია. ზოგიერთი ამ დისციპლინას მიაკუთვნებს კულტუროლოგიურ დისციპლინებს.

როგორც სამეცნიერო დისციპლინას, მუზეოლოგიას გააჩნია თავისი ობიექტი, საგანი, მეთოდი, ენა და სტრუქტურა.

მუზეოლოგიის ობიექტია მუზეუმი და სამუზეუმო საქმე, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა თავის ყველა გამოვლინებაში.

მუზეოლოგიის საგანია ობიექტური კანონზომიერებანი, რომლებიც ეხება სოციალური ინფორმაციის დაგროვების, შენახვისა და ტრანსლაციის პროცესებს, სამუზეუმო ობიექტების ტრადიციებს, მუზეუმის წარმოშობის, განვითარებისა და საზოგადოებრივი ფუნქციონირების პროცესებს.

მუზეოლოგიის მეთოდი. მუზეოლოგიას გააჩნია კვლევის მეთოდები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებთან (სპეციალური და დამხმარე ისტორიული დისციპლინების, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიის მეთოდები; რენტგენოგრაფია, სპექტროგრაფია და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სხვა მეთოდები; საველე კვლევის, უშუალო დაკვირვების მეთოდები; ექსპერიმენტალური მეთოდები, მათ შორის, ისტორიული ექსპერიმენტი; მოდელირების მეთოდი და სხვა).

მუზეოლოგია, როგორც დამკვიდრების პროცესში მყოფი სამეცნიერო დისციპლინა, იმყოფება საკუთარი ენის ჩამოყალიბების ფაზაში. მუზეოლოგიის ცნებათა აპარატის არსენალში დღესდღეობით არსებობს ტერმინები, რომლებიც გადმოღებულია მეცნიერების სხვა დარგიდან. მართალია, ტერმინები ნასესხებია, მაგრამ ისინი ადაპტირებულია მუზეოლოგიის კვლევის მეთოდებთან და მათ მუზეოლოგიის კონტექსტში შეიძინეს ორიგინალისაგან განსხვავებული მნიშვნელობა. საბოლოოდ, საკუთრივ მუზეოლოგიის ტერმინები, არ გვხვდება სხვა მეცნიერებათა ენაში.

ამგვარად, შესაძლებელია მუზეოლოგიის, როგორც საზოგადოებრივი (ჰუმანიტარული) მეცნიერების, ადგილის განსაზღვრა მეცნიერებათა სისტემაში, რომელიც იმყოფება მჭიდრო ურთიერთკავშირში საზოგადოებრივ, ასევე საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებთან.

მოცემულ ეტაპზე მუზეოლოგია წარმოადგენს დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინას, რომლის კვლევის ობიექტია მუზეუმი და სამუზეუმო საქმე.

მუზეოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, გააჩნია **კვლევის სტრუქტურა.**

1. ისტორიული მუზეოლოგია

1.1. მუზეოლოგიის ისტორიოგრაფია

2.1. მუზეოლოგიის ზოგადი თეორია

2.2. საბუთების დახარისხების (დოკუმენტირების) თეორია

2.3.დაგროვების თეორია

2.4.კომუნიკაციის თეორია

3.გამოყენებითი მუზეოლოგია

3.1.სამეცნიერო მეთოდიკა, ზოგადი მეთოდიკა გამომუშავდება მუზეუმების სრული ერთობლიობის მიხედვით ტიპის, სახის და პროფილის განურჩევლად. იგი სპეციალურად ორიენტირებულია მუზეუმების კონკრეტულ სახესა და პროფილზე.

3.2.ტექნიკა

3.3.ორგანიზაცია და მმართველობა

4.სამუზეუმო წყაროთმცოდნეობა

5.მუზეოგრაფია

1. **ისტორიული მუზეოლოგია** შეისწავლის მუზეუმის საჭიროების წარმოშობის, გენეზისისა და განვითარების მიზეზებს და ასევე შეისწავლის მუზეუმს, როგორც კულტურულ ფორმას, რომლის დანიშნულებაც არის მუზეუმის საჭიროების დასაბუთება.

1.1. მუზეოლოგიის ისტორიოგრაფია განეკუთვნება ისტორიული მუზეოლოგიის ნაწილს და იკვლევს მუზეოლოგიის ისტორიას, როგორც მეცნიერებას.

2. **თეორიული მუზეოლოგია**

2.1. მუზეოლოგიის ზოგადი თეორია აყალიბებს სამეცნიერო დისციპლინის საბაზისო ცნებებს, შეიმუშავებს ცნებით აპარატს და მეცნიერების ენას, მუზეუმის საჭიროების, მუზეუმის საგნის, მუზეუმის, როგორც სოციო-კულტურული ინსტიტუტის პრობლემებს, შეიმეცნებს ობიექტს, საგანსა და მეთოდს, ამუშავებს სოციალური ფუნქციისა და მუზეუმების კლასიფიკაციის პრობლემებს, გამოავლენს მუზეოლოგიის ადგილს სამეცნიერო დისციპლინების სისტემაში.

2.2. საბუთების დახარისხების (დოკუმენტირების) თეორია შეისწავლის რეალობის სხვადასხვა მხარეს მასში სამუზეუმო თვისებების გამოვლენის კუთხით და სამუზეუმო მნიშვნელობის ობიექტების არჩევას, რომლებიც ექვემდებარება სამუზეუმო პირობებში მათ შენარჩუნებასა და გამოყენებას. იგი არის სამუზეუმო

ფონდების დაკომპლექტებისა და ისტორიულ-კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის მქონე ობიექტების სამუზეუმო ექსპონატებად გარდაქმნის თეორიული საფუძველი.

2.3. თეზაურუსის თეორია (ბერძნულად thesaurus – საგანძური (ცოდნისა და მისთანანი) იკვლევს სამუზეუმო ობიექტების, რომლებიც ფუნქციონირებენ მუზეუმში, სრულ ერთობლიობას, შემეცნების, მათი ფასეულობის და მათში შენახული ინფორმაციის გამოვლენის თვალსაზრისით, ასევე მათი ფიზიკური შენარჩუნების უზრუნველყოფას.

2.4. კომუნიკაციის თეორია შეისწავლის მუზეუმს, როგორც სპეციფიკურ კომუნიკაციურ სისტემას, რომლის ჩარჩოებშიც ხორციელდება სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომზადება და გადაცემა. იგი, აგრეთვე, არის მუზეუმის ექსპოზიციური, საგამოფენო და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის თეორიული საფუძველი.

3. **გამოყენებითი მუზეოლოგია** შეისწავლის მუზეუმების პრაქტიკული საქმიანობის ამოცანების გადაჭრის გზების შემუშავებას და დაკავშირებულია რა სამუზეუმო საქმის უშუალო საჭიროებებთან, აღმოცენდა მუზეოლოგიის სხვა სტრუქტურულ ნაწილებზე ადრე. სამუზეუმო პრაქტიკის დაგროვილი გამოცდილების განზოგადებით დაიწყო მუზეუმის შესახებ მეცნიერების ჩამოყალიბება.

3.1. სამეცნიერო მეთოდიკა შეისწავლის და გამოიმუშავებს კვლევის მეთოდების სისტემას, რომელიც მოიცავს სამუზეუმო მოღვაწეობის ყველა მიმართულებას. ზოგად მეთოდიკებს აქვს კავშირი სამუზეუმო საქმიანობის ყველა მიმართულებასთან, სპეციალურად ორიენტირებულია მუზეუმების კონკრეტულ პროფილსა და სახეებზე, ხშირადაა დაკავშირებული სამუზეუმო საქმიანობის ცალკეულ სახეებთან.

3.2. ტექნიკა აჯამებს ტექნიკური საშუალებების ერთობლიობის საკითხებს, რომლებიც გამოიყენება საუზეუმო საქმიანობის განსახორციელებლად. გამოყენებითი მუზეოლოგიის ეს ნაწილი განსაკუთრებული ინტერესით ვითარდება ბოლო ათწლეულების მანძილზე.

3.3. ორგანიზაცია და მმართველობა შეისწავლის და გამოიმუშავებს გზებს სამუზეუმო საქმიანობის ოპტიმიზაციისათვის, როგორც მუზეუმის შინაგანი სტრუქტურის ჩათვლით, ასევე სამუზეუმო ქსელს მთლიანად. ესაა მუზეოლოგიის ნაწილი, რომელიც

მკვლევარების განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ბოლო ათწლეულის მანძილზე.

4. სამუზეუმო წყაროთმცოდნეობა შეიმუშავებს სამუზეუმო საგნებისა და კოლექციების გამოვლენის, შესწავლისა და გამოყენების თეორიას, მეთოდოლოგიასა და მეთოდიკას.

სამუზეუმო წყაროთმცოდნეობის ძირითად დანიშნულებად სპეციალისტები ასახელებენ სამუზეუმო საგანში, სამუზეუმო კოლექციაში, სემანტიკური (აზრობრივი) ინფორმაციის კვლევის ანალიზს და სამუზეუმო გამოცემებით (კრებული, ჟურნალი და სხვ.) საზოგადოებისათვის მიწოდებას. ასევე სამუზეუმო საგნის სფეციფიკური თვისებების შესწავლას – ექსპრესიულობას (გამომეტყველებითი), რეპრეზენტაბელურობას (გამომსახველობა), ატრაქციულობას (მიმზიდველობა), კომუნიკაციურობას.

სამუზეუმო საგნის, სამუზეუმო კოლექციის შესწავლა წყაროთმცოდნეობის განხრით გულისხმობს მათი ატრიბუციის (ანონიმურ ნაწარმოებთა ავტორის დადგენა), კლასიფიკაციის, სისტემატიზაციისა და ინტერპრეტაციის განხორციელებას.

ტერმინი „სამუზეუმო წყაროთმცოდნეობა“ სამეცნიერო მიმართულებით გამოიყენება გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან.

5. **მუზეოგრაფია** – ესაა მუზეუმების აღწერილობა, რომლებიც უმნიშვნელოვანესი წყაროებია მუზეუმების ისტორიისა და საქმიანობის შესასწავლად.

მუზეოგრაფია წინ უძღოდა მუზეოლოგიას. ტერმინი „მუზეოგრაფია“ პირველად გამოიყენეს XVIII საუკუნეში (კ. ნაიკელი, 1727 წ.). მუზეოგრაფია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნეში. გასული საუკუნის ბოლო პერიოდიდან მუზეოგრაფია შედის თანამედროვე მუზეოლოგიის სტრუქტურაში, წარმოადგენს რა მის აღწერილობით მიმართულებას.

ცნება მუზეოგრაფია ასევე გამოიყენება სამუზეუმო გამომცემლობების ერთიანობის აღსანიშნად. ესენია: კატალოგები (ფონდები, ექსპოზიციები და გამოფენები), გზამკვლევები (ცალკეულ მუზეუმებში, ქალაქის ან რეგიონის მუზეუმებში), საიუბილეო კრებულები, მუზეუმების ჩანაწერები და ნაშრომები. მეტნაკლებად ღირებულია ის გამოცემები, რომლებშიც მუზეუმის სტრუქტურასთან, ექსპოზიციებთან და ფონდებთან ერთად თანაბრადაა წარმოდგენილი მუზეუმის ისტორია და ადგილი ქალაქის ან რეგიონის კულტურულ ცხოვრებაში.

მუზეუმების აღწერის ისტორია სათავეს იღებს ინვენტარის

აღნუსხვიდან და ხელნაწერთა კატალოგებიდან. ევროპაში მე-17 საუკუნიდან გამოსცემდნენ კატალოგებს სამუზეუმო კოლექციათა მფლობელების რეკომენდაციებით.

მე-20 საუკუნის ბოლოს მუზეოგრაფია დაიყო ორ ნაწილად: პოპულარულ და სამეცნიერო ნაწილებად. პირველი ნაწილი დამთვალიერებლებისათვის არის განკუთვნილი, მეორე კი – სპეციალისტებისათვის. ახალმა ტექნოლოგიურმა პროცესებმა უფრო ხელმისაწვდომი გახადა მუზეოგრაფიის ნიმუშები. 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან მუზეუმების ელექტრონული ფორმით მომზადებულმა პუბლიკაციებმა მასობრივი ხასიათი მიიღო და ფართო საზოგადოებისათვის გახდა ხელმისაწვდომი.

მუზეოგრაფიული გამოცემების კლასიფიკაცია. მუზეოგრაფიული გამოცემები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სამუზეუმო ობიექტის აღწერის მიხედვით. ესენია: ცნობარები (მუზეუმების ქსელი), გზამკვლევები (ექსპოზიცია), კატალოგები (სამუზეუმო კრებულები და კოლექციები); მუზეუმის ისტორიის ნარკვევები, საიუბილეო გამოცემები და გზამკვლევები, სადაც აღწერის მთავარი ობიექტი მთლიანად მუზეუმია.

მუზეუმის აღწერილობანი იყოფა სამეცნიერო (კატალოგები, ისტორიული ნარკვევები, მუზეუმების ისტორიის მონოგრაფიები) და პოპულარულ ნაწილებად (საიუბილეო გამოცემები, გზამკვლევები, ალბომები და ა.შ.), ასევე იგი იყოფა მონოგრაფიულ (ცალკეულ მუზეუმებთან მიმართებაში) და ზოგად ნაწილებად (ქვეყნებისა და რეგიონების მუზეუმების ქსელის მიხედვით).

მუზეუმების პირველი აღწერა ევროპაში. მუზეუმების პირველი აღწერილობა დაკავშირებულია ინვენტარის აღნუსხვსთან, რომლებიც დაცულია ხელნაწერთა კატალოგებში, ხოლო მოგვიანებით დაბეჭდილია კატალოგებისა და გზამკვლევების სახით. აღწერილობათა მიზანი იყო ეჩვენებინა საზოგადოებისათვის სამუზეუმო კრებულის მნიშვნელობა და აეხსნა მისი შინაარსი.

ევროპის ქვეყნებში კატალოგები კოლექციების მფლობელთა რეკომენდაციებით გამოიცემოდა მე-17 საუკუნიდან: ექიმის კრებულის კატალოგი და კოპენჰაგენელი მედიცინის პროფესორის, ოლე ვორმის „ვორმის მუზეუმი“ (ამსტერდამი, 1655), ჰუმანისტ ადამ ოლეარიუსის ცნობარი „გოტორფის კუნსტკამერა“ შეიცავდა კრებულის კატალოგს, რომელიც შექმნა ჰერცოგმა ქრისტიან ალბრეხტ-გოტორფმა 1651 წელს.

პირველ მუზეოგრაფიულ თხზულებად იქცა ჰამბურგელი ვაჭრის, კ.ფ. ნაიკელის წიგნი „მუზეოგრაფია ანუ მუზეუმებისა და რარიტეტ-კამერების (ძალიან იშვიათი სამუზეუმო ექსპონატი, ძველი წიგნი, ე. მ.) სწორი გაგება და სასარგებლო წყობა“ (ლაიფციგი, 1727).

ნაიკელმა აღწერა მსოფლიოს ყველა ცნობილი კოლექცია, დაალაგა ისინი ანბანურად ქალაქების მიხედვით, სადაც ეს კოლექციები ინახებოდა. ავტორმა თავის ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი დაუთმო ჰამბურგის საკრებულოს და სანკტ-პეტერბურგს. ნაიკელის წიგნი ერთდროულად წარმოადგენდა როგორც ქალაქების გზამკვლევს „კურიოზების“ მოყვარული მოგზაურისათვის, ასევე თეორიულ ნაშრომს საზოგადოებაში მუზეუმების ადგილის გასაზრებლად და პრაქტიკულ სახელმძღვანელოს საკრებულოს მფლობელთათვის.

მუზეოლოგიის ისტორიიდან. „მუზეუმის შესახებ თეორიის“ ჩამოყალიბების პირველ მცდელობად მკვლევარები მიიჩნევენ ი.დ. მაიორის წიგნს „არაფერი წყვეტს წინასწარ საზოგადო მსჯელობებს მხატვრულ და საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო კრებებზე“ (კილი, 1674). მას მოჰყვა რიგი სამეცნიერო ნაშრომებისა, რომლებიც აჯამებენ იმ დროისათვის უკვე არსებულ სამუზეუმო ნივთებისა და კოლექციების სამეცნიერო აღწერის, შენახვისა და გამოყენების გამოცდილებას: ი.დ. მოლერის „კუნსტკამერებისა და ნატურკამერების შესახებ“, 1704; ლ.კ. შტურმის „იშვიათი ნივთებისა და საბუნებისმეტყველო საგნების სახალხო კაბინეტი“ 1704; მ.ბ. ვალენტინის „მუზეუმთა მუზეუმი“ 1704, 1712, 1714 წწ. და სხვანი.

XVIII საუკუნეში კ. ნაიკელმა (კ. ფ. ენკელის ფსევდონიმი) ნაშრომში „მუზეოგრაფია, ანუ სახელმძღვანელო მუზეუმის ანუ რარიტეტ-კამერის სწორი გაგებისა და სასარგებლო დაფუძნებისათვის“ ხმარებაში შემოიღო ტერმინი „მუზეოგრაფია“ და შემოგვთავაზა მუზეუმების კლასიფიკაციის პირველი მცდელობა.

XIX საუკუნის ბოლოს დოქტორ ი.გ. გრასსემ მეცნიერებაში პირველმა შემოიტანა ტერმინი „მუზეოლოგია“ სტატიაში „მუზეოლოგია, როგორც მეცნიერება“ (დრეზდენი, 1883), რომელშიც აღნიშნული იყო ცოდნის ამ დარგის კვლევითი პოტენციალი და იყო მცდელობა, დაემტკიცებინა იგი ახალ სამეცნიერო დისციპლინად.

მუზეოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბების თანამედროვე ეტაპი, იწყება 1960-იანი წლებიდან და,

ძირითადად, დაკავშირებულია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მეცნიერ-მკვლევარებთან.

1950-80-იანი წლები აღინიშნებოდა მუზეოლოგიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად აღიარების უფლებამოსილების საკითხთან დაკავშირებული საერთაშორისო დისკუსიებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო დისკუსიები, რომლებიც გაიმართა 1964 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და 1965 წელს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში.

1964 წელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართული დისკუსიის შედეგია „თეზისები", სადაც დასაბუთებულია აუცილებლობა მუზეოლოგიის დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად გამოყოფისა. ეს შეხედულება შემდგომ დამუშავდა ი. იანის ნაშრომში „მუზეოლოგია, როგორც სამეცნიერო და სასწავლო დისციპლინა".

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა გახდა პირველი ქვეყანა, სადაც პირველად შეიტანეს მუზეოლოგია სამეცნიერო დისციპლინების სახელმწიფო რეესტრში. თუმცაღა, 1971 წელს მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს სიმპოზიუმზე, გერმანიაში, მკვლევარები, მუზეოლოგიის პრობლემის გაგების ერთიან თვალსაზრისამდე ვერ მივიდნენ.

მუზეოლოგიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის შესახებ კონცეფციის შემუშავებაში მონაწილეობას ღებულობდნენ ცნობილი მუზეოლოგები: ი. ბენეში, ი. ნეუსტუპნი, ა. გრეგოროვა (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა), ვ. ჰერბსტი, ი. ავი, კ. შრაინერი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ვ. გლუზინსკი, ზ. ჟიგულსკი (პოლონეთი), ზ. სტრანსკი (ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა), ა.მ. რაზგონი (რუსეთი).

1977 წელს შეიქმნა „მუზეოლოგიის საერთაშორისო კომიტეტი", რომელიც ახორციელებდა თეორიული კვლევების კოორდინაციას. 1980-იანი წლების მანძილზე ძირითადი ამოცანა იყო მუზეოლოგიის ცნებითი აპარატის ინვენტარიზაცია და პირველადი უნიფიკაცია, რომლის დანიშნულებაც იყო სხვადასხვა ქვეყნის მკვლევარებს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა.

1976-1986 წლებში დაძაბული მუშაობა მიმდინარეობდა მუზეოლოგიური ლექსიკონის შექმნაზე, რომლის შედეგიც იყო 20-ენოვანი გლოსარიუმი (ტექსტის ლექსიკონი, რომელშიც მოძველებული და გაუგებარი სიტყვებია ახსნილი). აღმოსავლეთ ევროპის მუ-

ზეოლოგების ნაშრომების თავისებურ შეჯამებას წარმოადგენს სახელმძღვანელო „მუზეოლოგია. ისტორიული პროფილის მქონე მუზეუმი“.

დასავლეთ ევროპის მკვლევარებში ჭარბობს ემპირიული მიდგომა მუზეოლოგიისადმი. დასავლეთის მუზეუმის ზოგიერთი სპეციალისტი არ ეთანხმება მუზეოლოგიის მეცნიერებად აღიარებას. თუმცაღა, ცალკეულ ქვეყნებში, თეორიულ მიმართულებებზე მიმდინარეობს მუშაობა (კ. ჰადსონი, ლეისტერის სკოლა და ლუისის კვლევები ინგლისში, კანადელი დ. კამერონის მიერ სამუზეუმო კომუნიკაციის თეორიის შემუშავება, ჟ.ა. რივიერას პუბლიკაციები მუზეუმების ისტორიის შესახებ და მათი როლი საზოგადოებაში და ეკომუზეოლოგიის თეორიულ დაარსებაში (საფრანგეთი).

გასული საუკუნიდან დღემდე მუზეოლოგიაში ორი ურთიერთგანსხვავებული თვალსაზრისია დამკვიდრებული მუზეუმის დანიშნულების მიმართ. ჩვეულებრივ, სპეციალისტები ამ შეხედულებებს განიხილავენ კონსერვატორულ (ძველ მუზეუმმცოდნეობად) და ახალ, მოდერნისტულ (თანამედროვე მუზეუმმცოდნეობად).

ძველი მუზეუმთმცოდნეობა მუზეუმს აღიქვამს „ტაძრად“. 1972 წელს დანკან კამერონი წერდა, რომ მუზეუმი-ტაძარი „მუდამ აქტუალურ და უნივერსალურ ფუნქციას ასრულებს: რეალობის სტრუქტურირებულ მაგალითს იყენებს არა მარტო მოხსენიების, არამედ ობიექტური მოდელის სახით, რომელთანაც შესაძლებელია საკუთარი აღქმების შედარება“. მუზეუმის ამგვარ გაგებას კლასიკური ფესვები აქვს – ასეთი მუზეუმი უფრო ნივთებზეა ორიენტირებული, ვიდრე ადამიანებზე. ამას „ფორმალისტურ“ პერსპექტივასაც უწოდებენ, რომელიც ხაზს უსვამს ნივთების პრიორიტეტულობას და მათ საგანმანათლებლო პოტენციალს, რაც მატერიალური კულტურის ძეგლების რეფორმატორულ ძალაში რწმენის შედეგია. მუზეუმი განიხილება როგორც ადგილი, სადაც დაცულია წარსულის საგანძურები და გამეფებულია მოწიწება დიდი კულტურული მნიშვნელობის მქონე ნივთების უნიკალურობის მიმართ.

გარდა ამისა, ძველი მუზეუმთმცოდნეობა დაკავშირებულია მუზეუმის მიმართ ელიტარულ მიდგომასთან და პასიურ ხასიათთან, რომელიც რეალურად არ აქეზებს დამთვალიერებლებს სამოქმედოდ და მონაწილეობის მისაღებად. ის დაკავშირებულია ტრადიციულ იდეებთან და ისტორიის ვიწრო აღქმასთან. ის უფრო ემპირიულ, და არა პროფესიულ, სტანდარტებს ემყარება და არ აღიქმება აკადემიურ დისციპლინად. შედეგად, მუზეუმი რჩება

კონსერვატიულ და სტატიკურ დაწესებულებად, რომელსაც არ ძალუძს ახალი იდეების მიღება, სადაც არ შეიძლება მოხდეს არავითარი ცვლილება და რომელიც უკავშირდება ძველ თეორიებს, ეს თეორიები კი ვერ გაუკვალავს მუზეუმს გზას ახალი რეალობისკენ.

1983 წელს, მუზეუმების საერთაშორისო საბჭოს გენერალურ კონფერენციაზე, ლონდონში, დამოუკიდებელი მოძრაობის სახით ყალიბდება „ახალი მუზეოლოგია“, რომლის ძირითადი ლოზუნგებია – მუზეუმის ინტეგრაცია გარემომცველ წრეში, მუზეუმის სოციალიზაცია. სწორედ დასავლეთში, ბოლო წლების მანძილზე უფრო დაჟინებით ჟღერს მოთხოვნა მუზეუმთან მიმართებაში, რომ არა მხოლოდ დაარეგისტრიროს წარსული, არამედ გამოიყენოს იგი, რათა გავლენა მოახდინოს კონკრეტული საზოგადოების დღევანდელ და ხვალინდელ დღეზე.

გასული საუკუნის 80-იანი წლების შემდეგ, ე.წ. „პოსტმოდერნისტულ“ ეპოქაში, აღმოცენდა ახალი მუზეუმთმცოდნეობის თეორიები (დ. კამერონი, „მუზეუმ-ფორუმის“, „მუზეუმები საზღვრებგარეშე“, „სამუზეუმო კომუნიკაციის კონცეფციები“ და სხვ.).

ეს თეორიები დღესაც აქტუალურია და სამუზეუმო სამყაროში დიალოგის საფუძველს წარმოადგენს. „ახალი მუზეუმთმცოდნეობა“ პ. ვერგომ ძალზე ზუსტად დაახასიათა, როგორც „მუზეუმის ტრადიციული აღქმით (რასაც ის „ძველ მუზეუმთმცოდნეობას“ უწოდებს) ფართო მასშტაბის დაუკმაყოფილებლობა და საზოგადოებაში მუზეუმების როლის რადიკალურ გადასინჯვაზე დაყრდნობით ახალი მუზეუმთმცოდნეობის დამკვიდრების საჭიროება“. განსხვავებით იდეისაგან, რომ ძველი მუზეუმთმცოდნეობა წარმოადგენს „სათავეების ძიებას, მსგავსებათა ძიების ტრადიციას და წარსულის ხატებისა და აღქმების შეგროვებას, რაც დააწესეს იმ ადამიანებმა, ვინც დაინტერესებულია ამით“, ახალი მუზეუმთმცოდნეობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც „კრიტიკული მიდგომის ახალი ტენდენცია, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა დებატებს და დაუპირისპირდა არსებულ ერთსულოვნებას“.

გარდა ამისა, ახალი მუზეუმთმცოდნეობა უფრო ადამიანებზეა ორიენტირებული, ვიდრე ნივთებზე. ახალი, „ანალიტიკური“ პერსპექტივის შესაბამისად, მუზეუმები ცდილობენ გაავრცელონ ცოდნა არა მარტო იმაზე, რაც მოხდა, არამედ იმაზეც, თუ როგორ და რატომ მოხდა, ანუ ნივთების მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა და საინტერესო გახდა მათი არსის შესწავლა და არა მარტო სტრუქტურისა. ეს იდეა წინ სწევს დისკუსიებს და მუზეუმის აქტი-

ურ როლს, ხაზს უსვამს მის საგანმანათლებლო როლს სხვადასხვა გასართობ ასპექტთან ერთად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამპარტავანი ტაძრების ნაცვლად მუზეუმები ხდება ადგილები, სადაც უფრო ფართო კულტურული ცხოვრება იმკვიდრებს ადგილს. დემოკრატიზაცია და მისაწვდომობა რეალობა ხდება და ცივილიზაცია ფართოდ არის წარმოდგენილი.

ახალი მუზეუმთმცოდნეობა, რომელიც ორ ათწლეულზე ნაკლებს ითვლის, დაემთხვა მეორე პროცესს: მუზეუმებთან დაკავშირებულ ადამიანებში დამკვიდრდა ახალი მიდგომა საკუთარი დაწესებულებებისადმი, მათ დაიწყეს გარე სამყაროს სხვაგვარი გაცნობიერება, მიხვდნენ, რომ არსებობდა საჭიროებები, რომლებიც მოითხოვდა მუზეუმების სახელით გადაწყვეტას, და გააცნობიერეს, აგრეთვე, რომ ბევრი სხვა ადამიანი აკეთებდა იმავე საქმეს. ტრადიციულ მუზეუმთმცოდნეობას ყველაზე მეტად „საერთო ლექსიკონი“ აკლდა. დღეს სამუზეუმო გამოკვლევები უფრო აკადემიური და კრიტიკული დისციპლინა გახდა, რომელიც დაინტერესებულია სამუზეუმო სფეროს მრავალ ასპექტში პროფესიული სტანდარტებითა და ახალი მეთოდებით.

მართალია, დღემდე არც ისე ბევრი რამ დაწერილა მუზეუმის ისტორიასთან და იმ გამოკვლევებთან დაკავშირებით, რომელთა მიზანია მუზეუმის, როგორც დაწესებულების, შესწავლა სოციოლოგიური თვალსაზრისით, ახალი მუზეუმთმცოდნეობის თეორიებზე ხშირად გავლენას ახდენს მეცნიერების სხვა დარგები და იდეები. მაგალითად, ჰუპერ-გრინჰილი ფუკოს ნაშრომებს იყენებს იმისათვის, რომ გაერკვეს და განასხვავოს „ქმედითი“ ისტორია „სწორხაზოვანი“ ისტორიისგან, რათა მუზეუმები დაგვანახოს არა მარტო ისეთ დაწესებულებებად, სადაც იდეოლოგია და თეორიებია გამეფებული, არამედ სადაც პრაქტიკული საქმიანობაც მიმდინარეობს. ბენეტი ბურდიეს თეორიებს მიმართავს იმისათვის, რომ შეიმუშაოს იდეები მუზეუმთან – როგორც აღმზრდელობით და მაკონტროლებელ სივრცესთან – დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ მუზეუმთმცოდნეობის ახალმა თეორიებმა მუზეუმების როლის დანახვის ახლებური გზები შემოგვთავაზეს, გზები, რომლებიც საკმარისად უნივერსალური და მისაღები გამოდგა და რომლებიც მუდმივ ზეგავლენას ახდენს სამუზეუმო პრაქტიკაზე, უნდა გვახსოვდეს, რომ მუდმივი ცვლილების „დრამატული სცენარი“ უსასრულოა. თუ გავიხსენებთ, როგორი იყო ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მუზეუმის განსაზღვრა, დავინა-

ხავთ ცვლილებას: „მუზეუმი არის დაწესებულება, რომელიც აგროვებს, დოკუმენტებით ამყარებს, იცავს, გამოფენს და ინტერპრეტაციას უკეთებს მატერიალური კულტურის ნიმუშებს და მათთან დაკავშირებულ ინფორმაციას საზოგადოების მიერ სარგებლობისთვის“ (გაერთიანებული სამეფოს მუზეუმთა ასოციაცია, 1984).

შევადაროთ ეს განმარტება ყველაზე ახალს: „მუზეუმები შესაძლებლობას აძლევენ ადამიანებს, შეისწავლონ კოლექციები სტიმულირებაზე დამყარებული სწავლისა და სიამოვნების მიღების მიზნით. მუზეუმი არის დაწესებულება, რომელიც აგროვებს, იცავს და საზოგადოებას აჩვენებს მატერიალური კულტურის ნიმუშებს და ეგზემპლარებს, რომლებსაც ის უნახავს საზოგადოებას“ (გაერთიანებული სამეფოს მუზეუმების ასოციაცია, 1999).

ძირითადი განსხვავება ის არის, რომ ტრადიციულად არსებული გაგება, რომლის მიხედვით კოლექციები არა მარტო სასარგებლო ინსტრუმენტებია მუზეუმთა დანიშნულების ხელშესაწყობად, არამედ თავისთავად მიზანს წარმოადგენს, შეიცვალა და მივიღეთ ადამიანებზე ორიენტირებული მიდგომა, რომელიც მუზეუმის მიზანს დროთა განმავლობაში განცდილი ცვლილებების შესაბამისად ახასიათებს. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ მუზეუმის დანიშნულების გამოსახატავად გვხვდება ისეთი სიტყვების ერთობლიობა, როგორიც არის „სტიმულირება“, „სწავლა“ და „სიამოვნების მიღება“.

განათლება მუზეოლოგიის სფეროში მოგვიანებით ჩამოყალიბდა. ადრე მუზეუმის პროფესიის გამოცდილებისა და ჩვევების გაზიარება ხორციელდებოდა უშუალოდ მუზეუმებში და ეფუძნებოდა ტრადიციებს. მსხვილი მუზეუმები ჩამოყალიბების პირველივე წლებში იყო მომზადების სკოლა მუზეუმის სპეციალისტათვის, უპირველეს ყოვლისა კი, მუზეუმის მცველებისთვის.

სამუზეუმო პედაგოგიკის განვითარების შესახებ მოსაზრებები გამოჩნდა XIX საუკუნეში. ინგლისელი არქიტექტორი გ. ზემპერი (მისი პროექტით 1841 წელს აიგო დრეზდენის ოპერის თეატრი) 1851 წელს, ლონდონის საერთაშორისო გამოფენაზე გამოვიდა იდეით, ხელოვნების მუზეუმის ბაზაზე მოემზადებინათ მუზეუმის სპეციალისტები.

ამ იდეას მოჰყვა სამუზეუმო განათლების ცენტრების შექმნა სამხრეთ კენსიგტონსკის, ვიქტორიისა ალბერტის მუზეუმებში, ხელოვნების სამეჯო კოლეჯში, ავსტრიის ხელოვნებისა და მრეწველობის მუზეუმში და სხვ.

XIX საუკუნის II ნახევარში XX საუკუნის დასაწყისში პირველდაწყებითი სამუზეუმო განათლება ორიენტირებული იყო ბავშვებთან და „ხალხთან“ მუსაობის მეთოდიკის დამუშავებაზე (სამუზეუმო განათლების პრობლემებზე მუსაობდნენ ე. როსმესლერი, ა. ლიხტვარკომი და სხვ.).

XX საუკუნემ ბევრი სიახლე შემოიტანა სამუზეუმო ქსელის განვითარებაში. გაფართოვდა კოლექციების პროფილი. შეიცვალა მუზეუმის როლი საზოგადოებაში. იგი იყო არა მარტო წარსულის სიძველეთა საცავი, არამედ აქტიურ როლს ასრულებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

სამუზეუმო ქსელის გაფართოებამ განაპირობა მოთხოვნების გაზრდა სამუზეუმო განათლებისადმი. განათლება მუზეოლოგიის სფეროში სისტემად ჩამოყალიბდა მე-20 საუკუნეში. დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების უნივერსიტეტებში გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო სამუზეუმო დარგებისათვის კვალიფიციური, პროფესიული კადრების – მუზეოლოგების მომზადება.

საქართველოს უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებებში, ძირითადად ხელოვნებათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამებზე, ისწავლება საგანი „მუზეოლოგია“. რამდენიმე უნივერსიტეტში (თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია; ილიას უნივერსიტეტი) მოქმედებს მუზეოლოგიის სამაგისტრო საგანმანთლებლო პროგრამები. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდით, მუზეუმის თანამშრომლებისათვის პერიოდულად ტარდება სემინარები მუზეუმის მართვის თანამედროვე პრობლემებზე.

მუზეუმის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები რეგიონებშიც ტარდება. კვლავინდებურად, კადრების მომზადების მოთხოვნად ფორმად ითვლება სტაჟირება მსხვილ მუზეუმებში. პროფესიული განათლების აღიარებულ ცენტრად ითვლება საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

სამუზეუმო სამუშაოების ინოვაციური ფორმებისა და მეთოდების დასაუფლებლად ვითარდება პროფესიული მომზადების ისეთი ფორმები, როგორებიცაა მასტერ-კლასები, საქმიანი თამაშები, დისკუსიური კლუბები, შემოქმედებითი ლაბორატორიები, რომელიც გამიზნულია ახალი ტექნოლოგიების, პერსპექტიული პროექტების გამოვლენასა და არჩევაზე, პროფესიონალური მუზე-

უმის პრობლემებისადმი ინოვაციური მიდგომების გამომუშავებაზე და სხვ.

ზოგიერთ ქვეყანაში (მაგალითად, რუსეთში) სამუზეუმო სფეროში მოქმედებს სამსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები. შესაბამისად მიმდინარეობს მუზეოლოგიის სახელმძღვანელოებზე მუშაობა და ა.შ.

უცხოეთის საგანმანათლებლო სისიტემაში დაგროვილი გამოცდილების მიუხედავად საქართველოში, გარდა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისა, დღემდე ვერ განხორციელდა სწავლება აკადემიური განათლების პირველ (ბაკალავრიატი) ან პროფესიულ საფეხურზე.

დღეს საქართველოს სამუზეუმო სისტემაში მუშაობენ სპეციალისტები, რომლებსაც სპეციალური განათლება არ გააჩნიათ. მათი სამუშაო პრაქტიკა ემყარება წლების განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას, რომლებსაც მუზეუმის წარმატებული მუშაკები მემკვიდრეობით გადასცემენ მომდევნო თაობებს.

ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ქვეყანაში არ არსებობს კულტურის დარგების ერთიანი საგანმანათლებლო კონცეფცია. მოქმედი სისტემა ემყარება მხოლოდ „ვორქშოპების“ ან კვალიფიკაციის ამაღლების მოკლევადიანი კურსების ეპიზოდურ პრაქტიკას.

თავი I. მუზეუმის ისტორია

1.1. მუზეუმები წინაანტიკურ და ანტიკურ ეპოქაში

მუზეუმის ისტორია იწყება უძველესი ხანიდან. თანამედროვე მუზეუმის ისტორიის დასაწყისს ძველი საბერძნეთის ეპოქას მიაკუთვნებენ. ბერძნული „მუსეინი“ ნიშნავს ტაძრების კომპლექსს მიძღვნილს მუზებისადმი. ბერძნულ მუსეინს ცოტა რამ ჰქონდა საერთო როგორც სოციალურ ფენომენს, თანამედროვე მუზეუმთან. ეს იყო ტაძარი განკუთვნილი წმინდა ღვთაებებისათვის. მუზების პატივსაცემად ხუთ წელიწადში ერთხელ მართავდნენ საერთო ბერძნულ დღესასწაულს, რომელშიც ერთამანეთს ეჯიბრებოდნენ პოეტები, მომღერლები, მუსიკოსები, მოცეკვავეები და სხვ. ერთადერთი, რაც აკავშირებდა მაშინდელ მუსეიონს თანამედროვე მუზეუმთან, ეს არის ის, რომ ბერძნული ტაძრები, როგორც თანამედროვე მუზეუმი, იყო ადგილი, სადაც აგროვებდნენ განსაზღვრულ ძვირფასეულობას.

პართენონი, ათენის აკროპოლისი

ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ალექსანდრიის მუსეიონი, შექმნილი ძვ.წ. აღ. 304 წელს, ალექსანდე მაკედონელის თანამებრძოლის მიერ, ეგვიპტის ფარაონმა პტოლემაიოს I-მა მნიშვნელოვანი სიძველეებით გაამდიდრა. ეს იყო ლიტერატურისა და ფილოსიფიის შესასწავლად განკუთვნილი ადგილი. ამ კომპლექსში შედიოდა საცხოვრებელი ოთახები, სასადილო დარბაზი, სალექციო დარბა-

ზი, გადახურული გალერეა, ბოტანიკური ბაღი, ზოოლოგიური პარკი, ასტრონომიული ობსერვატორია. მათ შორის, მნიშვნელოვანი იყო ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხელნაწერები.

პტოლემაიოს II-ემ საგანგებოდ შეისყიდა არისტოტელეს ბიბლიოთეკა. იქ, სადაც ფულით შეუძლებელი იქნებოდა სიძველეებისა და ბიბლიოთეკის შესყიდვა, მიმართავდნენ სხვა ხერხს. როდესაც პტოლემეიოს III-ემ ვერ შეძლო შეესყიდა ათენელებისაგან მისთვის საინტერესო ხელნაწერები, გირაოთი გამოითხოვა გადასაწერად ესქილეს, სოფოკლეს, ევრიპიდეს ტრაგედიები. გირაოს თანხა მნიშვნელოვანი იყო. ათენელებს არ სჯეროდათ, რომ ხელნაწერების სანაცვლოდ ეგვიპტელები უარს იტყოდნენ გირაოს თანხაზე, მაგრამ პტოლემაიოს III-ემ არ დააბრუნა ხელნაწერები. ალექსანდრიის მუსეიონში, გარდა ცნობილი ბიბლიოთეკისა, იყო ობსერვატორია, ბოტანიკური და ზოოლოგიური ბაღები, მექანიკური სახელოსნოები, ეგზოტიკური ცხოველების ტყავი და ფიტულები, ფილოსოფოსებისათვის განკუთვნილი დარბაზი. ალექსანდრიის მუსეიონში მუშაობდნენ მსოფლიოში იმ დროისათვის ცნობილი ადამიანები.

ამ დაწესებულებას სახელმწიფო უწევდა დახმარებას. მუზეუმი და მისი ბიბლიოთეკის უმეტესი ნაწილი ძველი წელთაღრიცხვის 270 წელს სამოქალაქო არეულობის დროს განადგურდა.

თანამედროვე მუზეუმის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კერძო კოლექციებმა. უძველესი დროიდან ადამიანები აგროვებდნენ ნივთებს, რომლებიც მათ წარსულთან ან წინაპართა ხსოვნათან აკავშირებდა. ჯერ კიდევ არისტოტელე აღნიშნავდა, რომ ადამიანი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს და რომელ კლასსაც არ უნდა ეკუთვნოდეს, კერძო მესაკუთრის თვისებები გააჩნია და მისთვის სასიამოვნოა ფიქრი – ესა თუ ის ნივთი მხოლოდ მას ეკუთვნის.

მნიშვნელოვანი მოვლენების ამსახველი ნივთები ამშვენებდნენ უძველეს სასახლეებსა და ტაძრებს. პირველ კოლექციებს თანდათანობით ემატებოდა ხელოვნების ქმნილებანი, მეფეთა და გამოჩენილ ადამიანთა პირადი ნივთები და რელიკვიები, საკულტო და რელიგიური საგნები. ისტორიაში არაერთი მაგალითია ცნობილი, როდესაც ღირსსახსოვარი მოვლენის აღსანიშნავად და უკვდასაყოფად თაობიდან თაობას გადაეცემოდა ესა თუ ის რელიგიური რელიქვია და მტერზე გამარჯვების დამადასტურებელი ნივთები.

მწირი წერილობითი წყაროები და გადმოცემები ადასტურე-

ბენ, რომ ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ნივთებით იქმნებოდა პირველი სამუზეუმო კოლექციები.

ბიბლიის მიხედვით, ებრაელები სათუთად იცავდნენ და ინახავდნენ სჯულის კიდობანს, სადაც ინახებოდა ქვისაგან გამოთლილი ორი ფილა, რომლებზედაც გადმოცემით, უფლისაგან ბოძებული ათი მცნება ყოფილა აღნიშნული.

მუზეოლოგები პირველ სამუზეუმო ადილებად მიიჩნევენ კნოსოსის სასახლეს კუნძულ კრეტაზე (ძვ.წ.II ათასწლეულის შუა ხანები), ინსკის ორაკულის არქივს ჩინეთში (ძვ.წ. XIII-XII სს.), აშურის სატაძრო ბიბლიოთეკას (ძვ.წ.XI ს.), ნინევიის სასახლის ბიბლიოთეკას (ძვ წ. VII ს.). სიძველეები და რელიგიური ნივთების კოლექციები მრავლად იყო დაცული ხმელთაშუაზღვის ქვეყნების მეფეთა სასახლეებში და ტაძრებში.

კერძო კოლექციების დაგროვების ფაქტები მრავლადაა ნაპოვნი არქეოლოგიური გათხრების დროს. პერგამის მმართველების ატალიდების (ძვ. წ. აღ. 241-197 წ.) კოლექცია ერთ-ერთი მრავალრიცხოვანია იმ ეპოქის კოლექციებს შორის.

კერძო კოლექციები მრავლად იყო წარმოდგენილი ძველ რომში. განსაკუთრებით საბერძნეთის დაპყრობის შემდეგ, რომში გაზიდეს ბერძნული ძვირფასეულობანი: ქანდაკებები, ბიუსტები და ხელოვნების სხვა ქმნილებანი. ასევე დაიწყეს დამზადება ბერძნული ქანდაკებების ასლების. ბერძნული ქანდაკებების სწორედ რომაულმა ასლებმა მოაღწია ჩვენამდე. ბევრი მათგანი ისეთ მაღალ მხატვრულ დონეზეა შესრულებული, შეუძლებელია გარკვევა ორიგინალია თუ ასლი.

ძველი რომი

პირველად რომში გაიხსნა საჯარო დათვალიერებისათვის კერძო კოლექციების შენობა. მაგალითად, იმპერატორ ადრიანეს

(117-118 წწ.) ცნობილი ვილა ტიბურში (თანამედროვე ტივოლი), რომელიც მხოლოდ რომის მოქალაქეებისათვის იყო ხელმისაწვდომი. მოგვიანებით იმპერატორის კოლექციის დათვალიერების პრაქტიკა შენარჩუნებულ იქნა ბიზანტიაში.

იმპერატორ ადრიანეს ვილა ბრწყინვალე დადასტურება იყო მისი სურვილისა, აეშენებინა საბერძნეთსა და ეგვიპტეში ნანახი გამოჩენილი ადგილებისა და შენობების მსგავსი შენობები. ფაქტობრივად, ეს ვილა დღევანდელ დღეს არსებული „ღია ცის ქვეშ მუზეუმების“ წინაპრად შეიძლება მივიჩნიოთ.

უძველეს დროში კოლექციების შეგროვება განსაზღვრულ ამოცანას ისახავდა მიზნად: ძვირფასეულობის შეგროვება, რომლის გაცვლა შეიძლებოდა ფულზე. მათი ისტორიული და მხატვრული ღირებულება მნიშვნელოვან როლს არ ასრულებდა მაშინ, ეს იყო მარაგი „შავი დღისათვის“.

კოლექციების ასეთი ფორმით დაგროვებას პირდაპირი კავშირი არა აქვს სამუზეუმო საქმის ისტორიასთან. კოლექციების სხვა მიზნით შეგროვების პრაქტიკაც ცნობილია უძველესი დროიდან. მაგალითად, რელიგიური და გენეალოგიური, რომელიც გვხდება ქრისტიანულ ეპოქაშიც.

1.2. მუზეუმები შუასაუკუნეებში

ტერმინი „მუზეუმი“ თუ ანტიკურ სამყაროში ხშირად გამოიყენებოდა, შუა საუკუნეების ეპოქის ლექსიკონებში არ გვხვდება. შუა საუკუნეების ეპოქაში კოლექციონირების ძველი ფორმა გრძელდება, მათ შორის რელიგიური და გენეალოგიური. ამ პერიოდშიც რელიგიური კოლექციები თავს იყრიდა ტაძრებში. რა თქმა უნდა, შეიცავალა რელიგიები. ევროპაში და აზიისა და აფრიკის ნაწილ ტერიტორიაზე დამკვიდრდა ქრისტიანობა. კოლექციების ტაძრებში შეგროვების არსი იგივე დარჩა. საჯარო ჩვენება ამ კოლექციების ხდებოდა მხოლოდ რელიგიური დღესასწაულების დროს, რადგან, ადამიანთა რწმენით, ეს რელიქვიები სასწაულმოქმედ ძალას ატარებდნენ.

ფეოდალიზაციის პროცესმა კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა შესძინა გენეალოგიური კოლექციების შეგროვებას. არისტოკრატიის გავლენიანი წარმომადგენლები სამეფო კარზე პრივილეგიე-

ბის გაზრდის სურვილით ცდილობდნენ მათი გვარის განსაკუთრებული დამსახურების და შესაბამისი ნივთმტკიცების წარმოჩენას. ასეთი კოლექციები საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილისათვის იყო ხელმისაწვდომი.

როგორც ანტიკურ, ასევე შუასაუკენეების ეპოქაში კოლექციერების ერთიანი სისტემა არ არსებობდა. იგი მხოლოდ კერძო პრაქტიკაზე იყო დამყარებული და არსებითად განსხვავდებოდა თანამედროვე სისტემისაგან.

სამუზეუმო კოლექციების სისტემატიზაცია იწყება აღორძინების ეპოქაში. მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ გაჩნდა ახალი კოლექციები, რომლებიც მეცნიერების კონკრეტულ დარგებს წარმოადგენდნენ: კუნსტკამერები (გერმ. Kunstkammer – იშვიათი ნივთების კაბინეტი), ბუნების კაბინეტები, ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნივთების კაბინეტები და ა.შ.

აღორძინების ეპოქაში ზოგჯერ ხმარებაში გამოიყენებოდა ძველი ტერმინი „მუზეუმი", მაგრამ ამ სიტყვის მნიშვნელობა თვისობრივად განსხვავდებოდა თანამედროვე მნიშვნელობისაგან. იშვიათად „მუზეუმად" მოიხსენიებდნენ კოლექციებს, უმეტესად წიგნებს, რომლებიც აღწერდა ამა თუ იმ დარგის ცოდნას (თანამედროვე ენციკლოპედიის ანალოგიით). კოლექციების სისტემატური შეგროვება მიმდინარეობდა მინერალოგიაში, ზოოლოგიაში, ბოტანიკაში.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრებით სახელწოდება „მუზეუმი" მე-15 საუკუნიდან ვრცელდება და ეს დაკავშირებულია ლორენცო მედიჩის სახელთან. სწორედ მან უწოდა მუზეუმი ფლორენციის სასახლეში მოწყობილ სიძველეთა და ხელნაწერთა საცავს. მის სახელთან არის დაკავშირებული, აგრეთვე, საჯარო ბიბლიოთეკისა და პირველი სახვითი ხელოვნების გალერეის დაარსება.

მე-16 საუკუნეში მუზეუმის ცნების გამოხატვის მიზნით ორი ახალი ტერმინი შემოვიდა. „გალერეა" (იტალიური „galleria") – დიდი, გრძელი, ცალი მხრიდან განათებული დარბაზი – აღნიშნავდა ნახატებისა და ქანდაკებებისათვის განკუთვნილ საგამოფენო სივრცეს. „კაბინეტი" (იტალიური „gabinetto") იყო კვადრატული ფორმის ოთახი ცხოველებით, ბოტანიკური რარიტეტებით, ხელოვნების მცირე ზომის ნიმუშებით, მატერიალური კულტურის ნიმუშებითა და ანტიკვარული ნივთებით. ორივე ტერმინი კერძო, საზოგადოებისთვის დახურულ კოლექციას აღნიშნავდა. მხოლოდ გამოჩე-

ნილ მოგზაურებს თუ ეძლეოდათ ზოგჯერ ამ კერძო კაბინეტების მონახულების შესაძლებლობა.

კოლექციების რაოდენობის გაზრდას და არსებულის შევსებას ხელს უწყობდა ევროპული სახელმწიფოების სამხედრო აქტივობა (ომში გამარჯვების შედეგედად მოპოვებული ნადავლი, დამარცხებული ქვეყნისაგან, საგრაფოსგან საზავო პირობებით მიღებული ძვირფასეულობა). ძირითადად, ევროპის მონარქების ხაზინა ივსებოდა კოლონიების: აზიის, აფრიკისა და ამერიკის კონტინენტიდან გაზიდული სიძველეებით. კოლექციების მრავალფეროვნება და სიუხვე საფუძველს ქმნიდა სპეციალური ადგილები გამოეყოთ მათ განსათავსებლად.

მდიდარ კოლექციებს მოუყარა თავი ვატიკანმა. 1471 წელს რომის პაპმა სიქსტ IV-ემ გადაწყვიტა კაპიტოლიუმის მუზეუმის შექმნა. ანტიკური ქანდაკებების განსათავსებლად 1506 წელს პაპი იულიუს II-ის დავალებით კი ბელვედერეში (ამჟამად მდებარეობს ვენაში, ავსტრია) აშენდა სპეციალური სასახლე.

კაპიტოლიუმის მუზეუმი რომში

ევროპაში გაჩნდა პროფესია სიძველეებისა და იშვიათი ნივთების ვაჭრობისათვის. პრაქტიკულად, ყველა ხელისუფალს სასახლეში ჰყავდა ადამიანები, რომლებიც ეხმარებოდნენ მათ ძველი ნივთების შეგროვებაში. ძვირფასეულობის ძიებამ ისეთი დაინტერესება გამოიწვია, რომ რომის პაპები, იძულებულნი იყვნენ მიეღოთ უმკაცრესი ზომები იტალიის გაძარცვის თავიდან ასაცილებლად.

პაპის განკარგულებებით (მათ შორის პირველი ბულა მიიღო პიუს II-ემ 1464 წელს) იკრძალებოდა ანტიკური ძვირფასი ნივთების რომიდან და მისი შემოგარენიდან გატანა. ეს იყო ევროპაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პირველი მცდელობა.

კერძო კოლექციები საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა და წარმოადგენდა სიამაყის საგანს არა მარტო მათი მფლობელების, არამედ თანამოქალაქეებისთვისაც. ამავე დროს მკვიდრდება შეხედულება, რომ ასეთი კოლექციის დაკარგვა, გაყიდვა ან განადგურება ეროვნული კატასტროფის ტოლფასია.

1.3 მუზეუმები ევროპაში

შუა საუკუნეებში ევროპის ეკლესიები და მონასტრები საიუველირო ნაკეთობების, ქანდაკებების, ხელნაწერებისა და წმინდანთა წმინდა ნაწილების საცავებად იქცა. მე-7 საუკუნიდან მოყოლებული, ამ საცავებს დაემატა ჯვაროსნების მიერ ჩამოტანილი ნადავლი. დროდადრო ხდებოდა მათი გამოფენა და ისინი ინახებოდა ომის დროს რეზერვის სახით გამოსაყენებლად.

სიტყვა „მუზეუმის“ შემოღება კოლექციების აღსანიშნავად „რენესანსის დროინდელი ჰუმანიზმის, მეთვრამეტე საუკუნის განმანათლებელთა ეპოქისა და მეცხრამეტე საუკუნის დემოკრატიის ნაყოფია.“

XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე იქმნება საჭიროება სამუზეუმო ექსპონატებისათვის შესაფერისი საჯარო შენობის გამოყოფად.

პირველად, ევროპაში ასეთ შენობად შერჩეულ იქნა მედიჩების სახლი, რომელიც მოგვიანებით უფიცის გალერეის (იტალ. Galleria degli Uffizi, სიტყვასიტყვით — „კანცელარიის გალერეა“, სასახლე ფლორენციაში) დაარსების საფუძველი გახდა.

უფიცის ისტორია იწყება 1559 წლიდან, როდესაც ფლორენციის მმართველმა კოზიმო I მედიჩიმ ქალაქის ყველა ადმინისტრაციული სამსახურის გაერთიანება გადაწყვიტა. პროექტის რეალიზაციისთვის მოიწვიეს ცნობილი ხელოვანი ჯორჯო ვაზარი, რომელმაც მუშაობა 1560 წელს დაიწყო. თუმცა 1574 წელს ვაზარი გარდაიცვალა და სამუშაო მისმა მოწაფემ ბერნარდო ბუონტალენტიმ დაასრულა. 1575 წელს უფიცის შენობაში დაიწყო მუზეუმის ჩამოყალიბება. მისი საფუძველი მედიჩის საოჯახო კოლექცია გახდა.

1737 წელს შენობა საჩუქრად გადაეცა ტოსკანის საჰერცოგოს და მუზეუმი დამთვალიერებლებისათვის გაიხსნა.

ვიწრო ეზო უფიცის ორ ფრთას შორის. უფიცის გალერეა

მუზეუმის კოლექცია იზრდებოდა მედიჩების დინასტიის დაცემის შემდეგაც. ამჟამად ის მოიცავს ისეთ იტალიელ ხელოვანთა შედევრებს, როგორებიცაა: ჯოტო, ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, ჯორჯონე, ტიციანი, უჩელო, ფრა ფილიპო ლიპი, ჩიმაბუე, პიერო დელა ფრანჩესკა და სხვანი. აქვეა ანტიკური, ფრანგული, ესპანური, გერმანული, ჰოლანდიური და ფლამანდიური ხელოვნების ნიმუშებიც. უფიცის გალერეა ამჟამად ევროპული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი მუზეუმია.

უფიცის დერეფნის ხედი

XVIII საუკუნეში იქმნება პროფილური მუზეუმები. 1738-1748 წლებში ნეაპოლში გაიხსნა პირველი არქეოლოგიური მუზეუმი. განსაკუთრებით გაიზარდა მუზეუმის მიმართ ინტერესი ჰ. შლიმანის (გერმანელი არქეოლოგი, სახელი გაითქვა ტროას გათხრებით) სენსაციური აღმოჩენების შემდეგ. მუზეუმში თავმოყრილია ფარნეზეს, ბორჯას და სხვა ოჯახთა კოლექციები, აგრეთვე სამხრეთ იტალიაში (ძირითადად პომპეიში და ჰერკულანუმში) არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძეგლები, ქანდაკების (უმთავრესად რომის), ფერწერის (ფრესკები, მოზაიკები), დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ნუმიზმატიკის მდიდარი კოლექციები.

ტროას ნანგრევები

ჰაინრიხ შლიმანი

შლიმანის მეუღლე გათხრებისას ნაპოვნი სამკაულებით

აღორძინების ეპოქის ევროპის სიძველეთა კრებულის უმეტესობა არ იყო ხელმისაწვდომი დამთვალიერებელთა ფართო წრისათვის. ბავარიის კურფიურსტის მფლობელობაში არსებული მიუნხენის პინაკოთეკის (სურათების გალერა, არსებობს 1528 წლიდან) დათვალიერება მხოლოდ კერძო პირებს შეეძლოთ. 1826 წელს გალერეას მიუშენეს ახალი შენობა არქიტექტორ ლეო ფონ კლენცეს პროექტით, რომელიც გაიხსნა საჯაროდ. მისი დათვალიერება შეუზღუდავად შეეძლო ყველა დაინტერესებულ პირს. ასევე დრეზდენის გალერეაც (დაარსდა 1560 წელს) თავიდან საქსონიის კურფიურსტის კერძო სტუმრებისათვის იყო ხელმისაწვდომი.

ევროპაში ერთ-ერთ უძველეს მუზეუმად მიჩნეულია ბაზელის მუზეუმი შვეიცარიაში. მუზეუმი დაარსდა ამერბახის კოლექციების კაბინეტის ბაზაზე.

ბაზელის მუზეუმი

იოჰანეს ამერბახი იყო ამერბახების დინასტიის ფუძემდებელი და კოლექციონერი. იგი 1482 წელს დასახლდა ბაზელში. 1648 წელს ამერბახების კაბინეტი გასაყიდად იქნა გამოტანილი. იმისათვის, რომ მუზეუმის კოლექცია საზღვარგარეთ არ გასულიყო, ქალაქის ხელისუფლებამ შეისყიდა და ბაზელის უნივერსიტეტს გადასცა. უნივერსიტეტის მუზეუმის დათვალიერება ნებადართული იყო კვირაში ერთხელ ხუთშაბათობით დღის მეორე ნახევრიდან.

შუასაუკუნეებში თანდათან იცვლება სამუზეუმო პოლიტიკა. ევროპაში იწყება ნამდვილი სამუზეუმო ბუმი. დანიაში ეროვნული მუზეუმის შექმნის მიზნით 1807 წელს იქმნება სამეფო კომისია. მუზეუმის ფონდების რაოდენობის ზრდამ განაპირობა, რომ 1819 წელს მუზეუმის ფონდების დაკომპლექტებისა და სამეცნიერო-საექსპოზიციო მუშაობის ახალი პრინციპები დამკვიდრებულიყო.

ჯერ ერთი, მუზეუმი ფლობდა დიდი რაოდენობით არქეოლოგიურ მასალებს. გაჩნდა იდეა (ვედელ-სიმონსენი) პირველყოფილი საზოგადოების ისტორია სამ პერიოდად დაყოფილიყო: ქვის, ბრინჯაოსა და რკინის. მეორე, მუზეუმის არქეოლოგიური ექსპოზიცია ამ პრინციპით იქნა წარმოდგენილი. ეს მუზეუმი იქცა მსოფლიოში პირველ სისტემატიზირებულ არქეოლოგიურ მუზეუმად. მესამე განმასხვავებელი ნიშანი მუზეუმის საქმიანობაში იყო მუზეუმის დამთვალიერებელთა აუდიტორიის გაფართოება.

მსოფლიოში პირველად მუზეუმის მცველმა ტომსენმა თავისი კოლეგებისათვის შეიმუშავა ინსტრუქცია, რომლის ერთ-ერთი პირობა იყო „გლეხებთან მუშაობა“. ამის მიზეზი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მუზეუმისათვის ახალი კოლექციების შეგროვება იყო. სწორედ გლეხებს შეეძლოთ მიწის დამუშავების დროს ეპოვნათ საინტერესო ექსპონატი და გადეცათ ან მიეყიდათ მუზეუმისათვის.

დრეზდენის ნაციონალური გალერეა. გერმანია

XVIII საუკუნის ბოლომდე მუზეუმის დათვალიერება მხოლოდ საზოგადოების ელიტარული ნაწილისათვის იყო ხელმისაწვდომი. ზოგიერთ მუზეუმში კი დაწესებული იყო დათვალიერების კონკრეტული დღე და საათი.

XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე მუზეუმის დანიშნულება თითქმის უცვლელი დარჩა. დამთვალიერებელთა ძირითადი ნაწილი არისტოკრატიის ფენას მიეკუთვნებოდა. ამას დადებითი მხარეც ჰქონდა. პრაქტიკაში დამკვიდრდა კერძო კოლექციების მუზეუმებისათვის გადაცემა. მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმს XIX საუკუნის დასაწყისში გადაეცა ანტიკური რომაული და ბერძნული ლარნაკები. 1814-1815 წლებში დიდი ბრიტანეთის პარლამენტმა დამატებითი სახსრები გამოყო მუზეუმის ფონდების შესავსებად.

1823-1847 წლებში მუზეუმისათვის აიგო სპეციალური შენობა არქიტექტორ რ. სმირკის პროექტით.

1.3.1. დიდი ბრიტანეთი

მსოფლიოში ერთ-ერთ უძველეს მუზეუმად მიჩნეულია ოქსფორდის უნივერსიტეტთან არსებული **აშმოლის მუზეუმი.** მუზეუმის პირველი შენობა აიგო 1679-1683 წლებში (თანამედროვე შენობა კლასიცისტურ სტილში აიგო 1841-1845 წლებში. არქიტექტორი ჩ.რ. კოკერელი). მუზეუმს სახელი დაერქვა კოლექციონერ აშმოლის (1617-1692) პატივსაცემად. მუზეუმი გაიხსნა 1683 წელს. 150 წლის მანძილზე აშმოლის მუზეუმი წარმოადგენდა ოქსფორდის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა უძლიერეს ბაზას. XIX საუკუნეში მუზეუმის კოლექციები გადანაწილდა უნივერსიტეტის სამ ახალ მუზეუმში. აშმოლის მუზეუმის პროფილი შეიცვალა და იგი გახდა არქეოლოგიისა და ხელოვნების მუზეუმი.

აშმოლის მუზეუმი. დიდი ბრიტანეთი

აშმოლის მუზეუმში დაცულია ძველი ეგვიპტისა და მინოსის ხელოვნების იშვიათი ძეგლები, აღორძინების ეპოქის ცნობილი მხატვრების (მიქელანჯელო, რაფაელი, ლეონარდო და ვინჩი) სახვითი ხელოვნების ნიმუშები. სურათების გალერეაში წარმოდგენილია ჯორჯონეს, რუბენსის, რემბრანდტის, ლორენის, რენუარის, პიკასოს, სეზანის (1999 წელს საახალწლო საღამოზე მძარცველებმა მოახერხეს მოეპარათ სეზანის ნახატი, რომელიც აქამდე ვერ იპოვეს) და სხვ. ნამუშევრები. მუზეუმი ასევე ფლობს უძველესი მონეტებისა და შუასაუკუნეების საბრძოლო იარაღების უმდიდრეს კოლექციებს.

1998 წლიდან მუშაობს ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლის მუზეუმისა და ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის ფიჭვნარის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც ახალი აღმოჩენებით გაამდიდრა ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმის საგანძური.

ბრიტანეთის მუზეუმი (არსებობს 1753 წლიდან, დამთვალიერებლებისათვის გაიხსნა 1759 წელს) მუშაობდა ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს 10 საათიდან 16 საათამდე. სადღესაწაულო და უქმე დღეებში მუზეუმი დაკეტილი იყო. პირველ დღეებში მუზეუმში შესვლა შეეძლო 60-მდე დამთვალიერებელს. 1808 წლიდან დამთვალიერებელთა რიცხვი ორჯერ გაიზარდა. მაშინ დამთვალიერე-

ბელთა რაოდენობა ნორმირებული იყო – ჯგუფში 15 კაცი. 1879 წლიდან დაიწყო დამთვალიერებელთა ყოველდღიური მიღება.

ბრიტანეთის მუზეუმი

ბრიტანეთის მუზეუმის დაარსებას საფუძვლად დაედო ცნობილი ინგლისელი ექიმის ჰანს სლოანის იშვიათი წიგნებისა დ ძველი ნივთების მდიდარი კოლექცია. სულ მალე მუზეუმს შეემატა რობერტ კოტონის მდიდარი კოლექცია. მუზეუმის ფონდები თანდათანობით შეივსო ახალი შემოწირულობებით და შეძენილი კოლექციებით. 1782 წელს მუზეუმმა შეიძინა უილიამ ჰამილტონის ბერძნული ვაზებისა და სხვა სიძველეების შემცველი კოლექცია.

ნელსონის მიერ ნილოსზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ალექსანდრიის საზავო ხელშეკრულებით, ბრიტანეთის მუზემში გადავიდა ეგვიპტური სკულპტურის მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, ე.წ. როზეტის ქვა (1799 წლის 15 ივლისს ფრანგული არმიის კაპიტანმა პიერ–ფრანსუა ბუშარმა აღმოაჩინა მდინარე ნილოსის დელტაში მდებარე ქალაქ როზეტის (თანამედროვე ქ. რაშიდი) მახლობლად სენ–ჟულიენის ფორტის მშენებლობისას. იდენტური შინაარსის ორენოვანი ტექსტით – ეგვიპტურ და ძველ ბერძნულ ენებზე. ოფიცერმა გაიაზრა აღმოჩენის მნიშვნელობა და ქვა სასწრაფოდ გადაგზავნა ქალაქ ქაიროში, სადაც წლით ადრე ნაპოლეონის ბრძანებით დაარსდა ეგვიპტის ინსტიტუტი. 1801 წელს ფრანგულ ჯარს ეგვიპტის დატოვება მოუხდა და როზეტის ქვა სხვა მნიშვნელოვან განძთან ერთად ინგლისელთა ხელში აღმოჩნდა. 1802 წლიდან როზეტის ქვა გამოფენილია ბრიტანეთის მუზეუმში. წარწერის გაშიფვრას

უშედეგოდ ეცადნენ ფრანგი აღმოსავლეთმცოდნე სილვესტრ დე სასი, შვედი დიპლომატი ოკერბლადი და ინგლისელი ბუნებისმეტყველი თომას იუნგი. როზეტის ქვის აღმოჩენამ 1822 წელს ჟან–ფრანსუა შამპოლიონს შესაძლებლობა მისცა იდენტური ძველბერძნულენოვანი ტექსტის გამოყენებით დაედგინა ეგვიპტური იეროგლიფების მნიშვნელობები. მეცნიერმა წარწერის გაშიფვრის შედეგად სათავე დაუდო ძველეგვიპტური ისტორიის შესწავლის ახალ ეტაპს. ქვის ტექსტი წარმოადგენს სამადლობელო წარწერას, რომელიც ძვ. წ. 196 წელს ეგვიპტელმა ქურუმებმა მიუძღვნეს პტოლომეუსების დინასტიის მორიგ მონარქს პტოლომეუს V-ს. მხოლოდ ერთხელ, 1917 წელს პირველი მსოფლიო ომის ბოლოს, ლონდონის დაბომბვის გამო მუზეუმმა იგი დროებით სხვა მნიშვნელოვან განძთან ერთად საიმედო ადგილას გადაიტანა. მომდევნო ორი წელი ქვა მინისქვეშა მეტროსადგურში ინახებოდა.

1797 წელს, მეფე გიორგი II-ის ბრძანებით მუზეუმს გადაეცა უმდიდრესი სამეფო ბიბლიოთეკა (მუზეუმის ბიბლიოთეკაში ინახება 7 მილიონზე მეტი წიგნი). 1816 წელს ათენის პართენონის ფრიზები გადატანილ იქნა საბერძნეთიდან ლონდონში, ბრიტანეთის მუზეუმში.

ბრიტანეთის მუზეუმი თავიდანვე წარმოადგენდა კომპლექსური სამუზეუმო პროფილის დაწესებულებას. 1880-1883 წლებში ბუნების ისტორიის ამსახველი კოლექციები გადატანილ იქნა საუთ კენსინგტონში და შეიქმნა ახალი მუზეუმი.

ბრიტანეთის მუზეუმში დაცულია არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური, ხელოვნების, ხელნაწერების უმდიდრესი კოლექციები წინაისტორიული პერიოდიდან. ფონდები განაწილებულია 13 განყოფილებაში: ეგვიპტური სიძველეები; დასავლეთ აზიის სიძველეები; ნუმიზმატიკა; ეთნოგრაფია; ბერძნული და რომაული სიძველეები; ხელნაწერები; შუა საუკუნეების და გვიანი ეპოქის სიძველეები; აღმოსავლეთის სიძველეები; გრავიურა და მხატვრობა; ნაბეჭდი წიგნები და ხელნაწერები; წინაისტორიული და რომანულ-ბრიტანული სიძველეები; გრავიურა და მხატვრობა; ნაბეჭდი წიგნები; კვლევითი ლაბორატორია.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმის კოლექციები თავდაპირველად განთავსებული იყო მონტეგი ჰაუზში, რომელიც იდგა მუზეუმის ამჟამინდელ ადგილას. 1845 წელს ძველი შენობა დაინგრა და აიგო ახალი შენობა რობერტ სმირკის პროექტით. მუზეუმის საერთო ფართი შეადგენს 60 ათას კვ.მეტრს, ექსპოზიციებს უკავია 15 ათა-

სი კვ.მ. მუზეუმს ემსახურება 2 ათასამდე კაცი.

ევროპის (ვენა, პარიზი, მადრიდი, ამსტერდამი, ბერლინი) გალერეებისაგან განსხვავებით **ლონდონის ნაციონალური გალერეა** გვიან გაიხსნა, კერძოდ, 1808 წელს. გალერეას საფუძვლად დაედო კერძო კოლექციონერების – ჯორჯ ბეიმონტისა და ჯონ ენგერსტაინის კოლექციები. გალერეისთვის აიგო ახალი შენობა, რომელიც გაიხსნა 1838 წელს. გალერეის კოლექციები განთავსებულია 50-ზე მეტ დარბაზში.

გალერეის ექსპოზიციაშია: რაფაელის, მიქელანჯელოს, ტიციანის, ლეონარდო და ვინჩის, დუჩოს, მაზაჩოს, უჩელოს, ბოტიჩელის, პიერო დელა ფრანჩესკას, სასეტას, ჯოვანი ბელინის, ნიდერლანდების, გერმანიის, ჰოლანდიის, ესპანეთის, საფრანგეთის და სხვ. ცნობილ მხატვართა ნამუშევრები.

გალერეაში დაცულია ლეონარდო და ვინჩის 2 ნამუშევარი: „მადონა მღვიმეში“ და „ღვთისმშობელი, წმინდა ანა, ქრისტე და იოანე ნათლისმცემელი“. პირველი, ლუვრში დაცული ნამუშევრის რამდენადმე შეცვლილი გამეორებაა. რაც შეეხება მეორე ნახატს, იგი მუზეუმში განთავსდა 1962 წელს. 1779 წლიდან ეს ნამუშევარი ეკუთვნოდა სამეფო სამხატვრო აკადემიას. ფინანსური სიდუხჭირის გამო აკადემიამ გადაწყვიტა ნახატის გაყიდვა. ლონდონის საზოგადოებამ, ნახატის საზღვარგარეთ გაყიდვის შიშით, ფინანსური დახმარება აღმოუჩინა ნაციონალურ გალერეას და შეისყიდა ნახატი გალერეისათვის.

ლონდონის ნაციონალური გალერეა

ლონდონის **ტეიტის გალერეაში** (გაერთიანებული სამეფოს ბრიტანული და თანამედროვე ხელოვნების ეროვნული მუზეუმი), ეროვნული გალერეისაგან განსხვავებით, უფრო გვიანდელი ეპოქის – XIX-XX საუკუნეების იმპრესიონისტების, პოსტიმპრესიონისტების, კუბიზმის წარმომადგენლების ნამუშევრებია წარმოდგენილი.

გალერეა დაფუძნდა 1897 წელს როგორც "ბრიტანული ხელოვნების ეროვნული გალერეა". როდესაც მისი როლი შეიცვალა მასში თანამედროვე ხელოვნების ნიმუშების კოლექციის დამატებით, მას "ტეიტის გალერეა" დაარქვეს ჰენრი ტეიტის პატივსაცემად, რომელმაც მუზეუმის კოლექციას დაუდო დასაბამი. ტეიტის გალერეას ბინა მილბანკში (ლონდონი) ჰქონდა.

ტეიტის ძველი შენობა, რომელშიც ამჟამად ტეიტ ბრიტანეთია განთავსებული

2000 წელს ტეიტის გალერეის კოლექცია ოთხ ნაწილად გაიყო: ტეიტ ბრიტანეთი (რომელიც მუზეუმის თავდაპირველ შენობაშია, გაიხსნა 1879 წელს), ბრიტანული ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი 1500 წლიდან დღემდე; ტეიტ მოდერნი ასევე ლონდონშია და მასში ტეიტის ბრიტანული და საერთაშორისო თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებია 1900 წლიდან დღემდე. ტეიტ ლივერპულს იგივე დანიშნულება აქვს, რაც ტეიტ მოდერნს, თუმცა ის გაცილებით მცირეა. ტეიტ სენტ აივზში კი ადგილობრივ ხელოვანთა თანამედროვე ხელოვნების ნიმუშებია. ტეიტის ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული პროექტი ყოველწლიური ტერნერის პრემიაა, რომელიც ტეიტ ბრიტანეთში იმართება.

ტეიტ მოდერნი (Tate Modern) თანამედროვე ხელოვნების ბრიტანეთის ახალი ეროვნული მუზეუმია ლონდონში, მდ. თემზის პირას, წმ. პავლეს კათედრალის მოპირდაპირედ. ტეიტ ბრიტანეთის, ტეიტ ლივერპულისა და ტეიტ სენტ-აივსის მუზეუმებთან ერთად იგი ტეიტ გალერეის ნაწილია.

ტეიტ მოდერნი ათასწლეულის ხიდიდან

მუზეუმი განთავსებულია ყოფილი სანაპირო ელექტროსადგურის შენობაში, რომლის პროექტი თავდაპირველად სერ გაილს გილბერტ სკოტმა შექმნა ორ ეტაპად 1947 და 1963 წლებში. ელექტროსადგური 1981 წელს დაიხურა. შენობის რეკონსტრუქცია არქიტექტურულმა ფირმამ "ჰერცოგ დე მიურონ" მოახდინა. მთავარი კოშკის სიმაღლე 99 მეტრია. 2000 წლის 12 მაისს, გახსნის დღიდან ეს მუზეუმი ლონდონელთა და მის სტუმართა ყველაზე პოპულარული ადგილი გახდა. მუდმივმოქმედ გამოფენებზე შესვლა უფასოა.

2005 წელს გალერეამ გაფართოების მშენებლობა დაიწყო, რომელიც 2012 წლისთვის დასრულდა. ეს მშენებლობაც "ჰერცოგ დე მიურონ"-ის დაპროექტებულია.

გალერეები მოთავსებულია შენობის მესამე, მეოთხე და მეხუთე სართულებზე. თემატურად გაშლილი გამოფენები მოთავსებულია მესამე და მეხუთე სართულებზე, ხოლო დროებითი ან სპეციალური გამოფენები ეწყობა მეოთხე სართულზე. შენობის მთავარი ჰოლიც, რომელშიც ადრე ელექტროსადგურის ტურბინა მდებარეობდა, დროებით გამოფენებს ეთმობა ხოლმე.

დეკორატიული ხელოვნების მრავალპროფილიან მუზეუმს წარმოადგენს ლონდონის **ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი** – დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებისა და დიზაინის უმსხვილესი მუზეუმი მსოფლიოში, რომელიც მდებარეობს სამხრეთ კენსინგტონში (ლონდონის დასავლეთით).



ვიქტორიისა და ალბერტის მუზეუმის მთავარი ფასადი

მუზეუმი თავდაპირველად დაარსდა, როგორც სამხრეთ კენსინგტონის მუზეუმი, 1851 წლის დიდი გამოფენის წარმატებით ჩატარების შემდეგ, ბუნების ისტორიის მუზეუმის, როიალ ალბერტ ჰოლის, ალბერტის მემორიალისა და მეცნიერების მუზეუმთან ერთად. ერთობლიობაში ისინი ქმნიან კულტურულ დაწესებულებათა კომპლექსს, რომელიც ცნობილია სახელით ალბერტპოლისი. პირველი ხელმძღვანელი იყო სერ ჰენრი კოული, რომელიც ასევე ორგანიზატორი იყო დიდი გამოფენის და, რომელმაც მუზეუმის კოლექციისთვის რამდენიმე ობიექტი ამ გამოფენაზე შეიძინა.

წლების განმავლობაში მუზეუმმა მრავალი მნიშვნელოვანი ნივთი შემატა საკუთარ კოლექციას. თავდაპირველად მუზეუმში გამოფენილი იყო ხელოვნებისა და მეცნიერების ექსპონატები, რათა მნახველი ამ დარგებში მიღწევების ნიმუშებით დაეინტერესებინა. ამ პერიოდში ითვლებოდა, რომ ეს მომხმარებელთა, მწარმოე-

ბელთა და დიზაინერთა გემოვნებას გააუმჯობესებდა, რაც ზოგადად კულტურასა და ეკონომიკასაც აამაღლებდა.

მუზეუმისათვის აიგო ხისა და რკინის კონსტრუქციის შენობა. მუზეუმი გაიხსნა 1857 წელს „საუთ კენსინგტონის მუზეუმის“ სახელით დედოფალ ვიქტორიას თაოსნობით. 1899 წელს საფუძველი ჩაეყარა მუზეუმის ახალ შენობას და დედოფლის პატივსაცემად ეწოდა მისი სახელი. მუზეუმი მდებარეობს კრომველის ქუჩაზე, ბუნების ისტორიის მუზეუმთან ახლოს.

აქ გამოფენილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმში წარმოდგენილია ხელოვნების სხვადასხვა დარგი: სკულპტურა, კერამიკა, მინა, ლითონი, ფერწერა, გრაფიკა და სხვ. მათ შორის, უნდა აღინიშნოს დონატელოს („ქრისტე საფლავში“, „ქრისტე აძლევს გასაღებს წმინდა პეტრეს“), მიქელანჯელოს („კუპიდონი“), რაფაელის („პავლეს ქადაგება ათენში“, „ანანიას სიკვდილი“, „პავლე და ბარნაბა ლისტრაში“) და სხვ. სკულპტურული ნამუშევრების ძირითადი ნაწილი რენესანსის პერიოდს მიეკუთვნება. მუზეუმის ექსპოზიციაშია ევროპული და აღმოსავლური ავეჯი, ხალიჩები და გობელენები, ჭურჭელი და საბრძოლო იარაღები, რომლებიც ექსპონირებულია საცხოვრებელ ინტერიერებში.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმებს შორის ცნობილია **ლონდონის ტაუერი** (ნიშნავს კოშკს, სიმაგრეს), რომელიც ძველ, ისტორიულ ადგილას მდებარეობს. მის უძველეს ნაწილს წარმოადგენს რომანული „თეთრი კოშკი“, რომელიც აშენებულია XI საუკუნეში.

ლონდონის ტაუერი

ტაუერში იყო განთავსებული ერთ-ერთი სამეფო რეზიდენცია (XVII საუკუნემდე). 1820 წლამდე აქვე მდებარეობდა სამეფო საპყრობილე. 1820 წლიდან ტაუერში არსენალი განლაგდა და ამავე დროს, სამუზეუმო ფუნქციაც მიენიჭა.

აქ ორი მუზეუმია განთავსებული: საბრძოლო იარაღების და სამეფო ძვირფასეულობის. იარაღების მუზეუმი ძველ სამეფო დარბაზებშია განლაგებული, რაც ხელს უწყობს ექსპონატების გარემოსთან შეხამებას. ძირითადად წარმოდგენილია იარაღები ძველი ისრისპირებიდან და შუბებიდან დაწყებული რაინდების მძიმე აღჭურვილობით დამთავრებული. სამეფო საგანძური (სამეფო რეგალიები და ჭურჭელი) მუზეუმის ორ სართულზეა განთავსებული (ინგლისის სამეფო რეგალიის ისტორია იწყება 1042 წლიდან, როცა ედუარდ აღმსარებელი ეკურთხა მეფედ). ტაუერში დაცული სამეფო განძეულობა დამზადებულია 1661 წლის შემდეგ, რადგან მანამ არსებული განადგურდა სამოქალაქო ომის დროს, პარლამენტის გადაწყვეტილებით, სამეფო კარისადმი სიძულვილის გამო. ადრეულია მხოლოდ სამი ნივთი.

ინგლისში დიდი პოპულარობით საგებლობს **მადამ ტიუსოს ცვილის ფიგურების მუზეუმი**. იგი სრულიად განსხვავებული პროფილის სამუზეუმო დაწესებულებას წარმოადგენს. მუზეუმს ფილიალები აქვს გახსნილი მსოფლიოს 14 ქალაქში. ასეთი სახის მუზეუმები დღეს ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირებს (ცვილის მუზეუმი ბათუმში გაიხსნა 2013 წელს, მაგრამ, ჯერჯერობით, დამთვალიერებლებისათვის დახურულია). მადამ ტიუსოს მუზეუმის პოპულარობაზე მეტყველებს ისიც, რომ ბრიტანეთის მუზეუმის შემდეგ ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავს.

მადამ ტიუსოს მუზეუმი

მადამ ტიუსო (ქორწინებამდე მერი გროსჰოლცის) დაიბადა 1761 წელს, სტრასბურგში. დედამისი მუშაობდა ექიმ ფილიპ კარტიესთან, რომელმაც ექიმის პროფესიას თავი დაანება და ხელი მიჰყო სანთლის ფიგურების დამზადებას. მერი გროსჰოლცის ბავშვობიდანვე ეხმარებოდა ფ. კარტიეს სანთლის ფიგურების დამზადებაში. პარიზში ფ. კარტიე დაუახლოვდა რევოლუციონერებს, მონაწილეობდა ბასტილიის აღებაში. მერი გროსჰოლცის რევოლუციის დროს ძერწავდა მარატის და რობესპიერის ფიგურებს. ნიღბები აიღო თავმოკვეთილი ლუდოვიკო XVI და მარია ანტუანეტას სახეებიდან. ფ. კარტიეს გარდაცვალების შემდეგ სალონი დარჩა მერი გროსჰოლცს. ის დაქორწინდა ინჟინერ ფრანსუა ტიუსოზე და მიიღო მეუღლის გვარი.

ხელისუფლებაში ნაპოლეონის მოსვლის შემდეგ, პოლიტიკური ვითარების გართულების გამო, მერი გროსჰოლცის-ტიუსო იძულებული გახდა 1802 წელს საცოვრებლად გადასულიყო ინგლისში. თან ჩაიტანა სალონის უმთავრესი ნამუშევრები. გამოფენებს მართავდა ინგლისის ქალაქებში. 1835 წელს მისმა მუზეუმმა ბინა დაიდო ლონდონში. მუზეუმს სამი სართული უკავია. ექსპოზიციის დათვალიერება იწყება მესამე სართულიდან. ექსპონატები ზუსტად ასახავენ პიროვნების გარეგნობას.

მუზეუმის ქვედა სართული უჭირავს თემატურ ექსპოზიციას „საშინელებათა პალატა“. აქ არის წარმოდგენილი ადამიანის დასჯის ყველა საშუალება და სცენები (გილიოტინა თავმოკვეთილი სხეულით, სახრჩობელა, ჯურღმული ვირთხებით და მსჯავრდებულით, ელექტრო სკამი და სხვა მრავალი). აქ მარტოდმარტო შესვლა, როგორც ამბობენ, მუზეუმის მომსახურე პერსონალსაც ეშინია.

ცვილის ფიგურების შესაქმნელად მუზეუმში სპეციალური სახელოსნოა გახსნილი.

1.3.2. საფრანგეთი

ფართო საზოგადოებისათვის მუზეუმების გახსნა იწყება განმანათლებლობის იდეის გავლენით. განმანათლებლები იყვნენ პირველნი, რომლებიც აღნიშნავდნენ მუზეუმის როლს, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების, რომელსაც შეუძლია საზოგა-

დოებას მიაწოდოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. საფრანგეთის რევოლუციამ, რომელიც განმანათებლობის ლოზუნგით დაიწყო, პირველად მოახდინა სამეფო კარის ქონების ნაციონალიზაცია. სამუზეუმო ქონება გახდა საჯარო და ყველა დაინტერესებული პირისათვის დასათვალიერებლად ხელმისაწვდომი.

ლუვრის სამეფო სასახლის ნაწილი საზოგადოებისთვის პირველად გაიხსნა 1793 წლის 8 ნოემბერს, საფრანგეთის რევოლუციის დროს. იგი ჯერ მხატვრული ტილოების საცავი იყო, ხოლო 1793 წლიდან კონვენტის დეკრეტით ეროვნულ სამხატვრო მუზეუმად იქცა.

ლუვრი XII საუკუნის დასაწყისში აიგო მეფე ფილიპე ავგუსტის მითითებით, როგორც ციხესიმაგრე. XIV საუკუნის ბოლოს რ. დეტემპლემ გადააკეთა და აქედან მოყოლებული, ლუვრი მეფეთა რეზიდენციად იქცა. 1546 წელს იგი დაინგრა და მის ადგილას ფრანგმა არქიტექტორმა პიერ ლესკომ (1510-1574) ააგო სასახლე – აღორძინების ხანის შესანიშნავი ძეგლი. სკულპტურული დეკორი შეასრულა მოქანდაკე ჟან გუჟონმა. მომდევნო საუკუნეებში (1600 წლიდან 1868 წლამდე) დაემატა ცალკეული კორპუსები და ფასადები. XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან ლუვრი მეფეთა რეზიდენცია აღარაა. იგი ჯერ მხატვრული ტილოების საცავი იყო, ხოლო 1793 წლიდან კონვერტის დეკრეტით ეროვნულ სამხატვრო მუზეუმად იქცა.

ლუვრი ამჟამად მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმია. კოლექციების ძირითადი ნაწილი გამოტანილია პირველ-მესამე სართულებზე, კვადრატული ეზოს ირგვლივ და გალერეებში. მიუხედავად იმისა, რომ ექსპოზიციებს შენობის დიდი ნაწილი უკავია, კოლექციების უმრავლესობა ფონდსაცავებშია დაცული.

ლუვრში 6 განყოფილებაა: აღმოსავლეთის, ეგვიპტური სიძველეების, საბერძნეთისა და რომის, მხატვრობის, სკულპტურისა და გამოყენებითი ხელოვნების. ექსპოზიცია განლაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მხატვრული მიმდინარეობისა და სკოლის გათვალისწინებით.

აღმოსავლეთის განყოფილება შეიქმნა 1881 წელს. მისი ჩამოყალიბება დაკავშირებული იყო შუამდინარეთში, ირანში და ხმელთაშუაზღვისპირეთში ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული უძველესი ნივთების მუზეუმში განთავსებასთან. ეს ნივთები მიეკუთვნება ძვ.წ.აღ. IV ათასწლეულიდან დაწყებული ახ.წ.აღ. IV საუკუნემდე პერიოდს. ამჟამად ისინი გამოფენილია მუზეუმის 24 დარბაზში. ექსპონატებს შორისაა შავ ბაზალტზე

ამოჭრილი მეფე ჰამურაბის კანონთა კრებული (ძვ.წ. XVIII ს.), რომელშიც შესულია 282 კანონი. აქემენიდური ირანის ეპოქიდან მუზეუმში წარმოდგენილია ქ. სუზის სასახლის 6 მ. სიმაღლის მარმარილოს სვეტის ზედა ნაწილი, სუზის ფერადი მოჭიქული აგურით გამოყვანილი ფრიზი, რომელზედაც გამოსახული არიან დარიოსის მცველი შუბოსნები, ასურეთის მეფეთა სასახლის მცველების – ფრთოსანი ხარების ქანდაკებები (ძვ.წ. აღ. VIII-VII სს.).

ლუვრი. პარიზი

უძველესი ეგვიპტური ცივილიზაციისადმი ინტერესი საფრანგეთში გაძლერდა ეგვიპტეში ნაპოლეონის მიერ განხორციელებული სამხედრო ექსპედიციის შემდეგ. 1826 წელს შეიქმნა სპეციალური მუზეუმი – „ეგვიპტური მუზეუმი“, რომლის პირველ მცველად დაინიშნა ეგვიპტური იეროგლიფების ამომცნობი ჟან-ფრანსუა შამპოლიონი (ფრანგი ეგვიპტოლოგი და ენათმეცნიერი, ეგვიპტოლოგიის დამაარსებელი. როზეტის ქვაზე ორენოვანი წარწერის შესწავლის შემდეგ შეიმუშავა ძველეგვიპტური იეროგლიფების გაშიფვრის ძირითადი პრინციპები. არის ძველეგვიპტური ენის გრამატიკის პირველი სახელმძღვანელოს ავტორი).

ამავე პერიოდში ლუვრის მუზეუმში გაიხსნა აღმოსავლეთის სექცია, რომელიც 1881 წელს გადაკეთდა განყოფილებად. აქ წარმოდგენილია ძველი ეგვიპტის კულტურის არაერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი: სარკოფაგები, ძველეგვიპტური „მასტაბა“, სკულპტურები, სამეურნეო და საბრძოლო იარაღები, მუსიკალური ინსტრუმენტები, პაპირუსის ნიმუშები, რომაული და ბიზანტიური პერიოდის ხელოვნების ნიმუშები და სხვ.

1800 წლიდან არსებობს ლუვრის ანტიკური განყოფილება,

რომელსაც ადრე მუზეუმს უწოდებდნენ. აქ დაცულია ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ცივილიზაციების ხელოვნების ნიმუშები. მათ შორის, ნიკეს ქანდაკება (ძვ.წ. აღ. III-II სს.), პართენონის ტაძრის ფრიზის ნაწილი, რომელზედაც გამოსახულია ქალიშვილების პროცესია, რომლებსაც მიაქვთ ქალღმერთისათვის საჩუქრები, კნიდოსელი აფროდიტეს ტორსი (აფროდიტა არლელი), რომელიც ლუდოვიკო XIV-ს მიუღია ძღვნად ქალაქ არლისაგან, აფროდიტე (ვენერა) მილოსელი. რომაული ეპოქის ექსპოზიცია წარმოდგენილია ფრესკული მხატვრობითა და მოზაიკით, ფაიუმის პორტრეტების (ეგვიპტე I-IV სს.) მდიდარი კოლექციები, კერამიკის, მინის, ლითონის ნაკეთობანი და სხვ.

ლუვრის მუზეუმის ექსპოზიციის დიდი ნაწილი ეთმობა სკულპტურის ნიმუშებს. აქ წარმოდგენილია ცნობილი ფრანგი სკულპტორების მიშელ კოლომბის, პიერ ბონტანის, ჟან გუჟონის, ჟერმენ პილონის, ჟან ანტუან ჰუდონის და სხვ. ნამუშევრები.

ლუვრი

ლუვრის ექსპოზიციაში ფრანგი მხატვრების შემდეგ ყველაზე მეტად წარმოდგენილია იტალიის ხელოვნების ნიმუშები. საფრან-

გეთის მეფეები და არისტოკრატია დაინტერესებული იყვნენ იტალიური ხელოვნებით და თანხებს არ იშურებდნენ ცნობილი შედევრების შესაძენად და სახელოვანი იტალიელი მხატვრების მოსაწვევად. იტალიური ხელოვნების ძეგლების მნიშვნელოვანი ნაწილის ლუვრში გადმოტანა დაკავშირებულია ნაპოლეონის სახელთან. სამშვიდობო ხელშეკრულებით მან ხელში ჩაიგდო იტალიური შედევრები და გაამდიდრა ლუვრის კოლექციები. მართალია, მოგვიანებით იტალიური კოლექციის ნაწილი დაუბრუნდა იტალიას, მაგრამ ნაწილი დარჩა ლუვრში.

ლუვრში განსაკუთრებული ადგილი უკავია აღორძინების ეპოქის უდიდეს ხელოვანსა და მოაზროვნეს მიქელანჯელოს. ლუვრი იტალიის მუზეუმების შემდეგ ერთადერთია, სადაც ასე მრავლად არის წარმოდგენილი დიდი ფლორენციელი შემოქმედის ნამუშევრები. ექსპოზიციის ამ ნაწილში წარმოდგენილია ლეონარდო და ვინჩის, რაფაელის, ტიციანის, ჯორჯონეს, კორეჯოს და სხვ. ნამუშევრები.

ლეონარდო და ვინჩის ნამუშევრებიდან ლუვრში განსაკუთრებული ადგილი უკავია და მრავალი დამთვალიერებელი ჰყავს „ჯოკონდას“ (იგი 1200 ლივრად შეიძინა ფრანცის I-მა. ამჟამად შეფასებულია რამდენიმე ათეულ მილიარდ ფრანკად).

პარიზის ერთ-ერთი ძველი მუზეუმია **კლიუნის მუზეუმი**, რომელიც გაიხსნა 1844 წელს, ყოფილი ძველი რომაული აბანოს შენობაში. XIV საუკუნეში ბურგუნდიელ აბატებს ეს შენობა გადაუკეთებიათ სასტუმროდ. კლიუნის მუზეუმი ითვლება შუასაუკუნეების ფრანგული ეროვნული კულტურის მუზეუმად. კოლექციებში უფრო მეტად წარმოდგენილია საეკლესიო ნივთები. განსაკუთრებით აღსანიშნავია სპილოს ძვლის, ლითონის, მოჭიქული კერამიკის, გობელენების მაღალმხატვრული ნაკეთობანი.

კლიუნის მუზეუმში დაცულია ქვის ქანდაკებები, რომლებიც ერთ დროს პარიზის ღირსშესანიშნაობას წარმოადგენდა. 1793 წელს, პარიზის რევოლუციის დროს დაიწყო ნოტრ-დამის ქანდაკებების განადგურება, რომელსაც მიიჩნევდნენ საფრანგეთის სამეფო ხელისუფლების სიმბოლოებად. ნოტრ-დამიდან ჩამოყრილი და დამტვრეული ქანდაკებების ნაწილები ორი წელი უპატრონოდ ეყარა ეკლესიის წინ. 1796 წელს ქანდაკებების ნაშთები გაიყიდა როგორც სამშენებლო მასალა. 1977 წელს, პარიზის XVIII ს. ერთ-ერთი სახლის რესტავრაციის დროს აღმოჩნდა ნოტრ-დამის ქანდაკებე-

ბის 364 ფრაგმენტი. სპეციალისტებმა შემორჩენილი ნაშთების მიხედვით აღადგინეს წმინდა პეტრეს, პავლეს, ბიბლიური მეფე-დავითის ქანდაკებები, ასევე რამდენიმე მეფის, ანგელოზის, მოგვის ქანდაკებების თავები.

ფრანგული ხელოვნების ნიმუშებია წარმოდგენილი **ორსეს მუზეუმში**. იგი მდებარეობს პარიზში, მდინარე სენის მარცხენა სანაპიროზე. მუზეუმში ძირითადად მოთავსებულია 1848 – 1914 წლების ფერწერული ტილოები, სკულპტურები, ავეჯი, სხვა ხელოვნების ნიმუშები და ფოტოები. მუზეუმს იმპრესიონისტთა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კოლექცია გააჩნია.



ორსეს მუზეუმის მთავარი ჰოლი

გრან პალე მდებარეობს პარიზში, მე-8 ოლქში, შანზ-ელიზეს განაპირას. „ხელოვნების დიდი დარბაზი“ აიგო 1897 წელს ფართო, მაგრამ არაკომფორტული ინდუსტრიის სასახლის ადგილას. იგი გამიზნული იყო 1900 წლის 15 აპრილიდან 12 ნოემბრამდე ჩატარებული მსოფლიო უნივერსალური ექსპოზიციისთვის. შენობის ერთ-ერთ ფრონტონზე არსებული წარწერა გვამცნობს, რომ ამ ძეგლს რესპუბლიკა უძღვნის ფრანგული ხელოვნების სიდიადეს. თავიდან იგი განკუთვნილი იყო დედაქალაქში გამართული დიდი ოფიციალური მანიფესტაციებისთვის.

გრან პალე

1975 წელს შენობა მიჩნეულ იქნა ისტორიულ მონუმენტად, 2000 წელს კი მთლიანად შენობა ჩაითვალა ისტორიულ ძეგლად. მისი ფართობია 40 ათასი კვ.მ. მუდმივი დარბაზების გარდა მუზეუმში ეწყობა დროებითი გამოფენები.

დიდი და მცირე სასახლის ერთობლივი ხედი ეიფელის კოშკიდან

„ხელოვნების დიდი დარბაზი“ აიგო 1897 წელს ფართო, მაგრამ არაკომფორტული ინდუსტრიის სასახლის ადგილას. იგი გამიზნული იყო მსოფლიო უნივერსალური ექსპოზიციისთვის, რომელიც ჩატარდა 1900 წლის 15 აპრილიდან 12 ნოემბრამდე. შენობის ერთ-ერთ ფრონტონზე არსებული წარწერა გვამცნობს, რომ ამ

ძეგლს რესპუბლიკა უძღვნის ფრანგული ხელოვნების სიდიადეს. თავიდან იგი განკუთვნილი იყო დედაქალაქში გამართული დიდი ოფიციალური მანიფესტაციებისთვის.

ინვალიდთა სახლი არის შენობა-ნაგებობათა კომპლექსი პარიზში, რომელიც მოიცავს მუზეუმებს, მონუმენტებს და საფრანგეთის სამხედრო ისტორიის ძეგლს წარმოადგენს. ყველაზე მნიშვნელოვან შენობათა შორის არის ინვალიდთა სახლი, წმიდა ლუდოვიკოს ტაძარი და ეკლესია.

ინვალიდთა სახლის ხედი

1670 წელს საფრანგეთის მეფე ლუი XIV-მ გადაწყვიტა დაჭრილი ჯარისკაცებისთვის საავადმყოფო აეშენებინა. მშენებლობა 1671 წელს დაიწყო და 1676 წელს დასრულდა. საავადმყოფოში 4000 პაციენტი ეტეოდა. ამჟამად ინვალიდთა სახლი მუზეუმად არის ქცეული.

აქ დაკრძალულთა შორის არიან საფრანგეთის საზოგადო და სამხედრო მოღვაწეები:

ნაპოლეონ I ბონაპარტი
ჟოზეფ ბონაპარტი
ჟერომ ბონაპარტი
ნაპოლეონ II ბონაპარტი
ფერდინანდ ფოში – საფრანგეთის მარშალი
კლოდ ჟოზეფ რუჟე დე ლილი – მარსელიეზის ავტორი

სებასტიან ლე პრეტრ დე ვობანი – საფრანგეთის სამხედრო ინჟინერი და მარშალი.

წინაისტორიული ეპოქის საფრანგეთის ეროვნული მუზეუმი შეიქმნა 1918 წელს. მუზეუმი აღნიშნული ეპოქის (400 ათასი წლიდან) ერთ-ერთ უმდიდრეს კოლექციებს ფლობს. აქ წარმოდგენილია ქვისა და ძვლის ნაკეთობანი, საყოფაცხოვრებო საგნები, წინაისტორიული ხელოვნების არტეფაქტები (ხელოვნურად შექმნილი ობიექტი), ფლორისა და ფაუნის ნიმუშები.

წინაისტორიული ეპოქის საფრანგეთის ეროვნული მუზეუმი

ამ მუზეუმის ღირსება მხოლოდ ფონდების უნიკალურობასა და სიმდიდრეში არ არის, იგი ამავე დროს წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო ცენტრს წინაისტორიული ეპოქის შესასწავლად.

პარიზის არმიის მუზეუმი განთავსებულია ინვალიდების სასახლეში, რომელიც აგებულია ინვალიდი ჯარისკაცებისათვის ლუდოვიკო XIV-ის ბრძანებით. ეს მუზეუმი სიდიდით მსოფლიოში მესამეა (ვენისა და მადრიდის მუზეუმების შემდეგ) საბრძოლო იარაღების კოლექციების სიუხვითა და მრავალფეროვნებით, რომელიც ძირითადად მოიცავს ფართო ისტორიულ პერიოდს ძველი ქვის ხანიდან XIX საუკუნის ბოლომდე. კოლექციათა უმეტესობა ევროპის ქვეყნებისა და საფრანგეთის საბრძოლო იარაღებია. აქვეა წარმოდგენილი ოსმანთა იმპერიის, სპარსეთის, ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიის იარაღები, ევროპის ქვეყნების ჯარისკაცების სამ-

ხედრო ფორმები და საბრძოლო იარაღები. მუზეუმის ფონდებში დაცულია გენერალ ნაპოლეონის ფორმა, რომელსაც მხედართმთავარი ატარებდა იტალიისა და ეგვიპტის სამხედრო ექსპედიციის დროს და 6 ქუდი დღემდე შემორჩენილი 20-დან (ცნობილია, რომ ნაპოლეონი ფლობდა 170-ზე მეტ ქუდს).

2000 წელს მუზეუმს შეემატა ახალი ექსპოზიცია, რომელიც ასახავს მეორე მსოფლიო ომში საფრანგეთის მონაწილეობას და ფრანგი ხალხის განმათავისუფლებელ ომს შარლ დე გოლის მეთაურობით.

საინტერესოა **ლუქსემბურგის ბაღის** – პარიზის ხელოვნების მუზეუმის განვითარების ისტორია. ამ მუზეუმის შენობაში 1750 წლიდან ეწყობოდა „სამეფო ფერწერის“ გამოფენები, რომელმაც სათავე დაუდო მხატვრული შედევრების პირველ მუზეუმს საფრანგეთში ჯერ კიდევ ლუვრის გახსნამდე (1793 წ.).

ლუქსემბურგის ბაღის – პარიზის ხელოვნების მუზეუმი

ამ შენობაში 1818 წელს გაიხსნა თანამედროვე ხელოვნების პირველი ევროპული მუზეუმი. პირველად აქ, 1861 წელს, 23 წლის ასაკში გამოფინა თავისი ნამუშევარი („ფაუსტისა და მარგარიტას შეხვედრა“) ცნობილმა ფრანგმა მხატვარმა ჯეიმს ტისომ.

ლიონელი მრეწველის ემილ გიმეს კერძო კოლექციები დაედო საფუძვლად პარიზის **აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმს.** ემილ გიმეს თავდაპირველად განზრახული ჰქონდა აღმოსავლეთის

რელიგიების მუზეუმის შექმნა. 1865 წელს კერძო კოლექციონერმა პირველი ექსპედიცია მოაწყო საბერძნეთში და ეგვიპტეში. მოგვიანებით იგი ეწვია იაპონიას, ჩინეთსა და ინდოეთს. მის მიერ ჩამოტანილი კოლექციების გამოფენა 1879 წელს მოეწყო ლიონში, 1889 წელს – პარიზში. ჯერ კიდევ ემილ გიმეს სიცოცხლეშივე მუზეუმმა მიიღო აზიის სპეციალიზაცია. იგი ერთ-ერთი პირველი სპეციალიზირებული მუზეუმია ევროპაში, მას შემდეგ, რაც სამუზეუმო პრაქტიკაში დამკვიდრდა მუზეუმების კლასიფიკაცია.

პარიზის აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმი

1882 წელს პარიზში გაიხსნა **ინდოჩინეთის მუზეუმი**, რომელიც აერთიანებდა ლუი დელაპორტას აზიაში ექსპედიციის კოლექციებს. 1927 წელს ეს კოლექციები გადატანილ იქნა გიმეს აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმში. 1920-1930 წლებში მუზეუმმა მიიღო უმდიდრესი კოლექცია ავღანეთში საფრანგეთის არქეოლოგიური წარმომადგენლობისაგან. 1945 წელს ლუვრში განხორციელებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად ნაწილი კოლექციებისა გადაეცა გიმეს მუზეუმს.

ამჟამად გიმეს აღმოსავლეთის ხელოვნების მუზეუმის კოლექციების სტრუქტურა ასე გამოიყურება: ავღანეთისა და პაკისტანის ხელოვნება; ჰიმალაის ხელოვნება; სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხელოვნება; ცენტარლური აზიის ხელოვნება; ჩინეთის ხელოვნება; კორეის ხელოვნება; ინდოეთის ხელოვნება; იაპონიის ხელოვნება.

პტი პალეს მუზეუმი აიგო 1900 წელს უნივერსალური გამოფენისათვის არქიტექტორ შარლ-ლუი ჟიროს პროექტის მიხედვით. 1902 წლიდან იგი გახდა „პარიზის ქალაქის ხელოვნების დარბაზი“. აქ განთავსდა ხელოვნების ნიმუშების კოლექციები და ეწყობა, აგრეთვე, დროებითი გამოფენები. 2001-2005 წლებში მუზეუმი დაკეტილი იყო განახლებითი სამუშაოების გამო. იგი ხელახლა გაიხსნა 2005 წლის 10 დეკემბერს.

პტი პალე 1900 წელს

როდენის მუზეუმი (პარიზი) გაიხსნა 1919 წელს სასტუმრო ბირონსა და მის შემოგარენში. აქ გამოფენილია ფრანგი სკულპტორის ოგიუსტ როდენის ნამუშევრები.

ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ, რომ როდენმა ქანდაკებაში შემოიტანა მანამდე უცნობი ფორმის თავისუფლება. იგი ქმნის როგორც ზუსტ რეპროდუქციებს („მოაზროვნე“), ასევე ძლიერი გრძნობით აღსავსე ქანდაკებებს („კოცნა“). მისი ნაწარმოებები გამოირჩევა დახვეწილი ფორმით, მათში იგრძნობა განსაცვიფრებელი წონასწორობა უხეში მასალისგან გამომძერწილ მოდელსა და ნაწარმოებში ჩადებულ შთაგონებას შორის. მან პირველად ფართოდ შემოიტანა ქანდაკებაში ქანდაკების სიშიშვლე, რასაც იგი ადამიანის სილამაზეს უწოდებდა. როდენს არ უყვარდა ზედმეტად დაკუნთული სხეული, იგი უპირატესობას ძლიერ და ლამაზ სხეულს ანიჭებდა.

როდენმა თავისი ქანდაკებების ყალიბები საჯარო მოხმარე-

ბისთვის დატოვა, თავადვე შექმნა საკუთარი ხელმოწერის ასლებიც და ამით საშუალება მისცა სხვებს მისი სიკვდილის შემდეგაც გაეგრძელებინათ მის მიერ დაწყებული გზა.

როდენის რამდენიმე ქანდაკება, რომლებიც აშშ-ის მსოფლიო სავაჭრო ცენტრში იყო დაცული, განადგურდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის დროს.

როდენი პარიზის სასტუმრო ბირონში ცხოვრობდა 1908 წლიდან და შემდეგ მთელი საკუთარი სკულპტურების კოლექცია (ვინსენტ ვან გოგისა და პეირ-ოგიუსტ რენუარის ტილოებთან ერთად) საფრანგეთის სახელმწიფოს გადასცა იმ პირობით, რომ მთავრობა სასტუმროს შენობას მისი ნამუშევრებისადმი მიძღვნილ მუზეუმად აქცევდა. მუზეუმის კოლექცია შეიცავს როდენის ყველაზე მნიშვნელოვან ქმნილებებს, მათ შორისაა „მოაზროვნე" და „კოცნა". მის სკულპტურათა უმრავლესობა მუზეუმის ვრცელ ბაღშია გამოფენილი. მუზეუმს ასევე გააჩნია ოთახი, რომელიც კამილა კლოდელის ნამუშევრებს ეძღვნება.

პიკასოს მუზეუმი მდებარეობს სასტუმრო სალში, თორინის ქუჩაზე, მარეს უბანში (პარიზი). შენობა, რომელშიც მუზემის კოლექციაა მოთავსებული აშენებულია 1656-59 წლებში გრაფ პიერ ობერ დე ფონტენესათვის, რომელიც ე.წ. მარილის გადასახადით გამდიდრებულა (შენობის სახელი „მარილიანს" ნიშნავს). მისი არქიტექტორი ყოფილა ჟან ბულიე, ასევე ცნობილი, როგორც ჟან დე ბურგესი. შენობა მარეს უბანში ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ ისტორიულ ნაგებობად ითვლება.

შენობამ მფლობელი, გაყიდვითა და მემკვიდრეობით, რამდენჯერმე შეიცვალა. მფლობელთა შორის იყვნენ: ვენეციის რესპუბლიკის საელჩო (1671); მარშალი დე ვილრუა; რევოლუციის დროს ექსპროპრირებულ იქნა; 1851 წელს გადაკეთდა სკოლად, რომელშიც ბალზაკი სწავლობდა; ასევე მასში სახლობდა მუნიციპალური ხელოვნების მეცნიერებათა სკოლა. 1964 წელს პარიზის ქალაქის მმართველობამ შეიძინა, ხოლო 1968 წელს ისტორიული მონუმენტის სტატუსი მიენიჭა. შენობას აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარდა 1974-80 წლებში.

პიკასოს მუზეუმი. პარიზი

სასტუმრო სალი პიკასოს მუზეუმისთვის შეირჩა დიდი საზოგადოებრივი დებატების შედეგად. ინტერიერის დიზაინისთვის კონკურსი ჩატარდა, რის შედეგადაც როლან სიმონეს პროექტის მიხედვით შენობის ინტერიერი მის პირვანდელ სახეს დაუბრუნდა.

1968 წელს საფრანგეთში მიღებულ იქნა კანონი, რომელიც მემკვიდრეებს საშუალებას აძლევს მემკვიდრეობის გადასახადის ფულის ნაცვლად ხელოვნების ნიმუშებით დაფარვას. ხელოვნების ნიმუში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა იყოს, როგორც საფრანგეთის კულტურული დანატოვარი. კანონი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში დაიშვება. ეროვნული მუზეუმების კურატორმა დომინიკ ბოზომ შეარჩია იმ ნამუშევართა სია, რომელიც „დაცია“ (კანონი) შეიძლება გამხდარიყო. ეს სია რატიფიცირებულ იქნა 1979 წელს. ის შეიცავდა ყველა ტექნიკისა და პერიოდის ნამუშევრებს, და განსაკუთრებით იშვიათია სკულპტურათა ბრწყინვალე კოლექციით. ჟაკლინ პიკასოს გარდაცვალების შემდეგ (1986), მისმა ქალიშვილმა ახალი დაცია შემოიტანა. ამ კოლექციას შემდგომში კიდევ რამდენიმე ნამუშევარი დაემატა შესყიდვებისა და საჩუქრების სახით.

პიკასოს უთქვამს – „მე ვარ პიკასოს უდიდესი კოლექციონერი მსოფლიოში“. გარდაცვალებამდე (1973) მან საკუთარი ნამუშევრების (მონახაზებიდან დასრულებული ნახატების ჩათვლით) უდიდესი კოლექცია მოაგროვა. მასში ასევე შედიოდა სხვა ავტორთა მისეული კოლექცია, რომელშიც იყვნენ სეზანი, დეგა, რუსო, სერა და მატისი. ასევე იბერიული ბრინჯაო და პრიმიტიული ხე-

ლოვნების კარგი კოლექცია. მუზეუმის თვალსაჩინო ნაწილია პიკასოს ნამუშევრები, რომელიც მან მისი 70-ე წლისთავის შემდეგ შეასრულა.

მუზეუმმა დიდი შრომა გასწია მასში არსებულ ნამუშევრებზე დეტალური ინფორმაციის მოსაპოვებლად. აქვე იხილავთ პიკასოს თანამედროვე კარიკატურისტის ნამუშევრებს, რომელიც პიკასოს მუშაობის პროცესს აღწერდა 1950-იან წლებში. რამდენიმე ოთახი თემატურ პრეზენტაციებს ეთმობა, თუმცა ძირითადად მუზეუმში ნამუშევრები ქრონოლოგიურად არის მოწყობილი. ფეწერული ნამუშევრების, მონახაზების, სკულპტურებისა და ანაბეჭდების გარდა აქ არის ფოტოები, მანუსკრიპტები, საგაზეთო ამონაჭრები დამატებითი კონტექსტუალური ინფორმაციისთვის.

მეორე სართული სპეციალურ გამოფენებს ეთმობა. მესამე სართულზე ბიბლიოთეკა, ოფისი და კვლევისთვის განკუთვნილი საარქივო განყოფილებაა.

ჟორჟ პომპიდუს ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული ცენტრში განთავსებულიასაზოგადოებრივი ბიბლიოთეკა და თანამედროვე ხელოვნების ეროვნული მუზეუმი. აქ წარმოდგენილია მხატვრული მიმდინარეობები ფოვიზმი (დამახასიათებელი იყო კაშკაშა ფერები და გამარტივებული ფორმები), კუბიზმი, სიურეალიზმი და აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი. მუზეუმში 50 ათასი ხელოვნების ნიმუშია დაცული (ფერწერული ტილოები, სკულპტურები, ნახაზები და ფოტოები) და მათგან მხოლოდ 2000-მდე ნამუშევარია გამოფენილი.

პაბლო პიკასოს ნამუშევრები პომპიდუს ცენტრში

გამოფენის ნაწილი

ცენტრს სახელი ჟორჟ პომპიდუს პატივსაცემად დაერქვა, რომელიც საფრანგეთის პრეზიდენტი იყო 1969-1974 წლებში და დამთვალიერებელთათვის 1977 წლის 31 იანვარს გაიხსნა.

შენობაში განთავსებული Musée National d'Art Moderne – საფრანგეთის ეროვნული თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი მდებარეობს ცენტრის მეოთხე და მეხუთე სართულებზე. ორგანიზაციულად ის უკავშირდება აკუსტიკის/მუსიკის კვლევისა და კოორდინაციის ინსტიტუტს (IRCAM), რომელიც იქვე მდებარეობს. მუზეუმს მნიშვნელოვანი საერთაშორისო კოლექცია აქვს თანამედროვე ხელოვნების ავტორთაგან – კანდინსკი, მატისი, მირო, პიკასო და სხვ.

აღმოჩენის სასახლე (**Palais de la Découverte**), პარიზის მუზეუმი და კულტურულ-სამეცნიერო ცენტრია. მდებარეობს მე-8 ოლქში, ფრანკლინ დელანო რუზველტის გამზირზე. იგი შეიქმნა 1937 წელს ჟან პერენის მიერ ხელოვნებისა და ტექნიკის საერთაშორისო გამოფენისათვის.

აქ იმართება სამეცნიერო კონფერენციები, ექსპერიმენტების ჩვენება. სასახლეში არსებობს რამდენიმე დარგისადმი მიძღვნილი დარბაზი, ეს თემებია:

ასტრონომია და ასტროფიზიკა;

ქიმია;

მათემატიკა;

ფიზიკა;

ბუნებისმეტყველება;

არსებობს ასევე:

ფსიქოტექნიკური ტესტების დარბაზი;

მათემატიკასა და ფიზიკაში მცირე სამუშაოებისათვის განკუთვნილი ოთახები;

კიპერმეტროპოლის დარბაზი, რომელმაც ფუნქციონირება შეწყვიტა 2003 წელს.

პეტი-პალე— მუზეუმი და ხელოვნების გალერეა ავინიონში, სამხრეთ საფრანგეთში. იგი გაიხსნა 1976 წელს და აქ დაცულია ავინიონის სკოლის რენესანსის ხანის მხატვრობის განსაკუთრებული კოლექცია, ისევე როგორც ფერწერული ტილოები იტალიიდან. მუზეუმი აერთიანებს რენესანსის პირველი პერიოდის ნამუშევრებს ჯამპიერო კამპანას კოლექციიდან. პეტი-პალეს მუზეუმი მდებარეობს XIV საუკუნის შენობაში, იმ სკვერის ჩრდილოეთში, რომელსაც გადმოჰყურებს პაპის სასახლე.

პეტი-პალეს მუზეუმი

1995 წელს პეტი-პალეს მუზეუმი ავინიონის სხვა ისტორიულ ძეგლებან ერთად შეიტანეს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში.

პეტი-პალეს მუზეუმში დაცულია ადრეული რენესანსის ისეთი წარმომადგენლების ნამუშევრები, როგორებიც არიან: სანდრო ბოტიჩელი, ვიტორე კარპაჩო, კარლო კრიველი, ბენოცო გოცოლი, რაფაელინო დელ გარბო, ლორენცო მონაკო, იაკოპო დელ სელაიო, ფრანჩესკო ბოტიჩინი, ანგერან კარტონი, იოს ლიფერინკსი და სხვ.

საფრანგეთის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს **ვერსალის სასახლე-მუზეუმი**. ვერსალის სასახლე საფრანგეთის მეფეების სადღესასწაულო შენობას წარმოადგენდა ვერსალში, რომელიც პარიზის სამხრეთ-დასავლეთით, გარეუბანში მდებარეობს. სასახლის აგების პერიოდში ვერსალი პატარა სოფელი იყო. 1624 წელს ლუდოვიკო XIII-მ ბრძანა, რომ იქ პატარა სამონადირეო სასახლე აეშენებინათ, რომელიც შემდგომ ლუდოვიკო XIV-მ გააფართოვა. დიდი და მასშტაბური სამუშაოების შემდეგ, რომელთაც ხელმძღვანელობდნენ ისეთი არქიტექტორები როგორებიც იყვნენ: ლ. ლევო, ჟ. არდუენ-მანსარი და ა. ლენოტრი, სასახლემ დასრულებული სახე 1690 წელს მიიღო. 1682 წელს სამეფო რეზიდენცია ვერსალში გადავიდა.



ვერსალის გეგმა, 1715

1682-1789 წლები ვერსალისათვის გაბრწყინებისა და აღმასვლის პერიოდი იყო. მას შემდეგ რაც პარიზის მოვაჭრეები მეფეს სასახლეში მიუცვივდნენ, ლუდოვიკო XVI ოჯახთან ერთად პარიზში დაბრუნდა. მიტოვებული ვერსალი იძარცვებოდა, იკარგებოდა ხელოვნების ძვირფასი ნიმუშები. 1837 წელს ლუი ფილიპმა სასახლეს რესტავრაცია გაუკეთა და მასში საფრანგეთის ისტორიის მუზეუმი განათავსა. 1870 წელს სასახლე გერმანელებმა დაიკავეს. 1919 წელს ხელი მოეწერა სამშვიდობო შეთანხმებას გერმანიასთან და ვერსალი ისევ ფრანგების გახდა (ცნობისათვის: ამ სასახლეში 1919 წელს მიმდინარეობდა პარიზის საერთაშორისო საზავო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაცია. ერთ-ერთი თემა კონფერენციისა იყო ბათუმის საკითხი – გადაეცათ თუ არა ბათუმი საქართველოსათვის. ბათუმზე პრეტენზიას აცხადებდნენ მეზობელი სახელმწიფოები. ვერსალის კონფერენციამ ამ საკითხზე გადაწყვეტილება ვერ მიიღო დიდ სახელმწიფოებს შორის დაპირისპირების გამო. ბათუმის საქართველოზე გადაცემის გადაწყვეტილება მიიღო სანრემოს (იტალია) კონფერენციამ 1920 წლის აპრილში).

ვერსალის სასახლის დარბაზი, სადაც მიმდინარეობდა საერთაშორისო სა-ზავო კონფერენცია 1919 წელს

ვერსალის სასახლე სამი ეზოსაგან შედგება. პირველი – მი-ნისტრების ეზო, სადაც დგას ლუდოვიკო XIV-ს ცხენზე ამხედრე-ბული ქანდაკება. მეორე – მეფის ეზო, მესამე – მარმარილოს ეზო. მეფის ეზოდან გაბრიელის ანუ ლუდოვიკო XV-ს ფრთით შეიძლება მოხვდე სასახლის შიგნით, სადაც განთავსებულია საფრანგეთის ისტორიის მუზეუმი. მუზეუმის 11 დარბაზი ასახავს ლუდოვიკო XIII -ს და ლუდოვიკო XIV-ს მეფობის ხანას.

მნიშვნელოვანია დედოფლის მოსასვენებელი დარბაზი, რომე-ლიც აშენდა არდუენა-მანსარას პროექტით 1698-1710 წლებში. აქვეა მეფეთა დასასვენებელი 6 დარბაზი. ყველაზე ლამაზი და მიმზიდვე-ლი სარკეებიანი გალერეაა, რომელიც არდუენ-მანსარის (ჟიულ არ-დუენ-მანსარი) შედევრია. გალერეის დიდებულებას განაპირობებს 17 დიდი ფანჯარა, რომელიც პარკსნ გადასცქერის და საპირისპირო კედელზე სარკეებში აირეკლება. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ბაღების სიმწვანე და სილამაზე სასახლის ინტერიერში შემოდის.
სასახლის ღირსებაა დახვეწილი გემოვნებით და დეკორატიულად გაფორმებული ბაღები, სკულპტურები, ყვავილნარები, შადრევნები, კასკადები და სხვა. ვერსალის ლანდშაფტური პარკი, რომელიც 101 ჰექტარზეა გაშენებული, ხელოვნების ნამდვილი ნიმუშია, შესრუ-ლებული XVII ს-ის სტილში. მასში მრავლადაა ტერასები, ყვავილნა-რი, გაზონები, ორანჟერიები, აუზები, ქანდაკებები, შადრევნების მთელი კასკადი, დიდი არხი. აღსანიშნავია აპოლონის შადრევანი,

რომელიც მთელი ეპოქის აყვავების და ვერსალის სიმბოლოდ შეიძლება ჩაითვალოს. ვერსალის სილამაზე ბევრი ქვეყნის სამეფო რეზიდენციების გაფორმების მისაბაძი მაგალითი გახდა.

სასახლე გადაურჩა ფრანგულ რევოლუციას და დღეისათვის ვერსალი არა მხოლოდ ისტორიული შენობაა, იგი წარმოადგენს მუზეუმს.

საფრანგეთის მუზეუმების დახასიათება ამით არ ამოიწურება. ეს არის მცირედი ამონარიდი იმ მრავალრიცხოვანი სიიდან, რომელიც ასეულობით მუზეუმითაა წარმოდგენილი. ამ მუზეუმებს შორისაა მემორიალური, საბუნებისმეტყველო, სცენოგრაფიის, სპორტის სახეობების და სხვადასხვა დარგობრივი მუზეუმები, რომლებიც უმდიდრეს კოლექციებს ფლობენ და დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს.

1.3.3. გერმანია

რომანტიზმის ეპოქაში კიდევ უფრო გაიზარდა ინტერესი კულტურული მემკვიდრეობისადმი, რამაც მნიშვნელოვანი როლი შესრულა ისტორიული პროფილის მუზეუმების დაარსებაში. ევროპაში დაიწყო საყოველთაო მოძრაობა ეროვნული მუზეუმების გასახსნელად. მათ შორის, ერთ-ერთი პირველი იყო ბერლინის ძველი მუზეუმი.

ალტე მუზეუმი ანუ ძველი მუზეუმი თავდაპირველად პრუსიის სამეფო ოჯახის ხელოვნების ნიმუშთა კოლექციისთვის აიგო ბერლინში, ნეოკლასიკურ სტილში, არქიტექტორ კარლ ფრიდრიხ შინკელის მიერ.

გერმანელი არქიტექტორი, ფერმწერი და გრაფიკოსი კარლ ფრიდრიხ შინკელი 1798-1800 წლებში სწავლობდა ბერლინის არქიტექტურის აკადემიაში ფ. ჟილისთან. მუშაობდა უმეტესად ბერლინში. თავდაპირველად მისდევდა ფერწერასა და გრაფიკას. ნამუშევრები ძირითადად რომანტიკული სულისკვეთებისა იყო. შინკელი XIX ს. გერმანულ ხუროთმოძღვრებაში გვიანი კლასიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენელია. იყო არქიტექტურის თეორეტიკოსი.

მუზეუმის შენობაში არქიტექტორმა მოდელად გამოიყენა ათენის პართენონის კოლონების კლასიკური წყობა. თუმცა იონიუ-

რი წყობა მხოლოდ შენობის წინა ფასადშია გამოყენებული, დანარჩენი სამი ფასადი აგურითა და ქვით არის მოპირკეთებული.

ბერლინის ძველი მუზეუმის პროექტი. არქიტექტორი კ.ფ. შინკელი. 1822 წ.

1830 წელს მუზეუმი საზოგადოებისთვის გაიხსნა. მეორე მსოფლიო ომში შენობა მძიმედ დაზიანდა. 1966 წელს აღდგენილ იქნა და ადრინდელი ნახევარსფეროსებრი თაღი ელიფსის ფორმით გადაკეთდა. მუზეუმში ამჟამად, უპირატესად, ძველი საბერძნეთისა და ძველი რომის ქმნილებებია გამოფენილი. ეს უძველესი და უდიდესი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობაა ბერლინში და მდებარეობს ლუსტგარტენში ბერლინის ქალაქის სასახლესთან, რომელიც ასევე შინკელის პროექტით აიგო.

ბერლინის ძველი მუზეუმი

ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის **ბუნების ისტორიის მუზეუმი** (ბერლინი) 25 მილიონზე მეტ ზოოლოგიურ, პალეონტოლოგიურ და მინეროლოგიურ სახეობას მოიცავს. განსაკუთრებით განთქმულია ორი უნიკალური ექსპონატით: მსოფლიოში უდიდესი დინოზავრის ინსტალაციითა და დღემდე ცნობილი უძველესი ფრინველი არქეოპტერიქსის ყველაზე კარგად შემონახული ნიმუშით.

ბრაქიოზავრის ჩონჩხი. ბუნების ისტორიის მუზეუმი. ბერლინი

გერმანიის უდიდესი ბუნების ისტორიის მუზეუმი 1810 წელს დაარსდა. მისი კოლექციები მოიცავს ობიექტებს სამ ძირითად სფეროში: პალეონტოლოგიაში, მინერალოგიაში და ზოოლოგიაში. მუზეუმის მინერალების კოლექცია 1700 წლით თარიღდება, რომელიც მას პრუსიის აკადემიამ უბოძა. სხვა მნიშვნელოვან გამოფენათა შორისაა მინერალების კოლექცია, რომელშიც მსოფლიოს მინერალთა სახეობების 75% წარმოდგენილი, მეტეორების დიდი კოლექცია, მსოფლიოში უდიდესი ქარვის ნატეხი და სხვ.

გერმანიაში **„სამუზეუმო კუნძულს“** უწოდებენ ადგილს, რომელიც მდებარეობს მდინარე შპრეზე კუნძულ შპრეინზელის ჩრდილოეთით. სამუზეუმო კუნძული მსოფლიოს სხვადასხვა მხრიდან ჩამოსული ტურისტებისა და ხელოვნების მოყვარულთა ცენტრია. 1999 წლიდან არქიტექტურული და კულტურული ანსამბლი იუნესკოს მსოფლიო საგანძურის სიაშია შეტანილი.

შუა საუკუნეებში კუნძულ შპრეინზელის ჩრდილოეთი ნაწი-

ლი ჭაობიან ტბორებს წარმოადგენდა. სამხრეთ ნაწილში XIII საუკუნეში ქალაქი კელნი გაჩნდა, ხოლო მისი ჩრდილოეთი ნაწილი ოდნავ მოგვიანებით ბერლინის საქალაქო სასახლის ბაღის ნაწილი გახდა. XVII საუკუნეში შპრეეს მარცხენა ტოტი არხებით აღჭურვეს. გაჩნდა დღევანდელი არხი კურფერგრაბენი, რომლის მეშვეობითაც კუნძულის ჩრდილოეთი ნაწილი ამოშრა. შპრეესა და კურფერგრაბენს შორის კელნის მცირე კუნძული წარმოიქმნა, სადაც XVII ს. მეორე ნახევარში ლიუსტგარტენი გაშენდა. 1748 წელს, პომერანცენჰოფის ორანჟერეა, რომელიც ტროპიკული ხილით, პალმებითა და ეგზოტიკური მცენარეულობით იყო წარმოდგენილი, სამდინარო ვაჭრობის ზრდა-განვითარების გამო, საწყობად გადაკეთდა. მოგვიანებით კუნძულს საწყობები და სათავსოები დაამატას, მათ შორის, ფქვილისა და მარილისთვის.

ახალი მუზეუმი მდებარეობს მუზეუმის კუნძულზე, ძველი მუზეუმის გვერდით. შეტანილია იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში. მუზეუმისთვის შენობა 1843-55 წლებში ააგეს, ნეოკლასიკურ სტილში, ავგუსტ შტიულერის პროექტით.

ეგვიპტური ეზო. ახალი მუზეუმი. ბერლინი

მუზეუმის შენობა მნიშვნელოვნად დაზიანდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და მას შემდეგ ათეულობით წლების მანძილზე ნანგრევებში იყო. შენობის აღდგენა დაიწყეს 1986 წელს. მუზე-

უმი 2009 წლის შემოდგომაზე გაიხსნა და მასში გამოფენილია ეგვიპტური წინა და ადრეისტორიული ექსპონატები, ისევე როგორც ეს ომამდე იყო. აქ გამოფენილ უძვირფასეს ნივთთა შორისაა ეგვიპტის დედოფალ ნეფერტიტის ბიუსტი.

გერმანიის მუზეუმი ან დოიჩეს მუზეუმი ტექნოლოგიისა და მეცნიერების ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმია მსოფლიოში. მდებარეობს მიუნხენში, მას დაახლოებით 1,3 მილიონი დამთვალიერებელი ჰყავს წელიწადში. მუზეუმს ორი ფილიალი აქვს მიუნხენსა და მის ახლოს და ასევე ერთიც ბონში. დაარსდა 1903 წლის 28 ივნისს გერმანიის ინჟინერთა ასოციაციის თავყრილობაზე ოსკარ ფონ მილერის ინიციატივით. მას ერქვა „ნატურალური მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ხელოვნების ნიმუშთა გერმანიის საზოგადოების მუზეუმი“.

დოიჩეს მუზეუმი

მუზეუმის მთავარი შენობა მხოლოდ 1925 წელს გაიხსნა მდინარე იზარის კუნძულზე (ყოფილი კოლანსელი – ნახშირის კუნძული, რომელსაც შემდგომში მუზეუმის კუნძული დაერქვა).

2003 წლიდან გაიხსნა „ფერკერსცენტრუმ“, რომელშიც ტრანსპორტის განვითარების დოკუმენტური მასალა ინახება. ის მდებარეობს მიუნხენის საგამოფენო ცენტრის ძველ ადგილას. დოიჩე მუზეუმის ერთი ფილიალი 1995 წელს გაიხსნა ბონში. გარდა

საექსპოზიციო პროექტებისა, მუზეუმის ყურადღების ცენტრშია გერმანული ტექნოლოგია და მეცნიერება.

განთქმული რკინიგზის მოდელი

პერგამონის მუზეუმი ერთ-ერთი მთავარი მუზეუმია ბერლინის მუზეუმთა კუნძულზე. მისი შექმნა დაიგეგმა ალფრედ მესელისა და ლუდვიგ ჰოფმანის მიერ და მშენებლობა 1910-1930 წლებში განხორციელდა. მასში მოთავსებულია პირვანდელი სახისა და ზომის რეკონსტრუირებული მონუმენტური შენობები, როგორიცაა პერგამონის საკურთხეველი, მილეთის ბაზრის კარიბჭე, იშთარის კარიბჭე. ყველა მათგანი შედგება ფილებისგან, რომლებიც თავდაპირველი გათხრების ადგილებიდან გადმოიტანეს.

პერგამონის მუზეუმის ფასადი (ბერლინი)

მუზეუმი დაყოფილია ანტიკურ კოლექციად, ახლო აღმოსავლეთის მუზეუმად და ისლამური ხელოვნების მუზეუმად. მას ყოველწლიურად დაახლოებით 850.000 ადამიანი სტუმრობს.

ბერლინის მუზეუმის კუნძულზე კაიზერ-ვილჰელმ მუზეუმის გახსნის პროცეში გაირკვა, რომ მისი ფართი არ იყო საკმარისი მუზეუმის საცავებში არსებული ხელოვნების ნიმუშებისა და გერმანელი არქეოლოგების მიერ წარმოებული გათხრებით მოპოვებული არქეოლოგიური განძის გამოსაფენად. ეს გათხრები წარმოებულ იქნა ბაბილონში, ურუქში, ასურეთში, მილეთში, პრიენსა და ეგვიპტეში. 1907 წელს, ვილჰელმ ფონ ბოდემ, კაიზერ-ვილჰელმ-მუზეუმის დირექტორმა, დაგეგმა იქვე ახალი მუზეუმის აგება ძველი არქიტექტურის, გერმანიის პოსტ-ანტიკური, ახლო-აღმოსავლეთისა და ისლამური ხელოვნების ნიმუშების განსათავსებლად. ბოდეს გარდაცვალების შემდგომ 1909 წელს მშენებლობის პროექტს ლუდვიგ ჰოფმანი ხელმძღვანელობდა. მშენებლობა 1910 წელს დაიწყო და პირველი მსოფლიო ომისა (1918) და დიდი ინფლაციის (1920-იანი წლები) პერიოდში გრძელდებოდა. იგი 1930 წელს გაიხსნა.

რომაული საფლავის ქვა.
პერგამონის მუზეუმი

იშთარის კარიბჭე.
პერგამონის მუზეუმი

პერგამონის მუზეუმი მნიშვნელოვნად დაზიანდა ბერლინზე საჰაერო თავდასხმის დროს მეორე მსოფლიო ომის ბოლოს. ექსპონატების დიდი ნაწილი გადანახულ იქნა, ხელოვნების ნიმუშების ნაწილი 1945 წელს საბჭოთა კავშირში გაზიდეს. მუზეუმის ქონების

ნაწილი 1958 წელს დააბრუნეს აღმოსავლეთ გერმანიაში. კოლექციის ერთი ნაწილი დღესაც მოსკოვის პუშკინის მუზეუმსა და ერმიტაჟში (სანკტ-პეტერბურგი) ინახება.

მუზეუმში გამოფენილი უმნიშვნელოვანესი ექსპონატებია:

პერგამონის საკურთხეველი

მილეთის კარიბჭე

იშთარის კარიბჭე და ბაბილონის პროცესიის ქუჩა

მშათას ფასადი

ანტიკური კოლექცია

მუზეუმის პირველი კოლექციები ბრანდენბურგის კურფიურსტის სახელთანაა დაკავშირებული, რომელიც ანტიკურ საგნებს აგროვებდა. ამ კოლექციის პირველი ნიმუშები მან რომაელი არქოლოგისგან შეისყიდა 1698 წელს. მისი ნაწილი მოსახლეობისთვის მისაწვდომი გახდა 1830 წელს, როცა ძველი მუზეუმი გაიხსნა. კოლექცია მნიშვნელოვნად გაიზარდა ოლიმპიის, სამოსის, პერგამონის, მილეთის და სხვ. გათხრების შედეგად.

ამ გათხრებით მოპოვებული კოლექცია პერგამონისა და ძველმა მუზეუმებმა გაიყვეს. კოლექციაში შედის სკულპტურები არქაულიდან ელინისტურ პერიოდამდე, ასევე ბერძნული და რომაული ანტიკური ხელოვნების არქიტექტურის, სკულპტურის, მოზაიკის და სამკაულების ნიმუშები.

პერგამონის საკურთხეველი. პერგამონის მუზეუმი

მთავარი გამოფენებია პერგამონის საკურთხეველი (ძვ.წ. მე-2 საუკუნე), 113 მეტრი სიგრძის სკულპტურული ფრიზით, რომელზეც ღმერთთა და გიგანტთა ბრძოლაა გამოსახული და მილეტის კარიბჭე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიის გაყოფის შედეგად კოლექციასაც იგივე ბედი ეწია. პერგამონის მუზეუმი ხელმეორედ

გაიხსნა 1959 წელს აღმოსავლეთ ბერლინში, ხოლო ის, რაც დასავლეთ ბერლნში დარჩა, 1995 წლიდან გამოფენილია შარლოტენბურგის სასახლეში.

ბოდეს მუზეუმის (გაიხსნა 1904 წელს) ისლამური ხელოვნების განყოფილების ნიმუშები მოგვიანებით (1930 წ.) პერგამონის მუზეუმს გადაეცა.

ისლამური კულტურის მე-8 და მე-9 საუკუნებში შექმნილი ხელოვნების ნიმუშების გარდა, ყველაზე მიმზიდველი მშათას ფასადია, რომელიც პრე-ისლამური ხანის უდაბნოს ციხეხიმაგრეს ეკუთვნის. ეს იყო ოსმალეთის სულთანის აბდულჰამიდ II-ის გერმანიის იმპერატორ ვილჰელმ II-თვის მიძღვნილი საჩუქარი. ფასადის ნაწილი ამანშია (იორდანია).

ახლო აღმოსავლეთის მუზეუმში გამოფენილია გერმანელი არქეოლოგების მიერ ასურეთის, შუმერული და ბაბილონური კულტურის რეგიონებში ნაპოვნი ძეგლები. დამატებით, აქვეა ისტორიული შენობები, რელიეფები და ნაკლებად მნიშვნელოვანი ექსპონატები და სამკაულები.

ბოლო პერიოდში მუზეუმის კუნძულის მთავარი პროექტი იყო პერგამონის მუზეუმის გაფართოება, რომელიც მუზეუმთა კომპლექსის ცენტრი გახდე.

2000 წელს ჩატარებულ არქიტექტურულ კონკურში გაიმარჯვა ოსვალდ მატიას უნგერსმა, კიოლნიდან. მუზეუმის კომპლექსი მისი გეგმის მიხედვით გადაკეთდა, რომლის მიხედვით დიდი ცვლილებები მოხდა 1930 წლის შემდეგ ხელშეუხებელ შენობათა წყობასა და ფორმებში. ამჟამინდელი შესასვლელი შენობა შეცვალა ერენჰოფის შენობამ, ხოლო შემაღლებულმა არქეოლოგიურმა ზონამ კი ერთმანეთთან დააკავშირეა ყველა შენობა.

ბერლინში ხელოვნების მუზეუმის შექმნის იდეა 1871 წელს გაჩნდა კაიზერის კარზე, იმპერატორ ფრიდრიხ III-ის დროს. კონკრეტული წინადადებები ვილჰელმ ფონ ბოდემ წამოაყენა. კარის არქიტექტორმა ერნსტ ფონ ინემ 1897-1904 წლებში სამუზეუმო შენობა ააგო ბოდეს მიერ შეგროვებული ფერწერული და სკულპტურული კოლექციისთვის. მუზეუმი გაიხსნა 1904 წლის 18 ოქტომბერს, 1888 წელს გარდაცვლილი ფრიდრიხ III-ის დაბადების დღეს.

ნეობაროკოს სტილში შესრულებული შენობა სამუზეუმო კუნძულის ჩრდილო-დასავლეთით 6 ათას კვ.მ-ზეა განლაგებული და არასწორი სამკუთხედის ფორმით არის წარმოდგენილი.

ბოდეს მუზეუმი სამუზეუმო კუნძულზე

ბოდეს მუზეუმი წარმოადგენს ერთ-ერთს სამუზეუმო კუნძულის ანსამბლში, სადაც ქანდაკებები, ბიზანტიური ხელოვნება და სამონეტო კაბინეტია წარმოდგენილი. მუზუმი 1904 წელს დაარსდა.

ბერლინის კედლის მემორიალი ბერლინისა და სრულიად გერმანიის ეროვნული ძეგლია, რომელიც იხსენებს ბერლინის კედელსა და მის მსხვერპლთ. აშენდა 1998 წელს ბერლინის ცენტრში, ბერნაუერის ქუჩაზე, შემდეგ კი გაფართოვდა. დღეს იგი მოიცავს შერიგების კაპელას, ბერლინის კედლის სადოკუმენტაციო ცენტრს, კედლის 60 მეტრის სიგრძის ნარჩენს, ხსოვნის ფანჯარასა და დამთვარიელებელთა ცენტრს.

მემორიალის დასავლეთი მხარე მემორიალის აღმოსავლეთი მხარე

ბერლინის კედლის მემორიალის ისტორია იწყება 1994 წლიდან, როდესაც გერმანიის ისტორიულმა მუზეუმმა და ფედერალურმა მთავრობამ იდეების კონკურსი გამოაცხადეს. კონკურსისა და მშენებლობის ღირებულება განისაზღვრა 2,2 მილიონი გერმა-

ნული მარკით. მშენებლობის ხარჯები ფედერაციამ დაფარა, კონკურსის ხარჯებზე კი ბერლინი იყო პასუხისმგებელი.

2008 წლის 11 სექტემბერს ბერლინის წარმომადგენელთა პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, ბერლინის კედლის დაცემის დღესთან დაკავშირებით, 2008 წლის 9 ნოემბერს ბერლინის კედლის მემორიალი და მარიენფელდეს ლტოლვილთა ბანაკის მუზეუმი ბერლინის ფედერალური მიწის (ბერლინის) საკუთრებაში გაერთიანებინა.

2013 წლამდე განხორციელდა ბერლინის კედლის მემორიალის გაფართოება. ამ მიზნით სასაზღვრო ობიექტების ნაწილები არქეოლოგიური ფანჯრის სახით ან რკინის კონსტრუქციით იქნა წარმოდგენილი. ყოფილი საზღვრის ადგილას გაკეთდა უჟანგავი რკინის წნელები. ერთ-ერთი ყოფილი სასაზღვრო საკონტროლო კოშკი შტრელიცის ქუჩაზე წარმოდგენილ იქნა ორიგინალური სიმაღლის ფოლადის კონსტრუქციით. მემორიალის ტერიტორია დაიყო ოთხ თემატურ ნაწილად:

შერიგების კაპელა

შემორჩენილი კედელი

კედელი და აკრძალული (სასიკვდილო) ზონა
ქალაქის განადგურება
კედლის მშენებლობა
ეს კედელთან მოხდა

ბერნაუერის და გარტენის ქუჩების გადაკვეთაზე გახსნილია დამთვარიელებელთა ცენტრი, სადაც სტუმრები მემორიალის ყველა ობიექტის შესახებ იღებენ ინფორმაციას. 2010 წლიდან მემორიალის შემადგენლობაშია ე. წ. ხსოვნის ფანჯარა, რომელიც ბერლინის კედლის მსხვერლთ ეძღვნება.

მემორიალის ნაწილია კედლის 60-მეტრიანი ნარჩენი, რომელიც იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც იგი ბერლინის

კედლის დაცემისას იმყოფებოდა. დასავლეთიდან ბეტონის L-ის ფორმის დეტალებისაგან აგებულ კედელს მოსდევს ქვიშის ზოლი, შემდეგ ლამპიონებით განათებული საპატრულო გზა და სასიგნალო ღობე. ეკლიანი მავთულები შემორჩენილი არაა. მოგვიანებით ამ ყველაფერს დაემატა საგუშაგო კოშკი. ეს ობიექტები დამთვალიერებელთათვის დაკეტილია.

60-მეტრიან კედელს ორივე მხრიდან ასრულებს რკინის კედლები. ამათგან ჩრდილოეთის კედელზე გაკეთებულია წარწერა:

„In Erinnerung an die Teilung der Stadt vom 13. August 1961 bis zum 9. November 1989 und zum Gedenken an die Opfer kommunistischer Gewaltherrschaft“ (1961 წლის 13 აგვისტოდან 1989 წლის 9 ნოემბრამდე ქალაქის გაყოფის სახსოვრად და კომუნისტური ტირანიის მსხვერპლთა მოსაგონრად).

აკერშტრასესა და ბერნაუერის ქუჩის გადაკვეთა 1963 და 2011 წლებში

ბერლინის კედლის სადოკუმენტაციო ცენტრი მდებარეობს ბერნაუერის ქუჩის მეორე მხარეს. მასში განთავსებულია სასემინარო აუდიტორიები და თემატური გამოფენები. ცენტრის შენობის ერთ ნაწილს წარმოადგენს ხუთსართულიანი საგუშაგო კოშკი, რომლიდანაც შესაძლებელია ბერლინის კედლის შემორჩენილი სასაზღვრო ობიექტების დათვალიერება.

ბერლინის კედელი 1986 წელს

შერიგების კაპელის არქიტექტორები არიან პეტერ ზასენროთი და რუდოლფ რაიტერმანი. კაპელა წარმოადგენს ოვალური ფორმის ეკლესიას, რომლის ფასადიც მთლიანად ხის ჩხირებითაა დაფარული. ინტერიერში მოწყობილია სამლოცველო. მშენებლობისას გამოყენებული იქნა ასევე ამ ადგილზე არსებული დანგრეული შერიგების ეკლესიის ნარჩენებიც, მათ შორის ძველი ზარები. კაპელის გარეთ შემოხაზულია ის ადგილი, სადაც შერიგების ეკლესია იდგა. ახალი შერიგების კაპელა 2000 წლის 9 ნოემბერს აკურთხეს. ბერლინელი ხელოვანის მიქაელ შპენგლერის იდეის მიხედვით 2005 წლიდან ბერნაუერის ქუჩის ყოფილ სასაზღვრო აკრძალულ ზონაში იზრდება ჭვავის ყანა, რომელსაც უვლის ბერლინის ჰუმბოლდტის უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობისა და მებაღეობის ფაკულტეტი.

ჭვავის მდელოს იდეა იყო ბერლინის ისტორიის სხვადასხვა ეპოქების ასოციაციების წარმოჩენა, სოფლური წარსულისა და აღმოსავლეთ გერმანიის (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის) აკრძალული ზონის მძაფრი ისტორიების ერთგვარი შეზავება. მდელოზე ჭვავს სექტემბრის მეორე ნახევარში თესავენ, მოსავალს კი ივლისში იღებენ. მიღებული მოსავლის რაოდენობა სამიდან ოთხ ცენტნერამდეა. ძველად კაპელის გარშემო მცირე მინდორზე მოპოვებული ჭვავი გამოიყენებოდა სპეციალურად საღამოს ვახშმისათვის, ჭვავის პურისა და სამადლობელი ღვთისმსახურებისათვის

პურის დასამზადებლად; ასევე, მხატვრული აქციის ჩარჩოებში, აქ აღებული ჭვავისაგან მზადდებოდა ვისკი.

2010 წელს ბერლინის კედლის მემორიალი გააფართოვეს და დაამატეს ე. წ. ხსოვნის ფანჯარა, რომელიც წარმოადგენს თორმეტი მეტრის სიგრძის უჟანგავი რკინის კედელს 162 ფანჯრით. ფანჯრებში მოთავსებულია 136 იმ ადამიანის პორტრეტი, რომლებიც ბერლინის კედელთან დაიღუპნენ ან დახვრიტეს. ფოტოების ქვემოთ მსხვერპლთა სახელები და ცხოვრების წლებია ამოტვიფრული. ხსოვნის ფანჯარა მდებარეობს ბერნაუერის ქუჩის სამხრეთით. ეს ტერიტორია ძველად ბერლინის წმ. სოფიის ეკლესიის სასაფლაოს ერთ-ერთი ნაწილს წარმოადგენდა. სასაფლაოს ეს ნაწილი 1960-იან წლებში გაანადგურეს, რათა აქ სასაზღვრო ზოლის ობიექტები აეშენებინათ.

დრეზდენის ცვინგერი არის ბაროკოს სტილში აგებული სასახლე ქალაქ დრეზდენში, გერმანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ისტორიული ძეგლი.

ხედი ზემოდან

ცვინგერის მუდმივი გამოფენებია: ფიზიკა-მათემატიკური სალონი; ცხოველთმცოდნეობის მუზეუმი; პორცელანის ნაკეთობათა კოლექცია; ზარდახანა; ძველ ოსტატთა ნახატების გალერეა.

ცვინგერი. დრეზდენი

მსოფლიოში სახელგანთქმული და «ცვინგერის» ყველაზე პოპულარული ნაწილია «გვირგვინიანი კარიბჭე», რომლის წვერს ამშვენებს პოლონეთის სამეფო გვირგვინი. კარიბჭის მოპირდაპირე მხარეს მეორე პორტალია მხედრის ქანდაკებისა და თეატრის მოედნის ხედით.

«ნიმფების აუზი» (გერმ.: Nymphenbad) მდებარეობს «ცვინგერის» ციხესიმაგრის კედლების შიგნით ფრანგული პავილიონის უკანა მხარეს. ბალთაზარ პერმოზერის მიერ შექმნილი შადრევანი ერთ-ერთი ულამაზესეთაგანია ბაროკოს შადრევნებს შორის.

«ცვინგერის» კიდევ ერთი ღირშესანიშნაობაა "ზარებიანი საათი", რომელიც დამზადებულია მაისნერის პორცელანისაგან.

ცვინგერი აშენდა 1711-1722 წლებში, მათეუს დანიელ პიოპელმანისა და ბალთაზარ პერმოზერის მიერ დრეზდენის ძველი ბასტიონის კედლების ნანგრევებზე.

მეორე მსოფლიო ომის ბოლოს (1945 წლის თებერვალი) შენობა საგრძნობლად დაზიანდა ინგლისისა და აშშ-ის ავიაციის მიერ განხორციელებული დაბომბვების შედეგად. იმავე წელს დაიწყო შესაკეთებელი სამუშაოები. 1951 წელს აღდგენილ იქნა «გვირგვინიანი კარიბჭე», 1952 წელს – «ფიზიკა-მათემატიკური სალონი», 1953 წელს – «ზარების პავილიონი» და 1954 წელს «კედლის პავილიონი» და «ფრანგული პავილიონი». 1963 წელს სამუშაოები დასრულდა.

დღეისათვის «ცვინგერი» თითქმის ისეა ფორმაშია აღდგენილი, როგორიც ის ომამდე იყო.

გერმანიის **ვიტრას დიზაინის მუზეუმი** მდებარეობს ვეილ-

ამ-რაინზე. მუზეუმი დაარსდა 1989 წელს ვიტრას აღმასრულებელი ხელმძღვანელის როლფ ფელბაუმის მიერ, როგორც დამოუკიდებელი კერძო ფონდი. კორპორაცია ვიტრა უზრუნველჰყოფს მას ფინანსური სუბსიდიებით, ვიტრას არქიტექტურით და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტით. მუზეუმის ბერლინის განყოფილების გაიხსნა 2007 წელს.

მუზეუმის შენობის ხედი გვერდიდან

ეერო საარინენნის "სკამი-ყაყაჩო"

მუზეუმის კოლექციის ფოკუსი ავეჯსა და ინტერიერის დიზაინზეა. მის ძირითად ბირთვს შეადგენს აშშ-ის დიზაინერების – ჩარლზ და რეი იმსების დანატოვარი, ჯორჯ ნელსონის, ალვარ აალტოს, ვერნერ პანტონის, დიტერ რამსის, ჟან პრუვესა და მიქაელ ტონეს მრავალრიცხოვანი ნამუშევრები. აქ თავმოყრილია თანამედროვე ავეჯის დიზაინის მსოფლიოში უდიდესი კოლექცია, რომელიც მოიცავს ნიმუშებს მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე.

ეს ნამუშევრები, რომლებიც თავდაპირველად როლფ ფელბაუმის საკუთრებას წარმოადგენდა, მუდმივად გამოფენილი არ არის, ზოგიერთი რჩეული დიზაინერული სკამის გარდა. მათ ნაცვლად, მუზეუმი დროებით გამოფენებს აწყობს სხვა მუზეუმების კოლექციებიდან ნასესხები ექსპონატებით.

მნიშვნელოვან სამუზეუმო დაწესებულებებს წარმოადგენენ **მიუნხენის პინაკოთეკები**.

პინაკოთეკა (ბერძნულად დაფა, სურათი და საცავი) საბერძნეთში იყო „ძღვენთა, შემოწირულობათა (შემოწირული სურათების) საცავი ადგილი“. ძველ რომში პინაკოთეკა ერქვა სახლის ერთგვარ სივრცეს, სადაც სურათებს ინახავდნენ. რენესანსიდან მოყოლებული პინაკოთეკა ჰქვია სურათების გალერეას.

ცნობილია 3 სახის პინაკოთეკა: ძველი პინაკოთეკა, ახალი პინაკოთეკა და თანამედროვეობის პინაკოთეკა. სამივე განთავსებულია მიუნხენში.

მიუნხენის პინაკოთეკების ისტორია სათავეს იღებს ბავარიის კოლექციებიდან, რომელმაც მოგვიანებით მიიღო ბერძნული დასახელება „პინაკოთეკა“. კოლექციებს შორის პირველი იყო ისტორიულ თემაზე შექმნილი ფერწერული ტილო, რომელიც ვილჰელმ IV-ემ დაუკვეთა იმ დროის ცნობილ გერმანელ ხელოვანებს. აღორძინების ეპოქის გერმანელი ფერმწერის ა. ალტდორფერის (1480-1538 წწ) მიერ შესრულებული ტილო „ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლა დარიოს მეფესთან“ დღემდე ითვლება მიუნხენის ძველი პინაკოთეკის ერთ-ერთ ცნობილ შედევრად.

დღეს მიუნხენის ძველი პინაკოთეკა არის მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი და უძველესი სურათების გალერეა. ევროპელი ხელოვნების 800-ზე მეტი ნაწარმოები აცოცხლებს ხელოვნების განვითარების გზას შუასაუკუნეების მხატვრობიდან როკოკომდე. ვენეციის ხელოვნება მისი განთქმული ოსტატის ტიციანითაა წარმოდგენილი, ისევე როგორც ნიდერლანდებისა – ფრანს ჰალსის ნამუშევრებით. მუზეუმის მნიშვნელოვანი საგანძურია რუბენსის ნამუშევრები. ასევე აღსანიშნავია ძველი გერმანული მხატვრობა, რომელსაც ალტდორფერი და დიურერი წარმოგვიდგენენ.

ძველი პინაკოთეკა მიუნხენში

გალერეის შენობა ეკუთვნის ცნობილ არქიტექტორს ლეო კლენცეს. ის არქიტექტურის შედევრად ითვლება. შენობა 1836 წლით თარიღდება.მეორე მსოფლიო ომის წლებში ძველი პინაკო-

თეკის შენობა მნიშვნელოვნად დაზარალდა და აღდგენილ იქნა 1952-1957 წლებში. 1998 წლის მასშტაბური რეკონსტრუქციის შემდეგ ძველმა პინაკოთეკამ ახალი ბრწყინვალება შეიძინა.

ახალი პინაკოთეკაც ასევე წარმოადგენს სურათების გალერეას. აქ წარმოდგენილია XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის მხატვრების ფერწერული ტილოები. გალერეა დააფუძნა ბავარიის მეფე ლუდვიგ I-მა 1853 წელს, რომელსაც სურდა თავისი კერძო კოლექცია ხელმისაწვდომი გაეხადა საზოგადოებისათვის. პინაკოთეკის ფონდები დღითიდღე ივსებოდა ახალი ნამუშევრებით, რომელთა შორის აღსანიშნავია ფ. გოიას, ა. კაუფმანის, ფრანგი მხატვრისა და ფრანგული ნეოკლასიციზმის დამაარსებლის ჟ. ლ. დავიდის, ი. ჰ. ფიუსლის, ი. ფ. ტიშბეინის, XVIII-XIX საუკუნეების ინგლისელი ფერმწერების და სხვათა ნამუშევრები.

ახალი პინაკოთეკა

გალერეის შენობა მთლიანად დაინგრა მეორე მსოფლიო ომის წლებში, რომელიც აღდგენილ იქნა 1981 წელს.

თანამედროვეობის პინაკოთეკა მოიცავს ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ 4 მუზეუმს: თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, არქიტექტურის მუზეუმი, გრაფიკული ნამუშევრების მუზეუმი.

პინაკოთეკის კოლექციებს შორის აღსანიშნავია: კლასიკური მოდერნის, XX საუკუნის 50-იანი წლების ხელოვნების, ახალი მე-

დიის, ფოტოგრაფიისა და ვიდეოარტის ნუმუშები.

არქიტექტურის მუზეუმი განთავსებულია მიუნხენის ტექნიკურ უნივერსიტეტში. იგი ამ ტიპის მუზეუმებს შორის ყველაზე მეტ კოლექციებს ფლობს. მუზეუმს გააჩნია კომპიუტერული ანიმაცია და ვიდეომასალები.

თანამედროვეობის პინაკოთეკა. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი

ეს არის მცირე ნაწილი გერმანიის მრავალრიცხოვანი მუზეუმებიდან. ცნობისათვის: მარტო ბერლინში არსებობს 170-ზე მეტი მუზეუმი.

1.3.4. ესპანეთი

თანამედროვე ხელოვნების მნიშვნელოვან კოლექციებს ფლობს **ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმი** (ბილბაო, ბასკეთი). ის ერთ-ერთია სოლომონ გუგენჰაიმის ფონდის მუზეუმთაგან.

მუზეუმის ხედი მდინარიდან. ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმი

შენობის სტრუქტურის პროექტი ეკუთვნის ფრენკ გერის არქიტექტურულ ფირმას. მუზეუმი საზოგადოებისთვის 1997 წელს გაიხსნა და მყისვე მოიხვეჭა მსოფლიოს ყველაზე წარმტაცი შენობის სახელი დეკონსტრუქტივიზმის (დეკონსტრუქტივიზმი, ასევე ცნობილი როგორც დეკონსტრუქცია, 1980-იან წლებში ჩასახული მიმდინარეობაა პოსტმოდერნისტულ არქიტექტურაში, რომელიც მის ფილოსოფიურ იდეოლოგიას ამავე სახელწოდების ლიტერატურული მოძრაობიდან იღებს) სტილში. მუზეუმის შენობის დიზაინი და კონსტრუქცია ფრენკ გერის სტილისა და მეთოდის შესწავლის სანიმუშო მაგალითია. გერის სხვა ნამუშევართა მსგავსად, მუზეუმის სტრუქტურა შედგება რადიკალურად ნაგები ორგანული კონტურებისგან. მუზეუმის შენობას არცერთი ბრტყელი ზედაპირი არ გააჩნია მთელ სტრუქტურაში. შენობის ნაწილს ჰკვეთს ავტოსტრადა, სტრუქტურის უდიდესი ნაწილი დაფარულია სიფრიფანა ტიტანიუმის პანელებით.

შენობა, რომელიც საპორტო ქალაქში დგას, შორიდან აფრიან გემს ჰგავს. მისი ამრეკლი პანელები თევზის ქერცლს ემსგავსება, რაც გამოძახილია გერის დიზაინში განმეორებადი სხვა ორგანული ფორმების და ერწყმის მდინარე ნერვიონს, რომლის პირასაც ის მდებარეობს. შენობა იმენად ჰაეროვანია, რომ შთაბეჭდილებას ქმნის თითქოს დღის სხვადასხვა მონაკვეთში ფორმას იცვლიდეს, როდესაც ქუჩის მხრიდან აკვირდები.

ასევე გერის სიტლისთვის ტიპიურად შენობა ტექნოლოგიის პერიოდის უნიკალური პროდუქტია. შენობის კონსტრუქციის შექ-

მნაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კომპიუტერულ გრაფიკასა და ვიზუალიზაციებს. კომპიუტერულმა სიმულაციებმა შესაძლებლობა მისცა ინჟინრებს შეექმნათ ისეთი ფორმები, რომელიც ადრეული პერიოდის არქიტექტორებისთვის თითქმის მიუწვდომელი იყო. კონსტრუქციის მშენებლობის დროს ქვის პანელები ლაზერით დაიჭრა.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად მდინარის მხრიდან შენობის ფასადის გრანდიოზულობისა, ქუჩიდან ის საკმაოდ სადად გამოიყურება და მის შემოგარენს არ ჩრდილავს.

მუზეუმისთვის ეს ადგილი შეირჩა ქალაქ ბილბაოსა და მთლიანად ბასკეთის ეკონომიკური და კულტურული გადახალისების მცდელობის პროექტის ფარგლებში. შენობის გახსნიდან თითქმის მყისვე ბილბაო ტურისტების პოპულარული ადგილი გახდა, მოიზიდა რა დამთვალიერებლები მთელი მსოფლიოდან. როგორც ამბობენ, მუზეუმმა ბილბაო მსოფლიო რუქაზე დასვა.

მუზეუმის ფასადის დეტალი. ბილბაოს გუგენჰაიმის მუზეუმი

მუზეუმის გამოფენები ხშირად იცვლება, თუმცა ყველაზე ხშირად აქ მე-20 საუკუნის ხელოვნება ჭარბობს და ტრადიციულ ფერწერასა და სკულპტურებს მუზეუმი უფრო ინსტალაციურ, ფრაგმენტულ ფორმებს ამჯობინებს. ზოგიერთი ხელოვნებათმცოდნის შეფასებით, თავად შენობა იმდენად შთამბეჭდავია, რომ ის სრულიად ჩრდილავს მუზეუმის კოლექციას.

დედოფალ სოფიას ხელოვნების ეროვნული მუზეუმი — ესპანეთის მე-20 საუკუნის ხელოვნების ეროვნული მუზეუმია (შემოკლ. დედოფალ სოფიას მუზეუმი).

მუზეუმი ოფიციალურად გაიხსნა 1992 წლის 10 სექტემბერს და სახელი ესპანეთის დედოფლის სოფიას პატივსაცემად დაერქვა. მდებარეობს მადრიდში, ე.წ. ხელოვნების სამკუთხედის სამხრეთ ბოლოში (მუზეო დელ პრადოსა და მუზეო თისენ-ბორნამისცასთან ერთად).

დედოფალ სოფიას მუზეუმის ფასადი

მუზეუმის მთავარ კოლექციათა შორისაა მე-20 საუკუნის უდიდეს ხელოვანთა პაბლო პიკასოსა და სალვადორ დალის ნამუშევრები. ყველაზე განთქმული ხელოვნების ნიმუში მუზეუმში არის პიკასოს „გერნიკა". რეინასოფიაში ასევე ხუან გრისის, ჟოან მიროს, ხულიო გონსალესის, ედუარდო ჩილიდას, პაბლო პალაზუელოს, ანტონი ტაპიესი და სხვა მრავალ განთქმულ მხატვართა თვალსაჩინო კოლექციებია. აქვეა თავისუფალი ბიბლიოთეკა 100 ათასზე მეტი წიგნით, 3500 აუდიო და 1000-ზე მეტი ვიდეო ჩანაწერებით.

მუზეუმის ცენტრალური შენობა მე-18 საუკუნეში საავადმყოფო იყო. ინტენსიური თანამედროვე რესტავრაციითა და დამატებებით ძველი შენობა მნიშვნელოვანწილად განახლდა 1980-იან წლებში. 1988 წელს ახალი მუზეუმის ნაწილიც გაიხსნა და ამავე წელს იგი ეროვნულ მუზეუმად გამოცხადდა (მოგვიანებით, 2005

წელს ფრანგი არქიტექტორის ჟან ნუველის პროექტით ჩაუტარდა რეკონსტრუქცია, რომელზეც 92 მილიონი ევრო დაიხარჯა).

პრადო განთქმული მუზეუმი და ხელოვნების გალერეაა მადრიდში. მასში მე-14-დან მე-19 საუკუნეებამდე ევროპული ხელოვნების მსოფლიოში საუკეთესო კოლექციაა მოთავსებული.

პრადოს მუზეუმი

მუზეუმი დაფუძნდა როგორც ფერწერულ ტილოთა და სკულპტურათა გალერეა, თუმცა მუზეუმს ასევე 5000-მდე ნახაზების, 2000-მდე ანაბეჭდების, 1000-მდე მედლისა და მონეტის მნიშვნელოვანი კოლექცია გააჩნია. სკულპტურები წარმოდგენელია დაახლოებით 700-ზე მეტი ნიმუშით და რამდენიმე ფრაგმენტით.

შესანიშნავი ფერწერული გალერეა, რომელიც 8600 ნახატისაგან შედგება მუზეუმს მსოფლიო კლასის სტატუსს ანიჭებს. პრადოს დიეგო ველასკესის, ფრანსისკო გოიასა და იერონიმუს ბოსხის (მეფე ფილიპ II-ის პირადი ფავორიტი) ნამუშევრების საუკეთესო კოლექცია აქვს ესპანეთში. მუზეუმს ელ გრეკოს, რუბენსის, რაფაელის, ტიციანის, ბართოლომეო ესტებან მურილიოს შედევრების ბრწყინვალე კოლექცია აქვს. აქვეა მელოცო და ფორლის, ბოტიჩელის, კარავაჯოს, ალბრეხტ დიურერის, რემბრანდტის, ვერონეზეს საუკეთესო ექსპონატები.

მუზეუმის კოლექციაში ყველაზე განთქმული ექსპონატია ველასკესის „მენინები“. ველასკესმა თავად დაუთმო საკუთარი საუკეთესო ნამუშევრების დიდი ნაწილი მუზეუმს, ასევე მისი დამსახურებაა მუზეუმში იტალიური ხელოვნების ნიმუშების მოზიდვა.

პაბლო პიკასოს "გერნიკა" პრადოში იყო გამოფენილი მისი ესპანეთში დაბრუნების შემდეგ (დემოკრატიული ხელისუფლების აღდგენის შემდეგ), თუმცა მოგვიანებით დედოფალ სოფიას მუზეუმში გადაიტანეს, უზარმაზარი ფერწერული ტილოსთვის უკეთესი საგამოფენო ადგილის გამო.

მუზეუმი დელპრადო ერთ-ერთი შენობათაგანია, რომელიც გრანდიოზული მშენებლობის პროექტით აიგო კარლოს III-ის მეფობის დროს. პროექტის მიზანი იყო მადრიდისთვის მონუმენტური ურბანული დაგეგმარების შექმნა. ამჟამინდელი სახელი (დელპრადო) მას მუზეუმის ნაციონალიზაციის შემდეგ დაერქვა. შენობაზე მუშაობა დროებით შეწყდა ომის დროს და მხოლოდ კარლოს III-ის შვილიშვილის ფერნანდო VII-ის დროს განახლდა. შენობის სტრუქტურა მადრიდში დაბანაკებული ნაპოლეონის ჯარების კავალერიის შტაბბინისა და ტყვიაწამლის შესანახად გამოიყენებოდა დამოუკიდებლობისთვის ომის დროს. 1868 წელს იზაბელ II-ის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ მუზეუმი ნაციონალიზებულ იქნა. შენობაში ინახებოდა ხელოვნების ნიმუშების სამეფო კოლექცია, რისთვისაც ის საკმაოდ მცირე აღმოჩნდა. მუზეუმის გაფართოება პირველად 1918 წელს განხორციელდა.

ბოლო გაფართოების შედეგად მუზუემს შეუერთდა გვერდიგვერდ მდგარი ორი შენობა. ერთი მათგანი ხელოვნების ნიმუშების საცავია, მეორე – ამჟამად თაისენ-ბორნემისცას მუზეუმის ბინაა, რომელშიც კერძო პირთა მიერ შეგროვებული ექსპონატები ინახება.

ესპანეთის სამოქალაქო ომის დროს ერთა ლიგის გადაწყვეტილებით, მუზეუმის თანამშრომლებმა 353 ფერწერული ტილო, 168 ნახაზი და დოფინის განძი ვალენსიაში გადაიტანეს, შემდეგ ჟირონაში, ბოლოს კი ჟენევაში. ხელოვნების ნიმუშები საფრანგეთის ტერიტორიის გავლით ღამის მატარებლით დააბრუნეს მუზეუმში მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე.

აღსანიშნავია პრადოსთან ახლომდებარე მადრიდის კიდევ ორი მნიშვნელოვანი ეროვნული მუზეუმი: არქეოლოგიური მუზეუმი, რომელშიც პრადოს კუთვნილი ძველი ეგვიპტის, მესოპოტამიის, საბერძნეთისა და რომის კულტურების ექსპონატებია. დედოფალ სოფიას მუზეუმში მე-20 საუკუნის ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი.

ეს სამი მუზეუმი, ბუენ რეტიროსა და თაისენ-ბორნამისცასთან ერთად (რომლებიც ერთმანეთის გვერდიგვერდ მდებარეო-

ბენ), მადრიდის მნახველებს დასავლეთის ცივილიზაციის ისტორიასა და საუცხოო ხელოვნებაზე ყველაზე სრულყოფილ წარმოდგენას აძლევს, რითაც მისთვის მხოლოდ პარიზისა და ლონდონის მუზეუმებს თუ შეუძლიათ კონკურენციის გაწევა.

ესპანეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს პაბლო რუის ი პიკასოს მუზეუმი ბარსელონაში. ესპანელი მხატვარი ქვეყნის ეროვნული სიამაყეა.

პიკასოს შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ხელოვნებაზე. მხატვრის მოღვაწეობა აღსავსეა წინააღმდეგობებით. მოწინავე საზოგადოებრივი მისწრაფებები და თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნების კრიზისი ერთდროულად აისახა მის შემოქმედებაში. მხატვარმა რთული გზა გაიარა. იგი მუდამ გრძნობდა ეპოქის მტკივნეულ პრობლემებს, იბრძოდა პროგრესული იდეალებისათვის.



პიკასოს მუზეუმი

ესპანეთის მრავალრიცხოვან მუზეუმებს შორის საინტერესოა **„ესპანეთის მუზეუმი“,** რომელიც მდებარეობს ბარსელონაში. იგი გაიხსნა 1927 წელს. მუზეუმში განლაგებულია ესპანეთის ისტორიული და კულტურული ღირსშესანიშნაობანი. აქ წარმოდგენილია მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნაგებობების ასლები.

ესპანეთის მუზეუმი

კატალონიის ეროვნული ხელოვნების მუზეუმი მდებარეობს ბარსელონაში. კატალონია ავტონომიური რეგიონია, რომელშიც შედის 4 პროვინცია: ბარსელონა, ხერონა, ლერიდა და ტარაგონა.

კატალონიის ეროვნული ხელოვნების მუზეუმი

ეს მუზეუმი შეიქმნა 1990 წელს 2 მუზეუმის – თანამედროვე ხელოვნების მუზეუმისა და კატალონიის ხელოვნების მუზეუმის გაერთიანების შედეგად. მუზეუმი განთავსებულია ეროვნულ სასახლეში, რომელიც აშენდა 1929 წელს. მასში დაცულია XII-XIII საუკუნეების ფერწერის ნიმუშები, რომლებიც XX საუკუნის 20-იან წლებში გადმოტანილ იქნა პირენეის პატარა ეკლესიიდან. აქვეა ხის სკულპტურის ნიმუშები. მუზეუმში დაცულია 236 ათასამდე ექ-

სპონატი, რომელიც ასახავს კატალონიის, ესპანეთისა და ევროპის ათასწლოვანი ხელოვნების ისტორიას.

მუზეუმი დაყოფილია სექციებად: რომანული ხელოვნება; გოთური ხელოვნება; აღორძინებისა და ბაროკოს ეპოქის ხელოვნება; თანამედროვე ხელოვნება; ტისენ ბერნემიცის კოლექცია (აღორძინებისა და ბაროკოს ეპოქის ნიმუშები კერძო კოლექციონერმა გადასცა მუზეუმს); ფოტოგრაფიის კოლექცია; ნუმიზმატიკის კოლექცია.

მუზეუმი, აგრეთვე, ინახავს ავანგარდული და მოდერნისტული ხელოვნების ნიმუშებს. მუზეუმს გააჩნია უნივერსალური ბიბლიოთეკა.

სალვადორ დალის მუზეუმი მდებარეობს კატალონიის ქალაქ ფიგერასში. სალვადორ ფელიპ ჟასინტ დალი ი დომენეკი იყო მხატვარი, ფერმწერი, გრაფიკოსი და სკულპტორი, სიურეალიზმის წარმომადგენელი (სიურეალიზმი — მიმდინარეობა ლიტერატურასა და ხელოვნებაში XX საუკუნის შუა წლებში. ტერმინი „სიურრეალიზმი“ სიტყვასიტყვით "ზერეალობას" ნიშნავს ფრანგულ ენაზე). მუზეუმი განთავსებულია ქალაქის ძველი თეატრის შენობაში, სადაც 14 წლის სალვადორ დალიმ პირველად გამოფინა თავისი ნამუშევრები. ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს ძველი თეატრი დაიბომბა და დიდი ხნის განმავლობაში ნანგრევებში იდგა.

მუზეუმის შექმნის იდეა დაიბადა 1961 წელს, როდესაც ფიგერასის ახლადარჩეულმა მერმა მხატვარს თხოვა ქალაქისათვის ერთი სურათის ჩუქება, სალვადორ დალიმ ქალაქისათვის მუზეუმის ჩუქება გადაწყვიტა.

დალის მუზეუმი ფიგერასში

დალიმ გასაქანი მისცა თავის ფანტაზიებს: თეატრი გადაკეთებულ იქნა დადაიზმის ტიპიურ აბსურდულ ტაძრად. სცენის ზევით აღიმართა გიგანტური გეოდეზიური გუმბათი. მაყურებელთა დარბაზი აიღეს და გაყვეს სექტორებად, სადაც წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მხატვრის სხვადასხვა ჟანრის ნამუშევრები, მათ შორის, მეი უესტის საძინებელი ოთახი (ოთახი-სახე, სადაც არის სავარძელი, რომელიც იმეორებს ჰოლივუდის ყველაზე სკანდალური მსახიობის ტუჩებს).

დარბაზებში გამოფენილია მხატვრის ცნობილი ნამუშევრები „ჰალუცინოგენური ტორეადორი“, „გალარინა“, „ატომური ლედა“, „სფერიული გალათეა“, „წვიმიანი კადილაკი“. დალიმ თვითონ მოხატა შესასვლელი ფოიე, გამოსახა საკუთარი თავი და გალა, რომლებიც ოქროს რეცხავენ ფიგერასში, ჭერზე კი ფეხებია ჩამოკიდებული. დალიმ სალონს „ქართა სასახლე“ შეარქვა, ერთერთი პოემის სახელწოდების მიხედვით, სადაც მოთხრობილია ლეგენდა აღმოსავლეთის ქარზე, რომლის სიყვარული დასავლეთშია და რომელთანაც მიახლოებისას მიწაზე ცრემლები ცვივა. ლეგენდა ძალიან მოეწონა სალვადორ დალის და დარბაზს პოემის სახელი შეურჩია.

მუზეუმი გაიხსნა 1974 წლის სექტემბერში. იგი უფრო ბაზარს მოაგონებდა მნახველს, ვიდრე მუზეუმს, თუმცა მას შემდეგ მუზეუმი-თეატრი მაგნიტივით იზიდავს მნახველებს.

მუზეუმში განთავსებულია მხატვრის ნამუშევრების დიდი კოლექცია. ნახატების გარდა მუზეუმში ექპონირებულია ქანდაკებები, კოლაჟები, ოთახი მეი უესტის სახით და სხვა უჩვეულო ნამუშევრები.

თავდაპირველად მუზეუმი უდიდესი მისტიფიკატორის სიცოცხლეში დადგმულ ძეგლს და სახლს წარმოადგენდა, შემდგომ კი იგი მავზოლეუმად იქცა. დალის ანდერძით, იგი თეატრ-მუზეუმში დაკრძალეს, სადაც მოთავსებულია ურნა მხატვრის ფერფლით (საქართველოში წინანდლის მუზეუმში ცნობილი ესპანელი სიურეალისტის, სალვადორ დალის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა (2010 წ.). ალექსანდრე ჭავჭავაძის მუზეუმში სალვადორ დალის 6 ქანდაკება და 11 ლითოგრაფია იყო გამოფენილი).

ესპანეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს **ბარსელონას მუზეუმი**. ამ მუზეუმის გახსნის იდეა ჯერ კიდევ XX საუკუნის 20–იან წლებში ჩაისახა, როდესაც საფეხბურთო გუნდს მისივე დამაარსებელი – ხუან გამპერი მართავდა. მაგრამ რიგ მიზეზთა გამო

იდეა იდეადვე რჩებოდა და კლუბის მუზეუმის გახსნა მხოლოდ 1984 წელს, ხოსეპ ლუის ნუნიესის პრეზიდენტობის დროს მოხერხდა. მას შემდეგ მუზეუმმა სამჯერ – 1987, 1994 და 1998 წელს განიცადა რეკონსტრუქცია, რის შედეგადაც მისი ფართობი დღესდღეობით 3.500 კვადრატულ მეტრს შეადგენს.

წლების განმავლობაში მუზეუმმა შეიძინა კლუბის მთავარი კულტურული და სოციალური დატვირთვის მქონე ობიექტის ფუნქცია. იგი იმდენად პრესტიჟული გახდა, რომ დღესდღეობით საფეხბურთო სამყაროში საუკეთესო მუზეუმად ითვლება, კატალონიაში კი "ბარსელონას" მუზეუმი ყველაზე დატვირთული მუზეუმია – წლის განმავლობაში მას დაახლოებით მილიონ ორასი ათასი ადამიანი სტუმრობს. "ბარსელონას" მუზეუმი იქცა ესპანური და სხვა კლუბებისათვის მისაბაძ მაგალითად და კატალონიელთა ბევრმა ინიციატივამ მუზეუმის განვითარებასთან დაკავშირებით გაგრძელება შემდგომში მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში ჰპოვა.

მუზეუმი დაყოფილია სამ ძირითად ნაწილად:

ისტორიული ნაწილი: აქ დაცული ექსპოზიცია ასახავს „ბარსელონას" ისტორიას. „ბარსას" სხვადასხვა გუნდების მიერ მოგებული მნიშვნელოვანი ტიტულები, ფოტოსურათები, სხვადასხვა დროის სპორტული მატიანეები, აუდიოვიზუალური პრეზენტაციები და ასევე უამრავი საჩუქარი, რომელიც მუზეუმის დათვალიერებას ემოციურ მუხტს სძენს.

დროებითი გამოფენები: მუზეუმის ამ განყოფილებაშია კლუბის ისტორიაში სხვადასხვა ღირსშესანიშნავი პიროვნებების რეალური სახეები. მაგალითად: „ხუან გამპერის ექსპოზიცია", რომელიც აღწერს კლუბის დამაარსებლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. აქვეა „ბარსელონას" 50 წლიანი ნეტარება", რომლის საშუალებითაც დამთვალიერებელი შესძლებს თვალი გადაავლოს უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში „ბარსელონას" სტადიონს, რომელიც ამავე დროს კლუბის ერთ–ერთ სიმბოლოდ არის მიჩნეული.

„ბარსას" მუზეუმი მნახველთა რაოდენობით ესპანეთში მესამე ადგილს იკავებს და უსწრებს პიკასოს მუზეუმსა და დალის თეატრ-მუზეუმს.

1.3.5. ავსტრია

ავსტრიის სამუზეუმო ქსელებს შორის ერთ-ერთ უძველეს მუზეუმს წარმოადგენს ვენის **საბუნებისმეტყველო მუზეუმი**, რომელიც გაიხსნა 1889 წელს. მუზეუმს საფუძვლად დაედო ჰასბურგების კერძო კოლექციები. 1750 წელს იმპერატორმა ფრანც პირველმა შეისყიდა იმ დროისათვის უდიდესი კოლექცია, რომელიც 30 ათასზე მეტ ექსპონატს მოიცავდა. მათ შორის იყო უიშვიათესი მინერალები და ძვირფასი ქვები. 1871-1889 წლებში მუზემისათვის აიგო ახალი შენობა.

ევროპის სამუზეუმო ქსელებს შორის ერთ-ერთი უძველესია ვენის **ხელოვნების ისტორიის მუზეუმი**.

ვენის ხელოვნების ისტორიის მუზეუმი

ხელოვნების ისტორიის მუზეუმი ვენაში რინგშტრასეზე მდებარეობს და ერთ-ერთი წამყვანი სახვითი და დეკორატიული ხელოვნების მუზეუმია მსოფლიოში.

მუზეუმი გაიხსნა 1891 წელს, ბუნების ისტორიის მუზეუმთან ერთად ავსტრია-უნგრეთის იმპერატორ ფრანც იოზეფ I-ის მიერ. ორივე მუზეუმს იდენტური ფასადი აქვს და ერთმანეთის პირისპირ დგას მარია-ტერეზიენ-პლაცზე. ორივე შენობა აიგო 1872-1891 წლებში გოტფრიდ სემპერისა და კარლ ფრაიჰერ ფონ ჰაზენაუერის პროექტით.

ორივე მუზეუმი იმპერატორის ხაზინიდან დაფინანსდა ჰაბსბურგის ვრცელი კოლექციის საზოგადოებისთვის გამოფენის მიზნით. შენობების ფასადები ქვიშანარევი ქვით არის მოპირკეთე-

ბული. შენობები მართკუთხა ფორმისაა და თავზე 60 მეტრი სიმაღლის ოქტაგონალური (ოქტაგონი გეომეტრიაში — რვაგვერდა პოლიგონი. წესიერი ოქტაგონის ყველა გვერდი და კუთხე ტოლია) გუმბათი ადგას. შენობების ინტერიერი მოპირკეთებულია მარმარილოთი, გასაოცარი ორნამენტებით, ოქროთი მოვარაყებული და მოხატული, რაც თავად შენობებს ხელოვნების ნიმუშად წარმოაჩენს.

მუზეუმის ძირითადი კოლექცია ჰაბსბურგთა საკუთრებას წარმოადგენდა, განსაკუთრებით ფერდინანდ ტიროლელის პორტრეტთა და საჭურვლის კოლექციები, იმპერატორ რუდოლფ II-ის კოლექციები, და ასევე არქიეპისკოპოს ლეოპოლდ ვილჰელმის ფერწერულ ტილოთა კოლექცია.

ნახატთა გალერეის ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევრებია:

იან ვან ეიკი: „კარდინალი ნიკოლო ალბერგატი", 1438.

ალბრეხტ დიურერი: „სამების გაბრწყინება", 1511.

ჯუზეპე არჩიმბოლდო: „ზაფხული", 1563.

მიქელანჯელო მერისი და კარავაჯო: „როზენკრანცის მადონა", 1606.

„ეკლის გვირგვინით შემოსვა".

„დავით გოლიათის თავით".

პიტერ პაულ რუბენსი: „ილდეფონსოს საკურთხეველი", 1630.

რაფაელი: „მადონა მწვანეში", 1506.

იონ ვერმეერი: „ხელოვანი საკუთარ სტუდიაში", 1665.

პიტერ ბრეიგელი უფროსი: „ბაბილონის გოდოლი", 1563.

„ბაბილონის გოდოლი", პიტერ ბრეიგელი

მუზეუმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სკულპტურა, ბენვენუტო ჩელინის „სალიერა" (სამარილე) 2003 წლის 11 მაისს მოპარულ იქნა. იგი 2006 წლის 21 იანვარს ახლომდებარე ქალაქ ზვეტლთან ტყეში დამარხული იპოვეს (სკულპტურა ყუთში იყო მოთასებული). ეს ავსტრიის ისტორიაში უდიდესი ხელოვნების ნიმუშის გახმაურებელი ქურდობა იყო.

ალბერტინის მუზეუმი განთავსებულია ჰერცოგ ალბრეხტის სასახლეში, ვენის ცენტრში. აქ ინახება მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექცია გრაფიკული ნამუშევრებისა (65 ათასზე მეტი ნამუშევარი). კოლექცია მოიცავს პერიოდს გოთიკიდან თანამედროვეობამდე. მუზეუმი შეიქმნა 1776 წელს. მუზეუმის შექმნას საფუძვლად დაედო ჰერცოგ ალბრეხტის კერძო კოლექციები. 1882 წელს ფონდები გაიხსნა დამთვალიერებლებისათვის.

1919 წელს სამუზეუმო კოლექციები და შენობა გამოცხადდა ავსტრიის რესპუბლიკის საკუთრებად. 1921 წლიდან მუზეუმმა მიიღო მისი დამაარსებლის ალბერტინის სახელი.

ალბერტინის მუზეუმი

მუზეუმში წარმოდგენილია ლეონარდო და ვინჩის, მიქელანჯელოს, რაფაელის, პიტერ პაულ რუბენსის, ოსკარ კოკოშკას, რემბრანდტის, ალბრეხტ დიურერის, გუსტავ კლიმტის, ეგონ შილეს, სეზანის, რაუშენბერგისა და სხვა ცნობილი მხატვრების შედევრები.

ბელვედერის გალერეა სახვითი ხელოვნების ცნობილი მუზე-

უმია ავსტრიაში. მუზეუმი დაფუძნდა ბელვედერის ვენის სასახლეში. სამუზეუმო ფონდებში წარმოდგენილია ფერწერის ნიმუშები შუასაუკუნეებიდან მოყოლებული თანამედროვე პერიოდამდე.

ბელვედერის გალერეა

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე ვენა იქცა გამოყენებითი ხელოვნების მნიშვნელოვან ცენტრად. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა 1897 წელს დაარსებულმა „სეცესიონმა“ – მხატვართა გაერთიანებამ. ამ გაერთიანების დამაარსებლებს შორის იყო მხატვარი გუსტავ კლიმტი. მხატვართა გაერთიანების კოლექციები საფუძვლად დაედო ვენის ხელოვნების გალერეას. მათ შორის იყო ვან გოგის ფერწერული ტილო. 1909 წელს გალერეა გადაკეთდა ავსტრიის სახელმწიფო სამეფო გალერეად. აქ არის განთავსებული კლიმტის 33 ნამუშევარი.

ბროლის იშვიათ ნაკეთობათა კოლექციებს ფლობს **ბროლის მუზეუმი** (ვატენსი). იგი გაიხსნა 1995 წელს ფირმა „სვაროვსკის“ 100 წლის იუბილეზე. აქ წარმოდგენილია არა მხოლოდ ბროლის დამუშავების ისტორია, არამედ ბროლის სხვადასხვა უიშვიათესი ნაკეთობანიც. დღეისათვის მუზეუმი მეორე ადგილზეა დამთვალიერებელთა რიცხვის მიხედვით. მუზეუმს გააჩნია 13 დარბაზი, რესტორანი, „სვაროვსკის“ ყველაზე დიდი მაღაზია. საგამოფენო დარბაზში გამოფენილია ყველაზე მცირე და ყველაზე დიდი ზომის ნაკეთობა. უდიდესი კრისტალის მასა 310 000 კარატია, დიამეტრი – 40 სმ. ყველაზე პატარა კრისტალის დიამეტრი შეადგენს – 0.8 მმ-ს. ისინი შეტანილია გინესის რეკორდების წიგნში.

ბროლის მუზეუმში შესასვლელი

ვენის „მუზეუმების კვარტალში“ შედის ფონდ ლუდვიგის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი.

ლიხტენშტეინის მუზეუმს საფუძვლად დაედო კერძო კოლექციები, რომლებიც 1805 წელს გაიხსნა დამთვალიერებლებისათვის.

უფრო გვიანდელ პერიოდს მიეკუთვნება ლენტოსის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ბაროკოს მუზეუმი, ეთნოლოგიის მუზეუმი და მრავალი სხვა.

1.3.6. შვეიცარია

ცენტრალური ევროპის ერთ-ერთი მაღალგანვითარებული კულტურისა და ეკონომიკის სახელმწიფოა, რომელიც მსოფლიოში ცნობილია უნიკალური კურორტებით და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობით. ცნობისათვის: 2012 წლის მონაცემებით იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლები შვეიცარიაში მოიცავს 11 ძეგლს.

პრეისტორიული ნამოსახლარები ოჩოფეხებზე შემდგარი საცხოვრებლების სერიაა ალპებში, რომლებიც ძვ. წ. 5000 — 500 წლებში აშენდა ტბების, მდინარეებისა და ჭაობების ნაპირებზე. სულ არსებული 111 ძეგლი, რომლებიც მიმოფანტულია ავსტრიაში (5 ძეგლი), საფრანგეთში (11), გერმანიაში (18), იტალიაში (19), სლოვენიასა (2) და შვეიცარიაში (56) 2011 წელს იუნესკომ მსოფლიო

მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეიტანა. ეს ძეგლი ამავდროულად წარმოადგენს მუზეუმს ღია ცის ქვეშ.

ალპების პრეისტორიული ნამოსახლარები

გათხრების შედეგად, რაც მხოლოდ რამდენიმე ძეგლზე ჩატარდა, აღმოაჩინეს მტკიცებულებები, რომელებიც ადასტურებენ ალპური ევროპის დასახლებულობას ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის პერიოდებში და ურთიერთქმედებას მათს გარემოსთან. როგორც იუნესკო აღნიშნავს, დასახლებები უნიკალური და განსაკუთრებული, საუკეთესოდ შემონახული კულტურული და მდიდარი არქეოლოგიური ძეგლებია, რომლებიც წარმოადგენენ ერთერთ უმნიშვნელოვანეს წყაროს რეგიონის ადრეული აგრარული საზოგადოებების შესწავლისას.

ალპების პრეისტორიული ნამოსახლარები

მრავალრიცხოვან კოლექციებს ფლობენ შვეიცარიის ხელოვ-

ნებისა და ისტორიის, კულტურის, პალეონტოლოგიის და სხვა პროფილური მუზეუმები, რომლებშიც დაცულია ეგვიპტის, აზიისა და სამხრეთ ევროპის უძველესი ეპოქების იშვიათი ნიმუშები.

1901 წელს ლიუცერნში შეიქმნა ომისა და მშვიდობის საერთაშორისო მუზეუმი. მისი შექმნის იდეა ეკუთვნის ი. ბლიოხს, რომელიც არის ავტორი წიგნისა „მომავალი ომი ტექნიკურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში“. მუზეუმის ამოცანა იყო ეჩვენებინათ ომი, როგორც პროგრესის დაბრკოლება. მუზეუმში შეიქმნა 12 განყოფილება, მათ შორის 10 – ომის თემაზე: „იარაღის განვითარება“, „სტრატეგია“, „ფლოტი“ და სხვ. მხოლოდ 2 განყოფილება ასახავს მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდს: „პოლიტიკური ეკონომიკა“ და „საერთაშორისო სამართალი“.

1.3.7. იტალია

მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის არქიტექტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენს იტალია.

კაპიტოლიუმის მუზეუმი რომში ერთ-ერთი უძველესი საჯარო მუზეუმია მსოფლიოში. მუზეუმს საფუძველი 1471 წელს ჩაუყარა პაპმა სიქსტ IV-ემ რომაელი ხალხისათვის საჩუქრად გადაცემული კოლექციებით. მუზეუმი განთავსებულია სამ სასახლეში მიქელანჯელოს მიერ დაპროექტებულ კაპიტოლიის მოედანზე.

ახალი სასახლის დიდი დარბაზი

კოლექციებს შორის აღსანიშნავია კაპიტოლიუმის ვენერა (1754 წელს მუზეუმს გადასცა პაპმა ბენედიქტ XIV-ემ), კაპიტოლიუმის „ანტინოე“, ძველრომაული მარმარილოს ქანდაკება, ჰერაკლეს ბრინჯაოს ქანდაკება (პლინიუს უფროსის „ბოტანიკის ისტორიის“ მიხედვით ქანდაკება იდგა გამარჯვებული ჰერკულესის ტაძარში), ძუ მგელის ეტრუსკული ბრინჯაოს ქანდაკება (გადმოცემით დათარიღებულია ძვ.წ. V საუკუნით), ბრუტუსის ეტრუსკული ბრინჯაოს პოტრეტული სკულპტურა (ძვ.წ. III-I სს.), კენტავრების მარმარილოს ქანდაკება (აღმოჩენილ იქნა 1736 წელს, ადრიანეს აგარაკის გათხრებისას), იმპერატორ კონსტანტინეს პორტრეტული გიგანტური ბიუსტი, მარკუს ავრელიუსის ქანდაკება (160-180 წწ.) და სხვა ქანდაკებები.

რომაული ცივილიზაციის მუზეუმი ძველი რომის ისტორიის უდიდეს მუზეუმს წარმოადგენს მსოფლიოში. ექსპოზიცია ძირითადად წარმოადგენს სკულპტურების რეპროდუქციას, რომლებიც მუზეუმის 14 დარბაზშია განთავსებული. მათ შორის, აღსანიშნავია იულიუს კეისარის, ავგუსტუსის, კლავდიუსის, ბრუტუსის, ციცერონის სკულპტურები, ავგუსტუსის, ტრაიანეს, ავრელიუსის მრავალრიცხოვანი მონუმენტების მაკეტები.

ქრისტიანობისადმი მიძღვნილ სექციაში წარმოდგენილია წარწერები, სარკოფაგები, რელიეფური ქანდაკებები და სხვა.

რომაული ცივილიზაციის მუზეუმი

მუზეუმში რომაული ცივილიზაცია წარმოდგენილია სხვადასხვა ასპექტით.

უძველესი ხელოვნების ეროვნული გალერეისთვის შენობა აშენდა 1627-1633 წლებში პაპ ურბან VIII-ს დავალებით.გალერეა-მუზეუმს უკავია ორი ისტორიული შენობა. აქ დაცულია რაფაელის, პუსენის, ტინტორეტოს, ტიციანის, რენის, რუბენსის, მურილიოს და სხვათა ნამუშევრები, აგრეთვე, ძველი ავეჯის იშვიათი ნიმუშები.

თანამედროვე ხელოვნების ეროვნული გალერეა წარმოადგენს სახვითი ხელოვნების მუზეუმს რომში. მუზეუმის 75 დარბაზში განთავსებულია 5 ათასზე მეტი სხვადასხვა ექსპონატი. უმეტესობა ექსპოზიციისა მიეკუთვნება XIX-XX საუკუნეებს.

თანამედროვე ხელოვნების ეროვნული გალერეა

მუზეუმში დაცულია ვან გოგის, პოლ სეზანის, გუსტავ კლიმტის, კლოდ მონეს, ვიტორიო კორკოსის და სხვა ცნობილი მხატვრის შედევრები.

პიტის სასახლე რენესანსის სტილის უზარმაზარი სასახლეა ფლორენციაში. მდებარეობს მდინარე არნოს სამხრეთ სანაპიროზე პონტე ვეკიოს (ძველი ხიდი) სიახლოვეს. სასახლის ძირითადი ნაწილი 1058 წლით თარიღდება და თავდაპირველად ფლორენციელი ბანკირის ლუკა პიტის რეზიდენცია იყო. 1539 წელს მედიჩების ოჯახის მიერ იქნა შესყიდული, როგორც ტოსკანის დიდი საგრაფოს მმართველი ოჯახის ოფიციალური რეზიდენცია.

პალაცო პიტი, იმხანად რეზიდენცია რეალე, მე-20 საუკუნის დასაწყისის დაფერილი ფოტო

მე-19 საუკუნეში პალაცო, იმხანად უდიდესი განძთსაცავი, ნაპოლეონ I-ის მიერ საყრდენ ბაზად იქნა გამოყენებული, მოგვიანებით კი – როგორც გაერთიანებული იტალიის მთავარი სამეფო სასახლე. მე-20 საუკუნის დასაწყისში პალაცო მისი ქონებითურთ სახალხო საკუთრებაში გადასცა მეფე ვიქტორ ემანუელ III-მ და შედეგად სასახლის კარები გაიხსნა საზოგადოებისთვის, როგორც ფლორენციის უდიდესი სამხატვრო გალერეა. ამჟამად რამდენიმე მცირე დანამატის გარდა მედიჩების ოჯახის განძთან ერთად სასახლეში სახალხო ბიბლიოთკაცაა.

უფიცის გალერეა („კანცელარიის გალერეა“) — სასახლე ფლორენციაში, აგებულია 1560-1581 წლებში და ამჟამად ევროპული სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი მუზეუმია.

უფიცის დერეფნის ხედი

უფიცის ისტორია იწყება 1559 წელს, როდესაც ფლორენციის მმართველმა კოზიმო I მედიჩიმ ქალაქის ყველა ადმინისტრაციული სამსახურის გაერთიანება ერთ ვრცელ სასახლეში ჩაიფიქრა. პროექტის რეალიზაციისთვის მოიწვიეს ხელოვანი ჯორჯო ვაზარი, რომელმაც მუშაობა 1560 წელს დაიწყო. თუმცა 1574 წელს ვაზარი გარდაიცვალა და სამუშაო მისმა მოწაფემ ბერნარდო ბუონტალენტიმ დაასრულა. 1575 წელს უფიცის შენობაში დაიწყო მუზეუმის ჩამოყალიბება. მისისაფუძველი მედიჩის საოჯახო კოლექცია გახდა.

მუზეუმის კოლექცია იზრდებოდა მედიჩის დინასტიის დაცემის შემდეგაც. ამჟამად ის მოიცავს ისეთ იტალიელ ხელოვანთ შედევრებს, როგორებიცაა ჯოტო, ბოტიჩელი, ლეონარდო და ვინჩი, რაფაელი, ჯორჯონე, ტიციანი, უჩელო, ფრა ფილიპო ლიპი, ჩიმაბუე, პიერო დელა ფრანჩესკა და სხვანი. აქვეა ანტიკური, ფრანგული, ესპანური, გერმანული, ჰოლანდიური და ფლამადრიული ხელოვნების ნიმუშებიც.

ბორგეზეს გალერეა (რომი) დაარსდა 1903 წელს. გალერეის შენობა აიგო კარდინალ შიპიონ ბორგეზეს თაოსნობით. გალერაში დაცულია გერმანიის, საფრანგეთის, ესპანეთის, ჰოლანდიის ცნობილი მხატვრების ნამუსევრები. გალერეის საკუთრებაშია ტიციანის შედევრი „მიწიერი და ციური სიყვარული“ (ასევე ვენერა და პატარძალი), რომელიც 1513–1514 წლებში შექმნა მხატვარმა. ამ ტილოს ხატვისას ტიციანი 25 წლის იყო. სურათი ტიციანს დაუკვეთა

ვენეციის ათიანის საბჭოს მინისტრმა, ნიკოლო აურელიომ, რომელსაც ის საქორწინო საჩუქრად სურდა თავისი ახალგაზრდა საცოლისთვის, ქვრივი ლაურა ბაგაროტოსთვის.

ბორგეზეს გალერეა

სურათის სახელწოდება „მიწიერი და ციური სიყვარული“ ავტორს არ დაუქმევია. ეს სახელი ორი საუკუნის შემდეგ დაერქვა. ბორგეზეს გალერიის კატალოგის მიხედვით 1613 წელს ტილოს სახელი იყო „სილამაზე“ და „სამი სახის სიყვარული“ (1650 წელს). საბოლოოდ, კი, 1792-1833 წლებიდან „მიწიერი და ციური სიყვარულით“ მოიხსენიებენ.

1608 წელს ნახატი შეისყიდა იტალიელმა კოლექციონერმა კარდინალმა შიპიონე ბორგეზემ, რის შემდეგაც გამოფენილია ბორგეზეს გალერეაში, რომში. 1899 წელს მაგნატმა, როტშილდმა გალერეას ტიციანის ამ ნახატში 4 მილიონი ლირა შესთავაზა (უფრო მეტი ვიდრე მთელი ბორგეზეს გალერიის შენობა და კოლექცია, რომელიც შეფასებულია 3 600 000 ლირად), რაზეც უარი მიიღო.

ეროვნული არქეოლოგიის მუზეუმი (ნეაპოლი) ანტიკური ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმია იტალიაში. დაარსდა XVIII საუკუნეში. მუზეუმში თავმოყრილია ფარნეზეს, ბორჯას და სხვა ოჯახთა კოლექციები, აგრეთვე სამხრეთ იტალიაში (ძირითადად პომპეიში და ჰერკულანუმში) არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი ძეგლები, ქანდაკების (უმთავრესად რომის), ფერწერის (ფრესკები, მოზაიკები), დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, ნუმიზმიტიკის მდიდარი კოლექციები.

ალექსანდრე მაკედონელის მოზაიკის ფრაგმენტი. პომპეი

ეს მუზეუმი სხვადასხვა ეპოქის მრავალრიცხოვანი კოლექციებითაა ცნობილი. მათ შორის, საინტერესოა საიდუმლო კაბინეტი, რომელიც გაიხსნა 1819 წელს. აქ დაცულია წინაანტიკური ეპოქის ეროტიკული და პორნოგრაფიული ხასიათის რელიეფური ქანდაკებების, ფერწერის, წარწერების იშვიათი ნიმუშები, რომლებიც აღმოჩენილია პომპეიში.

საიდუმლო კაბინეტის კოლექციების დათვალიერება ადრე საზოგადოების ძალიან ვიწრო წრისათვის იყო ნებადართული, ისიც მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ შეზღუდულ დროში. უკანასკნელად კაბინეტი გაიხსნა 2000 წელს, მცირე ხნით და ისევ ვიწრო წრისათვის. ამჟამად კაბინეტი დაკეტილია.

ანტიკურ ქალაქ-მუზეუმს წარმოადგენს პომპეი, რომელიც განადგურდა ქალაქ ჰერკულანუმთან ერთად ახ.წ. 79 წლის 24 აგვისტოს ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შემდეგ. ქალაქი საუკუნეების მანძილზე ვულკანური ფერფლით იყო დაფარული. პომპეი მდებარეობს იტალიაში თანამედროვე ნეაპოლთან ახლოს, ნეაპოლის ყურეში.

ქალაქი პომპეი აღმოაჩინეს 1748 წელს. მას შემდეგ, როგორც ანტიკური ქალაქის ყველაზე უკეთ შენახული ნანგრევები, იგი ანტიკური სამყაროს შესწავლის უმნიშვნელოვანეს წყაროს წარმოადგენს. ქალაქის სისტმატური შესწავლა მხოლოდ 1860 წლიდან დაიწყო იტალიელი ჯუზეპე ფიორელის ხელმძღვანელობით და ეს კვლევა დღემდე გრძელდება. ფიორელიმ მთელი ტერიტორია კვადრატებად დაანაწილა (ამ მეთოდს დღესაც იყენებენ), თითოეული აღმოჩენილი სახლის კარი დანომრა, ხოლო ფერფლსა და ლა-

ვაში გაჩენილი სიცარიელე თხევადი თაბაშირით ამოავსო. ამით შესაძლებელი გახდა კატასტროფის შედეგად დაღუპული და გაქვავებული ადამიანებისა და ცხოველების ანაბეჭდების აღება.

ვეზუვის ხედი პომპეიდან

1997 წელს, ქალაქის ნაშთები ჰერკულანუმთან და ტორე-ანუნციატასთან ერთად, იუნესკომ მსოფლიო მემკვიდრეობის სიაში შეიტანა.

„ვილა ჯულიას“ ეროვნული მუზეუმი განთავსებულია რომის პაპების საზაფხული რეზიდენციაში. მუზეუმი დღეს წარმოადგენს ეტრუსკული ხელოვნების განძთსაცავს. მუზეუმის შენობა აგებულია 1550-1555 წლებში. მუზეუმი დაფუძნდა 1889 წელს. ექსპოზიციაშია ეტრუსკული სარკოფაგები, ბიუსტები, შენობათა მაკეტები.

„ვილა ჯულიას“ ეროვნული მუზეუმი

მეუღლეთა სარკოფაგი

აღმოსავლური ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (რომი) დაარსდა 1957 წელს.მუზეუმი ნეპალში, პაკისტანში, ირანში, ავღანეთში, ტიბეთში არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგად მოპოვებულ მნიშვნელოვან ექსპოზიციებს ფლობს ბუდიზმის ისტორიისა და აღმოსავლეთის ქვეყნების კულტურის შესახებ, რომლებიც განთავსებულია 14 საგამოფენო დარბაზში.

აღმოსავლური ხელოვნების ეროვნული მუზეუმი

სრულიად ახალ მუზეუმს წარმოადგენს **XXI საუკუნის ხელოვნების მუზეუმი**. მუზეუმი არის როგორც მუნიციპალური, ასევე ეროვნული (ცენტრალური). მუზეუმის შენობა აიგო ზაჰი ჰადიდის (არაბული წარმომავლობის ბრიტანელი არქიტექტორი) პროექტით, რომლის ღირებულება შეადგენს 150 მილიონ ევროს. 2010 წელს ავტორმა მიიღო დიდი ბრიტანეთის სტირლინგის პრემია საუკეთესო პროექტისათვის.

პიგორინის მუზეუმი დაფუძნდა 1876 წელს. იგი წარმოადგენს წინაისტორიული ეპოქის მნიშვნელოვან კვლევით ცენტრს.

იტალიის **მინის მუზეუმი** დაფუძნდა 1861 წელს. ოფიციალურად მისი გახსნის თარიღად მიჩნეულია 1923 წელი, როცა კუნძული

მურანო გადაეცა ვენეციას. აქ დაცულია თითქმის ყველა ეპოქის მინის ნაკეთობანი.

იტალიის **ეროვნული სახვითი ხელოვნების მუზეუმი** მდებარეობს ბოლონიის საუნივერსიტეტო კვარტალში. მუზეუმის ფონდებში დაცულია XIII-XVIII საუკუნეების ხელოვნების ნიმუშები. პირველი ექსპონატები 1762 წელს განთავსდა სანტა მარია მაგდალენას დანგრეულ ეკლესიაში, რომელიც სპეციალურად გადაკეთდა ექსპონატების შესანახ ადგილად.

ეროვნული სახვითი ხელოვნების მუზეუმი. ბოლონია

დროთა განმავლობაში მუზეუმის ფონდები შეივსი კერძო კოლექციებით. მოგვიანებით მუზეუმმა სხვა შენობაში დაიდო ბინა, რომელიც 1726 წელსაა აგებული. ამჟამად მუზეუმი იტალიის საუკეთესო მუზეუმთა შორისაა. აქ ინახება რაფაელის, ელ გრეკოს, ჯოტოს, ჯორჯო ვაზარის, დომენიკის, ლორენცო და მონაკოს და სხვა ცნობილი მხატვრების შედევრები.

იტალიის სხვა სამუზეუმო ღირსშესანიშნაობებს შორის ცნობილია ხელოვნების აკადემია ბერგამოში, სან სეველროს კაპელა ნეაპოლში, ნეაპოლის სამეფო სასახლის მუზეუმი, კაპოდიმონტეს ეროვნული მუზეუმი და გალერეა ნეაპოლში, მილანის თანამედროვე ხელოვნების გალერეა, ისტორიული მუზეუმი ალფა რომეო მილანში, გენუის მსოფლიო კულტურის მუზეუმი, ზეთისხილის ხისა და ზეთის სპეციალიზირებული მუზეუმი ტორჯანოს კომუნაში, ეგვიპტური ცივილიზაციის მუზეუმი ტურინში და სხვა.

1.3.8. საბერძნეთი

ძველბერძნულმა ცივილიზაციამ მრავალი ქვეყნის კულტურისა და ხელოვნების განვითარებაზე მოახდინა გავლენა. ანტიკური საბერძნეთი სამართლიანად ითვლება კლასიკური ხელოვნებისა და გონის მსოფლიო ცენტრად.

მართალია, ძველბერძნული კულტურის ნიმუშები მსოფლიოს ცნობილ მუზეუმებს ამშვენებს, მაგრამ საბერძნეთის მუზეუმებიც არ განიცდიან ეროვნული საგანძურის ნაკლებობას.

ათენის ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი საბერძნეთის უდიდესი და ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მუზეუმია. მასში მოთავსებულია საბერძნეთის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული ყველაზე მნიშვნელოვანი ნივთები წინაისტორიიდან გვიანდელ ანტიკურობამდე. იგი ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს მუზეუმად. აქ მოთავსებულია ბერძნული ანტიკური ხანის მსოფლიოში უმდიდრესი კოლექცია. მდებარეობს ცენტრალურ ათენში.

ათენის ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი

საბერძნეთის ერთ-ერთ უძველეს მუზეუმად არის მიჩნეული ათენის **ნუმიზმატიკის მუზეუმი.** აქ დაცულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მონეტების უმდიდრესი კოლექციები. მუზეუმი დაარსდა 1838 წელს. 1843 წლიდან მუზეუმი საბერძნეთის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ერთად განთავსებული იყო ათენის უნივერსიტეტის შენობაში.

ნუმიზმატიკის მუზეუმი (ათენი)

1856 წლიდან მუზეუმის ფონდების გაფართოებამ ხელი შეუწყო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის განვითარებას. 1890 წელს მოეწყო მონეტების პირველი გამოფენა, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. 1893 წელს მუზეუმმა მიიღო დამოუკიდებელი მუზეუმის სტატუსი. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სამუზეუმო განძი, უსაფრთხოების მიზნით, გადატანილ იქნა ბანკის საცავებში. 2003 წელს მუზეუმს ახალი შენობა (ილიონის სასახლე, ჰაინრიხ შლიმანის ყოფილი რეზიდენცია) გადაეცა. შენობა 1881 წელს არის აგებული აღორძინებისა და ნეოკლასიციზმის არქიტექტურულ სტილში. მუზეუმი ინახავს 500 ათასზე მეტ ექსპონატს (მონეტები, მედლები, ოფიციალური ბეჭდები, ძვირფასი ქვები). უძველესი ექსპონატები დათარიღებულია ძვ.წ. XIV საუკუნით. ექსპოზიციები დალაგებულია ქვეყნებისა და ეპოქების მიზედვით. მუზეუმის ბიბლიოთეკაში დაცულია ნუმიზმატიკის ისტორიაზე შექმნილი 12 ათასზე მეტი დასახელების წიგნი. მუზეუმთან ფუნქციონირებს სარესტავრაციო სახელოსნო, კაფე და მაღაზია.

მკვლევართა შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს ათენის **ეპიგრაფიკული მუზეუმი** რომელიც შეიქმნა 1885 წელს. აქ დაცულია სხვადასხვა ეპოქის ეპიგრაფიკული წარწერების ისტორიული ღირებულების კოლექცია. მუზეუმის ექსპონატები მრავალფეროვნებითა და სიდიდით (დაცულია 14 ათასამდე ეპიგრაფიკული წარწერა) ითვლება მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს მუზეუმად. მუზეუმი განთავსებულია შენობაში, რომელიც აგებულია 1874 წელს.



ეპიგრაფიკული მუზეუმი (ათენი)

მუზეუმის ფონდებში დაცულია ძველი საბერძნეთის სხვადასხვა ეპოქის ბერძნული წარწერები. აქვეა ლათინური, ებრაული და სხვა ხალხთა ეპიგრაფიკის ნიმუშები.

ირაკლიონის **არქეოლოგიური მუზეუმი** ერთი-ერთი უდიდესი მუზეუმია საბერძნეთში და საუკეთესო მსოფლიოში. მუზეუმი ეძღვნება მინოსური ეპოქის კულტურას. აქ განთავსებულია მინოსური კრეტის ცივილიზაციის საუკეთესო ნიმუშები. მუზეუმის ისტორია იწყება 1883 წლიდან.

ირაკლიონის მუზეუმი

მუზეუმში 20 საგამოფენო დარბაზია. გარდა მინოსური კულტურისა, მუზეუმში წარმოდგენილია ადრეული და გვიანდელი ეპოქის კულტურების ნიმუშები.

მუზეუმის სიამყედ ითვლება მსოფლიოში ცნობილი **ფესტოს დისკო,** რომელიც უცნაურ არქეოლოგიურ აღმოჩენას მიეკუთვნება. მისი დანიშნულება და მნიშვნელობა, ასევე მისი თავდაპირველი გეოგრაფიული წარმოშობის ადგილი დღემდე კამათის საგანია, რაც მას არქეოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე განთქმულ საიდუმლოს სტატუსს ანიჭებს. ეს არის პირველი, დღეისთვის ცნობილი, ჩვენამდე მოღწეული არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც მრავალჯერადი გამოყენების ნიშან-ყალიბებით შეიქმნა.

ფესტოს დისკო

ფესტოს დისკო 1908 წელს იტალიელმა არქეოლოგმა ლ. პერნიემ აღმოაჩინა საბერძნეთში, კუნძულ კრეტაზე, არქეოლოგიურ ქალაქ ფესტოსში. დისკი პირობითად დათარიღებულია ძვ. წ. 1850-1600 წლებით. ეს უნიკალური განძი ამჟამად გამოფენილია ჰერაკლიონის არქეოლოგიურ მუზეუმში კრეტაზე.

ფესტოს დისკოს მსგავსი თიხის ფირფიტის ფრაგმენტი 1992 წელს ნაპოვნი იქნა ვლადიკავკაზში, ერთ-ერთი ძველი სახლის სარდაფში. რუსმა მეცნიერმა ვლ. კუზნეცოვმა მას „კავკასიის არქეოლოგიური გამოცანა" დაარქვა, თუმცა თავად ფირფიტის ორიგინა-

ლობა ზოგიერთმა მეცნიერმა ეჭვქვეშ დააყენა.

ამ დრომდე ფესტოს დისკოს ნიშანთა კომპლექსის გაშიფვრის მცდელობები ხდებოდა ძველი ენებით (მაგალითად, ბერძნული დიალექტები, ხეთური, ეგვიპტური, სემიტური და მისთ.). დისკს იკვლევდნენ მსოფლიოს გამოჩენილი ენათმეცნიერები და ეთნოგრაფები. 1988 წელს ბუდაპეშტში საერთაშორისო კონგრესზე უნგრელმა ენათმეცნიერმა ჰ. ზებიშმა წამოაყენა ფესტოს დისკოს წარწერის ქართველური წარმომავლობის ჰიპოთეზა. მისი მტკიცება ემყარებოდა მოსაზრებას, რომ წინარებერძნული მოსახლეობის ენა, კერძოდ პელაზგური, ქართველურ ენათა დედაა. ამგვარი ნათესაობის შესახებ მანამდე ჰიპოთეზები წამოაყენეს ენათმეცნიერებმა ვ. ჰუმბოლდტმა, პ. კრეჩმერმა, ა. მეიემ, ედ. შვიცერმა, ფ. შახერმეირმა, ს. ყაუხჩიშვილმა, ს. ჯანაშიამ, ვლ. გეორგიევმა, აკ. ურუშაძემ, ედ. ფურნეემ და სხვებმა.

ჩამოთვლილი გაშიფვრის მცდელობები კატეგორიზებულია ლინგვისტურსა (რომელიც შრიფტის ენის ამოცნობას ცდილობს) და არალინგვისტურ გაშიფვრაში. წმინდა ლოგოგრაფიული წაკითხვა არ მიიჩნევა ლინგვისტურად, მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება ამოიცნოს წარწერის მნიშვნელობა, ის არ იძლევა დაწერის ენის იდენტიფიცირების საშუალებას.

ფესტოს დისკოს ასლი

2008 წლის 1 ნოემბერს, ლონდონში, ბარლინგტონის სასახლეში, დიდი ბრიტანეთის ხელოვნების სამეფო აკადემიაში გამართულ ფესტოს დისკოს აღმოჩენიდან 100 წლის იუბილეზე, ქართველმა

მეცნიერმა, მათემატიკოსმა გიორგი კვაშილავამ გაამყარა დოქტორ ჰ. ძებიშის და სხვა გამოჩენილ მეცნიერთა ჰიპოტეზა. კომპიუტერული ანალიზის მეშვეობით, რომელსაც მხოლოდ პროტოქართული ენა მიესადაგა – გაიშიფრა ფირფიტაზე ნახატ-ნიშნებით დატანილი ტექსტი, რომელიც უძველეს ქართულ ენაზეა დაწერილი. დისკზე გაშიფრული უძველესი საგალობელი „ნენანა" პელაზგურ-კოლხური ნაყოფიერების დედაღვთაება ნანას ეძღვნება. მასში გამოყენებულ სიტყვებს კი დღემდე იყენებენ სვანეთში, სამეგრელოსა და ლაზეთში.

ათენის ეროვნული ისტორიის მუზეუმი მდებარეობს საბერძნეთის ყოფილი პარლამენტის (1875-1923 წწ.) შენობაში. ამიტომაც შენობას არც თუ იშვიათად უწოდებენ საბერძნეთის ძველ პარლამენტს.

ათენის ეროვნული ისტორიის მუზეუმი. თეოდოროს კოლოკოტრონოსის ძეგლი

1961 წელს განხორციელდა შენობის რეკონსტრუქცია და განთავსდა ისტორიისა და ეთნოგრაფიის საზოგადოების მუზეუმი, რომელიც დაარსდა 1882 წელს. მუზეუმის კოლექციები მანამ განთავსებული იყო ტექნიკური უნივერსიტეტის შენობაში. სამუზეუმო ფონდებშია დაცული ნივთები მიეკუთვნება პერიოდს 1453 წლიდან მეორე მსოფლიო ომამდე.

ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის მნიშვნელოვან საგან-

ძურს წარმოადგენს **ათენის ხალხური ინსტრუმენტების მუზეუმი.** აქ დაცულია 1200-ზე მეტი ეროვნული მუსიკალური ინსტრუმენტი, რომლებიც შეგროვებულია ბერძენი მკვლევარების მიერ.

ხალხური ინსტრუმენტების მუზეუმი

მუზეუმთან გახსნილია ეროვნული მუსიკის კვლევის ცენტრი, რომელიც მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს მუსიკალური კულტურის ისტორიისა და ტრადიციების შესასწავლად.

სალონიკის არქეოლოგიის მუზეუმი ინახავს სხვადასხვა ეპოქის არქოლოგიურ ნიმუშებს. მუზეუმი გაიხსნა 1962 წელს. მუზეუმის მშვენებაა ბერძნული კრატერი და სხვა უიშვიათესი ნიმუშები არქაიკის პერიოდიდან გვიან რომაულ პერიოდამდე.

კრატერი. სალონიკის არქეოლოგიის მუზეუმი

ფერწერისა და სცენოგრაფიის მუზეუმი განთავსებულია პირეის მუნიციპალურ თეატრში. მუზეუმის შექმნას საფუძვლად დაედო ცნობილი დეკორატორისა და თეატრის მხატვრის, ოპერის სცენოგრაფის პანოს არავანტინოსის ნამუშევრები, რომლებიც მხატვარმა უსახსოვრა მუზეუმს.

ფლორინის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი მდებარეობს დასავლეთ მაკედონიაში. მუზეუმი შეიქმნა 1977 წელს. მუზეუმში დაცულია ფერწერის, სკულპტურისა და გრავიურის ნიმუშები.

აკროპოლისის მუზეუმი

აკროპოლისის მუზეუმი პირველად გაიხსნა 1874 წელს. აკროპოლისის გორაზე შენობა აიგო ათენში ნაპოვნი არქეოლოგიური ნივთების გამოფენისთვის. მუზეუმში განთავსებულია 350 ქანდაკება. ბერნარდ ჩუმის პროექტით აგებული ახალი მუზეუმი აკროპოლისის ქვემოთ მდებარეობს. მშენებლობის ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა არისტოტელეს უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, არქეოლოგი დიმიტრიოს პანდერმალისი. აკროპოლისის ახალი მუზეუმის მშენებლობაზე დაიხარჯა 180 მილიონი დოლარი.

ბიზანტიის მუზეუმი

ბიზანტიის მუზეუმი (ათენი) გაიხსნა 1914 წელს. მუზეუმი განთავსებულია ჰერცოგ დე პლეზანსის ვილაში. მუზეუმი ინახავს ბიზანტიის ეპოქის და ქრისტიანობის მატერიალური კულტურის მნიშვნელოვან ძეგლებს. მათ შორისაა სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოტანილი ხატები და საიუვილირო ნაკეთობანი.

საინტერესო ექსპოზიციებს შეიცავს საბერძნეთის **ბავშვთა მუზეუმი**, რომელიც გაიხსნა 1987 წელს. მუზეუმში დაცულია საბერძნეთის სხვადასხვა რეგიონის 14 წლამდე ასაკის ბავშვთა შემოქმედებაის ნიმუშები.

ბავშვთა მუზეუმი. ათენი

მუზეუმი გარდა გამოფენებისა კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამებსაც ახორციელებს, რითაც მუზეუმის მუშაობას უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის დამთვალიერებლებისათვის. შენობა მუზეუმისათვის სპეციალურად დაპროექტდა ბავშვთა ასაკის და მუზეუმის თავისებურების გათვალისწინებით.

ბერძნული ხალხური შემოქმედების მუზეუმი (1918 წ.), ბენაკის მუზეუმი (1930 წ.), სამხედრო მუზეუმი (1975 წ.), ათენის უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმი (1987 წ.), სამხედრო ავიაციის მუზეუმი (1992 წ.), სალონიკის მუზეუმები და სხვ.დ სრულად წარმოაჩენენ ბერძნული ცივილიზაციის წვლილს მსოფლიო კულტურის განვითარებაში.

1.3.9. პოლონეთი

სამუზეუმო ქსელის განვითარება ევროპის ქვეყნებში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, ძირითადად, XIX საუკუნეს უკავშირდება. ამ პერიოდში თითქმის ყველა ქვეყანაში იქმნება სამუზეუმო დაწესებულებები. მათ შორისაა პოლონეთი.

პოლონეთის **ეროვნული მუზეუმი** ერთ-ერთი დიდი სამხატვრო მუზეუმია, რომელიც დაარსდა 1879 წელს (მთავარი შენობა აგებულია 1936-1950 წლებში). მუზეუმში თავმოყრილია პოლონეთის XIV-XX საუკუნეების სახვითი ხელოვნებისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, აგრეთვე, შორეული აღმოსავლეთისა და ევროპის ფერწერის, გრაფიკის ნიმუშები.

პოლონეთის ეროვნული მუზეუმი

პოლონეთში, გარდა დარგობრივი მუზეუმებისა, დიდი პოპულარობით სარგებლობს ეთნოგრაფიული მუზეუმები ღია ცის ქვეშ. განსაკუთრებით აღსანიშნავია **დიდი პოლონეთის ეთნოგრაფიული მუზეუმ**ი, რომელიც მდებარეობს ლედნიცის ტბის პირას. აქ განთავსებულია პოლონეთის მატერიალური და სულიერი კულტურის, ეროვნული არქიტექტურის ნიმუშები.

პოლონეთის მუზეუმი ღია ცის ქვეშ

მუზეუმები ღია ცის ქვეშ პოლონეთში ათზე მეტია. ისინი კარგად წარმოაჩენენ პოლონეთის ეროვნულ ყოფასა და ტრადიციებს.

თანამედროვე ხელოვნების საუკეთესო ნიმუშებია წარმოდგენილი კრაკოვის მუზეუმში, რომელიც ცნობილია, აგრეთვე, ხელოვნების ბიბლიოთეკით.

ექსპოზიციის ფრაგმენტი. კრაკოვის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი

1.3.10. შვედეთი

შვედეთის დედაქალაქი სტოკჰოლმი, თუკი შეიძლება ასე ითქვას, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე სამუზეუმო ქალაქია. აქ სულ 70 მუზეუმია, რომელთაც ყოველწლიურად 9 მლნ. დამთვალიერებელი ჰყავს.

ყველაზე ძველი **შვედეთის ეროვნული მუზეუმია** (დაარსდა 1792 წელს), სადაც ხელოვნების ნიმუშების უდიდესი რაოდენობაა თავმოყრილი: 16 ათასამდე ტილო და ხელით შექმნილი 30 ათასზე მეტი სხვადასხვა სახის ნამუშევარი. კოლექციის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს გუსტავ ვასას პერიოდი, ანუ XVI საუკუნე. აქ დაცულია მსოფლიოში ცნობილი ფერმწერების: რემბრანდტის, ანტუან ვატოს და სხვათა ნამუშევრები.

შვედეთის ეროვნული მუზეუმი

მუზეუმში ასევე წარმოდგენილია ალექსანდრე როსლინის, ანდერს ზორნის, იუჰან სერგელის, კარლ ლარსონის, კარლ ფრიდრიჰ ჰილის და ერნსტ იუზეფსონის ნამუშევრები.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი წარმოადგენს შვედეთის ერთ-ერთ სიამაყეს. აქ დაცულია სალვადორ დალისა და პაბლო პიკასოს ტილოები.

თანამედროვე საზოგადოების ინტერესი წარსული ყოფის ამსახველი სამუზეუმო ადგილებისადმი და ეროვნული ნაკრძალებისადმი დღითიდღე იზრდება. ქალაქური, ურბანული ცხოვრებითა და სტრესებით დამძიმებულ ადამიანებს დასვენებისა და განტთვირთვის საუკეთესო საშუალებად მიაჩნიათ ამ ტიპის მუზეუმებში დასვენება.

ღიაცისქვეშა მუზეუმები აგროვებენ და თავიდან აგებენ ძველ შენობებს იმ დროისთვის შესაფერისი ბუნებრივი გარემოს შეხამებით. პირველი ასეთი გარე მუზეუმი იყო მეფე ოსკარ II-ის კოლექცია ოსლოსთან (ნორვეგია), რომელიც 1881 წელს გაიხსნა.

გარე (ღია ცის ქვეშ) მუზეუმთა უმრავლესობა მდებარეობს ისეთ რეგიონებში, სადაც ისტორიულად ხის არქიტექტურა ბატონობდა. ამასთან, ხის სტრუქტურების გადატანა შედარებით ადვილია მისი თავდაპირველი ღირებულების დაურღვევლად.

1891 წელს ართურ ჰაზელიუსმა სტოკჰოლმთან დააფუძნა

ცნობილი სკანსენი, რომელიც შემდგომში ამგვარი გარე მუზეუმების მოდელი გახდა თვის ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში, მოგვიანებით კი დანარჩენ მსოფლიოში.

სკანსენის მუზეუმი ღია ცის ქვეშ მოწყობილ მუზეუმებს შორის, ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო მუზეუმ-პარკად ითვლება ღია ცის ქვეშ.

სკანსენის რუკა

სკანსენი ეწოდა ღია ცის ქვეშ მოწყობილ ეთნოგრაფიულ კომპლექს-მუზეუმს სტოკჰოლმის გარეუბნის სახელის მიხედვით, სადაც პირველად მოაწყვეს ასეთი მუზეუმი. აქ ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილი და გამართულია საცხოვრებელი და დამხმარე ნაგებობანი. ეთნოგრაფიულ მუზეუმში XVIII-XX საუკუნეების 150 სახლია განთავსებული. მუზეუმს სხვანაირად „მინი შვეციას“ უწოდებენ. მუზეუმი განთავსებულია 300 ათასი კვ. მ. ტერიტორიაზე.

სკანსენის კუთხე

მუზეუმის ეთნოგრაფიულ კუთხეებში მოწყობილია ქვეყნის ყველა კუთხის მეურნეობა, სადაც უვლიან შინაურ და გარეულ ცხოველებს, ფრინველებს, იქვე მოჰყავთ ბოსტნეული, უვლიან ხილის ბაღებს. ძველი ტექნოლოგიებით ამზადებენ საკვებს, რომლებსაც ამ ეთნოგრაფიულ სახლებშივე, შუასაუკუნეების სამოსით მორთული მომსახურე პერსონალი დამთვალიერებლებზე ჰყიდის.

სკანსენის ეთნოგრაფიული სახლი სამზარეულოთი

მუზეუმში ბავშვებისათვის მოწყობილია ბავშვთა დასვენების ცენტრი, სადაც არის გასართობი დარბაზი, ზოოლოგიური კუთხე, კინოდარბაზი, სასადილო დარბაზი, საძინებლები, რომლებსაც ემსახურებიან კვალიფიციური სპეციალისტები. ერთი სიტყვით, ბავშვებისათვის ყველა პირობაა შექმნილი, მშობლების გარეშე გაერთონ და დაისვენონ. მშობლებს, რომლებიც სკანსენის მუზეუმში მოდიან დასასვენებლად, შეუძლიათ ბავშვები დატოვონ ბავშვთა ცენტრში და თავად თავისუფლად გაატარონ დრო.

დამთვალიერებლებს შეუძლიათ შეიხედონ სამჭედლოში, საცხობებში, სახელოსნოებში და დააკვირდნენ მუშაობის პროცესს.

მუზეუმის ტერიტორიაზე მთელი წლის განმავლობაში იმართება ფოლკლორული ფესტივალები, კინოკონკურსები, პოპულარული მუსიკის კონცერტები და სხვა.

1.3.11. ჩეხეთი

ჩეხეთის **ეროვნული მუზეუმი** ყველაზე უდიდესი მუზეუმია პრაღაში. იგი დაარსდა XIX საუკუნის დასაწყისში. შენობა აიგო 1885-1890 წლებში.

მუზეუმის მონუმენტური შენობა (სიმაღლე 70 მ. ფასადის სიგანე 100 მ.) ჩეხეთის ეროვნულ სიამაყედ ითვლება. მუზეუმის წინ დგას წმინდა ვაცლავის ძეგლი, რომელმაც ჩეხეთში ეროვნული კულტურის აღორძინებას დაუდო სათავე. მუზეუმის კოლექციების რიცხვის ზრდამ მოგვიანებით განაპირობა ეროვნული მუზეუმის ბაზაზე შექმნილიყო ახალი, დამოუკიდებელი მუზეუმები.

ეროვნული გალერეა უდიდესი სამხატვრო მუზეუმია ჩეხეთში, რომელიც დაარსდა 1949 წელს ხელოვნების პატრიოტ მეგობართა საზოგადოების კოლექციის (დაარსდა 1796), თანამედროვე ხელოვნების გალერეის (დაარსდა 1901) და ეროვნული მუზეუმისა და უნივერსიტეტის ბიბლიოთკის გრაფიკული კოლექციების ბაზაზე. გალერეის საკუთრებაშია ჩეხეთის ეროვნული კულტურის მნიშვნელოვანი ნიმუშები. გალერეაში დაცულია აგრეთვე, უცხოეთის არაერთი ღირსშესანიშნავი ძეგლი.

ეროვნული მუზეუმი. პრაღა

1.3.12. უნგრეთი

უნგრეთის **ეროვნული მუზეუმი** ერთ-ერთი მთავარი მუზეუმია ბუდაპეშტში. მუზეუმი შეიქმნა 1802 წელს, გრაფ ფერენც სეჩენის ხელნაწერების, მონეტებისა და წიგნების კოლექციების ბაზაზე.

უნგრეთის ეროვნული მუზეუმის ინტერიერი

დღეისათვის მუზეუმის საკუთრებაშია მილიონზე მეტი ექსპონატი. მუზეუმის კოლექციებს წარმოადგენს უნგრეთის ისტორიისა და ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმში დაცულია ბეთჰოვენისა და ლისტის როიალები, მოცარტის კლავიკორდი (სიმებიან-კლავიშებიანი საკრავი, ფორტეპიანოს ერთ-ერთი წინამორბედი ინსტრუმენტი), მარია ანტუანეტას (საფრანგეთის დედოფალი) არფა.

მუზეუმი განთავსებულია უმშვენიერეს არქიტექტურულ შენობაში (პროექტის ავტორი მიხაი პოლაკი). ამ შენობის კიბეებზე 1848 წელს, პოეტმა შანდორ პეტეფმა წარმოსთქვა თავისი „ეროვნული სიმღერა“ და ხალხს რევოლუციისაკენ მოუწოდა (1849 წელს, 26 წლის ასაკში დაიღუპა მეფის რუსეთის კაზაკებთან ბრძოლაში).

მსოფლიოს ტექნიკურ მუზეუმებს შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს ბუდაპეშტის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუზეუმს. მუზეუმი დაარსდა 1992 წელს. იგი განთავსებულია რკინიგზის დეპოს ძველ რეკონსტრუირებულ შენობაში. ხუთ დარბაზსა და ღია მოედანზე განთავსებულია 60-ზე მეტი ექსპონატ: სატრანსპორტო საშუალებათა ნიმუშები.

უნგრეთი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ცნობილია სამუზეუმო ქსელის მრავალფეროვანებით. უმდიდრეს კოლექციებს ფლობს უნგრეთის ეროვნული გალერეა (100 ათასზე მეტი ექსპონატი), გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, ბუდაპეშტის ისტორიის მუზეუმი და სხვ.

1.3.13. რუმინეთი

ყველაზე ცნობილ და უდიდეს სამუზეუმო დაწესებულებას რუმინეთში წარმოადგენს ბრუკენტალეს ეროვნული მუზეუმი. მასში გაერთიანებულია ბრუკენტალეს სახვითი ხელოვნების გალერეა, ისტორიის მუზეუმი, საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმი, სააფთიაქო საქმის მუზეუმი, ნადირობის ისტორიის ამსახველი მუზეუმი და ბიბლიოთეკა.

ბრუკენტალეს ეროვნული მუზეუმის სახვითი ხელოვნების გალერეა

ეროვნული ხელოვნების მუზეუმი რუმინეთის გამოყენებუთი ხელოვნების უდიდეს მუზეუმს წარმოადგენს. იგი დაფუძნდა 1950 წელს. მუზეუმი მდებარეობს ქვეყნის დედაქალაქ ბუქარესტში, რევოლუციის მოედანზე, ყოფილი სამეფო სასახლის შენობაში. მუზეუმის ექსპოზიციები მოიცავს, როგორც რუმინეთის, ასევე ევროპის ქვეყნების ეროვნული ხელოვნების 60 ათასზე მეტ ნიმუშს, მათ შორისაა ცნობილი მხატვრების: ელ გრეკოს, მონეს, რუბენსის, რემბრანდტის, რეპინის, სეროვის, აივაზოვსკის და სხვათა შედევრები.

რუმინეთის ეროვნული ხელოვნების მუზეუმი

1.3.14. სერბეთი

სერბეთის ეროვნული მუზეუმი მდებარეობს ბელგრადში. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს სამუზეუმო დაწესებულებას აღმოსავლეთ ევროპაში. მუზეუმი დაფუძნდა 1844 წელს. მუზეუმის ექსპოზიციაშია 400 ათასზე მეტი ექსპონატი. მათ შორისაა ცნობილი მხატვრების: პიკასოს, მატისის, დეგას, რენუარის, რემბრანდტის, კანდინსკის, მოდილიანის და სხვა შემოქმედის შედევრები. ნუმიზმატიკურ ფონდში დაცულია 300 ათასზე მეტი ისტორიული მნიშვნელობის მონეტა, მედალი და ძვირფასი სამკაულები.

ბელგრადის **ეთნოგრაფიული მუზეუმი** ერთ-ერთი უძველესი მუზეუმია ბალკანეთის ნახევარკუნძელზე. სამუზეუმო კოლექციების თავმოყრას სათავე დაუდო1867 წელს, მოსკოვში გამართულ „სლავიანსკი ბაზარში“ მონაწილეობამ.

სერბეთის ეროვნული მუზეუმი

მუზეუმის პირველი მუდმივმოქმედი გამოფენა გაიხსნა 1904 წელს. პირველი და მეორე მსოფლიო ომების დროს მუზეუმმა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი განიცადა. მუზეუმის ფონდებში ინახება გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ქსოვილების, ხისა და კერამიკის ნაკეთობანი, ძველი ფოტოსურათები, არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთები.

ეთნოგრაფიული მუზეუმი. ბელგრადი

ბელგრადის **სამხედრო მუზეუმის** ისტორია 1878 წლიდან იწყება. ეს ის პერიოდია, როდესაც ბალკანელი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ომი თურქეთის ოკუპაციის წინაღმდეგ ბალკანელთა გამარჯვებით დასრულდა. მუზეუმი შეიქმნა თავად მილან ობრენოვიჩის ბრძანებით და განთავსდა ბელგრადის ციხე-სიმაგრის შენობაში. მუზეუმის თანამედროვე შენობა აიგო 1924 წელს. მისი კოლექციები მრავალფეროვანია და მოიცავს პერიოდს უძველესი დროიდან თანამედროვეობამდე. მუზეუმის ექსპოზიციაშია: არქეოლოგიის, იარაღის, ჯილდოების, ტანსაცმლის, ფოტოგრაფიისა და ფერწერის ნიმუშები – სულ 30 ათასზე მეტი ექსპონატი.

1.3.15. პორტუგალია

ძველი ხელოვნების ეროვნული მუზეუმი (ლისაბონი) ევროპაში ერთ-ერთი ცნობილი მუზეუმია. მუზეუმში დაცულია პორტუგალიის ეროვნული კულტურისა და ხელოვნების ნიმუშები XIX საუკუნემდე. ევროპული ფერწერის ნიმუშებიდან წამოდგენილაია რაფაელის, ი. ბოსხის, პ. ბრეიგელ უმცროსის, გ. დავიდის, ა. დიურერის, ლ. კრანახის, პ.დ. ფრანჩესკას, ჰ. ჰოლბეინ უფროსის, ანდრეა დელ სარტოს, ტინტორეტოს, ვან დეიკის, დ. ველასკესის და სხვა ცნობილი მხატვრების ნაწარმოებები.

მუზეუმის შენობის არქიტექტორისა და მშენებლობის თარიღის შესახებ ცნობები არ არის დაცული. ცნობილია მხოლოდ, რომ შენობა აიგო XVI საუკუნეში, კარმელიტების მონასტრის გვერდით.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეროვნული არქეოლოგიის მუზეუმი, რომლის ისტორია იწყება 1893 წლიდან. იგი ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მუზეუმს წარმოადგენს ევროპაში, რომელიც ცნობილია ევროპის იშვიათი არქეოლოგიური ექსპონატებით.

ძველი ხელოვნების მუზეუმი. ლისაბონი

ეროვნული არქოლოგიის მუზეუმი

პორტუგალიის დედაქალაქი ლისაბონი დამთვალიერებელთა ინტერესს იჩენს აქ განთავსებული ხელოვნების (კინემატოგრაფიის, მუსიკის, თეატრის), სპორტის, მეცნიერების და სხვ. დარგობრივი მუზეუმებით.

1.3.16. ნიდერლანდები

ნიდერლანდები ცნობილია ევროპულ ხელოვნებაში თვალსაჩინო მოღვაწეებით, რომლებმაც თავიანთი შემოქმედებით ქვეყანას სახელი გაუთქვეს მთელ მსოფლიოში. ცნობილი მხატვრების მუზეუმები ამსტერდამშია განთავსებული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ვინსენტ **ვან გოგის მუზეუმი** ამსტერდამში, რომელიც მდებარეობს ქალაქის ცენტრში პაულუს პოტერსტრაატის ქუჩაზე. მუზეუმში ვან გოგის 200-ზე მეტი ფერწერული ტილო და 437 გრაფიკული ნამუშევარი ინახება. ჰოლანდიელი ფერმწერის ცხოვრების უმეტესი ნაწილი ლუკმა-პურის შოვნაზე დაიკარგა: ,,ფუთაში მქონდა ნახატები, გზაში ზოგან ამ ნახატებს პურის ნამცეცებზე გავცვლიდი ხოლმე და ლუკმას ასე ვშოულობდი'' – იხსენებდა მოგვიანებით ხელოვანი. მხატვრის სიცოცხლეში მისი ერთადეთი ნახატი ,,წითელი ვენახი''გაიყიდა სულ რაღაც 400 ფრანკად, მაშინ როდესაც, მისი ნამუშევრების ფასი დღეს 82 მილიონ დოლარს აჭარბებს.

ვინსენტ ვან გოგმა ყველა თავისი შედევრი ცხოვრების ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შექმნა. ესენია:

,,კარტოფილის მჭამელები''(1885 წელი), ვან გოგის მუზეუმი, ამსტერდამი;

,,მზესუმზირები''(1888 წელი),ნაციონალური გალერეა, ლონდონი;

,,ვარსკვლავებიანი ღამე''(1888 წელი), ორსეს მუზეუმი, პარიზი;

,,ავტოპორტრეტი''(1890 წელი), პარიზი.

ვან გოგის მუზეუმი. ამსტერდამი

მუზეუმში, აგრეთვე დაცულია პოლ გოგენის, კლოდ მონეს, პაბლო პიკასოს და სხვა მხატვრების ფერწერული ტილოები.

მუზეუმის შენობა აგებულია 1973 წელს. 2002 წელს მძარცველებმა შეაღწიეს შენობაში და ვან გოგის 2 ტილო მოიპარეს.

მუზეუმის დამთვალიერებელთა რიცხვი დღითიდღე იზრდება და საშუალოდ წელიწადში შეადგენს 1.5 მილიონს.

დამთვალიერებელთა სიმრავლით (1 მილ.) ამსტერდამში მეორე ადგილზეა **სახელმწიფო მუზეუმი.** აქ დაცულია ჰოლანდიური ხელოვნების და იკონოგრაფიის ნიმუშები. იგი ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. მუზეუმი 1808 წელს დაარსა ნაპოლეონ I-ს ძმამ, ჰოლანდიის მეფე ლუი ბონაპარტემ. იგი დამთვალიერებლებისათვის გაიხსნა 1815 წელს. მუზეუმის თანამედროვე შენობა აგებულია 1877-1885 წლებში. აქ დაცულია ისტორიისა და სახვითი ხელოვნების, ფოტოგრაფიის, ქანდაკებების, დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები.

სახელმწიფო მუზეუმი. ამსტერდამი

მუზეუმის ყველაზე მნიშვნელოვან კოლექციებს შორის ცნობილია რემბრანდტის, ვერმეერის, ფრანს ჰალსის, პიტერ დე ჰოხის, იან სტენის შედევრები.

ნიდერლანდებში ცნობილი სამხატვრო გალერეაა „მაურიცჰეისი“, რომელიც მდებარეობს ქალაქ ჰააგაში, ვეივერის ტბის სანაპიროზე. მუზეუმის შენობა XVII საუკუნის ჰოლანდიური არქიტექტურის ძეგლია, რომელიც ჰოლანდიური კლასიციზმის ნიმუშის წარმოადგენს.

შენობა აიგო 1633-1635 წლებში არქიტექტორ პიტერ პოსტის მიერ პრინც მორიც ორანელისთვის.

მაურიცჰეისი

მუზეუმი გაიხსნა 1822 წელს. მაურიცჰეისის მუზეუმს საფუძვლად დაედო ვილჰელმ V ორანელის „ხელოვნების კაბინეტის“ სურათების კოლექცია. აქ თავმოყრილია ჰოლანდიური, ნიდერლანდური და ფლამანდიური სკოლის მეტად მაღალხარისხიანი კრებულები. მაურიცჰეისი 1995 წელს გადავიდა სპეციალიზებული ფონდის განკარგულებაში. ამჟამინდელი კოლექცია დაახლოებით 800 სურათისგან შედგება, რომელთა შორის აღსანიშნავია ჰოლანდიელი და ფლამანდიელი მხატვრების (პიტერ ბრეიგელი, პაულუს პოტერი, პეტერ პაულ რუბენსი, რემბრანდტი, იან ვერმეერი და სხვა) ნამუშევრები.

სასახლე ჰეტ ლო (ნიდერლ. ნიშნავს „ტყის სასახლეს“) ამჟამად წარმოადგენს მუზეუმს. სასახლე მდებარეობს ნიდერლანდის ქალაქ აფელდორნში. სიმეტრიული ნიდერლანდური ბაროკოს სტილის შენობა დააპროექტეს იაკობ რომანმა და იოჰან ვან სვიტენმა. შენობა აიგო 1684-1686 წლებში ინგლისის მეფე უილიამ III-სა და მერი II-სთვის. სასახლის ბაღი დააპროექტა კლოდ დეგოცმა.

ჰეტ ლოს სასახლე

ჰეტ ლოს ბაღი

სასახლე ეკუთვნოდა ნიდერლანდის მეფეების ორანჟ-ნასაუს დინასტიას XVII საუკუნიდან დედოფალ ვილჰელმინას გარდაცვალებამდე (1962). სასახლის შენობა განახლდა 1976-1982 წლებში. 1984 წლის შემდეგ, სასახლე არის სახელმწიფო მუზეუმი. ამჟამად მუზეუმი ღიაა საზოგადოებისთვის, სადაც შესაძლებელია შიდა ინტერიერის დათვალიერება, სადაც განთავსებულია ორანჟ-ნასაუს დინასტიის კუთვნილი ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები და ფერწერული ნიმუშები.

1.3.17. ნორვეგია

ნორვეგია მსოფლიოში პირველი ქვეყანაა, რომელმაც სათავე დაუდო მუზეუმის ახალ ტიპს – **მუზეუმი ღიაცისქვეშ.** იგი 1881 წელს გაიხსნა ოსლოში, რომელსაც საფუძვლად დაედო ოსკარ II-ის (ნორვეგიის მეფე 1872-1905 წწ.) კოლექცია. სწორედ ამ მუზეუმის მიბაძვით გაიხსნა სხვა ქვეყნებში მსგავსი მუზეუმები.

ოსლოს **ეროვნული გალერეა** გაიხსნა 1837 წელს. გალერეაში, გარდა ნორვეგიელი მხატვრებისა, დაცულია ცნობილი მხატვრების: ვან გოგის, პაბლო პიკასოს, კლოდ მონეს, ანრი მატისის და სხვა ხელოვანთა შედევრები.

1876 წელს გაიხსნა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, სადაც დაცულია ექსპონატები VII საუკუნიდან დღემდე. ექსპონატებს შორისაა სამეფო კოსტიუმები, ქსოვილის, ხის, კერამიკისა და ლითონის ნაკეთობანი.

მუზეუმი ღიაცისქვეშ

გარდა ტრადიციული, ისტორიული მუზეუმებისა, ნორვეგიაში ახალი მუზეუმებიც იხსნება. მათ შორის, აღსანიშნავია **ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის ეროვნული მუზეუმი**, რომელიც გაიხსნა 2003 წელს.

ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის ეროვნული მუზეუმი. ოსლო

მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობით სარგებლობს **ვიკინგების ხომალდების მუზეუმი,** რომელიც გაიხსნა 1926 წელს. მუზეუმში დაცულია ვიკინგების საზღვაო ისტორიის ამსახველი ექსპონატები, მათ შორისაა – 3 გემი (სიგრძე 22-24 მ. სიგანე 5მ.), რომელიც მოპოვებულ იქნა არქეოლოგიური გათხრების შედეგად და დათარიღებულია IX საუკუნით.

ვიკინგების ხომალდების მუზეუმი

ნორვეგიის **ეროვნული მუზეუმი** გაიხსნა 1894 წელს. მუზეუმში დაცულია ეროვნული ყოფის ამსახველი ექსპონატები. შუასაუკუნეების სახლებში განთავსებულია იმ ეპოქის ავეჯი. ეს მუზეუმი ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს დამთვალიერებლებზე და წარმოდგენას უქმნის ნორვეგიის ისტორიის სხადასხვა ეპოქის ყოფით ტრადიციებზე.

ეროვნული მუზეუმი. ოსლო

1.3.18. ფინეთი

ფინეთს მუზეუმების ქვეყანას უწოდებენ. მსოფლიო სამუზეუმო სტატისკით ფინეთს მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს მუზეუმის რაოდენობით მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელთან მიმართებაში.

ფინეთის ისტორიისა და კულტურის მნიშვნელოვან სამუზეუმო-საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს ეროვნული მუზეუმი.

ფინეთის ეროვნული მუზეუმი. ჰელსინკი

მუზეუმის ექსპონატების უმეტესობა მოიცავს ფინეთის ისტორიას. მუზეუმის შენობა აიგო 1905-1910 წლებში. იგი დამთვალიერებლებისათვის 1916 წელს გაიხსნა. მუზეუმის ცენტრალურ ფოიეს ამშვენებს მხატვარ აკსელი გალენ-კალელას ფრესკები. მუზეუმის ექსპოზიცია დაყოფილია 6 განყოფილებად.

ფინეთის არტილერიის მუზეუმი გაიხსნა 1977 წელს. მუზეუმის ექსპოზიცია არის მატიანე მსოფლიო არტილერიის ისტორიის განვითარებისა XV-დან XX საუკუნემდე. ექსპოზიცია დაყოფილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და ასახავს არტილერიის განვითარების ისტორიას, რომლებიც განლაგებულია სართულების

მიხედვით. მუზეუმის ეზოში განთავსებულია კოლექციის ძირითადი ნაწილი.

სკანდინავიის უდიდესი სამეცნიერო მუზეუმია **ევრიკა**. ასე ჰქვია ჰელსინკის მახლობლად, ქალაქ ვანტაში არსებულ მუზეუმს, რომელიც გაიხსნა 1989 წელს.

ევრიკა. ფინეთი

მუზეუმის კომპლექსი შედგება 3 პავილიონისა და სამეცნიერო პარკისგან. აქვეა ლაბორატორია, პლანეტარიუმი, სავაჭრო, კულტურული და სპორტული გასართობი ცენტრები. მუზეუმთან მოქმედებს თეატრი „მინერვა“.

1.3.19. ბულგარეთი

ეროვნული სამხატვრო გალერეა (სოფია), ბულგარეთის უდიდესი სამხატვრო მუზეუმი. დაარსდა 1948 წელს სახალხო არქეოლოგიური მუზეუმის, სოფიის საქალაქო გალერეის, სახალხო განათლების სამინისტროსა და ბულგარეთის სახალხო ბანკის კოლექციათა ბაზაზე.

ეროვნული სამხატვრო გალერეის ფასადი, ყოფილი სამეფო სასახლე

1952 წლიდან მუზეუმი განთავსებულია სამეფო სასახლის შენობაში. აქვე მდებარეობს ეთნოგრაფიის მუზეუმი. ეროვნულ სამხატვრო გალერეაში ძირითადად დაცულია ბულგარელი მხატვრების ნამუშევრები აღორძინების ეპოქიდან თანამედროვე პერიოდამდე (3 ათასამდე მხატვრის 50 ათასზე მეტი ნამუშევარი). გარდა ფერწერის, გრაფიკისა და სკულპტურისა, გალერეის ფონდებში ინახება იკონოგრაფიის ნიმუშებიც.

ბულგარეთის ეროვნული ისტორიის მუზეუმი გაიხსნა 1973 წელს. მუზეუმი მდებარეობს ქვეყნის დედაქალაქში – სოფიაში. მუზეუმის პირველი ექსპოზიცია (1984 წ.) მიეძღვნა ბულგარეთის სახელმწიფოებრიობის 1300 წლის იუბილეს.

ბულგარეთის ეროვნული ისტორიის მუზეუმი

2000 წელს მუზეუმი განთავსდა სამთავრობო რეზიდენციის ერთ-ერთ შენობაში. მუზეუმის ფონდებში დაცულია 650 ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც განთავსებულია მუზეუმის 3 განყო-

ფილებაში: არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ისტორიის. მუზეუმს გააჩნია რამდენიმე ფილიალი.

ბულგარეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს **არქიტექტურულ-ეთნოგრაფიული კომპლექსი – მუზეუმი** ღია ცის ქვეშ, რომელიც მდებარეობს გაბროვოში. ეს ქალაქი ცნობილია, აგრეთვე, მცხოვრებთა უნიკალური იუმორის თვისებით. მუზეუმი გაიხსნა 1964 წელს.

გაბროვოს არქიტექტურულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთ-ერთი ქუჩა

მუზეუმის გახსნის ისტორია დაიწყო ძველი წისქვილის აღდგენა-რეკონსტრუქციით. ამას დაემატა სხვა ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების აღდგენა. მუსაობა წარიმართა 3 მიმართულებით: არსებული ობიექტების რესტავრაცია, ძველი ყოფითი ობიექტების მუზეუმში გადმოტანა და არსებული ისტორიული ძეგლების ასლების დამზადება. 1967 წელს მუზეუმი გამოცხადდა ეროვნულ პარკად. 1971 წელს მიენიჭა კულტურის ძეგლის სტატუსი.

ბულგარეთის ეროვნულ სიამაყეს წარმოადგენს პლევნის ეპოპეის მუზეუმი (პანორამა „პლევნის 1877 წლის ეპოპეა“), რომელიც ეძღვნება ბულგარეთის განთავისუფლებას ოსმალეთის იმპერიის ბატონობისაგან. მუზეუმი გაიხსნა 1977 წელს და მიეძღვნა ბულგარეთის განთავისუფლების 100 წლის იუბილეს.

პლევნის ეპოპეის მუზეუმი

მუზეუმს გააჩნია 4 ვრცელი დარბაზი მუდმივმოქმედი ექსპოზიციისათვის. ექსპოზიციები ასახავს ბულგარეთისა და რუსეთის სამხედრო ძალების ბრძოლას ოსმალების წინააღმდეგ. დარბაზები გაფორმებულია ვრცელი პანოებით, რომლებიც შესრულებულია ბულგარელი და რუსი მხატვრების მიერ.

1.4. მუზეუმები აზიაში

1.4.1. ინდოეთი

ინდოეთის, და აგრეთვე, აზიის რეგიონში, პირველ უძველეს მუზეუმად მიიჩნევენ კალკუტის მუზეუმს. ეს მუზეუმი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარია დასავლეთ ბენგალში. დანიელმა მეცნიერმა და ბოტანიკოსმა იგი 1814 წელს დაარსა და იქედან მოყოლებული, მუზეუმი დასავლეთ ბენგალის კულტურულ ცენტრს წარმოადგენს.

ევროპული მუზეუმებისგან განსხვავებით, ინდოეთის მუზეუმის ექვსი სექცია სამოც საგამოფენო დარბაზს მოიცავს. არც თუ ისე დიდი ხნის წინ, აქ მხატვრულ–დოკუმენტური ფილმი „მუზეუმის აჩრდილები" გადაიღეს. ფილმი მუზეუმის ისტორიასა და მის აწმყოს ეძღვნება. ბენგალელებს ერთი ღირსეული ტრადიცია აქვთ: ისტორიულად მნიშვნელოვან და ანტიკვარულ ნივთებს, ხელოვნე-

ბის ნიმუშებს ინდოეთის მუზეუმს ჩუქნიან. თაგორის, ამ უდიდესი ინდოელი პოეტისა და ნობელის პრემიის მფლობელის, ხელნაწერთა უმრავლესობა, ასევე ინდოეთის მუზეუმშია დაცული. 1836 წელს მუზეუმმა მიიღო სახელმწიფო დაფინანსება. 1875 წელს მუზეუმს გადაეცა ახალი შენობა.

ინდოეთის მუზეუმი

1851 წელს გაიხსნა მადრასის (ინდოეთი) მუზეუმი. სამხრეთ ინდოეთში, ტამილნადის ტერიტორიაზე (იგულისხმება დღევანდელი ინდოეთის სამხრეთი), აღმოჩენილ იქნა პროტოდრავიდული კულტურის თავისებური ძეგლები, რომლებსაც მადრასის მუზეუმში თავი მოუყარა არქეოლოგმა რ.ვ. ფუტმა. ამ კოლექციას დღემდე „ფუტის კოლექციას“ უწოდებენ. სწორედ ამ კოლექციების ბაზაზე, 1874 წელს, ინდოეთის ქ. მათხურაში გაიხსნა არქეოლოგიის მუზეუმი.

XX საუკუნეში დაიწყო ინდოეთის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების აღრიცხვა და სამუზეუმო კატალოგებში შეტანა. XX საუკუნის 20-იანი წლებიდან რესტავრაცია უტარდება ალჟანტის (გუგლშიარის აჯანტა) ტაძრებს და სატაძრო კომპლექსი აყვანილ იქნა სახელმწიფო დაცვის ქვეშ.

ინდოეთის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სამუზეუმო ქსელი უფრო სწრაფად განვითარდა.

ინდოეთის **ეროვნული მუზეუმი** ქვეყანაში ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმია. აქ განთავსებულია ისტორიისა და ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმის გახსნას საფუძვლად დაედო 1947-1948 წლებში ლონდონში მოწყობილი ინდოეთის ხელოვნების ნიმუშების გამოფენა. 1949 წელს მუზეუმი გახსნა ინდოეთის გენერალ-გუბერნა-

ტორმა. მუზეუმის თანამედროვე შენობის აგებას 1955 წლის 12 მაისს საძირკველი ჩაუყარა ჯავაჰარლალ ნერუმ (ინდოეთის დამოუკიდებლობის მოძრაობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ლიდერი, ინდოეთის ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე, ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი 1947-1964 წლებში).

ინდოეთის ეროვნული მუზეუმი

ინდოეთის ეროვნული მუზეუმი დამთვალიერებლებისათვის გაიხსნა 1960 წლის 18 დეკემბერს. იგი შედის ინდოეთის კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში. მუზეუმში დაცულია ხელოვნების 200 ათასზე მეტი ნიმუში. კოლექციებს შორისაა დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების, საიუველირო, ფერწერის ნიმუშები, იშვიათი ხელნაწერები და სხვა.

ეროვნული მუზეუმი შეიქმნა, აგრეთვე, მადრასში (სამთავრობო მუზეუმი და სურათების ეროვნული გალერეა). 80-იანი წლებისათვის ხელოვნების პროფილის მუზეუმების რაოდენობამ 300-ს გადააჭარბა.

1.4.2. იაპონია

აზიის ერთ-ერთი უძველესი და დიდი მუზეუმია **ტოკიოს ეროვნული მუზეუმი,** რომელიც დაფუძნდა 1872 წელს. მუზეუმი აგროვებს და ინახავს იაპონიისა და აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნების ხელოვნების ნიმუშებისა და არქეოლოგიური ობიექტების

ვრცელ კოლექციას. მუზეუმი მდებარეობს უენოს პარკში (ტაიტო-კუ, ტოკიო). ის მოიცავს იაპონურ გალერეას, აზიურ გალერეას, კვლევისა და საინფორმაციო ცენტრსა და სხვა დაწესებულებებს. მუზეუმის გარე ბაღებში სეზონური გამოფენები ეწყობა. კოლექციების ძირითადი ფოკუსი უძველესი იაპონური და აზიური ხელოვნებაა აბრეშუმის გზის გასწვრივ. აქვე არსებობს ბუდისტური ხელოვნების ვრცელი კოლექციაც. ინფორმაცია მუზეუმის კოლექციაზე მოცემულია იაპონურ, კორეულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე.

ტოკიოს ეროვნული მუზეუმი

მიჰოს მუზეუმი მდებარეობს ქალაქ შიგარაკი-ნო-სატოსთან შიგას პრეფექტურაში, კიოტოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით. მუზეუმი მიჰოკო კოიამას ოცნება იყო (ვის სახელსაც ის ამჟამად ატარებს), რომელიც ტოიოობოს ტექსტილის ბიზნესის მემკვიდრე და იაპონიის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალბატონი ბრძანდებოდა. 1970 წელს მან სპირიტუალური (სეანსები, „სულის გამოძახება“) მოძრაობა „შინჯი შუმეიკაი“ დააფუძნა, რომელსაც ამჟამად, როგორც ამობობენ, 300 ათასი მიმდევარი ჰყავს მსოფლიოს მასშტაბით. 1990-იანებში მან შუმეის ტაძართან და შიგას მთებთან ახლოს მუზეუმის მშენებლობისთვის თანხები გამოჰყო.

მიჰოს მუზეუმში მიჰოკო კოიამას აზიური და დასავლური ანტიკური ხანის ექსპონატების პირადი კოლექციაა, რომლებიც შუმეის მიერ აუქციონებზე შესყიდულ იქნა 1 მილიარდ დოლარად. მუზეუმში სულ 2000-მდე ექსპონატია, რომელთა შორის დაახლოებით 250 პერმანენტული ექსპოზიციის ნაწილია.

მიჰოს მუზეუმი

მუზეუმში შესასვლელი

ექსპოზიციისთვის ყოველი ექსპონატის შერჩევას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არა მხოლოდ მათი ესთეტიკური სილამაზის, არამედ ისტორიული მნიშვნელობის მიხედვით და მთელი კოლექციისთვის ბრწყინვალე განლაგება და განათებაა შერჩეული.

ჩინელ არქიტექტორ იუჰ მინ პეის ადრე მიჰოს მუზეუმის ამჟამინდელ ადგილსამყოფელთან სამრეკლოს კოშკი, შუმეის საერთაშორისო შტაბ-ბინა და სპირიტუალური ცენტრი ჰქონდა დაპროექტებული. თანამშრომლობით კმაყოფილმა მიჰოკო კოიამამ და მისმა ქალიშვილმა ჰიროკო კოიამამ არქიტექტორს მუზეუმისთვის შენობის დაპროექტება დაუკვეთეს.

იუჰ მინ პეის პროექტი არქიტექტორული შედევრი გამოვიდა – შენობა მდებარეობს მთაგორიან და ტყით გარშემორტყმულ ზედაპირზე. 45 ათასი კვ. მ.-ის სასარგებლო ფართობის შენობის სამი მეოთხედი მიწის ქვეშაა, შიგას მთების ქვიან ნიადაგში. სახურავი უზარმაზარი მინისა და რკინის კონსტურქციაა, ხოლო ფასადისა და ინტერიერის კედლები და იატაკი თბილი რძისფერი ტონების ფრანგული კალციტის ქვითაა ნაგები. იგივე მასალა გამოიყენა არქიტექტორმა ლუვრის მისაღები ჰოლის მოსაპირკეთებლად. მარმარილოსთან შედარებით ეს ქვა უფრო თბილ და დამამშვიდებელ ატმოსფეროს ქმნის. ქვის ფერი, ტექსტურა, ვერცხლისფერი კარკასი

და გარე გამწვანება ერთმანეთს ჰარმონიულად ერწყმის და აბალანსებს.

სპეციალისტების აზრით, ყველაზე მომხიბლავი ნაწილი პეის დიზაინისა მისი, ე.წ. მთაგორიანი „სამოთხის“ იდეაა. კომპლექსთან მიახლოებისას პირველად სადა მისაღებ პავილიონს ხედავთ კედრის ხეებს მიღმა, რომელიც წრიულ ეზოს უყურებს და შეიძლება ჩათვალოთ, რომ მუზეუმს მიადექით. შენობის მოპირდაპირედ განიერი მორკალული ბილიკია ატმის ხეებით გარდიგარდმო, რომელსაც მოელვარე უჟანგავი ლითონით მოჭედილ მთაში ნაკვეთ გვირაბთან მივყავართ. უზომოდ განიერ, უხმაურო გვირაბში, რომელიც თითქმის სამი სამანქანო გზის სიგანისაა, 200 მეტრის გავლისას უეცრად მზის შუქი ჩნდება და 120 მეტრიანი ნახევრად დაკიდული ხიდის კაბელთა შორის ჩანს ვიწრო, ღრმა ხევი, რომლის გადაღმაც იშლება მუზეუმის პავილიონში შესასვლელი ჩინური სტილის მთვარის კარიბჭე.

კიოტოს ეროვნული მუზეუმი იაპონიის ერთ-ერთი უძველესი და ცნობილი სახვითი ხელოვნების მუზეუმია, რომელიც 1897 წელს შეიქმნა როგორც იმპერატორის მუზეუმი. მოგვიანებით მუზეუმმა მიიღო ეროვნული მუზეუმის სტატუსი.



კიოტოს ეროვნული მუზეუმი

მუზეუმის ექსპოზიციაშია იაპონიისა და აზიის ტრადიციული ხელოვნების ნიმუშები, 12 ათასზე მეტი ექსპონატი. მათ შორისაა იაპონიის ეროვნული განძეულობის 230 ერთეული. ექსპონატების დიდი ნაწილი მუზეუმს გადაეცა სამეფო სასახლიდან და უძველესი ტაძრებიდან. მუზეუმში დაცულია სხვადასხვა ეპოქის ფოტოგრა-

ფიის საუკეთესო ნიმუშები.

ნარის ეროვნული მუზეუმი იაპონიის ეროვნული ხელოვნების მნიშვნელოვანი ცენტრია. ნარი იაპონიის დედაქალაქი იყო 710-784 წლებში.

ნარის ეროვნული მუზეუმი

მუზეუმი ცნობილია ბუდისტური ხელოვნების მდიდარი კოლექციით. აქ წარმოდგენილია ფერწერის, სკულპტურის და ხელოვნების სხვა იშვიათი ნიმუშები. მუზეუმის შექმნამდე ექსპონატები წარმოდგენილი იყო ნარის საგამოფენო კომპანიაში. მუზეუმი გაიხსნა 1889 წელს. პირველი გამოფენა მოეწყო 1895 წელს. 1952 წლიდან მუზეუმმა მიიღო ეროვნული მუზეუმის სტატუსი. 1980 წელს მუზეუმში გაიხსნა ბუდისტური ხელოვნების ბიბლიოთეკა.

მსოფლიოს მემორიალური მუზეუმი ჰიროსიმაში ერთ-ერთ გრანდიოზულ ნაგებობათა კომპლექსს წარმოადგენს. მისი არქიტექტორია იაპონიაში და მსოფლიოში ცნობილი ხელოვანი კენძო ტანგე. მუზეუმი გაიხსნა 1955 წელს. ეს არის მუზეუმი-რექვიემი. იგი სიმბოლურად წარმოაჩენს საშინელი ტრაგედიის სურათებს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დასასრულს (1945 წლის აგვისტო) ამერიკის ხელისუფლების ნებით განხორციელებულ ბარბაროსულ ატომურ დაბომბვას მოჰყვა. ცნობილია, რომ ატომური ბომბების ჩამოგდება იაპონიაში არც სამხედრო და არც პოლიტიკური აუცილებლობით არ იყო განპირობებული და მიზნად ისახავდა მსოფლიოზე ჰეგემონიის დამყარებას. ამ ტრაგედიას ასიათასობით

მშვიდობიანი მოქალაქის სიცოცხლე შეეწირა. ორივე ქალაქი – ჰიროსიმა და ნაგასაკი ნანგრევებად იქცა.

ჰიროსიმის მემორიალური მუზეუმი

ჰიროსიმის მემორიალური მუზეუმი ორი კორპუსისაგან (მთავარი და აღმოსავლური) შედგება. მთავარი კორპუსი ისეა დაპროექტებული, რომ დამთვალიერებელს ფერფლიდან აღმდგარი ადამიანის შთაბეჭდილებას უქმნის. მუზეუმის ექსპოზიცია შედგება ჰიროსიმის დაბომვის ამსახველი ექსპონატებისაგან, მათ შორისაა, აუდიო და ვიდეო მასალები. აღმოსავლეთის კორპუსის ექსპოზიცია ასახავს იაპონიის მონაწილეობას მეორე მსოფლიო ომში. აქვეა განთავსებული კინოთეატრი, გალერეა, საკონფერენციო დარბაზი, ბიბლიოთეკა.

1.4.3. ჩინეთი

მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა (1.3 მილიარდზე მეტი) ცნობილია მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი სამუზე-

უმო ქსელით, რომელიც კარგად წარმოაჩენს აღმოსავლური ცივილიზაციის – ჩინეთის კულტურის უძველეს ნიმუშებს.

მუზეუმებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს აკრძალული ქალაქის ანუ **აკრძალული სასახლის მუზეუმი**, რომელიც მდებარეობს პეკინის ცენტრში. სასახლე მინის და ქინის დინასტიების დროს იმპერიული სასახლის დანიშნულებას ასრულებდა. ამჟამად სასახლის მუზეუმად არის ცნობილი. კომპლექსს 720 ათასი კვ.მ. ფართობი უჭირავს, 800 შენობით და 8000-ზე მეტი ოთახით. იუნესკოს მიერ შეფასებულია როგორც მსოფლიოში უდიდესი უძველეს ხის ნაკეთობათა კოლექცია და 1987 წელს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი, როგორც "მინისა და ქინის დინასტიების იმპერიული სასახლე".



სასახლის მუზეუმი

სასახლის მიმდებარე ტერიტორია ტიანანმენის მოედნის ჩრდილოეთით იწყება და მასთან ტიანანმენის კარიბჭე აკავშირებს. მის ირგვლივ კი იმპერიული ქალაქი მდებარეობს.

შენობა, რომელშიც ამჟამად **ჩინეთის ისტორიისა და კულტურის მუზეუმია** განთავსებული, წარმოადგენდა ბუდისტურ ტაძარს, რომელიც მდებარეობს 3700 მეტრი სიმაღლის მთაზე. 1959 წლამდე აქ იყო დალაი-ლამას რეზიდენცია. მუზეუმი განუმეორებელი მდებარეობითა და არქიტექტურით, წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ჩინეთის ისტორიისა და კულტურის მუზეუმი. ტიბეტი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შეიქმნა ჩინეთის რევოლუციის მუზეუმი და ეროვნული გალერეა.

ჩინეთის ეროვნული მუზეუმი

ჩინეთის ეროვნულ მუზეუმში დაცულია 620 ათასზე მეტი კოლექცია, რომლებიც ჩინეთისა და აღმოსავლეთის ხელოვნების მნიშვნელოვან ექსპონატებს წარმოადგენს. სამუზეუმო ექსპონატების ასაკი 5 ათას წლიან პერიოდს მოიცავს. აქვეა წინაისტორიული ეპოქის ნიმუშები. მათ შორისაა, მსოფლიოში ცნობილი სინან-

თროპის ნაშთი, რომელიც აღმოჩენილ იქნა 1973 წელს.

შანჰაის **ხელოვნების მუზეუმი** ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში. მისი ფართობი ბუკინგემის სასახლეზე ორჯერ დიდია და კონკურენციას მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებს უწევს. ახალი მუზეუმი ყოფილ პავილიონშია განთავსებული. ის ჩინეთისა და მთელი აზიის ყველაზე დიდი მუზეუმია. 166 ათასი კვადრატული მეტრის ფართობითა და 64 ათასი კვ. მ. საგამოფენო დარბაზით.

შანჰაის ხელოვნების მუზეუმი

მუზეუმში განთავსებულია 27 საგამოფენო დარბაზი. მათი სრულად ნახვისათვის დამთვალიერებელს რამდენიმე საათი სჭირდება. ობიექტის მშენებლობაზე 238 მილიონი დოლარი დაიხარჯა. მუზეუმის ექსპონატებს შორისაა ცნობილი ჩინური ფაიფურის საუცხოო კოლექციები.

ჩინეთის **გეოლოგიის მუზეუმი** მსოფლიოში ცნობილ სამეცნიერო ცენტრს წარმოადგენს. მუზეუმი გაიხსნა 1916 წელს. გარდა საგამოფენო ფუნქციისა, მუზეუმი უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ასრულებს. აქ არის დაცული ძვირფასი ქვების, წინაისტორიული ეპოქის ბიოლოგიის კოლექციები. დამთვალიერებელთა შორის ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს დიდი ზომის ბროლი, რომელიც 3 ტონას იწონის და გიგანტური დინოზავრის ჩონჩხი (სიმაღლე 8 მეტრი, სიგრძე 15 მეტრი). ეს ექსპონატი მსოფლიოში უნიკალურ სამუზეუმო ნივთს წარმოადგენს.

1.4.4. კორეა

1925 წელს კორეაში გაიხსნა მეცნიერების მუზეუმი, რომელმაც 1945 წელს მიიღო ეროვნული მუზეუმის სტატუსი.

კორეელმა კოლექციონერმა ჩონ ხიონ პხილმა 1936 წელს გახსნა მუზეუმი სეულში. მუზეუმისათვის შეძენილ იქნა სპეციალური შენობა. მუზეუმის ფონდები შეივსო დამფუძნებლების კერძო კოლექციებისაგან.

1974 წელს ქვეყანაში პირველად გაიხსნა მუზეუმი ღია ცის ქვეშ – ეთნოგრაფიული მუზეუმი „კორეული სოფელი“.

ეთნოგრაფიული მუზეუმი „კორეული სოფელი“

იმავე პერიოდში დაიწყო ფუნქციონირება სონამის კლასიკური ლიტერატურის მუზეუმ-წიგნის საცავმა. 1979 წელს გაიხსნა სამრეწველო ტექნიკის მუზეუმი, 1982 წელს – ხელოვნების კერძო მუზეუმი.

ჩრდილოეთ კორეაში დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იწვევს **კედლის მუზეუმის** (Wall Museum) ექსპოზიციები. აქ თავმოყრილია ფოტო და ნივთიერი დოკუმენტები, რომლებიც ასახავს დაპყრობილი კორეის მოქალაქეების წამების ფაქტებს გასულ საუკუნეში. ეს არის მუზეუმი-რექვიემი, რომელიც კორეის ოკუპაციის მსხვერპლთა ხსოვნას ეძღვნება.

სამხრეთ კორეის ეროვნული მუზეუმი

საინტერესო ექსპოზიციებია წარმოდგენილი კორეის კულტურის, მხარეთმცოდნეობის, ისტორიისა და ყოფის ამსახველ მუზეუმებში.

1.4.5. ისრაელი

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო მუზეუმების დაარსება ისრაელში. ზოგიერთი ცნობით, ისრაელს, ერთ სულ მოსახლეზე ყველაზე მეტი მუზეუმი აქვს და კონკურენციას უწევს ფინეთს. სამი უდიდესი მუზეუმი თელ-ავივში მდებარეობს.

ისრაელის მუზეუმი მდებარეობს იერუსალიმში. იგი დაარსდა 1965 წელს როგორც ისრაელის ეროვნული მუზეუმი. იგი მდებარეობს გივათ-რამის ბორცვზე, ქნესეთისა და იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის მახლობლად. წარმოადგენს ისრაელის ერთ-ერთ უმნიშვნელობანეს კულტურულ ინსტიტუტსა და მკვდარი ზღვის გრაგნილების საცავს. მასში განთავსებულია დაახლოებით 500 ათასამდე არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური ექსპონატი, იუდაისტიკისა და ეთნოგრაფიის ექსპოზიციები, ისრაელისა და საზღვარგარეთული ხელოვნების ნიმუშები.

ისრაელის მუზეუმი

1932 წელს გაიხსნა ხელოვნების მუზეუმი თელ-ავივში. სამუზეუმო ქსელის განვითარება ინტენსიურად დაიწყო ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ.

იერუსალიმის მუზეუმი

1949 წელს გაიხსნა ხაიფის მუზეუმი, 1951 წელს – თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (დაცულია კოლექციები XVIII საუკუნიდან დღემდე).

ხაიფის მუზეუმს აქვს სხვადასხვა ფილიალი: მუსიკისა და ეთნოგრაფიის, ისტორიის, ეროვნული ზღვაოსნობის, იაპონური ხელოვნების.

თელ-ავივის უნივერსიტეტთან ფუნქცნიოირებს ბეთ ჰატე-

ფუტსოთი, მუზეუმი საერთაშორისო ებრაულ დიასპორაზე, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ებრაელთა დევნის ისტორიაზე მოუთხრობს მნახველებს.

ბათეი ჰაოსეფის მუზეუმი ისრაელის შეიარაღებული ძალების სამხედრო ისტორიას მოიცავს. პალმაქის მზეუმი თელ-ავივის უნივერსიტეტთან ებრაელ ჯარისკაცთა ცხოვრების აღმწერ დოკუმენტთა არქივს შეიცავს. ქალაქის სამხრეთ უბნებში არის ასევე მრავალი მცირე ზომის კერძო მუზეუმი თუ გალერეა. ისრაელში უკვე 120-ზე მეტი მუზეუმი ფუნქციონირებს.

1.4.6. ერაყი

მესოპოტამიური კულტურის შედევრების ნაწილი ერაყის მუზეუმების სიამაყეს წარმოადგენს. უძველესი ცივილიზაციებისა და ერაყის ისტორიის ამსახველი ძეგლები განთავსებულია ეროვნულ მუზეუმში, ბაბილონის მკუზეუმში, სამხედრო მუზეუმებში, აბასიდების სასახლეში (XII ს.), უნივერსისტეტის შენობაში (XIII ს.), მეჩეთ მირჯაში (XVI ს.), ოქროს მეჩეთში (XV ს.) და სხვა სამუზეუმო დაწესებულებებში.

ეროვნული მუზეუმის კოლექციები

ერაყის ეროვნული მუზეუმი მდებარეობს ერაყის დედაქალაქ ბაღდადში. დაფუძნდა 1923 წელს ბრიტანელი მოგზაურისა და

მკვლევარის გერტრუდ ბელის მიერ და გაიხსნა მისი გარდაცვალების შემდეგ 1926 წელს. თავდაპირველად ეწოდებოდა ბაღდადის არქეოლოგიური მუზეუმი. შუამდინარეთის არქეოლოგიური სიმდიდრის წყალობით, მუზეუმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია მსოფლიოში. მუზეუმის გამოფენები ორენოვანია (არაბული და ინგლისური). მუზეუმი მოიცავს 28 გალერეასა და საცავს.

სპარსეთის ყურის ომის დროს, 1991 წელს მუზეუმი დაიხურა აშშ-ის საჰაერო დაბომბვის შიშით. მუზეუმი გაიხსნა 2000 წლის 28 აპრილს, ყოფილი პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის დაბადების დღეს.

მუზეუმს მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა 2003 წელს ერაყში მოკავშირეთა ჯარების შეჭრის შემდეგ. ხელოვნებათმცოდნეები ამ ფაქტს ცივილიზაციის წაბილწვად მოიხსენიებენ. 2003 წელს, სამი დღის განმავლობაში მძარცველებმა ერაყის ეროვნული მუზეუმის საგამოფენო დარბაზები და სანახები გაქურდეს. ას ოცი ოთახი იყო მთლიანად გაჩანაგებული და გაძარცვული. მაშინ მუზეუმიდან 15 ათასამდე ფასდაუდებელი ობიექტი დაიკარგა. ბევრი მათგანი შუამდინარეთის უძველესი ცივილიზაციების მიერ მრავალი ათასი წლის წინ იყო შექმნილი.

მუზეუმის შესასვლელს მძარცველებისგან იცავს ამერიკული ტანკი

მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის ჯარებმა მუზეუმის შორიახლოს ტანკები დააყენეს და მუზეუმის მაშინდელმა დირექტორმა მათ დახმარება სთხოვა, სამხედროებს ძარცვის შეჩერება არც უცდიათ, ვინაიდან კოალიციის ჯარების მეთაურებისგან ასეთი ბრძანება მიღებული არ ჰქონდათ. სამწუხაროდ, მაშინ შეერთე-

ბული შტატების თავდაცვის მდივანმა დონალდ რამსფელდმა განაცხადა, რომ მუზეუმის გაქურდვა დიდად საყურადრებო ფაქტს არ წარმოადგენდა.

მოგვიანებით მუზეუმი იტალიისა და შეერთებული შტატების დახმარებით აღადგინეს და გატაცებული ხელოვნების ნიმუშების ნახევარსაც მიაგნეს. 2013 წელს მუზეუმი დიდი ზარ-ზეიმით ხელახლა გაიხსნა. თუმცა მრავალი საგამოფენო დარბაზი ჯერ კიდევ დახურულია მნახველისთვის და აქ შეღწევის საშუალებას მხოლოდ სპეციალურ ჯგუფებს აძლევენ.

სადღეისოდ მუზეუმის ნიმუშების დათვალიერება ინტერნეტის საშუალებით ყველას ძალუძს. იტალიელებმა ვირტუალური მუზეუმიც კი შექმნეს. გატაცებული ხელოვნების ნივთების ძებნა მთელს მსოფლიოში მიმდინარეობს.

1.4.7. თურქეთი

აია-სოფიას მუზეუმი არის ყოფილი ბიზანტიური მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც მოგვიანებით მეჩეთად გადაკეთდა ოსმანთა მიერ, ამჟამად კი არის მუზეუმი (სტამბული). მას მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე დიდებულ შენობად მიიჩნევენ და ხშირად მსოფლიოს მერვე საოცრებად მოიხსენიებენ.

კონსტანტინოპოლის დაცემის შემდეგ (1453 წ.) ტაძრის ოსმალეთის ხელში გადასვლა ბერძნული მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოების მიერ უდიდეს ტრაგედიად არის მიჩნეული. ვიდრე კონსტანტინოპოლი დაეცემოდა, აია-სოფია იყო ერთერთი უმთავრესი მართლმადიდებლური ტაძარი. სახელი წმინდა სოფია ბერძნულიდან ითარგმნება, როგორც წმინდა სიბრძნე და ეძღვნება წმინდა სამების მეორე იპოსტასს, განკაცებულ ღვთის სიტყვას, უფალ იესო ქრისტეს, როგორც ღვთის წმინდა სიბრძნეს.

აია- სოფია

2006 წელს აია-სოფიას მეჩეთში განახლდა მაჰმადიანური რელიგიური რიტუალების აღსრულება.

თოფქაფის სასახლე (თურქ. „სათოფე სასახლე“ ახლომდებარე კარიბჭის სახელით), მდებარეობს სტამბულში. იგი ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული ცენტრი იყო 1465–1853 წლებში. თოფქაფის სასახლის მშენებლობა, სულთანი მეჰმედ II-ის ბრძანებით, დაიწყო 1459 წელს და დასრულდა 1465 წელს. სასახლე სარაგლიოს კონცხზე მდებარეობს ოქროს რქასა და მარმარისის ზღვას შორის, წარმტაცი ხედით ბოსფორზე. ის უამრავი მცირე ზომის შენობისგან და ოთხი დიდი მოედნისგან შედგება.

პირველი მოედანი მთელ სარაგლიოზეა გადაჭიმული და მაღალი გალავნითაა გარშემორტყმული. მთავარ ჭიშკარს ბაბ-ი-ჰიუმაიუნ (იმპერიული კარიბჭე) ჰქვია. თოფქაფის სასახლის გარდა პირველ მოედანზე ასევე საიმპერიო ზარაფხანა (1727 წ.), წმინდა ირინეს ეკლესია და არქეოლოგიური მუზეუმი (მე-19 საუკუნე) მდებარეობს ურიცხვ შადრევანთან, პავილიონთან და პარკთან ერთად.

თოფქაფის სასახლეში ასევე არის მართლმსაჯულების კოშკი, წმინდა მანტიის პავილიონი, რომელშიც წინასწარმეტყველი მუჰამედის წმინდა ნივთებია და პირველი კალიფსი, სატახტო ოთახი ჰარემში, რომელსაც სულთანი იყენებდა უცხო სტუმრებისა და ელჩების მისაღებად.

თოფქაფის სასახლე

1853 წელს სულთან აბდულმეჩითმა გადაწყვიტა თავისი რეზიდენცია ახლად აშენებულ დოლმაბაჰჩეს სასახლეში გადაეტანა. ამჟამად თოფქაფი გადაკეთებულია ეროვნულ მუზეუმად და სტამბულის ერთ-ერთ უმთავრეს ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ სასახლეში თავის დროზე მსოფლიოს უძლიერესი მმართველები ცხოვრობდნენ სხვა სამეფო სასახლეებისგან (შონბრუნის სასახლე და ექსტრავაგანტური ვერსალი) განსხვავებით ის იშვიათი პროპორციებით, სადა ინტერიერითა და მიზნობრივი განლაგებით გამოირჩევა.

ანტალიის ანუ არქეოლოგიის მუზეუმი 14 საგამოფენო დარბაზს მოიცავს. ცალკეა საგამოფენო დარბაზი ბავშვებისათვის. მუზეუმის ექსპოზიცია განლაგებულია ქრონოლოგიისა და თემატიკის მიხედვით. მუზეუმი გაიხსნა 1922 წელს. 1937 წლამდე იგი განთავსებული იყო მეჩეთში. 1972 წლიდან მუზეუმი გადატანილ იქნა ამჟამინდელ შენობაში. აქ დაცულია არქეოლოგიური ექსპონატები წინაისტორიული ეპოქიდან დაწყებული ადრე შუასაუკუნეების პერიოდამდე. ცალკე დარბაზები ეთმობა მოზაიკის, მონეტის, სკულპტურისა და ეთნოგრაფიის კოლექციებს.

სტამბულის **არქეოლოგიის მუზეუმი** ასახავს ოსმანთა იმპერიის ეპოქის ნიმუშებს. მუზეუმი სამ სამუზეუმო დაწესებულებას აერთიანებს, სადაც დაცულია მილიონზე მეტი ექსპონატი. მუზეუ-

სტამბულის არქელოგიის მუზეუმი

ემის ისტორია იწყება XIX საუკუნის ბოლოდან. მისი გახსნა უკავშირდება ფერმწერისა და არქეოლოგიის ოსმან ჰამდი ბეის სახელს. მუზეუმის ნეოკლასიკური არქიტექტურული შენობა 1881-1902 წლებში გაიხსნა. მუზეუმი გაიხსნა 1891 წელს, შენობის დასრულებამდე. მუზეუმის შენობაში განთავსებული იყო გამოყენებითი ხელოვნების სკოლა. მუზეუმის ექსპოზიცია მრავალფეროვანია. წარმოდგენილია სარკოფაგები, ბიუსტები, მონეტები, მცირე აზიისა და ეგვიპტის ძველი ცივილიზაციების ნიმუშები.

აღმოსავლეთის შუასაუკუნეების ეპოქის საინტერესო კოლექციებია დაცული **თურქეთისა და ისლამური ხელოვნების მუზეუმში**, რომელიც გაიხსნა 1914 წელს. მუზეუმმა ამჟამინდელი დასახელება მიიღო თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგ. აქ არის დაცული კერამიკის, ქსოვილების, ქანდაკების, მინის, ხის, ქვისა და მეტალის საუკეთესო კოლექციები, ისტორიული დოკუმენტები, საიუველირო ნაკეთობანი, მინიატურისა და არაბული კალიგრაფიის იშვიათი ნიმუშები. მუზეუმი 7 განყოფილებისაგან შედგება. ექსპოზიცია თემატურადაა განლაგებული.

მსოფლიოში საყოველთაოდ ცნობილია **ანატოლიის ცივილიზაციის მუზეუმი,** რომელიც მდებარეობს ქ. ანკარაში. ტერმინი ნიშნავს "მზის ამოსვლას" ან "აღმოსავლეთს". თურქული სიტყვა Anadolu ბერძნული ვერსიიდან არის გადმოღებული.

აზიისა და ევროპის გასაყარზე სტრატეგიული მდებარეობის გამო, ანატოლია რამდენიმე ცივილიზაციის დასაბამი გახდა პრეისტორიული პერიოდიდან დაწყებული. ტროას დასახლება ნეოლი-

თურ ხანაში იწყება და რკინის ხანაში გრძელდება. უდიდეს ცივილიზაციათაგან, რომელთაც აქ დასახლება ჰქონიათ, ან დაუპყრიათ – იყვნენ კოლხები, ხურიტები, ხათები, ხეთები, ჰუნები, სკვითები, კიმერიელები, ფრიგიელები, ლიდიელები, ლუვიელები, ბერძნები, რომაელები, კელტები, გუთები, სომხები, სპარსელები, არაბები, ქურთები, სელჯუკები და ოსმალები.

ანატოლიის მუზეუმი კოლექციათა მრავალფეროვნებით ერთერთი უმდიდრესია მუზეუმია მსოფლიოში. იგი დაარსდა 1921 წელს. პრეზიდენტ ქემალ ათათურქის წინადადებით, თავდაპირველად გადაწყვეტილი იყო ხეთების მუზეუმის გახსნა. მუზეუმი თანდათან მუზეუმი შეივსო თურქეთის ტერიტორიაზე მოპოვებული ძველი ცივილიზაციების ისტორიული რელიქვიებით.

ანატოლიის ცივილიზაციის მუზეუმი

დღეისათვის მუზეუმში დაცულია ნეოლითის ეპოქიდან დაწყებული ასურეთის, ურარტუს, ხეთების, ფრიგიის, ძველი საბერძნეთის, ძველი რომის, ბიზანტიის იმპერიის, ოსმალეთის იმპერიის კულტურის ნიმუშები.

1997 წელს ანატოლიის ცივილიზაციის მუზეუმს მიენიჭა „ევროპის წლის მუზეუმის“ სტატუსი.

ანკარის **ეთნოგრაფიის მუზეუმი** შეიქმნა 1925 წელს. მუზეუმი თურქეთის სხადასხვა რეგიონისა და ეპოქის ეთნიკური კულტურის ნიმუშებს ინახავს. 15 წელი მუზეუმის შენობაში განთავსებუ-

ლი იყო ათათურქის მავზოლეუმი და მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციები სტუმრობდნენ.

ტრაპიზონის წმინდა სოფიის ტაძარი ამჟამად წარმოადგენს მუზეუმს. ტაძარი ცნობილია უნიკალური კედლის მხატვრობით. იგი ტრაპიზონის იმპერიის ეპოქაში, XIII საუკუნეში, კერძოდ, 1238-1263 წლებშია აგებული ემანუელ I-ის მიერ. 1461 წელს მეჰმედ II-ემ დაიპყრო ტრაპიზონის იმპერია და მისი ბრძანებით ტაძარი გადაკეთდა მეჩეთად. პირველი მსოფლიო ომის წლებში, რუსეთის მიერ ტრაპიზონის დაკავების შემდეგ, ტაძარში სამხედრო ჰოსპიტალი და საწყობი იყო მოწყობილი. თურქეთის მიერ ტრაპიზონის დაბრუნების შემდეგ აქ ისევ მეჩეთი მოეწყო. ედინბურგის უნივერსიტეტის მიერ ტაძარში ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ 1964 წელს გაიხსნა მუზეუმი.

ტრაპიზონის წმინდა სოფიის ტაძარი-მუზეუმი

იურუკის პარკი წარმოადგენს მუზეუმს ღია ცის ქვეშ, რომელიც კარგად წარმოაჩენს ძველი და თანამედროვე თურქეთის ისტორიულ ყოფას. იგი მდებარეობს ქემერის პორტის მახლობლად პატარა ნახევარკუნძულზე.

სტამბულის **„ბაზილიკის ცისტერნა“** მსოფლიოს უნიკალურ და უცნაურ მუზეუმთა კატეგორიას მიეკუთვნება. ეს არის ადრები-

ზანტიური ეპოქის მიწისქვეშა წყალსატევების სისტემა, რომელიც კარგად არის ჩვენამდე მოღწეული და დაცული. სულ ნაპოვნია 40 წყალსატევი. წყალმომარაგების სიტემა დაკავშირებული იყო ბელგრადის ტყის წყაროებთან. სისტემის მშენებლობა დაიწყო ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე I-ის მმართველობის დროს და დასრულდა 532 წელს იუსტინიანე I-ის მმართველობისას. მიწისქვეშა წყალსატევის სიმაღლე 8 მეტრია, სიგანე 45-65 მეტრი. კედლები აგებულია ცეცხლგამძლე აგურით. ნაგებობის სვეტები ანტიკური ტაძრების არქიტექტურითაა აგებული, რომლებიც დამშვენებულია ორნამენტებითა და მცირე ზომის ძეგლებით. წყალმომარაგების სისტემა მოქმედებდა XVI საუკუნემდე. 1987 წელს სისტემა გასუფთავდა და გაიხსნა მუზეუმი.



სტამბულის „ბაზილიკის ცისტერნა“ მუზეუმი

თანზიმათის (რეფორმები ოსმალეთში 1839-1876 წლებში) ეპოქის ისტორიის მუზეუმია **ბიხლამურის სასახლე-მუზეუმი**. სასახლე წარმოადგენდა სულთნების ყოფილ საზაფხულო რეზიდენციას. მუზეუმის საკუთრებაა სულთნების პირადი ნივთები, სასახლის ავეჯი, დეკორატიული ნაწარმი და სხვ.

1.4.8. ირანი

ირანის ეროვნული მუზეუმი – არქოლოგიისა და ისტორიის პროფილისაა, რომელიც მდებარეობს თეირანში. ეს პირველი სამეცნიერო მუზეუმია ქვეყანაში. იგი გაიხსნა 1937 წელს. აქ ინახება სპარსეთის უძველესი და მომდევნო პერიოდის კულტურის ამსახველი ნივთები. მუზეუმი ორ შენობაშია განთავსებული. ერთ შენობაში დაცულია ისლამდელი ეპოქის, მეორე შენობაში კი ისლამის ეპოქის ამსახველი ექსპოზიცია.

ირანის ეროვნული მუზეუმი

თეირანის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ირანის ერთ-ერთი საუკეთესო მუზეუმთაგანია არა მარტო ქვეყანაში, არამედ აზიის რეგიონში.

მუზეუმი მდებარეობს ლალეს პარკთან. იგი საზოგადოებისთვის 1977 წელს გაიხსნა. შენობის პროექტი ეკუთვნის ირანელ არქიტექტორ კამრან დიბას, რომელმაც შენობის ელემენტებში ტრადიციული სპარსული არქიტექტურული სტილი გამოიყენა.

მუზეუმში ინახება XX საუკუნის ევროპელ მხატვართა მნიშვნელოვანი კოლექცია, მათ შორის აღსანიშნავია კლოდ მონეს, კამილ პისაროს, ვან გოგის, ანდრე დერენის, პაბლო პიკასოს, ფრენსის ბეკონის, რენე მაგრიტის, დიეგო რივერას, ჯასპერ ჯონსის, ენდი უორჰოლის, სუან მიროს, ადოლფ გოტლიბის, ჟორჟ ბრაკის, ედგარ დეგას, მერი კესეტის, მარსელ დუშანისა და სხვათა ნამუშევრები.

თეირანის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი

ირანი ცნობილია დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნებით, რომელიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილს წარმოადგენს. თეირანის დეკორატიული ხელოვნების მუზეუმი ეროვნული კულტურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანეს დაწესებულებას წარმოადგენს.

ირანის არქიტექტურის მუზეუმი ქვეყნის შენობა-ნაგებობათა წარსულისა და თანამედროვეობის ისტორიას ასახავს, რომელიც მდებარეობს ქ. გილიანში. მეორე მხრივ, ეს არის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, რომელიც გაიხსნა 2007 წელს იუნესკოსა და ეკს-ან-პროვანსის უნივერსიტეტის (საფრანგეთი) მხარდაჭერით.

ირანის არქიტექტურის მუზეუმი

ძველი ირანის მუზეუმი ირანში ითვლება „მუზეუმების მამად“, რომელიც გაიხსნა ძველ ისტორიულ შენობაში 1937 წელს. მუზეუმი ასახავს ირანის მრავალათასწლოვანი კულტურისა და ცივილიზაციის ისტორიას დაწყებული პრეისტორიული პერიოდიდან. მუზეუმის ცენტრალური ნაწილი მოგვაგონებს ქტესიფონის სასახლის არქიტექტურას.

ირანის ისტორიის ეროვნულ-კულტურული ფასეულობანი დაცულია ეროვნული ხელოვნების მუზეუმში, იარაღის პალატაში, ზოოლოგიის მუზეუმში, მუჰამედის მუზეუმში, წყლის ეროვნულ მუზეუმში, კალიგრაფიის მუზეუმში და სხვა სამუზეუმო დაწესებულებებში.

1.4.9. ევრაზიის სხვა მუზეუმები

ოკეანოგრაფიული მუზეუმი მდებარეობს მონაკოს რაიონ მონაკო-ვილში. დაფუძნდა 1910 წელს მონაკოს დიდ რეფორმატორ – პრინც ალბერ I-ის მიერ.

მუზეუმში დიდი რაოდენობით ზღვის ცხოველია თავმოყრილი (ზღვის ვარსკვლავები, ცხენთევზები, კუები, მედუზები, კიბორჩხლები, კიბოსნაირნი, გველთევზასნაირნი, ზვიგენები, და მრავალი სხვა). მუზეუმის საკუთრებაშია ასევე დიდი რაოდენობით ზღვასთან დაკავშირებული საგნები, მათ შორის გემების მოდელები, ზღვის ცხოველთა ჩონჩხები, ხელსაწყოები, იარაღი და სხვა.

ოკეანოგრაფიული მუზეუმი

აკვარიუმი

ისლამური ხელოვნების მუზეუმი მდებარეობს ყატარის ეროვნული მუზეუმის გვერდით, დოჰაში, კატარი. ის 2008 წლის 22 ნოემბერს გაიხსნა. კომპლექსის პროექტი ეკუთვნის არქიტექტორ იუჰ მინ პეის.

ისლამური ხელოვნების მუზეუმი

მუზეუმის შენობა ძველი ისლამური არქიტექტურის გავლენით შეიქმნა, თუმცა თვითმყოფადი დიზაინი აქვს. ეს არის პირველი ამ ტიპის მუზეუმი სპარსეთის ყურის რეგიონში. მასში ისლამური ხელოვნების ერთ-ერთი უმსხვილესი კოლექციაა გამოფენილი. კომპლექსი ასევე მოიცავს ბიბლიოთეკას და რამდენიმე რესტორანს. კომპლექსის საერთო ფართი 45 000 მ²-ია და დოჰას ყურეში ნავსადგომის სამხრეთ კუთხეში მდებარეობს.

დანიის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი დაფუძნდა 1896 წელს. იგი მდებარეობს კოპენჰაგენში. მუზეუმის შენობა იტალიური აღორძინების არქიტექტურულ სტილშია აგებული.

მუზეუმების კოლექციები მრავალფეროვანია. აქ განთავსებულია ხელოვნების ნიმუშები XII საუკუნიდან. მრავალფეროვან ექსპონატებს შორის აღსანიშნავია ტიციანის, ტინტორეტოს, რუბენსის, რემბრანდტის, პიკასოს, მატისის, მოდილიანის და სხვ. ხელოვანთა შედევრები.

დანიის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

კოპენჰაგენიდან 15 კმ. დაშორებით მდებარეობს მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმი ღია ცის ქვეშ.

დანიის მუზეუმი ღია ცის ქვეშ

მუზეუმი ნათელ წარმოდგენა უქმნის დამთვალიერებლებს დანიურ ყოფასა და კულტურაზე.

ასევე საინტერესო კოლექციებს ფლობენ დანიის ვიკინგების ხომალდების მუზეუმი, დანიის ტექნიკის მუზეუმი და სხვ.

ევროპაში ერთ-ერთ უძველეს სამუზეუმო დაწესებულებას წარმოადგენს **ბელგიის გამოყენებითი ხელოვნების სამეფო მუზეუმი**, რომელიც გაიხსნა 1801 წელს.

ბელგიის გამოყენებითი ხელოვნების სამეფო მუზეუმი

ეს მუზეუმი წარმოადგენს ბრიუსელის მუზეუმების კომპლექსს. მასში შედის რამდენიმე მუზეუმი: ძველი ხელოვნების მუზეუმი; თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, მხატვრების მუზეუმი და სხვ. მუზეუმს მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიადგა XVIII საუკუნის ბოლოს, საფრანგეთის რევოლუციური არმიის მიერ ბელგიის ოკუპაციისას. საოკუპაციო ხელისუფლებამ მოახდინა სამეფო სასახლის ხელოვნების ნიმუშების კონფისკაცია და დიდი ნაწილის პარიზში გადატანა. ნაპოლეონის ხელისუფლების დამხობის შემდეგ ბელგიას დაუბრუნდა ქვეყნიდან გატანილი სიმდიდრე. მუზეუმი ფლობს ფრანგული, იტალიური, ჰოლანდიური ფერწერის ნიმუშებს, ფლამანდიის კოლექციებს.

ბელგიური შოკოლადი საყოველთაოდ არის აღიარებული და ცნობილი. ჩამოყალიბდა ეროვნული წარმოების ტექნოლოგია, რამაც სახელი გაუთქვა ბელგიას მთელ მსოფლიოში. ამიტომ ბუნებრივიცაა, რომ ბელგიაში გაიხსნა **შოკოლადის მუზეუმი**.

მუზეუმი წარმოადგენს ერთგვარ მემატიანეს შოკოლადის ისტორიის. მუზეუმს გააჩნია შოკოლადის ისტორიის მდიდარი ბიბლიოთეკაც.

შოკოლადისაგან დამზადებული ცნობილი მაია. შოკოლადის მუზეუმი

1.5. მუზეუმები ამერიკაში

1.5.1. ამერიკის შეერთებული შტატები

სამუზეუმო ქსელის ინფრასტრუქტურის განვითარებისა და მართვის თანამედროვე მოდელების დამკვიდრების მხრივ, ამერიკის შეერთებულ შტატებს მოწინავე ადგილი უკავია მსოფლიოში.

ამერიკაში თავიდანვე ხელოვნების მუზეუმები სხვა მოთხოვნილების მიხედვით შეიქმნა. XVIII-XIX საუკუნეები ის პერიოდია, როცა იწყება სამეცნიერო და ხელოვნების კოლექციების შეგროვება ორივე კონტინენტზე, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აშშ-ში უპირატესობა სამეცნიერო კოლექციებს ენიჭებოდა. ცოტა მოგვიანებით უფრო მეტი ყურადღება მიექცა არქიტექტურას და ქანდაკებას.

ხელოვნების ნიმუშების გამოფენა აშშ-ში თავდაპირველად დაიწყო სამხატვრო გალერეებში. აქ გამოსაფენად მოჰქონდათ კერძო კოლექციონერთა მიერ შეძენილი ფერწერისა და გრაფიკის ნიმუშები.

ამავე დროს, XIX საუკუნის დასაწყისში გაიხსნა ხელოვნების რამდენიმე ცენტრი. მაგალითად, ბოსტონის ცენტრი („ათენაუმი“), რომელიც დაარსდა 1807 წელს, დაიწყო ხელოვნების ნიმუშების შეგროვება. 1836 წელს ვაშინგტონის პატენტ ოფისში გამოიფინა ხელოვნების ნიმუშები ინდიელების ძვლებთან და სხვა რელიქვიებთან ერთად, რომლებიც ვაშინგტონის ინსტიტუტს ეკუთვნოდა.

მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი უდიდესი და ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ხელოვნების მუზეუმთაგანია. იგი მდებარეობს მანჰეტენზე ცენტრალური პარკის დასავლეთ კუთხეში (ნიუ-იორკი). მას ასევე ეკუთვნის შენობათა კომპლექსი “კლასტერები” ფორტ ტრიონის პარკში ჰუძონის პირას მანჰეტენის კუნძულის ჩრდილოეთ ბოლოში. აქ შუასაუკუნეების ხელოვნების ნიმუშებია განთავსებული.

მუზეუმი გაიხნა 1872 წლის 20 თებერვალს. მისი დამფუძნებელი იყო გამომცემელი ჯორჯ პალმერ პატნემი.

მუზეუმის კოლექცია მოიცავს ძველბერძნულ კლასიკურ ანტიკურ ნივთებს, ევროპული ხელოვნებისა და ამერიკული ხელოვნების ვრცელ კოლექციას. მუზეუმი ფლობს ასევე ეგვიპტური, აფრიკული, აზიური, ოკეანიის, ახლო აღმოსავლეთის, ბიზანტიისა და ისლამური ხელოვნების ნიმუშებს. აქვე არის ცნობილი ისტორიული ინტერიერების რეპროდუქციები. ერთ-ერთი მათგანი ეკუთვნის განთქმულ ამერიკელ არქიტექტორს ფრენკ ლოიდ რაიტს. იარაღისა და საჭურჭლის განყოფილებაში თავმოყრილია ანტიკური იარაღის ნიმუშები მთელი მსოფლიოდან, განსაკუთრებით კი ევროპიდან, იაპონიიდან, ახლო-აღმოსავლეთიდან და ამერიკიდან.

1969 წელს, ბანკირ რობერტ ლემანის გარდაცვალების შემდეგ მისი ანდერძით მუზეუმმა მიიღო ხელოვნების დაახლოებით 3000 ნიმუში, რომელიც გამოფენილია “რობერტ ლემანის ფრთაში” და ითვლება ყველაზე ექსტრაორდინალურ კერძო კოლექციად, რომელიც შეუგროვებიათ აშშ-ში. პრინსტონის უნივერსიტეტის გამოცემამ შეაგროვა ამ მასიური კოლექციის დოკუმენტაცია და გამოუშვა მრავალტომიან წიგნად “რობერტ ლემანის კოლექციის კატალოგები”.

დ. მორგანის, ვ. ლორილარდის, რ. ლემანის და სხვ. კერძო კოლექციები, რომლებმაც ბინა დაიდო ამერიკის მეტროპოლიტენ მუზეუმში, ქვეყნის ეროვნული სიამაყის საგნად იქცა. ამჟამად ამ კოლექციებს მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით კონკურენციას ვერ გაუწევს ამერიკის ვერც ერთი მუზეუმი.

მეტროპოლიტენ-მუზეუმის მთავარი ჰოლი

ამერიკის **ბუნების ისტორიის მუზეუმი** ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირშესანიშნაობაა მანჰეტენის ზემო ვესტ-საიდზე (ნიუ-იორკი). მუზეუმს დაახლოებით 1200 თანამშრომელი ჰყავს და 100-ზე მეტ სპეციალურ საველე ექსპედიციას აფინანსებს ყოველწლიურად.

მთავარი შესასვლელი ცენტრალ-პარკის მხრიდან

ბრუკლინის მუზეუმი სიდიდით მეორე ხელოვნების მუზეუმია ქალაქ ნიუ-იორკში (ასევე ერთ-ერთი უდიდესი აშშ-ში).

ბრუკლინის მუზეუმის შენობა, რომელიც 1897 წელს გაიხსნა, აგებულია ფოლადის კონსტრუქციით კლასიკური ქვის წყობით.

მუზეუმის ძირითად კოლექციაში ერთნახევარ მილიონზე მეტი ხელოვნების ნიმუშია ძველი ეგვიპტის შედევრებიდან თანამედროვე ხელოვნების ნივთების ჩათვლით. 52,000 მ² ფართობის ნეოკლასიკური არქიტექტურული სტილის (ფრანგ. „ბოზ-არტის“ სტილი – ნატიფი ხელოვნება, რომელსაც პარიზში ნატიფი ხელოვნების სკოლაში ასწავლიდნენ. ბოზ-არტის, როგორც სტილის, წარმოშობა უკავშირდება საფრანგეთის არქიტექტურის სამეფო აკადემიის მიერ 250 წლის განმავლობაში დანერგილ სწავლებას. რევოლუციის შემდგომ კი სამეფო აკადემია შეცვალა საფრანგეთის ხელოვნების აკადემიამ. ეს სტილი წარმატების მწვერვალს აღწევს XIX საუკუნეში). შენობას წელიწადში ნახევარი მილიონი მნახველი სტუმრობს.

ბრუკლინის მუზეუმი

სოლომონ **გუგენჰაიმის მუზეუმი** არის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, რომელიც დაფუძნდა 1937 წელს. მუზეუმი მდებარეობს ზემო ისტ-საიდზე, ნიუ-იორკში და ყველაზე ცნობილია სოლომონ გუგენჰაიმის ფონდის მიერ დაარსებულ რამდენიმე მუზეუმს შორის. ხშირად მოიხსენიება უბრალოდ როგორც „გუგენჰაიმი“.

მუზეუმს თავდაპირველად ერქვა „არაობიექტური მხატვრობის მუზეუმი“ და დაფუძნდა ადრეულ მოდერნისტთა მიერ, როგორებიც იყვნენ ვასილი კანდინსკი და პიტ მონდრიანი, ავანგარდული ხელოვნების გამოსაფენად. მუზეუმი მის ამჟამინდელ ადგილზე 1959 წელს იქნა გადმოტანილი.

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი მდებარეობს მიდთაუნ მანჰეტენზე (ნიუ-იორკი). მუზეუმი ხშირად მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმის მეტოქედ განიხილება. პირველად დამთვალიერებელთათვის გაიხსნა 1929 წლის 7 ნოემბერს. ითვლება რა თანამედროვე ხელოვნების ნიმუშთა საუკეთესო მუზეუმად მსოფლიოში, მის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს: ვინსენტ ვან გოგის „ვარსკვლავიანი ღამე”; პაბლო პიკასოს „ავინიონელი ქალიშვილები“; სალვადორ დალის „მეხსიერების მუდმივობა“; პიტ მონდრიანის „ბროდვეის ბუგი-ვუგი“; კლოდ მონეს „დუმფარები“ ტრიპტიხი; ანრი მატისის „ცეკვა“; პოლ სეზანის „მობანავე“; ფრიდა კალოს „ავტო-პორტრეტი შეჭრილი თმით“.

აქვეა წამყვანი ამერიკელი მხატვრების ჯექსონ პოლოკის, ჯასპერ ჯონსის, ედვარდ ჰოპერის, ენდი უორჰოლის, ჩაკ კლოუზის და რალფ ბეკშის ნამუშევრები.

მუზეუმს მსოფლიოში სახელგანთქმული მხატვრული ფოტოგრაფიის კოლექცია აქვს. აქვეა ასევე მნიშვნელოვანი დიზაინის კოლექციები, მათ შორის პოლ ლასცლოს ნამუშევრები.

მუზეუმის ხედი ბაღიდან

მუზეუმის შენობამ მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია განიცადა 21-ე საუკუნის დასაწყისში. 2004 წლის 20 ნოემბერს გაიხსნა იაპონელი არქიტექტორის იოშიო ტანიგუჩის განახლებული პროექტით. ამ პერიოდში კოლექციის ნაწილი გამოფენილი იყო ყოფილი ჭიკარტების ქარხანაში. მუზეუმის ხელახალ გახსნას მოსახლეობის უკმაყოფილება მოჰყვა შესასვლელი ბილეთის ფასის 12 დოლარიდან 20 დოლარამდე გაზრდის გამო. იგი ნიუ-იორკში ყველაზე ძვირი მუზეუმია. პარასკევობით, 16 საათის შემდეგ "გადაიხადეთ რამდენიც გსურთ" პოლიტიკა მოქმედებს და დამთვალიერებლებს შეუძლიათ უფასოდ შესვლა თუ რიგმა დღის ბოლომდე მოუწიათ.

კუპერ-ჰიუიტი, ეროვნული დიზაინის მუზეუმი აშშ-ის დიზაინის ისტორიისა და თანამედროვე დიზაინის ეროვნული მუზეუმია. ეს ერთადერთი მუზეუმია აშშ-ში, რომლის კოლექცია მთლიანად დიზაინს ეთმობა. მუზეუმი ნიუ-იორკში მდებარეობს (მუზეუმთა მილზე) და სმითსონიური ინსტიტუტის ნაწილია. მუზეუმი წარადგენს ყოველწლიური ეროვნული დიზაინის ჯილდოს ათ კატეგორიაში – „ამერიკული დიზაინის საუკუთესო ნიმუშებისთვის" მფლობელს.

მიმდინარე ხელოვნების ახალი მუზეუმი (New Museum of Contemporary Art) დაარსდა 1977 წელს. იგი ერთადერთი მუზეუმია ქალაქ ნიუ-იორკში, რომელიც სრულიად ეთმობა მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნებას. გასული ხუთი წლის განმავლობაში მუზეუმმა გამოფინა არგენტინის, ბრაზილიის, ჩინეთის, ჩილეს, კოლუმბიის, კუბის, გერმანიის, პოლონეთის, ესპანეთის, თურქეთისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდა ხელოვანთა ნამუშევრები. მუზეუმში ძირითადად გამოტანილია ნაკლებად ან სრულიად უცნობი მხატვრების ნამუშევრები, რომელთა გარკვეული ნაწილი შემდგომში სახელგანთქმული გახდა (მათ შორის ანა მენდიეტა, უილიამ კენტრიჯი, დევიდ ვოინაროვიჩი, პოლ მაკარტი და ანდრეა ზიტელი).

2007 წლის დეკემბერში მუზეუმმა გადაინაცვლა ახალ შენობაში. ამ ახალმა შენობამ, (დააპროექტა ტოკიოს ფირმა „სეჯიმა+ნისიძავამ" და ნიუ-იორკის ფირმა გენსლემამ) მნიშვნელოვნად გაზარდა მუზეუმის საგამოფენო ფართი. თვით შენობა, მისი დიზაინით, მყისვე გახდა ქალაქის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა.



მუზეუმის ფასადი

შენობას გრანიტით მოპირკეთებული, თავისებური კიბისებრი ფასადი და თავდაღმა დატრიალებული გარე ფანჯრები აქვს.

მუზეუმში გამოფენილია ფერწერული ტილოები, სკულპტურები, ინსტალაციები, ვიდეო და ფოტო მასალები. ყოველ ორ წელიწადში ტარდება ბიენალე – საერთაშორისო ხელოვნების შოუ, რომელზეც გამოფენილია მრავალი, ამერიკული ხელოვნების წრეებისთვის ახალი, ნაკლებად ცნობილი ხელოვანის ნამუშევარი.

მუზეუმის მუდმივ კოლექციაში განთქმული ხელოვანების 12 ათასზე მეტი ნამუშევარია. აქ წარმოდგენილ ხელოვანთა შორის არიან ალექსანდრე კოლდერი, ენდი უორჰოლი, ჯასპერ ჯონსი, კიტ ჰარინგი, უილიამ დე კუნინგი და ედვარდ ჰოფერი, რომლებმაც მრავალი საკუთარი ნამუშევარი მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცეს.

ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი დაფუძნდა 1876 წელს, ქვეყნის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით და დღეის-

თვის აშშ-ის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი მუზეუმია. დამთვალიერებლებისათვის მუზეუმი გაიხსნა 1877 წელს. მისი ამჟამინდელი შენობის პირველი ნაწილი აშენდა 1919-1928 წლებში.

ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი

ყოველწლიურად მუზეუმი 20-მდე სპეციალურ გამოფენას აწყობს და მას დაახლოებით 800 ათასზე მეტი ადამიანი სტუმრობს. ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ცნობილი სპეციალური გამოფენები, რომლებსაც ათასობით ადამიანი სხვადასხვა შტატიდან და საზღვარგარეთიდან დაესწრო იყო სეზანის (1996 წ. 548 ათასი დამთვალიერებელი) და სალვადორ დალის (2005 წ. 370 ათასი დამთვალიერებელი) ნამუშევართა გამოფენა. ამ გამოფენების უნიკალურობა იმაში მდგომარეობდა, რომ მუზეუმმა მოახერხა კერძო კოლექციებიდან გამოეთხოვა მხატვართა თითქმის ყველა ცნობილი ნამუშევარი და მათი სრული კოლექცია წარმოედგინა მნახველებისთვის.

მუზეუმი განსაკუთრებით ცნობილია პენსილვანიის გერმანული ხელოვნების, მე-18 და მე-19 საუკუნეების ავეჯისა და ჭურჭლის მნიშვნელოვანი კოლექციებითა და ფილადელფიელი მხატვრის თომას იკინსის ნამუშევრებით.

მუზეუმი ცნობილია არა მხოლოდ მისი არქიტექტურითა და კოლექციებით, არამედ იმ როლითაც, რემელიც მან კინოფილმ "როკის" განთქმულ სცენაში ითამაშა. ერთი პერიოდი კიბეების თავზე როკის ბრინჯაოს ქანდაკება იდგა, თუმცა მის მხატვრულ ღირებულებაზე მოქალაქეთა გაცხარებული კამათის შემდეგ ის ამ ადგილიდან მოიხსნა.

ფრიკის კოლექცია – ხელოვნების მუზეუმი მანჰეტენზე (ნიუ-

იორკი). მდებარეობს ლითონის მაგნატის ჰენრი კლეი ფრიკის ყოფილ რეზიდენციაში, რომელიც თომას ჰასტინგის პროექტით 1913-14 წლებში აიგო.

ფრიკის რეზიდენცია

ფრიკი ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ხელოვნების მუზეუმთაგანია აშშ-ში, ძველ ხელოვანთა ერთობ მაღალი ხარისხის კოლექციით, რომელიც ყოფილი რეზიდენციის 16 გალერეაში არის გამოფენილი. ტილოები მრავალ გალერეაში დღესაც ფრიკის დიზაინის მიხედვით არის განლაგებული, თუმცა ამასთან წლების განმავლობაში დამატებული ახალი ხელოვნების ნიმუშებიც კოლექციას ფრიკის ესთეტიკის შესაბამისად ეხამება.

კოლექციაში შედის ევროპელი მხატვრების ზოგიერთი ყველაზე უკეთ ცნობილი ნამუშევარი, ასევე მრავალი ქანდაკება და ფაიფურის ჭურჭელი. აქვეა ავეჯი, მინანქრის ნივთები და ხალიჩები. ფრიკის გარდაცვალების შემდეგ, მისმა ქალიშვილმა ჰელენ კლეი ფრიკმა კოლექცია გააფართოვა და ამჟამად კოლექციის მესამედი 1919 წლის შემდეგ არის შესყიდული.

პენსილვანიის სახვითი ხელოვნების აკადემია დაფუძნდა 1805 წელს ფილადელფიაში, (პენსილვანია), მხატვრისა და მეცნიერის ჩარლზ უილსონ პილის, სკულპტორ უილიამ რაშის და სხვა ხელოვანთა და ბიზნეს ლიდერთა მიერ. ეს უძველესი ხელოვნების მუზეუმი და სკოლაა აშშ-ში. აკადემიის მუზეუმი მსოფლიოში ცნობილია მე-19 და მე-20 საუკუნეების ამერიკული ფერწერისა და სკულ-

პტურის ნამუშევრების უმდიდრესი კოლექციით. მის არქივებში დაცულია უმნიშვნელოვანესი მასალები ამერიკული ხელოვნების ისტორიის, მუზეუმებისა და ხელოვნების ტექნიკის შესასწავლად.

მუზეუმის ამჟამინდელი შენობა 1876 წელს გაიხსნა. შენობის პროექტი ეკუთვნით ამერიკელ არქიტექტორებს ფრენკ ფერნესსა და ჯორჯ ჰიუიტს (ეროვნული ისტორიული ლენდმარკის ტიტული აქვთ მინიჭებული). შესაბამისად ის ამერიკისა და თავად ფილადელფიის არქიტექტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანეს ნაწილად ითვლება. შენობას რესტავრაცია 1976 წელს ჩაუტარდა. მუზეუმის კოლექცია გამოფენილია ქრონოლოგიურ და თემატურ ფორმატში და ამგვარად დამთვალიერებელი ამერიკის ხელოვნების ისტორიას ეცნობა 1760 წლიდან დღემდე.

აკადემიის ისტორიული შენობა

დაფუძნებიდან აკადემია აგროვებდა წამყვან ამერიკელ ხელოვანთა, ისევე როგორც თავად სკოლის გამოჩენილ კურსდამთავრებულთა, ნამუშევრებს. 1811-1969 წლებში აკადემია ორგანიზებას უწევდა მნიშვნელოვან ყოველწლიურ გამოფენებს, საიდანაც მნიშვნელოვან ახალ ნიმუშებს იძენდა. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის აკადემიის მმართველ დირექტორს 1892-1905 წლებში ჰარისონ მორისს. ამ პერიოდში შეძენილ ხელოვნების ქმნილებათა შორისაა სესილია ბოს, უილიამ მერიტ ჩეიზის, ფრენკ დუვენეკის,

თომას იკინსის, უინსლოუ ჰომერის, ჩაილდ ჰასამის და ედმუნდ ტარბელის ნამუშევრები.

1876 წელს აკადემიის ყოფილი სტუდენტი თომას იკინსი ინსტიტუტში დაბრუნდა მასწავლებლად და სრულიად განაახლა სასწავლო პროგრამა, რომელიც სკოლას დღემდე შემორჩა. სტუდენტები სერტიფიცირების პროგრამაში სწავლობენ ხატვის, ხაზვის, სკულპტურისა და ლითოგრაფიის საფუძვლებს ორი წლის განმავლობაში, რის შემდეგაც ორი წელი თავისუფალ სწავლებაზე გადადიან ფაკულტეტის ხელოვნებათმცოდნეთა ხელმძღვანელობით.

აკადემია დღესაც ინარჩუნებს ტრადიციას და განაგრძობს თანამედროვე ამერიკელ ხელოვანთა ნამუშევრების შეძენას.

აკადემიის კვალიფიცირებულ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ პარალელურად სახვითი ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი მიიღონ პენსილვანიის უნივერსიტეტში. ეს ორი სასწავლო დაწესებულება მჭიდროდ თანამშრომლობს ერთმანეთთან, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს „აივი ლიგის“ ხარისხი მიიღონ აკადემიის დიპლომთან ერთად. აკადემია ასევე ცნობილია ძლიერი სამაგისტრო პროგრამით, ინტენსიური სწავლისშემდგომი დახელოვნების კურსებითა და ასევე სპეციალური პროგრამებით ბავშვებისა და ოჯახებისთვის. ხელოვნების განვითარებისთვის საკუთარი წვლილისთვის აკადემია 2005 წელს ეროვნული ხელოვნების მედლით დაჯილდოვდა აკადემიის ორასი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

როდენის მუზეუმი (ფილადელფია, აშშ) გაიხსნა 1929 წლის 29 ნოემბერს. მასში დაცულია ოგიუსტ როდენის განთქმული ნამუშევრები. მუზეუმის შესასვლელშია ჯოჯოხეთის კარიბჭე. ეს არის 5.5 მ. სიმაღლის ბრინჯაოს კარი, რომელიც თავდაპირველად შექმნილი იყო დეკორატიული ხელოვნების მუზეუმის შესავლელისათვის, რომელიც უნდა ყოფილიყო პარიზში, მაგრამ იდეა არ განხორციელა. როდენმა 1880 წლიდან თითქმის გარდაცვალებამდე (1917) ამ კარიბჭისათვის 100-ზე მეტი სკულპტურა შექმნა. ერთ-ერთი ასეთი ფიგურა იყო „მოაზროვნე“, მაგრამ მოგვიანებით იგი დამოუკიდებელ სკულპტურად შეიქმნა. ფილადელფიის მუზეუმში წარმოდგენილი „ჯოჯოხეთის კარიბჭე“ არის ერთ-ერთი იმ სამი კარიბჭიდან, რომელიც ჩამოისხა.

მუზეუმის დარბაზებში წარმოდგენილია როდენის მრავალი ნამუშევარი, მათ შორისაა „კოცნა“ (1886), „მარადიული გაზაფხული“ (1884), „კალეს მოქალაქეები“ (1884).

როდენის მუზეუმის შესასვლელი, ფილადელფია

მუზეუმი წარმოადგენს თეატრისა და კინოს მაგნატის, ჟიულ მასტბაუმის (1872-1926) საჩუქარს ქალაქ ფილადელფიისათვის. მასტბაუმი 1923 წლიდან აგროვებდა როდენის ნამუშევრებს, იმ მიზნით რომ მუზეუმი შეექმნა. სამი წლის განმავლობაში მან თავი მოუყარა როდენის ნამუშევრების უმდიდრეს კოლექციას, რომელიც მოიცავდა: ბრინჯაოს ქანდაკებებს, თაბაშირის ესკიზებს, ჩანახატებს, გამოცემებს, წერილებს და წიგნებს. 1926 წელს მასტბაუმმა ფრანგ არქიტექტორებს – პოლ კრეტსა და ჟაკ გრებეს დაუკვეთა მუზეუმის შენობისა და ბაღის დიზაინი. სამწუხაროდ, ქველმოქმედი კოლექციონერი ვერ მოესწრო თავისი ოცნების ახდენას და მუზეუმის ხილვას. მისი ოცნება სისრულეში მისმა მეუღლემ მოიყვანა და 1929 წლის 29 ნოემბერს მუზეუმი გაიხსნა.

სან-ფრანცისკოს თამანედროვე ხელოვნების მუზეუმი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმია (კალიფორნია).

მუზეუმი გაიხსნა 1935 წელს, დამფუძნებელი დირექტორის გრეის მაკკენ მორლის ხელმძღვანელობით, როგორც „სან-ფრანცისკოს ხელოვნების მუზეუმი“. ის პირველი მუზეუმი იყო დასავლეთ სანაპიროზე, რომელიც მხოლოდ XX საუკუნის ხელოვნებას მიეძღვნა. არსებობის პირველი სამოცი წლის განმავლობაში, მუზეუმს „სივიკ ცენტრის“ ომის ვეტერანთა მემორიალის შენობის ზედა სართულები ეკავა. ჰენრი ჰოპკინსის დირექტორობის (1974-

1986) პერიოდში, 1975 წელს, მუზეუმს ტიტულში დაერთო „თანამედროვე“ და საერთაშორისო რეპუტაცია მოიპოვა.

სან-ფრანცისკოს თამანედროვე ხელოვნების მუზეუმი

1995 წელს მუზეუმი მის ამჟამინდელ ადგილზე გადავიდა მარიო ბოტას პროექტით აგებულ შესანიშნავ შენობაში. ამავე პერიოდში ნიუ-იორკის „მომა“-ს (Museum of Modern Art – MoMA) მიბაძვით მუზეუმმა „სფმომა“ (San Francisco Museum of Modern Art – SFMOMA) დაირქვა. მის კოლექციებში ინახება ჯექსონ პოლოკის, რიჩარდ დიბენკორნის, პაულ კლეეს, მარსელ დიუშანის და ანსელ ადამსის მნიშვნელოვანი ნამუშევრები სხვა მრავალთა შორის.

ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტი წამყვანი საგანმანათლებლო დაწესებულება და ხელოვნების მუზეუმია აშშ-ში, რომე-

ლიც ასევე ცნობილია იმპრესიონისტთა და ამერიკული ხელოვნების ნიმუშთა ვრცელი კოლექციით.

შესასვლელი მიჩიგანის გამზირიდან

1866 წელს ხელოვანთა ჯგუფმა (35 კაცი) დააფუძნა ჩიკაგოს დიზაინის აკადემია საკუთარი ხელოვნების გალერეით, რომლის მიზანი ახალგაზრდა ხელოვანების უფასო სწავლება იყო. ორგანიზაციას საფუძვლად დაედო ევროპული ხელოვნების აკადემიების სისტემა, მათ შორის ბრიტანეთის სამეფო აკადემია, აკადემიკოსებითა და მათი მოადგილეებით. აკადემიამ ქარტია 1867 წელს მიიღო.

ყოველდღიური გაკვეთილები დაიწყო 1868 წელს. აკადემიის წარმატებამ მათ შესაძლებლობა მისცა სკოლისთვის ახალი 5 სართულიანი შენობა აეგოთ, რომელიც 1870 წლის 22 ნოემბერს გაიხსნა. თუმცა, ერთი წლის შემდეგ, ხანძარმა შენობა გაანადგურა და აკადემია მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩააგდო.

დანაკარგის მიუხედავად, აკადემიამ საქმიანობა ნაქირავებ შენობაში გააგრძელა. 1878 წლისათვის აკადემიის ვალმა 10 ათასი დოლარი შეადგინა. აკადემიის წევრები ცდილობდნენ ადვილობრივ ბიზნესმენებთან გარიგებით აკადემია სავალალო მდგომარეობი-

დან დაეხსნათ, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ დასრულდა. ხელოვანთა ჯგუფმა 1879 წელს ახალი ორგანიზაცია სახელწოდებით „ჩიკაგოს სახვითი ხელოვნების აკადემია“ დააფუძნა. იმავე წელს ჩიკაგოს დიზაინის აკადემია ბანკროტად გამოცხადდა და მისი ქონება სახვითი ხელოვნების აკადემიამ შეისყიდა აუქციონზე.

1882 წელს ჩიკაგოს სახვითი ხელოვნების აკადემიამ სახელი გადაირქვა და დღემდე ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტი ჰქვია. იმავე წელს აკადემიამ მიწის ნაკვეთი შეიძინა შენობებითურთ. მალე არსებული შენობა გაქირავებულ იქნა, ხოლო მის უკან, სკოლისთვის ახალი შენობის მშენებლობა დაიწყო.

ხელოვნების ინსტიტუტმა ქალაქის მმართველობაზე ზეწოლით მიაღწია იმას, რომ 1892-1893 წლებში მსოფლიო კოლუმბიური ექსპოზიციისთვის მიჩიგანის ტბის სანაპიროზე სპეციალურად აგებული შენობა ინსტიტუტისთვის გადაეცათ. 1893 წლის 31 ოქტომბერს ინსტიტუტი ახალ შენობაში გადავიდა.

ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტი დღეს საერთაშორისო დონის მუზეუმი და აღიარებული დამოუკიდებელი სახვითი ხელოვნების სკოლაა.

ჩიკაგოს სახვითი ხელოვნების სკოლა ვიზუალური და მასთან მონათესავე სხვადასხვა მიმართულების ხელოვნების პროფესიული კოლეჯია. აკრედიტაცია მიიღო 1936 წელს კოლეჯთა და სკოლათა ჩრდილო-ცენტრალური ასოციაციისგან, ხოლო 1944 წლიდან ხელოვნებისა და დიზაინის სკოლების ეროვნული ასოციაციისგან.

ჩიკაგოს ცენტრში მდებარე კოლეჯის კამპუსი ხუთი შენობისგან შედგება.

ამჟამად ინსტიტუტი (კოლეჯი) – მუზეუმი ყველაზე მეტად განთქმულია იმპრესიონისტთა და ამერიკელ ხელოვანთა კოლექციებით, მათ შორისაა: კლოდ მონეს „თივის ზვინები“, ჟორჟ სერას „კვირა ნაშუადღევი გრანდ ჟატის კუნძულზე“, გრანტ ვუდის „ამერიკული გოთიკა“ და ედვარდ ჰოპერის „ბუები“.

თუმცა მუზეუმს გაცილებით მეტი ფერწერული ტილო აქვს. სარდაფში განთავსებულია ამერიკული და ევროპული არქიტექტურისა და ავეჯის სტილის ზუსტი მინიატურები. მთავარ სართულზე ჯორჯ ჰარდინგის შუასაუკუნეების პერიოდის იარაღისა და საჭურველის კოლექციაა.

ინსტიტუტის განთქმულ მიჩიგანის გამზირის დასავლეთ შესასვლელს იცავს ედვარდ კიმის მიერ შექმნილი ორი ბრინჯაოს

ლომის სკულპტურა. ჩიკაგოს სპორტული კლუბების პლეიოფების დროს ამ ლომებს ხშირად კლუბის უნიფორმა აცვია. აღმოსავლეთ შესასვლელის კარებში ჩიკაგოს სააქციო ბირჟის სავაჭრო ოთახის რეკონსტრუქციაა. ლუი სულივენის 1894 წლის დაპროექტებული ბირჟა 1972 წელს დაშლილ იქნა. ოთახის გადარჩენილი ნაწილები ხელოვნების ინსტიტუტში მოიტანეს და აღადგინეს. ხელოვნების ინსტიტუტის აღმოსავლეთ გასასვლელში ასევე არის ყოფილი სააქციო ბირჟის შესასვლელი, პრეზერვაციონისტების მიერ გადარჩენილი ძველი ჩიკაგოს ერთადერთი ღირსშესანიშნაობა.

ხელოვნების ეროვნული გალერეა ხელოვნების მუზეუმია, რომელიც მდებარეობს „ნაციონალურ მოლთან“ ვაშინგტონში. მუზეუმი დაფუძნდა 1937 წელს კონგრესის გადაწყვეტილებით. შენობის რეკონსტრუქციისა და მნიშვნელოვანი სამხატვრო კოლექციისთვის ფონდები გაიღო ენდრიუ მელონმა. სემუელ კრესმა მუზეუმს უსახსოვრა მისი თავდაპირველი იტალიური ხელოვნების კოლექცია.

ეროვნული გალერეის აღმოსავლეთის შენობა

მუზეუმი ორი ნაწილისგან შედგება, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შენობებისგან, რომლებიც მიწისქვეშა დერეფნებითაა დაკავშირებული. მუზეუმის საწყისი შენობა (ამჟამად დასავლეთის ფრთა) გაიხსნა 1941 წლის 17 მარტს. არქიტექტორ ჯონ რასელ პოუპის მიერ დაპროექტებული შენობა ნეო-კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი გიგანტური სვეტებიანი პორტიკით და მასიური თაღით. აღმოსავლეთის შენობის დიზაინი (ი. მ. პეი) ასევე გეომეტრიულია, მაგრამ უფრო ფრაგმენტული და სწორკუთხოვანია დასავ-

ლეთის კლასიკურ შენობასთან შედარებით. ზემოდან ის ერთმანეთში გადაჯაჭვულ ალმასებს წააგავს. აღმოსავლეთის შენობა გაიხსნა 1978 წელს. გალერეამ 1999 წელს ასევე გახსნა სკულპტურათა ბაღი დასავლეთის შენობის გვერდით.

დასავლეთის შენობას ევროპელ ხელოვანთა ფერწერისა და სკულპტურის მრავალრიცხოვანი კოლექცია გააჩნია ამერიკელ ხელოვანთა ნამუშევრებთან ერთად. სხვა მრავალთა შორის ამ კოლექციაშია ლეონდარდო და ვინჩის, ვერმეერის, რემბრანდტის, მონეს, ვან გოგის მნიშვნელოვანი ტილოები.

აღმოსავლეთის შენობა თანამედროვე ხელოვნებაზე აკეთებს აქცენტს და მის კოლექციაშია პიკასო, მატისი, ჯეკსონ პოლოკი, ენდი უორჰოლი და ალექსანდერ კოლდერი. ამავე შენობაშია გალერეის მთავარი ადმინისტრაციული ოფისები და დიდი კვლევითი ცენტრი.

დასავლეთის შენობის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობს ეროვნული გალერეის სკულპტურათა ბაღი. 25 ათასი კვ.მ. ბაღი გაშენებულია დიდი მრგვალი შადრევნის ირგვლივ, რომელსაც ზამთარში საციგურაო მოედნად იყენებენ და მას ირგვლივ ქვის ამფითეატრი აკრავს. აქ გამოფენილ სკულპტურათა შორის არის ჟოან მიროს, ლუიზა ბურჟუას, როი ლიხტენშტეინისა და ჰექტორ გიმარდის ნამუშევრები.

ხელოვნების ეროვნული გალერეა კერძო პარტნიორობის მხარდაჭერით არსებობს. ამავე დროს აშშ-ის ფედერალური მთავრობა გამოჰყოფს ფონდებს ყოველწლიურად მუზეუმის შენახვისათვის. თუმცა მთელი მხატვრული კოლექცია, ისევე როგორც მუზეუმის სპეციალური პროგრამები კერძო დოტაციებითა და ფონდების საშუალებით ხორციელდება. მუზეუმი სმითსონიანის ინსტიტუტთანაა აკრედიტირებული, თუმცა ის დამოუკიდებლად იმართება.

როგორც სამთავრობო დაწესებულებაში, შესვლა ეროვნულ გალერეაში უფასოა. მუზეუმი ღიაა ყოველდღიურად დილის 10-დან 17 საათამდე (კვირას 18 საათამდე).

1.5.2. კანადა

ონტარიოს სამეფო მუზეუმი ჩრდილოეთ ამერიკის უდიდეს მუზეუმებს შორისაა. იგი ყველაზე უძველესი მუზეუმია კანადაში, რომელიც დაარსდა 1857 წელს. მუზეუმი თავდაპირველად წარმოადგენდა საბუნებისმეტყველო და გამოყენებითი ხელოვნების პროფილის დაწესებულებას. იგი მდებარეობს ტორონტოში. მუზეუმის 6 მილიონზე მეტი ექსპონატი განთავსებულია 40-ზე მეტ გალერეაში. მუზეუმი ცნობილია დინოზავრების კოლექციებით, ახლო აღმოსავლეთის, აზიის, აფრიკისა და ევროპის ისტორიისა და ხელოვნების ნიმუშებით.

სამეფო მუზეუმი

ონტარიოს სამეფო მუზეუმი

1912 წელს კანადის მთავრობის გადაწყვეტილებით, მუზეუმმა მიიღო სამეფო მუზეუმის სტატუსი. იგი შედიოდა ტორონტოს უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში. 1968 წლიდან მუზეუმი დამოუკიდებელია.

მონრეალის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი კვებეკის უდიდესი და კანადის უძველესი მუზეუმია. იგი ჩრდილოეთ ამერიკის პოპულარულ მუზეუმებს შორისაა.

მუზეუმი დაარსდა გამოყენებითი ხელოვნების ასოციაციის ბაზაზე 1860 წელს. 1848 წელს მიიღო გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის სატუსი. მუზეუმის შექმნას ხელი შეუწყო ბიზნესმენ ბენაინ დჟიბის კოლექციების მუზეუმისათვის საჩუქრად გადაცემამ. მუზეუმი ინახავს 30 ათასზე მეტ ექსპონატს უძველესი დროიდან თანამედროვე პერიოდამდე.

მონრეალის მუზეუმი

მუზეუმის ერთ-ერთი კორპუსი

კანადის **ეროვნული გალერეა** დაარსდა 1880 წელს, დღევანდელი შენობა კი გაიხსნა 1988 წელს. მდებარეობს დედაქალაქ ოტავაში და წარმოადგენს კანადის პირველ ხელოვნების გალერეას.

ეროვნული გალერეა. კანადა

გალერეა ქვეყანაში ხელოვნების ნიმუშთა ერთ-ერთი უდიდესი ადგილია. 25 ათას ხელოვნების ნიმუშთა შორის, აქ ინახება პოლ სეზანის სახელგანთქმული „ტყე".

ქ. ვანკუვერი კანადაში ცნობილია სხვადასხვა პროფილის მუზეუმებით. ვანკუვერის მუზეუმი ერთ-ერთი უძველესია კანადაში, რომელიც გაიხსნა 1894 წელს. იგი განთავსებულია კანადის კოსმოსის კვლევის ცენტრში.

ვანკუვერის მუზეუმი. კანადა

ვანკუვერის სახვითი ხელოვნების გალერეა შეიქმნა 1931 წელს. თავდაპირველად გალერეა განთავსებული იყო მცირე ზომის შენობაში. კოლექცია ძირითადად შედგებოდა ბრიტანელი მხატვრების ნამუშევრებისაგან. 1938 წელს შენობა დაიკავეს დროებით უმუშევრებმა, რომლებიც აპროტესტებდნენ მთავრობის სოციალურ პოლიტიკას. მოქალაქეთა დიდსულოვნებით გალერეის ფონდი არ დაზარალებულა.

სახვითი ხელოვნების გალერეა. ვანკუვერი

1945 წელს გალერეამ საჩუქრად მიიღო ემილ კარის ნახატების მდიდარი კოლექცია. 1983 წელს გალერეა განთავსდა ამჟამინდელ შენობაში, რომელსაც რესტავრაცია ჩაუტარდა არქიტექტორ არტურ ერიქსონის პროექტით.

ვანკუვერის საზღვაო მუზეუმი ყველაზე დიდი მუზეუმია კანადაში ამ პროფილის მუზეუმებს შორის. მუზეუმი გაიხსნა 1959 წელს. იგი შეიქმნა ხელოვნების, ისტორიისა და მეცნიერების ასოციაციის ხელშეწყობით. მუზეუმის კოლექციებს შორის ცნობილია ძველეგვიპტური მუმია.

ახალი შოტლანდიის სახვითი ხელოვნების გალერეა თავდაპირველად დააარსდა როგორც გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, რომელიც გაიხსნა 1908 წელს.

სახვითი ხელოვნების გალერეა. ახალი შოტლანდია. კანადა

1975 წელს მიიღო სახვითი ხელოვნების გალერეის სტატუსი და განთავსდა ხელოვნებისა და დიზაინის ყოფილი სკოლის შენობაში. 1988 წელს გალერეამ ბინა დაიდო ამჟამინდელ შენობაში. ეს შენობა აგებულია 1865 წელს ფოსტისა და საბაჟოსათვის. გალერეის ფონდში დაცულია 15 ათასზე მეტი სახვითი ხელოვნების ნიმუში.

ვინიპეგის სახვითი ხელოვნების გალერეის ისტორია დაიწყო 1912 წელს. გალერეა განთავსებულია საქმიანი წრეების შენობაში. სამუზეუმი ფონდი მოიცავს 24 ათას ნამუშევარს, ძირითადად წარმოდგენილია კანადელი ხელოვანების შემოქმედება.

გლენბოუს მუზეუმი ქ. კალგარში წარმოადგენს ყველაზე დიდ მუზეუმს დასავლეთ კანადაში. ეს არის ისტორიის პროფილის მუზეუმი, რომელსაც გააჩნია 20 დარბაზი. ექსპოზიცია 4 განყოფილებისაგან შედგება: კულტურის ისტორია; ეთნოგრაფია; სამხედრო ისტორია; მენერალოგია.

კანადის ცივილიზაციის მუზეუმი კულტურის უდიდესი მუზეუმია.

კანადის ცივილიზაციის მუზეუმი

მუზეუმი შეიქმნა 1968 წელს, კანადის მუზეუმის ბუნებისა და ადამიანის მუზეუმებად გაყოფის შედეგად. 1986 წელს მიიღო კანადის ცივილიზაციის მუზეუმის დასახელება. მუზეუმის შემადგენლობაში შედის ფოსტის მუზეუმი და ბავშვთა მუზეუმი.

საინტერესო კოლექციებია დაცული ბივერბუკის გალერეაში, ალბერტის გალერეაში, მონრეალის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში, კანადის სამხედრო-ისტორიულ მუზეუმში, კვებეკის მუზეუმში, ბერნების მუზეუმ-სოფელში, ანთროპოლოგიურ მუზეუმში და სხვ.

1.5.3. მექსიკა

მექსიკის ტერიტორია მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ტომების მაიას და აცტეკების ცივილიზაციბეის აკვანია. თანამედროვე მექსიკის მუზეუმები ამ ცივილიზაციების კულტურული მემკვიდრეობის იშვიათ ნიმუშებს ინახავენ.

მექსიკის და ამერიკის კონტინენტის ერთ-ერთ უძველეს და დიდ მუზეუმად ითვლება ანთროპოლოგიის მუზეუმი. აქ თავმოყრილია არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის უმდიდრესი კოლექციები. XVIII საუკუნის ბოლოს, მექსიკის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, კერძო კოლექციონერის ლორენცო ბოტურინის ფონდები გადაეცა მექსიკის სამეფო კათოლიკურ უნივერსიტეტს. აქვე განთავსდა აცტეკების ცნობილი კალენდარი. ამით საფუძველი ჩაეყარა სამუზეუმო ქსელის დამკვიდრებას მექსიკაში.

1790 წლის 25 აგვისტოს მექსიკაში საზეიმოდ გაიხსნა პირველი საბუნებისმეტყველო ისტორიის მუზეუმი. ამ დროიდან საზოგადოებაშიისტორიული რელიკვიების შეგროვებისა და მუზეუმში დაცვის აზრი მომწიფდა.

XIX საუკუნის დასაწყისში მექსიკას ეწვივნენ ცნობილი მეცნიერები ა. ჰუმბოლტი და ე. ბონლანი, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ამერიკის კოლუმბამდელი ცივილიზაციით. ისტორიკოს ლ. ალამანის წინადადებით მექსიკის პრეზიდენტმა გვადალუპე ვიქტორიამ გამოსცა აქტი მექსიკის ეროვნული მუზეუმის დაარსების შესახებ.

1910 წელს გაიხსნა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის მუზეუმი. 1924 წლისათვის მუზეუმის კოლექციების რაოდენობა ისე გაიზარდა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს მუზეუმად იქცა. 1940 წელს მუზეუმს გადაეცა მექსიკის იმპერატორებისა და პრეზიდენტების ჩაპულტეპეკის სასახლე და ეწოდა ანთროპოლოგიის მუზეუმი.

1963 წელს აშენდა მუზეუმის ახალი, თანამედროვე შენობა. მუზეუმი ორი განყოფილებისაგან შედგება. არქეოლოგიურ განყოფილებას უკავია პირველი სართული. მეორე სართული უკავია ეთნოლოგიის განყოფილებას. სასახლის ცენტრალური ნაწილი უჭირავს ანთროპოლოგიურ ექსპონატებს.

ამერიკის ცივილიზაციის შესწავლის მნიშვნელოვან დაწესებულებას წარმოდგენს მაიას კულტურის მუზეუმი, სადაც დაცულია მსოფლიო ღირებულების უნიკალური ექსპონატები.

ჩაპულტეპეკის სასახლე

ანთროპოლოგიის მუზეუმის შესასვლელი

მზის ქვა – აცტეკების კალენდარი

ოლმეკების თავის გიგანტური ქანდაკება

ანთროპოლოგიური მეცნიერებისათვის მნიშვნელოვან კვლევით ცენტრს წარმოადგენს მუმიების მუზეუმი, რომელიც მდებარეობს ქ. გუანახუატოში. მუზეუმში დაცულია 111 მუმია.

მექსიკური კულტურისა და ხელოვნების საინტერესო ნიმუშებია დაცული გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმში, ფრიდა კალოს მუზეუმში, სან კარლოს აკადემიაში.

1.5.4. ჩილე

ჩილე სამხრეთ ამერიკის კონტინენტზე გამოირჩევა მუზეუმთა რაოდენობითა და მრავალფეროვნებით. განსაკუთრებით საინტერესოა ჩილეს **კოლუმბამდელი ხელოვნების მუზეუმი**, რომე-

ლიც მდებარეობს დედაქალაქ სანტიაგოში. მუზეუმი დაარსდა 1981 წლის დეკემბერში. აქ დაცულია კოლუმბამდელი ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნიმუშები.

კოლუმბამდელი ხელოვნების მუზეუმი

ჩილეს ეროვნული ისტორიული მუზეუმი მდებარეობს დედაქალაქ სანტიაგოში. დაარსდა 1911 წლის 2 მაისს. მუზეუმი მრავალმხრივ საინტერესოა არამხოლოდ დამთვალიერებლებისათვის, არამედ დარგის სპეციალისტებისათვის. აქ, ისევე როგორც კოლუმბამდელი ხელოვნების მუზეუმში დაცულია ქვეყნის და მთლიანად სამხრეთ ამერიკის კულტურის ისტორიის უმნიშვნელოვანესი ძეგლები.

ჩილეს ეროვნული ისტორიული მუზეუმი

ამერიკის კონტინენტის უძველეს სამუზეუმო დაწესებულებად მიიჩნევენ **რანკაგუის რეგიონალურ მუზეუმს,** რომელიც

წარმოადგენსო'ჰიგინსის რეგიონის მთავარ მუზეუმს. იგი მდებარეობს ქალაქ რანკაგუაში. მუზეუმის დაარსების ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. მის შესახებ ცნობები ჩნდება 1797 წლიდან. 1980 წლიდან მუზეუმმა მიიღო ეროვნული ძეგლის სტატუსი.

რანკაგუის რეგიონალურ მუზეუმი

ჩილეს ნატიფი ხელოვნების ეროვნული მუზეუმი ერთ-ერთი უძველესი სამუზეუმო დაწესებულებაა სამხრეთ ამერიკაში. იგი დაარსდა 1880 წლის 18 სექტემბერს. მუზეუმი მდებარეობს დედაქალაქ სანტიაგოში. არის ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი ცენტრი, როგორც ჩილეში ასევე სამხრეთ ამერიკაში.

ჩილეს ნატიფი ხელოვნების ეროვნული მუზეუმი

ასევე საინტერესოა და სანტიაგოს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, სან-მიგელ-დე-ასაპის არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის მუზეუმი, სანტიაგოს ბუნებისმეტყველების ეროვნული მუზეუმი და სხვ.

1.6. მუზეუმები აფრიკაში

1935 წელს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში შეიქმნა აფრიკის მუზეუმი, რომლის მიზანი იყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის და მთლიანად აფრიკის კონტინენტის დრამატული ისტორიის ასახვა.

ცენტრალური აფრიკის სამეფო მუზეუმი

კაიროს ეგვიპტური ანტიკურობის მუზეუმი, შემოკლებით **ეგვიპტის მუზეუმი** ფარაონთა ეპოქის ისტორიისა და კულტურის ნიმუშების უდიდესი და უმნიშვნელოვანესი კოლექციაა მსოფლიოში. მუზეუმის კოლექციაში არსებული ასობით ათასი ხელოვნების ნიმუშისა თუ საყოფაცხოვრებო ნივთიდან გამოფენილი მხოლოდ 136 ათასი საგანია.

მუზეუმის დაარსებას წინ უძღოდა ეგვიპტის მთავრობის მიერ, 1835 წელს, ეგვიპტური ანტიკური ნიმუშების სამსახურის შექმნა. ამ გადაწყვეტილებით მთავრობა ცდილობდა შეეზღუდა უძველესი ისტორიული ნივთების ძარცვა არქეოლოგიური გათხრების ადგილებში. მოგვიანებით მუზეუმი გაიხსნა 1858 წელს, ფრანგი არქეოლოგის აუგუსტ მარიეტის მიერ შეგროვებული კოლექციების ბაზაზე. კოლექცია 1880 წლიდან ისმაილ ფაშას სასახლის ერთ კუთხეში იყო გამოფენილი. 1900 წელს მუზეუმისათვის გამოიყო ამჟამინდელი შენობა, რომელიც ნეოკლასიკური სტილითაა აგებული. მუზეუმი მდებარეობს თაჰრირის მოედანზე, ქაიროს ცენტრში.

ეგვიპტის მუზეუმი

კოლექციის მთავარი ნაწილია ფარაონ ტუტანხამონის სამარხიდან გამოტანილი ნიმუშები. ეს სამარხი თითქმის ხელუხლებად იპოვა ჰოვარდ კარტერმა მეფეთა ხეობაში 1922 წელს.

ეგვიპტის მთავრობამ შეძლო საფრანგეთისგან „გამოეხსნა" ექსპონატები, რომლებიც იქ უკანონოდ აღმოჩნდა – ლუვრში ფარაონების სამარხებიდან ამოღებული 3 ათასი წლის წინანდელი 5 ობელისკი ინახებოდა. საფრანგეთის მსგავსად, დათმობაზე არ წავიდა გერმანიის ხელისუფლება, რომელმაც ეგვიპტეს დედოფალ ნეფერტიტის ბიუსტის დაბრუნებაზე უარი უთხრა და მიზეზად რელიქვიის მდგომარეობა დაასახელა. ეგვიპტემ უძველესი საგანძურის დაბრუნება პირველად 1930 წელს მოითხოვა, მაგრამ გერმანიის მაშინდელმა მთავრობამ მისი თხოვნა არ დააკმაყოფილა. ეგვიპტელი დედოფლის ბიუსტი, რომელიც 3,5 ათასი წლისაა, 1913 წელს გერმანიაში უკანონოდ გაიტანეს. გერმანელმა არქეოლოგმა ლიუდვიგ ბორჰარტმა გათხრებისას მონაპოვარის მნიშვნელობა არ გაახმაურა და ის თიხის ფენით შენიღბა. თუმცა, ფრედერიკე სეიფრიდი, გერმანიის დედაქალაქში მდებარე ახალი მუზეუმის ეგვიპტური კოლექციის კურატორი, დარწმუნებულია, რომ გერმანიის ხელისუფლების პოზიცია ერთმნიშვნელოვანია – პრუსიის იმპერიამ ბიუსტი კანონიერ საფუძველზე შეიძინა. ბიუსტი 1912 წლის დეკემბერს, ამარნაში ჩატარებული გათხრებისას აღმოაჩინეს, ხოლო 1913 წელს გერმანიაში ეგვიპტის ხელისუფლების თანხმობით გადაიგზავნა. ის დღეს ბერლინის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობაა.

თანამედროვე ეგვიპტის ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს იმისათვის, რომ უძველესი საგანძური დაიბრუნოს. ამასთან, მოლაპარაკებებს აგრძელებს ბრიტანეთის მუზეუმთან იმისათვის, რომ ცნობილი როზეტის ქვა დროებით მაინც დაიბრუნოს და მუზეუმში გამოფინოს.

კოპტების მუზეუმი მოიცავს პერიოდს IV საუკუნიდან X საუკუნემდე. კოპტები ძველი ეგვიპტის მოსახლეობის შთამომავლები არიან. ამჟამად ლაპარაკობენ არაბულ ენაზე. კოპტურ ენას მხოლოდ საეკლესიო ფუნქცია აკისრია. კოპტები, გარდა ეგვიპტისა, ცხოვრობენ სუდანში, თურქეთში, იორდანიაში, ერაყში.

კოპტური მუზეუმი გაიხსნა 1908 წელს. მის ექსპოზიციებში განთავსდა კოპტური საეკლესიო ხელოვნების ძეგლები, ძირითადად წარმოდგენილია არქეოლოგიური ექსპონატები. 1910 წელს მუზეუმისათვის სპეციალურად აშენდა შენობა. 1939 წელს მას გადაეცა ეგვიპტის მუზეუმის კოპტური კოლექცია. მუზეუმის ფონდები წარმოდგენილია 9 განყოფილების სახით.

ისლამის ხელოვნების მუზეუმში წარმოდგენილია ისლამის პერიოდის ხელოვნების ნიმუშები. არაბებმა ეგვიპტე დაიპყრეს 641 წელს. 969 წელს არაბებმა დააარსეს ახალი დედაქალაქი კაირო (არაბულად გამარჯვებული). არაბთა გაბატონებას ეგვიპტეში მოჰყვა ქვეყნის ისლამიზაცია და არაბიზაცია. მუზეუმში კარგადაა წარმოდგენილი ისლამური არქიტექტურის ძეგლები.

ისლამის ხელოვნების ნიმუშები გასული საუკუნის ბოლომდე თავმოყრილი იყო მეჩეთ-სასახლეებში, ოჯახებში და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში. 1880 წელს სულთან ალ-ჰაქიმის მეჩეთთან შეიქმნა მუზეუმი, რომელსაც გადაეცა კაიროს მეჩეთიდან არაბული ხელოვნებისა და კულტურის ძეგლები. 1903 წელს ეს ძეგლები გადაეცა ისლამის ხელოვნების მუზეუმს.

კაიროს ისლამის ხელოვნების მუზეუმი ერთ-ერთ წამყვან სამუზეუმო დაწესებულებას წარმოადგენს ეგვიპტეში, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს. არქეოლოგიურ ნივთებთან ერთად მუზეუმში დიდი ადგილი ეთმობა ხეზე კვეთის ნიმუშებს. მუზეუმში განსაკუთრებული ადგილი უკავია ნახევრადწრიულ თაღს, რომელიც VI საუკუნით არის დათარიღებული და აღმოჩენილია ფუსტატში. თაღზე შესრულებულია მცენარეული ორნამენტები და ყურძნის მტევნები.

მუზეუმში ქსოვილების მრავალფეროვანი ნიმუშებია წარ-

მოდგენილი. ქსოვის კულტურა მაღალ დონეზე იყო განვითარებული კოპტებში. ეს ტრადიცია შენარჩუნებულ იქნა ისლამური პერიოდის კულტურაშიც. ეგვიპტური მაღალი ხარისხის ქსოვილები დიდი მოწონებით სარგებლობდა უცხოეთში. მუზეუმმა 1949 წელს შეიძინა იბრაჰიმ ალის ქსოვილების კოლექციის დიდი ნაწილი. ისლამის პერიოდის ქსოვილების კოლექციის მიხედვით კაიროს ისლამის ხელოვნების მუზეუმი უმდიდრეს მუზეუმს წარმოადგენს მსოფლიოში.

მუზეუმში წარმოდგენილია ლითონის სამკაულები და სხვა ნივთები. მინის განყოფილებაში გამოირჩევა ის ნაკეთობანი, რომლებსაც ამშვენებს არაბული წარწერები. კერამიკის ფონდში დაცულია მოჭიქული ჭურჭელი, რომელიც IX-XIII საუკუნეებში გავრცელებულ სტილს იმეორებს.

ეგვიპტის მუზეუმებში, გარდა საექსპოზიციო მუშაობისა, ინტენსიურად და მაღალ დონეზე მიმდინარეობს სამუზეუმო ფონდების მეცნიერული შესწავლა.

1.7. მუზეუმები ავსტრალიაში

ავსტრალიის კონტინენტის ისტორია და კულტურა მნიშვნელოვნად განსხვავდება დანარჩენი მსოფლიოსაგან. 40 ათასი წლის განმავლობაში, XVIII საუკუნის ბოლომდე, სანამ ევროპელებმა დაიწყეს კონტინენტის ათვისება, ავსტრალიასა და ტასმანიაზე საშუალოდ 250 სხვადასხვა ტომის ავსტრალიელი აბორიგენი სახლობდა. უშუალოდ ჩრდილოეთიდან წამოსული მეთევზეების არარეგულარული სტუმრობისა და 1606 წელს ევროპული აღმოჩენის შემდეგ, ავსტრალიის აღმოსავლეთი ნაწილი 1770 წელს დიდმა ბრიტანეთმა მიისაკუთრა და საწყის ეტაპზე პატიმრებით დაასახლა ახალი სამხრეთი უელსის კოლონიები. 1901 წლის 1 იანვარს, ექვსი კოლონია ფედერაციად გაერთიანდა და ავსტრალიის რესპუბლიკა შეიქმნა. ავსტრალიის თავისებური კულტურული მახასიათებლები წარმოიშვა ქვეყნის ბუნებრივი გარემოსა და აბორიგენების კულტურისაგან, რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა საზღვარგარეთის კულტურებმა.

XIX საუკუნეში სამუზეუმო ქსელის ჩამოყალიბება გასცდა ევროპის კონტინენტს. 1827 წელს ანგლიკანური ეკლესიის მღვდლის ა. მაკლეის ინიციატივით, სიდნეიში შეიქმნა მუზეუმი. აქ თავი მოუყარეს ისტორიისა და ანთროპოლოგიის უძველეს კოლექციებს. მუზეუმს მნიშვნელოვანი ექსპონატები შესძინეს კერძო პირებმა და საზოგადოებებმა, მათ შორის, ავსტრალიის ფილოსოფოსთა საზოგადოებამ.

ავსტრალიის მუზეუმები კონტინენტის ისტორიისა და კულტურის მემატიანეა, რომლებიც კარგად ასახავს კულტურის განვითარების ისტორიას.

ავსტრალიის **ეროვნული მუზეუმი** აბორიგენების კულტურის ისტორიას ასახავს. აქ განთავსებულია ხუთი მუდმივმოქმედი ექსპოზიცია. მუზეუმს გააჩნია კვლევითი ცენტრი და საკუთარი გამომცემლობა. მუზეუმის შენობა გაიხსნა 2001 წელს.

ეროვნული მუზეუმის შესასვლელი. ავსტრალია

მუზეუმის შენობა პოსტმოდერნისტული არქიტექტურის ნიმუშს წარმოადგენს. იგი რამდენიმე დამოუკიდებელი შენობისგან შედგება.

ავსტრალიის **ეროვნული გალერეა** (დაარსდა 1967 წელს) სახვითი ხელოვნების მთავარი სამუზეუმო დაწესებულებაა. 1911 წელს ავსტრალიის პარლამენტმა შექმნა კომიტეტი ავსტრალიის სახვითი ხელოვნების ნიმუშების მოძიებისა და შეგროვებისათვის. 1912 წლიდან დაიწყო სამზადისი სამხატვრო გალერეის შენობის ასაგებად, რომელიც გაჭიანურდა რამდენიმე ათეული წელი. გალერეა აგებულია ბრუტალიზმის სტილში (ბრუტალიზმი – არქიტექტურული სტილი, რომელიც მოდერნისტულ მიმდინარეობას გამო-

ეყო და 1950-70-იან წლებში გავრცელდა. ტერმინი მომდინარეობს ფრანგული გამოთქმისგან béton brut (უმი ბეტონი), ტერმინი რომლითაც ლე კორბუზიე აღწერდა მის მიერ ამ ტიპის შენობებისთვის შერჩეულ მასალას. ბრიტანელმა არქიტექტურულმა კრიტიკოსმა რეინერ ბენჰემმა ეს ტერმინი „ბრუტალიზმად“ მონათლა).

ეროვნული გალერეა

გალერეის ჭერი

გალერეაში დაცულია როგორც ავსტრალიის, ასევე აზიის ქვეყნების სახვითი ხელოვნების ნიმუშები.

ვიქტორიის ეროვნული გალერეა ერთ-ერთი უძველესი სამუზეუმო დაწესებულებაა კონტინენტზე, რომელიც დაარსდა 1861 წელს მელბურნში. აქ წარმოდგენილია ანტონის ვან დეიკის, პაოლო უჩელოს, პიტერ რუბენსის, რემბრანდტის, ჯოვანი ბატისტა ტიეპოლოს, პაოლო ვერონეზეს, დოსო დოსის, კლოდ მონეს, პაბლო პიკასოს და სხვა ცნობილი ფერმწერების შედევრები.

ვიქტორიის ეროვნული გალერეა

დოსო დოსის
ლუკრეციას პორტრეტი

გარდა ფერწერული ნიმუშებისა გალერეაში წარმოდგენილია ძველი ეგვიპტის, ძველი საბერძნეთის ხელოვნების ნიმუშები, ევროპული კერამიკა და სხვა. სულ გალერეაში დაცულია 65 ათასზე მეტი ექსპონატი. 1987 წელს მძარცველების ჯგუფმა მოახერხეს მოეპარათ პაბლო პიკასოს ნახატი „მტირალი ქალი“. მძარცველებმა განაცხადეს, რომ ეს აქტი ჩაიდინეს მთავრობის გადაწყვეტილების გასაპროტესტებლად, რომელმაც შეამცირა ხელოვნების სუფსიდირება. ერთი კვირის შემდეგ სურათი გალერეას დაუბრუნდა რკინიგზის სადგურის შემნახველი საკნიდან, სადაც ჰქონდათ გადამალული „პროტესტანტ მძარცველებს“.

1867 წლიდან გალერეასთან არსებობდა ხელოვნების სკოლა, რომელიც 1910 წლიდან წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენდა ავსტრალიაში.

ავსტრალიის **ეროვნული სპორტის მუზეუმი** ყველაზე ახალი სამუზეუმო დაწესებულებაა ავსტრალიაში, რომელიც გაიხსნა 1910 წელს. ამ მუზეუმის გახსნამდე ავსტრალიაში არსებობდა ოლიმპიური მუზეუმი (1986-2003 წწ). მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში წარმოდგენილია ავსტრალიაში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარების ისტორიის ამსხველი ექსპონატები.

ავსტრალიის **წიაღისეულ და მინერალურ მუზეუმში** დაცულია კონტინენტზე აღმოჩენილი დინოზავრის უნიკალური ჩონჩხი და სხვადასხვა მინაერალების ნიმუშები. მუზეუმი გაიხსნა 2004 წელს. იგი განთავსებულია 1874 წელს აგებულ შენობაში.

ავსტრალიის **სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების მუზეუმი** მდებარეობს ვიქტორიას შტატში. მუზეუმი გაიხსნა 1952 წელს. სამუზეუმო კოლექციებს წარმოადგენს უმარტივესი საფრენი აპარატებიდან დაწყებული თანამედროვე თვითმფრინავების ჩათვლით. ამ მუზეუმში კარგადაა წარმოდგენილი ავიაციის განვითარების ისტორია და იგი განსაკუთრებით საინტერესოა ავიამოყვარულებისათვის.

ავსტრალიის **სამხედრო მემორიალი** უმნიშვნელოვანეს სამხედრო პროფილის მუზეუმს წარმოადგენს, რომლის ისტორია იწყება 1917 წლიდან. მემორიალის შენობა აიგო 1941 წელს.

სამხედრო მემორიალი. ავსტრალია

მემორიალში შედის მუზეუმი, ბულვარი, ხსოვნის ხეივანი. მემორიალი ეძღვნება სხვადასხვა ომში დაღუპული ავსტრალიელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების ხსოვნას.

1.8. მუზეუმები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

1.8.1. რუსეთი

სამუზეუმო საქმის ისტორიამ რუსეთში იგივე ეტაპები გაიარა, როგორც ევროპაში. კულტურულ-ისტორიული ფასეულობანი და სიძველეები ინახებოდა ეკლესია-მონასტრებში და წარჩინებული საზოგადოების სასახლეებში. თავადაზნაურობა ეკლესიას სწირავდა საკულტო დანიშნულების ღირებულებებს. XV საუკუნეში მოსკოვის მახლობლად ტროიც-სერგიევის მონასტერში ინახებოდა ხატების უმდიდრესი კოლექცია, საეკლესიო ჭურჭელი და მხატვრული ნაქარგები. ამ შემოწირულობას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი.

XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის პოლიტიკური ცენტრი გახდა მოსკოვი. შეიქმნა ხელშემწყობი პირობები საქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და კულტურის დაწინაურებისათვის.

ტროიც-სერგიევის ლავრა

1488 წელს გაიხსნა დიდი ხაზინა, სადაც თავი მოიყარა მეფეებისა და დიდი თავადების განძეულობამ. ამ დაწესებულებაში შეიქმნა სხვადასხვა ძვირფასეულობათა შესანახი საცავი. 1494 წელს, მოსკოვში, ივანე III-ის ინიციატივით, გამოიყო შენობა იარაღის პალატისათვის. აქ მუშაობდნენ ცნობილი ოსტატები, რომლებიც ჩამოჰყავდათ რუსეთის სამთავროებიდან, მათ შორის უცხოეთიდანაც. XVII საუკუნეში ამ პალატაში იქმნებოდა ხატები, საიუველირო ნაკეთობანი, წიგნების მორთვა და სხვ. აქ შექმნილ ნაკეთობებს უჩვენებდნენ საპატიო სტუმრებს, განსაკუთრებით დიპლომატიური მისიით მყოფ პირებს.

მუზეუმის შექმნა რუსეთში დაკავშირებულია პეტრე I-ის ეპოქასთან. 1698 წელს პეტრე I ევროპაში შეხვდა მეცნიერებს (ს. ლეიბნიცს – ბერლინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, ვ. დ. ველდეს – ამსტერდამელ ნუმიზმატიკოსს და სხვ.), ეწვია სამეცნიერო დაწესებულებებს, ბიბლიოთეკებს, ანატომიურ კაბინეტებს, კუნსტკამერებს (იშვიათი ნივთების კაბინეტი), სურათების გალერეებს, მიუნცკაბინეტებს (მონეტების) და სხვ. იმპერატორი აღფრთოვანებული დარჩა ცნობილი ანატომის ფ. რიუიშის ლაბორატორიით.

რუსეთის იმპერატორმა (პეტრე I) თავისი კოლექციის შეგროვება ევროპაში მოგზაურობის პერიოდში დაიწყო. სწორედ ეს კოლექცია გახდა რუსეთში პირველი მუზეუმის – კუნსტკამერის დაარსების ძირითადი საფუძველი. მუზეუმი გაიხსნა 1727 წელს, ნევის პირას ზამთრის სასახლის მოპირდაპირედ, პეტრინის ბაროკოს სტილის შენობაში. პეტრე დიდმა მუზეუმი მიუძღვნა „ბუნებისა და ადამიანთა უცნაურობებისა და იშვიათობების“ შენახვას. მეფის პირადი კოლექცია, რომელიც თავდაპირველად ზაფხულის სასახლეში ინახებოდა, სხვადასხვა ანომალიების მქონე ადამიანისა და ცხოველთა პლაცენტების დიდ რაოდენობას შეიცავდა. ერთ-ერთი ყველაზე შემაძრწუნებელი ამ კოლექციიდან ეკატერინე I-ის საყ-

ვარლის – უილჰელმ მონსისა და მისი დის ანა მონსის თავებია, დღემდე შენახული ალჰოკოლის კოლბებში.

მინერალების კაბინეტი

1716 წელს პეტრე I-მა კუნსტკამერას მინერალთა კაბინეტი დაამატა, სადაც გდანსკის ექიმისგან შეძენილი 1195 მინერალთა კოლექცია შეიტანა. კოლექციას რუსული მინერალებიც დაემატა და საზოგადოებისთვის 1719 წელს გაიხსნა. შემდგომში ეს კოლექცია საფუძველი გახდა ფერშმანის მინერალოგიური მუზეუმის შექმნისთვის, რომელიც ამჟამად მოსკოვში მდებარეობს.

1830-იან წლებში კუნსტკამერის კოლექციები გაიფანტა ახლად შექმნილ იმპერიულ მუზეუმებში, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, შექმნილი 1879 წელს. მუზეუმის კოლექციაში 2 მილიონამდე ნივთი იყო. ეს მუზეუმი დღემდე კუნსტკამერაში მდებარეობს და 1903 წლიდან პეტრე დიდის სახელს ატარებს. 1741 წელს შედგა სამუზეუმო საქმის პირველი კატალოგი.

რუსეთის პირველი მუზეუმი იმით განსხვავდებოდა ევროპული მუზეუმებისაგან, რომ მუზეუმის დათვალიერება ხელმისაწვდომი იყო ყველა სოციალური ფენის ადამიანისათვის. მუზეუმში შესვლა უფასო იყო. დასაწყისში დამთვალიერებლებს საკვებითაც უმასპინძლდებოდნენ. ამისათვის ხაზინიდან გამოიყოფოდა 400 მანეთი წელიწადში.

XVIII საუკუნის I ნახევარში ეკატერინე II-ის წინადადებით პეტერბურგში შეიქმნა სამუზეუმო ცენტრი ერმიტაჟი (რუს. Эрмитаж, ფრანგ. "განმარტოების ადგილი") — ერთ-ერთი უდიდესი, უძველესი და უმნიშვნელოვანესი ხელოვნების გალერეა მსოფლიოში.

ერმიტაჟის ვრცელი კოლექციები გამოფენილია ექვს ძირითად შენობაში. მათგან მთავარი ზამთრის სასახლეა, რომელიც ადრე რუსეთის მეფეთა ოფიციალური რეზიდენცია იყო. ერმიტაჟის კოლექციებიდან უმნიშვნელოვანესია მიქელანჯელოს, ლეონარდოს, რუბენსის, ვან-დეიკის, რემბრანდტის, პუსენის, კლოდ ლორენის, ვატოს, ტიეპოლოს, კანალეტოს, კანოვას, როდენის, მონეს, პისაროს, რენუარის, სეზანის, ვან-გოგის, გოგენის, პიკასოსა და მატისის ნამუშევრები, რუსეთის იმპერიის რეგალია, ფაბერჟეს სამკაულების საუცხოო კოლექცია და შთამბეჭდავი უძველესი ოქროს ნაკეთობათა ნიმუშები.

ეკატერინე დიდმა მუზეუმის შექმნის საქმე ევროპაში 250 ფერწერული ტილოს შესყიდვით წამოიწყო 1764 წელს. ამავე დროს რესეთის ელჩებს უცხოეთის ქვეყნებში დაევალათ შეეძინათ საუკეთესო კოლექციები, რომელთა ყიდვაც კი შეიძლებოდა. ამ გზით შეძენილ იქნა: ბრულის კოლექცია საქსონიაში, კროზატისა საფრანგეთში და ვალპოლის გალერეა ინგლისში. ეკატერინე დიდი საკუთარ მხატვრულ გალერეას უწოდებდა "ჩემს ერმიტაჟს", ვინაიდან ძალიან იშვიათად თუ ვინმე დაიშვებოდა მასში მოთავსებული სიმდიდრის დასათვალიერებლად. ერთ-ერთ საკუთარ წერილში მან აღნიშნა კიდეც, რომ „მხოლოდ თაგვებს და მე შეგვიძლია ყოველივე ამით დატკბობა".

თანდათანობით საიმპერატორო კოლექცია გამდიდრდა სამხრეთ რუსეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ბერძნული და სკვითების კულტურის რელიქვიებით. ამგვარად დაიწყო მსოფლიოში ერთ-ერთი უმდიდრესი უძველესი ოქროს კოლექციის შეგროვება, რომელიც ამჟამად შეიცავს ტროას განძის უდიდეს ნაწილსაც, აღმოჩენილს ჰაინრიხ შლიმანის მიერ, რომელიც წითელმა არმიამ 1945 წელს ბერლინის მუზეუმიდან გაიტანა.

მუდმივად მზარდი ბერძნული, რომაული და ეგვიპტური ანტიკვარიატის კოლექციების მოსათავსებლად, ნიკოლოზ I-მა დაიქირავა იმ დროისთვის მოდური გერმანელი არქიტექტორი ლეო ფონ კლენცე სახალხო მუზეუმისთვის შენობის პროექტის შესაქმნელად. გალერეა სახელწოდებით „ახალი ერმიტაჟი“ დამთვალიერებლებისთვის გაიხსნა 1852 წელს და სავარაუდოა, რომ აღმოსავლეთ ევროპაში ეს იყო პირველი სპეციალურად ამ მიზნისთვის აგებული ხელოვნების გალერეა.

რესეთის მეფეები შემდგომშიც აგრძელებდნენ ხელოვნების

უძვირფასესი ნიმუშების შეძენას და ამგვარად მუზეუმს შეემატა ლეონარდო და ვინჩის, იან ვან ეიკის და რაფაელის რამდენიმე ნამუშევარი იტალიიდან. ერმიტაჟის რემბრანდტისეული კოლექცია დიდი ხნის განმავლობაში მსოფლიოში უდიდესად ითვლებოდა. ამ მხრივ, მუზეუმს დღესაც ბადალი არა აქვს.

1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ საიმპერატორო ერმიტაჟი სახალხო ქონებად გამოცხადდა. კერძო მხატვრული კოლექციების ნაციონალიზებასთან ერთად ერმიტაჟის ექსპონატთა რაოდენობა კიდევ უფრო გაიზარდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეთი თანამედროვე ხელოვნების კოლექციების დამატება, როგორიც იყო სერგეი შუხინი და ივან მოროზოვი. გვიანდელ მონაპოვართა სიაშია გოგენის გვიანდელი ნამუშევრები, პიკასოს უამრავი კუბისტური ქმნილება და თანამედროვე ხელოვნების შედევრები – მატისის „ცეკვა“ და ვან-გოგის „ღამის კაფე“.

ერმიტაჟის ხედი (ზამთრის სასახლე) ნევიდან

საბჭოთა მთავრობა "ბურჟუაზიულ და დეკადენტურ" ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ერმიტაჟის რამდენიმე უძვირფასესი ექსპონატი საზღვარგარეთ იქნა გაყიდული. მათ შორის იყო რაფაელის „მადონა ალბა", ტიციანის „ვენერა სარკით" და იან ვან ეიკის „სახარება". ეს ნამუშევრები შესყიდულ იქნა ენდრიუ მელონის მიერ, რომლებიც ამჟამად ვაშინგტონის ეროვნული სამხატვრო გალერეის სიამყაეს წარმოადგენს.

საბჭოთა ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ათასობით ნამუშევარი ერმიტაჟიდან გადატანილ იქნა პუშკინის მუზეუმში მოსკოვში და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა მუზეუმებში.

ერმიტაჟის ისტორიაში ტრაგიკული პერიოდი დასრულდა 1945 წელს. ამ დროს მთავრობამ სცადა მუზეუმის ადრინდელი დანაკარგები წითელი არმიის მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში ნაძარცვი ხელოვნების ნიმუშებით შეევსო. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გერმანიის ბიზნეს ელიტის კერძო კოლექციებიდან წამოღებული იმპრესიონისტებისა და პოსტ-იმპრესიონისტების უძვირფასესი ნამუშევრები. ეს ნამუშევრები 1995 წლამდე დაკარგულად ითვლებოდა, მუზეუმმა მხოლოდ ამ დროს გამოიტანა ისინი სახალხოდ. გერმანიის საზოგადოებრიობის არაერთხელ მიმართვის საპასუხოდ, რუსეთის მთავრობის განცხადებით, ეს სულ მცირე კომპენსაციაა იმ ზარალისთვის, რაც გერმანიის აგრესიას მოჰყვა, მათ შორის, პეტერჰოფისა და ცარსკოე სელოს თითქმის სრული განადგურება.

ბოლო წლებში ერმიტაჟს ახალი შენობა შეემატა. მთავრობის გადაწყვეტილებით მუზეუმს გადაეცა ახლომდებარე გენერაული შტაბის შენობა. მუზეუმმა რამდენიმე საერთაშორისო პროექტი განახორციელა. მათ შორის: გუგენჰაიმის ერმიტაჟის მუზეუმი ლას ვეგასში, ერმიტაჟის დარბაზები ლონდონის სომერსეტის სახლში, და ერმიტაჟ-ამსტერდამი ყოფილ ამსტელჰოფში (ამსტერდამი). ერმიტაჟს მიეძღვნა „რუსული არკა" – მუზეუმის დარბაზებში გადაღებული ისტორიული-დოკუმენტური ფილმი, რომელშიც ზამთრის სასახლის 300 წლიანი ცხოვრების ეპიზოდების (სასამართლო სხდომების, წვეულებებისა და ოჯახური ცხოვრების სცენები) ფრაგმენტებია ნაჩვენები.

ერმიტაჟი დღმდე რჩება რუსეთის სიამაყედ და ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მსოფლიო სამუზეუმო ცენტრად.

ერმიტაჟის სამუზეუმო კომპლექსის პანორამა მდ. ნევიდან

1758 წელს რუსეთში დაარსდა სამხატვრო აკადემია, რომელსაც აკადემიის პროფესორების, სტუდენტების, კურსდამთავრებუ-

ლების ფერწერული ტილოებისა და ქანდაკებების კოლექცია გააჩნდა, მათ შორის – ევროპელი მხატვრების. კოლექციების დათვალიერება შეიძლებოდა აკადემიის ხელმძღვანელობის სპეციალური ნებართვით. 1760 წლიდან აკადემია ყოველწლიურად ატარებს საკვირაო გამოფენებს.

რუსეთის სამხატვრო აკადემია

XVIII საუკუნეში საჯარო მუზეუმები რუსეთში იშვიათობას წარმოადგენდა. 1773 წელს გაიხსნა პირველი საჯარო მუზეუმი რიგაში. ეს იყო პირველი პროვინციალური მუზეუმი რევოლუციამდელ რუსეთის იმპერიაში. ამ მუზეუმის შექმნას სათავე დაუდო ექიმისა და ბუნებისმეტყველის ნ. გიმზელის პირადმა კოლექციებმა.

1782 წელს მეცნიერთა ჯგუფის (ა. კარამიშევი, ე. ლაქსმანი) და გენერალ-გუბერნატორ ფ. კლიჩკის ინიციატივით შეიქმნა პირველი მუზეუმი ციმბირში, ქ. ირკუტსკში. იგი არსებობდა საჯარო ბიბლიოთეკასთან. ირკუტსკის მუზეუმის დაწინაურება დაკავშირებულია რუსეთის საიმპერიო გეოგრაფიული საზოგადოების ციმბირის განყოფილების შექმნასთან. 1879 წელს ქალაქში გაჩენილ ხანძარს შეეწირა მუზეუმის მნიშვნელოვანი ნაწილი.

XVIII-XIX საუკუნეებში რუსეთის ქალაქების რეზიდენციასთან და არისტოკრატიის (გოლიცინი, სტროგანოვი, შერემეტიევი, შუვალოვი, იუსუპოვი და სხვ.) მამულებში არსებული უმდიდრესი განძეულობა არ ჩამოუვარდებოდა ევროპის ცნობილ მუზეუმებში არსებულ კოლექციებს.

1831 წელს პეტერბურგში გაიხსნა **რუმიანცევის მუზეუმი,** სადაც თავი მოიყარა უძველესმა ხელნაწერებმა, ძველმა ნაბეჭდმა წიგნებმა, არქეოლოგიურმა და ნუმიზმატიკურმა მასალებმა. 1860 წელს მუზეუმი მოსკოვში გადაიტანეს, სადაც მუზეუმი განთავსდა პაშკოვის სახლში. 1920 წელს განხორციელდა მუზეუმის რეორგა-

ნიზაცია. მუზეუმის წიგნადი ფონდის ბაზაზე გაიხსნა რუსეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა.

პაშკოვის სახლი მოსკოვში

XIX საუკუნეში გაიხსნა ახალი პროფილური მუზეუმები. მათ შორის, პირველი იყო საუწყებო მუზეუმები, რომელიც გაიხსნა სამხედრო უწყებებთან და დაწესებულებებთან. 1805 წელს გაიხსნა საზღვაო მუზეუმი, რომელიც პოლიტიკური მოსაზრებებით (დეკაბრისტების გამოსვლა) დაიხურა 1827 წელს და აღდგენილ იქნა 1867 წელს. იგი ამჟამად ატარებს სამხედრო-საზღვაო მუზეუმის სახელს.

1811 წელს გაიხსნა არტილერიის ისტორიული მუზეუმი და მანუფაქტურის მუზეუმი. მოგვიანებით გაიხსნა სხვა პროფილის (მხარეთმცოდნეობის, სასოფლო-სამეურნეო, ეკონომიკური, ფოსტის, განათლების, სამხედრო, სახვითი და სხვ.) მუზეუმები.

1881 წელს გაიხსნა **ტრეტიაკოვის გალერეა**. გალერეის ისტორია იწყება 1856 წლიდან, როცა მოსკოველმა ვაჭარმა პაველ ტრეტიაკოვმა (1832-1898) შეისყიდა მისი თანამედროვე რუსი მხატვრების ნამუშევრები საკუთარი კოლექციის შექმნის მიზნით, რომელიც შესაძლოა მომავალში ხელოვნების ეროვნულ მუზეუმად გადაქცეულიყო. 1885 წელს მან შეიძინა რეპინის „ივანე მრისხანე“ და დემოკრატიული მიმდინარეობის მხატვართა ნამუშევრები.

გალერეის მთავარი შენობის პროექტი ეკუთვნის მხატვარ

ვიქტორ ვასნეცოვს და ის განსაკუთრებულ რუსულ ზღაპრულ სტილშია გადაწყვეტილი. შენობა აიგო 1902-1904 წლებში მოსკოვის კრემლის სამხრეთით. მე-20 საუკუნის განამვლობაში გალერეა გაფართოვდა და მოიცვა რამდენიმე მეზობელი შენობაც, მათ შორის მე-17 საუკუნის წმ. ნიკოლოზის ეკლესია ტოლმაჩიში. ახალი შენობა კრიმსკი ვალზე მიეძღვნა თანამედროვე რუსული ხელოვნების ნიმუშებს. ამჟამად კოლექცია 130 ათასზე მეტ ნიმუშს შეიცავს, ანდრეი რუბლიოვის „სამებიდან" დაწყებული ვასილი კანდინსკის მონუმენტური „კომპოზიცია VII"-ითა და კაზიმირ მალევიჩის „შავი კვადრატით" დამთავრებული.

1892 წელს გალერეა გადაეცა მოსკოვის ქალაქის თვითმმართველობას.

ტრეტიაკოვის გალერეა

მსოფლიო ხელოვნების ამსახველი კოლექციების ერთ-ერთი უმდიდრესი საცავია **ა. პუშ-კინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი** (მოსკოვი). იგი სიდიდითა და კოლექციების მრავალფეროვნებით მეორე მუზეუმია რუსეთში ერმიტაჟის შემდეგ.

მუზეუმი დაარსდა 1912 წელს, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის ი. ცვეტაევის ინიციატივით. მისი მშენებლობისა და ექსპოზიციების შესასყიდად თანხის შეგროვებაში რუსეთის იმპე-

რიის ყველა ქალაქი და ოლქი მონაწილეობდა. შენობას, სადაც განთავსდა მუზეუმი, საფუძველი ჩაეყარა 1898 წელს, არქიტექტორ რ. კლეინის პროექტის მიხედვით. მუზეუმის შენობა მოპირკეთებელ იქნა სხვადასხვა ქვეყნიდან (იტალია, ბელგია, საბერძნეთი, უნგრეთი) ჩამოტანილი ძვირფასი საშენი მასალით.

მუზეუმი გაიხსნა 1912 წლის 31 მაისს. პირველი კოლექციები წარმოდგენილი იყო ძველი ეგვიპტის, საბერძნეთის, რომის ხელოვნების ნიმუშებით, ასევე შუასაუკუნეების დასავლეთ ევროპის, განსაკუთრებით კი რენესანსის ეპოქის თაბაშირის ასლებით. მუზეუმმა შეისყიდა ეგვიპტოლოგ ვ. გოლენიშჩევის ცნობილი ძველეგვიპტური კოლექცია, ევროპელ მხატვართა ფერწერული ნამუშევრების ორიგინალები, ანტიკური ვაზებისა და მონეტების კოლექციები.

სახვითი ხელოვნების მუზეუმის სურათების გალერეის დაკომპლექტება დაიწყო 1924 წლიდან. მუზეუმს გადაეცა ყოფილი რუმიანცევის მუზეუმის გრავიურების და სურათების დიდი კოლექცია.

რუსეთში პირველი მემორიალური მუზეუმები გაიხსნა ცნობილი მწერლების ა. პუშკინისა და მ. ლერმონტოვის საიუბილეო დღეებში. მოგვიანებით გაიხსნა ლ. ტოლსტოის, მ. ლომონოსოვისა და სხვა ცნობილი მოღვაწეების მუზეუმები.

ა. პუშკინის სახელმწიფო მუზეუმი

XX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში მუზეუმების პროფილი კიდევ უფრო გაფართოვდა და მუზეუმების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

1917 წლის 30 ოქტომბერს (12 ნოემბერი) ზამთრის სასახლე (პეტერბურგი) გამოცხადდა სახელმწიფო მუზეუმად. ზამთრის სასახლე ამჟამად სახელმწიფო ერმიტაჟის მუზეუმის დიდებულ შე-

ნობათა ჯგუფს ეკუთვნის. იგი აშენდა 1754-1762 წლებში, როგორც რუსეთის იმპერატორთა ზამთრის რეზიდენცია.

საბჭოთა ხელისუფლებამ მუზეუმებს, პროფესიული საქმიანობის გარდა, დამატებით იდეოლოგიური პროპაგანდის ფუნქციაც დააკისრა. ყველა გადაწყვეტილება, რომელიც იმ პერიოდში იქნა მიღებული, ამ ამოცანების განხორციელებას ემსახურებოდა. 1918 წლის 21 მარტს განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა მუზეუმების საქმეთა და ძეგლთა დაცვის კოლეგია. ყველა მუზეუმი და ისტორიული მემკვიდრეობის ძეგლი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა.

1919 წელს პეტროგრადში ჩატარდა სამუზეუმო კონფერენცია, სადაც განხილულ იქნა მუზეუმის როლი და ამოცანები ქვეყანაში კულტურული რევოლუციის პერიოდში. საბჭოთა პერიოდში გაჩნდა მუზეუმის ახალი ტიპი – რევოლუციის, რევოლუციურ-ისტორიული, რევოლუციონერთა მემორიალური მუზეუმები.

მოსკოვის მიწისქვეშა მუზეუმი

1922 წელს ქვეყანაში შემოღებულ იქნა მუზეუმში შესვლის საფასური. დამტკიცდა მუზეუმების სია, რომლებიც გადაყვანილ იქნა სახელმწიფო დაფინანსებაზე. შემოღებულ იქნა მუზეუმების საბჭოთა კლასიფიკაცია მათი ტერიტორიული განლაგების ნიშნით: ცენტრალური, სამხარეო და ადგილობრივი. სამუზეუმო ქსელის სისტემატიზაციისთვის გამოიყენებოდა მუზეუმების პროფილური კლასიფიკაცია: ისტორიულ-კულტურული, ისტორიული ყოფის,

ისტორიულ-რევოლუციური, სამხედრო-ისტორიული, ისტორიულ-არქიტექტურის, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, სასოფლო-სამეურნეო, ტექნიკური, სამხარეო, მემორიალური, ლიტერატურული და სხვ. (90-იანი წლებიდან რუსეთში იხსნება კერძო მუზეუმებიც).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღებულ იქნა სამუზეუმო ნორმატიული აქტები: სამუზეუმო ფონდების აღიცხვის ინსტრუქცია; კულტურის ძეგლების დაცვის დებულება; სამუზეუმო ფონდების პასპორტიზაციის შესახებ. შეიქმნა მუზეუმებისა და ძეგლთა დაცვის სამმართველო.

ზურაბ წერეთლის გალერეა მოსკოვში

XX საუკუნის 40-იანი წლებიდან გატარდა ღონისძიებები მუზეუმის სპეციალისტთა მომზადების მიზნით. 1946 წელს მოსკოვის ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა სამუზეუმო საქმის კათედრა.

უმაღლესი განათლების მქონე კვალიფიციური კადრების მოსამზადებლად გაიხსნა მუზეუმმცოდნეობის სპეციალობის ასპირანტურა. პირველად 1955 წელს გამოიცა მუზეუმმცოდნეობის სახელმძღვანელო. მუზეუმის სპეციალისტთა მომზადება დაიწყო რუსეთის სხვა ქალაქებშიც. 1991 წელს მოსკოვის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მუზეუმმცოდნეობის კათედრის ბაზაზე გაიხსნა მუზეუმმცოდნეობის ფაკულტეტი. ომსკის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედებს მუზეუმმცოდნეობის საგანმანთლებლო პროგრამები სამივე საფეხურისათვის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა დოქტორანტურა) და პროფესიული პროგრამები. ანალოგიური პროგრამები არსებობს რუსეთის სხვა უნივერსიტეტებშიც.

1.8.2. უკრაინა

უკრაინა მუზეუმების რაოდენობით ერთ-ერთი უდიდესი რესპუბლიკაა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის. მუზეუმების პროფილი გამოირჩევა მრავალფეროვნებით.

უკრაინის მთავარ მუზეუმად ითვლება **ეროვნული ისტორიის მუზეუმი,** რომლის ისტორია დაიწყო 1899 წელს არქეოლოგიური გამოფენით. ოფიციალური გახსნა შედგა 1904 წელს. საბჭოთა პერიოდში მუზეუმმა რამდენიმეჯერ შეიცვალა დასახელება. ამჟამად კოლექციების რაოდენობითა და მრავალფეროვნებით, იგი უპირველეს დაწესებულებას წარმოადგენს.

ეროვნული ისტორიის მუზეუმი

მუზეუმის ფონდებში დაცულია უკრაინის ისტორიის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის, ხელოვნების ნიმუშები.

ქვეყნის ეროვნულ ყოფასა და ისტორიას ასახავს **ეროვნული არქიტექტურის მუზეუმი,** რომელიც ღია ცის ქვეშ მოწყობილი მუზეუმების კატეგორიას მიეკუთვნება.

მუზეუმში წარმოდგენილია 300-ზე მეტი არქიტექტურული ობიექტი, რომელიც ასახავს უკრაინის კულტურასა და ყოფას. რამდენიმეჯერ მომხდარმა ხანძარმა მნიშვნელოვნად დააზიანა მუზეუმის ქონება. განსაკუთრებით დიდი იყო ზარალი 2006 წელს მომხდარი ხანძრის დროს, როცა განადგურდა XVIII საუკუნის ისტორიული რელიკვია. არსებობს ვარაუდი, რომ ხანძარი მუზეუმის გაძარცვის მიზნით მოხდა.

ეროვნული არქიტექტურის მუზეუმი

დამთვალიერებლებს აქვე შეუძლიათ შეიძინონ უკრაინის ეროვნული ხელოვნების ნიმუშების ასლები. მუზეუმი დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებსა და ადგილობრივ დამთვალიერებლებს შორის.

უკრაინის **დეკორატიული ხელოვნების მუზეუმის** ისტორია იწყება 1899 წლიდან. აქ წარმოდგენილია უკრაინული ეროვნული დეკორატიული ხელოვნების ნიმუშები.

რუსეთის იმპერატორების სამხრეთის რეზიდენცია – **ლივადიის სასახლე** ყირიმის შავიზღვისპირეთში ცნობილია, როგორც გამორჩეული არქიტექტურული შენობა. იგი აგებულია XIX საუკუნის ბოლოს იტალიის არქიტექტურულ სტილში.

ლივადიის სასახლე. იალტა

სასახლე ისტორიაში შევიდა როგორც მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერების (რუზველტი, ჩერჩილი, სტალინი) საერთაშორისო შეხვედრის ცენტრად. 1945 წლის თებერვალში აქ შედგა მოკავშირეთა კონფერენცია, რომელიც ცნობილია იალტის კონფერენციის სახელით.

1993 წელს ლივადიის სასახლეს მიენიჭა მუზეუმის სტატუსი. დამთვალიერებლებს შეუძლიათ გაეცნონ სასახლის მუდმივმოქმედ 2 ექსპოზიციას, სადაც წარმოდგენილია იმპერატორების პირადი საოჯახო ნივთები და ინვენტარი.

1966 წელს შეიქმნა **აჯიმუშკაის კატაკომბების მიწისქვეშა მუზეუმი.** სრულიად განსხვავებულ ბუნებრივ გარემოში – მიწისქვეშა მღვიმეებში მოწყობილი ექსპოზიციები თანამედროვე ტენიკური საშუალებებით ისე არის გაფორმებული, რომ მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. მითუმეტეს, მუზეუმი ასახავს მეორე მსოფლიო ომში აქ გამართული საბრძოლო ბატალიების ისტორიას.

აჯიმუშკაის კატაკომბების მიწისქვეშა მუზეუმის შესასვლელი

კირქვის ბუნებრივი მღვიმეები წარმოიშვა ათასწლეულების წინ. ომის დროს, 1942-1943 წლებში აქ აფარებდნენ თავს ახლომდებარე სოფლების მოსახლეობა და საბჭოთა არმიის ჯარისკაცები. უთანასწორო ბრძოლას ალყაში მოქცეული ათასობით მოქალაქე და ჯარისკაცი შეეწირა. მუზეუმი გმირულად დაღუპული ადამიანების ხსოვნას ეძღვნება.

ი. აივაზოვსკის სახელობის სურათების ეროვნული გალე-

რეა მდებარეობს ქ. ფეოდოსიაში. გალერეა შედგება 2 კორპუსისაგან. პირველი ექსპოზიცია გაიხსნა 1845 წელს, შენობაში, რომელიც ეკუთვნოდა ი. აივაზოვსკის.

შტორმი. ი. აივაზოვსკი

რუსი პეიზაჟისტ-მარინისტი ი. აივაზოვსკი რუსეთის და ევროპის რამდენიმე აკადემიის წევრი იყო. 1840 წლიდან საქვეყნოდ მოიხვეჭა სახელი თავისი ნამუშევრებით, რომლებშიც გადმოცემულია ზღვის სტიქიონის სიდიადე, ზღვასთან მებრძოლი ადამიანების სიმამაცე. მისი მნიშვნელოვანი ნაწარმოებია: „ჩესმენის ბრძოლა“, „ნავარინის ბრძოლა“ (ორივე ნამუშევარი მხატვარმა შექმნა 1848. ფეოდოსიის სამხატვრო გალერეა), „მეცხრე ტალღა“ (1850 წ. სანქტ-პეტერბურგი, რუსული მუზეუმი), „შავი ზღვა“ (1881, მოსკოვი, ტრეტიაკოვის გალერეა).

აივაზოვსკის ორი ნამუშევარი – „ნიკოლოზ I-ის ჩასვლა გელენჯიკში“ და „ოსმალთა ფელუკის დატყვევება“ დაცულია საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ი. აივაზოვსკის გალერეა რუსეთის იმპერიაში იყო პირველი მუზეუმი, რომელიც მიეძღვნა ერთი მხატვრის შემოქმედებას. 1900 წელს, ი. აივაზოვსკის გარდაცვალების შემდეგ, მხატვრის ანდერძისამებრ, მთელი მისი კოლექცია საჩუქრად გადაეცა ქალაქს. 1922 წელს გალერეამ სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი მიიღო. აქ დაცულია სხვადასხვა მხატვრის 12 ათასზე მეტი ფერწერული ტილო, რომლებიც საზღვაო თემას ეხება.

ნუმიზმატიკის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვან როლს

ასრულებს **ფეოდოსიის ფულის მუზეუმი.** მეტალის ფულის დამზადების საწყის პერიოდს ფეოდოსიაში ანტიკური პერიოდით ათარიღებენ. ფულის მიზეუმის გახსნას საფუძვლად დაედო 1810 წელს კერძო კოლექციონერის მონეტების გამოფენა. 1818 წელს ნიკოლოზ I-მა (რუსეთის მომავალი იმპერატორი) მუზეუმს საჩუქრად გადასცა მეფე ლისიმაქეს ოქროს მონეტა და ფილიპე III მაკედონელის ვერცხლის მონეტა. მუზეუმის კოლექციები ნელ-ნელა შეივსო ახალი ექსპონატებით.

ამჟამად მუზეუმი სხვადასხვა ეპოქის უმდიდრეს კოლექციებს ფლობს, სულ 30 ათასზე მეტი მონეტა. მათ შორისაა ანტიკური ეპოქის 12 ოქროს მონეტა, 1004 ვერცხლის მონეტა, 1042 სპილენძის მონეტა.

სამუზეუმო კოლექციები განაწილებულია 7 განყოფილებაში. მეშვიდე განყოფილება ეთმობა მუზეუმის ბიბლიოთეკას, რომელიც ნუმიზმატიკის თემაზე შექმნილი ლიტერატურისგან შედგება. მუზეუმს, გარდა საგამოფენო დანიშნულებისა, სამეცნიერო ღირებულებაც გააჩნია და ნუმიზმატიკების კვლევის ობიექტს წარმოადგენს.

უკრაინის მუზეუმების ნუსხა საკმაოდ ვრცელია, როგორც რაოდენობით, ასევე პროფილით. მუზეუმებს შორისაა მემორიალური და სხვადასხვა დარგობრივი პროფილის მუზეუმები, რომლებიც ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და ყოფას ასახავენ.

1.8.3. ბელარუსი

ბელარუსის ეროვნული ისტორიის მუზეუმი უმნიშვნელოვანესი სამუზეუმო დაწესებულებაა ქვეყანაში.

1908 წელს მინსკში, ქალაქის ინტიგენციის ძალისხმევითა და მართლმადიდებელი ეკლესიის ფინანსური მხარდაჭერით გაიხსნა მუზეუმი, რომელიც შემდეგ გახდა საფუძველი ეროვნული ისტორიის მუზეუმისა. თავდაპირველად მუზეუმს ეკავა მხოლოდ 2 ოთახი. დამთვალიერებლებს მუზეუმში შესვლა შეეძლოთ მხოლოდ ორშაბათობით. საეკლესიო-არქეოლოგიური კომიტეტის წევრები მორიგეობდნენ მუზეუმში და ისინი იყვნენ პირველი მეგზურები დამთვალიერებლებისა. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში მუზეუმი ევაკუირებულ იქნა რიაზანში.

ეროვნული ისტორიის მუზეუმი. მინსკი

1910 წელს მინსკის საზოგადოების აქტიური მხარდაჭერით, ქალაქის საქალაქო დუმამ გამოყო 2 ათასი მანეთი მინსკის მუზეუმის დაფინანსებისათვის. მუზეუმი 5 განყოფილებისაგან შედგებოდა: არქეოლოგიური, საბუნებისმეტყველო, ისტორიის, სამხატვრო-სამრეწველო, ეთნოგრაფიული. მუზეუმი თანდათანობით ივსებოდა კერძო შემოწირულობებით. 1916 წელს აქ პირველად გაიხსნა სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა.

1920 წელს რიაზანიდან მინსკში დააბრუნეს გახიზნული მუზეუმის ქონება. ამ ორი მუზეუმის ბაზაზე შეიქმნა მინსკის საოლქო მუზეუმი, რომელსაც 1923 წელს ბელარუსის სახელმწიფო მუზეუმის სტატუსი მიენიჭა. მუზეუმს 9 განყოფილება გააჩნდა. 1924 წელს მუზეუმის ფილიალები გაიხსნა ვიტებსკში, მოგილოვოში, გომელში. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მუზეუმმა ფუნქციონირება შეწყვიტა. სამუზეუმო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა. 1957 წელს იგი აღდგენილ იქნა.

დღეისათვის ეროვნული ისტორიის მუზეუმი ფლობს 370 ათასზე მეტ ექსპონატს, რომლებიც 14 კოლექციაშია განაწილებული. მუზეუმში არის 10 მუდმივმოქმედი ექსპოზიცია. გარდა საგამოფენო მუშაობისა, იგი აქტიურ სამეცნიერო-კვლევით მუშაობასაც ეწევა. ტარდება ადგილობრივი და საერთაშორისო დონის სიმპოზიუმები, სამეცნიერო კონფერენციები, იბეჭდება სამეცნიერო კრებულები, ალბომები, მეგზურები და სხვა.

ხელოვნების პროფილის მუზეუმებს შორის ბელარუსში ყველაზე დიდი სამუზეუმო დაწესებულებაა **სახვითი ხელოვნების ეროვნული მუზეუმი.**

სახვითი ხელოვნების მუზეუმი.

ახალი კორპუსის ჰოლი. მინსკი

ხელოვნების მუზეუმის გახსნას წინ უძღოდა სამხატვრო გალერეის მრავალწლიანი ნაყოფიერი საქმიანობა, რომელიც დაარსდა 1939 წელს. მოგვიანებით, 1957 წელს გალერეამ მიიღო ხელოვნების ეროვნული მუზეუმის სტატუსი. მუზეუმს გააჩნია 3 ფილიალი. მუზეუმის კოლექციები მოიცავს ადრებელარუსულ ხელოვნებას თანამედროვე პერიოდამდე.

ქვეყნის ეროვნულ ყოფას, კულტურასა და ისტორიას ასახავს ბელარუსის არქიტექტურისა და ყოფის მუზეუმი. იგი განთავსებულია მინსკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სოფელ ოზერცოში. მუზეუმი დაარსდა 1967 წელს. მას ვრცელი ტერიტორია უჭირავს. აქ განთავსებულია 40 არქიტექტურული ნაგებობა. ექსპოზიცია განაწილებულია რეგიონების მიხედვით.

არქიტექტურისა და ყოფის მუზეუმი. მინსკი

დასავლეთის მეორე არმიის ყოფილ შტაბ-ბინაში გაიხსნა ვოლკოვის სახლ-მუზეუმი, რომელიც პეტრე ბაგრატიონის სახელობისაა. 1935 წელს მუზეუმის გახსნას საფუძვლად დაედო კერძო კოლექციონერისა და მუზეუმის მოყვარულის პირადი ინიციატივა,

რომელიც წლების მანძილზე აგროვებდა სამუზეუმო ექსპონატებს. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მუზეუმი დაიხურა, სამუზეუმო ქონება კი გაიძარცვა. მეორედ იგი 1948 წელს გაიხსნა. 1950 წელს აქ დაიდგა პეტრე ბაგრატიონის ბიუსტი (მოქანდაკე ზ. აზგური). 1953 წლიდან მუზეუმი ატარებს**პ. ბაგრატიონის სახელობის სამხედრო-ისტორიული მუზეუმის** სახელს. მუზეუმი განთავსებულია ორ შენობაში. მუზეუმის ექსპოზიცია ეთმობა ადრეული პერიოდის სამხედრო ეპოპეასაც. კარგადაა წარმოდგენილი რუსეთ-საფრანგეთის 1812 წლის ომის ისტორიის ამსახველი ექსპოზიცია.

1.8.4. ესტონეთი

ესტონეთის კულტურისა და ყოფის გასაცნობად მნივნელოვან სამუზეუმო დაწესებულებას წარმოადგენს **ესტონეთის მუზეუმი ღია ცის ქვეშ,** რომელიც გაიხსნა 1957 წელს.

ესტონეთის მუზეუმი ღია ცის ქვეშ

მუზეუმი მდებარეობს ტალინის მახლობლად. აქ წარმოდგენილია 68 ფერმერული სახლი, რომლებიც განთავსებულია 12 ეთნოგრაფიულ ეზოში. ყოველ ეზოში გარდა საცხოვრებელი სახლებისა, წარმოდგენილია დამხმარე ნაგებობანი საყოფაცხოვრებო ინვენტართან ერთად.

კუმუს სახვითი ხელოვნების მუზეუმი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო მუზეუმად ითვლება. მუზეუმში წარმოდგენილია ესტონური ფერწერის მნიშვნელოვანი ნიმუშები კლასიკური ეპოქიდან დაწყებული თანამედროვე პერიოდამდე. მუზეუმი განთავსებულია შუასაუკუნეებში აგებულ შენობაში, ძველ ტალინში.

ესტონეთის **საზღვაო ნაოსნობის მუზეუმი** ბალტიის ზღვაზე განხორციელებულ ერთგვარ ისტორიულ ეპოპეას ასახავს. აქ დაცულია სხვადასხვა დანიშნულების საზღვაო გემების ნიმუშები, მათ შორისაა წყალქვეშა ნავი, აგებული მეორე მსოფლიო ომის პერიოდში.

ესტონეთის **საგზაო მუზეუმი,** ძირითადად, საავტომობილო გზების ისტორიას ასახავს. აქ გამოფენილია სხვადასხვა დროს გამოშვებული ავტომობილების ნიმუშები.

ქალაქ ტარტუს ისტორიულ უბანში განთავსებულია **სათამაშოების მუზეუმი**. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა ეპოქის სათამაშოების ნიმუშები. ბუნებრივია, რომ დამთვალიერებლებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ ბავშვები. მუზეუმი სათამაშოების ისტორიის ერთგვარი მემატიანეა, რომლებიც საინტერესეოა არა მხოლოდ დამთვალიერებლებისათვის, აგრეთვე, სათამაშოების ისტორიითა და დიზაინით დაინტერესებული სპეციალისტებისათვის. მუზეუმს გაჩნია სათამაშოების დასამზადებელი სახელოსნოც. აქ მოსულ ბავშვებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ სპეციალურ სატელევიზიო პროგრამაში.

გარდა ამისა, ესტონეთში სხვა პროფილის მუზეიმებიც არის. მაგალითად, ფოსტის მუზეუმი, ავიაციის მუზეუმი, სპორტის მუზეუმი, ტარტუს უნივერსიტეტის მუზეუმი, სოფლის მეურნეობის მუზეუმი და სხვა.

1.8.5. ლიტვა

ლიტვის **ეროვნული მუზეუმი** წარმოადგენს ისტორიული პროფილის მუზეუმს, რომელიც გაიხსნა 1952 წელს. მუზეუმის ისტორია გაცილებით ადრე დაიწყო XIX საუკუნეში. ლიტვის პირველი მუზეუმის შექმნას ხელი შეუწყო კერძო კოლექციონერების შემოწირულობებმა. XIX საუკუნის ბოლოსათვის სამუზეუმო კოლექციაში იყო 12 ათასზე მეტი ექსპონატი. მათ შორის, სხვადასხვა ქვეყნის უძველესი კულტურების ნიმუშები. მაგალითად, ძველ ეგვიპტური მცირე ზომის ქანდაკებები, ძველი ხელნაწერები, ეტრუსკული ვაზა, იაპონური, ჩინური და იტალიური ქსოვილების ნიმუშები და სხვა.

ლიტვის ეროვნული მუზეუმი

ლიტვის 1863 წლის აჯანყების შემდეგ მუზეუმის კოლექციების დიდი ნაწილი გადატანილ იქნა მოსკოვში. დარჩენილი კოლექციები განთავსდა ვილენსკის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკის შენობაში. პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წელს, მუზეუმის ფონდების დარჩენილი ნაწილიც გადაიტანეს მოსკოვში.

1918 წელს ლიტვის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დაარსდა ლიტვის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი. 1967 წელს მუზეუმი განთავსდა ამჟამინდელ შენობაში, რომელიც ადრე წარმოადგენდა ძველი ციხის არსენალის კომპლექსს. 1992 წლიდან მუზეუმი ლიტვის ეროვნული მუზეუმის სტატუსს ატარებს.

მუზეუმი შედგება 5 განყოფილებისაგან. სამუზეუმო ფონდშია 800 ათასზე მეტი ექსპონატი. სამუზეუმო კოლექციები განთავსებულია რამდენიმე შენობაში.

გენოციდის მსხვერპლთა მუზეუმი 1992 წელს გაიხსნა. მუზეუმს გადაეცა შენობა, სადაც 1940 წლიდან იყო განთავსებული

იყო „НКВД“ (შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი). მუზეუმის შენობა თითქმის საუკუნისაა. სხვადასხვა დროს ამავე შენობაში იყო ვილენსკის საგუბერნიო სასამართლო, 1915-1918 წლებში – გერმანელთა საოკუპაციო ხელისუფლება, შემდეგ – კომისარიატი, პოლონეთის საოკუპაციო ხელისუფლება.



გენოციდის მსხვერპლთა მუზეუმი. ვილნიუსი

ლიტვიელებისათვის ეს მუზეუმი არის სიმბოლო ქვეყნის ორმოცდაათწლიანი საბჭოთა ოკუპაციისა. მუზეუმი ამავე დროს წარმოადგენს კვლევით ცენტრს, რომელიც სწავლობს საბჭოთა ოკუპაციის მსხვერპლთა ისტორიას.

მუზეუმის ექსპოზიცია სამი ნაწილისაგან შედგება. მიწისქვეშა სართულზე არის საპატიმრო და დახვრეტილთა საკანი; პირველ სართულზე – 40-იანი წლებიდან განხორციელებული რეპრესიებისა და პარტიზანული ომის ამსახველი ექსპოზიცია, მეორე სართულზე – ანტისაბჭოთა ბრძოლის ისტორიის ამსახველი დოკუმენტური მასალები.

ლიტვის ეროვნულ კულტურასა და ყოფას ასახავს კერამიკის მუზეუმი, ხალხური მუსიკის მუზეუმი, მედიცინის მუზეუმი, ავიაციის მუზეუმი, საზღვაო მუზეუმი, ფოსტის მუზეუმი, ზოოლოგიის მუზეუმი, ცნობილი ადამიანების მემორიალური მუზეუმები და სხვ.

1.8.6. ლატვია

ბალტიისპირეთის ქვეყნებს შორის ლატვია გამოირჩევა სამუზეუმო ქსელის მრვალფეროვნებითა და რაოდენობით.

ლატვიის **სახვითი ხელოვნების ეროვნული მუზეუმი** ქვეყნის ერთ-ერთი ძველი მუზეუმია, რომლის ისტორია იწყება 1869 წელს.

სახვითი ხელოვნების ეროვნული მუზეუმი. რიგა

1869 წლამდე პირველი სამუზეუმო ექსპონატები ინახებოდა კულტურის სხვადასხვა შენობაში. ამ ექსპონატების ბაზაზე გაიხსნა რიგის სურათების გალერეა. მომდევნო წლებში გალერეას შეემატა ახალი კოლექციები, მათ შორის უცხოეთიდან. 1905 წელს გალერეამ მუზეუმის სტატუსი მიიღო. მუზეუმის ფონდებში დაცულია 52 ათასზე მეტი ექსპონატი, რომლებიც ორ ნაწილად არის გაყოფილი: ლატვიის ხელოვნება და საზღვარგარეთის ხელოვნება.

ლატვიის ხელოვნების განყოფილებაში დაცულია ეროვნული ხელოვნების ნიმუშები XVIII საუკუნიდან. საზღვარგარეთის ხელოვნების განყოფილება არც ისე მრავალრიცხოვანია, მაგრამ დამთვალიერებელთა დიდ ინტერესს იჩენს.

ლატვიის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეული მუზეუმია. იგი დაარსდა 1924 წელს, დამთვალიერებლებისათვის კი გაიხსნა 1932 წელს. მუზეუმი მდებარეობს იუგლსკის ტბის მახლობლად. მას უჭირავს 84 ჰა ფართობი, სადაც განთავსებულია 118 საცხოვრებელი, სამეურნეო და საზოგადოებრივი შენობის ნიმუშები. შენობა-ნაგებობები მიეკუთვნება XVII-XX საუკუნეებს.

ეთნოგრაფიული მუზეუმი. რიგა

საზღვარგარეთის ხელოვნების მუზეუმი არის ერთ-ერთი უდიდესი მუზეუმი ლატვიაში. სამუზეუმო კოლექცია მოიცავს 5 ათასწლოვანი ისტორიის პერიოდს თანამედროვე ნიმუშების ჩათვლით. მუზეუმი გაიხსნა 1920 წელს, რომელიც განთავსებულია რიგის ძველი ციხის სამხრეთ ნაწილში. მის გახსნას საფუძვლად დაედო ექიმისა და მოგზაურის ნიკოლაუს ფონ ხიმზელის კერძო კოლექციები. მუზეუმის ფონდებშია სახვითი ხელოვნების ნიმუშები ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების.

ლატვიის **არქიტექტურის მუზეუმი** გაიხსნა ქვეყნის მეორედ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, კერძოდ, 1994 წელს. მუზეუმი 10 ათასზე მეტ სამუზეუმო ექსპონატს მოიცავს: პროექტები, ესკიზები, არქიტექტურის ისტორიის ამსახველი სხვა მასალები.

ლატვიის **სამხედრო მუზეუმიის** ისტორია დაიწყო 1916 წელს. ეს ის პერიოდია, როცა ლატვიის ეროვნული ასეულები მონაწილეობდნენ პირველი მსოფლიო ომის საბრძოლო ბატალიებში. მუზეუმმა არაერთხელ შეიცვალა ადგილსამყოფელი. იგი მდიდარ ექსპოზიციებს ფლობს, რომლებიც ასახავს ლატვიის და ბალტიისპირეთის საბრძოლო ხელოვნების ისტორიას. მუზეუმს გააჩნია 2 ფილიალი. 1997 წლიდან მუზეუმი სამხედრო ისტორიის საერთაშორისო ასოციაციის წევრია.

პოსტსაბჭოთა პერიოდში, განსაკუთრებით ბალტიისპირეთის ქვეყნებში, აქტუალური გახდა საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური მუზეუმების გახსნა. საზოგადოების მხრიდან დიდია დაინტერესება ასეთი ტიპის მუზეუმების გახსნისა. ეს არის ერთგვარი მადლიერებაც იმ ადამიანების ხსოვნის მიმართ, რომლებიც საბჭოთა ეპოქის და მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფაშიზმის რეჟიმს ემსხვერპლნენ.

ოკუპაციის მუზეუმი. რიგა

ლატვიის ოკუპაციის მუზეუმი მდებარეობს რიგაში. იგი გაიხსნა 1993 წელს. მუზეუმის ექსპოზიცია მრავალფეროვანია, მათ შორისაა მოძრავი გამოფენებიც.

ლატვიის სამუზეუმო ქსელი მოიცავს მუზეუმების თითქმის ყველა პროფილს. განსაკუთრებით საყურადღებოა ანატომიის მუზეუმი, ბოტანიკის მუზეუმი, გეოლოგიის მუზეუმი, ბუნების მუზეუმი, ფოტოგრაფიის მუზეუმი, მოტომუზეუმი, მედიცინის მუზეუმი, ფარმაციის მუზეუმი, კინომუზეუმი, სპორტის მუზეუმი, სახანძრო-ტექნიკური მუზეუმი და სხვ.

1.8.7. მოლდავეთი

მოლდავეთის **ეთნოგრაფიისა და ბუნების ისტორიის ეროვნული მუზეუმი** დაარსდა 1889 წელს, ბარონ ა. სტიუარტის ინიციატივით, ბესარაბიაში მოწყობილი პირველი სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ექსპოზიციის ბაზაზე.

მუზეუმმა რამდენიმეჯერ შეიცვალა სტატუსი. თავდაპირველად იგი სასოფლო-სამეურნეო პროფილს მიეკუთვნებოდა, შემდეგ – ზოოლოგიისა და სოფლის მეურნეობის, ბუნების ისტორიის. მიუხედავად რამდენიმეჯერ განხორციელებული რეორგანიზაციისა, მუზეუმმა შეინარჩუნა 2 მიმართულება – ბესარაბიის ბუნებისა და კულტურის ისტორიის შესწავლა. თავიდან მუზეუმი განთავსებული იყო გუბერნატორის რეზიდენციაში. 1903-1905 წლებში მუზეუმისათვის აშენდა ახალი შენობა. დაარსების დღიდანვე იგი გახდა

ბესარაბიის მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი. 1906 წელს მუზეუმის ტერიტორიაზე მოეწყო პირველი ბოტანიკური ბაღი ბესარაბიაში. 1994 წელს აქ გაიხსნა მუდმივმოქმედი ექსპოზიცია „ბუნება. ადამიანი. კულტურა“.

მოლდავეთის ეროვნული მუზეუმი

მოლდავეთის ისტორიის მუზეუმი გაიხსნა 1987 წელს. მუზეუმის წინ დგას ცნობილი ქანდაკება – მგელი, რომელმაც ჩვილი რომულუსი და რემუსი გამოკვება. მუზეუმი რამდენიმე განყოფილებად იყოფა: არქეოლოგია და ანტიკური ისტორია, შუასაუკუნეების ისტორია, ბესარაბიის ისტორია, თანამედროვე ისტორია. მუზეუმი ფლობს 300 ათასზე მეტ სამუზეუმო ნივთს, რომლებსაც დიდი ისტორიული ღირებულება გააჩნიათ.

მოლდავეთში მუზეუმების უმრავლესობა გაიხსნა 1940 წლის შემდეგ, როცა მოლდავეთი „შევიდა“ სსრკ-ის შემადგენლობაში. 1940 წელს გაიხსნა მოლდავეთის სახვითი ხელოვნების მუზეუმი, 1945 წელს – მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, 1948 წელს – ა. პუშკინის სახლ-მუზეუმი, 1958 წელს – არქოლოგიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, 1965 წელს – ლიტერატურის მუზეუმი და სხვ.

1.8.8. ყაზახეთი

ყაზახეთში უფრო მეტად განვითარებულია ისტორიული პროფილის მუზეუმების ქსელი. თუმცა არც ისე ცოტაა ხელოვნების, მემორიალური და სპეციალიზირებული მუზეუმები.

ქვეყნის მთავარ მუზეუმად მიჩნეულია **ყაზახეთის ცენტრალური სახელმწიფო მუზეუმი.** იგი ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და ყოფას ასახავს. აქ განთავსებული ექსპონატები ნათელ წარმოდგენას უქმნის დამთვალიერებლებს ყაზახეთის წარსულის შესახებ.

ყაზახეთის ცენტრალური სახელმწიფო მუზეუმი. ალმა-ატა

მუზეუმი არა მარტო ყაზახეთში, არამედ მთელ შუა აზიაში ითვლება უდიდეს მუზეუმად. იგი შეიქმნა გასული საუკუნის 30-იან წლებში. ამჟამინდელი შენობა აგებულია 1985 წელს. მუზეუმს გააჩნია საგამოფენო გალერეა და 4 მუდმივმოქმედი საექსპოზიციო დარბაზი. პირველ საგამოფენო დარბაზში განთავსებულია პალეონტოლოგიისა და არქეოლოგიის ექსპოზიცია, მეორე დარბაზში განთავსებულია ყაზახეთის ისტორიის ექსპოზიცია, მესამე დარბაზში – ყაზახეთში მცხოვრები არაყაზახური ეროვნების ხალხების ეთნოგრაფია და ისტორია, მეოთხე დარბაზში – ყაზახეთის ისტორია ყაზახეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან (1991 წ.) დღემდე.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. ალმა-ატა

ა. კასტაევის სახელობის ყაზახეთის **ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი** ფლობს ფერწერის, გრაფიკის, სკულპტურისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების 20 ათასზე მეტ ექსპონატს. მუზეუმი გაწევრიანებულია მუზეუმების საერთაშორისო ასოციაციაში. მრავალფეროვანია მუზეუმის ექსპოზიციები, რომელიც მოიცავს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნების ხელოვნებას.

ყაზახეთის მუსიკალური ხალხური ინსტრუმენტების მუზეუმი

ყაზახური ეროვნული მუსიკალური ფოლკლორის შესწავლის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს მუსიკალური ხალხური ინსტრუმენტების სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ექსპონატებს.

მუზეუმი შეიქმნა 1989 წელს. იგი ითვლება ყაზახეთის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ღირსშესანიშნაობად. ყაზახური მუსიკალური ხალხური ინსტრუმენტები მოძიებულ იქნა ქვეყნის ყველა რეგიონში და მის ფარგლებს გარეთაც. ზოგიერთი ინსტრუმენტი

წარმოადგენდა ცნობილი ყაზახი ხელოვანების საკუთრებას, რაც კიდევ უფრო ზრდის მუზეუმში დაცული ექსპონატის მნიშვნელობას. მუზეუმი განთავსებულია ტრადიციული რუსული არქიტექტურით აგებულ ხის შენობაში, რომელიც აგებულია 1907 წელს.

ყაზახეთის კულტურისა და ისტორიის ღირსშესანიშნაობების მნიშვნელოვან კოლექციებს ფლობს არქეოლოგიის მუზეუმი, წიგნის მუზეუმი, გეოლოგიის მუზეუმი, ბუნების მუზეუმი, ლიტერატურის მუზეუმი და სხვა მემორიალური მუზეუმები.

1.8.9. ტაჯიკეთი

კ. ბეხზოდის სახელობის ტაჯიკეთის ეროვნული მუზეუმი გაიხსნა 1934 წელს. ამ დროისათვის მუზეუმი ფლობდა მხოლოდ 530 ექსპონატს. დღეისათვის ექსპონატების რაოდენობა 50 ათას ერთეულს აჭარბებს. ექსპონატების ნაწილი მუზეუმს გადაეცა რუსეთის სხვადასხვა მუზეუმის ფონდებიდან.

მუზეუმების კოლექცია მრავალფეროვანია. ფონდებში დაცულია ფლორის, ფაუნის, მინერალების, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ხელნაწერების, ნუმიზმატიკის, არქიტექტურის, ხელოვნებისა და სხვა დარგების შედევრები. ფონდების გეოგრაფიული და ქრონოლოგიური არეალი ძალიან დიდია და იგი, გარდა ტაჯიკეთისა, მოიცავს მოსაზღვრე და შორეული ქვეყნების კულტურულ მემკვიდრეობას.

ტაჯიკეთის ეროვნული მუზეუმი

ტაჯიკეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი გაიხსნა 1958 წელს სპარსულ-ტაჯიკური ლიტერატურის ფუძემდებლის ა. რუდაკის დაბადების 1100 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მუზეუმი განთავსებულია სპეციალურად აგებულ შენობაში. მუზეუმის სადარბაზო კარი წარმოადგენს ხელოვნების ნიმუშს, რომელიც დამზადებულია ტაჯიკეთის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ბ. იულდოშბეკოვის მიერ.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

მუზეუმს გააჩნია 8 საგამოფენო დარბაზი, რომელიც 3 თემატურ განყოფილებად არის დაყოფილი. სამუზეუმო ექსპოზიცია მოიცავს ქვეყნის ისტორიას, კულტურასა და ყოფას.

ტაჯიკური ეთნიკური კულტურა და ყოფა კარგადაა წარმოდგენილი მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმში, სიძველეთა ეროვნულ მუზეუმში, არქეოლოგიისა და ფორტიფიკაციის მუზეუმში და სხვა.

1.8.10. უზბეკეთი

უზბეკეთის მუზეუმების ქსელი მრავალფეროვანია და თითქმის ყველა დარგს მოიცავს. მათი უმრავლესობა საბჭოთა პერიოდშია გახსნილი.

უზბეკეთის **ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი** წარმოადგენს ცენტრალური აზიის უძველეს, უდიდეს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებას. აქ დაცულია ქვეყნის არქეოლოგიის, ნუმიზმატიკის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების უნიკალური ძეგლები, რომელთა რაოდენობა 250 ათასს აჭარბებს. დამთვალიერებლებში დიდ ინტერესს იწვევს შუასაუკუნეების ცივილიზაციის მატერიალური კულტურის ძეგლები.

უზბეკეთის **ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი** ქვეყნის ერთ-ერთ უძველეს მუზეუმს წარმოადგენს. იგი შეიქმნა 1918 წელს. მუზეუმმა რამდენიმეჯერ შეიცვალა სტატუსი. თავიდან ატარებდა სახალხო უნივერსიტეტის სტატუსს, შემდეგ – სახვითი ხელოვნების, ამჟამად – ხელოვნების მუზეუმის. გარდა ეროვნული ხელოვნებისა, წარმოდგენილია ჩინეთის, ინდოეთის, ირანის, იაპონიის, სამხრეთ კორეის ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმი რუსეთის იკონოგრაფიის XV-XX საუკუნეების მნიშვნელოვან კოლექციებსაც ფლობს.

უზბეკეთის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი

უზბეკეთის გამოყენებითი ხელოვნების გალერეა, ახალგაზრდობის შემოქმედებითი სასახლე, გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, ლიტერატურის მუზეუმი, ბუნების მუზეუმი, კინოხელოვნების მუზეუმი, რეპრესიების მსხვერპლთა მუზეუმი, მემორიალური მუზეუმები ეს არის მცირე ნაწილი იმ მრავალრიცხოვან მუზეუმებს შორის, რომლებიც უზბეკეთის ისტორიასა და კულტურას წარმოაჩენს დამთვალიერებლების წინაშე.

1.8.11. ყირგიზეთი

ყირგიზეთის ისტორიის მუზეუმი დაფუძნდა 1925 წელს. იგი ითვლება ერთ-ერთ უდიდეს მუზეუმად არა მხოლოდ ყირგიზეთში, არამეთ მთელ შუა აზიაში. წლების მანძილზე მუზეუმმა არაერთზელ შეიცვალა დასახელება. აქ დღეისათვის დაცულია 90 ათაზე მეტი ექსპონატი.

ყირგიზეთის ისტორიის მუზეუმი

ყირგიზეთის ხელოვნების მუზეუმი შეიქმნა სურათების ეროვნული გალერეის ბაზაზე 1935 წელს. მუზეუმს გადაეცა ერმიტაჟსა და ტრეტიაკოვის გალერეაში დაცული ექსპონატების ის ნაწილი, რომლებიც ყირგიზეთის ეროვნულ კულტურულ მემკვიდრეობას მიეკუთვნება. მუზეუმში დაცულია 17 ათასზე მეტი ექსპონატი, ფერწერის, გრაფიკის, სკულპტურისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები.

ყირგიზეთის გამოყენებითი ხელოვნების ეროვნული მუზეუმი ქვეყნის მნიშვნელოვან განძთსაცავს წარმოადგენს, სადაც დაცულია უზბეკურ ეროვნულ ყოფასთან დაკავშირებული ნიმუშები.

საინტერესო და უცნაურ ბუნებრივ გარემოშია მოწყობილი ყირგიზეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი. იგი გამოქვაბულშია გახსნილი, სადაც დაცულია ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი ძეგლები.

ქვის მუზეუმი გეოლოგების მიერ ბუნებაში მოძიებული იშვიათი ფერადი ქვების საუკეთესო კოლექციას წარმოადგენს.

2007 წელს გაიხსნა მუზეუმი ღია ცის ქვეშ. ფაქტობრივად, ეს არის მაღალი დონის სტუმრებისათვის პრეზიდენტის რეზიდენციასთან მოწყობილი მუზეუმი, სადაც წარმოდგენილია ქანდაკებების საინტერესო კოლექცია. საგამოფენო დარბაზების მუდმივმოქმედ ექსპოზიციაშია ფერწერისა და გრაფიკის საუკეთესო ნიმუშები.



ყირგიზეთის ეთნოგრაფიული მუზეუმი

1.8.12. თურქმენეთი

თურქმენეთი მუზეუმთა რაოდენობით არ გამოირჩევა შუა აზიაში. კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაშია მხოლოდ 35 მუზეუმი (გარდა ამისა, ფუნქციონირებს ასობით კერძო მუზეუმი), მაგრამ სამუზეუმო ქსელის ინფრასტრუქტურა ერთ-ერთი საუკეთესოა რეგიონში. ხელისუფლება მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. სამუზეუმო ქსელის განვითარების პრობლემებზე ტარდება რეგიონალური და საერთაშორისო სიმპოზიუმები, რაც ხელს უწყობს საზოგადოებაში მუზეუმის როლის გაზრდას.

თურქმენეთში და შუა აზიაში უძველეს მუზეუმად ითვლება სამხედრო-ისტორიული მუზეუმი, რომელიც გაიხსნა 1885 წელს. მოგვიანებით ამ მუზეუმმა სათავე დაუდო თურქმენეთში ახალი მუზეუმების ჩამოყალიბებას.

თურქმენეთის **ეროვნული მუზეუმი** ყველაზე დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს შუა აზიაში. მის ფონდებში დაცულ ექსპონატებს უფრო მეტ ხიბლსა და მნიშვნელობას ანიჭებს საუკეთესო ესთეტიკური გარემო და სამუშაო პირობები, რომელიც აქ შექმნილია დამთვალიერებლებისა და

მუზეუმში მომუშავე პერონალისათვის. მუზეუმი ფართო სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ეწევა რეგიონში. იგი საუცხოო შენობაშია გათავსებული, სადაც ერთმანეთს ერწყმის ადგილობრივი აზიური და თანამედროვე არქიტექტურის ელემენტები.

თურქმენეთის ეროვნული მუზეუმი

ცენტრალური ჰოლი, საგამოფენო დარბაზები ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო აზიაში, არამედ მსოფლიოში. ექსპოზიცია თემატურად და ქრონოლოგიურად არის განლაგებული და კარგად წარმოაჩენს აზიის უძველეს და ულამაზეს ხელოვნებას.

აზიური ყოფის საუცხოო კოლექციებს ფლობს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი, ეთნოგრაფიული მუზეუმი, ისტორიული მუზეუმი, მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ხალიჩების მუზეუმი და სხვა.

1.8.13. აზერბაიჯანი

აზერბაიჯანში სამუზეუმო ქსელის განვითარებას სათავე დაუდო XIX საუკუნის ბოლოს სოფელ ნეხრემში შექმნილმა სასკოლო მუზეუმმა. XX საუკუნის დასაწყისში სახალხო სკოლების ადმინისტრაციასთან შეიქმნა პედაგოგიური მუზეუმი. დაახლოებით ამავე პერიოდში შეიქმნა რუსეთის ტექნიკური საზოგადოების ბაქოს ფილიალის დახურული მუზეუმი.

პირველი სახელმწიფო მუზეუმი აზერბაიჯანში გაიხსნა 1921 წელს. იგი შედგებოდა რამდენიმე განყოფილებისაგან: არქეოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ბუნება. შემდეგ დაემატა ხელოვნების განყოფილება. მოგვიანებით ამ განყოფილების ფონდების ბაზაზე გაიხსნა 2 დამოუკიდებელი მუზეუმი: თეატრის სახელმწიფო მუზეუმი (1934 წ.) და ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი (1936 წ.). აზერბაიჯანის სახელმწიფო მუზეუმი 1936 წელს გადაკეთდა ისტორიის მუზეუმად.

დღეისათვის ისტორიის მუზეუმში 6 განყოფილებაა, სადაც 300 ათასზე მეტი ექსპონატი ინახება. მუზეუმი გამოსცემს სამეცნიერო შრომების კრებულს „აზერბაიჯანის ისტორიის მასალები“.

1967 წელს გაიხსნა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი აზერბაიჯანული **ხალიჩებისა და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი.** გარდა ხალიჩებისა, მუზეუმის ფონდებში დაცულია კერამიკის, მეტალის, ძვირფასი ქვების იშვიათი ნაკეთობანი.

ხალიჩებისა და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმი. ბაქო

1992 წელს მუზეუმს გადაეცა ლენინის ყოფილი მუზეუმის შენობა. 2008 წელს მუზეუმისათვის აშენდა ახალი შენობა (არქიტექტორები ფ. იანსი და ვ. მარი). მისი ექსპონატები მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის მუზეუმებში იყო გამოფენილი. მუზეუმის შესახებ გადაღებულია დოკუმენტური ფილმები.

აზერბაიჯანის **ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი** ერთ-ერთი უდიდესი სამუზეუმო დაწესებულებაა ქვეყანაში. აქ დაცულია ხელოვნების სხვადასხვა დარგის 17 ათასზე მეტი იშვიათი ნიმუში

და ისტორიული რელიქვია. მუზეუმი შეიქმნა 1936 წელს, სახელმწიფო მუზეუმის ხელოვნების განყოფილების ბაზაზე. მუზეუმი განთავსებულია ორ შენობაში. ძირითადი კორპუსი აგებულია XIX საუკუნის 80-იან წლებში. იგი ეკუთვნოდა ნავთობის სააქციო საზოგადოებას „კასპიის ამხანაგობა“. 1919 წელს ამ შენობაში იყო განთავსებული ბრიტანეთის არმიის შტაბი. 1921 წელს შენობაში განთავსდა აზერბაიჯანის სახალხო კომისართა საბჭო. 1933 წელს ამ შენობაში დაიდო ბინა აზერბაიჯანის ცკ-ის პირველმა მდივანმა მ. ბაგიროვმა ოჯახთან ერთად. 1951 წელს მ. ბაგიროვის გადაწყვეტილებით შენობა გადაეცა ხელოვნების მუზეუმს.

ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი. ბაქო

მუზეუმის კოლექციების მნიშვნელოვანი ნაწილი ანტიკურ პერიოდს მიეკუთვნება. ძირითადად, ეს არის არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული კერამიკის ნაკეთობანი. განაკუთრებით საყურადღებოა ძველი ეგვიპტის (ძვ.წ.აღ. I ათასწლეული - XV სს.) ხელოვნების ნიმუშების კოლექცია. მუზეუმში ფართოდაა წარმოდგენილი აზერბაიჯანული შუასაუკუნეების და თანამედროვე ხელოვნება. რუსული ხელოვნება წარმოდგენილია XVIII საუკუნიდან. მათ შორისაა ცნობილი მხატვრების ა. ვენეციანოვის, ი. შიშკინის, ვ. ორლოვსკის, ი. ლემანის, ვ. ვერეშჩაგინის, ვ. კანდინსკის და სხვა ცნობილი მხატვრების ნამუშევრები. კოლექციებს შორისაა

დასავლეთ ევროპის, აღმოსავლეთ აზიის ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმის საერთაშორისო მნიშვნელობაზე მეტყველებს საფრანგეთში, კანადაში, ჩეხეთში, კუბაში, სირიაში, ალჟირში, ერაყში მოწყობილი გამოფენები.

მუზეუმი მნივნელოვან პროექტებს ახორციელებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო მიმართულებით.

საინტერესო ექსპონატებს ფლობს **მინიატურული წიგნების მუზეუმი.** აქ დაცულია 64 ქვეყანაში დაბეჭდილი მინიატურული წიგნების 6500 ერთეული. მუზეუმის ფონდებშია იშვიათი გამოცემებიც.

დამთვალიერებელთა და სპეციალისტთა დიდ ინტერესს იწვევს აზერბაიჯანის ლიტერატურის მუზეუმი, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, მუსიკალური კულტურის მუზეუმი და სხვა.

მსოფლიოში იშვიათობას წარმოადგენდა აზერბაიჯანის **პურის მუზეუმი** აგდამში. იგი ეძღვნებოდა ხორბლისა და მარცვლეული კულტურების ისტორიას. მუზეუმში დაცულ ნივთებს უმნიშვნელოვანესი ისტორიული და კულტურული ღირებულება გააჩნდა არა მარტო დამთვალიერებლებისათვის, აგრეთვე, მკვლევარებისათვის. დასანანია, რომ მუზეუმი მნიშვნელოვნად დაზიანდა ყარაბაღის ომის დროს და აღარ ფუნქციონირებს.

1.8.14. სომხეთი

სომხეთში სამუზემო ქსელის განვითარება დაკავშირებულია საბჭოთა პერიოდთან. 1921 წლიდან ქვეყანაში გაიხსნა სხვადასხვა პროფილის მუზეუმები, რომლებიც სომხეთის ისტორიასა და ეროვნულ კულტურას წარმოაჩენენ დამთვალიერებლების წინაშე.

ეროვნული ისტორიის მუზეუმი წარმოადგენს ამ პროფილის უდიდეს სამუზეუმო დაწესებულებას ქვეყანაში. მუზეუმი გაიხსნა 1921 წელს.

ეროვნული ისტორიის მუზეუმი. ერევანი

მუზეუმი რამდენიმე განყოფილებად იყოფა: არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ნუმიზმატიკის, არქიტექტურის ისტორიის, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილებებად. სამუზეუმო ფონდებში დაცული ნივთები თარიღდება ქვის ხანიდან XIX საუკუნემდე. ყოველი განყოფილების ექსპოზიცია დაყოფილია თემატურად და ქრონოლოგიურად.

სომხეთის **ისტორიისა და კულტურის მუზეუმი** წარმოადგენს ღია ცის ქვეშ მოწყობილ ისტორიულ ნაგებობათა საძირკვლების კომპლექსს, რომელიც ЮНЕСКО-ს მიერ შეტანილია მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხაში. ეს მუზეუმი გახსნილია ცნობილი სომეხი მოღვაწის გრიგოლ განმანათლებლის (641-652 წწ) ტაძრის ნანგრევებზე. მუზეუმი მდებარეობს ქალაქ ვაგარშაპატში.

ისტორიისა და კულტურის მუზეუმი. სომხეთი

მსოფლიო კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან სამუზეუმო დაწესებულებას წარმოადგენს მესროპ მაშტოცის სახელობის **უძველესი ხელნაწერების მუზეუმი-ინსტიტუტი – „მატენადარანი“.** იგი გაიხსნა 1959 წელს.

უძველესი ხელნაწერების მუზეუმი-ინსტიტუტი – „მათენადარანი“

ფონდებში დაცულია 16 ათასზე მეტი უნიკალური ხელნაწერი და 100 ათასზე მეტი საარქივო დოკუმენტი. აქვე ინახება, აგრეთვე, მსოფლიო ლიტერატურის ერთადერთი და უძველესი ხელნაწერები, რომელთა დედნები დაკარგულია და კაცობრიობა უძველეს ტექსტებს იცნობს მხოლოდ სომხური თარგმანის ხელნაწერებით. მუზეუმი, გარდა იმისა, რომ უძველესი ხელნაწერებითაა ცნობილი, აქ დაცულია, აგრეთვე, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მნიშვნელოვანი ფონდები (ლითონი, ტყავი, საიუვილერო ნიშნები და ა.შ.).

მუზეუმის შენობა აგებულია 1959 წელს (არქიტექტორი მ. გრიგორიანი).

მუზეუმში ფართო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებით: ხელნაწერების შესწავლა და გამოცემა, სომხური ტექსტოლოგიის პრობლემების შესწავლა, წყაროთმცოდნეობა, პალეოგრაფია, შუასაუკუნეების წიგნების მხატვრობა, ისტორიოგრაფია, სამეცნიერო თარგმანების მომზადება და სხვა. 1940 წლიდან გამოდის სამეცნიერო შრომების კრებული.

სომხეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, სომხეთის სახელმწიფო მუზეუმში 1921 წელს გაიხსნა ხელოვნების განყოფილება, რომელიც მოგვიანებით საფუძვლად დაედო სურათების გალერეის

გახსნას. გალერეის ფონდები თანდათანობით შეივსო მხატვრების მიერ გალერეისათვის საჩუქრად გადაცემული ნამუშევრებით. გალერეაში დაცულია 20 ათასზე მეტი ნახატი. მათ შორისაა ცნობილი მხატვრების – შაგალის, რუბენსის, კანდინსკის, რეპინის, ბრიულოვის, სურიკოვის და სხვათა შედევრები.

სამეცნიერო წრეებში და დამთვალიერებლებში დიდი პოპულარობით სარგებლობს **ერებუნის მუზეუმი,** რომელიც ურარტუს ეპოქის კულტურის უმნიშვნელოვანებს კოლექციებს ფლობს. ექსპონატების სახეობა მრავალფეროვანია. აქ არის ქვის დიდი და მცირე ზომის ქანდაკებები, კერამიკული ნაწარმი, ოქროსა და ვერცხლის საყოფაცხოვრებო საგნები, რომლებიც მოპოვებულ იქნა სომხეთის ტერიტორიაზე ჩატარებული არქოლოგიური გათხრების შედეგად.

მემორიალურ მუზეუმებს შორის განსაკუთრებით გვინდა გამოვყოთ ცნობილი რეჟისორის **სერგო ფარაჯანოვის სახლ-მუზეუმი.**

ს. ფარაჯანოვი დაიბადა თბილისში 1924 წელს. გადაღებული აქვს რამდენიმე მხატვრული ფილმი. მათ შორის „სურამის ციხე“. მისმა შემოქმედებამ სიცოცხლეშივე მოიპოვა საერთაშორისო აღიარება. გარდაიცვალა 1990 წელს, ერევანში. დაკრძალულია იქვე, საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. „იუნესკოს“ გადაწყვეტილებით 1999 წელი გამოცხადდა ფარაჯანოვის წლად.

ფარაჯანოვის მუზეუმი ერევანში

ფარაჯანოვის ძეგლი თბილისში

დიდ ინტერესს იწვევს რეჟისორის შემოქმედება, რომელიც მუზეუმში ფართოდ არის წარმოდგენილი. რეჟისორის მხატვრული ნაწარმოებების კოლაჟი, ფოტოსურათები, პირადი ნივთები ორ-

სართულიან შენობაშია განლაგებული. მუზეუმის ხელმძღვანელი რეჟისორის ახლობელია, რომელიც პირადად იცნობდა ს. ფარაჯანოვს, მეგზურობას უწევს დამთვალიერებლებს და მოუთხრობს დიდი ხელოვანის ცხოვრების უცნობ ეპიზოდებზე.

ქვეყნის კულტურისა და ყოფის გაცნობისა და შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხური ხელოვნების მუზეუმის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუზეუმის, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის, სამხედრო მუზეუმის და მემორიალური მუზეუმების დაცულ ექსპონატებს.

თავი II. მუზეუმები საქართველოში

2.1. მუზეუმები საქართველოში უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე

სამუზეუმო საქმის ისტორიამ საქართველოში დაახლოებით იგივე ეტაპები გაიარა, როგორც უცხოეთში. თუმცა ეს ისტორია განსხვავებულ ხასიათსაც ატარებდა, განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეებში და რუსეთის (მოგვიანებით სსრკ) იმპერიაში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებზე იყო დამოკიდებული.

გამომდინარე აქედან, საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარების ისტორია პირობითად რამდენიმე ეტაპად შეიძლება დავყოთ:

- უძველესი ხანიდან XIX საუკუნემდე;

- სამუზეუმო საქმის განვითარება რუსეთის იმპერიის პერიოდში – XIX საუკუნის დასაწყისიდან

1918 წლამდე – საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე;

- სამუზეუმო საქმის განვითარება საქართველოს I რესპუბლიკის პერიოდში (1918-1921 წწ.);

- სამუზეუმო საქმის ისტორია საქართველოს II რესპუბლიკის ანუ სსრ კავშირის პერიოდში (1921-1991 წწ.);

- სამუზეუმო საქმის განვითარება საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის

აღდგენიდან (1991 წ.) დღემდე.

საქართველოში სიძველეთა დაცვის ტრადიციები უძველესი დროიდან არსებობდა. რომაელი მოღვაწე ფლავიუს არიანე, რომელმაც ახ.წ. 134 წელს იმოგზაურა კოლხეთში, მოგვითხრობს, „ფაზისში, რომ შედიხარ, მარცხნივ აღმართულია ქანდაკება ქალღმერთ ფასიანესი. გარეგნობის მიხედვით ის ჰგავს რეას (რეა – დედა ღმერთქალი ურანოსისა და გეას ქალიშვილი. კრონოსის ცოლი. კრონიდების დედა. რეას უძველეს საკულტო ადგილად ითვლებოდა კრეტა, სადაც გადმოცემის თანახმად, ერთ–ერთ გამოქვაბულში შვა და აღზარდა ზევსი), რადგან ხელში წინწილა უჭურავს, აგრეთვე მისი სავარძლის წინ წვანან ლომები და თვით ის ზის როგორც ფიდიასის ქანდაკება ათენის მეტრიონში. აქ უჩვენებენ არგოს რკინის ღუზას. არა მგონია იგი ძველი იყოს, თუმცა სიდიდით

არა ჰგავს ახლანდელ ღუზებს და მოყვანილობითაც განსხვადება. მაგრამ, მაინც, ვფიქრობ, რომ გვიანდელ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს. იქვე მაჩვენეს ქვის, ძველი ღუზის ნაჭრები, რომლებიც უფრო მეტად შეიძლება მივიჩნიოთ არგოს ღუზის ნაშთად. რაიმე სხვა ძეგლი, იაზონის მითებში მოხსენიებული, აქ არ იყო". ამ რელიკვიათა ასაკი მაშინ 10 საუკუნეს აღემატებოდა.

ეს ტრადიცია შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა. ისტორიული და მხატვრულ-კულტურული ფასეულობანი წარმართული ეპოქის საკულტო ნაგებობებში, ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებში და წარჩინებული საზოგადოების სასახლეებში იყრიდა თავს. ამას ადასტურებს ჩვენამდე მოღწეული ოქრომჭედლობისა და ხელნაწერი წიგნების უძვირფასესი კოლექციები.

1060 წლით დათარიღებულ ოთხთავის მთარგმნელის ანდერძში აღნიშნულია: „ვითა აქა პოოთ ესე დასწერეთ... ღვთისათვის სიტყვათა ნუ სცვალებთ... ჩვენში ყოველნი სახარებანი პირველთაგან წმიდად თარგმნილ არს და კეთილად, ხანმეტნიცა, და საბა-წმიდურნიცა მუნით დაწერეთ და ღვთისათვის ერთამანეთსა და ნუ გაჰრევთ".

საქართველოში და უცხოეთში არსებულმა ქართულმა ეკლესია-მონასტრებმა ისტორიულ-კულტურულ ფასეულობათა არაერთი ბრწყინვალე განძი შემოგვინახა. საქართველოს სამეფო კარი ნივთიერ დახმარებას უწევდა საგანმანთლებლო ცენტრებს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი მეფე დავითის დამსახურებად თვლიდა კულტურული კერებისადმი დახმარებას: „აღავსო ზღუა და ხმელი ქუელის საქმემან მისმან, რამეთუ ლავრანი და საკრებულონი და მონასტერნი არა თვისთა ოდენ სამეფოთა... არამედ საბერძნეთიცა, მთაწმინდისა და ბორღალეთისანი, მერმეცა ასურეთისა და კვიპრისა, შავისა მთისა, პალესტინისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და მყოფნი იერუსალიმისანი თვითოფერთა მიერ შესაწირავთა განამდიდნრა. კუალად უშორესცა ამითსა: რამეთუ მთასა სინასა, სადა იხილეს ღმერთი მოსე და ელია, აღაშენა მონასტერი, და წარსცა ოქრო მრავალათასეული, და მოსაკიდელნი ოქსინონი, და წიგნები საეკლესიო სრულებით, და სამსახურებელი სიწმინდეთა ოქროსა რჩეულისა".

იმავე ავტორის გადმოცემით, დავით აღმაშენებელს მონასტრები და ლავრები ბეგარისაგან გაუთავისუფლებია: „ხოლო განთავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრნი მოსაკარგეთა მა-

ჭირვებელთაგან, არამედ ხუცესნიცა სამეფოსა შინა მისსა ყოვლისა ჭირისა და ბეგრისაგან, რათა თავისუფალთა საღმრთო მსახურება მიუპყრან ღმერთსა“.

საეკლესიო ცენტრებში განძეულობა თავს იყრიდა შეწირულობის გზით. ეკლესია-მონასტრები ეროვნული ნივთიერი ფასეულობების უმდიდრეს საცავად იქცა. ამას ადასტურებს სვანეთის სიძველეების მაგალითიც. აქ დაცული კულტურული მემკვიდრეობით უცხოეთის ცნობილი მუზეუმებიც იამაყებდნენ.

ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეები და განძი არაერთხელ გაუძარცვავთ დამპყრობლებს და ქვეყნის ყაჩაღებს. ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, შაჰ-ისმაილს თბილისში შემოჭრისას გაუძარცვავს ეკლესიები და სამეფო ხაზინა. შაჰ-ისმაილის მიერ გაძარცვული სიონის ხატი შემთხვევით ნავთლუღის ჭალაში უნახავს კახეთის მეფე ლევანს (1529-1575), რომელსაც კვლავ შეუმკია და დაუბრუნებია სიონისათვის.

ეკლესია-მონასტრებისათვის ძვირფასი ნივთების შეწირვას ზოგიერთნი პირადი პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლადაც აკეთებდა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, შაჰ-აბასს მრავალგზის ეკლესიისათვის შეუწირავს „ხრმალი ოქროთ მოოჭვილი, აწცა ძეს მუნ, არა თუ სარწმუნოებით, არამედ სცნან რამეთუ ხრმალი მისი ჰკიდავს მუნ“.

ეკლესია-მონასტრები, გარდა კერძო შემოწირულობებისა, ინახავდნენ რელიკვიებს, რომლებიც დაკავშირებული იყო წმინდანთა ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან. ხალხში გავრცელებული იყო თქმულება უფლის კვართის შესახებ, რომელიც მცხეთაში ყოფილა დაცული, წმინდა ნინოს საფლავის შესახებ ბოდბის მონასტერში, სიმონ კანანელის საფლავის შესახებ ანაკოფიაში და სხვ.

ჯუანშერის (XI ს.) ცნობით, ერეკლე კეისარს (VII ს.) ქართლში ლაშქრობის შემდეგ მანგლისის და ერუშეთის ტაძრებიდან წაუღია ბიზანტიელი მეფის კონსატანტინეს მიერ მირიან მეფისათვის (IV ს.) ბოძებული ქრისტეს ჯვარის ნაწილი და ლურსმნები („მაშინ ერეკლე მეფემან წარიხუნა მანგლისით და ერუშეთით ფერხთა ფიცარნი და სამსჭვალნი უფლისი ჩუენისა იესოს ქრისტესნი, რომელნი მოცემულ იყვნეს კონსტანტინესგან მირიანისდა“).

ჯუანშერისვე ცნობით, ვახტანგ გორგასლის დროშა, სამოსელი და შეჭურვილობა პატივისცემის საგანს წარმოადგენდა და თითქმის ექვსი საუკუნის განმავლობაში ინახებოდა.

სპარსელი მემატიანის შერიფ-ედ-დინის ცნობით, საქართველოს მეფეს ბაგრატ V-ს, რომელიც თემურ-ლენგს ჩაუვარდა ტყვედ, თითქოს თემურ-ლენგისათვის უბოძებია ძვირფასი საჩუქრები და, მათ შორის, ერთი ჯაჭვის პერანგი, რომელიც დავით ებრაელთა მეფის სახელოსნოში ყოფილა დამზადებული.

XIII-XVIII საუკუნეების წერილობითი წყაროები შეიცავენ ცნობებს სამეფო სალაროებში დაცული კოლექციების – ვახტანგ VI-ის სალაროში („ბატონის სალარო“ – სულხან-საბა ორბელიანი) შემონახული იშვიათობათა – ორგანული წარმოშობის გაქვავებული და სხვა საგნების შესახებ.

ერეკლე II-ის სალაროში დაცული არქეოლოგიური კოლექციების – ადამიანის ნაშთების, სამარხეული ინვენტარისა და სხვ. ნივთების შესახებ ცნობები დაცული აქვს თეიმურაზ ბაგრატიონს. აღნიშნული ცნობით, ერეკლე მეორის სასახლეში, „სალაროსა შინა“ მოწყობილი ყოფილა მუზეუმის მსგავსი „დაწესებულება“, რომლის კოლექციებსაც წარმოადგენდა ძველი მონეტები და საჭურველი. სამწუხაროდ, 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის მიერ თბილისის აოხრების შედეგად სამუზეუმო ექსპონატებიც განადგურდა.

სიძველეები ინახებოდა, აგრეთვე, თავად-აზნაურთა ოჯახებში.

XVIII საუკუნის ბოლოს ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ-კულტურული რეფორმების პროექტში (ავტორი იოანე ბატონიშვილი) სხვა დაწესებულებეთან ერთად, გათვალისწინებული იყო არქივისა და ბიბლიოთეკის დაარსება.

იოანე ბატონიშვილი 1799 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სჯულდება“ წერდა, რომ აუცილებელი იყო „ბიბლიოტიკას სახლის“ დაარსება, სადაც „ყოველი საერო და საეკლესიო წიგნი შეინახებოდა, ასევე „სახეები და მაგალითები მხატვრობებისა, შენებულებათა და სხვათა ხელოვნებათა და ვისაც ენებოს, მოვიდოდნენ და თავისის ხარჯით იქ გარდიწერდნენ სახეთა, რომ გარე გატანით წიგნი არ დაიკარგოს“.

ამგვარად, იოანე ბატონიშვილი ბიბლიოთეკასა და მუზეუმს საერთო სტრუქტურად მოიაზრებდა და მსგავსი დაწესებულების აუცილებლობა ქართველი დიდებულების წრეში, მიუხედავად მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობისა, მაინც დადგა (თ. ბაბუაძე, „მუზეუმი“, დეკემბერი, 2012).

რუსეთის იმპერიის მიერ ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმე-

ბამ და საქართველოს ოკუპაციამ ხელი შეუშალა ამ პროექტის განხორციელებას.

2.2. სამუზეუმო ქსელის განვითარება 1800-1921 წლებში

XIX საუკუნეში საქართველოში გაცხოველდა კერძო კოლექციონერების საქმიანობა, განსაკუთრებით უცხოელებისა, რომლებიც იძენდნენ სამუზეუმო მნიშველობის საგნებს და გაჰქონდათ საქართველოს ფარგლებს გარეთ. მასალები იგზავნებოდა რუსეთის სამეცნიერო აკადემიაშიც. 40-იან წლებში დავით დადიანს (სამეგრელოს მთავარი 1846-1853 წწ., გენერალ მაიორი) თავის მამულში, ზუგდიდში, სიძველეთა დიდი კოლექცია ჰქონდა. დავით დადიანი მწიგნობრობის დიდი მოყვარული იყო. შეაგროვა ქართულ ხელნაწერ წიგნთა მდიდარი კოლექცია, რომელიც შემდეგ მისმა შვილმა ნიკო დადიანმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა. (მოგვიანებით, 1921 წ. სამეგრელოს ყოფილ მთავართა სასახლეებში დაცული არქივებისა და ნივთების ბაზაზე დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმი გაიხსნა).

ზუგდიდი. დადიანების სასახლე

საქართველოში ნამდვილი სამუზეუმო საქმის ისტორიის დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ 1852 წელი, როდესაც თბილისში დაარსდა **რუსეთის გეოგრაფიის საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი.**

კავკასიის მუზეუმი XIX საუკუნეში

კავკასიის მუზეუმი, როგორც კომპლექსური სამხარეთმცოდნეო დაწესებულება, დაარსდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებასთან (რგსკგ) მწერალ ვლადიმერ სოლოგუბის ინიციატივით. მის შექმნაში მონაწილეობდნენ რუსი და ქართველი მოღვაწეები (ადოლფ ბერჟე, ი. ბართოლომეი, ნიკოლოზ ხანიკოვი, ალექსანდრე ნიკოლაი, გრიგოლ ორბელიანი, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, რაფიელ ერისთავი და სხვა).

1853 წლის დამდეგს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ აირჩია კავკასიის მუზეუმის დირექცია (დირექციის თავმჯდომარე ა. ნიკოლაი, ერთ-ერთი დირექტორი ვ. სოლოგუბი, ზედამხედველი ა. ბერჟე).

კავკასიის მუზეუმს ჰქონდა 3 კაბინეტი: ეთნოგრაფიული, ისტორიული და საბუნებისმეტყველო. ეთნოგრაფიული კაბინეტის მოწყობაში დიდი წვლილი შეიტანა რაფიელ ერისთავმა (მოაწესრიგა ეთნოგრაფიული მასალა, დაიწყო ეთნოგრაფიული კატალოგის შედგენა).

ეთნოგრაფიის განყოფილება. კავკასიის მუზეუმი

კავკასიის მუზეუმისთვის გამოყოფილი სახსრების სიმცირის გამო სამუზეუმო კოლექცია უმთავრესად ივსებოდა შეწირულებათა გზით. არსებობის პირველ წელს კავკასიის მუზეუმს ჰქონდა მცირე კოლექცია (105 საგანი — ტანსაცმელი, ავეჯი, იარაღი, ჭურჭელი, სამკაული, მუსიკალური საკრავები, ძველი ფულები, მემორიალური ნივთები, ეგვიპტის მუმია, მინერალები და სხვა). მუზეუმი, გარდა შემგროვებლობითი საქმიანობისა, აქტიურ კვლევით სამუშაოებსაც ატარებდა, შეძენილ ექსპონატებს მეცნიერები სწავლობდნენ.

1855 წლის სექტემბერში გაიხსნა პირველი გამოფენა. 1856 წელს საბუნებისმეტყველო კაბინეტის კონსერვატორად (მცველად) მოიწვიეს ფრიდრიხ ბაიერნი. პარალელურად იგი დაინტერესდა არარატის მთასთან აღმოჩენილი ურარტული ლურსმული წარწერებით და საქართველოს არქეოლოგიური ძეგლებით. მისი ხელმძღვანელობით მასალების შესაკრებად ეწყობოდა ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა მხარეში. ბაიერნის ხელმძღვანელობით მოწყობილი არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული განძეულობით მსოფლიო მეცნიერება პირველად გაეცნო საქართველოს ისტორიულ-კულტურულ სიძველეებს.

ფრიდრიხ ბაიერნის ექსპედიციის შედეგადაც მუზეუმის ფონდებს 28600 ექსპონატი შეემატა (მუზეუმის სივიწროვის გამო ბაი-

ერნის კოლექციების დიდი ნაწილი ინახებოდა მის ბინაზე). ამ კოლექციების ბაზაზე, ფ. ბაიერნმა თბილისში **საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმი** გახსნა, რომელსაც შემდეგ „ნატურალისტ ბაიერნის კაბინეტად“ მოიხსენიებდნენ.

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებაში სამუზეუმო საქმის საკითხში იმხანად ერთმანეთს უპირისპირდებოდა ორი თვალსაზრისი, ერთნი თვლიდნენ, რომ საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარებისათვის ყველა პირობა არსებობდა (ამ თვალსაზრისს იცავდა რ. ერისთავი), სხვები მიიჩნევდნენ, რომ კავკასიის მუზეუმი უნდა დახმარებოდა დასავლეთის მეცნიერებს კავკასიის გაცნობაში და ექსპონატებით შეევსო ევროპის მუზეუმების ფონდები. თანდათან გაიმარჯვა მეორე თვალსაზრისმა (მისი მთავარი გამომხატველი იყო ბარტოლომეი, რომელიც სოლოგუბის წასვლის შემდეგ, 1855 წლიდან, კავკასიის მუზეუმის დირექტორად დაინიშნა).

კავკასიის მუზეუმის დირექცია ჯეროვანი ყურადღებით აღარ ეკიდებოდა ახალი ექსპონატების შეძენას. მაგალითად, 1857 წელს მან უარი თქვა შეეძინა მიხეილ ბარათაშვილის ნუმიზმატიკური კოლექცია, რომელიც შემდეგ ბერლინის მუზეუმში აღმოჩნდა. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილებამ გააუქმა კავკასიის მუზეუმის დირექცია და, არსებითად, მუზეუმის ხელმძღვანელობა ი. ბართოლომეის დაეკისრა. 1864 წელს კავკასიის მუზეუმი დაიხურა.

გოლოვინის პროსპექტი. კავკასიის მუზეუმი. არქიტექტორი ა. ზალცმანი. 1870 წ. დ. ერმაკოვის ფოტო.

კავკასიის მუზეუმი აღდგენილ იქნა 1865 წელს გუსტავ რადეს ინიციატივით. მუზეუმს გადაეცა ადრინდელი კავკასიის მუზეუმის კოლექციები (173 ისტორიულ-ეთნოგრაფიული და 3 ათასამდე გეოლოგიური და მინერალოგიური ექსპონატი). ამას შეემატა რადეს მიერ 1864-1866 წლებში მოგზაურობათა დროს მოპოვებული ექსპონატები.

კავკასიის მუზეუმმა გაცხოველებული ურთიერთობა დაამყარა უცხოეთის მუზეუმებსა და სამეცნიერო დაწესებულებებთან.

1867 წლის 2 ივლისს კავკასიის მუზეუმი საზეიმოდ გაიხსნა. მუზეუმს ჰქონდა 4 განყოფილება: ეთნოგრაფიის, ზოოლოგიის, ბოტანიკისა და გეოლოგიის. შემდეგ დაემატა მეხუთე – „ორნამენტებისა და სიძველეთა“ (მოგვიანებით არქეოლოგიის) განყოფილება. 1865-1867 წლებში შენაძენთა შორის აღსანიშნავია პასტორ ჰოჰენაკერის კავკასიის მცენარეთა დიდი ჰერბარიუმი, ბუნებისმეტყველ სტევების ქართული მუხების კოლექცია, მცხეთის მახლობლად ნაპოვნი თლილი ქვა რომის იმპერატორ ვესპასიანეს წარწერით. 1868 წელს მუზეუმს შეემატა ბაიერნის კოლექცია.

1869 წელს მუზეუმის დირექციას დაექვემდებარა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა. 1861 წელს გაიხსნა ახალი გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო საბუნებისმეტყველო და ეთნოგრაფიის ექსპონატები, ქართულ მასალასთან ერთად — კავკასიელ და სხვა მეზობელ ხალხთა მასალაც. გამოფენის გახსნა დაემთხვა თბილისში მოწვეულ მე-5 საერთაშორისო არქეოლოგიური კონგრესის გახსნას და კავკასიის მუზეუმს გადაეცა 1879 წელს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა; ხოლო 1889 წელს თბილისში მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის დახურვის შემდეგ — იქ გამოფენილი შინამრეწველობის საგნები. 80-იან წლებში მუზეუმმა შეიძინა ფოტოგრაფ დიმიტრი ერმაკოვის კოლექციის ნაწილი. რამდენჯერმე დაიბეჭდა კავკასიის მუზეუმის გზამკვლევი, გამოიცა კატალოგის „Museum Caucasicum“ 6 ტომი, პერიოდულად ქვეყნდებოდა მუზეუმის „მოამბე“.

XX საუკუნის დამდეგის არქეოლოგიურ შენაძენთა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე. წ. ახალგორის განძი და ურარტული ლურსმულ-წარწერებიანი ქვების დიდი კოლექცია. 1911 წელს კავკასიის მუზეუმი დაიხურა შენობის ავარიულობის მიზეზით და იქვე დაიწყო ახალი შენობის აგება, მაგრამ იმპერიაში შექ-

მნილი დაძაბული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების გამო მშენებლობა შეჩერდა.

1919 წლის აგვისტოში დაარსდა ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმი, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო კავკასიის მუზეუმის ფონდები და ქონება.

XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში შეიქმნა ახალი მუზეუმები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ პროფილით. ბუნებისმეტყველების მუზეუმს შეემატა სამხედრო, ისტორიული, მრეწველობის, განათლების და სხვა პროფილის მუზეუმები.

1855 წელს თბილისში დაფუძნდა **სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მუზეუმი.**

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კავკასიაში კატასტროფულად შემცირებულმა აბრეშუმის მოსავალმა რუსეთის იმპერია აიძულა ეძებნა მისი აღდგენის გზები. დასახულ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელების გვირგვინი თბილისში კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის დაარსების გადაწყვეტილება იყო.

კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური თბილისში დაარსდა 1887 წელს. მეაბრეშუმეობის სადგურის ძირითადი ამოცანა იყო მოსახლეობის აბრეშუმის ჯანსაღი თესლით უზრუნველყოფა და აბრეშუმის მოვლის გაუმჯობესებული საშუალებების გავრცელება. სადგურს სათავეში ჩაუდგა იმჟამად საქართველოში მოღვაწე რუსი სწავლული, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საიმპერატორო საზოგადოების კომიტეტის წევრი ნიკოლაი შავროვი. ახალგაზრდა მეცნიერი 1881 წელს სრულიად რუსეთის სამხატვრო-სამრეწველო გამოფენის მზადებასთან დაკავშირებით მოვლინებულ იქნა ამიერკავკასიაში მეაბრეშუმეობის შესასწავლად და განსავითარებლად. 1884 წ. ნ. შავროვი საზღვარგარეთ მიავლინეს უცხოეთის გამოცდილების გაცნობის მიზნით.

1886 წ. მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ, ნ. შავროვმა რუსეთის იმპერიის მინისტრს წარუდგინა თბილისში კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის მოწყობის პროექტი. ნ. შავროვის მიერ ევროპაში მივლინების განმავლობაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ისევე, როგორც მის მიერ ჩამოტანილი მნიშვნელოვანი კოლექციები, დაედო საფუძვლად **აბრეშუმის მუზეუმისა** და ბიბლიოთეკის დაარსებას.

მეაბრეშუმეობის სადგური

ნ. შავროვის მიერ ევროპელ კოლეგებთან დამყარებული კავშირებით და მათგან უხვად გაცემული შემოწირულობებით მუზეუმმა თავიდანვე საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. პირველი და შემდგომ შემომატებული შემოწირულობებით კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის მუზეუმი 61 ქვეყნის მეაბრეშუმეობის უნიკალური კოლექციების საცავად იქცა. ის ყოველთვის ლიონის (საფრანგეთი) აბრეშუმის მუზეუმის გვერდით მოიხსენიებოდა, როგორც მეორე მუზეუმი.

ამ მუზეუმის გახსნა საქართველოში აბრეშუმის კულტურის განვითარების მრავალათასწლოვანი ისტორიის ერთგვარ გაცოცხლებას წარმოადგენდა.

1892 წელს მეაბრეშუმეობის სადგურის ნაგებობათა კომპლექსი (არქიტექტორი ა. შიმკევიჩი) აშენდა მუშტაიდის ბაღის ბოლოში. მთავარი შენობის (ამჟამად გ. ცაბაძის ქ. N 6) მეორე სართულზე განთავსებული იყო მუზეუმი, ბიბლიოთეკა და სააქტო დარბაზი.

რთული და წინააღმდეგობრივი იყო მუზეუმის მიერ განვლილი გზა გასულ საუკუნეში. არაერთხელ შეიცვალა მუზეუმის სტატუსი. იგი გაუქმების საფრთხის წინაშეც იდგა.

აბრეშუმის მუზეუმი. თბილისი

1930 წ. მეაბრეშუმეობის სადგურს, რომლის შემადგენლობაშიც იყო მუზეუმი და ბიბლიოთეკა, ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და აბრეშუმის წარმოების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, 1935 წლიდან თბილისის, 1954 წლიდან კი საქართველოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი დაერქვა. 1969 წლამდე მას ხელმძღვანელობდა ვ. მიხინა. 1970-იანი წლებიდან მუზეუმის ისტორიის მძიმე პერიოდი იწყება: 1975 წელს ინსტიტუტმა დატოვა მუზეუმის შენობა, რომელიც 1981 წ. დინამოს სტადიონს გადაეცა. 1986-1988 წწ. მუზეუმის მეურვე მეაბრეშუმეობის სამმართველო გახდა. 1996 წ. შენობა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლად გამოცხადდა. 1998-2005 წ. მუზეუმი და ბიბლიოთეკა სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების მეაბრეშუმეობის საკოორდინაციო ცენტრის „აბრეშუმის სახლის“ დაქვემდებარებაში იყო.

2006 წელს, პირველად თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, მუზეუმი გახდა დამოუკიდებელი ორგანიზაცია. ამიერიდან მუზეუმს მეტი შესაძლებლობა მიეცა დამოუკიდებლად გაეტარებინა სამუზეუმო პროექტები.

აბრეშუმის მუზეუმი. თბილისი

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მუზეუმის ხელმძღვანელობისა და აქ დასაქმებული პერსონალის წვლილი მუზეუმის სტატუსის შენარჩუნებასა და განვითარებაში. აბრეშუმის მუზეუმი ერთადერთი სამუზეუმო დაწესეულებაა საქართველოში, რომელმაც შემოგვინახა აბრეშუმის კულტურის განვითარების ისტორია.

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს ჩამოყალიბდა **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება**. მასთან არის დაკავშირებული ახალი ტიპის ეროვნული მუზეუმის დაარსება.

მართალია, კავკასიის მუზეუმი ამ დროისათვის ჩამოყალიბდა ტიპიურ სამუზეუმო დაწესებულებად და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა სიძველეთა მოძიების, შენახვისა და დაცვის საქმეში, მაგრამ მასში დასაქმებული უცხოელი სპეციალისტების გამო, ქართველი საზოგადოებისათვის გაძნელებული იყო მუზეუმთან თანამშრომლობა. კავკასიის მუზეუმი ქართველი საზოგადოებისაგან დამოუკიდებელ დაწესებულებად იქცა.

XIX საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში ქართველი საზოგა-

დოების მოწინავე ნაწილი შეუდგა ეროვნული მუზეუმის ჩამოყალიბების სამზადისს. ქართულ პრესაში („დროება“) არა ერთი წერილი გამოქვეყნდა, რომლის ავტორები (ს. მესხი და სხვ.) ხაზგასმით მიუთითებდნენ ეროვნული მუზეუმის დაფუძნების აუცილებლობაზე.

ქართული მუზეუმის შექმნის პრობლემებზე მუშაობა დაიწყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ. ამისათვის შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი. პირველ ხანებში სამუზეუმო ნივთები თავს იყრიდა საზოგადოების კანცელარიასთან არსებულ სამწიგნობროში (ბიბლიოთეკა). სიძველეებს უსასყიდლოდ სწირავდნენ ბიბლიოთეკას ქართველი მამულიშვილები. ნიკო დადიანმა თავისი მდიდარი ბიბლიოთეკა საზოგადოებას უსახსოვრა.

წერა-კითხვის საზოგადოების მესვეურების მიერ პრესაში („ივერია“, „დროება“) დაბეჭდილ მოწოდებას ისტორიული მნიშვნელობის მქონე ნივთების მუზეუმისათვის საჩუქრად გადაცემის შესახებ, გამოეხმაურა მოსახლეობის ყველა ფენა. სამუზეუმო ნივთებს სწირავდნენ უბრალო მოქალაქეები. შემოწირულ ნივთებს შორის იყო თამარ მეფის დროინდელი მონეტები, ერეკლე მეფის თოფი, იშვიათი ხელნაწერები, წიგნები და სხვ.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმმა საჩუქრად მიიღო პლატონ იოსელიანის ბიბლიოთეკა ხელნაწერებთან ერთად.

საქართველოში სამუზეუმო ქსელის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ქართული ფოტოგრაფიის ფუძემდებელს **ალ. როინაშვილს.** მან წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმს უანდერძა არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური კოლექცია. ალ. როინაშვილი იყო ეროვნული სიძველეების შემგროვებელი და დიდი პოპულიზატორი. ცნობილ ფოტოხელოვანს განზრახული ჰქონია კერძო არქეოლოგიური მუზეუმის შექმნა. მნიშვნელოვანი სამუშაოებიც ჩაუტარებია ამ მიზნით. თანამედროვენი მის კერძო კოლექციას **„მცირე კავკასიის მუზეუმს“** უწოდებდნენ. ეროვნული სიმდიდრის პოპულარიზაციის მიზნით ხშირად აწყობდა მოძრავ გამოფენებს, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. 1875 წელს მან მოაწყო ექსპოზიცია ასტრახანსა და სამარაში, 1885 წელს – დაღესტანში, ქალაქ თეთრ-ხანშურში, 1887 წელს – მოსკოვსა და პეტერბურგში.

ალ. როინიშვილს ღვაწლს დამსახურებული პატივი მიაგო მა-

შინდელმა ქართულმა პრესამ. ილია ჭავჭავაძემ ხაზგასმით აღნიშნა ალ. როინაშვილის მამულიშვილობისა და ქველმოქმედების შესახებ. ალ როინაშვილის გარდაცვალების გამო გამოსათხოვარ წერილში ილია წერდა: „ჩვენ ქართველებს მაგალითი გვიჩვენა იმისი, თუ რის შემძლებელია ცალკე კაცი, თუ იმხნევებს და გაირჯება... რაც ჰქონდა თავისის ქვეყნის საკურთხეველზე დასდვა შესაწირად“. წერა-კითხვის საზოგადოებამ დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ძეგლი დაუდგა წარწერით: „სამაგალითო ქველმოქმედს და თავის ქვეყნისათვის სიყვარულით სავსეს, ალექსანდრე როინაშვილს“.

პირველსავე წლებში, გაზეთ „ივერიის“ ცნობით, ბევრი სამუზეუმო მასალა შემოსულა. საზოგადოების გადაწყვეტილებით 1885 წელს წიგნთსაცავთან საფუძველი ჩაეყარა მუზეუმს. ამიერიდან ორივე განყოფულება მოიხსენიებოდა **წიგნსაცავ-მუზეუმად**.

მუზეუმში დიდი რაოდენობით თავი მოიყარა ნუმიზმატიკურმა განძმა. 1887 წელს დაისვა საკითხი მუზეუმში გახსნილიყო ნუმიზმატიკური კაბინეტი.

მოგვიანებით საზოგადოებამ შეიძინა ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძის ბიბლიოთეკა.

მუზეუმში შემოსულ ექსპონატებზე ცნობები ფართოდ შუქდებოდა საზოგადოების ანგარიშებში და ქართულ პრესაში. საზოგადოების გამგეობა პრესის საშუალებით მადლობას უხდიდა შემომწირველთ.

მუზეუმმა იმთავითვე დაიწყო ნამდვილი სამუზეუმო საქმიანობა. აქ დასაქმებული ადამიანები მნიშვნელოვან სამუშაოს ასრულებდნენ შემოსული ნივთების შესწავლისა და მოწესრიგებისათვის. დ. კარიჭაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა და დაიბეჭდა საზოგადოების წიგნთსაცავ-მუზეუმის კატალოგი.

წიგნთსაცავ-მუზეუმის ფონდები დღითიდღე ივსებოდა ახალი ექსპოზიციებით. ფონდების ზრდის გამო გაჩნდა ფართის სიმწირის პრობლემა. წერა-კითხვის საზოგადოება იძულებული იყო საფონდო და საექსპოზიციო არასაკმარისი ფართის გამო ექსპონატების ნაწილი შესანახად გადაეცა სხვადასხვა ორგანიზაციისა და კერძო პირებისათვის. დიდი ზომის მხატვრული სურათები ინახებოდა ალ. როინაშვილის ბინაზე. ძველი ხელნაწერები და არქეოლოგიური ექსპონატების ნაწილი განთავსდა სარაჯიშვილის სარდაფებში და არწრუნის ქარვასლაში. ექსპონატების ძირითადი ნაწილი განთავსდა სათავა-

დაზნაურო გიმნაზიის (ამჟამად ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შენობის მეორე სართულზე. ამავე შენობაშივე იყო მოთავსებული ილია ჭავჭავაძის კაბინეტი. ნუმიზმატიკური ფონდი განთავსდა საადგილმამულო ბანკის სეიფებში.

სამუზეუმო ექსპონატების სხვადასხვა ადგილზე გადატანას თან ახლდა პრობლემები. გართულდა ნივთების დაცვა. ამის გამო დაიკარგა რამდენიმე ძვირფასი ნივთი.

საინტერესოა, რომ მუზეუმი არ იყო საცავი. მისი დათვალიერება შესაძლებელი იყო დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (10 საათიდან 15 საათამდე).

სამუზეუმო ქონების დაცვის უსაფრთხოებისა და საზოგადოების დიდი ინტერესის გამო წერა-კითხვის საზოგადოებამ არაერთხელ დასვა საკითხი მუზეუმისათვის შესაფერისი შენობის აგების გამო.

ილია ჭავჭავაძე 1885 წელს საჭიროდ თვლიდა ნიკო ბერძენიშვილის სახლის შეძენას მუზეუმისათვის. 1889 წელს იაკობ გოგებაშვილმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სხდომაზე დასვა საკითხი ლორის-მელიქოვის ქუჩაზე, სათავადაზნაურო ბანკის სიახლოვეს აშენებინათ შენობა მუზეუმისათვის. ამისათვის დაიწყო ხელმოწერების შეგროვება შემოწირულობების შესაგროვებლად. მუზეუმის შენობის მხარდამჭერთა შორის იყვნენ ოდესელი ქართველი სტუდენტები. მათი დავალებით ცნობილ არქიტექტორს პ. შტეგს შეუდგენია ორსართულიანი, ლამაზი შენობის პროექტი, მაგრამ მისი განხორციელება მაშინ შეუძლებელი დარჩა.

ცნობილი ქართველი მრეწველი და მეცენატი დავით სარაჯიშვილი მზადყოფნას აცხადებდა, მიწის ნაკვეთის გამოყოფის შემთხვევაში დაეფინანსებინა მუზეუმის შენობის მშენებლობა. 1911 წელს გარდაიცვალა დავით სარაჯიშვილი. მან საზოგადოებას უანდერძა მუზეუმის შენობისათვის 100 ათასი მანეთი, ხოლო მისმა მეუღლემ – 600 ათასი მანეთი. მიუხედავად ამისა, მუზეუმის მშენებლობის დაწყება სხვადასხვა მიზეზით გადაიდო. პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული კრიზისის გამო წერტილი დაესვა ამ კეთილშობილურ მისიას.

შექმნილი ვითარების გამო დღის წესრიგში დადგა საკითხი წერა-კითხვის საზოგადოების მუზეუმის და საისტორიო საზოგადოების მუზეუმის ბაზაზე დაფუძნებულიყო „ქართული მუზეუმი“ (შენობის პრობლემის აქტუალურობის გამო განიხილებოდა სხვა ვარიანტიც. მაგალითად, წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთსა-

ცავ-მუზეუმი გადაცემოდა საქართველოს საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას. ამ იდეას დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა). საზოგადოებაში მიაჩნდათ, რომ ორის ნაცვლად ერთი მუზეუმის შენობის მოგვარება უფრო პრაქტიკული იქნებოდა.

შენობის გამო შექმნილი სიძნელეების მიუხედავად, შემოწირულობათა შეგროვება არ შეფერხებულა. პირიქით, სამუზეუმო ფონდებს ემატებოდა ახალი კოლექციები. 1914 წელს საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით წიგნთსაცავს გამოეყო მუზეუმი და განთავსდა ცალკე დარბაზში. მუზეუმს შეემატა იაკობ გოგებაშვილის, პეტრე მელიქიშვილის, მარი ბროსეს, ალექსანდრე მაჩაბლის, მოსე თოიძის და მრავალი სხვა ქველმოქმედის შემოწირულობანი.

საზოგადოების მუზეუმის პოპულარობა გასცდა საქართველოს ფარგლებს და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. ამას მოწმობს მუზეუმის მონაწილეობა ლაიფციგის საერთაშორისო გამოფენაზე, სადაც წარდგენილ იქნა სურათები, ხელნაწერები და მინიატურები.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, კერძოდ, 1915 წლიდან მუზეუმის მიმართ საზოგადოების ყურადღება შესუსტდა. შეწყდა ექსპონატების მიღება. მუზეუმი დაკავებული იყო ნივთების დაცვა-შენახვით. 1925 წელს საზოგადოების მუზეუმი გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

1888 წელს თბილისში გაიხსნა **სამხედრო-ისტორიული მუზეუმი.** ამ ტიპის სამუზეუმო დაწესებულების გახსნის იდეა ეკუთვნოდა კავკასიის მთავარმართებელს დონდუკოვ-კორსაკოვს, რომლის თხოვნა რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ დააკმაყოფილა. მუზეუმის შენობის ასაგებად ადგილი გამოიყო ალექსანდრეს ბაღში (ამჟამად თბილისის სამხატვრო გალერეაა განთავსებული). მუზეუმის შენობას გარს ერტყა რკინის ღობე. მუზეუმის ეზოში ღობის გასწვრივ განლაგებული იყო ის საომარი შეიარაღება, რომელიც მოწინააღმდეგის დამარცხების დროს რუსეთის არმიას ჩაუვარდა ხელში. მუზეუმში შესასვლელი კარის ორივე მხარეს კედლის ფასადზე დამაგრებული იყო 12 დიდი ზომის ლითონის დაფა, რომლებზედაც მოოქროვილი ასოებით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღნიშნული იყო კავკასიის დაპყრობის თარიღები. მუზეუმის შესასვლელში განთავსებული იყო რუსეთის იმპერატორების და ქართველი მეფეების (ერეკლე II-სა და გიორგი XII-ის) სურათები.

სამხედრო-ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციაში ასევე დიდი

ადგილი ეკავა ბატალური სცენების ამსახველ სურათებს. მხატვრული ტილოები შესრულებული იყო ცნობილი მხატვრების: რუბო, აივაზოვსკი, კოლჩინი, ზანკოვსკი, სამოშკინი და სხვ. მუზეუმში გამოფენილი იყო თითქმის ყველა გამოჩენილი პიროვნების, სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეებისფოტო ან მხატვრული პორტრეტი, ვინც კი დაკავშირებული იყო კავკასიაში განხორციელებულ სამხედრო ოპერაციებთან.

ნივთიერი მასალებიდან მუზეუმში ექსპონირებული იყო ლენქორანის (1812 წ.), განჯის (1825 წ.), ერევნის (1827 წ.), თავრიზის (1827 წ.), აბას-აბადის (1827 წ.), არდებილის (1828 წ.) და სხვ. ადგილების აღებისას სპარსელებისათვის წართმეული დროშები, ამავე ქალაქების გასაღებები, პასკევიჩის და ვარშავსკის სამელნე და ჭოგრიტი, მედლებისა და ჯვრების კოლექციები, გამოჩენილ მეომართა ამსახველი ალბომები, სურათები, წიგნები. კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი დაიხურა 1917 წელს.

სამუზეუმო ქსელის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ.** ცნობილი ქართველი ერისკაცები ილია ჭავჭავაძე, დავით კარიჭაშვილი, ალ. ხახანაშვილი და სხვ. ქართული პრესით საზოგადოებისაგან ითხოვდნენ მხარდაჭერას, დაარსებულიყო საისტორიო მუზეუმი, როგორც ალ. ხახანაშვილი უწოდებდა, „საერო სახლი“, რომელიც იმავდროულად იქნებოდა „პატარა უნივერსიტეტი“ და სამეცნიერო აკადემია. ე.ი. იდგა საკითხი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულების შექმნის შესახებ.

1912 წელს დაარსდა **საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი,** რომელიც განთავსდა სადეპუტატო საკრებულოსთან დაარსებულ საადგილმამულო კომისიის ოთახის ერთერთ კუთხეში (სამუზეუმო ნივთების შეგროვება კი დაიწყო გაცილებით ადრე). სამუზეუმო კომისიის და მისი ხელმძღვანელის ექ. თაყაიშვილის ინიციატივით მუზეუმმა ბინა დაიდო თბილისის სათავადაზნარო გიმნაზიის (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) შენობის პირველ კორპუსში (მეორე სარდულის დარბაზი). მოგვიანებით, მუზეუმს ამავე შენობაში დამატებით გამოეყო ფართი მესამე სართულზე.

მუზეუმი დაკავებული იყო არა მხოლოდ ისტორიული ნივთების შეგროვებით, მასალების მოძიებისა და შეკრების მიზნით ტარდებოდა ექსპედიციები. საქართველოს თითქმის ყველა მხარეში მოეწყო მსგავსი ექსპედიცია. მასში მონაწილე სპეციალისტები

მეცნიერულად სწავლობდნენ მატერიალური კულტურის ძეგლებს, ასრულებდნენ ნახაზებს, გეგმებსა და ფრესკების ასლებს. მუზეუმი, აგრეთვე, ეწეოდა მნიშვნელოვან საგანმანთლებლო საქმიანობას. მიღწეულ შედეგებს საზოგადოებას ამცნობდნენ გამგეობის სხდომებზე, საჯარო ლექციებზე, გამოფენებზე და საზოგადოების გამოცემების საშუალებით.

განსაკუთრებით მდიდარი იყო მუზეუმის ნუმიზმატიკური ფონდი, რომელიც შედგებოდა სამი კოლექციისაგან: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის კირიონ მეორის კოლექცია (უმეტესად ევროპული და აზიური მონეტები), იაკობ მედვედიევისაგან შეძენილი კოლექცია (ძირითადად ქართული მონეტები), ექ. თაყაიშვილის კოლექცია. მუზეუმს მნიშვნელოვანი ნივთები შესწირეს და ფინანსური დახმარება გაუწიეს ცნობილმა ქართველმა მოღვაწეებმა (ი. გოგებაშვილი, კირიონ მეორე, ნიკო მარი, ალ. ცაგარელი და სხვ.) და მრეწველ-მეცენატებმა (პ. თუმანიშვილი, დ. სარაჯიშვილი, ა. ხოშტარია და სხვ.).

ექ. თაყაიშვილის, საქართველოს განძის დასაცავად უცხოეთში გამგზავრების გამო, 1922 წელს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებას სათავეში ჩაუდგა ივ. ჯავახიშვილი. ამ პერიოდში საზოგადოების მუზეუმის ფონდები შეივსო რუსეთიდან დაბრუნებული საქართველოს ისტორიული ნივთებით. 1927 წელს საზოგადოების მუზეუმმა შეწყვიტა არსებობა. სამუზეუმო ექსპონატები ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, შემდეგ საქართველოს მუზეუმის ფონდებში გადავიდა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმმა, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმთან ერთად, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა ეროვნული განძეულობის შეგროვება-დაცვის საქმეში. ეს მუზეუმები საქართველოს პირველი ეროვნული მუზეუმი იყო, რომლებიც, გარდა პროფესიული საქმიანობისა, ქართველი საზოგადოების ეროვნულ-კულტურული გათვითცნობიერებისათვის ზრუნავდნენ და უდიდეს ისტორიულ მისიას ასრულებდნენ ქართველი ერის წინაშე.

დასახელებული მუზეუმების გვერდით დიდია წვლილი **საეკლესიო მუზეუმისა,** რომელმაც იმთავითვე ქართულ ეკლესია-მონასტრებში დაცული ისტორიული ნივთების შეკრება და თავმოყრა იტვირთა.

მუზეუმის გახსნას წინ ქართველ საზოგადო მოღვაწეთა ხანგრძლივი ბრძოლა უძღოდა. 1886 წელს ცნობილი მეცნიერი და სა-

ზოგადო მოღვაწე დიმიტრი ბაქრაძე კავკასიის მთავარმართებელს, დონდუკოვ-კორსაკოვსა და საქართველოს ეგზარქოსს პავლეს სწერდა: „თქვენს ხელშია არა მარტო ბოლო მოეღოს ქართულ სიძველეთა ძარცვას და გადაარჩინოს რისი ხსნაც კიდევ შეიძლება, არამედ ისიც, რომ იგი ხელმისაწვდომი გახადოს მეცნიერებისათვის. ამის გამო, ვფიქრობ საჭიროა სასულიერო მმართველობასთან შეიქმნას განსაკუთრებული მუზეუმი, რომელსაც დაერქმევა – „საქართველოს საეგზარქოსოს საეკლესიო მუზეუმი“ (თ. ბაბუაძე, როგორ შეიქმნა მუზეუმი, ჟურნ. მუზუმი, დეკემბერი, 2012).

საეკლესიო მუზეუმს საძირკველი ჩაეყარა 1888 წლის 15 ივლისს, თბილისში, სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში, დ. ბაქრაძის დიდი ძალისხმევის შედეგად. მუზეუმი ოფიციალურად იწოდებოდა: საქართველოს საეგზარხოსოს ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ძმათა საეკლესიო ძველ ნაშთთა საცავი. სიძველეთსაცავის გამგედ დაინიშნა დ. ბაქრაძე.

საეკლესიო მუზეუმის გახსნამ ქართველი საზოგადოების კმაყოფილება გამოიწვია. ილია ჭავჭავაძე ამ ფაქტის გამო „ივერიაში“ გამოქვეყნებულ წერილში წერდა: „...სიონის ჩრდილოეთით, სიონისვე ეზოში დღეს წამოჭიმულია ლამაზი შენობა მუზეისათვის და წესდებაც საეკლესიო-საისტორიო მუზეისა უკვე დამტკიცებულია“.

1889 წელს ეგზარხოსის ბრძანებით დამტკიცდა მუზეუმის (სიძველეთსაცავის) წესდება, რომელიც დ. ბაქრაძის მიერ იყო შემუშავებული. მუზეუმის მართვისთვის შეიქმნა საეკლესიო-საარქეოლოგიო განყოფილების საბჭო, რომლის თავმჯდომარედ და მუზეუმის გამგედ დაინიშნა დ. ბაქრაძე. 1889 წელს დ. ბაქრაძე შეცვალა თ. ჟორდანიამ. 1898 წელს მუზეუმის გამგედ დაინიშნა მოსე ჯანაშვილი.

საეკლესიო მუზეუმი ფონდების შევსების მიზნით აწყობდა ექსპედიციებს. სპეციალისტებიმეცნიერულად ამუშავებდნენ მოძიებულ ექსპონატებს, განსაკუთრებული მნიშვნელობის ხელნაწერისა და ნივთის შესახებ კვლევის შედეგები ქვეყნდებოდა სამეცნიერო ჟურნალებში. მუზეუმი აქტიურად თანამშრომლობდა საისტორიო, საეთნოგრაფიო და სხვა საზოგადოებებთან.

საეკლესიო მუზეუმი ღია იყო დამთვალიერებლებისათვის კვირაში ორჯერ, ორშაბათს 15-17 საათებში, კვირას – 12-დან 14 საათამდე. 1898 წლიდან მუზეუმი კვირაში მუშაობდა სამჯერ. თავი-

დან მუზეუმში შესასვლელი ბილეთი ღირდა 20 კაპიკი, ხოლო შემდეგ მუზეუმის დათვალიერება უფასო გახდა.

საეკლესიო მუზეუმმა მცხეთის, დავით გარეჯის, გელათის, სამთავროსა და სოხუმის ეკლესიებში გამოვლენილი ხელნაწერები და სამუზეუმო ნივთები გადმოიტანა თბილისში. 1899 წელს ექ. თაყაიშვილის თაოსნობით მუზეუმში გადმოიტანეს თელავის სამეფო კარის ეკლესიის ისტორიულ-არქეოლოგიური ნივთები და მნიშვნელოვანი საბუთები. ეპისკოპოსმა კირიონმა ქვათახევის მონასტერში დაცული მთელი ხელნაწერებისა და წიგნების გადმოტანა შეძლო თბილისში. თედო ჟორდანიას ძალისხმევით მოხერხდა მუზეუმში ჯრუჭის მონასტრის ხელნაწერების დაბინავება.

მოძიებული ნივთების გარდა, მუზეუმის ფონდები მდიდრდებოდა შემოწირული საეკლესიო ქონებით. 1898 წელს ეპისკოპოსმა კირიონმა მუზეუმს შესწირა რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი და წიგნი, მათ შორის, ვახტანგ VI-ის სჯულის კანონი, XII საუკუნის ეტრატი – „ოთხთავი“, მაქსიმე აღმსარებლის 1028 წლის „კლემაქსი“, 1494 წელს ყვარყვარეს-ძე მზეჭაბუკის დაკვეთით შესრულებული „დავითნი“ და სხვ. ალ როინაშვილს მუზეუმისათვის გადაუცია რუსუდან მეფის დროს მოჭრილი მონეტა. იმდროინდელი პრესის ცნობით, ალ. როინაშვილს განზრახული ჰქონია საეკლესიო მუზეუმისათვის გადეცა მის მიერ მოგროვილი ყველა საეკლესიო-არქეოლოგიური ნივთი. უცნობია, ქველმოქედმა აღასრულა თუ არა ეს დანაპირები.

აკაკი წერეთელს მუზეუმისათვის გადაუცია ეტრატზე დაწერილი მინიატურული სახარება და წიგნები.

საეკლესიო მუზეუმში თავი მოიყარა უმნიშვნელოვანესი კულტურული და ისტორიული ღირებულების საგანძურმა. მათ შორის იყო ძვირფასი ჯვრები და ხატები, თამარ მეფისა და რუსუდან მეფის ეპოქის მონეტები, დავით III-ის ჯვარი, დავით კურაპალატის ვერცხლის ჯვარი, რუსეთის მეფის მიხეილ რომანოვის სამეფო ჯვარი. აქვე იყო დაცული სხვა იშვიათი საეკლესიო ნივთები.

მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოება მუზეუმის ექსპონატებს ეცნობოდა პერიოდული გამოცემის „საქართველოს ეგზარქატის მაცნეს“ და კატალოგების მეშვეობით. მუზეუმმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაშრომი გამოაქვეყნა: თ. ჟორდანიას, მ. ჯანაშვილის, კ. კეკელიძის, ექ. თაყაიშვილის, პ. ინგოროყვას და სხვ. ქრონიკები და გამოკვლევები. სამუზეუმო საბუთებისა და ხელნაწერ-

წიგნებზე დაყრდნობით მომზადდა: ქართული ბიბლიის ისტორია, ქართულ-რუსული ლექსიკონი, პალეოგრაფიული ცხრილები, მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოებისათვის გადაიწერა ურბნისის სახარება.

მუზეუმმა გამოსცა 20-მდე წიგნი. მათ შორის: აბო თბილელის ცხოვრება, ათონის ქართველთა მონასტრის კრებული, კათალიკოს არსენის თხზულება – ცხოვრება წმინდა ნინოსი (X ს.) და სხვ.

ფასდაუდებელია ის წვლილი, რაც საეკლესიო მუზეუმმა შეიტანა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მეცნიერული კვლევის საქმეში. ამ გამოკვლევებით ისტორიის არაერთ უცნობ ეპიზოდსა თუ მოვლენას მოეფინა ნათელი.

მწირი სახსრების მიუხედავად მუზეუმი ახერხებდა ექსპონატების შეძენას, თუმცა ექსპედიციების დაფინანსება ხშირად შეუძლებელი იყო.

მუზეუმი ატარებდა საეკლესიო ექსპონატების აღრიცხვასა და ინვენტარიზაციას. ყოველი აღწერისას სიძველეთსაცავში დაცული ნივთები შეესაბამებოდა საინვენტარო დავთრებში დაფიქსირებულ რაოდენობას.

მუზეუმს სიონის საკათედრო ტაძრის ეზოში ეკავა ორსართულიანი შენობა. მოგვიანებით ექსპონატების რაოდენობის სიმრავლის გამო აღნიშნული შენობა ვერ აკმაყოფილებდა მუზეუმის გაზრდილ მოთხოვნებს და დადგა ახალი შენობის აგების საკითხი. ვინაიდან ვერ მოხერხდა შენობის ასაგები თანხის შეგროვება, გადაწყდა მუზეუმი გადატანილიყო სასულიერო სემინარიის შენობაში. მუზეუმის გადატანის თემამ საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ერთ-ერთ მიზეზად მანძილის სიშორე სახელდებოდა. გაზეთი „ცნობის ფურცელი“ იუწყებოდა: „ადგილობრივ მთავრობას გადაუწყვეტია, რომ საეკლესიო მუზეუმი, რომელიც სიონის ტაძრის შენობაშია, გადაიტანოს ვერაზე და მოათავსოს სასულიერო სემინარიის ახალს შენობაში“. საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, გაზეთი რჩევას იძლეოდა: „დღეს მუზეუმი ადვილი მისადგომია. თუ მართლა იგი ვერაზე გადაიტანეს, მაშინ ვერ შეძლებენ იმ სიშორეზე სიარულსა“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1909 წლის 26 ნოემბერი).

მუზეუმი, გარდა ექსპოზიციების მოძიების, შენახვისა და მეცნიერული კვლევებისა, ფართო საგანმანთლებლო მუშაობას ეწეოდა. მუზეუმში დაცული ექსპონატები საზოგადოების დიდ ინტერესს იწვევდა და მის დასათვალიერებლად ჩამოდიოდნენ არა მხო-

ლოდ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებიდან, არამედ ამერიკის, ევროპისა და აზიის ქვეყნებიდან. თუ 1898 წელს მუზეუმი დაათვალიერა 18 ათასმა ადამიანმა, 1906 წლისათვის დამთვალიერებელთა რიცხვი 40 ათასამდე გაიზარდა. დამთვალიერებელთა შორის იყვნენ საიმპერატორო ოჯახისა და მთავრობის წევრები, სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები და მოხელეები, დიდი მთავრები, სასულიერო წოდების წარმომადგენლები და სხვ. მუზეუმმა მასპინძლობა გაუწია 1881 წელს თბილისში ჩატარებულ არქეოლოგთა მეხუთე საერთაშორისო ყრილობას, 1913 წელს კი – ბუნებისმკვლევართა და ექიმთა მე-13 ფორუმის დელეგატებს.

მუზეუმში დაცული ექსპონატები რუსეთის იმპერიისა და უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებების ინტერესს იწვევდა.

პირველი საგანმანთლებლო პროგრამებიც საეკლესიო მუზეუმში მომზადდა. საგამოფენო დარბაზებში თემატური ლექციები უტარდებოდათ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეებს. მუზეუმი საქველმოქმედო საქმიანობასაც ატარებდა. მუზეუმის ბიბლიოთეკით უფასოდ სარგებლობდა საზოგადოება, სასულიერო წიგნებით მარაგდებოდა თბილისის სასწავლებლები. მუზეუმმა წიგნები საჩუქრად გადასცა, აგრეთვე, პეტერბურგის ქართულ სამეცნიერო წრეს და ყარის ქალთა გიმნაზიას.

1921 წელს ქვეყნის ოკუპაციისა და საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ რადიკალურად შეიცვალა ეკლესიისადმი ახალი ხელისუფლების დამოკიდებულება. ფუნქციონირება შეწყვიტა საეკლესიო მუზეუმმა. სამუზეუმო ფონდები გადაეცა ჯერ განათლების სახალხო კომისარიატს, შემდეგ – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მუზეუმი მოთავსდა უნივერსიტეტის შენობის მესამე სართულზე. სამუზეუმო ფონდების აღრიცხვასა და გადაცემაში მონაწილეობდნენ მოსე ჯანაშვილი, კორნელი კეკელიძე და აკაკი შანიძე. მოგვიანებით საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერები გადაეცა საქართველოს მუზეუმს. მის ბაზაზე 1929 წელს ჩამოყალიბდა ხელნაწერთა განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა პავლე ინგოროყვა.

საეკლესიო მუზეუმმა არსებობის ხანმოკლე პერიოდში მრავალმხრივი საქმიანობითა და მდიდარი განძეულობით საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. საეკლესიო მუზეუმი, კავკასიის მუზეუმის შემდეგ, ყველაზე დიდ და ღირებულ კოლექციებს ფლობდა, რომელიც ქართველი და უცხოელი დამთვალიერებლებისა და სამეცნიერო წრეების დიდ ინტერესს იწვევდა. მუზეუმმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ეროვნული კულტურული ფასეუ-

ლობების დაცვისა და შენახვის საქმეში. მუზეუმმა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობით ეროვნული ცნობიერების განმტკიცებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა.

საეკლესიო, საისტორიო და საეთნოგრაფიო, ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმების ფონდებმა საქართველოს ეროვნულ მუზეუმს ფასდაუდებელი მნიშვნელობა შესძინა. „ამის წყალობით საქართველოს მუზეუმი ჩვენი ქვეყნის უდიდეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო დაწესებულებად გადაიქცა" (ივ. ჯავახიშვილი).

XIX საუკუნის II ნახევარში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში მოეწყო საერთაშორისო დროებითი გამოფენები, რომლის მიზანი იყო მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარება და პოპულარიზაცია. მსგავსად ამისა, რუსეთის იმპერიაშიც დაიწყო ანალოგიური ტიპის გამოფენების მოწყობა. 1850 წელს შეიქმნა „კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება“. სასოფლო-სამეურნეო დარგის დაწინაურების მიზნით საზოგადოებამ მოაწყო რამდენიმე გამოფენა. საზოგადოება მონაწილეობდა სრულიად რუსეთის და საერთაშორისო გამეფენებზე (1858 წელს ტურინში, 1862 წელს ლონდონში, 1867 წელს პარიზში).

1871 წელს საზოგადოებასთან დაარსდა **სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი.**

ექსპონირებული მასალებით დიდი ინტერესი გამოიწვია 1901 წელს თბილისში მოწყობილმა სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენამ. გარდა სასოფლო-სამეურნეო დარგებისა, გამოფენაზე წარმოდგენილი იყო მხატვრული განყოფილებაც (ფერწერა, ქანდაკება, გრავიურა, არქიტექტურა).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო პარიზის 1900 წლის გამოფენა, რომელიც მოეწყო „გრანპალეს“ სასახლეში (შენობა სპეციალურად აშენდა საერთაშორისო გამოფენებისათვის). ამ გამოფენაზე საქართველო წარმოდგენილი იყო რუსეთის პავილიონში. სოფლის მეურნეობის განყოფილებაში საქართველოდან წარდგენილი იყო ქართული ღვინოები („კახეთის საუფლისწულო ვენახები“), ხელსაწყოები, მარნების ფოტოები, სხვადსხვა ყურძნის ჯიშები, ჩაქვის ჩაის ნიმუშები, პლანტაციების ფოტოები, ასევე მებამბეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა.

გარდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ნიმუშებისა, გამოფენაზე კარგად იყო წარმოდგენილი ქართული ყოფის ამსახ-

ველი ნიმუშები (ქართული ტანსაცმელი, ქამარ-ხანჯალი, ხალიჩები, ფარდაგები, ქართული აკვანი, გიშრის კრიალოსნები, ყანწები, თიხის ჯამ-ჭურჭელი, ეროვნული საკრავიერი ინსტრუმენტები, კახური ჩურჩხელები). გამოფენაზე დიდი მოწონება დაიმსახურა ცვილის ფიგურებმა: „ხევსური“, „კურტნიანი მუშა“, „თუშის დედაკაცი“, „მოცეკვავე ქალი“ და სხვ. ყველა მათგანი შემოსილი იყო ეროვნული ტანსაცმლით.

გამოფენაზე ერთი განყოფილება დაეთმო მხარის კულტურასა და ისტორიას. აქ გამოფენილი იყო დასურათებული „ვეფხისტყაოსანი“, „ბუნების კარი“, „დედა ენა“, საეკლესიო მუზეუმის კატალოგი, კავკასიის მუზეუმის კატალოგი და ანგარიშები, გეოლოგიური მასალები, კავკასიის კალენდრები, თბილისის გიმნაზიის ანგარიშები და სხვ.

პარიზის გამოფენის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნაწილი შესაბამისი ექსპონატებით დააკომპლექტა და გამოფენისათვის მოამზადა კავკასიის მუზეუმმა.

1899 წელს თბილისში გაიხსნა **კავკასიის კუსტარული (შინამრეწველობის) მუზეუმი,** სადაც თავი მოუყარეს საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებს, ხის, ლითონის, გიშრის, ძვლის, რქის მხატვრულად დამუშავებულ ნიმუშებს (სამკაულები, ქამრები, იარაღი, საოჯახო ნივთები), საოჯახო ყოფასთან და შინამრეწველობასთან დაკავშირებულ სხვა ექსპონატებს.

1913 წელს მუზეუმმა მუშტაიდის ბაღში გამოყოფილ ბინაში მოაწყო პირველი გამოფენა. მუზეუმის ექსპოზიციამ საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ხალხური წარმოების ნიმუშები.

არსებობს ცნობები, რომ **პირველი მუზეუმი ახალციხეში** XIX საუკუნის 80-იან წლებში ივანე გვარამაძეს გაუხსნია. ფართო საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილი ეს პიროვნება სამცხე-ჯავახეთში აქტიურ ეროვნულ და ფართო საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა. იგი არის ავტორი 1882 წელს სპეციალურად სასწავლებელებისათვის გამოცემული „ქართლის ცხოვრებისა“ და ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოსი.

ი. გვარამაძე „ვინმე მესხის“ ფსევდონომით „ივერიასა“ და „დროებაში“ აქვეყნებდა წერილებს და ქართველ საზოგადოებას სამცხე-ჯავახეთის პრობლემებსა და ისტორიას აცნობდა, გამაჰმა-

დიანებულ ქართველებს შორის საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდა. მისი ინიციატივით ახალციხეში დაარსდა ბიბლიოთეკა და დაწყებითი სკოლა. წლების განმავლობაში შეგროვებული ისტორიული ნივთების ბაზაზე გახსნა **საოჯახო მუზეუმი.**

ი. გვარამაძის საოჯახო მუზეუმისა და ეკლესია-მონასტრებიდან წამოღებული ნივთები დაედო საფუძვლად 1921 წელს **ახალციხის პირველი სამაზრო მუზეუმის** გახსნას. ამ მუზეუმს დიდხანს არ უმუშავია, მალე დაიხურა, ექსპონატები კი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. მოგვიანებით, მამის წამოწყებული საქმე ღირსეულად გააგრძელა მისმა შვილმა კონსტანტინე გვარამაძემ, რომლის ინიციატივით 1937 წელს გაიხსნა **ახალციხის მუზეუმი.** საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ექსპონატები დაუბრუნდა ახალციხის მუზეუმს.

საისტორიო წყაროებით, **პირველი მუზეუმი ბათუმში** 1890 წელს გაიხსნა ექვსკლასიანი სახელმწიფო საქალაქო სასწავლებლის შენობაში.

1908 წელს მასწავლებელთა ჯგუფის ინიციატივითა და საზოგადო მოღვაწეთა თაოსნობით ბათუმში დაარსდა მეორე მუზეუმი პუშკინის სახელობის ერთკლასიანი სასწავლებლის შენობაში.

1908 წ. 19 მარტს (1 აპრილი ახ. სტ.) გამართულ სხდომაზე საქალაქო საბჭომ მოიწონა გამგეობისა და საფინანსო კომისიის ერთობლივი დასკვნა პუშკინის სახელობის საქალაქო სასწავლებელთან საბავშვო მუზეუმის გახსნის შესახებ, იდეა მალევე განხორციელდა. მუზეუმი მდებარეობდა ვოზნესენსკისა და ოლღას (ამჟამად მელიქიშვილისა და ვახტანგ გორგასალის) ქუჩების კუთხეში. მუზეუმის გამგედ 1908 წ. 1 ოქტომბრიდან (14 ოქტომბერი ახ. სტ) დაინიშნა პუშკინის სახელობის საქალაქო სასწავლებლის ხელგარჯილობის მასწავლებელი ნიკოლოზ გომანი. მუზეუმის გახსნა მნიშვნელოვანი კულტურული მოვლენა იყო რეგიონში.

ნიკოლოზ გომანი ითვლება ბათუმში მეორე მუზეუმის დამაარსებლად. იგი 1893-1906 წლებში ხელგარჯილობის საქმეს ასწავლიდა ბათუმის ექვსკლასიანი სასწავლებლის მოსწავლეებს. 1906 წელს ნ. გომანი ქალაქის მმართველობამ გადაიყვანა ქალაქის დაწყებით სკოლაში. მან პირადი ინიციატივით პუშკინის სახელობის სკოლის ეზოში, გამოუყენებლ შენობაში გახსნა სპეციალური სასწავლო სახელოსნო. ზაფხულის არდაგეგების პერიოდში ნ. გომანი მოგზაურობდა აჭარის სოფლებში, აგროვებდა არქეოლოგიური და ადგილობრივი ყოფის ამსახველ ნივთებს, რომლებსაც ინახავდა

სასწავლებლის თავისუფალ ოთახში. სწორედ ამ ექსპონატების ბაზაზე გაიხსნა საქალაქო მუზეუმი.

1910 წ. 9 მაისიდან (22 მაისი ახ.სტ) ექსპონატების გაფართოების გამო მუზეუმი გადაიტანეს საქალაქო საბჭოს შენობის პირველ სართულზე და ექვსი ოთახი დაუთმეს. 1912 წ. 15 ოქტომბერს (28 ოქტომბერი ახ.სტ.) საქალაქო საბჭოს დადგენილებით იგი გადააკეთეს საქალაქო მუზეუმად. 1913 წელს ახლად დაფუძნებული ქალაქის მუზეუმის გამგედ დაინიშნა ამ მუზეუმის ფუძემდებელი ნიკოლოზ გომანი. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 1937 წლამდე.

1901 წელს საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, ე. თაყაიშვილის ინიციატივით, დააარსა **მუნიციპალური მუზეუმი.** მუზეუმში თავი მოიყარა ქალაქის მნიშვნელოვანმა ექსპონატებმა. საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევდა ძველი წიგნების, ხელანაწერების შეგროვებას. მუზეუმში ეწყობოდა გამოფენები, შეხვედრები დედაქალაქის ცნობილ ადამიანებთან.

1903 წელს თბილისში გაიხსნა კავკასიის სასწავლო ოლქის **პედაგოგიური მუზეუმი.** 1911 წელს მუზეუმი გადაკეთდა თბილისის ცენტრალურ პედაგოგიურ მუზეუმად, რომელიც არსებობდა 1928 წლამდე. მოგვიანებით (1932 წ.) ამ მუზეუმის ბაზაზე გაიხსნა პოლიტექნიკური განათლების მუზეუმი, რომელსაც 1938 წელს სახალხო განათლების მუზეუმი ეწოდა. 1945 წელს მუზეუმმა ბინა დაიდო თბილისი N 1 სასუალო სკოლის შენობაში (თბილისი, ჭიჭინაძის ქ. N 1). ამ მუზეუმმა საქართველოში სათავე დაუდო მუზემის ახალ ტიპს, რომელიც განათლების მუზეუმების პროფილს მიეკუთვნება. მუზეუმის ექსპოზიციები ეძღვნება საქართველოში განათლების ისტორიას, ამ დარგის ცნობილ მოღვაწეებს. მუზეუმს გამოცემული აქვს განათლების გამოჩენილ მოღვაწეთა ბიოგრაფიები რამდენიმე ტომად.

1910 წელს, თბილისის საქალაქო თვითმმართველობის დაარსების 35 წლისთავზე, ზუბალაშვილების უპოვართა სახლში დაარსდა **თბილისის მუზეუმი** (ამჟამად თბილისის იოსებ გრიშაშვილის სახელობის ისტორიის მუზეუმი). იგი არის ისტორიული კლასიფიკაციის. მუზეუმმა ასწლოვანი ისტორიის მანძილზე სხვადასხვა სივრცე გამოიცვალა და საბოლოოდ ქარვასლის შენობაში დაიდო ბინა.

მაშინ ამ მუზეუმის დაარსებას ერთი კონკრეტული მიზანი ჰქონდა – თვითმმართველობის რეკლამირება-პოპულარიზაცია. მუზეუმი ხომ ქალაქის თვითმმართველობამ დააარსა და მას „ტფი-

ლისის მუნიციპალური მუზეუმი“ უწოდა: „მაშინ ახალი შექმნილი იყო თვითმმართველობა, მუნიციპალიტეტს კი თავისი საქმიანობის რეკლამირება სჭირდებოდა და ამიტომაც გადაწყვიტეს ასეთი მუზეუმის შექმნა. ეს იდეა დოკუმენტადაც გაიწერა და ეს დოკუმენტიც შევიდა კატალოგში. სულ თავიდან მუზეუმის თავდაპირველი სამყოფელი ქალაქის თავის კაბინეტი იყო, შემდეგ ზუბალაშვილების უპოვართა სახლში დაიდო ბინა, ამჟამად კი „ქარვასლის“ ისტორიულ შენობაშია“ (მ. თავაძე).

1926 წელს, თბილისის ისტორიის მუზეუმის დირექტორისა და თბილისის ისტორიის ცნობილი მკვლევარის ნიკოლოზ ბადრიაშვილის თაოსნობით, მოეწყო გამოფენა, სახელწოდებით „ძველი თბილისი“, სადაც იოსებ გრიშაშვილმა სწორედ ამ გამოფენისა და მუზეუმის მხარდასაჭერად წაიკითხა იქ პირველად თავისი ნაწარმოები „თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“.

თბილისის ისტორიის მუზეუმის ფონდებში დაცულია თბილისის ისტორიისა და კულტურის ამსახველი 50 000-მეტი უმნიშვნელოვანესი ექსპონატი ენეოლითიდან დღევანდელ დღემდე. ქარვასლაში სულ 10 ფონდია: არქეოლოგიის, სახვითი ხელოვნების, ძვირფასი ლითონების (ვერცხლი), იარაღის, ფოტო ნეგატივების, საარქივო დოკუმენტების (რუკები, გეგმები, აფისები პროგრამები), ქსოვილების (ტყავი, ბეწვეული, ხალიჩები, ტანისამოსი, აქსესუარები), ხის (ავეჯი, საყოფაცხოვრებო ნივთები), საოჯახო ნივთების (სპილენძი, კერამიკა, ფაიფური, მინა) და ნუმიზმატიკის (სპრაგისტიკა, ფალერისტიკა).

1925 წლამდე მუზეუმი თამამშევის ყოფილ ქარვასლაში იყო განთავსებული. 1918 წელს მუზეუმი დაიხურა. 1924 წელს იგი აღდგენილ იქნა და თბილისის აღმასკომის მუზეუმი ეწოდა. 1943 წელს ეწოდა თბილისი სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი. 1969 წელს მიენიჭა ი. გრიშაშვილის სახელი.

თბილისის ისტორიის მუზეუმი მიეკუთვნება იმ იშვიათ მუზეუმთა რიცხვს, როდესაც უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლში განთავსებულია მოძრავი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. აქ წარსული ორგანულად ეხმიანება თანამედროვეობას, ხოლო გარემო და ისტორიული სივრცე განსაკუთრებულ მნიშვნელობასა და დანიშნულებას მატებს დედაქალაქის მთავარ მუზეუმს.

თბილისის ისტორიის მუზეუმი

მნიშველოვანია, რომ XX საუკუნის დასაწყისიდან გაფართოვდა მუზეუმების განლაგების გეოგრაფია და იგი გასცდა თბილისის ფარგლებს.

1912 წელს დაარსდა **საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმი,** რომელმაც პროფილური მუზეუმისათვის დამახასიათებელ ექსპონატებს მოუყარა თავი. იგი ძირითადად საზოგადოების წევრთა შემოწირულობებით და კერძო პირთა ნივთებით დაკომპლექტდა.

1917 წელს ქართველ ხელოვანთა საზოგადოებამ დაისაკუთრა სამხედრო-ისტორიული მუზეუმის შენობა, სადაც ბინა დაიდო **სურათების ეროვნულმა გალერეამ.** ხელოვნების ცალკეულმა კოლექციებმა გასულ საუკუნეში შექმნილ მუზეუმებშიც დაიდო ბინა. ამ პროფილის მუზეუმის – სურათების გალერეის დაარსება კი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სამუზეუმო საქმის განვითარებაში, რომელიც ხელოვნებისადმი განსაკუთრებული ინტერესითაც იყო განპირობებილი.

ამ პერიოდში მუზეუმების დაარსება კერძო ინიციატივაზე ან რომელიმე საზოგადოების მონდომებაზე იყო დამოკიდებული. სამუზეუმო ექსპოზიციაც არ გამოირჩეოდა მრავალფეროვნებით. მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოება მუზეუმის მიმართ ინტერესს ავლენდა და ყოველი ახალი მუზეუმის დაარსება კულტურული ცხოვრების გააქტიურებას უწყობდა ხელს.

❖

ეროვნული სამუზეუმო საქმის განვითარების ახალი პერსპექტივა დაისახა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წ.) შემდეგ. დამოუკიდებელი ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღო ისტორიულ-კულტურული მემკვდრეობს დაცვისა და განვითარებისათვის.

1920 წლის 28 მაისს მიღებულ იქნა კანონი „საისტორიო, საერქოლოგო, სამხატვრო და სხვა საკულტურო ნივთების საქართველოს რესპუბლიკიდან გატანის შესახებ“. კანონის შესაბამისად, განათლების მინისტრის ნებართვის გარეშე, აიკრძალა ქვეყნიდან კულტურული მემკვიდრეობის გატანა. კანონით განისაზღვრა იმ ნივთების კატეგორია, რომლის გატანა იკრძალებოდა ქვეყნიდან.

საქართველოს დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს მთავრობის 1919 წლის 1 აგვისტოს დეკრეტით გაუქმდა კავკასიის მუზეუმი და მის ნაცვლად დაარსდა **საქართველოს მუზეუმი.** მთავრობის დეკრეტით დამტკიცდა მუზეუმის დებულება. მუზეუმი შედგებოდა 5 განყოფილებისაგან: გეოლოგიის, ბოტანიკის, ზოოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ისტორია-არქეოლოგიის. მუზეუმთან დაარსდა წიგნთსაცავი. მუზეუმი დაექვემდებარა განათლების მინისტრს. მუზეუმს განაგებდა სამეცნიერო საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ დირექტორი, განყოფილების ხელმძღვანელები და თბილის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოსაგან არჩეული ხუთი წარმომადგენელი. სამეცნიერო საბჭო ირჩევდა მუზეუმის დირექტორს, განყოფილებათა გამგეებს, სპეციალისტებს და წიგნთსაცავის გამგეს, რომლებსაც ამტკიცებდა განათლების მინისტრი. მუზეუმს ჰქონდა საკუთარი პერიოდული გამოცემა. მუზეუმის დაფინანსებას ახორციელებდა სახელმწიფო ხაზინა.

საქართველოს მუზეუმს უმძიმეს ეკონომიკურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მუზეუმის წინაშე დადგა მუზეუმის გაეროვნულების პრობლემა. „კავკასიის მუზეუმის უთავრეს ნაკლს შეადგენდა ის გარემოება, რომ მუზეუმში საკუთრივ საქართველო სუსტად გახლდათ წარმოდგენილი. საქართველოს მუზეუმი უმთავრეს მიზნად ამ მემკვიდრეობით გადმოცემული ნაკლის გამოსწორებას ისახავს“ (ნოე ყიფიანი, მუზეუმის დირექტორი 1918-1921 წლებში).

საქართველოს მუზეუმის ოქროს ფონდი

1918 წელს საქართველოს მუზეუმში მუშაობდა 19 თანამშრომელი. 1919 წლიდან გაიზარდა მუშაკთა რაოდენობა. მუზეუმში, მწირი დაფინანსების გამო, მოუწყობელი იყო ლაბორატორიები და განყოფილებები. მიუხედავად ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ინფლაციისა და ეკონომიკური სიდუხჭირისა, 1919 წლის 19 დეკემბერს დამფუძნებელმა კრებამ და მთავრობამ მიიღეს გადაწყვეტილება მუზეუმის შენობის დასამთავრებლად და სამუზეუმო საქმიანობისათვის თანხის გამოყოფის შესახებ. მუზეუმმა დამატებითი დაფინანსებით შეძლო ექსპონატების შეძენა, ექსპედიციების მოწყობა, უცხოელი სპეციალისტების მოწვევა. მუზეუმთან დაარსდა ისტორიული საგნების შეძენის ფონდი. 1920 წელს საფუძველი ჩაეყარა მუზეუმის პერიოდულ გამოცემებს „საქართველოს მუზეუმის მოამბე“ და „საქართელოს მუზეუმის შრომები“. მუზეუმმა საქმია-

ნი კავშირები დაამყარა უცხოეთის (პარიზის, ლონდონის, რომის) მუზეუმებთან და სამეცნიერო დაწესებულებებთან.

საქართველოს მუზეუმს დაევალა ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლების შესწავლა და შეკეთება-დაცვაზე მეთვალყურეობა. ამ მიზნით დამატებით თანხები გამოეყო მუზეუმს.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის 1920 წლის 28 მაისის გადაწყვეტილებას ისტორიული მნიშვნელობის ნივთების საქართველოდან გატანის აკრძალვის შესახებ.

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამ და ახალი ხელისუფლების ეროვნულმა პოლიტიკამ განაპირობა მუზეუმის შენობის არქიტექტურის შეცვლა. ძირითადად საქმე ეხებოდა შენობის ფასადს. მუზეუმის არქიტექტურა ეროვნული ხუროთმოძღვრების ტრადიციებთან უნდა ყოფილიყო შეხამებული. ამისათვის მუზეუმში მოიწვიეს ახალგაზრდა არქიტექტორები ნიკოლოზ სეველროვი და ანატოლი კალგინი, მაგრამ ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო რამდენიმე წლით გადაიდო მუზეუმის შენობის მშენებლობის დასრულება.

დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის 1920 წლის 30 მარტის დეკრეტით დაარსდა **ეროვნული სამხატვრო გალერეა** და დამტკიცდა გალერეის დებულება. სამხატვრო გალერეა განთავსდა დიდების ტაძარში (აშენდა XIX საუკუნის დასასრულს, რუსეთ-ოამალეთის ომში რუსეთის არმიის გამარჯვების აღსანიშნავად). გალერეის შექმნის ინიციატორი და პირველი დირექტორი იყო მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე.

გალერეა დაექვემდებარა განათლების მინისტრს. სამხატვრო გალერეას განაგებდა საბჭო დირექტორის თავმჯდომარეობით. დირექტორს და გალერეაში მომუშავე პირებს ნიშნავდა განათლების მინისტრი. გალერეის დაფინანსება ხორციელდებოდა სახელმწიფო ხაზინიდან. განისაზღვრა გალერეის საქმიანობის ძირითადი პრინციპები და ამოცანები. კერძოდ, გალერეის ფუნქციებში შედიოდა მხატვრული ღირებულების მქონე მხატვრებისა და მოქანდაკეების ნამუშევრების შეგროვება და დაცვა. გალერეასთან შეიქმნა წიგნთსაცავი, სადაც ინახებოდა ნაწარმოებები მხატვრების შესახებ, აგრეთვე, ნახატების, გრავიურების, რეპროდუქციების კოლექციები და სამხატვრო ჟურნალები.

მუზეუმის შენობა, XIX ს ბოლო პერიოდი (ამ დროსითვის აქ სასულიერო სემინარია იყო)

1921 წელს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის გამო, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, სამუზეუმო განძეულობა გაეტანა საზღვარგარეთ, ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გადარჩენის მიზნით.

ექ. თაყაიშვილის მოგონებით, რომელიც იმხანად დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგად (თანაშემწე) მუშაობდა და ზედამხედველობას უწევდა მუზეუმებს (ასევე განაგებდა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებას), 1921 წლის 20 თებერვლის საღამოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ექ. თაყაიშვილისათვის დაუვალებია ხაზინის ქონებასთან ერთად, თბილისიდან ქუთაისში გაეტანათ ძვირფასი სამუზეუმო ქონებაც. ეს ქონება მეორე დილის 11 საათისთვის უნდა მიეტანათ თბილისის რკინისგზის სადგურზე.

ექ. თაყაიშვილმა, მის მიერ გამართულ საგანგებო თათბირზე, მოიწვია მუზეუმების დირექტორები: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის გამგე დავით კარიჭაშვილი, საეკლესიო მუზეუმის გამგე მოსე ჯანაშვილი, საქართველოს მუზეუმის გამგე ნოე ყიფიანი, აგრეთვე, მათი „მრჩევლები“ (თანამშრომლები) და ეროვნული (სამხატვრო) გალერეის წარმომადგენლები. 21 თებერვალს, ექ. თაყაიშვილთან შეხვედრაზე ივანე ჯავახიშვილს გამოუთქვამს თავისი უარყოფითი შეხედულება განძის საქართველოდან გატანის გამო.

„საზღვარგარეთ გაგზავნაზე არც გვიფიქრიაო“, – მოგვიანებით 1935 წ. პარიზში დაწერილ სტატიაში „ერთი შეკითხვის გამო“, იხსენებდა ექ. თაყაიშვილი. საუბარი იყო ოქრო-ვერცხლის განძზე. მუზეუმების ხელმძღვანელებს, წინააღმდეგ მისი მითითებისა, ყუთებში ჩაუწყვიათ ძვირფასი ხელნაწერებიც. მუზეუმის თანამშრომლებს სიჩქარის გამო ვერ მოუსწრიათ სიის შედგენა. თბილისიდან გატანილ განძს ქუთაისში დაემატა დადიანის სასახლის განძი.

ოფიციალურად განძის მეთვალყურედ დაინიშნენ ექ. თაყაიშვილი და ფინანსთა მინისტრის ამხანაგი (თანაშემწე) იოსებ ელიგულაშვილი.

ქვეყანაში შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო, მთავრობის 1921 წლის 20 თებერვლის განკარგულებით, საქართველოს მუზეუმმა მუშაობა შეწყვიტა.

2.3. სამუზეუმო ქსელის განვითარება 1921-1991 წლებში

მძიმე და რთული აღმოჩნდა საქართველოს მუზეუმებისათვის ოკუპაციის პირველი წლები. სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვამ და საბჭოთა რეჟიმის დამყარებამ კულტურის მუშაკებში შიში და გაურკვევლობა გამოიწვია.

მიუხედავად ამისა, საქართველოში სამუზეუმო საქმის განვითარება ინტენსიურად წარიმართა. მართალია, ოკუპირებულ რესპუბლიკას არ გააჩნდა დამოუკიდებელი სამუზეუმო პოლიტიკა და სტრატეგია, იგი მთლიანად საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ნებაზე და სახელმწიფოებრივ კურსზე იყო დამოკიდებული, მაგრამ სამუზეუმო საქმიანობაში მნიშველოვანი ღონისძიებები განხორციელდა. შეიქმნა ათეულობით სხვადასხვა პროფილის ახალი მუზეუმი, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის დაცვას.

1921 წელს ყველა მუზეუმი დაექვემდებარა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის აკადემიის ცენტრის მუზემების მთავარ სამმართველოს (შემდგომში განსახკომის სამეცნიერო და

სახელოვნო დაწესებულებათა მთავარი გამგეობა). ე.წ. „რევოლუციური“ მთავრობა მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის პრინციპებით ხელმძღვანელობდა ამ სფეროშიც და ყველა გადაწყვეტილება რევოლუციის იდეების პროპაგანდასა და გატარებას ემსახურებოდა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მთავრობის დეკრეტებისა და დადგენილებათა საფუძველზე დაიწყო სამუზეუმო საქმის თანდათანობით ერთგვარი „მოწესრიგება“.

1921 წლის 15 აპრილის დეკრეტით საეკლესიო და რელიგიური საზოგადოებების ქონება საყოველთაო-სახალხო კუთვნილებად გამოცხადდა. 1921 წლის 11 ივლისის დეკრეტით აიკრძალა კულტურისა და განათლების საგნების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანა. საქართველოს სახკომსაბჭოს 1923 წლის 12 ნოემბრის N 114 დადგენილებით განხორციელდა სამუზეუმო საქმის რეორგანიზაცია. მუზეუმები დაიყო პროფილის მიხედვით. შემუშავდა საეკლესიო ქონების გამოყენების წესი. მიღებულ იქნა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის ღონისძიებანი.

რუსეთის ხელისუფლების 1922 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით საქართველოს დაუბრუნდა 1917 წლამდე საქართველოდან რუსეთის ქალაქებში გატანილი ძვირფასი სამუზეუმო და საარქივო ნივთები და საბუთები, რამაც მნიშნელოვნად გაამდიდრა საქართველოს სამუზეუმო ფონდები.

მთავრობის დადგენილების შესასრულებლად შეიქმნა სპეციალური კომისია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, რუსეთის ფედერაციის განათლების კომისარიატისა და საქართველოს წარმომადგენელთა მონაწილეობით. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მხრივ, აკადემიკოსები ნ. მარი, ს. ოლდენბურგი, ვ. ბარტოლდი, აგრეთვე, ი. მარი (ნიკო მარის ვაჟი), საქართველოდან, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, პ. ინგორიყვა, შ. ამირანაშვილი, ს. კაკაბაძე.

შ. ამირანაშვილის მოგონებით, რუსეთის სხვადასხვა მუზეუმში არსებული საქართველოს განძის სამშობლოში დასაბრუნებლად პირადი დახმარება გაუწევიათ ა. სვანიძესა და ი. სტალინს (1923 წლისათვის ი. სტალინი არ იყო ხელისუფლების სათავეში). კონკრეტულად საქმე ეხებოდა მ. ბოტკინის კოლექციას, რომელშიც დაცული იყო ქართული მინანქრების ბრწყინვალე ნიმუშები, რომელთა დიდი ნაწილი მიტაცებული იყო საქართველოს საგანძურიდან: გელათიდან, მარტვილიდან და ჯუმათიდან. გამოირკვა, რომ ბოტკინის კოლექცია მთლიანად იყო ჩამორთმეული მთავრობის

მიერ და ინახებოდა სახელმწიფო საგანძურში. ამ დაწესებულების ხელმძღვანელი კი ხუთი წლის ვადას ითხოვდა პასუხის გასაცემად, ნამდვილად ინახებოდა თუ არა მის საგანძურში ბოტკინის კოლექცია. შ. ამირანაშვილი ა. სვანიძის მეშვეობით დაუკავშირდა ი. სტალინს, რომლის მითითებით, სახელმწიფო ფასეულობათა საცავის დირექტორმა სასწრაფო განკარგულება გასცა, შ. ამირანაშვილს დაეთვალიერებინა ბოტკინის კოლექცია, სადაც აღმოჩნდა ქართული მინანქრების კოლექცია. რუსეთის სახელმწიფო საცავის დირექცია იძულებული გახდა საქართველოსათვის დაებრუნებინა ეს განძი. ამჟამად ქართული მინანქრების ეს ძვირფასი კოლექცია, სხვა ეროვნულ განძეულობასთან ერთად, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული.

ქართული კულტურისა და ხელოვნების ძეგლთა სამშობლოში დაბრუნებას სხვა მრავალი დაბრკოლება და სიძნელე გადაეღობა. სადავო გახდა ზოგიერთი ნივთის ქართული წარმომავლობა. მთავრობის დადგენილებით საქართველოს დაუბრუნდებოდა მხოლოდ ქართული წარმოშობის განძეულობა, რაც სათანადოდ უნდა ყოფილიყო დასაბუთებული. მაგალითად, საფარის კანკელს რუსი ისტორიკოსი და ნუმიზმატი ა. ორეშნიკოვი თვლიდა ბიზანტიელი ოსტატის მიერ შესრულებულად. ჭეშმარიტების დასადგენად განათლების სახალხო კომისრის სპეციალური კომისიის შექმნაც კი გახდა აუცილებელი. ქართველი სპეციალისტების სარწმუნო არგუმენტებით სადავო საკითხი საქართველოს სასარგებლოდ გადაწყდა.

კომისიის დადგენილებით საქართველოს დაუბრუნდა ქართული წარმოშობის განძეულობა, ისტორიული დოკუმენტები, ხელნაწერები, ხელოვნების თვალსაჩინო ნიმუშები, რომლებიც ინახებოდა პეტერბურგში.

ქართველი ერის კულტურული მემკვიდრეობის დაბრუნების საქმის დიდი წარმატებით აღფრთოვანებულმა შ. ამირანაშვილმა 1923 წლის 17 მარტს წერილი გაუგზავნა საფრანგეთში ექ. თაყაიშვილს და დაწვრილებით აცნობა სასიხარულო ამბავი რუსეთიდან განძის დაბრუნების შესახებ.

ამ ეპიზოდებზე იმიტომ გავამახვილეთ ყურადღება, რომ ეროვნული განძის დაბრუნებას მრავალი დაბრკოლება ახლდა თან, რომელიც კომისიის დაუღალავ შრომასა და პრინციპულობას მოითხოვდა.

❖

საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოებისა და ოკუპაციის შემდეგ რთულად წარიმართა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საქმიანობა. პირველ ეტაპზე მუზეუმს მართავდა სამეცნიერო საბჭო. 1921 წლის მარტიდან ექვთიმე თაყაიშვილის ნაცვლად საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნე ივანე ჯავახიშვილი და კორნელი კეკელიძე.

1921 წლიდან შეწყდა მუზეუმის ყოველგვარი ურთიერთობა და კავშირი საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან და ცენტრებთან. მუზეუმის თანამშრომელთა ნაწილი ხელისუფლების რეპრესიებს ემსხვერპლა. მუზეუმის არქივს შემორჩა დირექტორის ნოე ყოფიანის წერილი, რომლითაც ის თავდებად დაუდგა ეთნოგრაფ გიორგი ჩიტაიას და პატიმრობიდან მისი განთავისუფლება მოითხოვა.

მუზეუმს შეექმნა ბიუჯეტიდან დაფინანსების პრობლემები. კომუნალური მომსახურების გადასახადების გადაუხდელობის გამო მუზეუმს ხშირად უწყდებოდა წყლისა და შუქის მიწოდება. თანამშრომლებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ პროფესიული მოვალეობის შესრულება.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს 1923 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იყო ორი ახალი მუზეუმის გახსნა თბილისში. საბუნებისმეტყველო მუზეუმი უნდა შექმნილიყო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის საბუნებისმეტყველო მუზეუმის ფონდების ბაზაზე, საეთნოგრაფიო მუზეუმი – „საისტორიო-საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო განყოფილებების კოლექციების“ ბაზაზე. ეს ნიშნავდა მუზეუმის დაშლა-დაქუცმაცებას.

მუზეუმის საინიციატივო ჯგუფმა საგანგებოდ მოიწვია სამეცნიერო საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობდა ივანე ჯავახიშვილი. მან პროტესტი გამოთქვა საქართველოს მუზეუმის ხელისუფლების გადაწყვეტილების გამო და მოითხოვა მუზეუმის გაფართოება, სამუზეუმო ფონდების შევსება ახალი ექსპონატებით.

მოგვიანებით გ. ჩიტაია ამასთან დაკავშირებით იხსენებდა, რომ ივანე ჯავახიშვილი „მუზეუმის მთლიანი სახის შენარჩუნებას მოითხოვდა და მის დანაწილებას ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა... ამითვე იყო გამოწვეული ის ბრძოლა, რომელსაც ეწეოდა განსვენებული (ი. ჯავახიშვილი) მუზეუმის პროფანატორებისა და

ყველა იმათ წინააღმდეგ, რომლებიც მეტად შორს იდგნენ მუზეუმის დანიშნულებისაგან, რომელთაც სამუზეუმო საქმეების არაფერი გაეგებოდათ“. ივანე ჯავახიშვილმა შეძლო, სათანადო ორგანოებისათვის დამაჯერებლად დაესაბუთებინა ამ გადაწყვეტილების დაუშვებლობა. საბედნიეროდ, ეს გეგმა შემდგომში არ განხორციელდა და დადგა საკითხი მთელი რესპუბლიკის მუზეუმების კოლექციების თავმოყრისა და ცენტრალიზაციის (თ. ბაბუაძე, დას. ნაშ. გვ. 23).

დიდი სამუშაოები ჩატარდა მუზეუმის ფონდების აღრიცხვიანობის მოსაწესრიგებლად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო მუზეუმის საბჭოს 1924 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება მუზეუმის ექსპონატების ეტიკეტების ქართულ ენაზე გადაყვანის შესახებ.

1928-1931 წლებში საქართველოს მუზეუმში გაერთიანდა რესპუბლიკის ყველა სამუზეუმო ფონდი. 1929 წელს მუზეუმმა მიიღო საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმის კოლექციები და ბიბლიოთეკა, რომელიც შეუერთდა მუზეუმის ბიბლიოთეკას, ხოლო გაუქმებული საზოგადოების კოლექციების ბაზაზე ჩამოყალიბდა ორი ახალი უჯრედი – ხელნაწერთა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული განყოფილება.

ამავე წელს გადმოიტანეს მუზეუმში პედაგოგიური მუზეუმის კოლექციები, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმისა და ბორჯომის დენდროლოგიური (“ხე" და “მოძღვრება" ბოტანიკის ნაწილი, რომელიც ხეებსა დ ბუჩქებს სწავლობს) მუზეუმის ექსპონატები, რითაც გამდიდრდა ბოტანიკური განყოფილების ფონდები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელნაწერთა კოლექციების, უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტთან არსებული ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის ფონდების და უნივერსიტეტის ფოტოთეკის გადაცემა, რომელშიც 40 ათასი ნეგატივი შედიოდა.

მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1929 წელს მუზეუმის შენობის მშენებლობის დასრულებას. თავისი ძირითადი ფუნქციის – გამოფენების მოწყობის შესაძლებლობა მუზეუმს დიდი ხნის შემდეგ მიეცა.

მუზეუმის თანამშრომლებს უმძიმესი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ უხდებოდათ მუშაობა. რეპრესიებს ბევრი თანამშრომელი შეეწირა. მათ შორის, მუზეუმის ოთხი დირექტორი გამოცხადდა „მავ-

ნებლად“. მიუხედავად ამისა, მუზეუმმა შეძლო თავისი სახის შენარჩუნება და იგი უპირველეს და უძლიერეს სამუზეუმო დაწესებულებად ჩამოყალიბდა არა მარტო საქართველოში, მთელ ამიერკავკასიაში.

1931 წელს საქართველოს მუზეუმში ივანე ჯავახიშვილის გადასვლის შემდეგ წინა პლანზე დადგა ისტორიის განყოფილების გახსნის საკითხი. საისტორიო განყოფილებას უნდა შეესრულებინა მუზეუმში ისტორიული კვლევა-ძიების მთავარი კოორდინატორის ფუნქცია და მოემზადებინა ნიადაგი სამეცნიერო კრებულების, მეგზურების და ალბომების გამოსაცემად. მეცნიერის მცდელობას უშედეგოდ არ ჩაუვლია. 1937 წელს ივ. ჯავახიშვილი დაინიშნა მის მიერ დაარსებული ისტორიის განყოფილების გამგედ.

ეტაპობრივად მუზეუმში გაიხსნა ახალი განყოფილებები: ხელნაწერების, ისტორიულ-ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური, ხელოვნების (ხელმძღვანელი გიორგი ჩუბინაშვილი), ფოლკლორის (ხელმძღვანელი ვახტანგ კოტეტიშვილი). ამ დროს მუზეუმში მუშაობდნენ ცნობილი ხელოვანები და მეცნიერები: დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, კორნელი კეკელიძე, მოსე ჯანაშვილი, გრიგოლ წერეთელი, პავლე ინგოროყვა, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, გიორგი ჩიტაია, გიორგი ნიორაძე, შალვა ამირაშვილი, ბორის კუფტინი, ლევან მუსხელიშვილი, ალექსანდრე ბარამიძე, თედო სახოკია, სერგი მაკალათია, იოსებ სარლემანი, ალექსანდრე ჯანელიძე, ალექსანდრე თვალჭრელიძე და ქართული მეცნიერების სხვა კორიფეები, რომელთა მოღვაწეობამ დიდი კვალი დაამჩნია მუზეუმს და ხელი შეუწყო მის დაწინაურებას.

მუზეუმის საერთაშორისო აღიარებას დიდად შეუწყო ხელი 1926-1930 წლებში საზღვარგარეთ მოწყობილმა გამოფენებმა: ბერლინში, კიოლნში, ნიურნბერგში, მიუნხენში, ვენაში და სხვა ქალაქებში.

1947 წელს, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას გარდაცვალების შემდეგ, საქართველოს მუზეუმს მისივე სახელი მიენიჭა.

საქართველოს მუზეუმი 1921-1990 წლებში, მიუხედავად საბჭოთა რეჟიმის მიერ დამყარებული მკაცრი იდეოლოგიური შეზღუდულობისა და დევნა-შევიწროებისა, ეროვნული კულტურისა და ცნობიერების პლაცდარმს წარმოადგენდა. ამისთვის დიდი მსხვერპლი გაიღო მუზეუმმა, მაგრამ შეინარჩუნა უმთავრესი რამ – ეროვნული ფასეულობები და ღირებულებები.

❖

თბილისის უნივერსიტეტისათვის საეკლესიო მუზეუმების კოლექციების გადაცემის შედეგად 1921 წელს შეიქმნა უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმი, სამეგრელოს მთავრებისა და მიურატის ქონების საფუძველზე – სამეგრელოს მუზეუმი ზუგდიდში.

ამავე წელს დაარსდა ახალი პროფილის მუზეუმი – რევოლუციის მუზეუმი თბილისში, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ქუთაისის განყოფილების კოლექციების ბაზაზე – ქუთაისის საისტორიო-საეთნოგრაფიო სახელმწიფო მუზეუმი (1922 წ.).

საბჭოთა ხელისუფლებამ უმძიმესი გადაწყვეტილება მიიღო ეკლესიების წინააღმდეგ. განადგურდა არაერთი ეკლესია-მონასტერი, ნაწილი, რომელიც დანგრევას გადაურჩა გაიძარცვა. გაუქმებული ეკლესიებიდან შეკრებილი კოლექციების ერთი ნაწილი საფუძვლად დაედო უნივერსიტეტის ხელოვნების კაბინეტთან ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის დაარსებას (1924 წ.). თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა, აგრეთვე, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუზეუმის კოლექციები.

❖

ქართველი ერის უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობაა დაცული საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი (ასევე მოიხსენიება როგორც ხელოვნების სასახლე) დაარსდა თბილისში, 1927 წელს, დავით არსენიშვილის ინიციატივით. თავდაპირველად საქართველოს სსრ სათეატრო მუზეუმი ერქვა. იგი ჯერ საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში შედიოდა, შემდეგ კი საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გადაეცა. მუზეუმი სისტემატურად აწყობდა გამოფენებს, პირველი გამოფენა მოეწყო 1928 წელს.

საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 13 დეკემბრის დადგენილების თანახმად, სათეატრო მუზეუმს ეწოდა საქართველოს თეატრის, მუსიკისა და კინოს სახელმწიფო მუზეუმი.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის შენობა – ხელოვნების სასახლე. თბილისი

სასახლე, რომელშიც საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმია მოთავსებული, 1895 წელსაა აშენებული. იგი მტკვრის მარცხენა სანაპიროზე თბილისის ერთ-ერთ ძველ უბანში მდებარეობს და არქიტექტორ პოლ შტერნის მიერაა დაპროექტებული. შემდგომ წლებში შენობა არაერთხელ გადაუკეთებიათ.

ამ შენობის აგებასთან ახალგაზრდა წყვილის საინტერესო და ლირიკული ისტორიაა დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს ისტორია ჩვენს თემატიკას სცილდება, მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ ამ ეპიზოდის წიგნში უცვლელად შეტანა. XIX საუკუნის 60-იან წლებში ეს ადგილი, სადაც შენობა აიგო, – ბაღის (შემდგომში – პიროგოვის) ქუჩად იწოდებოდა. ეს სახელი ქუჩის ორივე მხარეს გერმანელი კოლონიზატორების მიერ ბაღნარის გაშენებასთან იყო დაკავშირებული, რომლის ტერიტორიის დიდი ნაწილი ავსტრიის იმპერიის ქვეშევრდომს, ფრანც ტიტელს ეკუთვნოდა. მის ქალიშვილს, ემილიას ამ ქუჩაზე, 1895 წელს არქიტექტორ პოლ შტერნისათვის სასახლის მშენებლობა შეუკვეთია. პროექტმა დასრულებამდე სახეცვლილება განიცადა, რადგან მშენებლობის პროცესში, ნაგებობა გერმანელმა პრინცმა კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგელმა (1850-1906) ერთი ქართველი მანდილოსნისათვის, აგრაფინა ჯაფარიძე-დადიანისათვის, შეისყიდა. ეს ქალბატონი 1882

წელს რუსეთის იმპერატორის ნათესავმა, წარმოშობით გერმანელმა კ. ოლდენბურგელმა ქალაქ ქუთაისში გაიცნო. იგი ამ დროისათვის სამეგრელოს თავადის ტარიელ დადიანის მეუღლე იყო. პრინცი იმდენად მოიხიბლა ამ ქალბატონის მშვენიერებით, რომ მისი ოჯახური მდგომარეობა და XIX საუკუნეში საქართველოსა და ევროპაში დამკვიდრებული ტრადიციები არად ჩააგდო და აგრაფინას ჯაფარიძე-დადიანისას სიყვარულში გამოუტყდა. ოლდენბურგელის მხურვალე გრძნობამ აგრაფინას ქმარიც დაავიწყა და მოვალეობაც. შეყვარებულებმა ქუთაისი დატოვეს და საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდნენ. პრინცმა სატრფოს ახლადნაყიდ მიწაზე ულამაზესი სასახლე აუშენა. მოგვიანებით სწორედ ამ სასახლეში ცხოვრობდა სამეგრელოს უფლისწული ანდრია დადიანი, მსოფლიოში ცნობილი მოჭადრაკე, ეკატერინე ჭავჭავაძისა და დავით დადიანის უმცროსი ვაჟი. შემდეგ კი აქ დამკვიდრდა ანდრიას დის, სალომე დადიანის მეუღლე, პრინცი აშილ მიურატი.

შენობის პროექტის ავტორი პ. შტერნი იმ დროის ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული არქიტექტორი იყო. სასახლის სტილი, ერთი მხრივ, „აგურის გოთიკას" ენათესავება, ხოლო მეორე მხრივ, დიდ ადგილს უთმობს ისლამური არქიტექტურისათვის დამახასიათებელ დეტალებს. ოლდენბურგის სასახლე თბილისურ ტრადიციასაც მნიშვნელოვნად სცილდება: ციხე-დარბაზის ტიპის ნაგებობას აქვს ღია ტერასა, ქვის მოაჯირიანი კიბე, შუა ბასტიონი აზიდული ციცაბო სახურავით და სამსართულიანი კოშკი საიდუმლო ოთახით; მთავარ ფასადზე თავმოყრილი შეისრული თაღები, კედელში ჩასმული ვარდულები, მოაჯირის წვრილი სვეტები გოთური სტილიზაციის უჩვეულო და საინტერესო ნიმუშს ქმნის. შენობას, რომელიც ორ ნაწილად იყოფა, 1900-იან წლებში სამხრეთით რამდენიმე ოთახი მიაშენეს. არსებობს ვარაუდი, რომ შუალედური პროექტის ავტორი ხუროთმოძღვარი ალექსანდრე როგოისკი უნდა ყოფილიყო.

XX-საუკუნის 40-იან წლებში საბჭოთა არქიტექტორების მიერ შენობის გაგრძელებად სამსართულიანი ნაგებობა დაიდგა, რომელიც გარე ფასადზე ზუსტად იმეორებს ისტორიული სასახლის მხატვრულ იერსახეს. ცალკე აღნიშვნის ღირსია მთავარ ბასტიონზე გამოსახული გერბი, სადაც ფარზე მითიური ცხოველი მონოცეროზია გამოქანდაკებული. ესაა ძველ საბერძნეთსა და რომში რეალურ ცხოველად მიჩნეული თეთრი ცხენი შუბლზე დიდი რქით, რომელიც უბიწოებისა და სულიერი სიწმინდის სიმბოლოდ ითვლე-

ბოდა. ეს მითიური არსება არაერთგან გვხვდება (შოტლანდიის, ინგლისისა და კანადის გერბებზე და ივანე მრისხანის ტახტზე). ე.წ. „რქოსანი ცხენი" იოანე ბატონიშვილის ცნობებზე დაყრდნობით, დავით აღმაშენებლის გერბზეც იყო დატანილი.

საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმი რამდენიმე განყოფილებისაგან შედგება.

ხელნაწერთა განყოფილება 160 ფონდისაგნ შედგება და იგი მოიცავს საქართველოში არსებული ყველა თეატრის შეახებ არსებულ დოკუმენტებს, პროგრამებს, სხვადასხვა მოღვაწეთა პირად ხელნაწერებსა და ჩანახატებს. აღნიშნული კოლექცია 1861 წლიდან გამუდმებით ივსება.ფონდში თავმოყრილია საქართველოში მოღვაწე მწერალთა, საზოგადო მოღვაწეთა და ხელოვნების მუშაკთა 40 ათასამდე ხელნაწერი, აქვე ინახება იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მიერ გაცემული სიგელი, სამეგრელოს მთავრებისა და დედოფლების გრიგოლ დადიანის, ნინო და მარიამ დადიანების ხელმოწერილი გუჯრები, საფრანგეთის პრინცესა სალომე დადიანის პირადი მიმოწერა, აგრაფინა ჯაფარიძე-ზარნიკაუსა და კონსტანტინე ოლდენბურგელის ბარათები გერმანულ ენაზე.ფონდში დაცული არქივები მდიდარი და მრავალფეროვანია: გვხვდება როგორც პირადი და საქმიანი მიმოწერა, ისე ჩანაწერები, სცენარები, დღიურები, ლექსების კრებულები, პიესები, სანოტო რვეულები, პარტიტურები და სხვ.

ხელნაწერთა ფონდში დაცულია ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, გალაკტიონ ტაბიძის, იოსებ გრიშაშვილის, ივანე მაჩაბლის და სხვათა ხელნაწერები. კოლექციებადაა დაცული ვანო სარაჯიშვილის, უშანგი ჩხეიძის, აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, მიხეილ ჭიაურელის, ვერიკო ანჯაფარიძის, სერგო ზაქარიაძის, სესილია თაყაიშვილის და სხვათა არქივები.

ასევე წარმოდგენილია უცხოელი მოღვაწეების: პეტრე ჩაიკოვსკის, თეოდორ შალიაპინის, დიმიტრი შოსტაკოვიჩის, ვლადიმერ იპოლიტოვ-ივანოვის ხელნაწერები. პირადი არქივების გარდა ფონდში ინახება თბილისის კოტე მარჯანიშვილისა და შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრების მნიშვნელოვანი მასალები; თელავის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის და სხვა საქალაქო და რაიონული თეატრების უძველესი პროგრამები. ასევე აფხაზეთის ქართული და აფხაზური დასების, ოსეთის, აზერბაიჯანის თეატრების ისტორიები და პროგრამები.

სანდრო ახმეტელის ხელნაწერი

საარქივო ფონდებშია კორპორაცია დურუჯის უნიკალური დოკუმენტები და თბილისის სახაზინო თეატრების პროგრამები. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ისტორიის ამსახველი მასალები, თბილისის დრამატული საზოგადოების პროგრამები (1893-1903), რომლებიც აბრეშუმის ფერად ქსოვილებზეა დაბეჭდილი. ფონდში ასევე დაცულია ქართულ და რუსულენოვანი კინოს სცენარები, გადაღების ამსახველი ჩანაწერები.

ბიბლიოთეკისა და რარიტერული გამოცემათა ფონდი. საკმაოდ მდიდარი და მრავალრიცხოვანია მუზეუმის ბიბილიოთეკისა და რარიტერულ გამოცემათა ფონდი. მასში დაცულია 32 ათასამდე ექსპონატი. ფონდის ძირითადი ნაწილი შედგება წიგნებისაგან ქართულ და რუსულ ენებზე თეატრის, კინოს, მუსიკის, ქორეოგრაფიის, ხელოვნების, ისტორიის და რელიგიის შესახებ. ასევე არის დაცული მხატვრული ლიტერატურა, ენციკლოპედიები, ლექსიკონები, პიესები. ფონდში ინახება სამასამდე სანოტო წიგნი. ასევე სხვადასხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები. უნიკალურ საგანძურს

წარმოადგენს სასახლის მკვიდრთა წიგნადი კოლექცია, რომელიც დადიანებისა და ოლდენბურგელების ბიბლიოთეკის ნაწილს წარმოადგენს, გამოცემები 1633-1639 წლებით თარიღდება

ფონდში უხვადაა რარიტერული გამოცემები როგორც ქართულ, ასევე რუსულ ენებზე. ჟურნალ–გაზეთები: „თეატრი და ცხოვრება“ (1910, 1914-17, 1923-24), „ნიშადური“ (1917-1918 წ.წ.), „საფირონი“ (1924 წ.), „დურუჯი“ (1926 წ.), „ტარტაროზი“ (1927-1928 წ.წ.), „H2CO4“ (1924 წ.), „მომავალი“ (1920 წ.), „ერობა“ (1920 წ.), „უშბა“ (1926 წ.), „მეოცნებე ნიამორები“ (1923 წ.), „დროშა“ (1924-1925 წ.წ.), „მიზანი“ (1927 წ.), „პირამიდები“ (1924 წ.), „ალმანახი“ (1925 წ.), „გრდემლი“ (1923 წ. და 1927 წ.), „ფასკუნჯი“ (1908 წ. და 1910 წ.), „ჩვენი თეატრი“ (1912 წ.), „ეშმაკის მათრახი“ (1919-1920 წ.), „სახალხო ფურცელი“ (1914 წ.), „სახალხო გაზეთი“ (1910 წ.), „მათრახი“ (1915 წ.), „ლახტი“ (1912 წ.), „კვალი“, „ივერია“.

ფონდში ინახება უძველესი საგალობლები და სანოტო წიგნები. აქვე წარმოდგენილია წიგნები ცნობილი ადამიანების ავტოგრაფებით.

ფოტო და ფოტონეგატივების ფონდში 100 000-მდე ექსპონატია დაცული. ეს არის ქართული თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის ისტორიის ამსახველი მასალა XIX საუკუნის II ნახევრიდან დღემდე. უმდიდრეს ფოტომასალასთან ერთად ფონდში დაცულია უნიკალური მინის ნეგატივები, რომლებზეც აღბეჭდილია ქართული და უცხოური თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის განვითარების ისტორია. აქვე ინახება მსახიობთა და რეჟისორთა პირადი არქივები, (ვასო აბაშიძე, ლადო ალექსი-მესხიშვილი, მაკო საფაროვა, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, კოტე მესხი, სანდრო ახმეტელი, კოტე მარჯანიშვილი, ვასო ყუშიტაშვილი და სხვ.).

ფონდში დაცულია პირველი ქართული თეატრალური დასების მოღვაწეობისა და დადგმების ფოტომასალა: ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“, სცენები სპექტაკლებიდან: „სამშობლო“, „და-ძმა“, „გაყრა“, „ხანუმა“, „მზის დაბნელება საქართველოში“, „მეფე ლირი“, „ჰამლეტი“ და სხვა; ასევე ვრცლადაა წარმოდგენილი ოპერისა და ბალეტის, საქართველოში არსებული იტალიური და რუსული ოპერებისა და სახალხო თეატრების მოღვაწეობის კადრები. აქვეა პირველი ქართული ხალხური გუნდებისა და კომპოზიტორების ფოტოები.

მუზეუმის ფოტოფონდი მდიდარია პირველი ქართული ფილ-

მების კინოკადრებით: „ქრისტინე“, „აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, „არსენა ჯორჯიაშვილი“, „ჩემი ბებია“, „ამოკი“, „საბა“, „უკანასკნელი მასკარადი“.

ფოტო და ფოტონეგატივების ფონდში ინახება ივანე პერესტიანის, ალექსანდრე წუწუნავას, ნიკოლოზ შენგელაიას, ვლადიმერ ბარსკის, მიხეილ ჭიაურელის, ალექსანდრე დიღმელოვის, რეზო ჩხეიძის, თენგიზ აბულაძის, გიორგი და ელდარ შენგელაიების და სხვათა პირადი არქივები, სადაც დაცულია როგორც ფოტო, ისე კინომასალები. მრავლად არის რევოლუციის შემდგომი პერიოდის საოპერო და თეატრალური დადგმების კადრები, რომლებიც აკაკი ხორავას, აკაკი ვასაძის, ვერიკო ანჯაფარიძის, სესილია თაყაიშვილის, სერგო ზაქარიაძის, უშანგი ჩხეიძის, ვასო გოძიაშვილის, ალექსანდრე ჟორჟოლიანის და სხვათა შესახებ მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის.

ფონდში დაცულია XIX საუკუნის საქართველოში ეროვნული უმცირესობებისა და დიასპორების კულტურული მოღვაწეობის ამსახველი უმდიდრესი ფოტომასალა.

აქვე ინახება მდიდარი ფოტომასალა, რომელზეც აღბეჭდილია სათეატრო შენობების ხედები, საქართველოს ფილარმონია, ცირკი, მათი გასტროლები, ყრილობები, ორკესტრები, კვარტეტები, ანსამბლები, დეკადები. ფონდი მდიდარია ცნობილ ფოტოგრაფთა: დიმიტრი ერმაკოვის, ალექსანდრე როინაშვილის, ედუარდ კლარის, ალექსანდრე მიხაილოვის, ვლადიმერ ბარკანოვის, ალექსანდრე გერმანის, აბრამ ნორდშტეინის მიერ გადაღებული მასალით, სადაც გვხვდება როგორც ტიპაჟები და სცენები სპექტაკლებიდან, ისე ისტორიული ძეგლები და სხვ. აქვეა XIX საუკუნის მეორე ნახევრის და გასული საუკუნის ღია ბარათების მდიდარი კოლექცია.

რამფირფიტებისა და ფონო-აუდიო ფონდში თავმოყრილია მუზეუმის ერთ-ერთი უმდიდრესი კოლექცია: უძველესი ფირფიტების გვერდით აქ ინახება თანამედროვე კინოსა და მუსიკის აუდიო და ვიდეო ჩანაწერები.

ფონდში დაცული 2503 ექსპონატი ასახვს საქართველოში აუდიომატარებლების განვითარების ისტორიას. აქ ინახება ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ხმისჩამწერი სტუდიების „Disco Pate“-ს, „Concert Report“-ისა და „Gramaphone“-ის მიერ ჩაწერეული ცვილის ლილვაკები, ფირფიტები, აუდიოკასეტები და თანამედროვე CD დისკები. ფონდი მოიცავს საოპერო, სათეატრო, რადიო და სატე-

ლევიზიო აუდიო და ვიდეო მასალას. დაცულია საოპერო ხელოვნების უბადლო შემსრულებელთა ფირფიტები, ასევე რადიოსპექტაკლების ჩანაწერები, საგალობლები, ცვილის ლილვაკებზე ჩაწერილი ექსპედიციის მასალები.

საფიშო ფონდი მუზეუმის დაარსებისთანავე შეიქმნა და მასში 70 ათასზე მეტი ექსპონატია დაცული. ფონდის მცირე ნაწილი, დაახლოებით 4 ათასი ექსპონატი (რევოლუციამდელი პერიოდი), დახარისხებულია ქრონოლოგიური პრინციპით. რევოლუციამდელი პერიოდის ფონდები მდიდარია როგორც პროფესიული ქართული და არაქართული თეატრებისა და პროფესიონალ თეატრალურ მოღვაწეთა: ვანო სარაჯიშვილის, ვასო აბაშიძის, მაკო საფაროვა-აბაშიძის, ლადო ალექსი-მესხიშვილის, გიორგი ფრონისპირელის, ვალერიან გუნიას, ნატო გაბუნიას, იუზა ზარდალიშვილის, კოტე მესხის, თეოდორ შალიაპინის, მოსკოვის საიმპერატორო თეატრის მსახიობებისა და სხვათა შემოქმედების ამსახველი აფიშებით, ასევე სცენისმოყვარეთა დრამატული წრეებისა და სახალხო თეატრების შემოქმედების ამსახველი მასალით.

დემოკრატიული კლუბი
„მუშტაიდი“
ოთხშაბათს, 3 ენკენისთვის 1919 წ.
წარმოდგენილი იქნება
ქრისტინე
დასაწყისი საღამოს 8½ საათზე

წარმოდგენა ”ქრისტინე”. აფიშა

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი პერიოდის საოპერო თეატრის ფონდი, რომელიც 1871 წლიდან დღემდე პერიოდს მოიცავს. ამ ფონდში დაცული აფიშები განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენს, რადგან 1973 წელს ხანძრის შედეგად ოპერისა და ბალეტის თეატრის მუზეუმი მთლიანად განადგურდა და საცავებში დაცული აფიშების დიდი ნაწილი მუზეუმში შემონახული ერთადერთი ეგზემპლარებია. ფონდი მოიცავს სახაზინო თეატრში, ზუბალაშვილის სახალხო სახლში, ნიკიტინის ცირკში, ვერის, ორთაჭალის, ავჭალის, ავლაბრის, მუსულმანთა აუდიტორიებში, ხელოსანთა კლუბებში და სხვა სცენებზე გამართულ წარმოდგენებს.

1897
ქართული თეატრი
ᲙᲕᲘᲠᲐᲡ 9 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ
სამშობლო
ГРУЗИНСКІЙ ТЕАТРЪ
ВЪ ВОСКРЕСЕНЬЕ, 9 НОЯБРЯ 1897 Г.
ТРУППОЮ ГРУЗИНСКАГО ДРАМАТИЧЕСКАГО ОБЩЕСТВА ПРЕДСТАВЛЕНО БУДЕТЪ
РОДИНА
НАЧАЛО РОВНО ВЪ 8 Ч. ВЕЧЕРА. ЦѢНЫ МѢСТАМЪ ОБЫКНОВЕННЫЯ

წარმოდგენა ”სამშობლოს” აფიშა

ფონდი მდიდარია ქართული კინემატოგრაფიის – მხატვრული, დოკუმენტური თუ მულტიპლიკაციური კინოს ისტორიისა და განვითარების ამსახველი მხატვრული აფიშებით.

მემორიალურ და ხელოვნების ნიმუშთა ფონდი 900-ზე მეტ უძვირფასეს ექსპონატს მოიცავს. აქ წარმოდგენილია ქართველ და უცხოელ ხელოვანთა პირადი რელიკვიები. უძველესი ნივთი ანტიკურ პერიოდს განეკუთვნება. კერძოდ ეს არის თეატრალური ნიღაბი მძივსაკიდის სახით, რომელიც 1941 წელს ვანის არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა. მნიშვნელოვანია ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული წარჩინების ნიშნების კოლექცია, მათ შორის აღსანიშნავია დიმიტრი არაყიშვილის რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოების ოქროს ორდენი, ვანო სარაჯიშვილის სახალხო არტისტის მინანქრიანი და ოქროს ქარაგმიანი სამკერდე მედალი. უნიკალური ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენს ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინის ვერცხლის გვირგვინები. ცალკე აღნიშვნის ღირსია თეატრალური, კინო და ქორეოგრაფიული კოსტიუმების დიდი კოლექცია. აქ ინახება ფილმების: „ბაში-აჩუკი" „დიდოსტატის მარჯვენა", „მამლუქი", „ქეთო და კოტე" – ოქრომკედითა და ნახევრად ძვირფასი ქვებით მორთული კოსტუმები. მნიშვნელოვანია ნინო რამიშვილის სახელობის ქართული ნაციონალური ბალეტის სახელმწიფო აკადემიური დასის კოსტიუმები, ცეკვების: „სადარბაზოს", „თუშურისა" და „ხევსურულის" უნიკალური ეგზემპლარები სოლიკო ვირსალაძის ესკიზების მიხედვით შეიქმნა. აქვე ინახება ცნობილი ქართველი მოცეკვავის ფრიდონ სულაბერიძის აჭარული ჩოხა. თეატრალური კოლექციიდან გამორჩეულია მომღერალ სანდრო ინაშვილის კოსტუმები, ერთ-ერთი მათგანი მილანში საგანგებოდ დამზადდა. ესაა ტორეადორის კოსტუმი, სპექტაკლიდან „კარმენი". იგი ოქროს ძაფებით მოქარგული ორნამენტების სიუხვით გამოირჩევა.

ხელოვნების ნიმუშთა შორის მრავალია მემორიალური ნივთები. კერძოდ, ვაჟა-ფშაველას ჩოხის მასრები, სერგო ზაქარიაძის სათვალე ფილმიდან „ჯარისკაცის მამა", დავით ერისთავის მარმარილოს ბლოკნოტი, დიმიტრი არაყიშვილის ოქროს საათი და ის ფონოგრაფი, რომლითაც კომპოზიტორმა ქართული ხალხური სიმღერები ცვილის ლილვაკებზე ჩაწერა. აქვეა დაცული დიმიტრი ყიფიანის სამგზავრო ნესესერი, ეს უნიკალური ნივთი ინგლისის სამეფო-საიმპერატორო ქარხანაშია დამზადებული, მას სამეფო გვირგვინი და ქართველი წმინდანის ასომთავრულით შესრულებული ინიციალები ამშვენებს. ელენე ჩერქეზიშვილის ჩრდილოკავკასიური კოსტუმი კი ბრწინვალე დაღესტნური ფილიგრიმითა და უხ-

ვად ორნამენტირებული სპილენძის ქამრითაა გაფორმებული. ფონდში წარმოდგენილია შალვა დადიანის საომარი ხმალი თურქული დამღით, მისი საწერი მაგიდა და სავარძელი.

ფონდში თამოყრილი ბევრი ნივთი საქართველოში ხელოვნების სხვადასხვა დარგის განვითარების ისტორიას უკავშირდება. მაგალითად აბრეშუმზე დასტამბული ის ძვირფასი აფიშა, რომელიც 1882 წლის 20 იანვარს დავით ერისთავს სპეკტაკლის „სამშობლო“ პრემიერის დღეს მიართვეს. მუზეუმის ერთ-ერთი პირველი ექსპონატი იყო 1913 წელს ქალაქ მოსკოვში კოტე მარჯანიშვილის მიერ დაარსებული „თავისუფალი თეატრის'' ფარდა, ცნობილი რუსი მხატვრის კონსტანტინე სომოვის ესკიზის მიხედვით შექმნილი ეს ხელოვნების ნიმუში მრავალი წლის განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ 1930 წელს ის მოსკოვის ერთ-ერთ თეატრალურ სარდაფში აღმოჩნდა და მუზეუმს გადაეცა.

ფონდში დაცულია მსოფლიო დონის ხელოვანთა ისეთი ნივთები, როგორებიცაა, მაგალითად, მაია პლისეცკაიას პუანტები მისივე ავტოგრაფით, იგი მუზეუმს სერგო ფარაჯანოვმა უსახსოვრა. აქვე ინახება ნინო ანანიაშვილის პუანტები ავტოგრაფით.

სახვითი ხელოვნების ფონდი. სახვითი ხელოვნების, ფერწერისა და გრაფიკის ფონდში დაცულია 300-ზე მეტი ქართველი მხატვრის 10 ათასამდე ექსპონატი, რაც სრულად წარმოაჩენს ქართული თეატრის მხატვრობის ისტორიას. ფონდში დაცული კოლექცია შედგება თეატრალურ მოღვაწეთა ფერწერული პორტრეტების, დეკორაციებისა და კოსტიუმების ესკიზების, გრაფიკული კომპოზიციების, ირანული მინიატურების, ფრანგული და გერმანული გრავიურების, ფერადი ლითოგრაფიების ნიმუშებისაგან.

ფონდში კოლექციებადაა დაცული კოტე მარჯანიშვილთან ერთად მომუშავე მხატვრების -პეტრე ოცხელის, ირაკლი გამრეკელის, კირილე ზდანევიჩის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, დავით კაკაბაძის და სხვათა ნამუშევრები. აქვეა დაცული თამარ აბაკელიას, სერგო ქობულაძის, სოლომონ ვირსალაძის, ივანე ასკურავას, ირაკლი თოიძის, თამარ და დიმიტრი თავაძეების, ნიკოლოზ ყაზბეგის, ფარნა ლაპიაშვილის, რევაზ და თენგიზ მირზაშვილების, ვლადიმერ და მამია მალაზონიების, გიორგი მესხიშვილის, თეიმურაზ მურვანიძის, თეიმურაზ ნინუას და სხვათა ნამუშევრები, რომლებმაც მთელი ეპოქა შექმნეს ქართულ სცენოგრაფიასა და სახვით ხელოვნებაში. ქართველი მხატვრების გარდა, ფონდში ინახება რუსი, სომეხი, აზებაიჯანელი და სხვა უცხოელ

ირაკლი თოიძე.ესკიზი სპექტაკლისათვის "სინათლე

პეტრე ოცხელი. ესკიზი სპექტაკლისათვის

მხატვართა ნამუშევრები. აღსანიშნავია, რომ ფონდში დაცულია XX საუკუნის დასაწყისში პეტერბურგში ჩამოყალიბებული „მირ ისკუსსტვოს" გაერთიანებაში შემავალი მხატვრების, ე.წ. რუსული მხატვრობის „ვერცხლის საუკუნის" წარმომადგენლების – კონსტანტინე კოროვინის, ლევ ბაქსტის, ალექსანდრე ბენუას, ალექსანდრე გოლოვინის და ვიქტორ სიმოვის ნამუშევრები.

ქანდაკების ფონდი. მუზეუმში ქართული რეალისტური ქანდაკების ფუძემდებლის, საქართველოს სახალხო მხატვრის იაკობ ნიკოლაძის სამი ნამუშევარია დაცული, მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მსახიობისა და რეჟისორის ვლადიმერ ალექსიმესხიშვილის პორტრეტი, ბიუსტი დიდ მოქანდაკეს 1940 წელს უნდა შეესრულებინა, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მესხიშვილის სახელი ქუთაისის დრამატულ თეატრს მიენიჭა.

განსაკუთრებით უხვადაა წარმოდგენილი, იაკობ ნიკოლაძის მოსწავლის, შემდგომში დიდი ქართველი რეჟისორისა და მხატვრის – მიხეილ ჭიაურელის ნამუშევრები. თაბაშირის სკულპტურებში ქართული ხელოვნების ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ასახული, როგორებიცაა: ვანო სარაჯიშვილი, კოტე მესხი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია. ეს ნიმუშები ორმაგად ღირებულია, რადგან დიდი შემოქმედის მოღვაწეობის ადრეულ და ნაკლებად ცნობილ პერიოდს გადმოგვცემს. ი. ნიკოლაძის სკოლის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის მოქანდაკე ბიძინა ავა-

ლიშვილის თაბაშირის ბარელიეფი რეჟისორ ალექსანდრე თაყაიშვილს ასახავს.

ფონდში ინახება თანამედროვე ქართული ქანდაკების ერთერთი ფუძემდებლის, საქართველოს სახალხო მხატვრის – ნიკოლოზ კანდელაკის მიერ შესრულებული, მომღერალ ნიკო ქუმსიაშვილის თაბაშირის ბიუსტი. შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა 60-იანელთა თაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის, მხატვართა კავშირის წევრის ნურადინ შავგულიძის ნამუშევარი: გიორგი შავგულიძის ბიუსტი (ბრინჯაო), რომელიც მოქანდაკემ ტრაგიკულად დაღუპული მამის, საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი შავგულიძის ხსოვნას მიუძღვნა. ფონდში ასევე დაცულია დიდი ქართველი მოქანდაკის, რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ელგუჯა ამაშუკელის ერთი ნამუშევარი, ხელოვანმა თაბაშირში ვალერიან გუნიას ანფასი შთამბეჭდავი ოსტატობით გადმოსცა.



ზევსის ანტიკური ქანდაკების ასლი

მუზეუმში წარმოდგენილია რამდენიმე ანტიკური ქანდაკების ასლი, მათგან განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია, პონტოსა

და კოლხეთის მეფის მითრიდატე VI ევპატორი დიონისეს ლუვრში დაცული მარმარილოს ქანდაკების ზუსტი ასლი.

❖

1929 წელს დაარსდა ცხინვალის სახელმწიფო მუზეუმი. ამავე წელს დაარსდა თელავის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი.

სამუზეუმო ფონდების კონცენტრაციის შესახებ განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილების საფუძველზე, საქართველოს მუზეუმებს 1929-1930 წლებში გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგებლობაში არსებული ყველა მუზეუმის, აგრეთვე, ნუმიზმატიკური კაბინეტის ფონდები და სხვ.

1929-1933 წლებში დაარსდა საქართველოს ლიტერატურის მუზეუმი, ფოთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, გორის, სვანეთის, ოზურგეთის, ახალციხის, ცაგერის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმები.

მუზეუმების რიცხვს შეემატა ახალი პროფილის – მემორიალური მუზეუმები. 1937-1940 წლებში გაიხსნა ვაჟა-ფშაველას (ჩარგალში), რაფიელ ერისთავის (ქისტაურში), ი. სტალინის (გორი), ა. წულუკიძის (ქუთაისში), ი. ჭავჭავაძის (ყვარელში), ა. წერეთლის (სხვიტორში), ვ. მაიაკოვსკის (ბაღდადში), გ. ერისთავის (ობისში), ვ. ლენინის მუზეუმის ფილიალი (თბილისში), ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმი. 1941 წლის დასაწყისისათვის საქართველოში 34 მუზეუმი იყო.

საქართველოს ეროვნული სამხატვრო გალერეის ბაზაზე 1932 წელს შეიქმნა სახვითი ხელოვნების ცენტრალური მუზეუმი, სადაც გაერთიანდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის კოლექციები. 1933 წლიდან მუზეუმს ეწოდებოდა სახვითი ხელოვნების ცენტრალური მუზეუმი „მეტეხი“. 1950 წელს მუზეუმს ეწოდა **საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი.**

ხელოვნების მუზეუმი. თბილისი

ხელოვნების მუზეუმის შენობა პუშკინის ქუჩის დასაწყისში მდებარეობს და მთავარი ფასადი თავისუფლების მოედნისკენაა მიმართული. ნაგებობა ქართველ მეცენატსა და მეწარმეს იაკობ ზუბალაშვილს ეკუთვნოდა, ხოლო 1840-იანი წლებიდან მასში მართლმადიდებლური სასულიერო სემინარია ამოქმედდა. 1952 წლიდან შენობაში საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი განთავსდა. შენობის ავტორია იტალიელი არქიტექტორი ჯუზეპე ბერნარდაჩი. ნახევარწრიულ თაღედს დაყრდნობილი, გიგანტური ორდერით მორთული პორტიკით შემკული ნაგებობა გვიანი კლასიციზმის უმნიშვნელოვანესი ძეგლია თბილისში. ისტორიკოსების ცნობით გვიან შუასაუკუნეებში შენობის ადგილას ლევან მეფის დიდი 80 ოთახიანი ქარვასლა იდგა, რომელიც 1724 წლის შემოსევისას დაიწვა.

ხელოვნების მუზეუმში ძირითადად ინახება ქართული ხელოვნების ნიმუშები უძველესი დროიდან დღემდე. მუზეუმის ფონდებში დაცულია 60 ათასზე მეტი ექსპონატი. მუზეუმის საგანძურში განსაკუთრებით ფართოდ არის წარმოდგენილი VIII-XIX საუკუნეების ქართული ოქრომჭედლობა (ზარზმის ფერისცვალების ხატი, ბედიის ბარძიმი, ანჩისხატისა და ხახულის კარედები, თამარ მეფის ჯვარი და სხვ.), ტიხრული მინანქრები, საიუველირო ნაწარმი, მხატვრული ქსოვილები, ქართული არქიტექტურის, მონუმენტური ფერწერისა და მოზაიკის, ქანდაკების, ხატწერის, ხეზე კვეთილობის ნიმუშები. ხელოვნების მუზეუმის აღმოსავლური კოლექცია მდიდარია უნიკალური ხალიჩებითა და ნაქარგობით.

ექსპოზიცია ასევე მოიცავს ქართველ მხატვართა დაზგური ფერწერისა და კამერული ქანდაკების უმნიშვნელოვანეს ნიმუშებს. მათ შორის, XX საუკუნის დასაწყისის გენიალური ქართველი

თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნაწარმოებთა ყველაზე სრულყოფილ კოლექციას. მუზეუმი ასევე მდიდარია დასავლეთ ევროპის ხელოვნების ნიმუშებით. მათ შორისაა, რენესანსის პერიოდის მხატვრის ლუკას კრანახის ფერწერული ტილო.

ლ. კრანახი, „მაჭანკალი“. ხელოვნების მუზეუმი

„მაჭანკალი“ საქართველოში სავარაუდოდ დიდი მთავრის – გიორგი რომანოვის წყალობით აღმოჩნდა. ლ. კრანახის ეს შედევრი ამშვენებდა ლიკანის სამეფო რეზიდენციას. 1920 წლამდე კი იგი კერძო კოლექციონერ ყორღანოვს ჰქონდა, რომლისგანაც შეიძინა ცნობილმა მხატვარმა და მეცენატმა დიმიტრი შევარდნაძემ და თავის მიერ დაარსებულ ცისფერ გალერეაში დაკიდა. 1921 წელს ნახატი საქართველოს საგანძურის ნუსხაში მოხვდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ეროვნულ განძთან ერთად ემიგრაციაში წაიღო, სადაც ექვთიმე თაყაიშვილი ერთგულად იცავდა. ცნობილია ისიც, როგორ ცდილობდნენ მის ხელში ჩაგდებას გერმანელი ფაშისტები. 1946 წელს ქართულ საგანძურთან ერთად „მაჭანკალიც“ დაუბრუნდა საქართველოს და 1994 წლამდე ხელოვნების მუზეუმში იყო გამოფენილი.

ამ ნახატის ხელში ჩაგდების მცდელობას რამდენიმე ადამიანი შეეწირა. დამნაშავეთა სამყაროში არსებული დაპირისპირებული ბანაკები ამ ნახატს ერთმანეთს ეცილებოდნენ. სწორედ ამ მოცილეობას მოჰყვა სისხლიანი ისტორიები. 1994 წლის 27 ივლისის ღამეს ხელოვნების მუზეუმში 10 ნიღბიანი მამაკაცი შეიჭრა, რომლებმაც „მაჭანკლის'' გარდა კიდევ ორი ნახატი გაიტაცეს: იაკობ ვან რეისდალის „პეიზაჟი ჩანჩქერით'' და ჟან შარდენის „ნატურმორტი''.

შარდენის „ნატურმორტი" და ლ. კრანახის „მაჭანკალი" 2004 წელს დაუბრუნდა ხელოვნების მუზეუმს.

სამუზეუმო ქსელის განვითარება ინტენსიურად წარიმართა საქართველოს მხარეებშიც. 1936 წელს **მესტიაში პირველი მუზეუმი** გაიხსნა. მუზეუმში თავი მოუყარეს მესტიის მთავარ ეკლესიაში დაცულ ძეგლებს. მუზეუმს დიდი ამაგი დასდო პეტერბურგის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა, მუზეუმის დირექტორმა ეგნატე გაბლიანმა. მისი ხელმძღვანელობით ახალი კოლექციები შეემატა მუზეუმს. მუზეუმის პოპულარიზაციას ხელი შეუწყო ე. გაბლიანის მიერ პრესაში გამოქვეყნებულმა წერილებმა. მუზეუმის ფონდები მნიშვნელოვნად შეივსო სვანეთის სამეცნიერო-კომპლექსური ექსპედიციის მიერ მოპოვებლი ახალი ექსპონატებით. სვანეთის მუზეუმის კოლექცია, ძირითადად, ეკლესიებისათვის შეწირული განძებისაგან შედგება. მუზეუმის საგამოფენო დარბაზები სწორედ ამ პრინციპითაა მოწყობილი. პირველ განყოფილებაში არქეოლოგიური ექსპონატებია დაცული, შემდეგ დარბაზში – ნუმიზმატიკური განძი, მომდევნო ორ დარბაზში – ხატები, ჯვრები და ეკლესიებისათვის შეწირული ჭურჭელი, ბოლო ორ გალერეაში – უნიკალური ხელნაწერები და მდიდარი ეთნოგრაფიული მასალა. მუზეუმის ცენტრში განთავსებულია დროებითი საგამოფენო სივრცე, სადაც სხვადასხვა თემატური გამოფენა ეწყობა.

1937 წელს თბილისში გაიხსნა **საბავშვო სათამაშოების მუზეუმი.** მნიშვნელოვანია, რომ ამ მუზეუმის ფონდებში დაცულია სათამაშოების უნიკალური ნიმუშები. იგი ამავე დროს არის მატიანე და ამ დარგის განვითარების შესახებ მოუთხრობს დამთვალიერებლებს. მუზეუმის კოლექციები საინტერესო მასალას წარმოადგენს დარგის ისტორიით დაინტერესებული მკვლევარებისათვის.

1937 წელს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დარსდა ახალციხეში. მუზეუმმა, როგორც აღვნიშნეთ, დაიბრუნა ახალციხის მაზრის ძველი მუზეუმის კუთვნილი ექსპონატები. 1972 წელს **ახალციხის მუზეუმი** რაბათის ციხის ტერიტორიაზე მდებარე შენობებში გა-

დავიდა. ამ პერიოდიდან დაიწყო სამუზეუმო კოლექციების გამდიდრებისათვის ზრუნვა.

ახალციხის მუზეუმში დაცულია მნიშვნელოვანი ხელნაწერები, იშვიათი გამოცემები, ფოტოები, ეთნოგრაფიული ნიმუშები და სხვა ისტორიული მასალა. მუზეუმის კოლექციებს შეემატა სამცხე-ჯავახეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული მნიშვნელოვანი ნივთები.

გასული საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევრიდან მნივნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა **აჭარის სახელმწიფო მუზეუმის** მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისათვის. 1924 წლამდე მუზეუმი შერეული ტიპისა იყო, ხოლო 1925 წელს გადაკეთდა აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმად. მუზეუმი იმავე წელს გადაიტანეს ყოფილ სამხედრო ტაძარში, სადაც იგი განთავსებული იყო 1930 წლამდე. სინესტის გამო ამ ტაძარში დიდძალი ექსპონატი გაფუჭდა, ამიტომ 1930 წ. 25 იანვრიდან მუზეუმი ხაზინის შენობაში მოათავსეს (გურიის შესახვევი N 4, ამჟამად ჯინჭარაძის ქუჩა) და იგი ამჟამად აქ მდებარეობს. ნიკოლოზ გომანის შემდეგ, 1938-1989 წლებში მუზეუმის დირექტორი იყო გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სამუზეუმო საქმის ამაგდარი ხარიტონ ახვლედიანი. მის სახელთანაა დაკავშირებული მუზეუმის, როგორც სამხარეთმცოდნეო სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარება-განმტკიცება (ამჟამად მუზეუმი ატარებს ხარიტონ ახვლედიანის სახელს).

1957 წ. მუზეუმის ძველ შენობაზე დაშენდა მე-2 სართული. აჭარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მუზეუმმა თავი მოუყარა ბათუმისა და აჭარის ტერიტორიაზე მოპოვებულ ისტორიული ღირებულების ექსპონატებს. აქ დაცულია 180 ათასზე მეტი ექსპონატი: უნიკალური ნივთები, კოლექციები, ფოტოები, ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმის ოქროს საგანძურებში თავმოყრილია ასზე მეტი დასახელების ნივთი. ხელნაწერთა ფონდში დაცულია 2000-ზე მეტი იშვიათი ხელნაწერი: ქართულ, რუსულ, სომხურ, არაბულ, თურქულ, სპარსულ და სხვა ენებზე; მუზეუმის ბიბლიოთეკაში ინახება 63 ათასზე მეტი წიგნი სხვადასხვა ენაზე. მათ შორის ბევრი ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა.

აჭარის სახელმწიფო მუზეუმი

ბერძნული კრატერი.
ბრინჯაო. ძვ.წ.აღ. XII-IX სს.

ცხვრის ქანდაკებ.
ძვ.წ.აღ. 460-450 წწ.

მუზეუმში დაცულია ძვ. წ. XII–IX საუკუნეების, აგრეთვე VII-IV საუკუნეების უნიკალური არქეოლოგიური მასალები: ანტიკური პერიოდის ბერძნული შავლაკიანი კრატერი, გრავირებული ცულები, ბრინჯაოს ვერძი, გონიოს განძი – ინტალიო აფროდიტესა და

ეროსის გამოსახულებით, I-II საუკუნეების ოქროს ჭედური ფიალა, ბადროს მტყორცნელის ოქროს ფიგურა, ოქროს სარტყლის ფრაგმენტები, გულსაკიდები ჰელიოსისა და სტილიზებული გამოსახულებებით, სხვადასხვა მასალისგან დამზადებული მძივები, კილიტები, გულსაბნევი, საკულტო დანიშნულების სკულპტურები (ბრინჯაო), სკივრის მორთულობის ფრაგმენტი მუხის ფოთლებისა და ნაყოფის გამოსახულებით; აგრეთვე: ბუნების იშვიათი ძეგლები (მათ შორის 25 მლნ. წლის გაქვავებული ხე), XIX-XX საუკუნეების მიჯნის ეთნოგრაფიული, ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, ხელნაწერები, სახვითი ხელოვნების ნიმუშები.

მუზეუმი ახორციელებს მნიშვნელოვან საექსპოზიციო და საგანმანათლებლო პროექტებს. აქ საგანმანთლებლო მუშაობა სხვადახვა სახით ხორციელდება. მუზეუმი აქტიურად თანამშრომლობს ბათუმის საჯარო და კერძო სკოლებთან, სხვადასხვა საგანმანათლებლო და კულტურის დაწესებულებებთან. მუზეუმში ტარდება ინტეგრირებული და თემატური გაკვეთილები, ვიქტორინები, სამეცნიერო კონფერენციები.

❖

XX საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო საქართველოდან უცხოეთში გატანილი განძის სამშობლოში დაბრუნება. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ ისტორიული გადაწყვეტილების მიღებასა და განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, პირადად ი. სტალინმა. 1944 წლის აგვისტოს მოსკოვში გაიმართა საფრანგეთის განმათავისუფლებელი არმიის გენერალ დე გოლის შეხვედრები ი. სტალინთან. აქვე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ საფრანგეთის მთავრობა მიიღებდა ზომებს, საქართელოს დაბრუნებოდა კუთვნილი განძეულობა (მართლაც, ორიოდე თვეში, 1944 წლის 23 ნოემბერს დე გოლმა ხელი მოაწერა განკარგულებას: „დაუყოვნებლივ დაუბრუნდეს“).

საფრანგეთიდან საქართველოში განძის დასაბრუნებლად თბილისში შეიქმნა სპეციალური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა შ. ამირანაშვილი. ჯგუფის წევრები თბილისიდან დაუყოვნებლივ გაემგზავრნენ პარიზში ირანისა და ეგვიპტის გავლით. ჯგუფმა პარიზში მნიშვნელოვანი სამუშაო შეასარულა ეროვნული განძის აღსაწერად. ვინაიდან ომი ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებუ-

ლი, ჯგუფის წევრები თითქმის 2 თვე ელოდნენ მოსკოვიდან თვითმფრინავს.

ნივთების წამოსაღებად მოსკოვიდან ჩამოფრინდა სამი თვითმფრინავი. ერთი მათგანი დაიტვირთა საბჭოთა საელჩოს საარქივო დოკუმენტებით და მოსკოვში გაიგზავნა. როდესაც აღნიშნული თვითმფრინავი მშვიდობით ჩავიდა მოსკოვში, მაშინვე დაიტვირთა ორი თვითმფრინავი განძეულობით და 5 აპრილს პარიზიდან გამოფრინდა შეიარაღებული მცველების თანხლებით. რომის, კაიროსა და თეირანის გავლით 12 აპრილს თვითმფრინავები თბილისის აეროდრომზე დაეშვნენ. ეროვნულ განძს თან ჩამოჰყვა მისი ერთგული გუშაგი ექ. თაყაიშვილი. ეს ხანგრძლივი მოგზაურობა მან ასაკის მიუხედავად (მაშინ 82 წლისა იყო) კარგად გადაიტანა.

საქართველოს დაუბრუნდა 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მიერ საფრანგეთში გატანილი სამუზეუმო განძეულობა.

ეროვნული განძი მოთავსდა საქართველოს მუზეუმის 3 სეიფში, რომელიც მაშინ „მეტეხის" მუზეუმის (მოგვიანებით საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) დროებით სარგებლობაში იმყოფებოდა.

1945 წლის 14 აპრილს საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო დადგენილება საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნებული განძეულობის მიმღები კომისიის შექმნის შესახებ. კომისიის თავმჯდომარეობა დაევალა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს სიმონ ჯანაშიას. კომისიის შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ: ვ. მგალობლიშვილი, ა. აფაქიძე, ს. ჭილაია, შ. ამირანაშვილი. სახკომსაბჭოს დადგენილებით კომისიას დაევალა სამუზეუმო ფასეულობათა მიღების აქტისა და მუზეუმებს შორის განძეულობის განაწილების პროექტის წარდგენა. კომისიამ მუშაობა დაასრულა 1945 წლის 29 დეკემბერს. პარიზიდან ჩამოტანილი აღმოჩნდა განძეულობის შემცველი 44 ყუთი და 1 შეკვრა.

საქართველოს დაუბრუნდა: შოთა რუსთაველის 3 ხელნაწერი, დავით კურაპალატის ჯვარი, თამარ მეფის გულსაკიდი და ჯვარი, ცნობილი გერმანელი მხატვრების ლუკა კრანახ უფროსის („მაჭანკალი"), ქრისტიან ვილჰელმ-ერნსტ დიტრიხის 2 ტილო („მოხუცი მამაკაცის" და „მოხუცი ქალის" პორტრეტები), ფრანგი მხატვრის პიერ-პოლ პრიუდონის მიერ შესრულებული ფრანგი დიპლომატის ტალეირანის ფერწერული პორტრეტი და სხვ.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (1947 წლის 16

იანვარი), განძი განაწილდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს, „მეტეხის“ მუზეუმს (საქართველოს ხელოვნების მუზეუმი) და ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს შორის.

საზოგადოების დიდი ინტერესიდან გამომდინარე, 1945 წლის 15 აგვისტოს პირველად მოეწყო საფრანგეთიდან დაბრუნებული განძის საჯარო გამოფენა. საზეიმო გახსნის პატივი წილად ხვდა უცხოეთიდან დაბრუნებული განძეულობის მიმღები კომისიის თავმჯდომარეს ს. ჯანაშიას, რომელმაც მუზეუმში შეკრებილ საზოგადოებას ამაღელვებელი სიტყვებით მიმართა: „...განძეულობამ გამოიარა სრულიად განსაკუთრებული ოდისეა, ვიდრე თავის ნამდვილ პატრონს დაუბრუნდებოდა...".

❖

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კიდევ უფრო გაფართოვდა სამუზეუმო ქსელი საქართველოში და მუზეუმების რაოდენობა თითქმის სამჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით იმატა სამხარეთმცოდნეო და მემორიალური მუზეუმების რაოდენობამ. XX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოსათვის საქართველოში 142 სახელმწიფო მუზეუმი იყო. აქედან: 62 მემორიალური, 35 მხარეთმცოდნეობის, 26 ისტორიულ-რევოლუციური, 12 ხელოვნების, 6 სხვა დარგის, 1 ლიტერატურული. გარდა ამისა, საზოგადოებრივ საწყისებზე მოქმედებდა 15 სახალხო, მრავალი სასკოლო და სხვ. მუზეუმი.

XX საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში გაიხსნა ახალი ტიპის სამუზეუმო დაწესებულება – **სამეცნიერო მუზეუმი** (1961წ.). იგი შეიქმნა პროფესორ ნ. ხომეზურაშვილის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. იმთავითვე განისაზღვრა მუზუმის პროფილი – ტრადიციული აგრარული დარგების (მებაღეობა, მევენახეობა, მეღვინეობა) მეცნიერული კვლევა და შესწავლა.

მუზეუმის კლასიფიკაცია წლიდან წლამდე იცვლებოდა. ეს არ იყო დასრულებული პროცესი. სხვადასხვა ახალი პროფილის მუზეუმების გახსნით პერიოდულად იცვლებოდა მუზეუმების კლასიფიკაციის არეალი. საქართველოც არ არის, ამ მხრივ, გამონაკლისი.

2000 წლის ივნისში თბილისში გაიხსნა **აფთიაქის მუზეუმი.** ამ მუზეუმის გახსნას საფუძვლად დაედო სააფთიაქო ქსელის განვითარების მდიდარი ტრადიციები. 1876 წელს გერმანელ პროვიზორს, ფლორ შონბერგს ნება დართეს თბილისში გაეხსნა კერძო აფთიაქი. 1902 წ. აფთიაქი გახსნეს გერმანელმა წამალთმცოდნეებ-

მა ფრიდრიხ და ფერდინანდ ჰაინებმა, რომელიც მოგვიანებით თბილისის N 1 აფთიაქის სტატუსს ატარებდა. სწორედ ამ აფთიაქის ბაზაზე გაიხსნა მუზეუმი.

დასახელებული მუზეუმების უმეტესობა შედიოდა საქართველოს კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში. კულტურის სამინისტრო კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა სამმართველოს, სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტისა და ქალაქებისა და რაიონების კულტურის განყოფილებების საშუალებით უწევდა მათ ხელმძღვანელობასა და კონტროლს სამუზეუმო მუშაობის ყველა სფეროში.

მიუხედავად იდეოლოგიური წნეხისა, საქართველოს მუზეუმები დიდ მუშაობას ატარებდნენ ფონდების დაკომპლექტების, მათი შესწავლის, მეცნიერული დოკუმენტაციის შექმნის, სამუზეუმო საგნების შენახვისა და რესტავრაცია-კონსერვაციის ხაზით. მუზეუმები გამოსცემდნენ სამეცნიერო კრებულებს, კატალოგებს, გზამკვლევებს. აქვეყნებდნენ პირველწყაროებს, აწყობდნენ ექსპოზიციებს და ახორციელებდნენ სამეცნიერო-საგანმანათლებლო საქმიანობას.

2.4. სამუზეუმო ქსელის განვითარება 1991 წლიდან დღემდე

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1991წ.) შემდეგ დამოუკიდებლობის პირველ ეტაპზე გარდამავალი პერიოდი უმძიმესი აღმოჩნდა ქვეყნის, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, ისე სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში. მიუხედავად სირთულეებისა, სამუზეუმო სფეროში დასაქმებულმა მუშაკებმა პირადი ენთუზიაზმისა და პროფესიისადმი ერთგულების ფასად შეძლეს მუზეუმების განძეულობის დაცვა და მოვლა-პატრონობა. ქვეყანაში გაჩაღებული სამოქალაქო ომის, გამეფებული განუკითხაობის, ცხოვრების დუხჭირ პირობებში, მუზეუმებმა შეინარჩუნეს სტატუსი და ძარცვა-ყაჩაღობისაგან გადაარჩინეს ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობა.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა და საომარი კონფლიქტების გამო, შეფერხდა სამუზეუმო ქსელის განვითარება.

ერთადერთი მხარე საქართველოში, სადაც მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სამუზეუმო ქსელის განვითარებისათის, ეს იყო აჭარა. განსაკუთრებული წვლილი მუზეუმების განვითარებაში მიუძღვის აჭარის ავტონომიური რეპუბლიკის მაშინდელ კულტურის მინისტრს, აწ განსვენებულ თეიმურაზ კომახიძეს, რომლელმაც დიდი ამაგი დასდო წარსულის კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობას.

სამუზეუმო ქსელის განვითარებისა და მრავლაფეროვნების მხრივ აჭარის მხარე დღეს ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა საქართველოში. გასული საუკუნის 90-იან წლებში რამდენიმე ახალი მუზეუმი გაიხსნა აჭარაში. კერძოდ:

აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი;
ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი;
ილია ჭავჭავაძის მუზეუმი;
კულტურისა და განათლების მუზეუმი;
მემედ აბაშიძის მუზეუმი;
ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმი;
გონიო-აფსაროსის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი;
მაჭახელას ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი;
ახალშენის მუზეუმი;
მეჯინისწყლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
შუახევის ეთნოგრაფიული მუზეუმი;
სელიმ ხიმშიაშვილის სახელობის ციხე-მუზეუმი;
კვიახიძეების ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი;
ხულოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
თხილვანის ეთნოგრაფიული მუზეუმი
შერიფ ხიმშიაშვილის სახლ–მუზეუმი;
ქედის ისტორიული მუზეუმი.

ბათუმის არქეოლოგის მუზეუმი შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მუზეუმთაგანია. იგი არსებობს 1994 წლიდან. მიუხედავად ამისა, მუზეუმი მეცნიერებისა და კულტურის

ერთ-ერთ მნიშვნელოვან კერად იქცა. მის ფონდებში თავმოყრილია აჭარის ტერიტორიაზე აღმოჩენილი სხვადასხვა ეპოქის ნივთიერი კულტურის ძეგლები – 22 800 სამუზეუმო ექსპონატი. ესენია: ფიჭვნარში, ციხისძირში, ბათუმის ციხეზე, კვაშტაში, მახვილაურში, სხალთაში, ხიხაძირში და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა ადგილებში აღმოჩენილი ნივთიერი კულტურის ძეგლები, მათ შორის აღსანიშნავია საიუველირო ხელოვნების ნიმუშები.

მუზეუმის დირექტორის ა. კახიძის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორხიელდა მუზეუმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებისათვის. 1998 წლიდან მუშაობს ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლის მუზეუმის ფიჭვნარის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც ახალი აღმოჩენებით გაამდიდრა მუზეუმის საგანძური. მიმდინარეობს ექსპონატების მეცნიერული დამუშავება, კატალოგიზაცია.

ბათუმის არქეოლოგის მუზეუმი

მუზეუმში ფუნქციონირებს სარესტავრაციო ლაბორატორია. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფონდებში დაცული მასალის

გრაფიკულ და ფოტოფიქსაციას. შეიქმნა ფოტო-ლაბორატორია და ფოტოარქივი. მუზეუმს გააჩნია მდიდარი სპეციალიზირებული სამეცნიერო ბიბლიოთეკა. მუზეუმი გამოსცემს სამეცნიერო კრებულებს, სამუზეუმო კატალოგებს, ალბომებს, გზამკვლევებს.

ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი აქტიურ საექსპედიციო, სამეცნიერო-კვლევით, საგანმანათლებლო-კულტურულ და საფონდო მუშაობას ეწევა. მიმდინარეობს ფონდების ინვენტარიზაცია-კატალოგიზაცია, გახშირდა კონტაქტები საზღვარგარეთის შესაბამისი პროფილის სამეცნიერო–კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

ბათუმის არქეოლოგიის მუზეუმი

მუზეუმის თანამშრომლები მონაწილეობას ღებულობენ როგორც რესპუბლიკურ, ასევე საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებში. გრძელდება საქართველო–ბრიტანეთის ერთობლივი არქეოლოგიური ექსპედიცია. მიმდინარეობს მუშაობა აჭარის არქეოლოგიური რუკის შედგენაზე. განზრახულია სუვენირების დამამზადებელი სახელოსნოს შექმნა, სადაც დამზადდება არქეოლოგიური ექსპონატების ასლები. მუზეუმის ფოიეში მოწყობილია აჭარის ეთნოგრაფიული ყოფისა და გვიან შუასაუკუნეების პერიოდის ამსახველი მცირე ექსპოზიცია. სამომავლოდ დაგეგმილია მუზეუმში საერთაშორისო ტურიზმის ცენტრის შექმნა, რომელიც მოიზიდავს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან მოყვარულ არქეოლოგებსა და ისტორიით დაინტერესებულ კერძო პირებსა თუ ორგანიზაციებს, რომელთაც სათანადო საფასურის გადახდის შემდეგ შეეძლებათ

მონაწილეობა მიიღონ საველე სამუშაოებში. ეს არა მხოლოდ გაზრდის მუზეუმის შემოსავლებს, არამედ პოპულარიზაციას გაუწევს ჩვენი მხარის ისტორიასა და კულტურას.

აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი დაარსდა 1998 წელს. მუზეუმში დაცულია ცნობილ ქართველ და უცხოელ მხატვართა ფერწერულიტილოები(ნ. ფიროსმანი,დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი,

ე. ახვლედიანი, ს. ბაკალოვიჩი, რ. ზომერი, ა. ლ. ტერნი, რ. ფეტვიაშვილი,

ნ. იგნატოვი, ი. ზანკოვსკი, გ. წერეთელი და სხვა), გრაფიკული (დ. ერისთავი, ნ. ჭურღულია, ლ. ზამბახიძე და სხვა) ნამუშევრები, კერამიკის, ხის, მინის, ჭედურობის, გობელენის ნიმუშები, სკულპტურა (ე. სანტარელის „ნიმფა და პატარა ფავნი", გ. ოჩიაურის „მეულლის პორტრეტი", მ. ბერძენიშვილის „ტორსი" და სხვა).

მუზეუმი განთავსებულია ბათუმის ერთ-ერთ ისტორიულ შენობაში. ეს მონუმენტური ნაგებობა აშენებულია ცნობილი არქიტექტორის კახა ჯავახიშვილის პროექტის მიხედვით 1949 წელს.

აჭარის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

მუზეუმი უმნიშვნელოვანეს კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს. მდიდარი და მრავალფეროვანია მუზეუმის ყოველწლიური პროექტების ნუსხა. აქ ეწყობა რეს-

პუბლიკური მნიშვნელობის, მაღალი ორგანიზებულობით და უაღრესად დახვეწილი გემოვნებით მომზადებული გამოფენები, შეხვედრები, მასტერკლასები, „ვორკშოპები“ და სხვა.

მუზეუმი ხელოვანთა შეხვედრების საყვარელ ადგილს წარმოადგენს. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ქალაქის საზოგადოება ყოველთვის ინტერესით ელოდება ახალი პროექტის განხორციელებას.

მუზეუმს დაემატა თანამედროვე დონეზე მოწყობილი ინფრასტრუქტურა, რომელიც კიდევ უფრო გაამრავალფეროვნებს სამუზეუმო საქმიანობას.

პოსტსაბჭოთა პერიოდის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო 2007 წელს ბათუმში **ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის** გახსნა.

იგი სწორედ იმ შენობაშია განთავსებული, სადაც ნობელების ამხანაგობის „ბათუმის კანტორა“ მდებარეობდა. ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიური მუზეუმის ექსპოზიცია ასახავს იმ ტექნოლოგიურ მიღწევებს, რომლებიც ბათუმში ინერგებოდა XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის I ნახევარში, მათ შორის, ძმები ნობელების, როტშილდებისა და მანთაშევის მეოხებით, რაც დაკავშირებული იყო ჩაის და თამბაქოს კულტურების, აგრეთვე, პოლიგრაფიის განვითარებასთან; ხოლო ძმები ნობელების მეშვეობით ბათუმში დაინერგა ნავთობტრანზიტის ახალი ტექნოლოგიები.

ძმები ნობელების სახელობის ბათუმის ტექნოლოგიის მუზეუმი

მუზეუმში ექსპონირებულია ასევე ცნობილ ფოტოგრაფ სერგეი პროკუდინ-გორსკის ფოტოები, რომლებიც ასახავს XIX ს-ისა და XX დასაწყისის საქართველოს ყოფას და კულტურას. მუზეუმი რამდენიმე მიმართულებით აგრძელებს მუშაობას, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ძმები ნობელების კავშირს ბათუმთან.

მუზეუმი განთავსებულია ბათუმის უძველეს ისტორიულ უბანში (თამარ მეფის გამზირი, თამარის ციხის სიახლოვეს), საიდანაც დაიწყო ბათუმის ისტორია.

დღეისათვის საქართველოში სხვადასხვა პროფილის 200-ზე მეტი მუზეუმი და მუზეუმის ფილიალი ფუნქციონირებს. მუზეუმის პროფილი მოიცავს თითქმის ყველა მიმართულებას: კომპლექსური, ხელოვნების, მხარეთმცოდნეობის, ისტორიის, ლიტერატურის, მემორიალური, არქიტექტურის, მრეწველობის, სპორტის, ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, ბუნებისმეტყველების, მუზეუმ-ნაკრძალი და სხვ.

საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინფორმაციით მუზეუმების რაოდენობა პროფილის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება:

- კომპლექსური მუზეუმები – 2
- ხელოვნების – 27
- მხარეთმცოდნეობის – 33
- ისტორიის (არქეოლოგია, ეთნოგრაფია, ნუმიზმატიკა და სხვ.), ისტორიულ-არქიტექტურული – 28
- ლიტერატურის – 3
- მემორიალური – 80
- სპორტის – 3
- განათლების – 1
- ჯანდაცვის 2
- ხუროთმოძღვრების – 1
- მრეწველობის – 4
- სოფლის მეურენობის – 1
- ბუნებისმეტყველების – 4
- მუზეუმ-ნაკრძალი – 17

2.5 საქართველოს მუზეუმ-ნაკრძალები

სამუზეუმო ქსელის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება იყო მუზეუმ-ნაკრძალების გახსნა. მუზეუმ-ნაკრძალი თავისი არსით სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანთლებლო დაწესებულებაა. იგი წარმოადგენს ბუნებისმეტყველების მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა საცავს, რომლის შემადგენლობაში ექსპოზიციის გარდა შედის ნაკრძალის ტერიტორიაზე განლაგებული არქიტექტურული ან ისტორიული ძეგლები.

მუზეუმ-ნაკრძალი შეიძლება იყოს ისტორიულ-მხატვრული, ისტორიულ-არქიტექტურული, ისტორიულ-კულტურული, სამხედრო-ისტორიული, კომპლექსური, ისტორიულ-მხატვრული და არქიტექტურული.

საქართველოში კომპლექსური ისტორიულ-არქიტექტურული და მხატვრული მუზეუმ-ნაკრძალია ვარძიის (1938), დავით-გარეჯის (1973), უფლისციხის (1980), ჩაჟაშის (მესტია, 1980), გრემნეკრესის (ყვარელი, 1980), გელათის (1981), გონიო-აფსაროსის (1995), პეტრა-ციხისძირის (ქობულეთი, 1995).

განვიხილოთ რამდენიმე მუზეუმ-ნაკრძალი.

მცხეთა

მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში (მსოფლიოს 878 ძეგლდან) საქართველოს მატერიალური კულტურის რამდენიმე ძეგლია შეტანილი. მათ შორის, ქალაქი-მუზეუმი ღია ცის ქვეშ – **მცხეთა**. ქალაქი-მუზეუმი ღია ცის ქვეშ – იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში 1994 წელს მოხვდა.

მცხეთისა და „დიდი მცხეთის“ ტერიტორია დასახლებული იყო ადრინდელი და შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. III—II ათასწლეული). ლეგენდის თანახმად, ქალაქი დააარსა ეთნარქმა მცხეთოსმა. არსებობს მოსაზრება, რომ სახელწოდება „მცხეთა“ წარმოდგება მესხთა (მოსხები — მუშქები) ტომის სახელიდან. ძვ. წ. IV საუკუნის ბოლოდან მცხეთა ახლად წარმოქმნილი ქართლის (იბერიის) სამეფოს პოლიტიკური ცენტრია.

სვეტიცხოველი

ძვ. წ. 65 წელს მცხეთა რომაელმა სარდალმა პომპეუსმა დალაშქრა. გადმოცემით, IV საუკუნის დასაწყისში იერუსალიმიდან მოსული მისიონერი ნინო მცხეთაში ქრისტიანობას ქადაგებდა (მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილებია სამთავრო, სვეტიცხოველი, ჯვარი). 326 წელს მეფე მირიან III-მ და მისმა ოჯახმა ახალი რელიგია მიიღო. ქრიასტიანობა სახელმწიფო რელიგია გახდა. VI საუკუნის დასაწყისში მეფე დაჩი I უჯარმელმა მამის — ვახტანგ გორგასლის ანდერძის თანახმად, დედაქალაქი მცხეთიდან თბილისში გადაიტანა. მცხეთამ დაკარგა პოლიტიკური მნიშვნელობა,

მაგრამ იგი კვლავინდებურად ქვეყნის საეკლესიო ცენტრად დარჩა — აქ იყო საქართველოს პატრიარქ-კათოლიკოსის რეზიდენცია.

ადრინდელ ფეოდალურ ხანაში მცხეთაში მიმდინარეობდა საკმაოდ ინტესიური მშენებლობა საკულტო ნაგებობებისა — სვეტიცხოველი (IV საუკუნე — ხის ეკლესია, V საუკუნე — ქვის ბაზილიკა. არც ერთი აღარ არსებობს), სამთავროს წმ. ნინოს ეკლესია (IV ს., გადაკეთებულია XIX საუკუნეში), ჯვრის მცირე ეკლესია (VI საუკუნის II ნახევარი) და დიდი ტაძარი (585/6—604), „ანტიოქია“ (VII—VIII) და სხვა. განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში შენდება დიდი ტაძრები — სვეტიცხოველი (1010—1129, ხუროთმოძღვარი არსუკისძე), სამთავრო (XI საუკუნის 30-იანი წლები), აგრეთვე ერთნავიანი ეკლესიები: ბარბარეთი (X—XI სს.), ახალქალაქური (ამჟამად ოლღას ეკლესიად წოდებული, XI—XII საუკუნეები, გადაკეთებულია XIX საუკუნეში), კალოუბნის წმ. გიორგი (XII ს. მოხატულობით) და სხვა. თავდაცვითი ნაგებობებიდან შემორჩენილია ბებრის (ბელტის) ციხე (გვიანდელი ანტიკური-ფეოდალური ხანა), სვეტიცხოვლის გალავანი (1787) და სხვა. საერო — კათალიკოს მელქისედეკის სასახლის ნაშთები (სვეტიცხოვლის გალავნის სამხრეთ კედლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, XI საუკუნე), სვეტიცხოვლის კარიბჭე (1029).

მცხეთის ჯვარი

ფეოდალურ ხანაში მცხეთაში გაშლილი იყო კულტურულ-საგანმანათლებლო მუშობა. VI საუკუნეში აქ შეიქმნა „ევსტათი

მცხეთელის მარტვილობა“. მცხეთაში მოღვაწეობდნენ: არსენ დიდი (IX ს.), არსენ II (X ს.), მწიგნობარ-კალიგრაფები მაღალაძეები (XV—XVIII სს.) და სხვები. მცხეთის სვეტიცხოველს ხელნაწერების უმდიდრესი ბიბლიოთეკა ჰქონდა, რომელიც მტრებს მრავალგზის გაუნადგურებიათ. ჩვენამდე მოღწეულია მცხეთის წიგნსაცავის მრავალი მნიშვნელოვანი ნუსხა.

მუზეუმ-ნაკრძალში დაცულია სხვადასხვა პერიოდის უნიკალური არქეოლოგიური ნიმუშები. მათ შორის, უძველეს მიწათმოქმედთა იარაღები (ძვ.წ. IV ათასწ.), პრეისტორიული ხანის საბავშვო სათამაშოები (ძვ.წ. II ათსწ.), ანტიკური ხანის ოქრომჭედლობის და ბერძნული ეპიგრაფიკის შესანიშნავი ნიმუშები. ასევე, მცხეთის უძველესი სამაროვანი (ძვ.წ. II ათსწ. – ახ.წ. VIII-IX სს.) და ნამოსახლარი (ძვ.წ. VIII-VII სს.), ანტიკური და ადრეშუასაუკუნეების ხანის უმნიშვნელოვანესი ძეგლები: არმაზციხე-ბაგინეთი – ქალაქ მცხეთის აკროპოლისი და ქართლის მეფეთა რეზიდენცია (ძვ.წ. III – ახ.წ. VIII სს.), არმაზისხევი – პიტიახშ-ერისთავთა რეზიდენცია და სამაროვანი, კლდოვანი მთის ციცაბო კალთის ძირას ნაგები მავზოლეუმი (I ს.).

მნიშვნელოვან მუზეუმ-ნაკრძალს წარმოადგენს **დავითგარეჯი** – ფეოდალური ხანის საქართველოს ერთ-ერთი თვალსაჩინო რელიგიურ-კულტურული ცენტრი, სამონასტრო გამოქვაბულთა კომპლექსი.

დავით გარეჯი

კომპლექსი დაარსდა VI საუკუნის I ნახევარში ერთ-ერთი ასურელი მამის დავითის მიერ. იგი თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად მოვიდა გარეჯის უდაბნოში და დასახლდა პატარა, ბუნებრივ მღვიმეში. ასე ჩაეყარა საფუძველი მონასტერს, რომელიც შემდგომ საუკუნეებში ცნობილი გახდა დავითის ლავრის სახელით.

დავითის ლავრა

დავითის ლავრა გარეჯის სამონასტრო ცხოვრების ცენტრი იყო. დროთა ვითარებაში მას განშტოებები შეემატა. გარკვეულ პერიოდში მონასტერთა რიცხვმა თორმეტსაც მიაღწია. ამ ხანიდან უნდა იყოს შემორჩენილი სახელწოდება „გარეჯის ათორმეტნი მონასტერნი“. შემდეგში თანდათან ჩამოყალიბდა შორი-შორს მდებარე გამოქვაბულ მონასტერთა კომპლექსების ქსელი: წამებული, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თერთრსენაკები, დოდოს რქა, უდაბნო, აღდგომისა წამებული, ბერთუბანი, მღვიმე, ქოლაგირი, დიდი ქვაბები, ვერანგარეჯა, პირუკუღმარი, პატარა ქვაბები.

დავითგარეჯის მონასტერთა საქმიანობა თვალსაჩინო და მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა ქართველი ხალხის როგორც რელიგიურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში. XII საუკუნის დასაწყისში დავით IV აღმაშენებელმა დავითგარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია. მონასტრები გათავისუფლებული იყო სახელმწიფო გადასახადებისაგან. 1265 წელს მონღოლთა ლაშქარმა ბერქა-ყაენის სარდლობით დაარბია და მოაოხრა დავითგარეჯა და მისი მიდამოები.

XIV საუკუნის I ნახევარში, გიორგი V ბრწყინვალის მეფობაში,

დავითგარეჯა მძლავრ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცენტრად იქცა. მონასტერთა მესვეურნი მონაწილეობდნენ სამეფო დარბაზის მუშაობაში და ქვეყნის საეკლესიო საქმეთა მართვაში. XIV საუკუნის ბოლოს თემურლენგის მრავალგზის ლაშქრობების დროს, სამონასტრო ცხოვრება მოიშალა. 1424 წელს ალექსანდრე I დიდმა დავითგარეჯა მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ეკლესიას შესწირა. 1616-1617 წლებში სპარსელთა ლაშქარმა დაარბია, მონასტრები გაუქმდა. 1639 წელს თეიმურაზ I-მა აღადგინა აქ სამონასტრო ცხოვრება. XVIII საუკუნეში დავითგარეჯა კვლავ მეფის ხელდებული გახდა. მას ეკუთვნოდა ვრცელი მამულები და სოფლები, იქ მოსახლე გლეხები სამონასტრო ყმებად ითვლებოდნენ. დავითგარეჯის მონასტრებმა XIX საუკუნის დასასრულამდე იარსება.

დავითგარეჯის სამონასტრო მშენებლობამ თავის მწვერვალს საქართველოს საერთო ეროვნულ და კულტურულ-პოლიტიკური აღმავლობის დროს, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. აქ გამომუშავდა სამონასტრო ცხოვრებისა და მშენებლობის საკუთარი წესი, ფრესკული მხატვრობის საკუთარი სკოლა.

ამ პერიოდის დავითგარეჯის მონასტრების სახე მკვეთრად განსხვავდება ადრინდელი პერიოდის მონასტრებისაგან. მთავარ ეკლესიებსა და სატრაპეზოებში ადრინდელი უბრალოებისა და უშუალობის ნაცვლად თავი იჩინა დიდებულებამ, გრანდიოზულობამ, ინტერესმა ფართო, თავისუფალი სივრცისადმი. შთაბეჭდილებას კიდევ უფრო აძლიერებდა მთავარი ეკლესიებისა და საერთო სატრაპეზოების კედლების მოხატულობა. დავითგარეჯის მხატვრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქტიტორთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები, მათ შორის, საქართველოს მეფეთა პორტრეტები (თამარ მეფე და მისი ძე გიორგი IV ლაშა — ბერთუბნის ეკლესია, ამჟამად — ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი; მეფე დემეტრე II თავდადებული — უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მოხატულობა). ქტიტორთა პორტრეტები ზომით ბევრად ჭარბობს რელიგიური პერსონაჟების გამოსახულებებს, რაც მოწმობს ქართველი ოსტატის დამოუკიდებლობას ბიზანტიური ხელოვნების მიერ დაკანონებული სქემებისაგან. აღსანიშნავია ბერთუბნის სატრაპეზოს მოხატულობა, რომელიც საზეიმო და დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. უდაბნოს მთავარ ეკლესიაში გამოსახულია სცენები დავით გარეჯელის ცხოვრებიდან. ასევე საინტერესოა უდაბნოს მონასტრის ამაღლების ეკლესიის

აფსიდის მოხატულობაც, რომელიც გამოირჩევა მეტყველი სახეებით და დინამიკურობით.

გვიანდელ ფეოდალურ ხანაში ცალკეული სამონასტრო კომპლექსი ურთიერთშორის დაკავშირებული იყო საგუშაგო და სასიგნალო კოშკებით, რომლებმაც ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. საინტერესოა ბოლო საუკუნეების (XVII, განსაკუთრებით XVIII საუკუნე) ცალკეული გამოქვაბულები, რომლებიც გაჯის ნაძერწი მორთულობითაა გაფორმებული.

დავითგარეჯი. საგუშაგო და სასიგნალო კოშკი

სხვადასხვა დროს დავითგარეჯის მონასტრებში მოღვაწეობდნენ ონოფრე გარეჯელი (XII ს.), დემეტრე I, ონოფრე მაჭუტაძე (XVII-XVIII საუკუნეების მიჯნა), სულხან-საბა ორბელიანი, ბესარიონ ბარათაშვილ-ორბელიშვილი, ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი (XVIII ს), გაბრიელ საგინაშვილი (XVIII ს), გრიგოლ დოდორქელი, ანტონ I, ტიმოთე გაბაშვილი, გაბრიელ მცირე და სხვა. გარეჯელი მოღვაწეები წერდნენ ხელნაწერებს, ადგენდნენ კრებულებს, დახმარებას უწევდნენ კულტურის სხვა კერებს. დავითგარეჯში დაცული იყო ხელნაწერთა მდიდარი ფონდი.

დავითგარეჯი

ვარძიის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი წარმოადგენს კლდეში წინასწარი გეგმით ნაკვეთ გრანდიოზულ კომპლექსს, ასეულობით დიდ და მცირე დარბაზს, 1184-1186 წწ. ნატიფი ფრესკებით მოხატულ მთავარ ტაძარს თამარ მეფისა და გიორგი III-ის გამოსახულებებით, კლდიდან ნადენ მუდმივტემპერატურიან წყაროს, საიდუმლო გვირაბსა და სხვ.

ვარძია

სამონასტრო კომპლექსი ძირითადად 1156-1203 წლებში იქმნებოდა. დასახლება 1185 წლის 15 აგვისტოს თამარის მეფობის ხანაში (1184-1213) აკურთხეს. სამეფო მონასტერი დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ერთხანს ვარძიაში მოღვაწეობდა იოანე შავთელი, რომელმაც იქ შექმნა „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი". ვარძიის წიგნთსაცავიდან შემორჩენილია ვარძიის ოთხთავის დასურათებული ხელნაწერი (XII ს.). ვარძიის მონასტრის წინამძღვრის სახელი ტრადიციულად მწიგნობარი იყო, იგი ეკლესია-მონასტრების საქმიანობას ხელმძღვანელობდა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსი გამოკვეთილია ერუშეთის მთის კალთაზე ტუფბრექჩის შერეულ კლდეში (სიგრძე 500 მ-მდე), განლაგებულია ცამეტ სართულად. შედგება ისტორიულად ჩამოყალიბებული 2 ნაწილისაგან – ვარძიის მონასტრისა და უფრო ადრინდელი ხანის (X-XII საუკუნეები) კლდის სოფლისაგან. მშენებლობა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა.

ვარძიის ხუროთმოძღვრება დაფუძნებულია წინასწარ შემუშავებულ კომპოზიციურ იდეაზე – მრავალსართულად გამოკვეთილი ანსამბლი განლაგებულია კლდის უბის სიღრმეში ჩასმული ცენტრის – ტაძრის გარშემო.

ვარძიის ტაძრის მოხატულობა ქართული მონუმენტური ფერწერის მნიშვნელოვანი ძეგლია.ვარძიის მთელ კომპლექსში უკეთაა დაცული აღმოსავლეთის ნაწილი. აქ მთლიანად ან ნაწილობრივ გადარჩენილია 242 გამოქვაბული ოთახი. მათ შორის გვხვდება 5,6x8 მ. ფართობის დარბაზი. ამავე ნაწილშია „სადარბაზო" საკრებულო – მცირე ეკლესიით, თამარის ოთახი, სალხინო (მარნით) და სხვა. ვარძიის მონასტრის დასავლეთ ნაწილშია სატრაპეზო, ხოლო ცენტრალურ ნაწილში საგანგებო თავშესაფარი – სამალავი ოთახები. გვირაბები მომარაგებული იყო წყლით. მთავარი ეკლესიის მახლობლად სიღრმეში ბუნებრივი წყაროა. ამასთან კლდეში გამოკვეთილ გვირაბში 3,5 კმ. სიგრძის წყალსადენი ტრასაა.

ვარძია

გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალი დაარსდა 1994 წელს. უძველესი ცნობა აფსაროსის შესახებ ეკუთვნის რომაელ ავტორ პლინიუს სეკუნდუსს (ახ. წ. I ს.). ბერძნულ-რომაულ წყაროებში ცნობილია აფსარუნტის სახელით. გონიოს ციხე XII საუკუნის შემდგომდროინდელი სახელწოდებაა. II საუკუნეში აქ რომაელთა ხუთი კოჰორტა იდგა. ამ პერიოდში იგი კარგად გამაგრებული და კეთილმოწყობილი (იპოდრომი და სხვა ნაგებობანი) ციხე-ქალაქი ყოფილა. საუკუნეების მანილზე ჯერ რომის იმპერია, შემდეგ ბიზანტია და იტალიის ქალაქ-რესპუბლიკები (გენუა და სხვა) დიდ ინტერესს იჩენდნენ ამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ციხესიმაგრისადმი.

1547 წელს გონიოს ციხე ოსმალებმა დაიკავეს და მათ მფლო-

ბელობაში იყო 1878 წლამდე. როცა სან-სტეფანოს ზავით ისტორიული ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად რუსეთის იმპერიას გადაეცა. ციხე გეგმით დიდი ზომის სწორკუთხედია (195 × 245 მ). ყოველ მხარეს თითო ჭიშკარი აქვს, გალავანი 18 კოშკითაა გამაგრებული. კუთხის კოშკები უფრო დიდია. გონიოს ციხე ქვითაა ნაგები. შეინიშნება რამდენიმე სამშენებლო ფენა. პირველი ფენა (III-V სს.) გამოირჩევა კარგი დამუშავებითა და წყობით, მეორე ფენის კოშკებიანი კედლები (VI-VII სს.) შედარებით ნაკლები ხარისხისაა, მესამე ფენა კი იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც ციხე ოსმალებს ეჭირათ (XVI ს.).

გონიო-აფსაროსი

გონიოს მუზეუმ-ნაკრძალი ჩამოყალიბდა კონკრეტული მხარის ისტორიისა და კულტურის იმ ძეგლთა ანსამბლების, კომპლექსებისა და ცალკეული ძეგლების ბაზაზე, რომლებიც განსაკუთრებულ ისტორიულ, არქეოლოგიურ, არქიტექტურულ ან მხატვრულ ფასეულობას წარმოადგენენ. მუზეუმ-ნაკრძალი სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ახორციელებს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა შესწავლას, აღრიცხვა-ფიქსაციას, პოპულარიზაციას და დაცვას. მუზეუმ-ნაკრძალთან მოქმედებს მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიცია. მუზეუმში ფუნქციონირებს სარესტავრაციო ლაბორატორია, ფოტოლაბორატორია, გრაფიკული ჩა-

ნახატებისა თუ ფოტომასალების არქივი. მუზეუმს გააჩნია სპეციალიზებული ბიბლიოთეკა. მომზადდა გონიო-აფსაროსის ციხისა და ნაქალაქარის პერსპექტიული განვითარების გეგმა, მისი რეალიზაციის შემდეგ ძეგლი იქცევა ტურისტული ინფრასტრუქტურის ერთ-ერთ ძირითად ობიექტად არამარტო ჩვენს რეგიონში, არამედ მთლიანად შავიზღვისპირეთში.

პეტრა-ციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი დაარსდა 1989 წელს. 1994 წელს განხორციელდა სტრუქტურული რეორგანიზაცია (ამიტომ ზოგი წყაროთი 1994 წელი ასევე ითვლება მუზეუმ-ნაკრძალის თარიღად). მუზეუმ-ნაკრძალი მოიცავს ადრეშუასაუკუნეების ციხე-სიმაგრეს, გვიანდელი ხანის საფორტიფიკაციო დანიშნულების ნაგებობებს, V-VI სს. ბაზილიკის ნაშთებს, ანტიკური ხანის სამაროვნებსა და საცხოვრებელ ნაგებობათა (ე.წ. ვილის) ნაშთებს. ასევე, ტერიტორიაზე მიკვლეულია სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები, გვიანბრინჯაო-ადრე რკინის ხანიდან მოყოლებული გვიან შუა საუკუნეებამდე. ნაკრძალის ტერიტორიას უკავია, დაახლოებით, 7 ჰა.

პეტრა. ციხე-ქალაქის ნაშთი

პეტრა VI ს-ში ბიზანტიის იმპერატორმა იუსტინიანემ აქცია მნიშვნელოვან ციხე-ქალაქად, რომელიც წარმოადგენდა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სავაჭრო მონოპოლიის ცენტრს. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბიზანტია-სპარსეთს შორის წარმოებულ ომში (VI ს.). პეტრა ლაზიკის საეპისკოპოსო ცენტრსაც წარმოადგენდა.

პეტრა-ციხის არქეოლოგიურ-არქიტექტურულ მუზეუმ-ნაკრძალი

გიორგი ჩიტაიას სახელობის **ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ** დაარსდა 1966 წელს. იგი პირველი ეთნოგრაფიული მუზეუმია კავკასიაში. მუზეუმის დაარსების იდეის ავტორი და განმახორციელებელი იყო ქართული ეთნოგრაფიული სკოლის ფუძემდებელი, აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია. მუზეუმის გენერალური გეგმის ავტორია ლონგინოზ სუმბაძე. მუზეუმი ღია ცის ქვეშ სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებაა — საბუნებისმეტყველო, მატერიალური და სულიერი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა საცავი.

მუზეუმი წარმოადგენს საქართველოს მინიატურულ მოდელს და ასახავს მის მრავალფეროვან ეთნოკულტურას. მუზეუმის ტერიტორია მოიცავს 50 ჰექტარს და დაყოფილია 11 ზონად. ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფისათვის დამახასიათებელი ობიექტები წარმოდგენილია ათ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ზონაში, რომელთაგანაც ხუთი — აღმოსავლეთ და ხუთი — დასავლეთ საქართველოს წარმოაჩენს.

თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი

მუზეუმში ექსპონირებულია 70-მდე საცხოვრებელი სახლი და სამეურნეო ნაგებობა საქართველოს შემდეგი ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონებიდან: სამცხე-ჯავახეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, აფხაზეთი, აჭარა, სვანეთი, ქართლი, კახეთი. ერთი ზონა ეთმობა ისტორიულ-არქეოლოგიურ ძეგლებს, რომელთა შორისაა V-VI სს. სიონის ბაზილიკა და აკლდამა, ძვ. წ. II ათასწ. დოლმენი აფხაზეთიდან და საფლავის ქვების მდიდარი კოლექცია.

მუზეუმში ფუნქციონირებს საგანმანათლებლო ცენტრი, სადაც ბავშვებს საშუალება აქვთ, პრაქტიკულად შეისწავლონ ტრადიციული სამჭედლო და სამეთუნეო ტექნოლოგიები.

თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი ღია ცის ქვეშ

ღია ცის ქვეშ მუზეუმის მეთერთმეტე ზონაში ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლებია განთავსებული. ექსპონირებულია სიონის V-VI საუკუნეების ბაზილიკა და აკლდამა, აგრეთვე რელიეფურ საფლავის ქვათა მდიდარი კოლექცია. მთლიანობაში მუზეუმში 8 ათასზე მეტი ექსპონატია დაცული.

მუზეუმს ჩაუტარდა რესტავრაცია. რამდენიმე უბანი განახ-

ლდა ან ხელახლა მოეწყო. სკანსენის (შვედეთი) მუზეუმის მსგავსად, თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ყველაზე ცოცხალ და ინტერაქტიულ ადგილად იქცა მეგრული საჯალაბო სახლი. ძველი მეგრული სამზადისის სანახავად მისულ დამთვალიერებელს ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი ოჯახის უფროსი, დიასახლისი და ბავშვები ხვდებიან. მასპინძლები, გარდა იმისა, რომ სტუმრებს სახლისა და ოჯახის ისტორიაზე და ადგილობრივ რწმენა-წარმოდგენებზე მოუთხრობენ. იქვე, შუაცეცხლზე მოხარშულ ღომსაც სთავაზობენ. საჯალაბოსთვის გამოყოფილ ადგილზე დათესილია უძველესი ჯიშის ღომი, აგრეთვე, სიმინდი და ლობიო.

ვიდრე შუაცეცხლზე ღომი იხარშება, ოჯახის უფროსი სტუმრებს რეწვის პროცესში რთავს. მაგალითად, გიდელის დაწვნას ასწავლის. ამ ფორმით დამთვალიერებელს ქართულ საყოფაცხოვრებო კულტურაზე მკაფიო წარმოდგენა ექმნება და მუზეუმის დათვალიერებაც საინტერესო და ხალისიანი ხდება.

დასრულდა გურული სამზადისის რეაბილიტაცია. ეთნოგრაფიული მუზეუმის დანარჩენ ზონებშიც მიმდინარეობს რეკონსტრუქცია-განახლების პროცესი.

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში 2013 წელს განახლებული „კახური სახლი“ გაიხსნა. მოწყობილი ექსპოზიცია სტუმრებს მე-19 საუკუნის კახური ყოფა–ცხოვრების გაცოცხლებულ სცენარს წარმოუდგენს.

კახური კარმიდამოს მასპინძელი, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი „ოჯახის უფროსი“ სტუმრებს კახელი კაცის სამეურნეო კულტურის, ვაზისა და პურის საკრალური მნიშვნელობის შესახებ მოუთხრობს. „დიასახლისი“ კი კარმიდამოში მოწყობილ ტრადიციულ სათონეში კახური შოთის პურებს გამოაცხობს. ვიზიტორები არა მხოლოდ ცხობის თანამონაწილენი გახდებიან, არამედ საშუალება ექნებათ შეიტყონ, უფრო მეტი, შოთის პურის შექმნისა და მისი ტრადიციების შესახებ.

გიორგიწმინდის დარბაზული სახლი 1974 წელს, კახეთიდან, სოფელ გიორგიწმინდიდან ეთნოგრაფიულ მუზეუმში გადაიტანეს. წლების განმავლობაში მას მრავალმხრივი დაზიანება გაუჩნდა. 2008–2010 წლებში, უძველესი ხელსაწყოებისა და ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, გიორგიწმინდის სახლზე აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა.

UNESCO-ს მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შედის **სოფელი უშგული.** იგი ერთერთი უმაღლესი დასახ-

ლებული ადგილია ევროპაში. სოფელი ზღვის დონიდან 2200 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს ზემო სვანეთის ანუ მესტიის უკიდურეს აღმოსავლეთში. უშგული ადრე სვანეთის ერისთავთა რეზიდენციას წარმოადგენდა, ხოლო ერთიანი სვანეთის დაშლის შემდეგ იგი თავისუფალი სვანეთის ნაწილი გახდა. ბუნების გასაოცარი სილამაზის გარდა, უშგულს ამშვენებს თამარ მეფის ციხის ნანგრევები, ლაშარის სამონასტრო კომპლექსი, საცხოვრებელი, სამეურნეო და საკულტო ნაგებობანი. უშგულს რომანტიკული ელფერით მოსავს 37 კოშკი და 7 ეკლესია, სადაც უამრავი ხატი, საეკლესიო ნივთი და ხელოვნების ნიმუში ინახება. ისინი დღეს მთელი სვანეთის სალოცავია. უშგული, როგორც მუზეუმი ღია ცის ქვეშ, ნაკრძალადაა გამოცხადებული.

უშგული

უშგულის მშვენებაა მუზეუმი ღია ცის ქვეშ **ჩაჟაში** — სოფელი მესტიის მუნიციპალიტეტში, უშგულის თემის ცენტრი. ჩაჟაში სვანურად ნიშნავს ცხენების სადგომს (ჩაჟ – ცხენი). ლეგენდის თანახმად, უშგულში ასული თამარ მეფე ცხენებს ამ სოფელში აჩერებდა. ამჟამად ჩაჟაში მუზეუმადაა გამოცხადებული. უშგულის თემის სოფლებიდან ყველაზე მეტი სვანური კოშკი ჩაჟაშშია შემორჩენილი. სოფელში არის უშგულის არქეოლოგიური მუზეუმი.

სოფელი ჩაჟაში

სოფლის სამხრეთით, მთაზე დგას XII-XIII საუკუნეების ციხე-სიმაგრე, რომელიც შედგება გალავნისა და სამი კოშკისაგან. მათგან ორი სანახევროდ დანგრეულია, ხოლო ერთი თითქმის პირვანდელი სახითაა შემონახული. ციხე უშგულის ოთხივე სოფელს გადაჰყურებს. გადმოცემის თანახმად, ეს თამარ მეფის საზამთრო რეზიდენცია იყო.

სოფლის ახლოს დგას ასევე შუა საუკუნეების კოშკი, რომელსაც თამარ მეფის საზაფხულო კოშკს უწოდებენ. რეზიდენცია, სავარაუდოდ მოიცავდა მეორე კოშკსაც, რომლის მხოლოდ ნანგრევებია შემორჩენილი და ეკლესიას. ეკლესია დარბაზული ტიპის იყო. შენობაში შეიმჩნევა საკურთხევლისა და კანკელის კვალი. სოფელში დგას შუა საუკუნეების დარბაზული ტიპის ეკლესია, რომელსაც შემორტყმული აქვს გალავანი. დასავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს სტოა. სტოაში შესასვლელი სამხრეთის მხრიდანაა.

სოფელი ჩაჟაში

თავი III. მუზეუმის სახეები და ტიპები

3.1. მუზეუმების სისტემატიზაცია

XVIII საუკუნეში კ. ნაიკელმა (ეს არის კ.ფ. ენკელის ფსევდონიმი) ნაშრომში „მუზეოგრაფია, ანუ სახელმძღვანელო მუზეუმის ანუ რარიტეტ-კამერის სწორი გაგებისა და სასარგებლო დაფუძნებისათვის“ (მიუნჰენი, 1727) შემოგვთავაზა მუზეუმების კლასიფიკაციის პირველი მცდელობა.

მუზეუმების სისტემატიზაცია – ეს არის მუზეუმების ჯგუფუფებად დაყოფა ერთი ან რამდენიმე ნიშნის მიხედვით. სისტემატიზაციის აუცილებლობა წარმოიქმნება მუზეუმის სამყაროს განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე, როცა იზრდება მუზეუმთა რიცხვი და ჩნდება სამუზეუმო დაწესებულებების ფორმათა სხვადასხვაობა.

XIX საუკუნეში მეცნიერების დიფერენციაციებთან კავშირში სხვადასხვა პროფილის მქონე მუზეუმები იწყებს გამოყოფას.

ესენია:

- სამხატვრო
- არქეოლოგიური
- ეთნოგრაფიული
- სასოფლო-სამეურნეო
- თვალსაჩინო ხელსაწყოების მუზეუმი და ა.შ.

თუმცა, როგორც წესი, ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, მუზეუმების დასახელებებში არ არსებობდა ზუსტი უნიფიცირებული სახელწოდება და მისი პროფილი აისახებოდა როგორც მუზეუმის გარკვეული მიმართულება, რომელიც ცოდნის გაღრმავების დონესთან, მეცნიერულ კვლევა-ძიებასთან ან სხვა ტიპის საქმიანობასთან იყო დაკავშირებული.

XX საუკუნის 20-იან წლებში სამუზეუმო ქსელის ფორმირების დროს ჩამოყალიბდა რთული სისტემატიზაცია, რომელიც შეიცავდა პროფილს, ასევე სტატუსს, საუწყებო დაქვემდებარებას.

მუზეოლოგიაში (სამეცნიერო ლიტერატურში გვხვდება „მუზეუმმცოდნეობა“-ც), XX საუკუნის ბოლომდე, მიღებული იყო მუზეუმების დაყოფა „ტიპების, სახეებისა და პროფილების მიხედვით“.

ასევე 1990-იან წლებამდე მიღებული იყო მუზეუმის კატეგორიებად დაყოფის ადმინისტრაციულ-მმართველობითი პრინციპი. არსებობდა 4 ასეთი კატეგორია. კატეგორია განისაზღვრებოდა ფონდების რაოდენობის და მნახველების სწრებადობის ფორმალური ნიშნით და გავლენას ახდენდა მუზეუმის დაფინანსებაზე, მათ შორის თანამშრომლების ხელფასზეც.

1980-იანი წლების ბოლოს სხვადასხვა ქვეყანაში დაიწყო მუზეუმების დაყოფა მასში დაცული მემკვიდრეობის მიხედვით, კოლექციურ და საანსამბლო მუზეუმად, რაც ძირითადად მიღებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

სპეციალისტების აღიარებით, მუზეუმის დაჯგუფების პრინციპი განისაზღვრება მოცემული მიზნით – სამეცნიერო, ადმინისტრაციულ-მმართველობითი, იურიდიული და ა.შ.

დღესდღეობით მეტ-ნაკლებად გამოყენებადია დაყოფა შემდეგ ჯგუფებად (რომელთან მიკუთვნებაც ხშირად პოულობს ასახვას მუზეუმის ოფიციალურ დასახელებაში):

- მუზეუმების მაპროფილებელი ჯგუფები;
- მუზეუმთა ჯგუფები, მათში დაცული მემკვიდრეობის სახის მიხედვით;
- მუზეუმთა ჯგუფები, საქმიანობისა და ადრესატის მიხედვით (მუზეუმთა ტიპები);
- მუზეუმთა ჯგუფები მესაკუთრის მიხედვით;
- მუზეუმთა ჯგუფები საქმიანობის მასშტაბის მიხედვით (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნის მიხედვით);
- მუზეუმთა ჯგუფები სტატუსის მიხედვით.

გარდა ამ დაყოფისა, მუზეუმის სამყაროს მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, ისტორიულად გამოიყო მუზეუმთა დიდი ჯგუფები, რომლებსაც, დასახელებული ჯგუფების გარდა, დამატებით მნიშვნელოვანი მახასიათებელი გააჩნიათ:

- მემორიალური მუზეუმები;
- მხარეთმცოდნეობის მუზეუმები.

ბოლო დროს ინტერნეტის სწრაფ განვითარებასთან ერთად გაჩნდა მუზეუმის ახალი ტიპი – ვირტუალური მუზეუმები. ამგვარ მუზეუმებში „გამოფენილი" ნამუშევრები ვირტუალურია, მის საკუთრებაში კი არცერთი ექსპონატი არ შედის.

მაგალითად, ცნობილი იტალიური ბრენდის Valetino -ს დამა-

არსებელმა ვალენტინო გარავანიმ ვირტუალური მუზეუმის პროექტი წარმოადგინა. მუზეუმის დათვალიერება პირდაპირ ინტერნეტიდან შეგიძლიათ.ასევე იხილავთ ილუსტრაციებს, ფოტოებს და ვიდეო-ჩანაწერებს, „მასტერკლასებს". მუზეუმის იდეის ავტორის აზრით, რეალურად ამ მუზეუმის გახსნისათვის საჭირო იქნებოდა არანაკლებ 900 კვ.მ. ფართი.

ქართული ფოტოგრაფიის მუზეუმი ერთ-ერთი პირველი ვირტუალური მუზეუმია საქართველოში, რომელიც 2001 წელს შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციის – კავკასიის ფოტოგრაფიის ისტორიის ქართული ასოციაციის მიერ. მუზეუმი მოიცავს საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარების ეტაპებს დაგეროტიპებიდან დღემდე (1839 წელს ცნობილი გახდა ფრანგი მხატვრის ლუი დაგერის გამოგონება, რომელიც გამოსახულების მიღების საშუალებას იძლეოდა ვერცხლის ფირფიტაზე კამერა – „ობსკურაში" ერთადერთი ეგზემპლიარის სახით. დაგეროტიპები გამოირჩეოდნენ მაღალი ხარისხით და დიდი როლი ითამაშეს ფოტოგრაფიის პოპულარიზაციაში. სამწუხაროდ დაგეროტიპული გამოსახულება არ იყო გამძლე, რის გამოც მხოლოდ მცირე რაოდენობამ მოაღწია დღემდე. საქართველოში დაგეროტიპების რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია. მათზე გამოსახული პირების, ისევე როგორც მათი ავტორების ვინაობა უცნობია. გაზეთი „კავკაზი" 1846 წ. ახსენებს უცხოელ ვერნერს, რომელიც იღებს პორტრეტებს ერთ წუთში, ასევე გ. გაუპტს და ა. ალექსანდროვსკის, რომლებიც იღებენ პორტრეტებს სრულყოფილად).

ქართული ფოტოგრაფიის ვირტუალური მუზეუმის პროექტი განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველო“-ს ხელშეწყობით და დაფინანსებით. მუზეუმში 3 000-ზე მეტი ექსპონატია დაცული.

უცნობი წყვილის პორტრეტი
უცნობი ფოტოგრაფის ნამუშევარი
დაახლოებით 1850 წ. ზომა 6 X 7
თ. ყანჩაველის კოლექციიდან. ფოტოგრაფიის ქართული მუზეუმი
დაგეროტიპი

3.2. მუზეუმების მაპროფილებელი ჯგუფები

თანამედროვე მუზოლოგია მუზეუმის კლასიფიკაციის რამდენიმე სისტემას იცნობს:

- საქმიანობის მასშტაბის მიხედვით (ცენტრალური, რეგიონალური და ადგილობრივი მუზეუმები);
- საკუთრების ფორმების მიხედვით (სახელმწიფო, საუწყებო, საზოგადოებრივი, კერძო);
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ნიშნით (რესპუბლიკური, სამხარეო, საქალაქო, რაიონული/მუნიციპალური და ა.შ.).

გარდა ამისა, არსებობს მუზეუმების კლასიფიკაცია ტიპების მიხედვით. ამ შემთხვევაში სპეციალისტები გამოყოფენ მუზეუმებს მათი სოციალური ფუნქციის შესრულებისა და პრიორიტეტის მიხედვით. გამომდინარე აქედან, შესაძლებელია მოვახდინოთ მუზეუმების კლასიფიკაცია შემდეგი სახით:

- კვლევითი მუზეუმები;
- სასწავლო მუზეუმები;
- საგანმანათლებლო მუზეუმები.

კვლევითი (აკადემიური) მუზეუმები იქმნება სამეცნიერო დაწესებულებებთან. მათი ძირითადი ფუნქცია ფონდების დამუშავება და მეცნიერული შესწავლაა. ასეთ მუზეუმებს შეიძლება საერთოდ არ ჰქონდეთ საექსპოზიციო-საგამოფენო დარბაზები, არ მოაწყონ ექსპოზიციები და გამოფენები.

სასწავლო მუზეუმები ძირითადად ორიენტირებული არიან საგანმანათლებლო ფუნქციების შესრულებაზე. როგორც წესი, ისინი იქმნება სკოლებთან, უნივერსიტეტებთან და სხვა სასწავლო დაწესებულებებთან, ზოგჯერ უწყებებთან (განსაკუთრებით გასამხედროებულ ორგანიზაციებთან: საბაჟო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო და ა.შ.). სასწავლო მუზეუმები კოლექციების ფორმირებას ახდენენ საგანმანთლებლო პროგრამების მიხედვით. ამიტომ სასწავლო მუზეუმები უფრო მეტად მიეკუთვნებიან დახურული მუზეუმების ტიპს. მათი ექსპოზიცია ხელმისაწვდომია დამთვალიერებელთა შეზღუდული კონტინგენტისათვის.

საგანმანთლებლო (მასობრივი) მუზეუმები ორიენტირებულია ყველა ასაკისა და სოციალური ჯგუფის დამთვალიერებლისათვის. მათ საქმიანობაში მთავარია დამთვალიერებლებთან მუშა-

ობა. საგანამანთლებლო მუზეუმების საქმიანობა, როგორც წესი, დაკავშირებულია თანამედროვე მუზეუმის მრავალმხრივი სოციალური ფუნქციის შესრულებასთან. სახელდობრ, ეს მუზეუმები მიეკუთვნებიან საჯარო (ყველასათვის მისაწვდომ) მუზეუმთა ტიპს.

საგანმათლებლო მუზეუმებს შორის არის საბავშვო მუზეუმები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან დამთვალიერებელთა სპეციფიკურ აუდიტორიაზე. ასეთი მუზეუმების კოლექციები გამოირჩევა იშვიათი საგნებითა და ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი ყოველდღიური ნივთებით. ამ ტიპის მუზეუმების სამშობლოდ ითვლება აშშ. პირველ საბავშვო მუზეუმად, მსოფლიო სამუზეუმო პრაქტიკაში, ითვლება ბრუკლინკის მუზეუმი (1899 წ.). მოგვიანებით მსგავსი მუზეუმები გაიხსნა სხვა ქვეყნებშიც.

სამუზეუმო ქსელის ფართო მასშტაბით განვითარება კიდევ უფრო ართულებს მუზეუმების ტრადიციულ კლასიფიკაციას. მიუხედავად ამისა, დღემდე ძირითად კლასიფიკაციად რჩება მუზეუმების დაყოფა **პროფილის** მიხედვით.

მუზეუმის პროფილი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რომელ დარგს ან მიმართულებას მიეკუთვნება მისი ფონდები. მაგალითად, მეცნიერება, ხელოვნება, კულტურა, განათლება, მედიცინა, მრეწველობა და ა.შ. ასევე შესაძლებელია, მუზეუმების დაყოფა ქვედარგების მიხედვით. ხელოვნებაში შეიძლება გამოიყოს რამდენიმე მიმართულება. არსებობს მუზეუმების არა მხოლოდ დარგობრივი, არამედ ამა თუ იმ დარგის ქრონოლოგიური პრინციპით შექმნის პრაქტიკაც. მაგალითად, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ანტიკური ხელოვნების მუზეუმი, აღორძინების ეპოქის მუზეუმი და ა.შ.

მეცნიერების, კულტურისა და წარმოების განვითარება ქმნის საფუძველს გამოიყოს ახალი პროფილური დისციპლინები, კულტურის სფეროები, დარგები, რაც თავის მხრივ, აისახება მუზეუმის კლასიფიკაციაში.

პროფილის მიხედვით შეიძლება მოვახდინოთ მუზეუმების შემდეგი კლასიფიკაცია:

1. ისტორიული მუზეუმები:

- ზოგადისტორიული (კაცობრიობის ისტორია);
- ეროვნული ისტორია (ისტორია ქვეყნების მიხედვით);
- რეგიონალური ისტორია (ცალკეული რეგიონების ისტო რია);
- ცალკეული პერიოდებისა თუ ისტორიული მოვლენების ის-

ტორია (ისტორიულ-რევოლიციური, რელიგიის ისტორია და სხვ.);

- ვიწროსპეციალიზირებული (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური, სამხედრო-ისტორიული და ა.შ.).

2. კულტურის ცალკეული დარგების მუზეუმები

- სახვითი ხელოვნების მუზეუმები;
- ლიტერატურის მუზეუმები;
- მუსიკის მუზეუმები;
- თეატრის მუზეუმები;
- კინოს მუზეუმები;
- სპორტის მუზეუმები.

3. პედაგოგიური მუზეუმები

4 . საბუნებისმეტყველო მუზეუმები

5. სამრეწველო მუზეუმები

- მრეწველობის, ვაჭრობის მუზეუმები;
- ტექნიკის მუზეუმები (ცალკეული დარგების მიხედვით).

6. სასოფლო-სამეურნეო მუზეუმები

7. კომპლექსური მუზეუმები

ისტორიული მუზეუმი – მუზეუმი, სადაც დაცულია საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიულ განვითარებასთან, აგრეთვე, ცალკეული მხარის ისტორიასთან დაკავშირებული მასალები. ისტორიული მუზეუმები ყველაზე მრავალრიცხოვანი მუზემებია მსოფლიოში.

მემორიალური მუზეუმი – მუზეუმი, სადაც დაცულია ისტორიულ პირთან დაკავშირებული მასალები ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ისტორიული მოვლენის ამსახველი მასალები.

ხელოვნების მუზეუმები. აქ ინახება კოლექციები, რომლებიც მოიცავს ხელოვნების ნიმუშებს. ცალკე შეიძლება გამოიყოს გამოყენებითი ხელოვნების, ეროვნული ხელოვნების, საზღვარგარეთის ხელოვნების მუზეუმები, არქიტექტურის მუზეუმები, საიუველირო და ძვირფასი ქვების მუზეუმი, ცნობილი ხელოვანი ადამიანების მემორიალური მუზეუმები. მაგალითად, ხელოვნების მუზეუმი თბილისში, ხელოვნების მუზეუმი ბათუმში, თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი თბილისში, ელენე ახვლედიანის მუზეუმი თბილისში და სხვ.

ლიტერატურული მუზეუმები ლიტერატურის ისტორიის ფონდებს მოიცავს. გამოიყოფა: ეროვნული, საზღვარგარეთის, ლიტერატურული მიმდინარეობის, მწერლების და სხვ. მუზეუმბი.

მუსიკის მუზეუმები მოიცავს მუსიკის განვითარების ისტორიასთან დაკავშირებულ ექსპოზიციებს. შეიძლება გამოიყოს კლასიკური მუსიკის, ფოლკლორის, ცნობილი შემსრულებლებისა და კომპოზიტორების, მუსიკალური ჟანრებისა და მიმდინარეობის მუზეუმები.

თეატრალურ მუზეუმებში დაცულია თეატრის ისტორიასთან, ცნობილი მსახიობებისა და რეჟისორების ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ექსპოზიციები. ამ ტიპის მუზეუმები გაერთიანებული არიან თეატრალური მუზეუმების საერთაშორისო ასოციაციაში. მასში ევროპისა და ამერიკის 30-ზე მეტი ქვეყანაა გაერთიანებული. 1961 წელს ასოციაციის ინიციატივით გამოიცა ცნობარი „მსოფლიოს თეატრალური კოლექციები“. საქართველოს ყველა დიდ თეატრს გააჩნია საკუთარი მუზეუმი.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის მუზეუმი აერთიანებს ოლიმპიური მოძრაობის განვითარების ისტორიას, სპორტისა და მასობრივი ფიზიკური კულტურის ისტორიასთან დაკავშირებულ ექსპოზიციებს.

პედაგოგიური მუზეუმი მოიცავს განათლების ისტორიას, პედაგოგიურ მეცნიერებას. მასში გაერთიანებულია ღვაწლმოსილი პედაგოგების მემორიალური მუზეუმები. ამ ტიპის მუზეუმების უმეტესობა შეიქმნა გასული საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მუზეუმის ექსპოზიციაში წარმოდგენილია ბუნებაში მიმდინარე პროცესების ამსახველი ექსპონატები. ადრე მუზეუმების ამ სახეობასთან იყრიდა თავს ტექნიკის, მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმები. მათ შორის გამოიყოფა კომპლექსური მუზეუმები, რომლებიც აერთიანებენ საბუნებისმეტყველო მეცნიერების რამდენიმე მიმართულებას ან მუზეუმები, რომლებშიც თავმოყრილია ცალკეული დისციპლინების: ბოტანიკის, ზოოლოგიის, პალეონტოლოგიის, გეოლოგიის, მინერალოგიის, ანთროპოლოგიის, მედიცინის და ა.შ. ექსპონატები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მუზეუმებს მიეკუთვნება, აგრეთვე, მუზეუმი-ნაკრძალი, მუზეუმი-აკვარიუმი, ბოტანიკური ბაღი, ზოოპარკი, ბუნების ძეგლები და ა.შ. ამავე პროფილს მიაკუთვნებენ ღვაწლმოსილი მეცნიერების მემორიალურ მუზეუმებს, მუზეუმ-ლაბორატორიებს, მუზეუმებს, რომლებიც ეძღვნება ცნობილ მეცნიერულ თეორიებს (მაგალითად, დარვინის მუზეუმი მოსკოვში, ტიმირიაზევის მუზეუმი მოსკოვში და ა.შ.).

ტექნიკის მუზეუმში თავმოყრილია ტექნიკისა და ტექნოლოგიის განვითარების ისტორიის ამსახველი ექსპონატები. შესაძლებელია, ტექნიკის რომელიმე დარგი ცალკე გამოიყოს და შეიქმნას ტექნიკის ამა თუ იმ დარგის მუზეუმი. მაგალითად, რკინიგზის, კოსმოსური ტექნიკის, ავტომობილის და სხვ. ამ ტიპის მუზეუმებს მიაკუთვნებენ ტექნიკის გამომგონებლების მემორიალურ მუზეუმებს (მაგალითად, პოპოვის მუზეუმი პეტერბურგში).

მრეწველობის მუზეუმი თავს უყრის ექსპონატებს, რომლებიც წარმოდგენილია მრეწველობის სხვადასხვა დარგიდან და საწარმოებიდან. ამ პროფილის მუზეუმის დაარსება უკავშირდება ფრანგული განმანათლებლობისა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქას. პირველი მუზეუმი გაიხსნა პარიზში 1793 წელს ხელოვნებისა და ხელოსნობის კონსერვატორიასთან. რუსეთში მრეწველობის პირველი მუზეუმი გაიხსნა 1744 წელს პეტერბურგის ფაიფურის ქარხანაში. მრეწველობის მუზეუმის გახსნის იდეა გაჩნდა პარიზის სამრეწველო გამოფენაზე 1798 წელს.

სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის გახსნის იდეა უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ნიმუშების თავმოყრას და შენახვას ისტორიისათვის. მსოფლიოში პირველი ამ პროფილის მუზეუმი გაიხსნა რუსეთში 1765 წელს ეკონომიკის საზოგადოებასთან. თავიდან ის ატარებდა აკადემიურ ხასიათს. მოდელ-კამერებში შესვლა ნებადართული იყო საზოგადოების წევრებისათვის. მხოლოდ მათ შეეძლოთ ექსპონატებით სარგებლობა. 1803 წლიდან ამ მუზეუმში ნებადართული იყო დამთვალიერებელთა შესვლა კვირაში ერთხელ. ამჟამად ამ ტიპის მუზეუმები მოქმედებენ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. ასეთივე მუზეუმები არსებობს დიდ ბრიტანეთში, შოტლანდიაში, ფერმა-მუზეუმი ოქსფორდის (დიდი ბრიტანეთი) მახლობლად და სხვ.

ახალი მოვლენაა **ეკომუზეუმი**. იგი, ჩვეულებრივ, მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო მუზეუმების ჯგუფს. თუმცა ლოგიკური იქნებოდა იგი მიგვეკუთვნებინა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მუზეუმისათვის. პირველი ეკომუზეუმი შეიქმნა საფრანგეთში რეგიონალური ბუნებრივი პარკების ბაზაზე. ტერმინი „ეკომუზეუმი“ 1971 წელს სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა ი. დე ვარინ-ბოანმა (საფრანგეთი). ყველაზე დიდი ეკომუზეუმი ფუნქციონირებს კანადაში, პროვინცია კვებეკში – ოტ-ბოს ეკომუზეუმი. იგი განლაგებულია 30 ათას ჰექტარზე. მასში განთავსებულია 25 და-

სახლებული პუნქტი. ეკომუზეუმი თავისი შინაარსით ახლოსაა მუზეუმ-ნაკრძალთან.

ICOM-ის ფარგლებში მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმების საერთაშორისო ასოციაცია, რომელსაც გააჩნია თავისი პერიოდული გამოცემა – ჟურნალი (Acta Museorum Agriculture).

კომპლექსური მუზეუმი – ეს არის მუზეუმის ის ტიპი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პროფილურ დისციპლინებს. მის კოლექციებში წარმოდგენილია სხვადასხვა დარგის, როგორც საბუნებისმეტყველო, ასევე ჰუმანიტარული დარგების კოლექცია. კომპლექსურ მუზეუმებად შეიძლება ჩაითვალოს მუზეუმი ღია ცის ქვეშ, მუზეუმი სასახლე, მუზეუმ-ნაკრძალი.

ყველაზე გავრცელებული სახე კომპლექსური მუზეუმისა არის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. იგი თავს უყრის მხარის ისტორიის, ხელოვნების, საბუნებისმეტყველო, ტექნიკის, სასოფლო და ა.შ დარგის კოლექციებს. მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ანალოგი არ გააჩნია საზღვარგარეთ. იგი ფუნქციონირებს საქართველოში და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. ბათუმში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი მდებარეობს ჯინჭარაძის ქუჩაზე. ამერიკაში და ევროპაში ადგილობრივი (რეგიონალური) მუზეუმები ეს არის ამა თუ იმ ქალაქის ან შტატის ისტორიის მუზეუმი, რომელიც თავისი შინაარსით ახლოს დგას მხარეთმცოდნეობის მუზეუმთან.

კომპლექსურ მუზეუმებს შეიძლება მივაკუთვნოთ მემორიალური მუზეუმების უმეტესობა. პირველი ასეთი მუზეუმი შეიქმნა XVIII საუკუნეში, „იმპერატორის კაბინეტი“ (პეტრე I) – კუნსტკამერა.

მუზეუმების თანამედროვე კლასიფიკაცია არ არის საბოლოო. შესაძლებელია რომელიმე პროფილს გამოეყოს ახალი ქვეპროფილი და იგი დამოუკიდებელ პროფილად ჩამოყალიბდეს. ზოგიერთი ჯგუფი პროფილური მუზეუმებისა (ტექნიკის, სასოფლო-სამეურნეო, საბუნებისმეტყველო და სხვ.) დღემდე სპეციალისტთა შორის კამათისა და დისკუსიის თემაა.

კლასიფიკაცია პროფილის მიხედვით ასახავს მუზეუმების კავშირს სამეცნიერო ცოდნის გარკვეულ დარგთან, წარმოებით საქმიანობასთან, ხელოვნების ასპექტთან. მუზეუმის პროფილი განსაზღვრავს კოლექციის შემადგენლობას, ექსპოზიციის თემატიკას, სამეცნიერო კვლევის შინაარსს და გავლენას ახდენს სამუზეუმო საქმიანობის ყველა მიმართულებაზე. ყველა მუზეუმი და-

ყოფილია მაპროფილებელი ჯგუფების მიხედვით, რომელთა შორისაც შესაძლებელია გამოვყოთ ვიწრო სპეციალიზაცია – ერთი ობიექტის მუზეუმამდე დაყვანა.

კომპლექსური მუზეუმები – მრავალრიცხოვანი და მუდმივად მზარდი ჯგუფია, რომელსაც განეკუთვნება მხარეთმცოდნეობის მუზეუმების, გარემოს დაცვის მუზეუმების, მუზეუმ-ნაკრძალების, ეკომუზეუმების უმეტესი ნაწილი. ეს მუზეუმები ერთმანეთს უთავსებენ ორი ან მეტი პროფილის ნიშნებს (ისტორიულ-ლიტერატურული, სამხატვრო-არქიტექტურული), ხოლო ხანდახან მაპროფილებელ ჯგუფებსაც კი. ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო მუზეუმები შესაძლოა განხილულ იქნას როგორც საწარმოო ჯგუფში, ასევე საბუნებისმეტყველო მუზეუმებს შორის. ის მუზეუმები, რომლებიც ერთმანეთს უთავსებენ 2-ზე მეტ პროფილს, მიღებულია განისაზღვროს როგორც კომპლექსური მუზეუმი.

მუზეუმების მაპროფილებელი ჯგუფები:

ჰუმანიტარული პროფილის მქონე მუზეუმები

- სამხატვრო მუზეუმები
- სახვითი ხელოვნების მუზეუმები
- დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმები
- ხელოვნების მუზეუმები
- სამხატვრო-სამრეწველო მუზეუმები
- თანამედროვე ხელოვნების მუზეუმები
- ლიტერატურული მუზეუმები
- ხელოვნებათმცოდნეობის მუზეუმები
- თეატრალური მუზეუმები
- მუსიკალური მუზეუმები
- კინოს მუზეუმები

ისტორიული მუზეუმები

- ზოგადისტორიული მუზეუმები
- სამხედრო-ისტორიული მუზეუმები
- ისტორიულ-რელიგიური მუზეუმები
- ისტორიულ-რევოლუციური მუზეუმები
- ისტორიულ-საყოფაცხოვრებო მუზეუმები
- არქეოლოგიური მუზეუმები
- ეთნოგრაფიული მუზეუმები

- მხარეთმცოდნეობის მუზეუმები

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მუზეუმები

- ანთროპოლოგიური მუზეუმები
- ბიოლოგიური მუზეუმები
- ბოტანიკური მუზეუმები (მათ შორის ბოტანიკური ბაღები)
- გეოლოგიური მუზეუმები
- ზოოლოგიური მუზეუმები (მათ შორის ზოოპარკები, ტერარიუმები, ეგზოტარიუმები და ა.შ.)
- მინერალოგიის მუზეუმი
- ოკეანორიუმები
- პალეონთოლოგიური მუზეუმები
- ნიადაგთმცოდნეობის მუზეუმები

გარდა ამისა, არსებობს **სხვა პროფილის მუზეუმებიც:**

- სასოფლო-სამეურნეო მუზეუმები
- სამეცნიერო-ტექნიკური მუზეუმები
- პოლიტექნიკური მუზეუმები
- დარგთმცოდნეობის მუზეუმები
- სამრეწველო მუზეუმები
- სატრანსპორტო მუზეუმები
- კავშირგაბმულობის მუზეუმები
- მშენებლობის მუზეუმები
- საავიაციო და კოსმონავტიკის მუზეუმები
- სამხედრო ტექნიკის მუზეუმები
- კომპლექსური მუზეუმები
- მუზეუმ-ნაკრძალები
- ეკომუზეუმები
- არქიტექტურული მუზეუმები
- პედაგოგიური მუზეუმები
- თვალსაჩინო ხელსაწყოების მუზეუმები

და ა.შ.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი

უცხოეთში ბოტანიკურ ბაღებს ბუნების ცოცხალ მუზეუმებს მიაკუთვნებენ. ბათუმის ბოტანიკური ბაღი სამეცნიერო-კველევითი და საგანმანათლებლო სანახაობითი დანიშნულების დაწესებულებაა. იგი ზღვის დონიდან 0-220 მ სიმაღლეზეა გაშენებული და მოიცავს ლანდშაფტის ყველა იმ ელემენტს, რომელიც საქართველოს შავი ზღვისპირეთის რელიეფისთვისაა დამახასიათებელი.

3.3. მუზეუმთა ჯგუფები დაცული მემკვიდრეობის მიხედვით

სისტემატიზაცია, რომელიც დამოკიდებულია დაცულ ისტორიულ-კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობაზე, ძირითადად გამოიყენება მუზეუმთა კლასიფიკაციის მიზნით. იგი ეხება მუზეუმების მეტ-ნაკლებად ღრმა გენეტიკურ განსხვავებებსა და თავისებურებებს.

კოლექციური მუზეუმები – ესაა მუზეუმები, რომელთა ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მოძრავი მატერიალური საგნების შეგროვება. ისტორიულად ეს მუზეუმის მეტ-ნაკლებად ძველი სახეა. მე-18 საუკუნის მანძილზე და მე-20 საუკუნის დასაწყისში იგი განუყოფლად მეფობდა რუსეთის მუზეუმის სამყაროში.

კოლექციის შემადგენლობიდან გამომდინარე, მუზეუმთა ეს ჯგუფი იყოფა მაპროფილებელ ჯგუფებად.

საანსამბლო მუზეუმები – ესაა მუზეუმები, რომელთა საქმიანობაც ემყარება, პირველ რიგში, არქიტექტურის, ისტორიის, ბუნების უძრავ ძეგლთა ანსამბლს. ჯგუფში გამოიყოფა მუზეუმთა შემდეგი სახეები:

- კარმიდამოს მუზეუმები
- სახლ-მუზეუმები
- სასახლე-მუზეუმები
- ბინა-მუზეუმები
- სამონასტრო მუზეუმები
- მუზეუმ-ტაძრები
- ქარხანა-მუზეუმები
- სახომალდო მუზეუმები
- მუზეუმ-სახელოსნოები

დღევანდელ დღეს მკაფიოდ იკვლევენ მთელი რიგი საანსამბლო მუზეუმების ტრანსფორმაციის ტენდენციას გარემოს დაცვის მუზეუმებში.

გარემოს დაცვის მუზეუმები და მათი საქმიანობა ეფუძნება, პირველ რიგში, ბუნების და ისტორიულ-კულტურული გარემოს ფრაგმენტების ასახვას. საზოგადოებაში ბუნებრივად შენარჩუნებული ან აღდგენილი ძეგლის ურთიერთკავშირი მთავარ როლს ასრულებს თვითნაბადი გარემოს ელემენტებსა და არამატერიალური მემკვიდრეობის ელემენტებს შორის. დღევანდელ დღეს, გარე-

მოს დაცვის მუზეუმის თვალსაზრისით, ევოლუციას განიცდის ბევრი მუზეუმ-ნაკრძალები, კარმიდამოს მუზეუმები, სამონასტრო მუზეუმები.

მუზეუმების მნიშვნელოვანი რიცხვი ითავსებს ორი, ხოლო ხანდახან სამივე ჯგუფის ნიშნებს. საანსამბლო და გარემოს დაცვის მუზეუმები თითქმის ყოველთვის აკომპლექტებენ მოძრავ ძეგლთა კოლექციას, ხოლო კოლექციები ხშირად ფლობენ შენობებსა და ტერიტორიებსაც კი. დღეს ბევრი მუზეუმი მუშაობს არამატერიალური მემკვიდრეობის ობიექტებზე. თუმცა მუზეუმების უმეტესი ნაწილისათვის განმსაზღვრელია დაცული მემკვიდრეობის ესა თუ ის ტიპი.

მაგალითად, პორშეს მუზეუმი არის პირველი მუზეუმი ქარხნის ტერიტორიაზე, სადაც ექსპონატები მუდმივად იცვლება. 2005 წელს კომპანიამ პორშეს მოედანზე ახალი პორშეს მუზეუმის აშენება დაიწყო, რომელიც 2009 წლის 31 იანვარს გაიხსნა.

პორშე – მანქანების მწარმოებელი გერმანული კომპანია, რომელსაც ფლობენ პორშეებისა და Piëch-ების ოჯახები. კომპანია მდებარეობს გერმანიაში, შტუტგარტის ოლქში. კომპანია დაარსდა 1930 წელს ფერდინანდ პორშეს მიერ. მის სახელს 1000-ზე მეტი პატენტი უკავშირდება. 1920 წლიდან აქტიურად თანამშრომლობდა Mercedes-Benz-თან. პორშე ასევე იმითაა ცნობილი, რომ პირველი Volkswagen-ის დიზაინი მან გააკეთა.

პორშეს ახალი მუზეუმი

მსგავსი მუზეუმების გახსნის პრაქტიკა პოპულარულია უცხოეთში. მათი პროფილი და რაოდენობა დღითიდღე იზრდება.

კარმიდამოს მუზეუმის ნიმუშს წარმოადგენს ხეთის საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. იგი ხობის მუნი-

ციპალიტეტის სოფელ ხეთაში მდებარეობს. მუზეუმი 1985 წლის მაისში გაიხსნა. იგი ხეთის წმინდა მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესიისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობს. მუზეუმის დაარსების ისტორია საკმაოდ საინტერესოა: მე-2 მსოფლიო ომში დაღუპული ამირან ლატარიას დედამ თავისი კარმიდამო მუზეუმის მოსაწყობად სახელმწიფოს გადასცა. მისი ოდა სახლი ახლაც ეზოში დგას. მუზეუმის წინ თეატრონია, რომელიც ხუთი ათასზე მეტ ადამიანს იტევს. მუზეუმის ეზოს უკანა მხარეს ხელოვნური ბორცვია, რომელსაც ,,ხსოვნის კუნძული ჰქვია. მის ცენტრში დაკრძალულნი არიან დედა-შვილი ლიზა და ამირან ლატარიები, ამირანის ნეშტი ქერჩიდან ჩამოასვენეს. ირგვლივ რაიონის სოფლების რაოდენობის შესაბამისი ლოდები აწყვია, რომლებიც სიმბოლურად ამ სოფლებიდან მე-2 მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნას ეძღვნება. 1995 წლამდე მუზეუმი მემორიალური ტიპისა იყო, შემდგომ იგი გადაკეთდა მხარეთმცოდნეობის მუზეუმად. აქ გამოფენილია მასალები, რომლებიც ასახავენ ჩვენი ხალხის ყოფა-ცხოვრებას უძველესი დროიდან დღემდე. ამჟამად მიმდინარეობს საგამოფენო დარბაზების განახლების პროცესი.

ხეთის კარმიდამოს (საბრძოლო დიდებისა და მხარეთმცოდნეობის) მუზეუმი

3.4. მუზეუმთა ჯგუფები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მიკუთვნებისა და სტატუსის მიხედვით

კლასიფიკაცია დაკავშირებულია მუზეუმის საქმიანობის მასშტაბებთან და მის საერთო-სახელმწიფოებრივ, რეგიონალურ, რეგიონთაშორის, ადგილობრივ მნიშვნელობასთან. საერთო-ეროვნული მნიშვნელობის მუზეუმები, რომლებიც საზღვარგარეთ ატარებენ „ეროვნულის“ სახელწოდებას, ზოგიერთ ქვეყანაში (ძირითადად პოსტსაბჭოთა ქვეყნებში) ოფიციალურ სახელწოდებაში აქვთ ტიტული „სახელმწიფო“ ან „ცენტრალური“.

- ცენტრალური მუზეუმები
- ეროვნული მუზეუმები
- რესპუბლიკური მუზეუმები
- სამხარეო მუზეუმები
- საოლქო მუზეუმები
- რაიონული/მუნიციპალური მუზეუმები
- საქალაქო მუზეუმები

მუზეუმთა ჯგუფები სტატუსის მიხედვით

მუზეუმის სტატუსი განისაზღვრება ხელისუფლების ორგანოების დადგენილებით ან მაღლა მდგომი ორგანიზაციების მიერ და განსაზღვრავს მუზეუმის მდგომარეობასა და მუზეუმის ქსელის იერარქიას, მისი განსაკუთრებული უფლებებისა და მოვალეობების წრეს.

- სამუზეუმო გაერთიანებები
- სათაო მუზეუმები
- ფილიალები
- მუზეუმ-ნაკრძალები
- მუზეუმები, როგორც კულტურის განსაკუთრებით ფასეული ობიექტები

თავი IV. მუზეუმების არქიტექტურა

4.1. ადრეული მუზეუმების არქიტექტურა

კოლექციათა მოსათავსებელი პირველი შენობები ძირითადად XVII-XVIII საუკუნის სასახლეთა გალერეები იყო.

XVIII საუკუნეში იწყება სპეციალური შენობების აგება მუზეუმებისათვის. პირველი სპეციალიზირებული სამუზეუმო შენობა აიგო გერმანიაში. ეს იყო სან-სუსის („სანსუსი“ ფრანგ. sans souci, უდარდელად — სასახლე პოტსდამში, გერმანია. ფრიდრიხ დიდის, პრუსიის მეფის ზაფხულის სასახლე) სურათების გალერეა, აგებული ბრიუინგის პროექტით 1755-1763 წლებში.

XVIII საუკუნის ბოლოს კოლექციების შესანახ შენობას უწოდეს მუზეუმი.

სანსუსის სამხრეთის ბაღის ფასადი

სამუზეუმო შენობის განსაკუთრებული ტიპი XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა – ძველი მუზეუმი ბერლინში (1824-1829 წ.), არქიტექტორი კარლ ფრიდრიხ შინკელი (1781-1841), გერმანელი არქიტექტორი, ფერმწერი და გრაფიკოსი. კ. შინკელი სწავლობდა ბერლინის არქიტექტურის აკადემიაში (1798-1800) ფ. ჟილისთან. მუშაობდა უმეტესად ბერლინში. თავდაპირველად მისდევდა ფერწერასა და გრაფიკას. ნამუშევრები ძირითადად რომანტიკული სულისკვეთებისა იყო. შინკელი XIX საუკუნის გერმანულ ხუროთმოძღვრებაში გვიანი კლასიციზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო. მისი პროექტით იყო აგებული: ახალი საყარაულო (ახლა ფა-

შიზმისა და მილიტარიზმის მსხვერპლთა ძეგლი, 1816-1818 წწ), დრამატული თეატრი (1819-1821), ძველი მუზეუმი (1824-1828). ყველა ეს შენობა მდებარეობს ბერლინში. რომანტიკული სულისკვეთებითაა, აგრეთვე, გამსჭვალული შინკელის „ფსევდოგოტიკური“ ნაგებობები (სამლოცველო პეტროდვორეცში, 1831-1833). მის უკანასკნელ ნამუშევრებში თავი იჩინა რაციონალიზმის ელემენტებმა (სამშენებლო აკადემიის შენობა ბერლინში, 1831-1835). კ. შინკელი იყო არქიტექტურის თეორეტიკოსი.

მუზეუმის შენობებში დარბაზები ანფილადის სახით ან 1-2 შიგა ეზოს ირგვლივ იყო განლაგებული. XIX საუკუნის II ნახევრიდან აშენდა სამუზეუმო კოლპლექსები, რომლებიც მოიცავს საექსპოზიციო დარბაზებს, საცავებს და სხვ. ფასადებს აკეთებდნენ კლასიცისტურ ან ეროვნული ხასიათის, ხოლო ინტერიერს – გამოსაფენი მასალის სტილის შესაბამისად.

კარლ შინკელი

XX საუკუნის შუა წლებში მუზეუმების მოცულობით-დაგეგმარებით გადაწყვეტას ორგანულად უხამებდნენ კოლექციის სპეციფიკას, ეროვნულ ტრადიციებს, კლიმატურ პირობებს და ქალაქთმშენებლობის დაგეგმარებას. მაგალითად, ლემბრუკის მუზეუმი

დუისბურგში (1964 წ. არქიტექტორი ლემბრუკი) შედგება ორი შენობისა და მუზეუმებს შორის მოქცეული შიგა ეზოსაგან. ეზო გათვალისწინებულია ქანდაკების გამოსაფენად ღია ცის ქვეშ. ერთ შენობაში მოთავსებულია ვ. ლემბრუკის ნაწარმოებთა ექსპოზიცია, მეორე გათვალისწინებულია XX საუკუნის ქანდაკებების პერიოდული გამოფენებისათვის.

ბერლინის ძველი მუზეუმი

ალტეს მუზეუმი ან ძველი მუზეუმი თავდაპირველად პრუსიის სამეფო ოჯახის ხელოვნების ნიმუშთა კოლექციისთვის აიგო ბერლინში ნეოკლასიკურ სტილში არქიტექტორ კარლ ფრიდრიხ შინკელის მიერ 1823-1830 წლებში. შენობაში არქიტექტორმა მოდელად გამოიყენა ათენის პართენონის კოლონების კლასიკური წყობა. თუმცა იონიური წყობა მხოლოდ შენობის წინა ფასადშია გამოყენებული, დანარჩენი სამი ფასადი აგურითა და ქვით არის მოპირკეთებული.

1830 წელს მუზეუმი საზოგადოებისთვის გაიხსნა. მეორე მსოფლიო ომში შენობა მძიმედ დაზიანდა. 1966 წელს აღდგენილ იქნა და ადრინდელი ნახევარსფეროსებრი თაღი ელიფსის ფორმით გადაკეთდა. მუზეუმში ამჟამად უპირატესად ძველ ბერძნეთა და რომაელთა ქმნილებებია გამოფენილი. ეს უძველესი და უდიდესი საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობაა ბერლინში და მდებარეობს ლუსტგარტენში ბერლინის ქალაქის სასახლესთან, ბერლინერ დომის გვერდით, რომელიც ასევე შინკელის პროექტით აიგო.

სასახლე ჰეტ ლო

სასახლე ჰეტ ლო (ნიდერლ. Paleis Het Loo, ნიშნავს „ტყის სასახლეს") არის სასახლე ნიდერლანდის ქალაქ აფელდორნში. სიმეტრიული ნიდერლანდური ბაროკოს სტილის შენობა დააპროექტეს იაკობ რომანმა და იოჰან ვან სვიტენმა. შენობა აიგო 1684-1686 წლებში ინგლისის მეფე უილიამ III-სა და მერი II-სთვის. სასახლის ბაღი დააპროექტა კლოდ დეგოცმა.

სასახლე ეკუთვნოდა ნიდერლანდის მეფეების ორანჟ-ნასაუს დინასტიას XVII საუკუნიდან დედოფალ ვილჰელმინას გარდაცვალებამდე (1962). სასახლის შენობა განახლდა 1976-1982 წლებში. 1984 წლის შემდეგ, სასახლე არის სახელმწიფო მუზეუმი (rijksmuseum). ამჟამად მუზეუმი ღიაა საზოგადოებისთვის, სადაც შესაძლებელია შიდა ინტერიერის ნახვა ორანჟ-ნასაუს დინასტიის კუთვნილ ავეჯთან, ნივთებთან და ნახატებთან ერთად.

ალექსანდრე III-ის რუსული მუზეუმი

ალექსანდრე III-ის რუსული მუზეუმი რუსული სახვითი ხელოვნების ნიმუშების უდიდესი საცავია სანქტ-პეტერბურგში. მუზეუმი დაარსდა 1895 წლის 13 აპრილს ნიკოლოზ II-ის ბრძანებით მამის, ალექსანდრე III-ის ხსოვნის უკვდავსაყოფად. მისი თავდაპირველი კოლექცია შედგებოდა ერმიტაჟის მუზეუმიდან, ალექსანდრეს სასახლიდან და ხელოვნების იმპერიული აკადემიიდან წამოღებული ნიმუშებისგან. რუსეთის რევოლუციის შემდეგ მრავალი კერძო კოლექცია ნაციონალიზებულ იქნა და რუსულ მუზეუმში გადმოინაცვლა. ამ კოლექციის ნაწილი იყო კაზიმირ მალევიჩის "შავი კვადრატის" პირველი და ყველაზე ფასდაუდებელი ვერსია.

მუზეუმის მთავარი შენობა მახაილოვსკის სასახლეა – დიდი თავადი მიხაილ პავლოვიჩის ბრწყინვალი ნეოკლასიკური რეზიდენცია, აგებული 1819-25 წლებში კარლო როსის პროექტით სანქტ-პეტერბურგის ხელოვნების მოედანზე. სასახლის ზოგიერთ დერეფანში შემორჩენილია ყოფილი იმპერიული რეზიდენციის თავდაპირველი პომპეზური ინტერიერი. მუზეუმის სხვა შენობათა შორისაა პეტრე I-ის ზაფხულის სახლი (1710-14), გრაფი ორლოვის მარმარილოს სასახლე (1768-85), იმპერატორი პავლეს წმ. მიხეილის ციხე-კოშკი (1797-1801), და რასტრელის პროექტის სტროგანოვის სასახლე ნევისპროსპექტზე (1752-54).

პუშკინის სკვერი, სემინარია, სადაც ამჟამად განთავსებულია შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმი

4.2. მოთხოვნები სამუზეუმო შენობისადმი

სამუზეუმო დაწესებულებების უკმარისობა ერთ-ერთი ხელისშემშლელი პირობაა სამუზეუმო სამუშაოს ნებისმიერი მიმართულების განხორციელებაში, მათ შორის, საფონდო სამუშაოს განხორციელებაშიც: კოლექციების შევსება, კვლევების ჩატარება, შენახვის რეჟიმისა და შენახვის სისტემის ორგანიზება, წესების დაცვით, შეუძლებელია, თუ მუზეუმის შენობა არ შეესაბამება ნორმებს.

მუზეუმის შენობა უნდა აკმაყოფილებდეს ბევრ კრიტერიუმს, ეს აქცევს მას ერთ-ერთ ყველაზე რთულ ნაგებობად (საზღვარგარეთის მუზეოლოგების აზრით, არა მარტო ერთ-ერთ ყველაზე რთულ, არამედ ერთ-ერთ ყველაზე ძვირადღირებულ ნაგებობად).

მუზეუმის შენობა – ძალიან ზოგადი ცნებაა. სინამდვილეში, მუზეუმების განლაგების ვარიანტები, საკმაოდ მრავალფეროვა-

ნია. პირველ რიგში, ეს შეიძლება იყოს ძველი შენობა, რომელიც დაკავშირებულია ისტორიულ მოვლენებთან, შენობა, რომელიც, თავისთავად, არის ღირებული ობიექტი, ექვემდებარება დაცვას.

ასეთი შენობა, თავისთავად, არის ისტორია და ხსოვნა წარსულისა. ამავე დროს, ამ შენობის, მუზეუმის დანიშნულება, ამ გარკვეული ფუნქციების შესრულებაა, სადაც თვითონ შენობა შეიძლება არც კი იყოს მთავარი ექსპონატი. ასეთი ობიექტები ხომ მუზეუმებისათვის სულაც არ შენდებოდა.როგორც წესი, ასეთი შენობების ინტერიერი ძლიერ იცვლება, ეწყობა რა მუზეუმის ამოცანებს. ყველაზე რთული პრობლემაა ისე შეუწყო ისტორიული შენობა მუზეუმს, რომ თან დავიცვათ თანამედროვე მუზეოლოგიის ყველა მოთხოვნა და ამავე დროს არ გავანადგუროთ ღირებული ისტორიული ობიექტი.

მეორე, შენობა შეიძლება ხელახლა აიგოს სპეციალურად მუზეუმისათვის. ამ ვარიანტს ყველა მუზეუმმცოდნე მიიჩნევს, როგორც საუკეთესოს, რადგან რეკონსტრუირებული შენობა პრაქტიკულად არასდროს სრულად არ შეესაბამება სამუზეუმო შენობის მოთხოვნებს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი თავს იჩენს პრობლემა: მუზეუმის ზომის მიხედვით, „ძველი ტანსაცმელი“ პატარავდება – საჭიროა ახალი საფონდო, ექსპოზიციის შენობა, ძველი შენობები ვეღარ დააკმაყოფილებენ ახალ მოთხოვნებს და ა.შ.

მესამე, მუზეუმის შენობა შეიძლება წარმოადგენდეს მუზეუმფიცირებულ ობიექტს, რომლის მთავარი ამოცანაა არა მარტო შენობის, არამედ ინტერიერის, ანუ მთლიანი კომპლექსის შენახვა. მოცემულ შემთხვევაში შენობას განიხილავენ სწორედ როგორც სამუზეუმო საგანს, ინახავენ, იცავენ, სწავლობენ და ა.შ.

ამჟამად იქმნება პროექტები, რომლებიც აერთიანებენ სხვადასხვა მიდგომას მუზეუმის შენობის არჩევისა და აშენებისათვის. ასეთი კომბინაციის მაგალითია „მუზეუმის კვარტალი“ (Mu Qua) ვენაში. აქ, ძველი შენობების გვერდით, რომლებშიც მუზეუმებია განთავსებული, იგება ორი ახალი სამუზეუმო შენობა. ჩანაფიქრის მიხედვით, ამ ყველაფერმა, უნდა შეადგინოს ერთიანი კულტურული კომპლექსი.

მუზეუმის ასაშენებლად ადგილის შერჩევის დროს, ყველაზე მნიშვნელოვანია შეკითხვა: განვათავსოთ იგი რომელიმე ისტორიულ შენობაში თუ ავაგოთ ახალი. უცხოეთში ამ საკითხებს წყვეტენ ფედერალური მნიშვნელობის მქონე სახელმწიფო მუზეუმების გათვალისწინებით – კულტურის სამინისტრო; ადგილობრივი (მუ-

ნიციპალური მუზეუმების) გათვალისწინებით – ადგილობრივი თვითმმართველობები და ა.შ.

საზღვაგარეთის პრაქტიკაში ითვლება, რომ ისტორიული შენობის შესანახად გამოყოფილი ხარჯი იმდენად დიდია, რომ მთლიანად „ჭამს“ იმ სახსრებს, რომლის ეკონომიაც გააკეთეს შენობის რეკონსტრუქციისათვის (ითვლება, რომ რეკონსტრუქცია ახალ მშენებლობაზე ყოველთვის უფრო იაფია, რადგან სამუზეუმო შენობები საკმაოდ ძვირია. თუმცა არსებობს საპირისპირო შეხედულებაც). ასევე ისტორიული იერსახის შენარჩუნების აუცილებლობა ხელს უშლის ხელახალი დაგეგმარების საკითხების გადაწყვეტას, ახალი შენობების აგებას, ისტორიული შენობის ტექნიკურად ხელახლა აღჭურვას.

ამავე დროს ბევრია დამოკიდებული მუზეუმის პროფილზე და მის დანიშნულებაზე: მემორიალურ მუზეუმებს სწორედ ისტორიული შენობები სჭირდება, ასევე, ეს შენობები, დაკავშირებული უნდა იყოს გამოჩენილ პიროვნებებთან.

მუზეუმისთვის შენობის არჩევა ან ახლის აშენება (ნებისმიერ შემთხვევაში) მოითხოვს არქიტექტურული პროექტის შექმნას. არქიტექტორის გარდა, პროექტის შემუშავებაში აუცილებლად მონაწილეობას უნდა ღებულობდნენ მუზეუმის მუშაკები, ვისი ამოცანაც არის მუზეუმის კონცეფციის შემუშავება, მუზეუმის სპეციალისტების მოთხოვნების ახსნა სამუზეუმო საგნების შენახვისა და ექსპონირებისთვის, ბიბლიოთეკების განთავსებისთვის, სამკითხველო დარბაზების განთავსებისთვის, ლექტორებისთვის ადგილის შესარჩევად, კოლექციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ა.შ.

პროექტში უნდა შედიოდეს რამდენიმე თავი. პირველ რიგში, ღირს გავითვალისწინოთ მომავალი მუზეუმის მომიჯნავე მიწის ნაკვეთის თავისებურებები. მუზეუმის შენობა უნდა იყოს მისასვლელად და დასათვალიერებლად ხელმისაწვდომი (ადვილად შეიძლება ადგილის გეგმის შედგენა, ფეხით, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მისვლა, ავტოსადგომზე შეიძლება დაინიშნოს ტურისტული ავტობუსები ან კერძო ავტომობილები). მიწის ნაკვეთი საშუალებას უნდა იძლეოდეს შენობის რეკონსტრუქციის საკითხების გადაწყვეტისა, დამატებითი შენობების აშენებისა (საკმაოდ უხერხულია, როცა მუზეუმს უწევს ფონდების შერევა შენობის უკმარისობის გამო, უწევს მისი კოლექციის ექსპონირება ერთმანეთისაგან დაშორებულ შენობებში).

ხელმისაწვდომობა, აგრეთვე, გულისხმობს, რომ სამსახურები, რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ მუზეუმის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, ასრულებენ თავიანთ ამოცანას შეუფერხებლად (მაგალითად, შენობასთან ახლოს ჰიდრანტების (წყლის ასაღები ონკანი) არსებობა აუცილებელია ხანძრის შემთხვევაში და ა.შ.). მიწის ნაკვეთის ან შენობის არჩევისას აუცილებლად ითვალისწინებენ უსაფრთხოებას, რომლებსაც წარუდგენენ სამუზეუმო დაწესებულებებს (ყველაზე ახლომდებარე შენობების არსებობა, მათი განლაგება მუზეუმის მიმართ, საერთო გადასასვლელების არსებობა). ასევე განიხილება ადგილის განვითარების პერსპექტივა (კიდევ რომელიმე შენობის აგება, კომუნიკაციები, გზების განლაგება და ა.შ.), რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს მუზეუმსგარე და მუზეუმსშიდა გარემოზე, ხდება მუზეუმისაგან დამატებითი ხარჯის მოთხოვნა უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების მიზნით: ჰაერის გაზით დაბინძურება, ვიბრაცია, ზედმეტი ხმაური და ა.შ.).

მეორე, არქიტექტურული პროექტი უზრუნველყოფილ უნდა იქნას შენობის წინასწარი განლაგებით: ყველა შენობა განლაგებული უნა იყოს დამთვალიერებლებისათვის ხელმისაწვდომად და პირიქით, განკუთვნილი კოლექციისთვის და პირიქით. ეს საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მოქმედების სქემების მიმართულება მუზეუმის შენობაში: ექსკურსიის და ცალკეული დამთვალიერებლების გადასაყვანად; ექსპონატებისა და სხვა სამუზეუმო მონაპოვარის ადგილზე მისატანად; ნაგვის გასატანად; პერსონალისთვის, რომელიც ემსახურება მუზეუმის ტექნიკას, აღჭურვილობას; გადაადგილებას გაუთვალისწინებელი სიტუაციების დროს და ა.შ.

ექსკურსიის ნაკადი, ლოგიკურია წავიყვანოთ დარბაზში მარცხნიდან მარჯვნივ, რადგან ასე იოლია ინფორმაციის წასაკითხად (იმ ქვეყნების გამოკლებით, რომელთა დამწერლობა სწორედ რომ საპირისპიროს მოითხოვს – კითხვას მარჯვნიდან მარცხნივ). ექსკურსია და ცალკეული დამთვალიერებლი არ უნდა შეეჩეხოს სხვა ნაკადს, არ უნდა შემოუაროს შენობას, არ უნდა დაბრუნდეს ბევრჯერ დარბაზის ერთსა და იგივე ადგილას და ა.შ.

შენობის (ოთახის სათავსო) გამოყოფის დროს ასევე უთითებენ განათების დასაშვებ დონეს და შენობის განათების კონტრასტულობის სხვაობას, რეკომენდაციებს პირდაპირ ან არაპირდაპირ განათებაზე, გასანათებელი კომპლექტების მიმაგრების თავისებურებებს, გასანათებელი კომპლექტების სახეებს. ამ საკითხების გადაწყვეტის დროს მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის მასალაც,

რომლითაც დაფარავენ შენობის კედლებს: მას შეიძლება ქონდეს სინათლის სიმძლავრის ხარისხი. ოთახის მიკროკლიმატისადმი მოთხოვნები ჩნდება და რეალიზდება (ტენიანობის, ტემპერატურის, ხმაურის დონის, ჰაერის ფილტრაციის მოთხოვნების მიმართ და ა.შ.), ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული შენახვის რეჟიმის დაცვის შესაძლებლობა.

იმ ალბათობის გათვალისწინებით, რომ გარკვეული დროის გასვლის შემდეგ შენობა შესაძლოა დაექვემდებაროს რეკონსტრუქციას, მნიშვნელოვანია მივუთითოთ შენობის არქიტექტურული თავისებურებებიც: საყრდენი კედლების არსებობა, კონსტრუქციები, შენობის გეგმის შეცვლის შესაძლებლობა.

შენობა ასევე ფასდება უსაფრთხოების კუთხით და ექსტრემალურ სიტუაციებში შენახვის რეჟიმის დაცვის შესაძლებლობით, ყველა შესაძლო დაცვის სისტემის განთავსებით. მუზეუმის თანამშრომლებმა უნდა განსაზღვრონ მოთხოვნები საკომუნიკაციო სისტემისადმი (ელექტროგაყვანილობა, კანალიზაცია, წყალგაყვანილობა, დამაკავშირებელი საშუალებები და ა.შ.).

მუზეუმის დაგეგმარებისას ასევე ითვალისწინებენ მისი დარბაზების რა რაოდენობა იქნება გამოყენებული ექსპოზიციის, ფონდების, ტექნიკური სივრცის, რეკრეაციული ზონის და ა.შ. მიერ.

ნორმები, რომლებიც მითითებულია მუზეოლოგიურ ლიტერატურაში საკმაოდ ცვლადია. ასე, მაგალითად, რ. ვენტური, ლონდონის ნაციონალური გალერეის შემქმნელი, აღნიშნავს, რომ ექსპოზიციის დარბაზის და სხვა შენობის დარბაზების თანაფარდობა „XIX საუკუნის კლასიკური მაგალითების დროიდან შეიცვალა თანაფარდობით 9:1-დან 1:2-მდე“.

ბ. და გ.დ. ლორდები, გვთავაზობენ ოპტიმალურ თანაფარდობას სამუზეუმო დარბაზების დანაწილებისა, გვაძლევენ შემდეგ პარამეტრებს: 40% – ექსპოზიციაზე და დროებით გამოფენებზე; 20% – ფონდებზე, კონსერვაციისა და რესტავრაციის ლაბორატორიებზე და სხვა. შენობა, რომელიც დაკავშირებულია ექსპონატების შენახვასთან; 20% – პერსონალისთვის განკუთვნილ დამხმარე შენობებზე („ოთახები აღჭურვილობისათვის და ოფისებისათვის“) და 20% – რეკრეაციული ზონისათვის (ჰოლები, დარბაზები, აუდიტორიები, კაფე ან რესტორნები და ა.შ.).

მიჩნეულია, რომ ასეთი თანაფარდობა უნდა ითვალისწინებდეს მუზეუმის ტიპსაც.

კვლევით მუზეუმებს, პრინციპში, არ ჭირდებათ რეკრეაციული ზონები, ისევე, როგორც შეიძლება არ დასჭირდეთ ექსპოზიციური დარბაზები. ძირითადი შენობა უნდა განეკუთვნებოდეს მუზეუმის ფონდებს.

სასწავლო მუზეუმებს სჭირდებათ დიდი ექსპოზიციური დარბაზები და საკმაო ფართი სალექციო და დამოუკიდებელი მუშაობისათვის, მაგრამ რეკრეაციული ზონა მათ არ სჭირდებათ.

საგანმანათლებლო მუზეუმებს პირიქით, სჭირდებათ ფართი, რომელიც საშუალებას აძლევს დამთვალიერებელს არა მარტო დაათვალიეროს კოლექცია, არამედ დაისვენოს, იკვებოს, გაერთოს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უნდა დავგეგმოთ რეკრეაციული ზონა, რომელიც იქნება მოსახერხებელი დამთვალიერებლისათვის და ექნება სხვადასხვა ფუნქცია.

სამუზეუმო შენობები მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე რთულ კონსტრუქციად. მსოფლიო პრაქტიკაში, მოწვევა, სამუზეუმო შენობის პროექტის შექმნაში მონაწილეობის მისაღებად, მიღებულია, როგორც არქიტექტორის, დიზაინერის ოსტატობის აღიარებად.

მაგალითად, კრებულის „ამერიკის შეერთებული შტატების დიზაინი“ ავტორები, აღნიშნავდნენ, რომ „სამხატვრო მუზეუმის პროექტები გახდა ყველაზე ფასეული შეკვეთა, რომელზეც დღევანდელი არქიტექტორები ოცნებობენ“.

XX საუკუნის არქიტექტურაში გავრცელება ჰპოვა შენობის პროექტების ორმა ძირითადმა სახემ, რომლებიც მუზეუმებისთვის იყო განკუთვნილი: კონცენტრული და ხაზოვანი. მათი იდეა გაჩნდა XIX საუკუნის ბოლოს, მაგრამ განხორციელება ჰპოვა გაცილებით გვიან.

პირველი ტიპის შენობა იგება კონცენტრული წრეების სისტემით, რომელსაც შეუძლია დამთვალიერებელი გადაიყვანოს ექსპოზიციიდან ექსპოზიციაში, რომელიც თანდათანობით ზრდის და ართულებს ინფორმაციულ ნაკადს. ასეთი შენობის იდეა ჩამოაყალიბა პიტ-რივერსმა, მუზეუმის დამფუძნებელმა ფარნემში (დიდი ბრიტანეთი). მან 1887 წელს ახსნა ეს იდეა სტატიაში „Journal of the Society of Arts“ („ხელოვნების საზოგადოების ჟურნალი”), ხოლო შემდგომ – ბრიტანული ასოციაციის არქეოლოგიური სექციისთვის მომზადებულ მოხსენებაში.

გ. ფლაუერი – ლონდონის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მუზეუმის დირექტორი, პროპაგანდას უწევდა სამუზეუმო შე-

ნობების ხაზოვან სისტემას, რომელიც განკუთვნილი იყო საგამოფენო, სასწავლო და სამეცნიერო სამუშაოებისათვის. შენობა წარმოადგენს მართკუთხედს, რომელიც სამ ნაწილადაა დაყოფილი. დამთვალიერებლებისათვის ხელმისაწვდომი შენობები მიჰყვება ფასადს სიგრძეზე. მათ პირდაპირ მიჰყვება უფანჯრო ოთახები, სადაც განთავსებულია საფონდო ფართები. უკან განლაგებულია შენობის ფანჯრებით განათებული სამუშაო და სასწავლო ოთახები.

სპეციალურად აგებულ მუზეუმებს შორის შეიძლება გამოვყოთ ისინი, რომლებიც აგებულია სამუზეუმო ობიექტების დასაცავად და მათი კონსერვაციის მიზნით. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ მუზეუმის შენობა ფიშბორნში (დიდი ბრიტანთი), რომელიც აშენდა რომის სასახლის გათხრების ადგილას ჩვენი წელთაღრიცხვით I საუკუნეში; მუზეუმი „ვასა“ (შვეცია), რომელიც აშენდა შვედური სამხედრო გემის მუზეუმად კონსერვაციისა და შემდგომი რეორგანიზაციის მიზნით 1628 წელს (მუზეუმს გემის სახელი უწოდეს), რომელიც აღმოაჩინეს არქეოლოგებმა 1956 წელს. ეს შენობები წარმოადგენენ რაღაც გიგანტური ლაბორატორების მსგავსს კონსერვაციისათვის, რომელშიც შესვლის ნებართვა აქვთ დამთვალიერებლებს. ასეთი კომპლექსის შექმნა ყოველთვის შრომატევადი და ხარჯიანია.

მუზეუმის ორგანიზების დროს, ყოველთვის როდი საუბრობენ მშენებლობაზე ან მუზეუმისათვის ცალკეული შენობის გამოყოფაზე. საკმაოდ ხშირად გამოიყოფა რამდენიმე შენობა. ეს, როგორც წესი, ეხება სასწავლო მუზეუმებს, რომლებიც სასწავლო დაწესებულებებში იქმნება (სკოლებში, უნივერსიტეტებში და ა.შ.), უწყებრივი მუზეუმები, რომლებიც, ჩვეულებრივ იქმნება ან სასწავლო მიზნით. მაგრამ ამ შემთხვევებშიც კი უნდა დავიცვათ მოთხოვნები, რომელსაც წარუდგენენ სამუზეუმო დაწესებულებებს.

დაწესებულებათა შემთხვევითი არჩევა, კონდიციონერების არქონა, მომატებული ტენიანობა და ა.შ. ყოველივე ამას მივყავართ ექსპონატების გაფუჭებამდე და საფრთხის ქვეშ აყენებენ თვითონ მუზეუმის არსებობას. დაწესებულების არჩევის და მისი ხელახლა აღჭურვის საკითხების გადაწყვეტის დროს აუცილებელია გავიაროთ კონსულტაცია სპეციალისტებთან, მუზეუმმცოდნეებთან. სამუზეუმო შენობის წარმატებით გადაწყვეტა არის სამუზეუმო სამუშაოს წარმატებული მართვის გარანტი.

ჰანოვერის ისტორიის მუზეუმის ახალი შენობა (1967 წ. არქიტექტორი დ. ესტერლენი) მოიცავს შუა საუკუნეების ციხესიმაგ-

რის ნანგრევებს, ხოლო საფეხურისებრ განლაგებული მცირესართულიანი ნაგებობები ექვემდებარება შუასაუკუნეების ქუჩის სივრცულ კომპოზიციას.

ჰანოვერის ისტორიის მუზეუმი

აღმოსავლური არქიტექტურის სტილშია გაადწყვეტილი მიჰოს მუზეუმის შენობა, რომელიც მდებარეობს ქალაქ შიგარაკინო-სატოსთან შიგას პრეფექტურაში, იაპონიაში, კიოტოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით.

მიჰოს მუზეუმი

❖

საქართველოს სამუზეუმო არქიტექტურა, ძირითადად, რუსეთის იმპერიის მუზეუმების არქიტექტურულ სტილში იყო გადაწყვეტილი. XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის მასშტაბურ მშენებლობათაგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უთუოდ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის კომპლექსის მშენებლობა იყო. კავკასიის სააბრეშუმო სადგური ცნობილი ბუნებისმეტყველის ნიკოლაი შავროვის თაოსნობით 1887 წელს დაარსდა. კომპლექსის მშენებლობა მისივე უშუალო მონაწილეობით მიხეილის ქუჩის (დღევანდელი დავით აღმაშენებლის პროსპექტის ბოლოში) მუშტაიდის ბაღის ტერიტორიაზე 1890-1892 წლებში განხორციელდა. კომპლექსი, რომელიც ოდესღაც აერთიანებდა გრენის დასამზადებელ სახლს, აბრეშუმის ძაფის საგრეხ და ამოსახვევ კორპუსს, საჭიე ბინას და სხვა ნაგებობებს, დროთა განმავლობაში განადგურდა. კომპლექსის გამოკვეთილი დომინანტი – მთავარი შენობა კი დღესაც სახეუცვლელი დგას და არქიტექტურული თვალსაზრისით XIX საუკუნის მიწურულის თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო ნაგებობად და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლად არის მიჩნეული.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მთავარი შენობის, ისევე როგორც მთელი კომპლექსის აღმშენებელი, თბილისში მოღვაწე პოლონელი არქიტექტორი ალექსანდრე შიმკევიჩია.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მთავარი შენობა. თბილისი

ალექსანდრე შიმკევიჩი XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის არაერთი არქიტექტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვა-

ნი და სტილისტურად მრავალფეროვანი საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი დანიშნულების შენობის ავტორია. მათ შორის – სასამართლო პალატა და საოლქო სასამართლო, სამუსიკო სკოლა (ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია), საარტისტო წრე (რუსთაველის თეატრი, არქიტექტორ კ. ტატიშჩევთან ერთად), ანდრეოლეტის სახლი და სხვა. ქვის მაღალ ცოკოლზე მდგომ შენობას შეულესავი წითელი აგურის ფასადები, შუა რიზალითზე მიდგმული დიდი პორტიკი და ცენტრალური ნაწილის გადამხურავი მანსარდა გამოარჩევს.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მთავარი შენობის დეტალები

სტილისტური თვალსაზრისით ნაგებობა მრავალი ტრადიციის შერწყმის შედეგია. შენობის ფასადები ითავსებს ე.წ. „რუსული სტილის", კლასიცისტურ თუ გოთურ და ისლამურ ფორმებს. აღსანიშნავია ინტერიერის მორთულობა, რომელიც კლასიკური არქიტექტურის არქიტექტურულ მორთულობასთან ერთად, აბრეშუმის თემაზე მისადაგებულ ნაძერწ ელემენტებსაც შეიცავს – ფრიზი, კარნიზი, პილასტრი, კაპიტელი – ხან თუთის ფოთლით, ხან აბრეშუმის ჭიით, ხან პარკითა თუ ჭუპრით არის გამოძერწილი.

აღნიშვნის ღირსია ასევე მუზეუმის საგამოფენო დარბაზსა და ბიბლიოთეკაში ალექსანდრე შიმკევიჩის ესკიზებით დამზადებული, თავდაპირველი სახით შემონახული ავეჯი. აღწერილი შენობა მაღალი მხატვრულ-არქიტექტურული ღირებულებისა და მკვეთრი ურბანული მნიშვნელობის მატარებელი ნაგებობაა.

მუზეუმის შენობა, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და მოითხოვს გადაუდებელ დახმარებას. გასათვალისწინებელია, რომ კოლექციების უმრავლესობა არა მხოლოდ ძველია (120-ზე მეტი წლისაა), არამედ წარმოადგენს ადვილად დაზიანებად მასალას.

ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის შენობა XX საუკუნის 20-იანი წლების არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშია (1913-1929 წწ.). შენობის პირველი პროექტი ეკუთვნოდა არქიტექტორ კ. ტატიშჩევს, შემდგომ პროექტი გადაამუშავა არქიტექტორმა მ. ნეპრინცევმა, ფასადი არქიტექტორმა ნ. სევეროვმა.

სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმი

სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი ახლად რეაბილიტირებულ ახალციხის ისტორიულ უბანში – რაბათის ციხის ზედა ნაწილში, ე. წ. ზედა ციხის არქიტექტურულ კომპლექსში მდებარე XIX ს-ის საერო ნაგებობაში განთავსდა.

ახალციხის მუზეუმის ახალი შენობის არქიტექტურა, რომელშიც ადგილობრივი ბანური გადახურვის ტრადიცია შემოქმედებითად არის გადამუშავებული და ჩამოყალიბებული, კარგად ითავსებს ფუნქციას და ამავე დროს ორგანულად, ბუნებრივად ეწერება გარემოში.

ახალციხის მუზეუმი

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობა განთავსებულია რუსეთის საიმპერატორო ოჯახის – რომანოვების – კანცელარიის შენობაში. ფსევდოგოთური სტილის არქიტექტურული ნაგებობა გერმანელმა ინჟინერ-არქიტექტორმა ვ.შვეიერმა 1890 წელს ააგო.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

საქართველოს მუზეუმები, ძირითადად, ისტორიულ შენობებშია განთავსებული. ამ შენობების არქიტექტურას ვერ მივაკუთვნებთ სამუზეუმო არქიტექტურის ტიპს. მიუხედავად ამისა, ისტორიულ შენობებში განხორციელებული რეკონსტრუქციის შედეგად, იგი აკმაყოფილებს მუზეუმის მოთხოვნებს. მაგალითად, ზუგდიდის ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმი განთავებულია დადიანების სასახლეში.

ზუგდიდის ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმი

ზუგდიდის ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმი დაფუძნდა 1921 წელს. სამუზეუმო კომპლექსი შედგება სამეგრელოს დედოფლის ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა და თავად ნიკო დადიანის სასახლეებისაგან (XIX ს-ის 60-90-იანი წწ., არქიტექტორები გ. რაისი და ლ. ვასილევი), კარის ეკლესიისა და დადიანების მიერ გაშენებული ბოტანიკური ბაღისაგან.

ეროვნული გალერეა

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი

საქართველოს მუზეუმების ნაწილი, გარდა ისტორიული შენობება-ნაგებობებისა, განთავსებულია მუზეუმისათვის სპეციალურად აგებულ შენობებში. სამუზეუმო შენობის დაპროექტებისას

გათვალისწინებულია ყოველი მუზეუმის სპეციფიკა და მოთხოვნები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებითაა გათვალისწინებული. შენობის არქიტექტურაში დაცულია ეროვნული კულტურის ტრადიციები. მაგალითად, აჭარის ხელოვნების მუზეუმი განთავსებულია ტიპიურ სამუზეუმო შენობაში, რომელიც დაპროექტებულია ცნობილი არქიტექტორის კ. ჯავახიშვილის მიერ (1949წ). ეს მონუმენტური ნაგებობა გამოირჩევა თავისი ფუნქციონალური სტრუქტურით და ესთეტიკური გამომსახველობით. ხასითდება მკაცრი, დახვეწილი არქიტექტონიკით, დეკორის სისადავით: ფასადს ამშვენებს გამოჩენილი მოქანდაკის თ. აბაკელიას მიერ შესრულებული რელიეფური ფრიზი (1951-1952 წწ).

ბათუმის ხელოვნების მუზეუმი

❖

ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი

ხელოვნების ეროვნული გალერეა ხელოვნების მუზეუმია, რომელიც მდებარეობს ნაციონალურ მოლთან ვაშინგტონში (კოლუმბიის ოლქი). მუზეუმი დაფუძნდა 1937 წელს კონგრესის მიერ, ხოლო შენობის კონსტრუქციისა და მნიშვნელოვანი სამხატვრო კოლექციისთვის ფონდები გაიღო ენდრიუ მელონმა. სემუელ კრესმა მუზეუმს უსახსოვრა მისი თავდაპირველი იტალიური ხელოვნების კოლექცია. შენობის არქიტექტურა კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი.

ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის – ინდიელების მუზეუმი ვაშინგტონში

4.3. თანამედროვე მუზეუმების არქიტექტურა

კულტურული დაწესებულებების წონა განისაზღვრება მათი კოლექციების სიმდიდრითა და გარემოთი, რომელშიც ხელოვნების ნიმუშებია თავმოყრილი. შესაბამისად, მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების შენობები, იქნება ეს პარიზის ლუვრი, ფლორენციის გალერეა თუ რომის ვატიკანის მუზეუმები, წარმოადგენენ ისტორიული წარსულისა და მხატვრული ღირებულებების მქონე ნაგებობებს, რომლებიც ერთგვარად ხელს უწყობენ მათში წარმოდგენილი ექსპონატების წარმოჩენას საზოაგდოების წინაშე.

მეოცე საუკუნეში კლიშე, რომ მუზეუმი უპირობოდ ხელოვნების ტაძარს უნდა წარმოადგენდეს, სადაც მნახველს დახვეწილ, კლასიკურ გარემოში შეეძლება შედევრებთან მიახლოება, პირველად 1970 წელს დაიმსხვრა, როდესაც პარიზში ქვეყნის პრეზიდენტის, ჟორჟ პომპიდუს დაკვეთით, გამოცხადდა კონკურსი თანამედროვე ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული ცენტრის აგებაზე. 681 განაცხადიდან ჟიურიმ დაამტკიცა ახალგაზრდა არქიტექტორების, რენცო პიანოსა და რიჩარდ როჯერსის პროექტი, რომელმაც, ბევრი ექსპერტის აზრით, ე.წ. არქიტექტურულ High-tech-ს (მაღალტექნოლოგიური) ჩაუყარა საფუძველი და სრულიად ახლებური ტიპის მუზეუმი შესთავაზა დამთვალიერებელს.

არქიტექტორების გადაწყვეტილებით, ხელოვნების და კულტურის ცენტრმა არსებული სამშენებლო ტერიტორიის მხოლოდ ნახევარი დაიკავა (1000 კვ.მ) და სივრცის დაზოგვის მიზნით, მის ფასადზე მოექცა ყველა ის ტექნიკური ელემენტი, რომელიც ტრადიციულად ინტერიერშია განთავსებული: საყრდენი ბოძები, სართულების დამაკავშირებელი ესკალატორები და მილები, რომლებიც, დანიშნულების მიხედვით, სხვადასხვაფრადაა შეღებილი (გათბობის სისტემისა და კონდიცირების მილები ლურჯი ფერისაა, წყლის – მწვანე, ელექტრობის – ყვითელი, მიწისქვეშა ვენტილაციის – თეთრი...). შენობის მინისა და რკინის მასიური კონსტრუქციის ფერთა სიმრავლემ და ფასადის მაღალმა რელიეფებმა თავის დროზე ექსპერტების რისხვა გამოიწვია, თუმცა დღეს პომპიდუს ყოველდღიურად 25 ათასი დამთვალიერებელი სტუმრობს, რაც მასში მოქცეული შედევრების სიმრავლის გარდა, ნაგებობის შთამბეჭდავი იერსახის დამსახურებაცაა.

ჟორჟ პომპიდუს ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული ცენტრის მუზეუმი შენობის არქიტექტურა ძალიან გამორჩეულია: ზოგიერთი კრიტიკოსი მას „ქალაქის ცენტრში ჩადგმულ ნავთობგადამმუშავებელ ქარხანას" ამსგავსებს. არქიტექტორის მიზანი იყო შენობის დამხმარე ელემენტების შენობის ჩონჩხის გარეთ გატანა იყო და შედეგად, შენობის „უკუღმა" მოტრიალება. ასეთი წყობა შენობის სასარგებლო ფართის მაქსიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა, ანუ უფრო მეტი ადგილი რჩება ექსპონატთა გამოსაფენად. შენობის ამგვარი იდეა ეყრდნობოდა სედრიკ პრაისის „მხიარული სასახლის" პროექტს (1964).

ჟორჟ პომპიდუს ხელოვნებისა და კულტურის ეროვნული ცენტრი

ამავე შენობაში მდებარეობს ინდუსტრიული დიზაინის ცენტრი, რომელიც მოიცავს მე-20 საუკუნის არქიტექტურასა და დიზაინს. მუზეუმში პერიოდულად წარმოდგენილია დროებითი თემატური ექსპოზიციები.

ჟორჟ პომპიდუს მოედანი მუზეუმის წინ ცნობილია ქუჩის მსახიობთა საყვარელ ადგილად.

ნიუ იორკის მეტროპოლიტენის ყოფილი მმართველის, ფილიპ მონტებელოს აზრით, დღეს მსოფლიოში მუზეუმების რიცხვის მატება არა იმდენად ტრადიციული მიზეზებითაა გამოწვეული (რაც გულისხმობს არსებული ხელოვნების ნიმუშების ერთ სივრცეში მოქცევასა და შედევრების კონტეინერის ფუნქციის შეთავსებას), არამედ: „დამკვეთებს სურთ, მათი მუზეუმები ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილებად იქცეს და თანაც ისეთივე არქიტექტურა ჰქონდეთ, როგორიც ბილბაოს გუგენჰაიმს აქვს, რადგან ფიქრობენ, რომ შესაძლოა, ეს ნაგებობა მათი ქალაქების ეიფელის კოშკი გახდეს", – ამბობს მონტებელო.

მუზეუმები ხელოვნების ნიმუშებისა და ადამიანების შეხვედრის კოლექტიურ ადგილს წარმოადგენს, თუმცა სახელგანთქმული ნამუშევრები რიგ შემთხვევებში ისეა დაცული, რომ მათი აღქმა რეპროდუქციებში გაცილებით უკეთაა შესაძლებელი, ვიდრე ორიგინალში. მაგალითად, ლუვრში მსოფლიოს უდიდესი შედევრის,

მონა ლიზას სანახავად ტურისტულ სეზონზე თუ მოხვდი, ათი წუთი მაინც უნდა იდგე რიგში, რომ წინა ხაზზე, დამცავ ზონართან, ნახატიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით აღმოჩნდე და კონტურებისა და ფერების გარდა, ვერაფერიც ვერ დაინახო, რადგან პორტრეტი არცთუ დიდი ზომისაა (77x53). მას ბროლის გამჭვირვალე საფარი იცავს და თანაც მაღლიდან გადმოგყურებს.

ბერლინის ებრაული მუზეუმი

თუკი ბილბაო, ზემოხსენებული პარიზული მუზეუმებისგან განსხვავებით, უნიკალური შედევრების სიმრავლით ვერ დაიკვეხნის, ბერლინის ებრაული მუზეუმი, რომელიც გუგენჰაიმის საპირისპიროდ, ჩამქრალი, რკინაბეტონის ნაცრისფერი ნაგებობაა, დამთვალიერებელზე სწორედ რომ მრავლისმთქმელი სიცარიელით ახდენს შთაბეჭდილებას. დანიელ ლიბესკინდის პროექტი ერის ისტორიის არქიტექტურულ ფორმებში გადმოცემული მეტაფორა უფროა, ვიდრე საექსპონატო სივრცე. ნაგებობას ზიგზაგი-

სებური ფორმა აქვს და სამ ნაწილადაა დაყოფილი: „მარადისობის კიბე", „დევნილობისა და ემიგრაციის ბაღი" და „ჰოლოკოსტის სიცარიელე". ვიწრო დერეფნები, კედლების სირუხე, ირიბად შემოსული სუსტი სინათლე, მძიმე კარებები მნახველს წუთიერად აგდებს საკონცენტრაციო ბანაკებში მოხვედრილი ებრაელების უიმედო ყოფაში და თანაგრძნობას იწვევს.

ებრაული მუზეუმის მაგალითი კიდევ ერთხელ ადასტურებს ექსპერტების მოსაზრებას, რომ სამუზეუმო ექსპონატები თანამედროვე დამთვალიერებელს ხშირად ყველაზე ნაკლებად აინტერესებს. რისი ნახვა სურს სინამდვილეში მუზეუმში მოხვედრილ საზოგადოებას, ეს თანამედროვე არტკურატორების თავსატეხს წარმოადგენს. „ხალხი ამბობს, რომ მეტროპოლიტენი მეტისმეტად დიდია, თუმცა დღეს მუზეუმები კიდევ უფრო ფართოვდება მათში კაფეტერიებისა და მაღაზიების გასახსნელად", – მოხერხებულად აღნიშნა ფილიპ მონტებელომ 2007 წელს ამ საკითხზე „The Washington Post"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში და ამით მარტივად ახსნა, თუ რა წარმოადგენს სტუმრების ხშირად ყველაზე დიდ ინტერესს: სუვენირებისა თუ სხვადასხვა შედევრებიდან გადმოღებული სამკაულების ასლების შერჩევა და ფინჯანი ყავის დაგემოვნება კულტურულ სივრცეში.

თანამედროვე მუზეუმების არქიტექტურის საერთო ნიშანია შიგა სივრცის მოქნილად გამოყენება ძირითადი სათავსების ტრანსფორმირებისა და მათი შემდგომი გაფართოების გათვალისწინებით.

თანამედროვე მემორიალური მუზეუმები ხშირად წარმოადგენს კომპლექსებს, რომლებიც შედგება საკუთრივ მემორიალური ზონისა და შენობისაგან, რომლებშიც მოთავსებულია ექსპოზიცია. ამავე დროს, შენობის არქიტექტურული ფორმების გამომსახველობითი სახე მუზეუმის ძირითად იდეასა და შინაარს უნდა შეესაბამებოდეს (მაგალითად, ფაშისტური ტერორის მსხვერპლთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური ანსამბლი სალასპილსში. 1961-1967 წწ., არქიტექტორი ო. ზაკამენი და სხვ. მოქანდაკეები ლ. ბუკოვსკი, ი. ზარინი, ო. სკარაინისი).

ზოგჯერ მემორიალური ზონის ტერიტორიაზე ან მის მახლობლად აწყობდნენ არქიტექტურულად ნეიტრალურ შენობას (პავილიონს) საექსპოზიციო სათავსით.

გუგენჰაიმი ეპოქის საუკეთესო კონსტრუქციადაა მიჩნეული.

იგი მართლაც ბილბაოს სავიზიტო ბარათად იქცა და მეტიც, სრულიად შეცვალა მანამდე უსახური ინდუსტრიული საპორტო ქალაქის სახე. მუზეუმის გახსნის პირველივე წელს, ქალაქს, რომლითაც იშვიათად ინტერესდებოდნენ ტურისტები, ერთდროულად დამთვალიერებლების უზარმაზარი ნაკადი მიაწყდა. კრიტიკოსები ხშირად ღიმილით აღნიშნავენ, რომ ტურისტები ბილბაოს მუზეუმის რიგში ხანდახან საათობით დგანან და 10,50 ევროს იმაში იხდიან, რომ ნახონ გამოფენა, რომლის ავტორის შესახებაც არასდროს არაფერი სმენიათ. ეს ცხადყოფს, რომ გუგენჰაიმის შემთხვევაში, მთავარი ფუნქციის მატარებელი კონტენიტორი, ანუ თავად კონსტრუქციაა და არა ის დროებითი თუ მუდმივი ექსპოზიციები, რომლის ნახვაც მასში მოხვედრისას შეგიძლიათ.

გუგენჰაიმის მუზეუმ. ბილბაო

ნიუ-იორკში მდებარე სოლომონ გუგენჰაიმის მუზეუმი ტანამედროვე ხელოვნების დაწესებულებაა. იგი არა მხოლოდ ფუნქციური, არქიტექტურული თვალსაზრისითაც გამორჩეულია. ფრენკ ლოიდ რაიტის მიერ აგებული ეს პოსტ მოდერნისტული შენობა მე-20 საუკუნის მიმდინარეობის ერთ-ერთი პირველი და თვალსაჩინო წარმომადგენელია. გარდა საოცარი ექსპონატებისა, მნახველებს საშუალება ეძლევათ, „დაიკარგონ" მუზეუმის ხვეულ დერეფნებში, რომელსაც წელიწადში, საშუალოდ, 1,1 მილიონი მნახველი ჰყავს.

გუგენჰაიმის მუზეუმი. ნიუ-იორკი

ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი ცნობილია განსხვავებული არქიტექტურითა და კოლექციებით.

ხელოვნების ეროვნული გალერეა. ვაშინგტონი

მუზეუმი ორი ნაწილისგან შედგება, აღმოსავლეთისა და დასავლეთის შენობებისგან, რომლებიც მიწისქვეშა დერეფნითაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მუზეუმის საწყისი შენობა (ამჟამად დასავლეთის ფრთა) გაიხსნა 1941 წლის 17 მარტს. არქიტექტორ ჯონ რასელ პოუპის დაპროექტებული შენობა ნეო-კლასიკურ სტილშია გადაწყვეტილი.

მილუოკის ხელოვნების მუზეუმი (აშშ) ბიონიური არქიტექტურის სტილითაა გადაწყვეტილი.

მილუოკის ხელოვნების მუზეუმი. აშშ

ბიონიური, ბიო-ტექ არქიტექტურა არის მიმდინარეობა არქიტექტურასა და დიზაინში, რომელიც იდეებს ბუნებრივი (ანუ ბიოლოგიური) ფორმებისგან სესხულობს. მიმდინარეობამ ჩამოყალიბება XXI საუკუნის დასაწყისში დაიწყო და, შესაბამისად, ადრეულ პროექტებში ფორმის ძიება პრაქტიკულობას უსწრებს წინ. ბიონიური არქიტექტურა ეწინააღმდეგება ტრადიციულ მართკუთხა განლაგებასა და პროექტირების სქემებს, იყენებს რა მრუდ ფორმებსა და ზედაპირებს, რომელიც ბიოლოგიური და მათემატიკური კონსტრუქციებისთვისაა დამახასიათებელი

მუზეუმს თავდაპირველად ერქვა „არა-ობიექტური მხატვრობის მუზეუმი" (The Museum of Non-Objective Painting) და დაფუძნდა ადრეულ მოდერნისტთა მიერ, როგორებიც იყვნენ ვასილი კანდინსკი და პიტ მონდრიანი, ავანგარდული ხელოვნების გამოსაფენად. მუზეუმმა მის ამჟამინდელ ადგილზე, 1959 წელს დაიდო ბინა, როცა ფრენკ ლოიდ რაიტის პროექტის შენობა დასრულდა. შენობის არქიტექტორი შეარჩია სოლომონ გუგენჰაიმის მეგობარმა ბარონესა ჰილა ფონ რებაიმიმ. რაიტს საკმაო უთანხმოება ჰქონდა ბარონესასთან შენობის ფორმასა და დიზაინზე, თუმცა ბარონესამ საბოლოოდ მაინც თავისი გაიტანა და შენობა ოვალური ფორმის და თეთრი ფერის დარჩა.

მუზეუმი, პირამიდა. ჰანოი

ჩინეთის მუზეუმის არქიტექტურამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. არქიტექტურულმა ბიურომ MVRDV გაიმარჯვა კონკურსში „ჩინური კომიქსების და ამინაციის მუზეუმები". შენობა გავს თეთრ ღრუბელს, უფრო სწორად რვა ასეთ ღრუბელს. ერთ ღრუბელში მდებარეობს საექსპოზიციო დარბაზი, მეორეში – მუდმივი საგამოფენო დარბაზები, მესამეში – დროებითი გამოფენები, მეოთხეში – კინოთეატრები, მეხუთეში – სასწავლო ცენტრი, მეექვსეში – ბიბლიოთეკა, მეშვიდეში – გასართობი ცენტრი, მერვეში კი – პარკი. გარდა ამისა აქ არის ოფისები, სასტუმროები და სხვა მრავალი ინფრასტრუქტურა.

ორდოსში (ავტონომიური რეგიონი შიდა მონღოლეთი, ჩინეთი) გაიხსნა ახალი მუზეუმი, რომელიც პეკინურმა სტუდიამ MAD architects-მა დააპროექტა.

ნიჟარის ფორმის მუზეუმის უნიკალური არქიტექტურის შენობა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს. უდაბნოში, პატარა გორაკზე აგებული მუზეუმი გარედან ლითონის სარტყელებით არის დაფარული. ტალღისებური ზედაპირი მას ამინდის ცვალებადობისგან იცავს, ხოლო ბუნებრივი ვენტილაცია „ნიჟარის“ სარტყელებს შორის დატოვებული ცარიელი სივრცით არის უზრუნველყოფილი.

ფასადის მეორე საინტერესო დეტალი შუშის სახურავია, რომელიც დეკორატიული მოსაზრებების გარდა, პრაქტიკულ დატვირთვასაც ატარებს და შენობას ბუნებრივი განათებით უზრუნველყოფს.

მუზეუმის შენობის სექციები ერთმანეთს ხიდებით უკავშირდება. ორდოსის მუზეუმის მშენებლობა ქალაქის მუნიციპალიტეტმა MAD architects-ს 2005 წელს დაუკვეთა და მშენებლობის მთელი პროცესიც დააფინანსა.

ღვინის მუზეუმი შვეიცარიაში ერთი-ერთი ის არქიტექტურული პროექტია, რომელიც გარემოს ბუნებრივ პირობებს არის მორგებული და კარგად შეეხამება აგრარული მუზეუმის პროფილს. მუზეუმი დააპროექტეს Mauro Turin Architectes-ის სპეციალისტებმა. მუზეუმი მდებარეობს შვეიცარიის ქალაქ ჟენევაში და მოიცავს 1000 კვადრატულ მეტრს.

არაბულ-მუსლიმური კულტურის გავლენისა და თანამედროვე არქიტექტურის ერთგავრ ანსამბლს წარმოადგენს ისლამური ხელოვნების მუზეუმი დოჰაში. მუზეუმი მდებარეობს ყატარის ეროვნული მუზეუმის გვერდით და 2008 წლის 22 ნოემბერს გაიხსნა. კომპლექსის პროექტი ეკუთვნის არქიტექტორ იუჰ მინ პეის.

ისლამური ხელოვნების მუზეუმი დოჰაში

მუზეუმს თვითმყოფადი დიზაინი აქვს. ეს არის პირველი ამ ტიპის მუზეუმი სპარსეთის ყურის რეგიონში და მასში ისლამური ხელოვნების ერთ-ერთი უმსხვილესი კოლექციაა გამოფენილი. კომპლექსი ასევე მოიცავს აუდიტორიუმებს, ბიბლიოთეკას და რამდენიმე რესტორანს. კომპლექსის საერთო ფართი 45 ათასი კვ. მეტრია. მუზეუმი დოჰას ყურეში, ნავსადგომის სამხრეთ კუთხეში მდებარეობს.

თანამედროვე არქიტექტურის შესანიშნავი ნიმუშია სალვადორ დალის მუზეუმი, ფლორიდის შტატში (აშშ). მუზეუმში ინახება 2140 ნამუშევარი, აქედან წარდგენილია დალის 91 ნახატი. მუზეუმის საერთო ფართს (დაახლოებით 6,300 კვ. მეტრია) და განუმეორებელ არქიტექტურას, დალის თაყვანისმცემლები აღფრთოვანებაში მოჰყავს.

სალვადორ დალის მუზეუმი. აშშ

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში (შვედეთი, დიდი ბრიტანეთი, აშშ და სხვ) ძველი სამრეწველო შენობა-ნაგებობები გადაურჩა განადგურებას და იქ თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებია გახსნილი. ერთ-ერთ ასეთ გრანდიოზულ ნაგებობას წარმოადგენს ლონდონის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, რომელიც ყოფილი ელექტროსადგურის შენობაშია განთავსებული. აქ თავს იყრის მოდერნ არტის შედევრები. შედეგად იგი მსოფლიოს ნომერ პირველი თანამედროვე ხელოვნების მუზეუმია. წელიწადში მას 4,7 მილიონი დამთვალიერებელი სტუმრობს.

ლონდონის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ყოფილი ელექტროსადგური

მრეწველობის მუზეუმებს შორის მსოფლიოში ერთ-ერთი პოპულარულია BMW-ს მუზეუმი (მიუნხენი). ის BMW-ს საავტომობილო კომპანიის შტაბ-ბინის გვერდით მდებარეობს. ამ ულამაზეს და საინტერესო მუზეუმში წარმოდგენილია BMW-ს მარკის არსებობის ისტორიაში გამოშვებული ავტომობილებისა და მოტოციკლეტების კოლექცია. BMW-ს შენობის კომპლექსი პირველ რიგში არქიტექტურული კუთხითაა საინტერესო. მთავარი ოფისის კოშკი და მის მარცხნივ მდებარე ე.წ ფინჯანი 1973 წელს, კარლ შვანცერის პროექტის მიხედვითაა აგებული.



BMW-ს მუზეუმი. გერმანია

სამუზეუმო არქიტექტურაში ორიგინალურობით გამოირჩევა „მუზეუმი ადამიანში“. ნიდერლანდების ეს უნიკალური მუზეუმი, არქიტექტურის გარდა, იმითაც არის გამორჩეული, რომ დამთვალიერებლებს შეუძლიათ იმოგზაურონ ადამიანის ორგანიზმში. მუზეუმის შენობა არის დამჯდარი კაცის ფორმის და მისი სიმაღლე 35 მეტრია, ხოლო მას გვერდით უდგას შუშის, შვიდსართულიანი შენობა. მუზეუმის სახელია კორპუსი (Corpus).

ნიდერლანდების მუზეუმი

ნიდერლანდების მუზეუმი

ნიდერლანდების მუზეუმი

„WiMu“ – იტალიის ავანგარდული მუზეუმია, რომელიც რაღაცით ავსტრიულ „Loisium“-ს წააგავს, მაგრამ თუ „Loisium“-ის კონცეპტუალურ ჩანაფიქრს მისი თამამი არქიტექტურის წყალობით ადვილად ვწვდებით, პიემონტის მუზეუმის შემთხვევაში საქმე სხვაგვარადაა. ღვინის სამყაროდან მოდენილი უცნაური იდეები აქ ტრადიციული ციხე-კოშკის სქელ კედლებს მიღმაა დაფარული. ამიტომაც, ეფექტიც უფრო ძლიერია და შთამბეჭდავი.

WiMu. იტალია

ბაროლოში ყველგან ღვინის თემაა. თანამედროვე მულტიმედიურ ღვინის მუზეუმში კი ღვინის ყველაზე ორიგინალური თემა Castello Falletti-ის X საუკუნის კოშკში იშლება. ღვინის სამყარო აქ ფერის, შუქის, ჰოლოგრაფიის, მუსიკის, კინოს, ფოტოგრაფიის, ლაზერული და კომპიუტერული ეფექტებითაა წარმოდგენილი. ყველგან მკვეთრი ფერებია და უეცარი, მოულოდნელი გადაწყვეტა. ეს ინტერაქტიური მუზეუმი ერთგვარი ქედის მოხრაა Castello Falletti-ის და მისი ცნობილი მეპატრონის — მარკიზა ჟულიეტ კოლბერის წინაშე, რომელიც უფრო ჯულია დი ბაროლოს სახელითაა ცნობილი და რომელიც სიცოცხლეში მუდამ ცდილობდა ამ რეგიონში მეღვინეობის მოდერნიზაციას.

WiMu. იტალია

ექსკურსია მეხუთე სართულიდან იწყება და ფალეტების ოჯახის ღვინის სარდაფში სრულდება, სადაც ახლა სახელმწიფო რეგიონალური ენოთეკა — Enoteca Regionale del Barolo-ა. მუზეუმში შესასვლელი ბილეთი თუკი 7 ევრო ღირს, ენოთეკის მონახულება ყველა მსურველისთვის სრულიად უფასოა. კედლების გასწვრივ თაროებზე სხვადასხვა წლის Barolo-ს ურიცხვი ბოთლია გამოფენილი, რომლებიც მხოლოდ ამ რეგიონებშია წარმოებული.

ღვინის მუზეუმი, როგორც წესი, ბერძნული ამფორებითა და რომაული პატერებით იწყება. შემდგომ აქ ყველა ეპოქისა და ყველა დანიშნულების ჭურჭელი, მეღვინის არქაული ინსტრუმენტები

არის გამოფენილი. ექსპოზიციას 1950-იანი წლების გლეხების ფოტოები აგვირგვინებს, რომლებიც, ერთი შეხედვით, პაზოლინის ფილმების სტოპ-კადრებს მოგვაგონებენ.

სვაროვსკის ბროლის მუზეუმი ავსტრიაში ტურისტების ერთერთი საყვარელი ადგილია. ორიგინალური სტილი თავიდანვე იპყრობს დამთვალიერებელთა ინტერესს. მუზეუმი განლაგებულია ქ. ინსბრუკის ახლოს და დაკავშირებულია ჩეხური წარმოშობის ემიგრანტის დანიელ სვაროვსკის სახელთან.

სვაროვსკის ბროლის მუზეუმი. ავსტრია

მუზეუმის დაარსების ინიციატორი მხატვარი ანდრე ჰელერი გახდა. მუზეუმის გახსნა დაუკავშირდა კომპანიის შექმნის საუკუნოვან იუბილეს. მუზეუმის შესასვლელში შადრევანი და აუზია გიგანტური ქანდაკებით. თავიდანვე დამთვალიერებელი სასწაულების ქვეყანაში გრძნობს თავს, ხოლო ოთახები ერთიმეორესგან გამორჩეულია და მიწისქვეშაა განლაგებული. ისინი თემატური ნიშნით იყოფა.

მუზეუმში მდებარეობს, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი ბროლის კრისტალი (40სმ დიამეტრის, 3000 კარატი), აგრეთვე ყველაზე მინიატურული ექსპონატი (0.8 მ.მ). ექსპონატების კედელი 40 მეტრის სიგრძეზეა გაშლილი, სიმაღლე შეადგენს 11 მეტრს. წონა 11 ტონაა. მუზეუმს ყოველწლიურად 600 ათასი ადამიანი სტუმრობს.

იშვიათობით გამოირჩევა წყალქვეშა მუზეუმი სახელად

MUSA, რომელიც მდებარეობს მექსიკაში. მუზეუმი გაიხსნა 2009 წელს. აქ არის 450-ზე მეტი ქანდაკება. ეს მონუმენტები მდებარეობს 39 ფუტის სიღრმეზე.

MUSA. მექსიკა

თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. ბრაზილია

თანამედროვე ადამიანის და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი. საფრანგეთი

ტორონტოს მუზეუმი



ხელოვნების მუზეუმი. დუბაი

ვეისმანის ხელოვნების მუზეუმი. მინეაპოლი. აშშ

ვეისმანის ხელოვნების მუზეუმის შენობა სრული აბსტრაქციაა. აქ არ არის ერთიანი სისტემა. ეს მუზეუმი ცნობილია არა მარტო ხელოვანებს, არქიტექტორებსა და დიზაინერებს შორის, არამედ დიდი პოპულარობით სარგებლობს დამთვალიერებლებშიც.

ბოვერის ახალი მუზეუმი. ნიუ-იორკი. აშშ

ხელოვნების მუზეუმი. სინგაპური

სინგაპურის ხელოვნების მუზეუმი განთავსებულია ტერიტორიაზე, რომლის ფართი შეადგენს 6 ათას კვ. მ-ს. მუზეუმს გააჩნია 21 გალერეა ულტრათანამედროვე აღჭურვილობით.

მაიას მუზეუმი. ქ. მერიდა. მექსიკა

მაიას ტომის მუზეუმი ეძღვნება მსოფლიოში ცნობილ მესოამერიკულ ცივილიზაციას – მაიას, რომელიც ცნობილია ამ ცივილიზაციათა შორის ყველაზე განვითარებული და დახვეწილი დამწერლობით, ასევე ხელოვნებით, არქიტექტურით, საოცრად დიდი მათემატიკური და ასტრონომიული ცოდნით. მიუხედავად იმისა, რომ ცივილიზაცია არსებობდა პრეკლასიკურ პერიოდში, განვითარების პიკს მიაღწია კლასიკურ პერიოდში (დაახ. ჩვ. წ. აღ. 250-900 წწ.) და განაგრძობდა არსებობას პოსტკლასიკურ პერიოდში, ესპანელთა მიერ იუკატანის ნახევარკუნძულის დაპყრობამდე. განვითარების აპოგეაში მაია წარმოადგენდა ერთ-ერთ ყველაზე დახვეწილი კულტურის მქონე, მჭიდროდ დასახლებულ საზოგადოებას.

მუზეუმის შენობის არქიტექტურა ეკუთვნის მექსიკის არქიტექტურულ ბიუროს. შენობის ნაწილი მწვანე ფერის მეტალის კონსტრუქციითაა დამზადებული, რომელიც მაიას ტომების მითოლოგიურ მცენარეს და ბუდეს წარმოადგენს.

ალბერტის სახვითი ხელოვნების გალერეის (კანადა) თანამედროვე შენობა ერთ-ერთ საუკეთესო შენობად ითვლება. შენობის არქიტექტურულ პროექტზე გამოცხადებულ საერთასორისო კონკურსში გაიმარჯვა ლოს-ანჯელესის ფირმამ „Randall Stout Architects“. ახალი შენობის საზეიმო გახსნა შედგა 2010 წელს. შენობას არაორდინალური შიდა ინტერიერი გააჩნია. აქ არის განთავსებული ბარი, რესტორანი, თეატრი, მაღაზია.

ალბერტის სახვითი ხელოვნების გალერეა. კანადა

მუზეუმის ადგილმდებარეობის განსაზღვრისა და დაპროექტების დროს უმნიშვნელოვანესი პირობაა ბუნებრივი ლანდშაფტის გათვალისწინება და შეხამება. არქიტექტურაზე ნაკლები როლი როდი ენიჭება ბუნებრივ გარემოს. თუ ეს ყველაფერი – მდებარეობა, არქიტექტურა ადგილობრივ კულტურასთან და ტრადიციებთან არის შერწყმული, მაშინ მივიღებთ საუცხოო სანახაობას, რომელიც დამთვალიერებელზე შთამბეჭდავ გავლენას ახდენს. ამ მხრივ, იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი.

გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიის დაგეგმარებითი სტრუქტურა განაპირობა საქართველოს ეკონომიკურ-გეოგრაფიულმა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულმა დარაიონებამ. მუზეუმის მთავარი შესასვლელი დაპროექტებულია ჩრდილოეთის მხრიდან გამყოფი მწვანე ზონის ღერძზე. აქვე არსებულ მოედანზე განთავსებულია მუზეუმის ადმინისტრაციულ-კულტურული ცენტრი.

თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი

ეთნოგრაფიული მუზეუმის ყოველი კუთხე და დეტალი კარგად ერწყმის გარემოს და შესანიშნავ სანახაობას ქმნის. ერთის მხრივ, თბილისის თანამედროვე არქიტექტურა და, მეორეს მხრივ, საქართველოს ისტორიული მხარეების ყოფა წარსულისა და აწყმოს იშვიათ კომპოზიციას წარმოადგენს და დამთვალიერებლებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ერთი სიტყვით, თანამედროვე სამუზეუმო არქიტექტურა წარსულისა და აწყმოს ურთიერთჭიდილსა თუ ჰარმონიულ კავშირში ვლინდება. ყველა ქვეყანა ცდილობს დაამკვიდროს ისეთი არქიტექტურული სტილი, რომელიც მოიზიდავს დამთვალიერებელს. მუზეუმის კომერციალიზაცია აიძულებს მის მესვეურებს ეძებონ ახალი, განსხვავებული სტილი და ფორმები. მზარდი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მუზეუმები ცდილობენ ახალი სასარგებლო მეთოდების გამოყენებას, აგრეთვე, არქიტექტურასა და მუზეუმის სახეს და პრაქტიკულ მხარეს შორის ბალანსის შენარჩუნებას. თუმცა ზოგჯერ „არქიტექტურული“ ელემენტის სიჭარბე ჩრდილავს მუზეუმის კოლექციას და არღვევს ბალანსს.

თავი V. სამუზეუმო მუშაობის ფორმები

სამუზეუმო მუშაობის მიმართულება ყალიბდება მისი სოციალური ფუნქციიდან გამომდინარე. ფონდებთან მუშაობის ფუნქციები განსაზღვრავს სამუზეუმო მოღვაწეობის ისეთ მიმართულებებს, როგორიც არის სამეცნიერო-საფონდო მუშაობა.

კვლევითი ფუნქციის შესრულება ითხოვს მუზეუმებისგან სამეცნიერო მუშაობის ორგანიზებას მიმართულს როგორც ფონდების შენახვაზე (კვლევა, რესტავრაციის, კონსერვაციის, შენახვის რეჟიმისა და სისტემის მიმართულებით და ა.შ.), ასევე სამეცნიერო მუშაობის ორგანიზებას სამუზეუმო საგნებთან, როგორც მაპროფილებელ დისციპლინებში ცოდნის წყაროებთან.

საგანმანათლებლო ფუნქციის რეალიზაცია მუზეუმისგან ითხოვს კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოების ჩატარებას (კულტურულ-აღმზრდელობითი, მასობრივი, საგანმანათლებლო – სხვადასხვა დროს, პრიორიტეტებიდან გამომდინარე, სამუშაოს ამ მიმართულებას აღნიშნავდნენ სხვადასხვანაირად): სამუზეუმო პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, ექსპოზიციის, გამოფენის, ლექციებისა და ა.შ. კვლევითი ორგანიზაციები. ახდენს რა რეკრეაციული ფუნქციის ორგანიზებას, მუზეუმი გამოდის თავისუფალი დროის ორგანიზატორის როლში. დაწესებულებებს სთავაზობენ კლუბების, გაერთიანებების მუშაობას, აწყობენ მუსიკალურ საღამოებს და სხვა შემოქმედებით-სანახაობით პროექტებს.

5.1. მუზეუმის სამეცნიერო-საფონდო სამუშაოები

5.1.1. სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტება

მუზეუმების საქმიანობის ძირითადი მიმართულება, ანუ როგორც მუზეოლოგები უწოდებენ – ბაზისი არის ფონდებთან მუშაობა. სამეცნიერო-საფონდო სამუშაოების მიზანია სამუზეუმო საგნების შერჩევა, შენახვა და კვლევისთვის ოპტიმალური პირობების შექმნა.

სპეციალისტების კლასიფიკაციით ფონდებთან მუშაობა შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტება – სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე საგნების შერჩევა;
- სამუზეუმო ფონდების აღრიცხვა და გარკვეული სამართლებრივი სტატუსის მიკუთვნება (მსოფლიო მნიშვნელობის, ეროვნული მნიშვნელობის, ადგილობრივი მნიშვნელობის და ა.შ.);
- სამუზეუმო ფონდების შენახვა, დაცვისა და უსაფრთხოების შესაბამისი პირობების შექმნა;
- ფონდების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუზეუმის სპეციალისტებისა და სხვა მკვლევარებისათვის;
- კოლექციების მეცნიერული კვლევა და შესწავლა. სამეცნიერო კვლევები შესაძლოა განხორციელდეს საფონდო მუშაობის ყველა სტადიაზე: როგორც დაკომპლექტების, ასევე კონსერვაციისა და რესტავრაციისას და ა.შ.

ნებისმიერი მუზეუმის მოღვაწეობა იწყება სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტებით (საზღვარგარეთის მუზეოლოგიაში ამ ცნების ანალოგად მიჩნეულია „ფონდების დაკომპლექტება“ – „კოლექციების ფორმირების პოლიტიკა“). სამუზეუმო ფონდები მუზეუმის ეფექტური მუშაობის ძირითადი მაჩვენებელია. სამუზეუმო კოლექციების შექმნისა და ზრუნვის გარეშე მუზეუმს არ შეუძლია შეასრულოს თავისი საზოგადოებრივი ფუნქცია. ფონდების დაკომპლექტებით, მუზეუმი აგროვებს სოციალურად მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელსაც შემდგომ გამოსცემს სამუზეუმო ლიტერატურის სახით.

უნდა ითქვას, რომ სამუზეუმო კოლექციისათვის საგნების შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ სხვა ფაქტორებიც: რომელ ტიპს განეკუთვნება მუზეუმი, ისახავს მიზნად თუ არა საგამოფენო სამუშაოების წარმართვას, სხვა რა სახის დამატებით მუშაობას ეწევა მუზეუმი და ა.შ.

აკადემიური მუზეუმები გათვლილია მკვლევარების სამეცნიერო ინტერესების დასაკმაყოფილებლად, შესაძლოა არ აწარმოებდეს საგამოფენო სამუშაოებს ან მუშაობდეს მხოლოდ პროფესიონალებთან, რომელთა ინტერესიც კოლექციის მიმართ განისაზღვრება არა მიმზიდველობით , გამომსახველობით და ა.შ., არამედ მხოლოდ კონკრეტული მაპროფილებელი დისციპლინის ამოცანებით. ასეთი სახის კოლექციები, როგორც წესი, სისტემატიურ ხასიათს ატარებენ. რაც უფრო სრულად ასახავს ასეთი კოლექცია მეც-

ნიერებაში მიღებულ კლასიფიკაციას, მით უფრო ღირებულია იგი.

საგანმანათლებლო მუზეუმებისთვის მთავარია (მიზანშეწონილია მხედველობაში ვიქონიოთ დაკომპლექტების დროს) მუზეუმის გამომსახველობითი ამოცანები. მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ქრონოლოგიური, გეოგრაფიული საზღვრები, პროფილი.

ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენს საზოგადოების თანამედროვე ყოფის, მისი კულტურის შესახებ კოლექციის შექმნა, შერჩევის კრიტერიუმები აქ მაქსიმალურად გაურკვეველ ხასიათს ატარებს (მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ თანამედროვე ხელოვნება: მხატვრების ნამუშევრები აღიარებას ჰპოვებენ ზოგჯერ მათი გარდაცვალების შემდეგ, უეცრად ხდება ინტერესის აღძვრა, რომელიც ეხება ოსტატების ნაწარმოებებს, რომლებიც აღიარებულია, როგორც თანამედროვე, მათი სახელი კი თანდათანობით დავიწყებას ეძლევა და ა.შ.).

არსებობს სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტების ხუთი სახე:

- მუზეუმიფიკაცია
- ტიპოლოგიური (სისტემატიური)
- თემატური
- კომპლექსური
- ინფორმაციული დაკომპლექტება.

მუზეუმიფიკაცია ორიენტირებულია უძრავი ძეგლების იმ სახით შენახვაზე, რა სახითაც ისინი შეიქმნა და მოაღწია ჩვენამდე. მუზეოლოგთა შორის გავრცელებული შეხედულებით, სხვა მუზეუმებისაგან განსხვავებით, ამ ტიპის სამუზეუმო დაწესებულებები „თავს არ იწუხებენ“ ახალი ფუნქციებით, ისინი „უცვლელად“ ტოვებენ „სამუზეუმო ექსპოზიციას“.

მიუხედავად ასეთი მოსაზრებისა, სამომავლოდ ასეთი მუზეუმები, როგორც ყველა დანარჩენი მუზეუმი, აკომპლექტებენ, ასევე წყვეტენ მუზეუმში ახალი ობიექტების შემოტანის საკითხებს (როგორიცა სამუზეუმო საგნები, სამეცნიერო-დამხმარე მასალები) უკვე არსებულთა შორის, ახდენენ დაკარგული ელემენტების რეკონსტრუქციას და ა.შ.

ტიპოლოგიურმა (სისტემატიურმა) დაკომპლექტებამ უნდა უზრუნველყოს მუზეუმის ფონდების დაგეგმილი ფორმირება.

თემატური კოლექციის დაკომპლექტება ხდება მუზეუმის კოლექციების თემატიკის მიხედვით.

კომპლექსური დაკომპლექტება ჩვეულებრივ დამახასიათებე-

ლია მცირე ზომის მუზეუმებისთვის და იგი აერთიანებს სისტემატიური და თემატური დაკომპლექტების პრინციპებს.

ინფორმაციული დაკომპლექტების წესი დაკავშირებულია უახლესი ტექნოლოგიის გავრცელებასთან.

როგორც წესი, მუზეუმები, რომლებიც ახდენენ მსგავსი სახის დაკომპლექტებას, აგროვებენ ინფორმაციას მუზეუმისათვის საინტერესო ყველა ექსპონატის შესახებ. სპეციალისტები მოპოვებულ ინფორმაციას მეცნიერულ დონეზე ამუშავებენ ელექტრონული ტექნოლოგიების გამოყენებით. ასე ყალიბდება ვიდეომუზეუმები, ელექტრონული კატალოგები და ა.შ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შედეგად გვაქვს არა საგნების კოლექცია, არამედ საინფორმაციო მომსახურების სისტემა.

ფონდების დაკომპლექტებისას მიმართავენ მუშაობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის:

- მუზეუმების მიერ სამეცნიერო ექსპედიციის ჩატარება;
- თანამშრომელთა სამეცნიერო ხასიათის მივლინება (საგნების გამოვლენის, მათი შესაძლო ადგილმდებარეობის დადგენის მიზნით და ა.შ.);
- მუზეუმებს შორის ექსპონატების გაცვლა;
- საგნებისა და კოლექციების შეძენა მუზეუმის ხარჯზე;
- მიზნობრივი შეკვეთები ორიგინალური სამუშაოების შესრულებაზე;
- დონორ ორგანიზაციებთან მუშაობა (როგორც კერძო პირებთან, ასევე დაწესებულებებთან).

მთლიანობაში მუზეუმებს სამუშაო პროცესში უყალიბდებათ კავშირები შემოქმედებით ინტელიგენციასთან, გამომცემლობებთან, კომპანიებთან, ბუკინისტურ, საკომისიო, ანტიკვარულ მაღაზიებათან, კოლექციონერებთან, სამეცნიერო დაწესებულებებთან და ა.შ. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე კოლექციის ჩამოყალიბების დროს (პლაკატები, თანამედროვე ნუმიზმატური მასალები, თანამედროვე სამრეწველო წარმოების საგნები ყველაზე იოლია მიიღო უშუალოდ მწარმოებლისგან).

გარდა ამისა, დაკომპლექტების წყარო შეიძლება იყოს მოვლენები, რომელთა დაგეგმვაც შეუძლებელია, ეგრეთ წოდებული „შემთხვევითი მონაპოვარი“. ისინი გვხვდება შენობის დანგრევისას, საამშენებლო და მიწათმოქმედების სამოშაოების შესრულებისას და ა.შ.

სამუზეუმო ფონდების დაკომლპექტება „მუდმივი“ პროცესია, რომელიც მუზეუმის „ცხოვრების“ ყველა ეტაპზე მიმდინარეობს, მაგრამ განსაკუთრებული ინტენსიურობით, რა თქმა უნდა, სამუზეუმო კოლექციის შქემნის პროცესში იჩენს თავს.

ის შესაძლოა დავყოთ რიგ ეტაპებად:

დაკომპლექტების პირველი ეტაპი – მუზეუმის კონცეფციის შექმნაა, რომლის დანიშნულებაში შედის მეტ-ნაკლებად საერთო საკითხების გადაჭრა:

- საკუთრების ფორმა;
- დაფინანსების წყაროები;
- სამუზეუმო საგნების მიღების სასურველი და შესაძლო ხერხები; შეძენილი მასალების გადანაწილება (როგორც სამუზეუმო საგნებისა, ასევე სამეცნიერო დამხმარე მასალისა) ქვედანაყოფებს, მუზეუმის განყოფილებებს, ბიბლიოთეკებს, არქივსა და თანამშრომლებს შორის;
- შეგროვების ამოცანები და დაკომპლექტების საშუალებები;
- საგნების შერჩევის კრიტერიუმებია: მათი ღირებულება, უნიკალურობა, ტიპურობა, განზომილება საფონდო დაწესებულებების განზომილებასთან თანაფარდობაში, ორგანიზაციის შესაძლებლობები, რომელთაც შენახვის ცალკეული შემნახველი სისტემა გააჩნიათ, რამდენად შეესატყვისება ექსპოზიციის ჩვენებასთან დაკავშირებულ პირობებს, რამდენად აქვს მუზეუმს შენახვისა და რესტავრაციის შესაძლებლობა და ა.შ.
- სამუზეუმო კოლექციის ბაზაზე სამეცნიერო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობა და ა.შ.

საზღვარგარეთის მუზეუმმცოდნეობაში, გარდა ამისა, მიღებულია კონცეფციის შექმნაში რიგი სხვა მომენტების გათვალისწინება, კერძოდ:

- საჩუქრების მიღების წესი (კოლექციის შეგროვების პოლიტიკა გამომდინარეობს იქედან, რომ შეძენა დაუშვებელია, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა ეს მესაკუთრესთან დაპირისპირების მიზეზი გახდეს);
- მუზეუმის და მისი მინდობილი პირების ეთიკური ვალდებულებები (საერთაშორისო დოკუმენტებზე ხელის მოწერა, კანონმდებლობის დაცვა, დამოკიდებულება დაკარგულის დაბრუნებასთან მიმართებაში, რესტიტუციასთან (აღდგენასთან) მიმართებაში, დროებით შენახვასთან მიმართებაში; ასევე მოვალეობები, მუზეუ-

მის შეგროვებით საქმიანობასა და მის ცალკეულ თანამშრომლებს შორის, ინტერესების გამო შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში).

კონცეფცია არის დაკომპლექტების გეგმის საწყისი. გეგმები არსებობს წლიური (ეს გეგმა შეიცავს კონკრეტულ ამოცანებს მოცემული წლის განმავლობაში შესასრულებელს, მუზეუმის სახსრების გათვალისწინებით) და პერსპექტიული (ადრე პერსპექტიული დაგეგმარების ვადად მიჩნეული იყო ხუთი წელი; საზღვარგარეთის მუზეუმმცოდნეობაში განვითარების სტრატეგია მიღებულია ჩვეულებრივ 20-25 წლიდან 47 წლამდე ვადით).

დაკომპლექტების მეორე ეტაპზე განიხილება დაგეგმარების საკითხები: ყალიბდება კონკრეტული თემები, იკვეთება დაკომპლექტების ობიექტები, ექსპერტების მიერ ხორციელდება სპეციალისტების გამოკითხვა.

მესამე ეტაპზე მიმდინარეობს მომზადება დაკომპლექტებასთან დაკავშირებით: ხდება თემის გარშემო აუცილებელი ლიტერატურის საარქივო ფონდების შესწავლა, ვლინდება საინტერესო საგნების საყოფაცხოვრებო გარემო, სრულდება სხვა მუზეუმების კოლექციის ანალიზი, იქმნება პროგრამები და შეკრების გეგმები თითოეულ ცალკეულ თემასთან დაკავშირებით, მიმდინარეობს კონსულტაციის გავლა მუზეუმმცოდნეებთან, მაპროფილებელი დისციპილინების სპეციალისტებთან.

მეოთხე ეტაპზე ტარდება ექსპედიციები, ეწყობა მივლინებები და ა.შ. სამუშაო პროცესში, გარდა სპეციალისტებისა, შეიძლება ჩართული იყვნენ მუზეუმთან დაკავშირებული სხვა იურიდიული და ფიზიკური პირები (კორესპონდენტები, მუზეუმის მეგობრების კლუბები, მხარეთმცოდნეების გაერთიანებები და ა.შ.).

ნებისმიერი შემთხვევა, ცალკეული საგნების ან კოლექციის მიღებისა, უნდა გაფორმდეს შესაბამისად მუზეუმის დოკუმენტებში: საველე სიებში, საველე დღიურებში, ცალკეული წყაროების რეესტრში (ფოტოფირი, ვიდეოჩანაწერი და ა .შ.), კოლექციათა აღწერაში, მიღების აქტებში და ა.შ. აუცილებელი დოკუმენტების ნუსხა და ფორმა დგინდება შესაბამისი ინსტრუქციებით.

დასკვნით ეტაპზე ხდება მოპოვებული საგნების ჩართვა (ისტორიისა და კულტურის ძეგლების, სამუზეუმო მნიშვნელობის მქონე საგნების) მუზეუმის კოლექციაში. ზოგიერთი ქვეყნის პრაქტიკაში (ცალკეულ მუზეუმებს შეუძლია სხვა ნესების დაცვაც) ეს გულისხმობს კოლექტიურ ექსპერტიზას, ამისათვის არსებობს სახელმწიფოს ცენტრალური უწყების (მაგალითად, კულტურის სამი-

ნისტროს) სამუზეუმო საფონდო-შესყიდვების კომისია. ისინი განიხილავენ მათთვის მიწოდებულ ანგარიშებს, დამხმარე დოკუმენტაციას, ატარებენ სამუზეუმო საგნების ექსპერტიზას და შერჩევას. საფონდო-შესყიდვების კომისიის გადაწყვეტილებით, შერჩეული საგნები შედის მუზეუმის ფონდში და ენიჭებათ სამუზეუმო საგნების სტატუსი.

უკვე დაკომპლექტების პროცესში იწყება ფონდების სისტემატიზაცია და იქმნება სამუზეუმო ფონდების სამეცნიერო-დამხმარე აპარატი ან საფონდო დოკუმენტაცია – დოკუმენტაციათა მთელი კრებული, რომელიც დაკავშირებულია ფონდის მუშაობასთან. მასში შედის სააღრიცხვო დოკუმენტაცია, დაკომპლექტების დოკუმენტაცია, ფონდების სისტემატიზაცია და კლასიფიკაცია, ასევე შენახვის რეჟიმის დაცვის სისტემის უზრუნველყოფა. ზოგჯერ საფონდო დოკუმენტაციას მიაკუთვნებენ ცალკეული სამუზეუმო საგნებისა და მათი ჯგუფების მონოგრაფიულ კვლევებს (სტატიების, სამეცნიერო კრებულის, მონოგრაფიის ფორმით), კვლევას მაპროფილებელი დისციპლინის მიმართულებით, რომელიც ტარდება სამუზეუმო ფონდების საფუძველზე და ა.შ.

საფონდო დოკუმენტაციის ჩამოყალიბება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც ინფორმაცია, რომელსაც იგი შეიცავს, შემდგომში მუზეუმის სამუშაოს დაგეგმარების და სამუზეუმო ფონდების მართვის საფუძველი იქნება. საგნების შერჩევის დროს ექსპოზიციისა და გამოფენის სამუშაოებისათვის საფონდო დოკუმენტაცია გამოიყენება საგნების შესარჩევად, ექსპოზიციის კომპლექსების შესაქმნელად, ეტიკეტის შესაქმნელად, ექსკურსიის მოსამზადებლად და ა.შ. საფონდო დოკუმენტაცია – მუზეუმის მიერ ჩატარებული სამუზეუმო საქმის ისტორიის, სამუზეუმო წყაროთმცოდნეობის, მაპროფილებელი და დამხმარე დისციპლინების გამოკვლევის საფუძველია. ის საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ ფონდების ანალიზი, გამოვავლინოთ სამეცნიერო-საფონდო სამუშაოს მიმართულება, რომლებიც მეტნაკლები ინტენსიურობით უნდა წარიმართოს, აქედან გამომდინარე, დაითვალოს აუცილებელი შტატი და მატერიალური ხარჯები. ეს მნიშვნელოვანია როგორც თვითონ მუზეუმისათვის, ასევე ორგანოებისათვის, რომლებიც მთლიანად მართავენ სამუზეუმო ქსელს.

საფონდო დოკუმენტაციის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე სააღრიცხვო დოკუმენტაციისა. ამ უკანასკნელს განეკუთვნება მხო-

ლოდ ის დოკუმენტები, რომლის ფუნქციაშიც შედის იურიდიული სტატუსის უზრუნველყოფა და სამუზეუმო ფონდების იურიდიული დაცვა.

5.1.2. სამუზეუმო ფონდების აღრიცხვა

პირველ რიგში, აღრიცხვა განსაზღვრავს, რომელ სამუზეუმო ფონდს მიეკუთვნება თითოეული საგანი: სამუზეუმო საგნების ფონდს თუ სამეცნიერო-დამხმარე მასალების ფონდს.

სამეცნიერო-დამხმარე მასალები – ესაა ობიექტები, რომლებსაც არ გააჩნიათ სამუზეუმო საგნების თვისებები, მაგრამ შედიან ფონდის შემადგენლობაში, რადგან ისინი მნიშვნელოვანია სამუზეუმო საგნების შესასწავლად და ექსპოზიციისათვის. სამეცნიერო-დამხმარე მასალებს განეკუთვნება: სამუზეუმო საგნების შექმნა (ასლი, რეპროდუქცია, ტვიფარი, მოდელი, მანეკენი, ჰოლოგრამა (მოცულობითი გამოსახულება, სურათი, სამეცნიერო რეკონსტრუქცია); მაკეტი, ნახაზი, სქემა, გეგმა, რუქა, ცხრილი, გრაფიკა.

ობიექტი, როცა ის მუზეუმში შედის, ფორმდება სპეციალურ სამეცნიერო-დამხმარე მასალების აღრიცხვის წიგნში. ხანდახან, გამომდინარე იქედან, რომ მოთხოვნები სამეცნიერო-დამხმარე მასალების შენახვის მიმართ ნაკლებ მკაცრია, ზოგიერთ მუზეუმს ამ ფონდში შეჰყავს მასალები, რომლებიც უნდა მივაკუთვნოთ სამუზეუმო საგნების ფონდს, მაგრამ მათი შენახვის სირთულე აიძულებს მუზეუმებს „თავი დაიზღვიონ კიდევ ერთხელ“.

სამუზეუმო საგნების წარმოება – ობიექტები, რომლებიც ზუსტად გადმოგვცემენ სამუზეუმო საგნების მოყვანილობას.

წარმოების ძირითად სახეებს მიაკუთვნებენ:

- ასლს – საგანი, რომელიც იმიტაციის ან მეორის შეცვლის მიზნით იქმნება, რომელიც ასლს „აღიქვამს“ როგორც დედანს (ზუსტად იმეორებს ყველა მის თვისებას). შესაძლოა იყოს ავტორის მიერ გამეორებული (შესრულებული დედნის ავტორის მიერ); ისტორიული ნაწარმოები (როგორც ბერძნული სკულპტურის რომაული ასლი); თანამედროვე ნაწარმოები. პირველ ორ შემთხვევაში

ასლებს, როგორც წესი, მიაკუთვნებენ სამუზეუმო საგნებს, ხოლო ბოლო შემთხვევაში – სამეცნიერო-დამხმარე მასალებს. როცა ასლი იძენს დამოუკიდებელი ძეგლის მნიშვნელობას, ამის დასტურად შესაძლოა მოვიყვანოთ რომელიმე დანგრეული ისტორიული შენობის აღდგენილი ნაგებობა, რომელიც თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით არის შესრულებული);

- რეკონსტრუქცია –ისტორიული ან კულტურული, დაზიანებული ან დანგრეული ძეგლის ფორმის, ასევე ბუნების ობიექტის მეცნიერულად დასაბუთებული აღდგენა;
- მანეკენი – საგანი, რომელიც ქმნის დედნის ზომას, ფორმას, ფერს და ფაქტურას, მაგრამ ზომაში შესაძლოა განსხვავება იყოს;
- რეპროდუქცია – ფერწერის, გრაფიკის, ხელნაწერის, ხელით დაწერილი რუქების, ხელნაწერი და უნიკალური დაბეჭდილი წიგნების და ა.შ. რეპროდუქციით, რომელიც შესრულებულია მრავალი ტექნიკის გამოყენებით გამეორების რაც შეიძლება დიდი ოდენობის მიღების მიზნით;
- რიმეიქი – ზუსტი ასლი, რომელიც იგივე მასალით არის შესრულებული, როგორც დედანი.
- მაკეტი – დედნის გარეგანი სახის მოცულობითი წარმოება, რომელიც შესრულებულია მასშტაბში და რომელიც უშვებს გამოსახულების პირობითობას დედნის რომელიმე არაარსებითი დეტალების გამოტოვების ან გაზვიადების ხარჯზე;
- მოდელი – ასლი, რომელიც ინახავს ორიგინალის კონსტრუქციულ პრინციპებსა და ფაქტურას;
- ჰოლოგრამა – მოცულობითი, სამგანზომილებიანი ასლი, რომელიც ლაზერული ტექნოლოგიის გამოყენებით არის შექმნილი ან ჩანაწერები შუქმგრძნობიარე ფირფიტაზე და ამ ფირფიტიდანაა აღდგენილი.

ცალკეულ შემთხვევებში, სამეცნიერო-დამხმარე მასალები, შესაძლოა გადავიტანოთ სამუზეუმო საგნების რიგში: დედნების დაკარგვის შემთხვევაში ან მათი დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში მათ ცვლიან ასლებით; შესრულებულია რა ღვაწლმოსილი პიროვნების მიერ, სამეცნიერო-დამხმარე მასალები იძენენ სამუზეუმო საგნების მნიშვნელობას და ა.შ.

სამუზეუმო საგნებისა და სამეცნიერო მასალების ფონდებად დაყოფა საყოველთაოდ მიღებულია. სამუზეუმო ფონდების შემად-

გენელი სხვა ნაწილების გამოყოფა – საკამათო საკითხია, ამიტომ ცალკეული მუზეუმების პრაქტიკაში ქვემოთ მოყვანილი სამუზეუმო ფონდების ნაწილები შესაძლებელია არ გამოეყოს მუზეუმს ან გამოეყოს სხვა მხრივ.

სამუზეუმო საგნების ფონდში მნიშვნელოვანია განვასხვავოთ საგნები, რომლებიც შეადგენენ კოლექციის საფუძველს და მუზეუმის ბაზას (ძირითადი ფონდის საგნები) საგნებისგან, რომელიც რომელიმე მიზეზის გამო მუზეუმს არ ესაჭიროება, ანუ გაცვლითი ფონდიდან. ძირითადად, ესაა საგნები, რომლებიც მუზეუმის პროფილს არ შეესაბამება, რომლებიც მუზეუმს აქვს დიდი რაოდენობით – ზედმეტი მასალები, დუბლიკატები.

სამეცნიერო-დამხმარე მასალების ფონდში ზოგჯერ ასევე გამოყოფენ გაცვლით ფონდს. სამუზეუმო საგნების ფონდთან და სამეცნიერო-დამხმარე მასალების ფონდთან მიკუთვნება, ასევე საგნების გადანაწილება სამუზეუმო საგნების ძირითად და გაცვლით ფონდებს შორის ფორმდება სხვადასხვა იურიდიული დოკუმენტით.

ძირითად ფონდში მიღებულია გამოვყოთ საკოლექციო ფონდი (კოლექციის ბირთვი), რომელიც შეიცავს უნიკალურ საგნებს (როგორც ზოგადად უნიკალურს, ასევე იმ ნივთებს, რომელიც მოცემულ მუზეუმს მხოლოდ ერთი ეგზემპლარი აქვს) და ტიპურ საგნებს (რაც აქვთ, იმათგან საუკეთესო).

კოლექციის ფონდის შემადგენლობაში იდენტური ტიპური სამუზეუმო საგნები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს რამდენიმე ეგზემპლარად, თუკი ვსაუბრობთ კოლექციაზე, რომელიც ადრე იქნა დაკომპლექტებული კერძო პირის, სახელმწიფო დაწესებულების მიერ, რომელიც მუზეუმმა მიიღო როგორც ერთიანი მთლიანი.

კოლექციის ფონდის გარდა ასევე გამოიყოფა ასლი (ჩვეულებრივ შედგება იმ საგნებისაგან, რომელთა რიცხვი აჭარბებს 6 ეგზემპლარს), რომელიც მეტწილად შედგება ტიპური საგნებისაგან, თუმცა შესაძლებელია ის შეიცავდეს უნიკალურ საგნებსაც (იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა მუზეუმს აქვს იდენტური უნიკალური საგნები).

ასლების/დუბლიკატის ფონდი – ეს არის კოლექციის ფონდის რეზერვი.

გაცვლითი ფონდი შეიცავს იმ საგნებს, რომელიც მუზეუმს შეუძლია გადასცეს სხვა მუზეუმებს, თავის ფილიალებს და ა.შ.

ამ დაყოფის მიღმა საგნებისა და კოლექციის აღრიცხვა – მუზეუმის საშინაო საქმეა. მუზეუმის კოლექცია შესაძლოა ჩამოყალიბდეს საერთო მასალის საფუძველზე: მინის, კერამიკის, ქსოვილების, ხელნაწერების კოლექცია და ა.შ. კოლექცია შესაძლოა ჩამოყალიბდეს „პერსონალური“ ნიშნით: ცალკეული ადამიანის, დონორის კოლექცია, საგნების კოლექცია, რომელთაც გააჩნიათ გარკვეული არქეოლოგიური ძეგლის სპეციფიკა და ა.შ. და ეს კოლექცია შესაძლებელია შედგებოდეს სხვადასხვა სახის საგნებისაგან.

კოლექციები შესაძლოა ჩამოყალიბდეს ქრონოლოგიური პრინციპით (ეს დამახასიათებელია ისტორიული კოლექციებისათვის): ისტორიის კოლექცია, XIX საუკუნის საქალაქო ყოფაცხოვრების საგნების კოლექცია და ა.შ. საკმაოდ ხშირად (განსაკუთრებით, კომპლექსური მუზეუმები) აყალიბებენ თავიანთ კოლექციებს ყველა ამ კრიტერიუმის გათვალისწინებით. თითოეული კოლექციის საგანი კომპლექტდება და შემდეგ განიხილება როგორც ერთიანი კომპლექსი.

სამუზეუმო ფონდების აღრიცხვა მიმდინარეობს სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე, პრაქტიკულად, დაკომპლექტების პროცესში, ხდება იმ მასალების თავდაპირველი დამუშავება, რომლებიც უნდა შევიდეს მუზეუმში. საფონდო-შესყიდვების კომისიის გადაწყვეტილებამდე ან საგნების დროებითი შენახვის მიზნით მისაღებად, რესტავრაციას და მუზეუმში საგნის მიღების კანონიერების სხვა მიზნებს ასაბუთებს მიღების აქტი ან შენაძენის, ნასყიდობის ქვითარი და ა.შ. თუკი ხდება საგნის შეძენა, აუცილებელია მფლობელის წერილობითი თანხმობა მივიღოთ ცალკე შენაძენის განსაზღვრული ღირებულების მითითებით, ასევე მფლობელის ანგარიში (ეს ეხება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებს, მათ შორის მაღაზიებს და მსგავს სავაჭრო დაწესებულებებს).

5.1.3. სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაცია

ევროპაში სამუზეუმო ექსპონატების რესტავრაციის გაჩენა დაკავშირებულია მუზეუმმცოდნეობის განვითარებასთან, თავდაპირველად, როგორც გამოყენებითი დისციპლინის, ხოლო შემდგომ – როგორც მეცნიერების. XIX საუკუნემდე ეს სამუშაოები, ძირითადად, სრულდებოდა მაპროფილებელი დისციპლინის სპეციალის-

ტების მიერ: სურათების რესტავრაციას ახდენდა მხატვარი, ცხოველის ფიტულის რესტავრაციას – ტაქსიდერმისტი, შენობის რესტავრაციას – არქიტექტორი და ა.შ. რესტავრაცია, როგორც განცალკევებული პროფესია, არ არსებობდა.

ტერმინი „რესტავრაცია“ მუზეუმმცოდნეობაში შემოტანილ იქნა XIX საუკუნის I ნახევარში. მაშინ ეს ცნება გულისხმობდა არა მარტო უძველესი ძეგლის აღდგენას, არამედ მის განახლებას ხელოვნებათმცოდნეობის თანამედროვე დონესთან, ესთეტიკურ გემოვნებასთან შესაბამისობაში და ა.შ. ეს პრქტიკულად ნიშნავდა სხვაობას ხარისხიან ასლსა და ორიგინალს შორის.

XIX საუკუნის დასასრულს, ეს მიდგომა იწვევდა კრიტიკას იმის გამო, რომ დამკვეთის ესთეტიკური გემოვნების დასაკმაყოფილებლად, რესტავრატორი ფაქტობრივად ანადგურებდა ავთენტურ (დედანთან სწორ) ძეგლს. სამუზეუმო საზოგადოება მოითხოვდა გადაეხედათ რესტავრაციის წესები უფრო ფრთხილი მეთოდების (კონსერვაცია) მიღებით. მუზეუმმცოდნეებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რესტვავრაციას კონსერვაცია ამჯობინეს.

მუზეოლოგთა შორის აზრთასხვადასხვაობამ და კრიტიკამ ხელი შეუწყო „სამეცნიერო რესტავრაციის“ დამკვიდრებას, რომელიც ძეგლთა შესწავლის ერთ-ერთი ფორმა გახდა.

სამეცნიერო რესტავრაცია მოიცავს ისტორიული კვლევის ჩატარებას, ძეგლის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლას, რესტავრაციის პროცესის საგულდაგულო დასაბუთებას მის ყველა ეტაპზე. მაგალითად, რუსეთში სამეცნიერო რესტავრაციის ჩამოყალიბება დაკავშირებულია სამეცნიერო საზოგადოების მოღვაწეობასთან: საიმპერატორო არქეოლოგიური საზოგადოება, საიმპერატორო არქეოლოგიური კომისია (პეტერბურგი), მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოება, უძველესი ძეგლების შემნახველი კომისია.

სამეცნიერო რესტავრაციის პრინციპები პირველად განიხილებოდა მხატვრების რუსეთის საყოველთაო მეორე ყრილობაზე 1911-1912 წლებში. ყრილობის მონაწილეები გამოვიდნენ კონსერვაციული ზომების პრიორიტეტების მხარდასაჭერად: „თუკი ამ ზომებს გავატარებთ დროულად, მაშინ რესტავრაცია შესაძლოა საერთოდ აღარ დაგვჭირდეს“ (ამის შესახებ თავის მოხსენებაში საუბრობდნენ ა.ი. ბორავსკი – ალექსანდრე მესამეს სახელობის მუზეუმის მხატვარ-რესტავრატორი და სხვა მონაწილეები). მხატვრების რუსეთის საყოველთაო მეორე ყრილობამ გამოაცხადა სა-

მეცნიერო რესტავრაციის მთავარი პრინციპი: „რესტავრაცია... ძეგლის შენარჩუნების მიზნით, ყოველგვარი აღდგენითი სამუშაოების გარეშე“.

1918 წელს ი.ე. გრაბარმა დააარსა სარესტავრაციო სახელოსნო მოსკოვში. 1924 წელს მოხდა მისი რეორგანიზაცია სახელმწიფო ცენტრალურ სარესტავრაციო სახელოსნოდ.

1920-1927 წლებში ი.ე. გრაბარმა რესტავრაციის კურსი პირველმა შემოიტანა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში (МГУ). დამფუძნებლის შეხედულებები წარმოადგენდა რაღაც უფრო გარდამავალს ძველ „ესთეტიურსა“ და ახალ – სამეცნიერო რესტავრაციას შორის. გრაბარს სრულიად შესაძლებლად მიაჩნდა ძეგლის იმ მდგომარეობამდე აღდგენა, „როგორიც იგი შემქმნელის ხელიდან გამოვიდა“. ამ პერიოდში, ფართოდ განიხილებოდა სარესტავრაციო საქმეში დანგრეული ძეგლის მთლიანი რეკონსტრუქციის იდეა. რეკონსტრუქციის მეთოდები გამოიყენებოდა ორიგინალი ძეგლების რესტავრაციის დროს. რესტავრაციის ძველი და ახალი პრინციპების შერევის მსგავსი ტენდენციები აღინიშნება ყველა ქვეყანაში და ისინი ყველგან იწვევდა სამუზეუმო საზოგადოების შეშფოთებას.

საერთაშორისო მასშტაბის მქონე კამათისთვის საბოლოოდ წერტილის დასასმელად არქიტექტორებისა და ტექნიკური სპეციალისტების მეორე საერთაშორისო ყრილობაზე მიღებულ იქნა ვენეციის ქარტია 1964 წელს.

მიუხედავად ამისა, ამ საკითხზე კამათი დღემდე მიმდინარეობს. სამუზეუმო პრაქტიკაში არიან როგორც სამეცნიერო რესტავრაციის მომხრეები (ასეთი რესტავრაციის მიზანია – ძეგლის შენახვა და მისი „სიცოცხლისუნარიანობის“ გახანგრძლივება, მისი მხატვრული, ისტორიული, მემორიალური მნიშვნელობის გამოვლენა), ასევე მხატვრულ-ესთეტიური (სტილისტური) რესტავრაციის მომხრეები (ასეთი რესტავრაციის მიზანია პირველადი ფორმის აღდგენა, დაკარგული ელემენტების სრული ან ნაწილობრივი რეკონსტრუქცია, ძეგლისათვის ექსპოზიციური იერსახის მინიჭება).

ეს პრობლემები აქტუალურია საზღვარგარეთის რესტავრაციის წამყვან სკოლებში: იტალია, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. პრინციპი, „არ ჩავიდინოთ გამოუსწორებელი ქმედება“, ძირითადად მიღებულია სხვადასხვა სარესტავრაციო სკოლის მომხრეების მიერ და ემსახურება სამეცნიერო და ესთეტიური რესტავრაციის მოწესრიგებას.

ნებისმიერი რესტავრაცია ძეგლზე დაკვირვებით იწყება: რეგულარული დათვალიერება „ავადმყოფობის“ გამოვლენის მიზნით და მისი თანამიმდევრული „განკურნების“ დადგენა, მოიცავს პროფილაქტიკურ და კონსერვაციულ სამუშაოებს, რეკომენდაციას საგნებისა და ძეგლების შემნახველ რეჟიმსა და სისტემაზე.

რესტავრაციის მეთოდები დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ობიექტია ჩვენს წინაშე. ცხოველი, თევზი და ა.შ. ცხოველთა სამყაროს ობიექტების რეკონსტრუქცია ხდება ტაქსიდერმიის სახსრების მეშვეობით. ტაქსიდერმია – ესაა სამუშაოს სახე, რომელიც მოიცავს ცხოველთა სამყაროს ობიექტების კონსერვაციასა და რესტავრაციას. შედეგად მზადდება დიდი ზომის ფიტული, რომელიც ქმნის ცოცხალ ნატურას ან მთლიან ბიოჯგუფს.

არქიტექტურული ნაგებობების რესტავრაციის დროს იყენებენ სამ ძირითად მეთოდს: კონსერვაცია, ანალიტიკური და სინთეზური მეთოდები. არქიტექტურული ძეგლების კონსერვაცია გულისხმობს ძეგლისა და კულტურული შრეების განლაგების შენახვას, რომელიც ძეგლის არსებობის დროს ჩნდება. ანალიტიკური მეთოდი ასევე ითვალისწინებს ძეგლის შენახვისთვის სათადარიგო საშუალებების მიღებას ობიექტის ისტორიულ იერსახეში ახლის შეტანის გარეშე. ეს მეთოდი შემუშავებულ იქნა ი.ე. გრაბარის და პ.დ. ბარანოვსკის მიერ.

სინთეზური მეთოდის გამოყენებისას, ანალოგიისა და ჰიპოთეზის მეშვეობით, ხდება ობიექტის თავისი პირველადი სახით აღდგენა.

არქიტექტურული ძეგლების რესტავრაციის დროს მნიშვნელოვანია გადავწყვიტოთ, რა სტადიამდე ტარდება სამუშაოები: ნანგრევის კონსერვაცია, მათი აღდგენა განსაზღვრულ ისტორიულ პერიოდამდე.

სამუზეუმო საგნებისთვის სარესტავრციო სამუშაოები მოიცავს კვლევის, კონსერვაციის, რესტავრაციის ჩატარებას და შენახვას.

კვლევა, რომელიც ტარდება საგნის რესტავრაციის პროცესში, ითვალისწინებს ერთად რამდენიმე დისციპლინის სპეციალისტის და რესტავრატორ-შემსრულებლის თანამშრომლობას (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, ასევე მაპროფილებელი დისციპლინების: ისტორიის, არქივის, საბიბლიოთეკო საქმის, ლიტერატურათმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალისტებს და ა.შ.).

გამოიყენება გადაღების სპეციალური სახე: რენტგენი, გადა-

ღება ულტრაიისფერ და ინფრაწითელ სხივებში, სპექტრალური ანალიზი და ა.შ. მათი ამოცანაა – გამოავლინონ ძეგლის თავდაპირველი სტრუქტურა, დაადგინონ ავტორი, გაერკვნენ შესრულების ტექნიკის თავისებურებებში, გამოავლინონ შენახვის უნარიანობის დონე, ნგრევის სახე და მიზეზი, დროთა განმავლობაში დადებული ფენები და მათი ხასიათი (მაგალითად, სურათს შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე ფენა, მათ შორის, ავტორის მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული და ა.შ.).

ეს ყველაფერი საშუალებას გვაძლევს მივიღოთ კვალიფიციური გადაწყვეტილება რესტავრაციის მეთოდებთან დაკავშირებით, საგნის შემდგომი გამოყენების მხრივ. რესტავრაციის კონკრეტული მეთოდების გამოყენებაზე საკითხის გადაწყვეტისას, ამა თუ იმ მასალების გამოყენების და ა.შ. შესახებ, მნიშვნელოვანია ვფლობდეთ სრულ ინფორმაციას სარესტავრაციო კვლევის დონეზე. ამიტომ მუზეუმის რესტავრატორები უნდა გაეცნონ სპეციალურ ლიტერატურას, სამეცნიერო კონფერენციის მასალას და ა.შ.

საერთაშორისო მასშტაბით, რესტავრაციისა და კონსერვაციის კოორდინატორი არის ICOM-თან არსებული კულტურული ღირებულებების შენახვისა და აღდგენის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი (International council conservation and restouration of monuments, сокращенно – ICCROM) – სამთავრობათშორისო ორგანო, რომელიც ახორციელებს იმ ობიექტების შენახვის საექსპერტო მხარდაჭერას, რომლებიც მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შესული. ასევე ატარებს ტრენინგებს სარესტავრაციო ტექნოლოგიების კუთხით. იგი კურირებს საერთაშორისო კომპიუტერულ ქსელს, რომელიც შეიცავს ყველა უკანასკნელ სიახლეს რესტავრაციისა და კონსერვაციის სამეცნიერო კვლევის დარგში.

ჩატარებული კვლევების შედეგად, სწორედ მოცემული ძეგლისათვის, იქმნება ინდივიდუალური „სარესტავრაციო მეთოდიკა“. შემსრულებელ-რესტავრატორს შემდგომში გადმოაქვს ეს ინდივიდუალურ-სარესტავრაციო მეთოდიკა პრაქტიკაში. სარესტავრაციო პროცესის დასაბუთება და დაფიქსირება ხდება ფოტოების მეშვეობით, ფერადი სლაიდებით, კარტოგრამებით, რომლებიც აისახება ძეგლის „სარესტავრაციო პასპორტში“.

ძველ, უნიკალურ ძეგლებზე მუშაობა, ამჟამად, მეტწილად, შემოიფარგლება კონსერვაციული ზომების გატარებით. კონსერვაციის სპეციფიური სახეა ნანგრევების კონსერვაცია, ანუ ნაგე-

ბობის ნარჩენების, რომლებმაც დანგრეული სახით მოაღწიეს ჩვენამდე და ასეთი სახით აღიქვამენ მათ, როგორც ძეგლს.

აღდგენის მეთოდებს შორის, რესტავრაციის ყველა სკოლა, მხარს უჭერს ანასთილოზს (დედნის ფრაგმენტების დადგენა, როცა დედნის ფრაგმენტებს მაქსიმალურად იყენებენ ძეგლის აღსადგენად, ძეგლის თავდაპირველ ადგილმდებარეობაზე დაბრუნება, რომელიც რეორგანიზაციის ან ნგრევის შედეგად იქნა გადატანილი).

აღიარებულია, რომ მთლიანობაში მნიშვნელოვანია შევინარჩუნოთ ძეგლის იერსახე, მისი განმასხვავებელი თავისებურებები სამუშაოების ჩატარების დროს. ზუსტი განსაზღვრება, რომელი ზომები უნდა იქნეს მიჩნეული კონსერვაციად და რომელი რესტავრაციად (ანუ აქტიური ჩარევის პროცესად), აქამდე არ ჩამოყალიბებულა. სხვადასხვა სამუზეუმო და სარესტავრაციო სკოლას ამ კითხვაზე სხვადასხვა პასუხი აქვს. მეტწილად კონსერვაცია გულისხმობს საგნის დაბინძურებისგან გაწმენდას, ძეგლის მთლიანობაში გამაგრებას და ფენების გამაგრებას (თუკი აქვს), სტაბილიზაციას, დაცული ზედაპირის ფორმირებას. კონსერვაციის ამოცანებს მიაკუთვნებენ შემნახველი რეჟიმის პარამეტრების ჩამოყალიბებას და შემნახველ სისტემას (ანუ ძეგლის შენახვისა და ექსპლუატაციის პირობები).

მთელი პროცესი მიმდინარეობს სარესტავრაციო საბჭოს ან სარესტვრაციო კომისიის დაკვირვების ქვეშ, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან მოწვეული სპეციალისტები. ეს ორგანოები განსაზღვრავენ კონსერვაციისა და რესტავრაციის მეთოდიკას, ცალკეული საგნისათვის ამოცანებს, მასალების მიღებაზე და სარესტავრაციო სამუშაოებზე კონტროლს, მათ შეჩერებას დარღვევის შემთხვევაში და მიღებას სამუშაოს დასრულების დროს.

ყველა მუზეუმს არა აქვს სარესტავრაციო სახელოსნოები და სპეციალისტ-რესტავრატორების საშტატო ერთეულებიც კი. ზოგიერთ ქვეყანაში კულტურის სამინისტროსთან შექმნილია სპეციალური ორგანო, რომელიც განსაზღვრავს სპეციალისტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებას და გასცემს რესტავრატორის საქმიანობის ნებართვას (გამონაკლისია – რესტავრატორ-არქიტექტორები). მხოლოდ ასეთი ნებართვის მქონე სპეციალისტები დაიშვებიან სარესტავრაციო სამუშაოებზე.

ოციოდე წელია, რაც მუზეოლოგიაში ახალი ცნება – „პრევენციული კონსერვაცია“ შემოვიდა და ტერმინების – „რესტავრაციის“ და „კონსერვაციის“ გვერდით დაიმკვიდრა ადგილი.

ეს ორი ტერმინი – რესტავრაცია და კონსერვაცია, რომელიც ნივთებზე სრულიად განსხვავებული მიზნებით ორი სხვადასხვა სახის ზემოქმედებას გულისხმობს, – სპეციალისტთა მიერ დღემდე არ არის განსაზღვრული: ყოველი ასოციაცია – ეროვნული თუ საერთაშორისო გვთავაზობს საკუთარ ინტერპრეტაციას, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში და ერთი ქვეყნის შიგნითაც კი განსხვავებულია.

ICCROM-ის წევრი, პრევენციული კონსერვაციის ერთ-ერთი გამოჩენილი სპეციალისტი გაელ დე გიშენი კონსერვაციასა და რესტავრაციას ადარებს მედიცინას და პლასტიკურ ქირურგიას.

მაშინ, როცა ამ ორი ტერმინის ირგვლივ ასეთი აზრთასხვადასხვაობაა, „შეუმჩნევლად შემოიჭრა“ დამატებითი ტერმინოლოგიური სირთულე. პრევენციული კონსერვაცია, როგორც პრევენციული მედიცინა, ზრუნავს კულტურული მემკვიდრეობის ყველა ელემენტზე მთლიანად, დაზიანებულია ის თუ ჯანმრთელი.მისი მიზანია, დაიცვას კულტურული მემკვიდრეობა ყველა სახის – ბუნებისა თუ ადამიანის – აგრესისიისაგან.

პრევენციული კონსერვაცია არის პასუხი იმ ძლიერ ცვლილებებზე, რაც გარემომ და კულტურულმა მემკვიდრეობამ განიცადა გასული საუკუნიდან დღემდე.

1990 წელს, როდესაც ნიდერლანდებმა ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის გლობალური დაცვის უზრუნველსაყოფად გეგმა „დელტას“ განხორციელება დაიწყო, სამწუხაროდ, არც ერთ ქვეყანას მისთვის არ მიუბაძავს.

პრევენციული კონსერვაცია, გაელ დე გიშენის შეფასებით, აზროვნების შეცვლას გულისხმობს: თუ ადრე ზრუნვის საგანი იყო „ცალკეული ნივთი“, დღეს უნდა ვიზრუნოთ „კოლექციზე“, თუ გუშინ საზრუნავი იყო ცალკეული „დარბაზი“, დღეს უნდა ვიზრუნოთ მთლიან „შენობაზე“.

მოქმედების სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ სამუზეუმო საქმიანობაში პრევენციული კონსერვაცია მთავარი მამოძრავებელი ღერძი გახდეს. პირველ რიგში უნდა მოწესრიგდეს საცავი, შემდგომ განისაზღვროს კოლექციების რაობა და მდგომარეობა, გამოიყოს განსაკუთრებით დაზიანებული კოლექციები და ჩატარდეს სამკურნალო კონსერვაცია. ყველაფერი ეს უნდა მოხდეს პრევენციული კონსერვაციის გენერალური გეგმის მიხედვით. შემდეგ უკვე შეიძლება დავიწყოთ სხვა სახის სამუშაოები: ესთეტიკური – სარესტავრაციო ლაბორატორიებმა; ისტორიული და ტექნიკური –

საკვლევმა ლაბორატორიებმა და პოპულარიზაცია, რაც გულისხმობს მუდმივი და დროებითი ექსპოზიციების მოწყობას, კატალოგებისა და დამხმარე პროდუქციის გამოშვებას.

ბრიტანეთის მუზეუმის მცველის დევიდ უილსონის ხატოვანი თქმით, „მუზეუმის დამთვალიერებელთა უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ არ დაბადებულა“. აქედან გამომდინარე, პრევენციულ კონსერვაციას უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლექციების შენარჩუნებისა და მომავალი თაობებისათვის მათი გადაცემის საქმეში.

5.2. მუზეუმების ექსპოზიციური მუშაობა

გამოფენა წარმოადგენს სამუზეუმო საქმიანობის ძირითად ასპექტს. განვლილი ნახევარი საუკუნის, განსაკუთრებით კი უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, მუზეუმები მოექცა საზოგადოების ინტერესის სფეროში. შეიქმნა ახალი გალერეები და საგამოფენო დარბაზები, რასაც მოჰყვა გამოფენების მოწყობის შესაძლებლობებისა და მოთხოვნების გაფართოება და ახალი თანამედროვე პროექტები.

გასული საუკუნე საზოგადოებრივი კომუნიკაციების თვალსაზრისით მეტად წარმატებული პერიოდი იყო. ამ საუკენეს მიიჩნევენ რადიოს, ტელევიზიის, კინოს, ჩამწერი საშუალებების ინდუსტრიის, ფაქსის და ბოლოს – ინტერნეტის საუკუნედ.

სპეციალისტები, ამის გარდა, საზოგადოებრივი კომუნიკაციების სფეროში კიდევ ერთ მიღწევად მიიჩნევენ მუზეუმებს, რომელიც დღითიდღე ვითარდება და აფართოებს თავის გავლენას საზოგადოებაზე.

XX საუკუნეს სხვანაირად „მუზეუმების საუკუნეს“ უწოდებენ. გასული საუკუნის მეორე ნახევარი მთელ მსოფლიოში მუზეუმების ნამდვილი ბუმი იყო. დიდ ბრიტანეთში ორ კვირაში ერთხელ ახალი მუზეუმი იხსნებოდა. აშშ, კანადის, ავსტრალიისა და სხვა ქვეყნების (გამოცემული ცნობარების მიხედვით) დაწესებულებების ჩამონათვალში, 50 წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა მუზეუმების რიცხვი – ზოგან შვიდჯერ, ზოგან კი – ათჯერ.

ფლანდრიის სამუზეუმო ცნობარების მიხედვით ირკვევა, რომ გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედის განმავლობაში ყოველწლიურად ათი ახალი მუზეუმი იხსნებოდა. ისრაელში ყველა ქალაქს აქვს სურვილი გახსნას საკუთარი მუზეუმი. საქართველოს ყველა პატარა ქალაქსა და რაიონში მოქმედებს მინიმუმ ერთი მუზეუმი მაინც. აზიისა და აფრიკის ქვეყნები და ქალაქები სტაბილურად ზრდიან სამუზეუმო ქსელს. სინგაპურმა ეროვნული მუზეუმი დაანაწილა ქვედანაყოფებად: ხელოვნების მუზეუმი, ისტორიის მუზეუმი, აზიის ცივილიზაციების მუზეუმი, ფილატელიის მუზეუმი, სამოქალაქო თავდაცვის მუზეუმი. ფილიპინების ეროვნულმა მუზეუმმაც გამოჯნა თავისი ხელოვნების გალერეები იმ გალერეებისაგან, რომელთა მიზანია ფილიპინელი ხალხის ისტორიის წარმოჩენა. იგეგმება ბუნების ისტორიის მუზეუმის გახსნა.

არანაკლებ შთამბეჭდავია არსებული მუზეუმების ზრდისა და გაფართოების მასშტაბები. ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე ყველა მუზეუმს, კოლექციების ზრდის გამო, შეექმნა გაფართოების ან რეკონსტრუქციის პრობლემა. ზოგიერთმა მუზეუმმა, გუგენჰაიმის მუზეუმის ან თვით გალერეის მსგავსად, დაიწყო ფილიალების დაარსება, რის შედეგადაც მათი კოლექციების ნახვა შესაძლებელია სხვადასხვა ქალაქში და რაიონში.

მუზეუმების ზრდა არაა დაკავშირებული გეოგრაფიულ არეალთან. თითოეულ ქვეყანაში ყველა ქალაქს, რაიონსა და წარმოებადაწესებულებას სურს ჰქონდეს საკუთარი მუზეუმი. ერთის მხრივ, ეს კარგია, რადგან იქმნება პირობები ქალაქის, რაიონის, წარმოებადაწესებულების ისტორიული მეხსიერების დაცვისათვის, მაგრამ, მეორეს მხრივ, პრობლემას ქმნის საკადრო და ფინანსურ-მატერიალური რესურსები. მუზეუმები იძულებულნი იქნებიან შექმნან კოოპერაციული გაერთიანებანი. იგივე შეიძლება ითქვას მუზეუმების ტიპების დიდ უმრავლესობაზე. მაგალითად, სხვადასხვა სამხედრო დანაყოფის მუზეუმზე, რომლებმაც უნდა მოახერხონ თავისი რესურსების გაერთიანება მოცემული ქვეყნის ან რეგიონის უფრო დიდ სამხედრო მუზეუმად ჩამოყალიბებისათვის.

ამასთან ერთად, სულ უფრო იზრდება ისეთი მუზეუმების რიცხვი, როგორიცაა ალბუკერკში ანდერსონ აბრუცოს საჰაერო ბუშტების საერთაშორისო მუზეუმი, იდეებზე დაფუძნებული მუზეუმები – ტოლერანტობის მუზეუმი ლოს ანჟელესში, მუსიკალური ინდუსტრიის მუზეუმები – მოტოუნის მუზეუმი დეტროიტში და

პერსონალიების მუზეუმები – შანია თვეინის საინტერპრეტაციო ცენტრი ტიმინსში, ონტარიო. მოსალოდნელია განვითარდეს საბავშვო მუზეუმების ქსელი.

მსოფლიო მასშტაბით მუზეუმების რიცხვის ზრდასა და განვითარებას, სპეციალისტები უკავშირებენ არა მხოლოდ საზოგადოების ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს, არამედ როგორც საზოგადოებრივი კომუნიკაციების სფეროს განვითარებას.

მუზეუმებისათვის დამახასიათებელია კომუნიკაციის სფეციფიკური ინსტრუმენტი – გამოფენა.

გამოფენის დათვალიერება ადამიანის სულიერი და ესთეტიკური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებაა. ადამიანი მუზეუმში მიდის, უპირველესად, გამოფენის დასათვალიერებლად. მკვლევარიც კი, რომლის მიზანი, მხატვრის შემოქმედებაზე სამეცნიერო ნაშრომის შესრულებაა, გვერდს ვერ აუვლის გამოფენას შეხედოს, პირველ რიგში, დამთვალიერებლის თვალით და შემდეგ კრიტიკულად შეაფასოს იგი.

აქედან გამომდინარე, გამოფენები მუზეუმებისათვის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც პიესა თეატრისათვის.

გამოფენებმა მნიშვნელოვანი და წამყვანი ადგილი დაიკავა სამუზეუმო ცხოვრებაში. გამოფენის თემატიკა მრავალფეროვანია დაწყებული ერთი სურათის გამოფენიდან ეთნოგრაფიულ გამოფენამდე.

მაგრამ გამოფენა არ არის ერთადერთი მიმართულება სამუზეუმო საქმიანობის. მუზეუმს, თეატრისაგან განსხვავებით სხვა ფუნქციებიც აქვს: შეგროვება; კონსერვაცია/შენახვა; კვლევა. სამივე ფუნქცია პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება მუზეუმების განვითარების ყველა ეტაპზე.

გამოფენის მომზადება რთული, შრომატევადი და შემოქმედებითი პროცესია. დაუშვებელია ერთი შაბლონის გამოყენება. თეატრისაგან განსხვავებით, მუზეუმებს, ხშირ შემთხვევში, არ ჰყავთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომელთაც მიღებული ექნებოდათ სპეციალური სამუზეუმო განათლება. მაშინ, როცა პროფესიული თეატრის ყველა პერსონალი სპეციალურ პროფესიულ განათლებას ღებულობს სხვადასხვა საგანმანათლებლო დონეზე.

ზოგიერთი მუზეუმი გამოსავალს ხედავს იმაში, რომ ქმნის საგამოფენო განყოფილებას, ან აწესებს სპეციალურ თანამდებობას: „გამოფენების კურატორი“, ან „თანამშრომელი გამოფენების დარ-

გში“, რომელიც კოორდინაციას უკეთებს საგამოფენო პროექტის განხორციელებას. ამ შემთხვევაშიც, მუზეუმი დგება დილემის წინაშე: ვინ უნდა დაინიშნოს ამ თანამდებობებზე. საქართველოში მუზეუმები გამოსავალს ხედავენ იმაში, რომ სამუშაოდ მიიღონ მენეჯერები, ან მონათესავე ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტები, ან ხელოვნებათმცოდნეები. რა თქმა უნდა, არც ეს არის საუკეთესო გამოსავალი, მაგრამ ვიდრე ჩვენში სამუზეუმო განათლება არ გამოცხადდება სამუზეუმო პოლიტიკის პრიორიტეტად, სხვა არჩევანი მუზეუმებს არა აქვთ.

არ არის სამუზეუმო განათლება, ე.ი. არ არის სიახლეები სამუზეუმო საქმიანობაში, მათ შორის, საგამოფენო პოლიტიკაში. ერთი ან ორი მუზეუმის ენთუზიაზმი და საერთაშორისო თანამშრომლობა, ან მოკლევადიანი კურსები გამოსავალი არ არის.

დავუბრუნდეთ საგამოფენო პოლიტიკას. უცხოელთა გამოცდილება ჩვენთვის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) მნიშვნელოვანი ფაქტორია, სიახლეები შემოვიტანოთ ამ დარგში.

სამუზეუმო გამოფენა, სხვა გამოფენებისაგან განსხვავდება შინაარსითაც და ფორმებითაც. მუზეუმი სავაჭრო გამოფენისაგან განსხვავებით, არ ცდილობს პროდუქტის გაყიდვას. მუზეუმის ბევრი მუშაკი საგამოფენო გამოფენებს ძირითადად აღიქვამენ როგორც საგანმანთლებლო საშუალებას. მათი აზრით, გამოფენები წარმატებულია, თუ საგამოფენო თემატიკა გარკვეულ ცოდნას მისცემს დამთვალიერებელს და წარუმატებელია, თუ იგი ვერ აღწევს მიზანს.

რა თქმა უნდა, სამუზეუმო გამოფენები შეიცავს განათლების ელემენტებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვნია იგი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. არის მეორე კატეგორია დამთვალიერებლებისა, რომლებიც გამოფენებისაგან მხოლოდ ესთეტიკურ სიამოვნებას ღებულობენ და მათთვის მუზეუმი ზოგჯერ უფრო გასართობ ადგილს წარმოადგენს.

დამთვალიერებლებისათვის სამუზეუმო გამოფენის წარმატების ერთ-ერთი მიზეზი ორიგინალი ნივთების წარდგენაა. დამთვალიერებელზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს ასეთი გამოფენები.

ვინაიდან სამუზეუმო გამოფენები ერთდროულად შეიცავს საგანმანათლებლო და სახალისო მომენტებს, მათ დანიშნულებას სპეციალისტები (ბ. ლორდი და გ. ლორდი) ასე აყალიბებენ:

„სამუზეუმო გამოფენის დანიშნულება არის დამთვალიერებლის ინტერესების, დამოკიდებულებების, ფასეულობების ზოგიერთი ას-

პექტის ემოციურ დონეზე გარდაქმნა, რაც ხდება დამთვალიერებლის მიერ გამოფენილი ობიექტების შინაარსის გარკვეული დონის აღმოჩენის შედეგად, რომელიც სტიმულირებული და გამყარებულია დამთვალიერებლის რწმენით, რომ ეს ობიექტები აუთენტურია“.

მუზეუმი საგანმანათლებლო დაწესებულებას არ უნდა დაემსგავსოს და გამოფენა არ უნდა გადატვირთოს სასწავლო მასალით, რათა დამთვალიერებლის ინტერესი გამოფენისადმი არ დაიკარგოს. სამუზეუმო გამოფენა არც კინოკლუბია ან ატრაქციონი. მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიცავს აუდიო-ვიზუალური გართობის ელემენტებს, ყოველივე ეს მიმართული უნდა იყოს გამოფენის შინაარსის შესაბამისად. დამთვალიერებელმა სასიამოვნოდ უნდა გაატაროს დრო და აღმოაჩინოს ახალი.

5.2.1. მუზეუმების ექსპოზიციური მუშაობის ძირითადი ცნებები

მუზეუმების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შედეგები ასახვას ჰპოვებენ, უპირველეს ყოვლისა, მუზეუმის მიერ მომზადებულ სამეცნიერო კრებულში.

ექსპოზიციური მუშაობა, ესაა მუზეუმის საქმიანობის ერთერთი ძირითადი მიმართულება, რომელიც ექსპოზიციის შექმნაზე აგებს პასუხს. იგი მოიცავს:

- ექსპოზიციის დაპროექტებას: სამეცნიერო დაპროექტება – ძირითადი იდეისა და კონკრეტული შინაარსის შემუშავება; მხატვრული დაპროექტება – მხატვრულ-არქიტექტურული პრინციპებისა და გადაწყვეტილებების შემუშავება; ტექნიკური და სამუშაო დაპროექტება – ექსპოზიციის მონტაჟი;
- ექსპოზიციის დემონტაჟი;
- რეექსპოზიცია (ძველი ექსპოზიციის განახლება სრული დემონტაჟის გარეშე).

მუზეოლოგიაში არ არსებობს ექსპოზიციური ნამუშევრის ძირითადი ცნების, „ექსპოზიციის“ (ლათინურად: „ეხპოსიტიო“ – გამოფენა, გამოქვეყნება) ერთიანი გაგება. ლექსიკონში „სამუზეუმო

ტერმინები“ ნათქვამია, რომ ექსპოზიცია „ესაა სამუზეუმო კრებულის ნაწილი, რომელიც განსახილველად არის გამოტანილი“.

მოცემული განსაზღვრებანი ბოლომდე დამაკმაყოფილებელი არაა, რადგან ამ შემთხვევაში, განსხვავების აღნიშვნა „გამოფენას“, „ექსპოზიციასა“ (ექსპოზიციური ნამუშევრის ფორმებს შორის, რომლებიც მიმართულია განსაკუთრებული სახის შექმნაზე, სამუზეუმო გარემოს) და, ვთქვათ, ღია სივრცეში შენახვას შორის, რომელიც საშუალებას მოგვცემს მუზეუმის მიერ შეგროვებული საგნები და კოლექციები დავათვალიეროთ ისე, როგორც ისინი ინახება ფონდებში, პრქატიკულად შეუძლებელია.

საექსპოზიციო დარბაზის გამოფენა. თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმი. ფუკუიამა. ტოკიო

მეტნაკლებად ზუსტ განსაზღვრებას წარმოგვიდგენს მუზეუმმცოდნე ა.ბ. ზაკსი: „სამუზეუმო ექსპოზიცია, ესაა სამუზეუმო საგნების მიზანმიმართული, მეცნიერებაზე დაფუძნებული დემონსტრაცია, რომელიც დაკავშირებულია შინაარსის, კომპოზიციურად ორგანიზებულ, კომენტირებულ, ტექნიკურად და მხატვრულად გაფორმებულ ერთიანობასთან, რომელიც ერთიანობაში ქმნის ბუნების, საზოგადოებრივი ან კულტურული მოვლენებისა და პროცესების სპეციფიურ (სამუზეუმო) სახეს“.

ექსპოზიციები, რომლებიც იქმნება განსაზღვრული დროით, შეიძლება იყოს მუდმივი და დროებითი.

დროებით ექსპოზიციებს გამოფენას უწოდებენ.

გამოფენები შეიძლება იყოს:

- სტაციონარული, რომელიც არ არის გათვლილი ადგილიდან ადგილზე გადასატანად,

- მობილური, რომელიც მუზეუმს გარეთ დემონსტრაციაზეც არის გათვლილი.

თავიანთი ორგანიზაციის მიხედვით ექსპოზიციები იყოფა:

- თემატურ (ხსნიან რომელიმე სიუჟეტს);
- საფონდო (წარმოადგენენ საგნებს, რომლებიც ჩვეულებრივ ინახება ჩანაწერებში (ფონდებში) და იშვიათადაა წარმოდგენილი პუბლიკისთვის);
- სააღრიცხვო ნაწილებად (მოგვითხრობს მუზეუმის მუშაობის მიმართულების შეჯამებაზე (დაკომპლექტება, რესტავრაცია და ა.შ.).

ექსპოზიციები შედგება ცალკეული ექსპოზიციური კომპლექსებისგან, რომლებიც თემატურადაა დაკავშირებული სივრცით (განზომილებით) და მხატვრულად ორგანიზებულ სამუზეუმო საგნების ჯგუფებთან, სამეცნიერო–დამხმარე მასალისაგან, ტექსტებისაგან და ექსპოზიციური სამუზეუმო აღჭურვილობისაგან.

გამოყოფენ ექსპოზიციური კომპლექსის რამდენიმე ტიპს:

- თემატური. არსებობს მოსაზრება, რომ მხოლოდ თემატური კომპლექსები უნდა მივაკუთვნოთ ექსპოზიციურს, ანუ ეს არის ცნებები-სინონიმები;
- სასიცოცხლო (საბუნებისმეტყველო) – ბიოჯგუფები, პანორამა და დიორამა;
- ტიპური – მემორიალური, საკოლექციო.

ზოგჯერ ექსპოზიციურ კომპლექსებს მიაკუთნვნებენ მთლიან სადემონსტრაციო დარბაზს (შოურუმს), რომელიც ერთიანი პროექტითაა შექმნილი და აქვს თავისი განუმოერებლი სტილი.

არც თუ იშვიათად ექსპოზიციური სამუშაოს მონაწილეებს ექსპოზიციონერებს უწოდებენ. ექსპოზიციონერი, ესაა მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, რომელიც ექსპოზიციის შექმნის პროცესში ღებულობს მონაწილეობას (ზოგჯერ ექსპოზიციონერთა რიცხვში მოიხსენიებენ შტატის მხატვარსაც).

სამუზეუმო საგნები ექსპოზიციური სამუშაოს პროცესში გამოიფინება დასათვალიერებლად, საგნები იქცევა ექსპონატებად (ექსპოზიციის სტრუქტურულ ნაწილად), იქმნებიან სახეების სისტემაში, რომლებიც ხსნიან გარკვეულ თემას, აყალიბებენ ცოდნას ამ თემის ირგვლივ და ემოციურად მოქმედებენ დამთვალიერებელზე.

მუზეოლოგიაში, ექსპონატებში მოიაზრება სამუზეუმო საგ-

ნებიც და მათი თანმხლები სამეცნიერო-დამხმარე მასალები (ასლები, ნაწარმოებები, სქემები, რუქები და ა.შ.). მუზეოლოგთა უმრავლესობისათვის ცნება „ექსპონატი“ და „ექსპოზიციური მასალა“ სინონიმებია. მუზეუმის სპეციალისტთა ნაწილი, ყველაზე ხშირად, ექსპონატებს მიაკუთვნებს მხოლოდ დემონსტრირებულ სამუზეუმო საგნებს (დედნებს) და ყოფს ცნებებს „ექსპონატები“ და „ექსპოზიციური მასალა“.

5.2.2. ექსპოზიციის შექმნის მეთოდები

ექსპოზიციური მასალის დაჯგუფებისა და ორგანიზების თანამიმდევრობა განსაზღვრავს სამუზეუმო ექსპოზიციის შექმნის მეთოდს. სამუზეუმო ექსპოზიციის შექმნის მეთოდები ვითარდება სამუზეუმო საქმესთან ერთად.

ექსპოზიციის შექმნის პირველი მეთოდი, რომელიც ყველაზე ადრე გამოჩნდა, შეიძლება მიჩნეულ იქნას სისტემატიური მეთოდი. მისი მიღების შედეგად ჩნდება სისტემატიური ექსპოზიციები, ანუ ექსპოზიციები, რომლებიც გარკვეული მაპროფილებელი დისციპლინის, კულტურის დარგის ან საზოგადოებრივი დარგების კვალიფიკაციასთან შესაბამისობაში არის შექმნილი.

სისტემატიური ექსპოზიციის ძირითადი სტრუქტურა ესაა სამუზეუმო საგნების ტიპოლოგიური (სისტემატიური) რიგი, რომელიც ბუნების ამა თუ იმ პროცესების, ადამიანთა საზოგადოების ევოლუციას ასახავს. ხშირად ექსპოზიციის ასეთი მეთოდი გამოიყენება საბუნებისმეტყველო მუზეუმებში, მაგალითად, ზოოლოგიურ, ბიოლოგიურ, მინერალოგიურ მუზეუმებში.

ექსპოზიციის ორგანიზაციის ასეთ პრინციპს უპირატესობას ანიჭებენ აკადემიური მუზეუმები. იგი მიზანშეწონილია სასწავლო მუზეუმებშიც, თუკი პედაგოგიური მეთოდები მიზანმიმართულია სისტემატიზაციის გაცნობიერებაზე და რომელიმე დისციპლინის კლასიფიკაციაზე. სისტემატიური ექსპოზიცია საშუალებას გვაძლევს ეს კლასიფიკაცია მკაფიოდ წარმოვადგინოთ. სისტემატიური

ექსპოზიციები დაშვებულია მუზეუმების სხვა მაპროფილებელ ჯგუფებშიც.

ისტორიული მუზეუმებიდან, ყველაზე ხშირად, სისტემატიური მეთოდი გამოიყენება არქეოლოგიის კუთხით ექსპოზიციის შექმნის დროს: ასეთი სახის ექსპოზიცია საშუალებას გვაძლევს გავყვეთ ტრადიციის უწყვეტობას და ნოვაციის გამოვლინებას საგნებისა და იარაღების დამზადების დროს, ვიხილოთ ტექნიკური ხერხების ევოლუცია და ა.შ.



აზერბაიჯანის ხალიჩების მუდმივმოქმედი ექსპოზიცია. ბაქოს გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი

მსოფლიოში პირველი სისტემატიური არქეოლოგიური მუზეუმი შეიქმნა დანიაში – სიძველეთა ეროვნული მუზეუმი. მუზეუმი უკვე გახსნის მომენტში, 1819 წელს, უზარმაზარ არქეოლოგიურ კოლექციას ფლობდა. ვედელ-სიმონსენს, 1813 წელს, მცდელობამ, წარმოედგინა ეს კოლექცია მუზეუმის ექსპოზიციაში, უბიძგა იდეისკენ – კაცობრიობის სამი ეპოქისგან შემდგარი პირველყოფილი წარსული: ქვის, ბრინჯაოს და რკინის ხანა, დაეყო სამ ნაწილად. ასე შეიქმნა პირველყოფილი საზოგადოების პერიოდიზაცია, რომელიც, აგრეთვე, დღემდე გამოიყენება, მისი კრიტერიუმები – მასალის შეცვლაა, იმ მასალისა, რომელიც გამოიყენებოდა წარმოების იარაღების შექმნის დროს. ამ პერიოდიზაციის გამოჩენას სა-

ფუძვლად ედო მსოფლიოს ყველა არქეოლოგიური მუზეუმის არქეოლოგიური მასალის სისტემატიზაცია.

სისტემატიური ექსპოზიციები შეიძლება სამხატვრო მუზეუმებშიც ჩამოყალიბდეს. ამ დროს ხელოვნების ქმნილებანი იყოფა პერიოდების, ქვეყნების, მიმართულებების, სკოლების მიხედვით. „სკოლაში“, თითოეული ავტორის ნამუშევარი, როგორც წესი, გამოიფინება ხოლმე გვერდიგვერდ, რაც საშუალებას გვაძლევს მივყვეთ საავტორო ჩვევის ჩამოყალიბებას, პროფესიონალური ტექნიკის სრულყოფას, საავტორო სტილის შეცვლას და ა.შ.

ევროპაში სამხატვრო მუზეუმებს შორის ერთ-ერთმა პირველმა ერმიტაჟმა გამოიყენა ექსპოზიციის შექმნის სისტემატიური მეთოდი: 1793 წელს ჯოვანი მარტინელისა (იტალიელი საოპერო ტენორი 1610-1659 წწ.) და ჯორჯ ჰენრი ჰარლოუს (ინგლისელი მხატვარი 1787-1819 წწ.) კოლექციის კედელზე განლაგების სქემამ სისტემატიური ხასიათი შეიძინა სხვა ქვეყნებში.

ლანშაფტური მეთოდი, რომლის შედეგადაც ჩნდება ლანდშაფტური ექსპოზიცია, ხშირად გამოიყენება საბუნებისმეტყველო მუზეუმებში. ასეთი ექსპოზიციის ამოცანაა შექმნას მოვლენისა თუ პროცესის კომპონენტების შეთავსებადობა, ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება.

ლანდშაფტური ექსპოზიციები უფრო მეტადაა ორიენტირებული მოუმზადებელ პუბლიკაზე, ვიდრე სისტემატიური. ამ მეთოდებითაა დაპროექტებული, მაგალითად, მხარეთმცოდნეობის მუზეუმების უმრავლესობაში ადგილობრივი საბუნებისმეტყველო ექსპოზიციები.

მოცემული მეთოდი ხშირად გამოიყენება საბუნებისმეტყველო პროფილის მქონე მუზეუმებში. ეს მეთოდი პირველად გამოიყენეს ლონდონში, 1851 წელს მსოფლიო გამოფენაზე საბუნებისმეტყველო კოლექციის ჩვენების დროს. ევროპულ მუზეუმებში ამ მეთოდის მიღება განვითარებას ჰპოვებს XIX საუკუნის ბოლოს.

ერთ-ერთი პირველი სამუზეუმო ექსპოზიცია, რომელიც მთლიანად იყო აგებული ლანდშაფტური მეთოდის გამოყენებაზე, იყო სტოკჰოლმის საბუნებისმეტყველო მუზეუმის ექსპოზიცია, რომელიც წარუდგინეს ფართო საზოგადოებას 1893 წელს.

ლანდშაფტური ექსპოზიციის შემინული კარადა ფირმა „Reier“ (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა)

ლანდშაფტური ექსპოზიციის დამახასიათებელი თვისება არის დიორამის (ნახატი, რომლის წინ მოთავსებულია მოცულობის მქონე ფიგურები მაკეტები, ადამიანთა გამოსახულებები და სხვ. პანორამისაგან განსხვავებით მოიცავს ჰორიზონტის არა მთელ წრეს, არამედ მის ნაწილს. გამოყენებულია სინათლის ეფექტი. გამოიგონეს დაგერმა და ბუტონმა 1822 წ.) ან პანორამის გამოყენება, რომელთა შინაარსი გამოაშკარავდება და ივსება სამუზეუმო საგნების, ლანდშაფტური რუქების, პროფილების მეშვეობით და ა.შ.

დიორამას საფუძვლად უდევს ერთსიბრტყიანი სურათის უკანა დეკორაცია, რომელიც, როგორც წესი, იჭერს გარემოს რომელიღაც „დამახასიათებელ“ ნაწილს, არ იჭერს ჰორიზონტის სრულ წრეს, მაყურებელი თითქოს ფანჯრიდან უყურებს ექსპოზიციას. სურათის უკანა დეკორაციას ემატება ადგილის მაკეტი (სამგანზომილებიანი, მოცულობითი საგნებით, მაგალითად, სპეციფიური ხეების მაკეტები, მინდვრის საფარის იმიტაცია და ა.შ. – ტყისთვის; მთის ფერდობების და ქვიანი ნაპირების მაკეტები – ზღვის ნაპირებისთვის და ა.შ.) და ეს ყველაფერი შემდგომ ივსება სამუზეუმო საგნებით.

გორილა. დიორამა. ამერიკის საბუნებისმეტყველო მუზეუმი. ნიუ-იორკი

პანორამა, უპირველეს ყოვლისა, განსხვავდება სურათის უკანა დეკორაციებით, რომელიც ჰორიზონტის სრულ წრეს იტაცებს (ანუ მაყურებელი დგას ასეთი ექსპოზიციის ცენტრში). სხვა დანარჩენი თვისებებით პანორამა ყალიბდება როგორც დიორამა: სურათს ემატება ადგილის მაკეტი და სამუზეუმო საგნები.

თუკი საბუნებისმეტყველო ექსპოზიცია წარმოდგენილია ამ ფორმით, მაშინ მის ფონად გამოდგება ლანდშაფტის მაკეტი. კონცეფციას ამ ლანდშაფტზე და მის შემადგენელ ნაწილებზე გვიქმნის ლანდშაფტმცოდნეობა (ფიზიკური გეოგრაფიის დარგი). მან ცხადად უნდა წარმოგვიდგინოს ბუნება, როგორც რიგი კომპლექსების სისტემა (გეორგრაფიული სისტემების), რომელიც ურთიერთდაკავშირებული კომპონენტებისგან შედგება: ლითოსფერო, ნიადაგი, ნატურალური წყლები, ატმოსფეროს ჰაერი, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო.

დიორამა და პანორამა ადგილს იკავებს ისტორიული პროფილის მქონე მუზეუმში, ჩვეულებრივ, მაშინ, როცა, სურვილის შემთხვევაში, გვინდა თვალნათლივ ვაჩვენოთ მოქმედ ტერიტორიაზე რაიმე მნიშვნელოვანი პროცესი ან მოვლენა.

უფრო ხშირად ისტორიული ან კომპლექსური პროფილის მქონე მუზეუმებში (სადაც არის ისტორიული განყოფილებები) გამოიყენება ექსპოზიციის აგების ერთიანი და თემატური მეთოდები.



დინოზავრი. ამერიკის საბუნებისმეტყველო მუზეუმი. ნიუ-იორკი

დოკუმენტურ საფუძველზე, ერთიანი მეთოდი ინახავს ან აღადგენს კონკრეტული ადამიანის ცხოვრების რეალურ მოვლენებს, რომელიც ტიპურია კონკრეტული ისტორიული ეპოქის გარკვეული სოციალური ფენისათვის. მუზეოლოგიაში ექსპოზიციის ეს მეთოდი გამოიყენება (უპირველეს ყოვლისა, ეთნოგრაფიული, ისტორიულ-საყოფაცხოვრებო, მემორიალური ექსპოზიციების შექმნის დროს) XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან.

ერთიანი ექსპოზიციის ძირითადი სტრუქტურული ერთეულია „სასიცოცხლო“ ექსპოზიციური კომპლექსი: ინტერიერი, სადაც სამუზეუმო საგნები წარმოდგენილია თავისი ყოფიერების გარემოში, მათ შორის, რეალურად არსებული კავშირების აღდგენის მეშვეობით. ასეთი ექსპოზიციის მაგალითად გამოდგება ალ. ჭავჭავაძის სამუშაო კაბინეტი და სხვა მეორიალური მუზეუმების ანალოგიური ექსპოზიციები.

თემატური მეთოდი ჩამოყალიბდა XX საუკუნის 20-ანი წლების მეორე ნახევარში. მოგვიანებით მან განვითარება ჰპოვა სხვა მაპროფილებელ ჯგუფებსა და ქვეჯგუფებში.

ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი. წინანდალი

მეთოდის ამოცანა იყო გაეშალა გარკვეული სიუჟეტი კონკრეტული სამუზეუმო საგნების მეშვეობით. მნახველის ცნობიერებაში შეექმნა ასახული მოვლენებისა და პროცესების სამუზეუმო სახე.

თემატური ექსპოზიცია იგება როგორც ურთიერთდაკავშირებული განყოფილებების, თემების, ქვეთემების სისტემა, რომელთა შინაარსიც დაკავშირებულია და დაფუძნებულია საერთო კონცეფციით. ასეთი ექსპოზიციის ცენტრში უნდა იყოს საგანი, რომელსაც აქვს უმაღლესი კომუნიკაცია, ექსპრესიულობა და ა.შ. „დამრტყმელი ექსპონატი“, „შუქურა“, როგორც მას მუზეოლოგიის პრაქტიკაში უწოდებდნენ. სხვა საგნები მის ირგვლივ ყალიბდება შეპირისპირების, ურთიერთშეთანხმების დოკუმენტაციის მიზნით. მთელი თემატური ექსპოზიციის ცენტრთან ერთად, მისი განყოფილებიდან თითოეულს შეიძლება ჰქონდეს თავისი „შუქურა“, „მიზიდულობის ცენტრები“.

თემატური ექსპოზიციის ნიმუში

თანამედროვე მუზეუმი მრავალმხრივი და მუდმივად განახლებადია, რაც განსაზღვრავს ვიზიტიორთან მუშაობის ხერხების მრავალფეროვნებას, მათ შორის სამუზეუმო ექსპოზიციების აგების მეთოდებს. მითითებული ოთხი მეთოდი უფრო „კლასიკურ“ მუზეუმებს ახასიათებთ. ეს მეთოდები ქმნიან სტაციონარულ ექსპოზიციას, რომელიც ჰგავს სტოპ-კადრს. მოძრავი გამოფენაც კი, რომელიც ამგვარადაა აგებული, სადაც არ უნდა იყოს იგი, მაინც სტაციონარულად არსებობს, ქმნის ერთსა და იგივე სახეს. თავის დროზე, ე.ა. როზენბლუმმა, განსაზღვრავდა რა ექსპოზიციის შექმნის მეთოდებს, ექსპოზიციას უწოდა „სპეციფიური სამუზეუმო ნატურმორტი“.

„ნატურმორტი“, პირდაპირი გაგებით, „მკვდარ ნატურას“ ნიშნავს (ფრანგ. nature morte – მკვდარი ბუნება). ვის ექნება სურვილი, თავისი ნებით, უყუროს „მკვდარ ნატურას“? მით უმეტეს, არსებობს ხერხები, რომ „გავაცოცხლოთ“ ამგვარად შექმნილი ექსპოზიცია.

ამავე დროს, თანამედროვე მუზეუმები შეიმუშავებენ სამუზეუმო საგნების დემონსტრაციის სხვა მეთოდებს, რომლებსაც შეუძლიათ ექსპოზიციის გაცოცხლება, შეუძლიათ გახადონ იგი უფრო დინამიური, გამოიწვიონ ასოციაციები, შეიყვანოს მნახველი ექსპოზიციაში.

თანამედროვე სამხატვრო მუზეუმები ხშირად მიმართავენ ნა-

მუშევრების ჩვენების „ესთეტიურ“ მეთოდს (ექსპოზიციის აგების ესთეტიური მეთოდი), განსაკუთრებით ნაკლებად ცნობილი ან პატარა მხატვრების გამოფენებზე. სურათებს კიდებენ არც სისტემურად (სკოლებში – მოცემულ შემთხვევაში, სურათები შეიძლება საერთოდ არ იყოს), არც თემატურად (სიუჟეტის ხაზის ერთიანობით), არამედ პრინციპით, მიიქციოს რაც შეიძლება მეტი ყურადღება. ეს შეიძლება იყოს ფერადი კონსტრასტი გვერდით დაკიდებულ ნამუშევრებთან, ტექნიკის კონტრასტი და შესრულების მანერა, ან, პირიქით, სხვადასხვა ჟანრში ესთეტური პრინციპების ერთობლიობა (ფერწერასა და სკულპტურაში, გრაფიკასა და კერამიკაში და ა.შ.).

თანამედროვე მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ ინსტალაციაც. ინსტალაცია (ინგლის. installation – ინსტალაცია, დამონტაჟება) ესაა სივრცითი კომპოზიცია, რომელიც მხატვრის მიერ სხვადასხვა ელემენტებისაგან არის შექმნილი: საყოფაცხოვრებო საგნებისაგან, სამრეწველო პროდუქციისა და მასალებისაგან, საბუნებისმეტყველო ობიექტებისაგან, ტექსტებისაგან, ვიზუალური ინფორმაციისაგან.

ინსტალაციის ფუძემდებლები იყვნენ დადაისტი მ. დუშანი და სურეალისტები. ინსტალაცია იქმნებოდა ავანგარდის ბევრი მხატვრის მიერ: რ. რაუშენბერგის, დ. დაინის, გ. უკერის, ი. კაბაკოვის და სხვათა მიერ. ქმნის რა ჩვეულებრივი საგნების არაჩვეულებრივ შეხამებას, მხატვარი თითქოს ახალ სიმბოლურ დატვირთვას სძენს მათ.

ინსტალაციის ესთეტური შინაარსი გამოიხატება აზრობრივ მნიშვნელობათა თამაშით, რომლებიც იცვლებიან იმის მიხედვით, თუ სად იმყოფება საგანი: ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო გარემოში თუ საგამოფენო დარბაზში. ინსტალაცია, როგორც ექსპოზიციის გაფორმების მეთოდი, ფართოდ გამოიყენება მუზეუმებში, რომლებიც მიისწრაფვიან გაექცნენ განმანათლებლის სახეს და უფრო მეტად მიმართული არიან მნახველის გართობაზე (სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მუზეუმებს რომლებსაც თავიანთ საქმიანობაში აქვთ დომინანტური რეკრეაციული ფუნქცია დანარჩენებზე).

ინსტალაცია არ ახდენს რეალური საგნებისა და ობიექტების რეკონსტრუქციას, არამედ ნათელი ასოციაციის შექმნისკენაა მიმართული. ეს უფრო ხშირად გამოიყენება სამხატვრო პროფილის მქონე მუზეუმებში, განსაკუთრებით იმ მუზეუმებში, რომლებიც თანამედროვე („აქტუალურ“) ხელოვნებაზეა ორიენტირებული.

შესაძლებელია სხვა მაპროფილებელი ჯგუფების მქონე მუზეუმების ექსპოზიციების მსგავსი სახით ორგანიზება. ამ მეთოდს ფართოდ იყენებს მადამ ტიუსოს მუზეუმი. ექსპოზიციებში ერთმანეთს ერწყმის სხვადასხვა ეპოქის გმირები. ამ მუზეუმს კვალდაკვალ მიჰყვება მისი ანალოგი, მაგალითად, ცვილის ფიგურების მუზეუმი, კუნსტკამერები (სანკტ-პეტერბურგი, რუსეთი), რომელიც იყენებს ინსტალაციას, როგორც ექსპოზიციის ორგანიზების მეთოდს. მაგალითად, ივანე მრისხანეს და სტალინს ერთ მაგიდასთან სვამენ ჭადრაკის სათამაშოდ, მალიუტა სკურატოვი, ნაჯახით ხელში, პუშკინს თავს ჭრის, რაც ქმნის ტირანიის და მისი მიმდევრების სახეს, რომელიც ერთნაირად საშინელია ყველა დროში და ა.შ.

ეს მეთოდი, რა თქმა უნდა, არ გვაძლევს საშუალებას დავიცვათ სამეცნიერო ხასიათი ექსპოზიციებში, მაგრამ ასეთი გამოფენების უცვლელი წარმატება საშუალებას გვაძლევს ვაღიაროთ, რომ მათ აქვთ არსებობის უფლება და იგი დამთვალიერებელთა მიერ მოთხოვნადია.

ახალი მეთოდების შექმნა მოითხოვს კორექტირების შეტანას მუზეუმის კონცეფციის გაგებაში, რომელიც შეიძლება იყოს რომელიმე მაპროფილებელი დისციპლინისა და მეცნიერების სფეროს მიღმა საერთოდ.

თანამედროვე მუზეუმებში არის ვირტუალური ექსპოზიციები. ესაა სამუზეუმო საგნების კომპიუტერული ჩვენება. მაგალთად, ისტორიის მუზეუმში შეიძლება წარმოდგენილი იყოს პროექტი „ისტორიის კალენდარი“. პროექტი საშუალებას იძლევა ექსპოზიცია ყოველდღიურად შევცვალათ, გავაერთიანოთ რეალური და ვირტუალური ექსპოზიცია, გავზარდოთ მუზეუმის ექსპოზიციური შესაძლებლობები კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით, წარვადგინოთ საგნები მნახველებისთვის, რომელთა ჩვენება ღია სივრცეში არ ხდება სხვადასხვა მიზეზის გამო.

ექსპოზიციის შექმნის მეთოდიკა თანამედროვე მუზეოლოგიის დინამიურად განვითარებადი ნაწილია. ამიტომ მისი შეზღუდვა ჩამოთვლილი ტრადიციული ოთხი მეთოდით (სისტემური, ლანდშაფტური, ერთიანი, თემატური) არ არის სწორი, რადგან ეს ხელს გვიშლის აღვიქვათ მუზეუმი, როგორც სოციალური ინსტიტუტი, რომელიც მგრძნობიარეა საზოგადოების მოთხოვნისა და განწყობის მიმართ.

5.2.3. სამეცნიერო-დამხმარე საშუალებები ექსპოზიციაში. ექსპოზიციური აღჭურვილობა

ნებისმიერ ექსპოზიციას სჭირდება თანმხლები მისი არსის მნახველისთვის ასახსნელად. ის ექსპოზიციებიც კი, რომლებიც თანამედროვე მეთოდების გამოყენებით არიან შექმნილი (ესთეტიური ექსპოზიციები, ინსტალაცია), გათვლილია მინიმალურ ჩარევაზე „მნახველი – სამუზეუმო საგანი“ ურთიერთობის პროცესში, ითვალისწინებენ ტექსტების-განმარტებების არსებობას (მითითებულია, თუ რა საგანია ეს, შექმნის დრო და ადგილი, ავტორი და ა.შ.). თანამედროვე ექსპოზიციებს (სისტემური, ლანდშაფტური, ერთიანი, თემატური) თან ახლავს სამეცნიერო-დამხმარე მასალა (რეპროდუქცია და ასლები, რუქები, სქემები, დიაგრამები და ა.შ. – რაც განეკუთვნება სამეცნიერო-დამხმარე მასალას), ტექსტები, ეტიკეტები.

ტექსტები ექსპოზიციაში, რომლებიც მოფიქრებულია როგორც სათაურების მთლიანი და სისტემურად ორგანიზებული ერთიანობა ექსპოზიციის ნაწილებთან და თემებთან, ანოტაციებთან, ეტიკეტებთან, მანიშნებლებთან და სხვა, ანუ ყველა წარწერასთან, რომელიც გამოიყენება ექსპოზიციაში, არ არის ექსპონატები, არამედ ისინი ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს. ტექსტები ახასიათებენ ექსპოზიციის სამეცნიერო დონეს (რაც უფრო მეტია ტექსტი, მით მეტი ინფორმაცია, მაპროფილებელი დისციპლინის ჩარჩოებში, მიეწოდება მნახველს). ტექსტები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, თუ დამთვალიერებელი მარტოა და დამოუკიდებლად ეცნობა ექსპოზიციას. ტექსტების გამოსაყენებლად მნიშვნელოვანი მოთხოვნაა არ დაუშვას ობიექტურობის ჩანაცვლება სიტყვიერი კომენტირებით.

ტექსტები ექსპოზიციაში იყოფა შემდეგნაირად:

- სასათაურო
- წამყვანი
- განმარტებითი
- ეტიკეტაჟი
- მაჩვენებელი.

სასათაურო ტექსტი ეხმარება მნახველს გაეცნოს ექსპოზიციას (შეიცავს დარბაზების დასახელებას, თემატურ დანაყოფებს, ექსპოზიციურ კომპლექსებს).

წამყვანი ტექსტი გამოხატავს ექსპოზიციის ცალკეული ნაწილების, თემების, დარბაზების, კომპლექსების ძირითად იდეას მთლიანობაში. სინამდვილეში, გვახსენებს მხატვრული ნაწარმოებების ეპიგრაფს.

განმარტებითი ტექსტი არის დარბაზისთვის, თემისთვის, კომპლექსისთვის ან ცალკეული ექსპონატისთვის განკუთვნილი ანოტაცია. განმარტებითი ტექსტები გვაწვდიან იმ ინფორმაციას, რომელიც ექსპონატის მნახველის აღქმის საზღვრებს სცდება.

ეტიკეტი – ეს არის ცალკეული საგნის ტექსტი-ანოტაცია, რომელიც საგნის შესახებ თვისებრივ მონაცემებს შეიცავს: დასახელება, ავტორი ან წარმომავლობა, მასალა, ზომა, დამზადების მეთოდი და დრო, აქვს თუ არა საგანს მემორიალური მნიშვნელობა, ცნობა იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი საგანი დედანია ან ასლი. თუ ექსპოზიციაში წარმოდგენილია უმეტესად დედნები, ხოლო ასლების რაოდენობა არც თუ ისე დიდია, დედნების ეტიკეტზე შეიძლება არც მივუთითოთ სტატუსი. სტატუსი ავღნიშნოთ მხოლოდ ასლებზე და პირიქით, თუ ექსპოზიცია შედგება უმეტესად ასლებისგან (მაგალითად, ანაბეჭდების მუზეუმებში და ა.შ.), მაშინ შეიძლება განსაკუთრებულად ავღნიშნოთ ეტიკეტებზე მხოლოდ დედნის სტატუსი, ხოლო ასლი, არ ავღნიშნოთ. ყველა ეტიკეტი ასახავს ეტიკეტაჟს, ყველა ეტიკეტის ერთიანობას ექსპოზიციაში.

მაჩვენებელი ესაა ტექსტები, რომელიც საშუალებას გვაძლევს ორიენტირება მოვახდინოთ სამუზეუმო დაწესებულებებში, დამოუკიდებლად მოვახდინოთ ორიენტირება ექსპოზიციებში (დარბაზების, კომპლექსების თანამიმდევრობა და ა.შ.). მაჩვენებელი შეიძლება განთავსდეს კედლებზე, სპეციალურ სტენდებზე და ა.შ., ანუ თვითონ სამუზეუმო შენობაში. მაჩვენებლის როლი შეიძლება გასწიოს სქემებმა, გეგმებმა, დაწესებულების გზამკვლევმა.

ტექსტების განლაგება ადამიანის აღქმის გათვალისწინებით უნდა მოხდეს. ტექსტები, განსაკუთრებით სასათაურო და დამხმარე, უნდა წაიკითხოს რამდენიმე მნახველმა და კარგად უნდა იყოს გაშუქებული (გაშუქებამ მათი ყურადღება უნდა მიიპყროს). სიტყვებმა, რომელიც ერთ აზრობრივ ბლოკში შედიან, არ უნდა გაიცვითოს მწკრივის სქემაში, რადგან ეს ტექსტის აზრის აღქმას გაართულებს. შრიფტის კომპოზიცია უშვებს სტილიზაციას, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, წარწერები უნდა აღვიქვათ როგორც მთლიანი ერთობა და შრიფტის მხატვრულმა გადაწყვეტამ არ უნდა გაართულოს მრავალფეროვანი, რთული მონახაზების კითხვა

და ა.შ. სასათაურო და წამყვანი ტექსტები მნახველების თვალთახედვის ზემოთ უნდა ავიტანოთ. მათ თვალთახედვის დონის მაღლა ანთავსებენ. განმარტებით ტექსტებს, ანოტაციებს, ეტიკეტებს, მაჩვენებლებს განათავსებენ თვალთახედვის დონეზე, ცოტათი მაღლა ან დაბლა. წარწერები, რომლებიც თვალთახედვის მაღლა ან დაბლა არიან განთავსებულნი, ყველაზე ჭკვიანურია განვათავსოთ დახრილ სიბრტყეზე, რომელიც თვალთახედვის ხაზის პერპენდიკულარულია, რაც მათ აღქმას აიოლებს.

ექსპოზიციის ტექსტები შეიძლება შეიცვალოს ტექნიკური საშუალებებით და ინფორმაცია (ვერბალური, ბგერითი, აუდიოვიზუალური) გადაიცეს სპეციალური აპარატურით. ვიზუალურ საშუალებებს მიაკუთვნებენ ელექტროფიცირებულ ბარათებს, სინათლის მონიტორებს, განათებული მაჩვენებლები და ეტიკეტები, სხვადასხვა ფერის ინდიკატორი, რომლებიც მნახველების ყურადღების მისაპყრობადაა განთავსებული გარკვეულ ადგილებზე ექსპოზიციებში.

ხმის შუამავლები ორ ჯგუფად იყოფა:

- პირველი, რომელთა დანიშნულებაც არის ექსპოზიციის კომენტირება (ფონოკომენტირება – ექსკურსიის აუდიოკასეტაზე ჩაწერა, რომელიც პროფესიონალ ექსკურსიამძღოლს ცვლის; ბუნების ხმაური – ცხოველების, ფრინველების ხმა, ჩანჩქერის ხმაური და ა.შ.).
- მეორე, ექსპოზიციის დანამატია და ზოგჯერ „სამუზეუმო საგნის“ როლსაც ასრულებს (ცნობილი მომღერლის ხმის ჩართვა მის მემორიალურ მუზეუმში, მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ჩაწერა, რომელიც ექსპოზიციაშია შეტანილი და ა.შ.).

აუდიოვიზუალური საშუალებები ერთდროულად მოქმედებენ მხედველობასა და სმენაზე. მათ მიაკუთვნებენ სლაიდფილმებს (სლაიდების სერია, რომლებიც დემონსტრაციისათვის არის გახმოვანებული), სლაიდპროგრამებს (სლაიდების თემატური ჩვენება), პოლიეკრანებს (პროექტორების მეშვეობით გამოსახულების რამდენიმე ეკრანზე ერთდროულად საჩვენებელი მოწყობილობა), პოლიფილმებს, კინოფილმებსა და ვიდეოფილმებს.

მუზეუმებში გამოიყენება ავტომატური ცნობათა დანადგარები (ინფორმატორები), რომელიც გვაწვდის ინფორმაციას მუზეუმის მუშაობის წესრიგზე, გამოფენების, ექსპოზიციების, საფონდო კოლექციების მომზადებასა და ჩატარებაზე, მაღაზიების, სასადილოებისა და ბუფეტების არსებობასა და განთავსებაზე და ა.შ. ასე-

თი წყობის სახე სხვადასხვაგვარია: ხმის ავტომოპასუხეები, მექანიკური ცნობარები (გამოსცემენ ტექსტებს, რომლებიც დატანილია დაფაზე), აუდიოვიზუალური და ვიზუალური მოპასუხეები.

სათამაშოებისა და თოჯინების მუზეუმი. ფუკუამა. იაპონია

თანამედროვე ეტაპზე ვიზუალური და აუდიოვიზუალური ტექნიკური საშუალებები შეიძლება შეადგენდნენ ექსპოზიციური აღჭურვილობის ნაწილს. ექსპოზიციური აღჭურვილობა, ესაა ელემენტებისა და მოწყობილობების კომპლექსი, რომლებიც ექსპოზიციის კონსტრუქციულ-სივრცით ორგანიზაციას ახორციელებენ, რომლებიც ექსპოზიციური სივრცის ნებისმიერ წერტილში ასრულებენ გარკვეულ მხატვრულ და სიმბოლურ ფუნქციებს.

ექსპოზიციურმა აღჭურვილობამ განვითარების გრძელი გზა განვლო. თავდაპირველად იგი ასახავდა ეპოქის მოთხოვნებს და მისი დამზადების პრინციპი მცირედით განსხვავდებოდა ნებისმიერი სხვა ავეჯის დამზადების პრინციპებისაგან (ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია დახურული ტიპის კერძო მუზეუმებისათვის, რომლებიც, არც თუ იშვიათად, ურევენ ერთმანეთში პალატებსა და მუზეუმებს). მხოლოდ XX საუკუნის პირველ მეოთხედში იქმნება წარმოდგენა იმის შესახებ, რომ აღჭურვილობამ არ უნდა შეაფერხოს ექსპოზიციის აღქმა, არამედ მას „უხდება“ ფორმების სიმარტივე, ფუნქციონალურობა.

ექსპოზიციური აღჭურვილობა იყოფა უნიკალურ – გარკვეული კოლექციის ჩვენებისათვის შექმნილი, და უნივერსალურ ნაწილებად – უნიფიცირებული, მოქნილი სისტემები, რომლებიც შეიძ-

ლება გამოვიყენოთ ნებისმიერ მუზეუმში ან გავაგრძელოთ მისი გამოყენება რექსპოზიციის შემდეგ.

ფირმა „Reier"-ის საექსპოზიციო მოწყობილობა. ვიტრინა. გფრ

ფირმა „Reier"-ის საექსპოზიციო მოწყობილობა. სტენდი. ფრ

ინდივიდუალური აღჭურვილობა შეიძლება გამოვსახოთ გარკვეულ ეპოქაში, რომ მივცეთ დასრულებული სახე სამუზეუმო ექსპოზიციას.

თანამედროვე აღჭურვილობის სახეებს მიაკუთვნებენ:

- სტენდებს – ვერტიკალური ბრტყელი საფარი (მათ შორის პნევმოაღჭურვილობაც – გასაბერი სტენდები, კონტეინერული სტენდები – რომლებიც გამოიყენება როგორც გადასაზიდად, ასევე ექსპონირებისათვის). სტენდებს მიაკუთვნებენ ტურნიკეტებსაც – ღერძებზე სახსრებით მიმაგრებული მაგარი ბრტყელი ზედაპირი, რომელიც წიგნს გავს.
- ვიტრინებს – აღჭურვილობა საგნების სივრცითი ექსპონირებისათვის. თანამედროვე ვიტრინები არა მარტო იცავენ საგნებს მტვრისა და მნახველის ხელის არასასურველი კონტაქტისაგან, არამედ შეუძლიათ შექმნან იდეალური რეჟიმი მათ შესანახად (მაგალითად, ვაკუუმის ვიტრინები, რომლებიც ლუვრში გამოიყენება).

ფირმა „Reier"-ის საექსპოზიციო მოწყობილობა. ვიტრინა. გფრ

- პოდიუმები – ამაღლებული ადგილი ექსპოზიციისათვის.
- უნივერსალური მოდულის სისტემები (კარკასული, არაკარკასული, კომბინირებული, ჩარჩოს, სივრცითი-ღერძული, კულისის).

ფირმა „Reier“-ის საექსპოზიციო მოწყობილობა. პოდიუმი. გფრ

ერთიან ექსპოზიციებში გამოიყენება მანეკენები. XX საუკუნის 60-80-იან წლებში ექსპოზიციები მანეკენებით კრიტიკას იმსახურებდა ზედმეტი „ნატურალიზმის“ გამო, მაგრამ ბოლო ათწლეულში მანეკენების გამოყენება კვლავ დაუბრუნდა მუზეოლოგიის პრაქტიკას.

ფირმა „Reier“-ის საექსპოზიციო მოწყობილობა. ვიტრინა. გფრ

საკითხი: რომელი აღჭურვილობაა საჭირო, უნდა იყოს თუ არა იგი უნივერსალური თუ აუცილებელია ინდივიდუალური აღჭურვილობის შეკვეთა? – წყდება ექსპოზიციის სამხატვრო დაპრო-

ექტების პროცესში. ეს ასევე დამოკიდებულია მუზეუმის მატერიალურ შესაძლებლობებზე, ფირმების არსებობაზე, რომელიც სპეციალიზდება სამუზეუმო აღჭურვილობის დამზადებაზე და შეუძლია შეკვეთის შესრულება მუზეუმის თანამშრომლების მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ფირმა „Reier"-ის საექსპოზიციო მოწყობილობა. ორმხრივი სტენდი. გფრ

5.2.4. სამუზეუმო ექსპოზიციების სამეცნიერო დაპროექტება

მუზეოლოგიაში ექსპოზიციის დაპროექტება ჩნდება XVII-XVIII საუკუნეებში. დიდი ხნის განმავლობაში სამუშაო ძირითადად გულისხმობდა სამეცნიერო დაკომპლექტებას. XVIII საუკუნეში, როცა მუზეოლოგიის პრაქტიკაში ინერგება ლანდშაფტური და ერთიანი მეთოდები, ყალიბდება სამხატვრო დაპროექტებაც. მოგვიანებით, XX საუკუნის 60-70-იან წლებში ექსპოზიციური სამუშაო სამუზეუმო მუშაობის განსაკუთრებული მიმართულება გახდა. ამასთანავე, ჩამოყალიბდა შესაბამისი სამუზეუმო პროფესიები. დაპროექტებაში არც თუ ისე პატარა როლი ითამაშა ისეთი პროფესიის გამოჩენამ, როგორიცაა დიზაინერის პროფესია.

ექსპოზიციის პროექტირება იწყება სამეცნიერო პროექტის

შექმნით. სამეცნიერო დაპროექტება გულისხმობს მოსამზადებელ ეტაპს:

- თემაზე სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება
- საარქივო მასალების შეგროვება
- სამუზეუმო კოლექციის ანალიზი ექსპოზიციისათვის შესარჩევ საგანზე (მთლიანი კოლექციის ან ცალკეული საგნის)
- სავარაუდო ექსპონატების კარტოთეკების შედგენა.

მოსამზადებელი ეტაპის შედეგების საფუძველზე იქმნება ექსპოზიციის კონცეფცია. მუზეოლოგიაში მას უწოდებენ სამეცნიერო (საერთო) კონცეფციას. თუმცა ახლა ჩნდება ექსპოზიციები, რომლებიც დაფუძნებულია სხვა, არასამეცნიერო პრინციპებზე. აქედან გვაქვს ტერმინის „სამეცნიერო კონცეფცია“ შეცვლის შესაძლებლობა „საერთო კონცეფციით“, სადაც სამეცნიერო კონცეფცია ერთ-ერთი ვარიანტი გახდება.

საერთო კონცეფციამ უნდა:

- განსაზღვროს ექსპოზიციის მიზნები და ამოცანები;
- გამოყოს ის პრობლემები, რომელთა ამოხსნაც საშუალებას მოგვცემს ამ მიზნებისა და ამოცანების რეალიზებისა;
- დაახასიათოს ექსპონატები და ექსპოზიციის მასალები და განსაზღვროს მათი მიწოდების შესაძლო მეთოდები’
- განსაზღვროს შემოთავაზებული ექსპოზიციის თავისებურებები წინა ექსპოზიციასთან (თუკი მუზეუმს უკვე ჰქონდა მსგავსი ექსპოზიცია) და (ან) ერთი პროფილის მქონე მუზეუმების ექსპოზიციებთან ან კომპლექსური მუზეუმების დანაყოფებთან შედარებით.

სამეცნიერო კონცეფციის ჩამოყალიბების სტადიაზე სამუშაოდ მოჰყავთ ის მხატვარი, რომელსაც მუზეუმი ანდობს მომავალი ექსპოზიციის შექმნას (ჩვეულებრივ, იმ შემთხვევაში თუკი მუზეუმში არის ასეთი საშტატო ერთეული ან მხატვარი, რომელთან თანამშრომლობაც გრძელვადიან ხასიათს ატარებს), ან რამდენიმე მხატვარი. თითოეული მათგანი, მომავალი ექსპოზიციისადმი საერთო და სპეციფიური მოთხოვნების გადაწყვეტის, თავის ხედვას წარმოადგენს. ზოგადად, მხატვრის ჩართვა ექსპოზიციურ მუშაობაში შეიძლება მოხდეს სხვადასხვა სტადიაზე, მაგრამ არაუგვიანეს თემატური გეგმის შედგენისა. საერთო (სამეცნიერო) კონცეფცია ფორმდება როგორც ერთიანი დოკუმენტი, რომელშიც ჩართუ-

ლია საერთო ჩანაფიქრის აღწერილობა, ექსპოზიციური დარბაზების გეგმა-ნახაზები ექსპოზიციური კომპლექსების, ცალკეული დიდი ექსპონატების, სამეცნიერო-დამხმარე მასალის (დიორამების მაკეტებისა და ა.შ.) განლაგებისათვის.

საერთო (სამეცნიერო) კონცეფციის შემუშავების შემდეგ გადადიან შემდეგ ეტაპზე (მეორე ეტაპზე, თუკი არ ჩავთვლით მოსამზადებელ ეტაპს) – ფართო თემატური სტრუქტურის დამუშავებაზე. ეს არის დოკუმენტი, რომელიც ამოცანად ისახავს გაყოს მომავალი ექსპოზიცია ცალკეულ ურთიერთდამაკავშირებელ ნაწილებად, გამოყოს საზღვრები, თემები, ექსპოზიციური კომპლექსები. მათში ითვლება სამუზეუმო საგნები და სამეცნიერო-დამხმარე მასალები, გაერთიანებული და ცალკეული ექსპოზიციური კომპლექსები. განისაზღვრება მუზეუმისათვის აუცილებელი და ხელმისაწვდომი ტექნიკური საშუალებები მნახველზე ზემოქმედების მოსახდენად: აუდიო და აუდიოვიზუალური, საჩვენებელი დანადგარები, მოქმედი მოდელები და მაკეტები და ა.შ. პროექტირების ამ ეტაპზე ხდება ექსპოზიციის თემატური გეგმის შედგენა – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სავარაუდო ექსპოზიციის შინაარსსა და თემატურ სტრუქტურას.

სამეცნიერო დაპროექტების მესამე ეტაპზე ხდება თემატურ-ექსპოზიციური გეგმის (თეგ) შემუშავება. ამ დოკუმენტის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ასახოს ექსპოზიციური მასალების კონკრეტული შემადგენლობა მისთვის დამახასიათებელი ყველა სამეცნიერო მახასიათებლით. ადრე შედგენილი გაფართოებული თემატური სტრუქტურიდან გამომდინარე მუზეუმის თანამშრომლები აგროვებენ აუცილებელ მასალებს მუზეუმის ფონდებიდან, მათ აჯგუფებენ ექსპოზიციურ კომპლექსებად. საგნების შერჩევის საერთო მოთხოვნაა მათ ჰქონდეთ უტყუარი მონაცემები.

ამ ეტაპზე წყდება მნიშვნელოვანი საკითხი: საკმარისია თუ არა ის სახსრები, რაც გაგვაჩნია ჩაფიქრებული ექსპოზიციის შესაქმნელად, თუ საჭიროა ფონდების დამატებით დაკომპლექტება მომავალი ექსპოზიციის აუცილებელი ექსპოზიციური მასალებით უზრუნველსაყოფად? მზადდება დოკუმენტაცია რეპროდუქციის, ასლებისა და სხვა სამეცნიერო-დამხმარე მასალების შესაქმნელად, იმ შემთხვევებში, როცა დედნები სხვა მუზეუმებს ეკუთვნის ან დედნების ჩვენება შეუძლებელია შენახვის რეჟიმისა და შენახვის სისტემის აუცილებელი პარამეტრების რეალიზაციასთან დაკავში-

რებული მიზეზების გამო. დედნების ექსპოზიციაში ჩვენებისათვის მომზადების პროცესში აუცილებლად გადიან კონსულტაციას რესტავრატორთან და, თუკი აუცილებელია, ტარდება რესტავრაციული და კონსერვაციული სამუშაოები.

თემატურ-ექსპოზიციური გეგმა (თეგ) იგება საერთო სქემით, მაგრამ მუზეუმს შეუძლია ჰქონდეს თავისი თავისებურებები ამ სქემის რეალიზაციისა. თემატურ-ექსპოზიციური გეგმა (თეგ), როგორც წესი, ფორმდება ცხრილების სახით, სადაც შეაქვთ შემდეგი ინფორმაცია:

- განყოფილებების, თემების, თემატური კომპლექსების დასახელება;
- სასათაურო ტექსტები, წამყვანი ტექსტები (თუკი ეს ციტატებია, მაშინ გამოცემის მითითებაა საჭირო, საიდან არის აღებული) და ანოტაციები;
- ექსპონატების სია ექსპოზიციურ კომპლექსებში, თითოეულზე ატრიბუტული ცნობით, მათ შორის, შენახვის ადგილის, შიფრებისა და ზომების მითითებით და ა.შ.;
- მონაცემები სამეცნიერო-დამხმარე მასალების ხასიათზე (ასლებზე და ა.შ.) მათი ზომების მითითებით (ასლისათვის დამატებით აუცილებელია დედნის შენახვის ადგილის მითითება და მისი შენახვის ადგილის შიფრი).

თემატურ-ექსპოზიციურ გეგმას (თეგ) დაურთავენ ეტიკეტაჟის პროექტებს (ასევე ტექსტები მათი ექსპოზიციაში გავრცელების ადგილების მითითებით), დოკუმენტაცია რეკონსტრუქციის შესაქმნელად, სამეცნიერო-დამხმარე მასალების დამუშავება, მითითებები სამხატვრო დაპროექტებისათვის (რომელი ექსპონატი უნდა გამოვიტანოთ პირველ ან მეორე პლანზე), სამხატვრო გაფორმების ხერხები და ა.შ.

თემატურ-ექსპოზიციური გეგმა (თეგ) მოიცავს ცნობებს აუცილებელ ზომებზე ექსპონატების შენახვის უზრუნველსაყოფად.

თემატურ-ექსპოზიციური გეგმის (თეგ) დამუშავება – სამეცნიერო დაპროექტების ბოლო ეტაპია. საზღვარგარეთის მუზეოლოგიაში და საქართველოს ზოგიერთ მუზეუმში დაინერგა პრაქტიკა, თემატურ-ექსპოზიციურ გეგმას (თეგ) ახლდეს „სცენარი“ „პროექტით“, ანუ მომავალი ექსპოზიციის ლიტერატურული აღწერილობით და მისი შესაძლო ზემოქმედებით მნახველზე.

სცენარები, ეყრდნობიან რა მუზეუმის სპეციფიკას, „ცდილო-

ბენ შექმნან“ ისეთი შინაარსის გარემო, რომ გავლენა მოახდინონ დამთვალიერებლის ემოციურ აღქმაზე, როგორც მთლიანად ექსპოზიციის, ასევე მისი ცალკეული ნაწილების დათვალიერების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ მუზეოლოგიის პრაქტიკაში სცენარები გამოიყენება უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, მუზეოლოგთა შორის ერთიანი აზრი მაინც ვერ ჩამოყალიბდა: არსებობენ მისი შედგენის როგორც მომხრეები, ასევე ისინი, ვისაც „სცენარები“ მიუღებლად მიაჩნია.

5.2.5. სამუზეუმო ექსპოზიციის სამხატვრო დაპროექტება

სამეცნიერო დაპროექტების დასრულების შემდეგ და მის პროცესში შექმნილი დოკუმენტების საფუძველზე შემუშავდება სამხატვრო კონცეფცია – ექსპოზიციის არქიტექტურულ-სამხატვრო გადაწყვეტის გენერალური პროექტი.

მასში აისახება ექსპოზიციის სამხატვრო-სახეობრივი, ექსპოზიციური დარბაზების ინტერიერების წყობა; გადაწყვეტილების სტილისტური პრინციპები; სივრცით-კომპოზიციური, კოლორიტული და ა.შ. მხატვრულ-გაფორმებითი გადაწყვეტილება კომპოზიციის ყველა ელემენტისათვის, მათ შორის, წარმოდგენა აუცილებელ ექსპოზიციურ აღჭურვილობაზე და ტექნიკურ საშუალებებზე.

გენერალური პროექტი მოიცავს მუზეუმის ინტერიერის გაფორმების რეკომენდაციებს. რეკრეაციული ზონების გამოყოფასა და გაფორმებას, დასვენების ადგილების, სამუზეუმო უბნის დაგეგმარებას, მათზე დიდგაბარიტებიანი საგნების შესაძლო განთავსებას (თუკი ამას უშვებს შენახვის რეჟიმი და შენახვის სისტემა). გენერალური პროექტი ასახავს მოსახერხებელ მარშრუტს, დარბაზებისა და მთლიანობაში მუზეუმის დატვირთვის საზღვრებს.

გენერალური პროექტის, ასევე თემატურ-ექსპოზიციური გეგმის (თუკი არის, მაშინ სცენარებისაც) საფუძველზე, იქმნება ესკიზური პროექტი, რომელიც დეტალურად ასახავს სამხატვრო კონცეფციას. მასში საბოლოოდ ნაწილდება ექსპოზიციური დარბაზები განყოფილებების განსათავსებლად, ექსპოზიციური მასალების თემები და ქვეთემები, ხდება მოცულობითი, სივრცული, ნათელი და ფერადი გადაწყვეტის შერჩევა (დარბაზების განათება, ექსპოზიციები, აღჭურვილობის კონსტრუქციის და დეკორის მოცულობითი ელემენტების შერჩევა), განისაზღვრება ადგილები ექსპოზიციური აღჭურვილობისთვის და ტექნიკური საშუალებებისთვის.

ექსპოზიციის ფრაგმენტი. ფირმა „Reier"-ის საექსპოზიციო მოწყობილობა. სტენდი. გფრ

ექსპოზიციის პროექტის საბოლოოდ გასაფორმებლად, მისი ხარისხისა და რეალისტურობის შესამოწმებლად, ხდება მომავალი ექსპოზიციის წინასწარი განლაგება დარბაზებში. ექსპონატები, განსაკუთრებით დიდი ზომის ექსპოზოციური კომპლექსები, შეიძლება მათი „მაკეტებით" შევცვალოთ. განლაგება საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ ექსპოზიციური მასალების შემადგენლობა, ავლენს მათ ურთიერთკავშირებს, ვიზუალურ თავსებადობას,

საშუალებას გვაძლევს შევარჩიოთ სამუზეუმო სახეების ოპტიმალური ვარიანტები.

თანამედროვე კომპიუტერული პროგრამები დაწესებულების დიზაინისათვის საშუალებას გვაძლევს სამუშაოს ეს ეტაპი ვირტუალურ სივრცეში განვახორციელოთ: პროგრამაში შეჰყავთ მომავალი დარბაზის პარამეტრები და იგი ქმნის დარბაზის სამგანზომილებიან მოდელს; ამ ვირტუალურ სივრცეში „იშლება“ და „ლაგდება“ ექსპონატების ვირტუალური მოდელები.

ასეთი ხერხი საშუალებას გვაძლევს მომავალი ექსპოზიციის ექსპონატებისა და კომპლექსების განლაგების სხვადასხვა ვარიანტი მოვსინჯოთ. პროექტმა აღქმის ფსიქოლოგიური თავისებურებებიც უნდა გაითვალისწინოს: მხედველობის დონე და მისი თანაფარდობა ექსპოზიციური სარტყლის სიმაღლესთან, ვერტიკალური და ჰორიზონტალური ზედაპირების დახრის კუთხე მხედველობის ხაზთან, საგნების რაოდენობა, რომლებიც ერთდროულად აღიქმება, ინფორმაციის მოცულობა, რომელსაც ადამიანი ითვისებს ექსკურსიის დროს, ფერისა და სინათლის დონე ცალკეული ექსპონატისადმი მნახველის ყურადღების მისაპყრობად, დაღლილობის ან ემოციური გადატვირთვის მოხსნა.

განლაგების შედეგები და გენერალური პროექტი საფუძველია მომავალი ექსპოზიციის მასშტაბში შესრულებული მოცულობითი მაკეტის შესაქმნელად. მაკეტი უფრო ჩანს, ხოლო მისი წაკითხვა (ნახაზებისგან განსხვავებით), არ მოითხოვს სპეციალურ ჩვევებს. ესკიზურ პროექტს განეკუთვნება ცალკეული დარბაზების გაფორმებისა და ექსპოზიციური კომპლექსების, შრიფტების ნიმუშები.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს შუქისა და ფერის გამოყენებას მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი ექსპონატების გამოსაყოფად. ასეთი ექსპონატები გამოირჩევა მიმართული (ადგილობრივი) განათებით ან ფერადი განათებით. თუკი სინათლის მუდმივი ზემოქმედება არასასურველია, შეიძლება გამოვიყენით „მოლიცლიცე“ სინათლის ეფექტი ადგილობრივ განათებაში (მთელი ექსპოზიციის თანაბარი განათება ცალკეული ზონების ფერით გამოყოფით): ექსკურსიის გადაადგილების მიხედვით ინთება სინათლე თითოეულ მომდევნო კომპლექსზე. სწორედ ეს აფიქსირებს მნახველის ყურადღებას და ამცირებს ინტენსიური სინათლის უარყოფით ზემოქმედებას ექსპონატებზე.

მაგალითად, წითელი ფერი ყოველთვის აღაგზნებს. შემთხვე-

ვითი არაა, რომ საბჭოთა პერიოდის ყველა ექსპოზიცია უხვად იყო ამ ფერით დატვირთული: ამ ფერის სიუხვიდან გამომდინარე ემოციური დაძაბულობა ხელს უწყობდა ექსპოზიციის ინფორმაციის გადატანას, რომელიც ექსკურსიამძღოლის მიერ იყო გახმოვანებული. ამავე დროს, ასეთი ექსპოზიცია სწრაფად ღლის დამთვალიერებელს.

ამშვიდებს (ინტრაოკულარული წნევის დაწევასაც კი უწყობს ხელს) მწვანე ფერი. რუხი ფერები ხშირად მოქმედებენ დამამძიმებლად, შეუძლიათ დაღლილობა გამოიწვიონ.

აღქმის ამ თავისებურებებმა შეიძლება გავლენა იქონიოს ფერის აღქმაზე და ესთეტიურ ასპექტზე: ლამაზია, თუ არაა ლამაზი.

არსებობს ასაკობრივი ფერის უპირატესობა: ბავშვებს უყვართ უფრო გაჯერებული, ნათელი ფერები, უფროსებს – უფრო მოკრძალებული.

არსებობს ფერის აღქმის თავისებურებები სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლების მიერ: თეთრი ფერი, რომელიც ევროპულ კულტურაში აღიქმება ახალგაზრდობის, სისუფთავის და უბიწოების ფერად. ბევრი კულტურისათვის (მაგალითად, ინდოეთის კულტურისათვის), კი თეთრი მწუხარების ფერია.

ფერის აღქმის ყველა ასპექტი გათვალისწინებული უნდა იქნას გადაწყვეტილების მიღებისას. მთავარი ექსპონატები შეიძლება გამოვყოთ ფონის კონტრასტული ფერის გამოყენებით, ექსპოზიციის საერთო ფერი შეიძლება ჰარმონიულად შეერწყას ფერის ბალანსირებას.

მხატვარმა უნდა შეძლოს ექსპონატების სრულყოფილი გაცნობა, განსაკუთრებით, სამუზეუმო საგნები: სამარკო ნიშნები, საავტორო ნიშნები, სავაჭრო ნიშნები (მასობრივი წარმოების საგნებისთვის), ჰერალდიკური ნიშნები და ა.შ. ამისათვის შეიძლება დავაყენოთ გამადიდებელი შუშები, რომელიც საგნის ფრაგმენტს გამოყოფს, ექსპონატი შეიძლება დავაყენოთ მბრუნავ საყრდენზე, რომელიც უზრუნველყოფს მის დათვალიერებას ყველა მხრიდან, ბრტყელი საგნების უკანა მხარის საჩვენებლად გამოიყენება სამუზეუმო ექსპოზიციური აღჭურვილობის სარკისებური ზედაპირი და ა.შ.

ესკიზური პროექტის დამუშავების შემდეგ იქმნება სამხატვრო-სააღსრულებო სამუშაოების ძირითადი სახეები: ქმნილებების სხვადასხვა სახეები, ზოლის შემოვლება და ჩარჩოში ჩასმა, სამეცნიერო-დამხმარე მასალების, ფოტომასალების გაფორმება, შრიფ-

ტული ნამუშევრები. ამ სტადიაზე მნიშვნელოვანია გავაკონტროლოთ აღჭურვილობის დამზადება მის საპროექტო გადაწყვეტილებასთან შეთანხმებით.

ესკიზური პროექტის და სამხატვრო-საშემსრულებლო ნამუშევრების შეჯამების საფუძველზე ქმნიან მონტაჟის სქემას – ექსპოზიციური ზედაპირის მონაკვეთების ნახაზებს, რომლებზეც მითითებულია კონკრეტული მასალების განლაგება (შეიძლება იყოს მასშტაბურიც (1:10) – საკუთრივ მონტაჟის სქემა ნატურალურ სიდიდეში (1:1) – მოდელები). ამ სტადიაზე ხდება ტექნიკური ამოცანების შესრულება: წინადადებები გათბობის სისტემების საინჟინრო და დიზაინერულ გადაწყვეტაზე, კონდიცირებაზე, დაცვისა და სახანძრო უსაფრთხოების სიგნალიზაციებზე, საკომუნიკაციო ხაზებზე და ა.შ.

პროექტის დოკუმენტები განიხილება მუზეუმის თანამშრომლების მიერ მაპროფილებელი დისციპლინების სპეციალისტების, მუზეუმის მხატვრების და მუზეუმის მოხალისეების მონაწილეობით (სამეურვეო საბჭოების, აქტიური დონორებისა და ფონდის დამაარსებლების მოზიდვით და ა.შ.).

ყველა დოკუმენტი, რომელიც ექსპოზიციის შექმნასთანაა დაკავშირებული, ინახება მუზეუმის სამეცნიერო არქივში.

ყველა აუცილებელი აღჭურვილობისა და სამეცნიერო-დამხმარე მასალის დამზადების შემდეგ კეთდება ექსპოზიციის შესაძლო წარმატებული მონტაჟი – აღჭურვილობის აწყობა, ტექნიკური საშუალებების დამონტაჟება, ექსპოზიციური მასალების განლაგება ადრე მიღებული პროექტის მიხედვით. მონტაჟს ახორციელებს მუზეუმის ეკონომიკური და ტექნიკური სამსახური – მემონტაჟეები (სპეციალური მომზადებით) ექსპოზიციონერებისა და სამხატვრო პროექტის ავტორების მონაწილეობით.

ექსპოზიციის მონტაჟთან ერთად მიმდინარეობს მზადება მის საჩვენებლად. მზადდება ახალი ექსპოზიციის აუცილებელი რეკლამა. ეს წარმატებული სვლაა, თუკი ექსპოზიციის პირველი ჩვენების დროს მუზეუმს ექნება გზამკვლევი (ან ფლაერი/ბუკლეტი მაინც) მნახველისათვის. ეს საშუალებას აძლევს მნახველს თან წაიღოს ინფორმაცია გამოფენაზე, გაიაზროს იგი მუზეუმში სტუმრობის შემდეგ, ინფორმაცია მიაწოდოს სხვებს გამოფენის შესახებ (პოტენციურ მნახველებს).

ექსპოზიციის გახსნის დროს პუბლიკისათვის შედგენილ უნ-

და იქნას და მომზადდეს ექსკურსიები მნახველების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის. მომავალი ექსკურსიის საფუძველი შეიძლება გახდეს „ლიბრეტო“, რომელიც შეიქმნა სამეცნირო დაპროექტების დროს.

ექსპოზიციაზე მუშაობის დასრულების შემდეგ ეწყობა მისი საზეიმო გახსნა და ჩვენება – ვერნისაჟი.

5.2.6. ექსპოზიციის მოწყობის ეტაპები

რომ შევაჯამოთ საექსპოზიციო მუშაობა მუზეუმში, აუცილებელია ვიცოდეთ ის ეტაპები, რომლებიც ექსპოზიციის მომზადებასთან არის დაკავშირებული.

ექსპოზიციის მოწყობა მოიცავს რამდენიმე ეტაპს, რომელთა განმავლობაში სრულდება შემდეგი კონკრეტული ამოცანები:

I ეტაპი: მოსამზადებელი სამუშაო

ექსპოზიციის თემა შერჩეულია და ამ ეტაპზე განიხილება მთლიანად იდეა. შეისწავლება დამთვალიერებელი, რომლისთვისაც ეწყობა ექსპოზიცია, და მისი მოზიდვის საშუალებები, დგინდება სასურველი შედეგი და ექსპოზიციის ღირებულება, წინასწარ მოწმდება ექსპოზიციის ჩატარების ადგილი (მისასვლელები, უსაფრთხოება და ა.შ.), ხორციელდება სამუშაოები გამოსაფენი ექსპონატების გამოკვლევასთან, სესხების მოპოვებასთან, ექსპონატების დაცულობის განსაზღვრასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. შეისწავლება აგრეთვე სავარაუდო ბიუჯეტის, დამატებითი სახსრების, შესაძლო სპონსორების, ექსპოზიციის თანმხლები ღონისძიებების, გარეშე პირთა მონაწილეობის, სხვა მუზეუმებთან თანამშრომლობის, არსებული მოწყობილობების შესწავლისა და სხვა საკითხები. ამით სრულდება

ექსპოზიციის საორგანიზაციო გეგმის შედგენა.

II ეტაპი: ექსპოზიციის მომზადება.

გეგმაზე დაყრდნობით მუზეუმი შეუდგება შემდეგი ღონისძიებების გატარებას:

ა) აკონტროლებს ექსპონატებს და მათ მდგომარებას;

ბ) ადგენს ექსპონატების, ნახაზების, ნახატების, ფოტოსურათებისა და სხვ. სიას;

გ) შეისწავლის წყაროებს, არქივებს და ასრულებს ლიტერატურის მოძიებას;

დ) ამოწმებს მთელ საგანმანათლებლო საშუალებებს;

ე) შეისწავლის კლიმატურ პირობებს;

ვ) ადგენს მარშრუტის სქემას დამთვალიერებელთათვის;

ზ) ამოწმებს საზოგადოებისა და ექსპონატების უსაფრთხოებას;

თ) ამზადებს ექსპოზიციის მოწყობის საწყის გეგმას;

ი) ხელახლა აფასებს განრიგებსა და ბიუჯეტებს.

III ეტაპი: საორგანიზაციო გეგმის დასრულება

ა) დგება გამოსაფენი ექსპონატების საბოლოო სია;

ბ) შერჩეულია ყველა ტექსტი და საინფორმაციო მასალა;

გ) გამზადებულია ექსპოზიციის კატალოგი და/ან ალბომი და შერჩეულია პოსტერები, ბროშურები და ა.შ.

დ) ექსპოზიციის საბოლოო საორგანიზაციო გეგმა მოცემულია დეტალებში სართულის გეგმის, სექციების, წინა, უკანა, გვერდითი ხედების, პერსპექტივისა და ა.შ. ჩვენებით, განსაზღვრულია ექსპონატების მოთავსების (დაყენების) საშუალება;

ე) საზღვარგარეთ დაგეგმილი ექსპოზიციებისთვის წარმოებს ექსპონატების შეფუთვისა და ტრანსპორტირების საუკეთესო საშუალებების შესწავლა;

ვ) კონსერვატორ-რესტავრატორის ან კურატორის მიერ მზადდება ანგარიშები ექსპონატების მდგომარეობის შესახებ, საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი განახლება და ტარდება გადაუდებელი სამუშაოები. ექსპონატების იდენტიფიცირება ხდება მათი მდგომარეობის შესახებ ანგარიშების მეშვეობით, რომლებიც მზადდება ექსპოზიციამდე, მისი მსვლელობისას და დახურვის შემდეგ;

ზ) მოწმდება განათება;

თ) სრულდება ექსპონატების მდგომარეობის შესახებ ანგარიშები, საბოლოოდ მზადდება აუდიოვიზუალური მასალები და ა.შ.

ი) იბეჭდება მოსაწვევები და ინიშნება გახსნის დღე;

კ) წარმოებს რეკლამისა და ყველა თანმხლები ღონისძიების ორგანიზება;

ლ) იზღვევა ექსპონატები საზღვარგარეთ მოსაწყობი ექსპოზიციები-სთვის, გულდასმით შეისწავლება დაზღვევის პირობები, ხელი ეწერება კონტრაქტებს და ა.შ.

IV ეტაპი: ეს არის განხორციელების ეტაპი.

ამ დროს სრულდება ექსპოზიციის საორგანიზაციო გეგმა:

ა) სამუშაოს აწარმოებენ სათანადოდ აღჭურვილი სპეციალისტები;

ბ) ექსპონატებს ათავსებენ განსაზღვრულ ადგილებში;

გ) მოწმდება საბოლოო კლიმატური პირობები და ხანძარსაწინააღმდეგო და უსაფრთხოების სისტემები.

დ) აყენებენ ექსპონატებისა და მათი განთავსების ადგილის განათებას;

ე) სრულდება საინფორმაციო ტექსტებისა და/ან თანმხლები მასალის განთავსება;

ვ) მოწმდება ხარჯები;

ზ) ექსპოზიციის გახსნის დღისათვის სამუშაოები დასრულებულია.

V ეტაპი: მუშაობა ექსპოზიციის მსვლელობის პროცესში

ეს ეტაპი უაღრესად მნიშვნელოვანია და მას ხშირად არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება, ვინაიდან მათ, ვისაც ევალება ექსპოზიციის მოწყობა, მიაჩნიათ, რომ გახსნის შემდეგ მათი მოვალეობები დასრულებულია. ექსპოზიციის მსვლელობის პროცესში საჭიროა შემდეგი გარემოებების გათვალისწინება:

ა) მარკეტინგული (საბაზრო) კვლევა-ძიება და დამთვალიერებელთა შთაბეჭდილებებისა და რეაქციის, მათზე ექსპოზიციის გავლენის დაფიქსირება;

ბ) ექსპონატებისა და მათი განთავსების ადგილის კლიმატური პირობების კონტროლი;

გ) ექსპოზიციის ფუნქციური დანიშნულებისა და საზოგადოების მომსახურების ყველა სფეროს შემოწმება;

დ) საბოლოო ანგარიშების მომზადება და გასანაღდებელი ანგარიშფაქტურების გადახდა;

ე) დამატებითი ღონისძიებების ჩატარება ექსპოზიციის მსვლელობისას წარმოქმნილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

ვ) პარალელური ღონისძიებების ჩატარება.

VI ეტაპი: ექსპოზიციის დემონტაჟი

ექსპონატების დემონტაჟი წარმოებს ისევე საგულდაგულოდ და ფრთხილად, როგორც მონტაჟი:

ა) ექსპონატების ტრანსპორტირება ხდება სპეციალურ შეფუთვაში, მოწმდება მათი მდგომარეობის თაობაზე ანგარიშები და ტრანსპორტირების უსაფრთხოება;

ბ) ნათხოვარი ნივთები უბრუნდება პატრონებს და თან ერთვის მადლობის წერილი და მდგომარეობის შესახებ ანგარიში;

გ) მიიღება გადაწყვეტილებები მოწყობილობის (ვიტრინები, ნათურები, ვიდეომოწყობილობა და ა.შ.) შემდგომი გამოყენების თაობზე;

დ) დგება საბოლოო ფინანსური ანგარიში.

VII ეტაპი: ექსპოზიციის შეფასება (დამთვალიერებელთა რეაქცია)

ექსპოზიციაზე მომუშავე ჯგუფმა უნდა მოაწყოს სპეციალური შეხვედრები შემდეგი გარემოებების შესაფასებლად:

ა) მიზნების შესრულება;

ბ) საზოგადოების რეაგირება;

გ) ექსპოზიციის ორგანიზების ხარისხი;

დ) ბიუჯეტი.

ადმინისტრაციის სახელზე დგება დაწვრილებითი ანგარიში იმისათვის, რომ შემდეგი ექსპოზიციის დროს არ განმეორდეს ნაკლოვანებები.

ზოგადი შენიშვნები ექსპოზიციების მოწყობასთან დაკავშირებით

როგორც უკვე ვახსენეთ, ექსპოზიცია წარმოადგენს საზოგადოებისთვის შეთავაზებულ რთულ და თავისებურ ქმნილებას, რომლის დაგეგმვა მოითხოვს პროფესიულ ცოდნას, შემოქმედებით მიდგომას და წარმოსახვის უნარს. ყოველ ცალკეულ ექსპოზიციას ისტორიული მნიშვნელობა აკისრია არა მარტო მუზეუმის პერსონალისთვის ან სამეცნიერო სამყაროსთვის, არამედ მთლიანად საზოგადოებისთვის. სიამოვნების მიღება კომბინირებულია ცოდნის მიღებასთან. ამიტომ ყველა დაგეგმილი ღონისძიება უნდა ითვალისწინებდეს ამ წინაპირობებს. ამასთან დაკავშირებით შევეხებით გარკვეულ საკითხებს.

მუზეუმში შესვლისთანავე საზოგადოებას არ უნდა გაუჭირდეს ორიენტაცია – მარტივი და გასაგები უნდა იყოს შემოთავაზებული საშუალებების არსი და ადვილად მისაწვდომი უნდა იყოს ექსპოზიციის მარშრუტები, კაფე, მაღაზია, ტუალეტები და საინფორმაციო ბიურო.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს თანმხლებ ტექსტებსა და ექსპონატების ქვეშ გაკეთებულ წარწერებს, რომლებიც მოკლე და ადვილად გასაგები უნდა იყოს, არ უნდა შეიცავდეს სპეციალურ ტერმინოლოგიას და უნდა ეყრდნობოდეს ავტო-

რიტეტულ სამეცნიერო წყაროებს. თუ აუცილებელია სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენება, იგი ფრხილებში თავსდება. ყურადღება უნდა გამახვილდეს, აგრეთვე, წარწერის შრიფტსა და შრიფტის ზომაზე, წარწერის განთავსებაზე, ზომასა და ფერზე.

საინფორმაციო ან აუდიო-ვიზუალური მასალა უნდა იყოს ინფორმაციით დატვირთული და გონივრულად შედგენილი, მაგრამ არ უნდა ჩრდილავდეს თავად ექსპონატებს.

ექსპონატებისა და მათი გამოფენის ადგილის განათება უნდა დაეკისროს განათების სპეციალისტ ინჟინერს; განათების მოწყობისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ექსპონატების გაფრთხილების ფაქტორიც (ყველა ნივთს არ შეუძლია ერთნაირი სიძლიერის შუქის ატანა) და ტექსტების, საინფორმაციო დაფებისა და ა.შ. წაკითხვის შესაძლებლობაც.

საზოგადოების დაშვება ექსპოზიციაზე თავიდანვე უნდა დაიგეგმოს. დამთვალიერებლები არ წარმოადგენენ ერთგვაროვან მასას. საჭიროა სპეციალური ზომების მიღება, რათა დაკმაყოფილებული იქნეს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე, ხანდაზმული, სუსტი მხედველობის პირების, ბავშვებისა და სხვა კატეგორიის ადამიანების მოთხოვნები. განათება, ექსპონატებისა და წარწერების მდებარეობა და ექსპოზიციის მოწყობილობები ამ გარემოებათა გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს.

ექსპოზიციის პლაკატების განთავსება და მათი „საორიენტაციო“ ფუნქცია მუზეუმში კომბინირებული უნდა იყოს ღონისძიების კულტურულ მარკეტინგთან, რაც არ შემოიფარგლება მხოლოდ რეკლამით და მოიცავს რიგ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია, ექსპოზიცია მიმზიდველი გახადონ საზოგადოებისთვის.

საგანმანათლებლო პროგრამები არა მარტო ბავშვებისთვის, არამედ საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენლებისთვის თანმხლებ ღონისძიებათა ნაწილი უნდა იყოს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს გამოცემულ ბეჭდურ და ელექტრონულ მასალას. ეს მასალა უნდა გამოირჩეოდეს მაღალი ხარისხით, ვინაიდან, ერთის მხრივ, ის ღონისძიების ჩატარების შემდეგაც წარმოადგენს მუზეუმს და, მეორეს მხრივ, მნიშვნელოვანი შემოსავლის წყარო შეიძლება გახდეს.

და ბოლოს, ექსპოზიციის წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობაა ის, თუ როგორ გამოიყურება და მუშაობს დაცვის სამსახური და ყველა სხვა თანამშრომელი, რომელთაც საზოგადოებასთან ურთიერთობა უწევთ. დაცვის თანამშრომელი, რომელიც გარეგ-

ნულად გამოირჩევა, კარგად ინფორმირებული და თავაზიანია, მაშინვე დადებითად განაწყობს დამთვალიერებელს მის მიმართ.

დასასრულ კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ მუდმივ სამუზეუმო ექსპოზიციებს. ჩვენს მიერ განხილული ეტაპების უმრავლესობა ამ ტიპის ექსპოზიციებსაც ეხება. მუდმივი ექსპოზიციის მიზანი და ძირითადი იდეა ღრმა ანალიზს საჭიროებს. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, თუ როგორი ტიპის ექსპოზიცია შეირჩევა: „ესთეტიკური“ ან თემატური პრინციპით შერჩეული, განმარტებითი და ინტერაქტიული მიზნებით, თუ „ხილული საცავი“, რომელიც განთავსდება ექსპოზიციის ერთ-ერთ ნაწილში ანდა გამოყენებული იქნება აუდიო-ვიზუალურ საშუალებებთან ერთად.

ექსპონატების შერჩევა, მათი შესწავლა და კონსერვაცია ის ეტაპებია, რომლებზეც უკვე ვისაუბრეთ.

ექსპონატთა რაოდენობა ანუ ექსპოზიციის სიმჭიდროვე დამოკიდებული იქნება ექსპოზიციის ტიპსა და მიზნებზე. ხშირად ექსპონატების მცირე რაოდენობას მეტი სიამოვნების მინიჭება შეუძლია და უფრო ადვილად აღიქმება.

და ბოლოს, აუცილებელი შემდგომი შეფასება და დამთვალიერებელთა რეაქცია მიუთითებს ყველა იმ საჭირო ცვლილებაზე, რომელიც უნდა განხორციელდეს, და განსაზღვრავს ექსპოზიციის საბოლოო ხანგრძლივობას.

5.3. მუზეუმის საგანმანათლებლო პროექტები

(მომზადებულია ნ. გედევანიშვილის ნაშრომის „განათლება და მუზეუმი“-ს მიხედვით)

შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მუზეუმი საგანმანათლებლო პროგრამების გარეშე. ყველა ეპოქაში – მუზეუმის ჩამოყალიბებიდან დღემდე, მისი მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება საგანმანათლებლო მუშაობა იყო და არის. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ „საგანმანათლებლო მიმართულება აღარ მოიაზრება, როგორც მუზეუმის დამატებითი სეგმენტი, არამედ მან ძირი-

თადი ფუნქცია შეიძინა. მუზეუმი იმთავითვე საგანმანათლებლო სივრცედ მოიაზრებოდა“.

მუზეუმების საგანმანათლებლო როლის ხასიათი და მასშტაბი მნიშვნელოვნად შეიცვალა. მუზეუმი კოლექციების, ცოდნის, გამოცდილებისა და უნარ-ჩვევების საცავია. ამიტომ ის მოვალეა, თავისი რესურსები ყველა პოტენციურ მომხმარებელს გაუზიაროს, ეს კი მუზეუმების საგანმანათლებლო როლთან არის დაკავშირებული. მთელს მსოფლიოში მუზეუმებში განათლების მისაწოდებლად ახალი შესაძლებლობებისა და სტრუქტურების აღმოცენებასთან ერთად მუზეუმების საგანმანათლებლო როლს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება.

უცხოეთისაგან განსხვავებით, საბჭოთა პერიოდში საქართველოს მუზეუმების ყველა პროექტი იდეოლოგიზირებული იყო და იგი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური დოქტრინიდან გამომდინარეობდა. არც საბჭოთა პერიოდამდე იყო საქართველოს სამუზეუმო პოლიტიკა დამოუკიდებელი, გარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდისა. მეფის რუსეთის დროსაც კი საქართველოს მუზეუმები რუსეთის კოლონიური პოლიტიკის შედეგებით გამოწვეულ ზეწოლას განიცდიდნენ, რაც აისახებოდა კიდეც მათი მუშაობის პრაქტიკაში.

საგანმანთლებლო მუშაობის საინტერესო და მდიდარი გამოცდილება დააგროვეს ევროპისა და ამერიკის წამყვანმა მუზეუმებმა. 1880 წელს ნიუ-იორკში გაიხსნა მეტროპოლიტენ მუზეუმის ახალი შენობა. გახსნის ცერემონიალზე განსაკუთრებით აღინიშნა მუზეუმის საგანმანათლებლო მნიშვნელობა ამერიკის საზოგადოებისათვის.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან სახელმწიფო დონეზე დადგა მუზეუმების საგანმანათლებლო ფუნქციის მნიშვნელობა. 1952 წელს ბრუკლინში გამართულ საერთაშორისო სემინარის ერთ-ერთი ძირითადი თემა მუზეუმის საგანმანათლებლო მისია იყო.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიურმა პროცესებმა ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა მუზეუმები. დაიწყო ძიება მუშაობის ახალი მეთოდების დასამკვიდრებლად. მუზეუმებმა დაიწყეს დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროექტების მომზადება.

1965 წელს მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტის (ICOM) მე-8 გენერალურ ასამბლეაზე მიიღეს დეკლარაცია, რომელიც მუზეუმებს მოუწოდებდა საგანმანათლებლო მუშაობის გაფართოე-

ბისა და ამ მიზნით საშტატო ნუსხაში პედაგოგის შტატის გათვალისწინებისაკენ. მიუხედავად ამისა, არიან მუზეუმები, რომლებიც არ ითვალისწინებენ საერთაშორისო რეკომენდაციებს. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილიც ერთგვარ გულგრილობას იჩენს მუზეუმის მიმართ.

სახელმწიფოს სამუზეუმო საგანმანთლებლო პოლიტიკაში პრიორიტეტად არ არის გამოცხადებული მუზეუმის სპეციალისტების, მათ შორის, მუზეუმის საგანმანათლებლო მიმართულების სპეციალისტების მომზადება მუზეუმებისათვის.

მუზეუმის საგანმანმთლებლო პოლიტიკის განსაზღვრისას აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტების რეკომენდაციები. კერძოდ, მუზეუმის გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინება; შესაბამისობა მოსახლეობის სოციალურ-კულტურულ სტრუქტურასთან; შესაბამისობა ფინანსურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან.

მუზეუმის საგანმანთლებლო აქტივობა უნდა გამომდინარეობდეს მუზეუმის მისიიდან და სტრატეგიიდან. საგანამანთლებლო პოლიტიკის ძირითადი ობიექტი იყო და რჩება სკოლა და უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებები. სწორედ მოსწავლეთა და სტუდენტთა კონტინგენტის ინტერესები უნდა იქნას, პირველ რიგში, გათვალისწინებული მუზეუმის საგანმანთლებლო პროექტების მომზადებისას. სასწავლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამებში მუზეუმის ჩართვა ცოდნისადმი მეტ ინტერესს აღუძრავს მოსწავლებსა და სტუდენტებს, რაც, თავის მხრივ, გაზრდის სწავლების ხარისხს.

თუმცა სამუზეუმო განათლება არ გულისხმობს მხოლოდ ბავშვებისთვის, მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ჩატარებულ რაიმე კონკრეტულ კურსს, სამუზეუმო განათლება განიხილება მუზეუმის, როგორც სოციალურ სტრუქტურაში არსებული საზოგადოებრივი დაწესებულების, ნაწილის სახით. სამუზეუმო განათლება უფრო ფართო მასშტაბს და ახალ მნიშვნელობას იძენს, ვინაიდან „საგანმანათლებლო საქმიანობის არენა სასწავლო ოთახი კი აღარ არის, არამედ მთელი მუზეუმია“.

ცნობილია, რომ კითხვის შედეგად ადამიანი იმახსოვრებს 10%-ს, მოსმენის შედეგად – 20%-ს, ნანახის შედეგად – 30%-ს, მოსმენისა და დანახვის შედეგად – 50 %-ს, მას შემდეგ, რაც თავად იმოქმედებთ, დაიმახსოვრებთ 90 %-ს. ეს სტატისტიკა არ არის უნივერსალური. არიან ადამიანები, რომლებიც, პირიქით, კითხვის შედეგად

უფრო მეტს იმახსოვრებენ, ვიდრე დათვალიერების დროს.

როგორც უცხოელი პარტნიორების გამოცდილება ცხადჰყოფს, საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს ისეთი ტიპის პროგრამებზე, სადაც დამთვალიერებელი აქტიურად იქნება ჩართული პროგრამაში. რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის პროგრამების მომზადება შესაბამის ცოდნას, კვალიფიკაციასა და გამოცდილებას მოითხოვს.

მიზანშეწონილია, სამუზეუმო პროგრამების მომზადებაში ჩართული იყვნენ, როგორც მუზეუმის სპეციალისტები, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები. მუზეუმს შეუძლია, ამ მიზნით, მოაწყოს სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული სპეციალური თემატური გამოფენები, რომელშიც ჩართული იქნებიან სკოლის პედაგოგები. ძველი ჩინური ანდაზა „მოვისმინე – დამავიწყდა, დავინახე – დავიმახსოვრე, გავაკეთე – გავიგე“ ზუსტად ასახავს სამუზეუმო სწავლების პრინციპებს.

1974 წელს სმითსონის (აშშ) ბუნების მუზეუმში, როგორც ექსპერიმენტი, გაიხსნა აღმოჩენების ოთახი. იდეის ავტორი იყო სმითსონის სამდივნო ოფისის ავტორი ქერილ მარში, რომელიც გამოვიდა ინიციატივით, შეეთავაზებინა დამთვალიერებლებისათვის საექსპოზიციო სივრცისაგან სრულიად განსხვავებული გარემო, სადაც დამთვალიერებელს ტაქტილური/ხელშესახები და ინტერაქტიული გამოცდილების შესაძლებლობა ექნებოდა. პროექტი დააფინანსა ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა. მუზეუმის მცველებისა და კონსერვატორების სკეპტიციზმი არ გამართლდა. პროექტი ძალიან წარმატებული გამოდგა. აღმოჩენების ოთახში პროგრამები ისეა აწყობილი, რომ მოსწავლეებმა დამხმარე საშუალებების გამოყენებით შეძლონ ბუნების აღქმა და ბუნების შესწავლა. ბუნების მუზეუმის დამთვალიერებელთა რაოდენობა წელიწადში 8 მილიონს აღწევს. აქედან სკოლის კონტინგენტის წილი ნახევარზე მეტია. ამიტომ სმითსონის მუზეუმის პროგრამებში ჩაწერა წინასწარ ხდება.

იმისათვის, რომ მუზეუმმა საზოგადოებაში პოპულარიზაცია გაუკეთოს მის მიერ მომზადებულ პროექტებს, სასურველია მუზეუმის საგანმანათლებლო პროექტების სპეციალისტებმა სკოლის პედაგოგებისათვის და მოსწავლეებისათვის მოამზადონ მუზეუმის კოლექციების გზამკვლევი, პროგრამების მხატვრულად გაფორმებული ანოტაციები, აუდიო და ვიდეო რეკლამები და სხვ.

თანამედროვე მუზეუმების პრაქტიკაში მკვიდრდება საგანმანათებლო პროექტების სხვადასხვა ფორმები.

მაგალითად, სმითსონიანის ინსტიტუტის არტურ საკლერის გალერეის საგანმანათლებლო დეპარტამენტის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საოჯახო პროგრამები, რომელსაც უძღვება კულტუროლოგი და დიზაინერი. მშობლები ბავშვებთან ერთად ჩართული არიან სამკაულების, მაკეტების შექმნაში.

მუზეუმები დაინტერესებულნი უნდა იყვნენ ყველა ასაკის დამთვალიერებლის ინტერესები გაითვალისწინონ. მუზეუმის საგანმანათლებლო პროექტებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ზრდასრულთა განათლება. ზრდასრულები მოტივირებული არიან, გაიღრმავონ ცოდნა. მითუმეტეს აქტუალური გახდა ეს პრობლემა მე-20 საუკუნის ბოლოს, როდესაც ევროკავშირმა პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე. იდეის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანმა არამარტო დააგროვოს ცოდნა, არამედ შეიძინოს ახალი პროფესიონალური უნარები.

ამ მხრივ, კარგი გამოცდილება აქვთ შვედეთის მუზეუმებს. სტოკჰოლმი მსოფლიოს ერთ-ერთი სამუზეუმო ქალაქია. აქ 70 მუზეუმია განთავსებული, რომელსაც წელიწადში 9 მილიონზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავს. მასშტაბურობით გამოირჩევა სკანსენის მუზეუმი.

1891 წელს ართურ ჰაზელიუსმა სტოკჰოლმთან დააფუძნა ცნობილი სკანსენი, რომელიც შემდგომში მოდელი გახდა ამგვარი გარე მუზეუმებისთვის ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპაში, მოგვიანებით კი დანარჩენ მსოფლიოში. იგი წარმოადგენს არა მხოლოდ ეთნოგრაფიულ მუზეუმს, აქ კომპლექსურად არის წარმოდგენილი ქვეყნის ისტორია, კულტურა, ყოფა, ბუნება. არაჩვეულებრივი გარემოა შექმნილი ბავშვებისათვის. მშობლებს ყველა პირობა აქვთ, მუზეუმის დათვალიერებისას, ბავშვები მათთვის განკუთვნილ სპეციალურ გარემოში დატოვონ სპეციალისტების გარემოცვაში. აქ ბავშვებს შეუძლიათ დაათვალიერონ ზოოლოგიისა და ბუნების კუთხეები, გაერთონ და დაისვენონ, ისადილონ, სურვილის შემთხვევაში დაიძინონ. მსგავსი პირობები შვედეთის სხვა მუზეუმებშიც არის შექმნილი. მოზარდებს ბავშვობიდანვე უყალიბდებათ მუზეუმისადმი ინტერესი და მოკრძალება.

სკანსენის მუზეუმში ბავშვთა დასვენება კარგად არის შერწყმული განათლების ელემენტებთან. ბავშვები გართობა-თამაშის პარალელურად „სწავლობენ“ ბუნებას, ცხოველთა და ფრინველთა

სამყაროს, ახლოს ეცნობიან მათ და აკვირდებიან. ეს ისე სახალისოდ კეთდება, თითქოს თამაშის ნაწილი იყოს. რაც მთავარია, ბავშვებს უჩნდებათ სურვილი უფრო მეტი გაიგონ ბუნების შესახებ. ეს მოდელი აღზრდისა და განათლების საუკეთესო საშუალებაა.

მქონდა საშუალება სტოკჰოლმის ერთ-ერთი ყოფილი ქარხნის მუზეუმში დავკვირვებოდი ბავშვთა ქცევას. შვედეთში ძველი საწარმოების (ფაბრიკები და ქარხნები) შენობები, მიწასთან არ გაუსწორებიათ, როგორც ჩვენში. ყოველ გამოთავისუფლებულ შენობას ახალი ფუნქცია შესძინეს. ჯერ ერთი, ამით შთამომავლობას შემოუნახეს ისტორიული ნაგებობები, მეორეც ამ შენობებში კულტურისა და დასვენების ან სხვა ფუნქციის (მაგალითად, სამეცნიერო, სპორტული და სხვ.) ცენტრები გახსნეს. ამ შენობებში შენარჩუნებულია არქიტექტურა, ძველი საწარმოების დეტალები (მაგალითად ალაგ-ალაგ მილები, დაზგები და ა.შ.), გახსნილია კაფე-ბარები, ბიბლიოთეკა, სპორტული და ქორეოგრაფიული დარბაზები, მუზეუმი, ბავშვთა დასვენების კუთხეები და ა.შ.

მშობლები სამუშაოს დასრულების შემდეგ მოდიან აქ დასვენებისათვის. პატარა ბავშვები მშობლების გარეშე ერთობიან ბავშვთა კუთხეში, სადაც ყველაფერი არის, რაც კი ბავშვებს გართობისა და შემეცნებისათვის სჭირდება. „პატარა სახლებში“, სადაც რამდენიმე ბავშვი ეტევა, დგას პატარა ტელევიზორი, სკამები, სადაც ერთგან მულტფილმებს უჩვენებენ, მეორეგან საბავშვო მხატვრულ ფილმებს ან დოკუმენტურ ფილმებს ბუნებაზე. ცალკეა გასართობი სათამაშოები ან მცირე ზომის ატრაქციონები. იქვე ახლოს არის ბიბლიოთეკა. წიგნების თაროებზე სხვადასხვა ლიტერატურაა უფროსი ასაკის ადამიანებისათვის. ბავშვები ხელს არ ჰკიდებენ ამ წიგნებს. საბავშვო კუთხეში მათთვის ცალკეა ილუსტრირებული ლიტერატურა, ფერადი ფანქრები, სახატავი რვეულები, ხელგარჯილობის კუთხე და ა.შ. მშობლები ბავშვებისაგან განმარტოებით სხედან და თავისთვის ატარებენ დროს.

მოზარდებს ბავშვობის ასაკიდან უყალიბდებათ საზოგადოებაში ქცევის კულტურა, წიგნისადმი ინტერესი და მოკრძალება. მათ იციან, რომ უფროსებისათვის განკუთვნილ ნივთებს ხელით არ შეეხენონ, ან არ დააზიანონ. არ მინახავს ერთი ბავშვიც კი უფროსებისთვის განკუთვნილი ბიბლიოთეკის თაროებს შეხებოდნენ.

ამ დაწესებულებაში შესვლა უფასოა. ფასიანია მხოლოდ კაფე-ბარის მომსახურება. ეს არის თვალსაჩინო მაგალითი, როგორ ზრუნავს ქვეყნის ხელისუფლება თავისი მოქალაქეების დასაქმე-

ბისა და დასვენებისათვის. შვედეთი მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომლის სოციალური პოლიტიკა ყველაზე ჰუმანურია და ადამიანის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. ცნობისათვის, ყველა საფეხურის განათლება შვედეთში უფასოა. ამავე უფლებით სარგებლობენ ევროკავშირის ქვეყნებიდან შვედეთში განათლების მისაღებად ჩასული ახალგაზრდები. არაფერს ვამბობთ სხვა სოციალურ პროგრამებზე (უფასო ჯანდაცვა და სხვ.).

ევროპის მუზეუმების საგანმანათლებლო პროექტებში გათვალისწინებულია, აგრეთვე, მიგრანტების ინტერესები. მიგრანტებზე ორიენტირებული პროგრამები ხელს უწყობს მათ ადაპტაციასა და ინტეგრეციას ახალ გარემოში. ასეთივე სოციალურ დატვირთვას იძენს სასჯელმოხდილი მოქალაქეებისათვის განკუთვნილი საგანმანათლებო პროგრამები, რომლებიც გათავისუფლების შემდეგ ეხმარება მათ სოციალურ გარემოსთან სრულყოფილად დაბრუნებაში.

1998-2001 წლებში განხორციელდა პროექტი სახელწოდებით „მუზეუმები, სპეციალისტები და სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე“. პროექტში მონაწილეობდა ევროპის ექვსი ქვეყანა: გაერთიანებული სამეფო, შვედეთი, პორტუგალია, ირლანდია, ლუქსემბურგი და ავსტრია. პროექტი მიზნად ისახავდა მუზეუმების როლისა და შესაძლებლობების შესწავლას კონტექსტში – სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე, განსაკუთრებით იმ სოციალური ჯგუფებისათვის, რომლებიც ნაკლებადაა წარმოდგენილი საზოგადოებაში და საგანმანთლებლო ინსტიტუციებში. პროექტში ჩართული არიან მუზეუმსა და საზოგადოებას შორის მედიატორები (ე.წ. ქივორქერები). პროექტის ფარგლებში ახალგაზრდები ავრცელებენ საინფორმაციო ბიულეტენს მუზეუმის შესახებ. პროექტში ჩართული არიან ყველა ასაკისა და პროფესიის ადამიანები.

ევროპის მუზეუმების მრავალმხრივ პროექტებს შორის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ინტერკულტურული პროექტები. მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა კულტურული იდენტურობისა და კულტურათაშორისი დიალოგის პრობლემებს.

საინტერესოა მუზეუმში შექმნილი პროფესიული განვითარების პროგრამები. პროფესიული განვითარება არ უკავშირდება მხოლოდ მუზეუმის თანამშრომლების ჩართვას. უცხოეთის ზოგიერთ მუზეუმში პროფესიული პროგრამების მონაწილეები სკოლის მასწავლებლები არიან. სმითსონიანის ინსტიტუტის სამუზეუმო სწავლების ცენტრი ყოველწლიურად ატარებს სპეციალურ სემინა-

რებს მასწავლებლებისათვის. სემინარების მსვლელობისას მასწავლებლები ეცნობიან სმითსონიანის ექსპერტების მიერ სკოლის მასწავლებლებისათვის მომზადებულ საგანმანათლებლო რესურსებსა და სწავლობენ მათ გამოყენებას. ეს პრაქტიკა წარმატებით დაინერგა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.

მუზეუმებში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს დამთვალიერებელი. კომუნიკაციისა და ახალი ტექნოლოგიების პირობებში საზოგადოებაში პასიურობა შეიმჩნევა მუზეუმების მიმართ. მუზეუმები ეძებენ ახალ გზებს, როგორ დააკავშირონ მუზეუმი დამთვალიერებელთან. ამ მიზნით იქმნება აუდიტორიის გაფართოებაზე ორიენტირებული და სოციალური პროგრამები.

მუზეუმის ყველა აქტივობა, რომელსაც იგი ახორციელებს მუზეუმის გარეთ, შეიძლება გაერთიანდეს სოციალურ პროგრამებში. ამ მიმართულების მიზანია მუზეუმის, დამთავლიერებელთა მოზიდვა. მუზეუმები ამისათვის იყენებენ მუშაობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა მოძრავი საგანმანათლებლო გამოფენები, მუზეუმის თანამშრომლების ლექციები სკოლებში, ვებგვერდზე ინფორმაციების განთავსება, მედიასაშუალებებით საზოგადოების ინფორმირება და ა.შ.

მუზეუმები მიმართავენ მუშაობის ისეთ ფორმას, როგორიცაა ე.წ. ნასესხები კომპლექტები. საგანმანთლებლო დაწესებულებასა და მუზეუმს შორის ურთიერთშეთანხმებით მუზეუმი დროებითი სარგებლობის უფლებით სკოლას გადასცემს ინფორმაციას და თვალსაჩინო მასალებს სამუზეუმო კოლექციის შესახებ (მაგალითად, ისტორიაზე, ბოტანიკაზე, ზოოლოგიაზე, გეოლოგიაზე, კულტურაზე და ა.შ.). ეს მასალები შეიძლება იყოს ექსპოზიციის ასლები, ილუსტრაციები, გზამკვლევები.

ბევრი მუზეუმი მიმართავს საგანმანათლებლო მუშაობის ისეთ ფორმას, როგორიცაა მოძრავი გამოფენები. ამ შემთხვევაშიც მუზეუმი იყენებს ექსპოზიციის ორიგინალის ასლებს და სხვადასხვა საილუსტრაციო მასალებს.

მაგალითისათვის: საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმაანთლებლო დეპარტამენტმა 2008 წელს მოამზადა მოძრავი გამოფენა „კავკასიის ხალხთა სამოსი მაქს ტილკეს ნამუშევრების მიხედვით“.

მაქს ტილკე (1869-1942) იყო მსოფლიოს ხალხთა კოსტიუმების გერმანელი მხატვარი და ილუსტრატორი. XIX ს-ის მიწურულს ტილკე იმყოფებოდა ესპანეთში, სადაც პრადოს მუზეუმში ასლებს ასრუ-

ლებდა, ხოლო 1900 წელს მუშაობდა პარიზში ილუსტრატორად. ბერლინში დაბრუნების შემდეგ მან განაგრძო კოსტუმის ისტორიის შესწავლა და სახელი გაითქვა როგორც კოსტუმის სპეციალისტმა. 1912 წელს ის რუსეთის იმპერატორის რეკომენდაციით სამუშაოდ მიიწვიეს თბილისში, კავკასიის მუზეუმში, კავკასიური კოსტიუმის ფონდის დაარსების მიზნით. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში დაცულია მის მიერ 1912-1913 წლებში კავკასიაში მოგზაურობის დროს აკვარელით შესრულებული 83 ნამუშევარი, რომლებზეც ასახულია კავკასიის ხალხთა ტრადიციული სამოსი. აქედან 51 წარმოადგენს ეთნოგრაფიულ ტიპებს შესაბამის კოსტიუმებში, 32 ტაბულა კი კოსტიუმების ცალკეულ ელემენტებს ასახავს. ტილკე ამ ნამუშევრებს ქმნიდა როგორც უშუალოდ ნატურიდან, ექსპედიციებში ყოფნის დროს, ასევე ფოტოსურათებიდანაც, რომელსაც სპეციალურად ამ სამუშაოსთვის უღებდნენ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებს. ტილკემ გულდასმით, ფოტოგრაფიული სიზუსტით ასახა ჩაცმულობა, თუ თარგი. მიუხედავად სიზუსტისა და თითქმის სიმშრალისაც კი, ეს სურათები მაინც არ არის მოკლებული თავისებურ მომხიბვლელობას და ავლენს ტილკეს, როგორც საკმაოდ დახვეწილი კოლორისტის, მხატვრულ ოსტატობას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ უფრო ცოცხალი და ბუნებრივი ის ნიმუშებია, რომლებიც უშუალოდ ნატურიდანაა ასახული.

მუზეუმმა მოძრავი გამოფენისათვის შეარჩია მაქს ტილკეს მიერ აკვარელით შესრულებული სერიის 47 ფოტოასლი. მასწავლებლებისათვის მომზადდა საინტერპრეტაციო მასალები და სპეციალური პაკეტი გაკვეთილის ჩატარების გზამკვლევით, ტექსტებით, რუკებითა და ფოტოებით.

მუზეუმმა კარგად მომზადებული საგანმნანათლებლო კონცეფციის ფარგლებში შეიძლება გაითვალისწინოს აქტივობის ისეთი ფორმა, როგორიცაა საველე ექსკურსიები. მუშაობის ეს ფორმა არ მოითხოვს დიდ ძალისხმევასა და მატერიალურ-ფინანსურ დანახარჯებს. საველე ექსკურსსიების მიზანია ბუნებითა და კულტურის მატერიალური ძეგლებით მოსწავლეების დაინტერესება. პროგრამაში შეიძლება ჩართული იყვნენ მოსწავლეთა მშობლები. განსაკუთრებით ეფექტურია ასეთი ექსკურსიების ჩატარება მუზეუმ-ნაკრძალებში.

დამთავალიერებელთა დაინტერესება მუზეუმით ყველა ქვეყანაში სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, მით უმეტეს საქართველოში, როცა ქვეყანა გარდამავალ პერიოდში იმყოფება და და-

უსრულებელი რეფორმების გამო სახელმწიფო ინსტუტუციები და დაწესებულებები ჯერ კიდევ სტაბილურ სტრუქტურებად ვერ ჩამოყალიბდა. საზოგადოების გულგრილობა მუზეუმის მიმართ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ქვეყნის ისტორიისა და კულტურის პრობლემებზე არასაკმარისი მუშაობის, აგრეთვე, საინფორმაციო ტექნოლოგიების მიღწევების უარყოფითი შედეგია. ამ პირობებში მუზეუმები ეძებენ მუშაობის ახალ ფორმებს, რომ უფრო მეტად დააინტერესონ საზოგადოება მუზეუმით. ერთ-ერთ პოპულარულ ფორმას წარმოადგენს მუზეუმის თეატრი.

მუზეუმი-თეატრი კარგი საშუალებაა დავაინტერესოთ თეატრის მოყვარულები მუზეუმით. ამერიკაში მუზეუმის თეატრი დაარსდა მინესოტას ბუნების მუზეუმში. ზოგიერთ მუზეუმს აქვს საშუალება თავად გახსნას თეატრი. მუზეუმებს, რომლებსაც ამის საშუალება არა აქვთ შეუძლიათ საგანმანთლებლო პროგრამებში შეიტანონ თეატრის ელემენტები. თეატრალური წარმოდგენა შეიძლება გაიმართოს საგამოფენო დარბაზში. შესაძლებელია წარმოდგენებისათვის გამოყენებულ იქნას მუზეუმის სხვა სივრცეები.

საქართველოს ეროვნული მუზეუმი დიდი ხანია თანამშრომლობს, როგორც საგანამანთლებლო სექტორთან, ასევე სხვადასხვა სახელოვნებო და კულტურულ დაწესებულებებთან. დიდი მოწონება დაიმსახურა ახალმა საგანმანათლებლო პროგრამამ „საუბრები ოპერაზე“. ეს პროექტი მუზეუმისა და თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის თანამშრომლობის შედეგია. პროექტი მოიცავდა ლექციების ციკლს, გამოფენასა და შემოქმედებით-შემეცნებით სპექტაკლს.

პროგრამის ავტორმა და რეჟისორმა გურამ მელივამ სპექტაკლისთვის ჰენდელის ოპერა „რადამისტო“ აირჩია (ოპერა „რადამისტო“ გეორგ ფრიდრიხ ჰენდელის ერთ-ერთი წარმატებული ოპერაა, რომელიც თვით კომპოზიტორის ცხოვრებაში რამდენჯერმე დაიდგა, ყოველ ჯერზე მნიშვნელოვანი გადამუშავებით). ოპერის ლიბრეტო საინტერესო ისტორიული ექსკურსის საშუალებას იძლევა – ძველი იბერია, ანტიკური სამყარო და ა.შ.(ლიტერატურული წყაროები ეყრდნობა რომაელი ისტორიკოსის პუბლიუს (გაიუს) კორნელიუს ტაციტუსის მიერ აღწერილ ამბავს იბერიელი უფლისწულის – რადამისტისა, რომელიც ცხოვრობდა თითქმის 2000 წლის წინათ, ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში. ტაციტუსის მიერ გადმოცემული ამბავი ოპერის ლიბრეტოში საფუძვლიანად

გადახალისებულია, შეცვლილია მისი სიუჟეტიც და მოქმედების ინტრიგაც: სამეფო ტახტისთვის ბრძოლის ისტორია სასიყვარულო ისტორიით არის ჩანაცვლებული).

2007 წელს თბილისის ოპერის თეატრისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის ერთობლივი ძალისხმევით დაიდგა ჰენდელის „რადამისტო“ (ადაპტირებული ვარიანტი სოლისტებისა და ჩემბალოსთვის). ეს წარმოდგენა ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო პროექტის (პროექტის ავტორი – გურამ მელივა) დამაგვირგვინებელ ღონისძიება იყო. დეკორაციების ნაცვლად წარმოდგენილი იყო საგანგებოდ ამ დღისთვის მუზეუმის საცავებიდან გამოტანილი იბერიის საგანძურის ნიმუშები, რომლებიც მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლების დახმარებით იყო შერჩეული. მომზადდა სპეციალაური გამოფენა. წარმოდგენილი ექსპონატების უმრავლესობა პირველად გამოიფინა.

მსგავსი პროექტების განხორციელების პრაქტიკა დამკვიდრდა ბათუმის ხელოვნების მუზეუმში. გამოფენის პროგრამაში ჩართული არიან მუსიკოსები, გამოიყენება ტექნიკური საშუალებები (ვიდეოპროექტორი და სხვ.), რომელიც უფრო მეტ ეფექტს და მნიშვნელობას ანიჭებს გამოფენას.

სამუზეუმო პრაქტიკაში დიდი ხანია დამკვიდრდა მოხალისეების ჩართვა სხვადასხვა პროექტებში. განსაკუთრებით კარგად მუშაობს მოხალისეების ინსტიტუტი ამერიკისა და გაერთიანებული სამეფოს მუზეუმებში. მუზეუმის მოხალისეთა შორის აქტივობით გამოირჩევიან საპენსიო ასაკის ადამიანები. ამერიკაში მათ დოცენტებს უწოდებენ.

ახალგაზრდებს განსაკუთრებით იზიდავთ მოხალისის როლი მუზეუმში. ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ შტატში 16-17 წლის სკოლის მოსწავლეებისათვის სავალდებულო მოთხოვნაა მუზეუმში მოხალისედ მუშაობა. ახალგაზრდები მოხალისედ მუშაობის პერიოდში ახლოს ეცნობიან მუზეუმის სამყაროს, პრაქტიკულ გამოცდილებას ღებულობენ სახვადასხვა პროექტში მონაწილეობით, ეცნობიან თავიანთ თანატოლებს და მუზეუმის დამთვალიერებლებს, იძენენ ცოდნას სამუზეუმო ფონდების შესახებ.

2005-2008 წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანთლებლო დეპარტამენტმა განახორციელა საცდელი პროექტი მოხალისეებისათვის. მომზადდა შემეცნებით-გასართობი პროგრამების ანიმატორები/წამყვანები და სპეციალური საშობაო პროგრა-

მების წამყვანები. მოხალისეებმა მუზეუმში მასპინძლობა გაუწიეს თბილისის სკოლების მოსწავლეებს.

ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო დეპარტამენტში მომზადდა სპეციალური პროგრამა 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად დაზარალებული ბავშვებისა და მოზარდების ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციისათვის. პროექტის პროგრამით ჩატარდა: შემეცნებითი ღონისძიებები, ტურები ეროვნულ მუზეუმში, ლექცია-შეხვედრები ცნობილ მეცნიერებთან და ხელოვანებთან. მთავარ როლს აღნიშნულ პროექტებში ასრულებდნენ მოხალისეები.

მუზეუმში მიღებული გამოცდილება მოხალისეებს დაეხმარა ჩამოეყალიბებინათ არასამთავრობო ორგანიზაცია „დახმარების ხელი“. ისინი დამოუკიდებლად ახორციელებენ ახალ პროექტებს.

მუზეუმი დაინტერესებული უნდა იყოს გააფართოოს თანამშრომლობის გეოგრაფიული არეალი. სხვადასხვა დაწესებულებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, უცხოელ პარტნიორებთან თანამანშრომლობის გარეშე შეუძლებელია მუზეუმის პროექტების წარმატებით განხორციელება. ეს შეეხება, როგორც საგამოფენო პოლიტიკას, ასევე მუზეუმის საგანმანათლებლო პროექტებს.

მუზეუმის წარმატებისა და დამთვალიერებელთა მოზიდვის მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოებისათვის ინფორმაციის დროულად მიწოდება. მუზეუმს შემუშავებული უნდა ჰქონდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გავრცელების სტრატეგია. ამ საქმეში მთავარ როლს ასრულებენ მედია საშუალებები და ახალი ტექნოლოგიები (პრესა, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი). მუზეუმის შესახებ მომზადებული კლიპები, სარეკლამო რგოლები და პლაკატები, საიუნფორმაციო ბიულეტენები, სიუჟეტები, განცხადებები, პერიოდულად უნდა მოეწოდოს დამთვალიერებელს.

მუზეუმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით ბევრი მუზეუმი საკუთარ ვებ-გვერდზე ათავსებს ვირტუალურ გალერეას მშობლიურ და უცხო ენებზე. მუშაობის ეს ფორმა ერთ-ერთი წარმატებული პროექტია და ხელს უწყობს დამთვალიერებელთა მოზიდვას, განსაკუთრებით უცხოელ ტურისტებს უღვივებს ამა თუ იმ მუზეუმისადმი ინტერესს. ჩვენგან განსხვავებით, უცხოელების მოგზაურობის გეგმაში მუზეუმს ხომ პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება.

მუშაობის პრაქტიკა ადასტურებს, რომ ის მუზეუმები აღწევენ წარმატებებს და არ განიცდიან დამთვალიერებელთა სიმცი-

რეს, რომლებიც მუშაობის ყველა ხერხსა და ფორმას იყენებენ აქტივობის გასაზრდელად. მუზეუმის დანიშნულება არ არის მხოლოდ კოლექციების შეგროვება, რესტავრაცია, შესწავლა და საექსპოზიციოდ მომზადება-გამოფენა. მუზეუმის მისიაა ეს კოლექციები გააცნოს საზოგადოებას არა მარტო გამოფენების საშუალებით, აქტიურად გამოიყენოს, აგრეთვე, მუშაობის ის ფორმები, რომლებიც განვიხილეთ საგანმანთლებლო პროგრამების მომზადებაზე მსჯელობის დროს.

მსოფლიოში იხსნება ახალი მუზეუმები, რომლებიც განსხვავდებიან ტრადიციული მუზეუმებისაგან. მაგალითად, ოკუპაციის, კულინარიის, ეკოლოგიის, ზეპირი ისტორიის, საბაჟოს, დაზვერვის, მედიის, ემიგრაციის და სხვა პროფილის მუზეუმები.

სხვადასხვა პროფილის მუზეუმებს შორის თანამშრომლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და რთული პრობლემაა. ხშირად ერთ პატარა ქალაქში განთავსებულ რამდენიმე მუზეუმს შორისაც კი ვერ ხერხდება პარტნიორობა და ზოგიერთი მიმართულებით მუშაობის კოორდინაცია სტრატეგიისა და კონცეფციის შემუშავების დონეზეც კი. არაფერს ვამბობთ ერთი ან რამდენიმე მიმართულებით საერთო პროგრამის შემუშავებაზე. ეს მეტყველებს როგორც მუშაობის დაბალ კულტურაზე, ასევე სამუზეუმო პროგრამების მომზადებაში არასაკმარის გამოცდილებასა და ცოდნაზე.

სამუზეუმო პრაქტიკაში გვხვდება მუშაობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამების) მომზადება. მაგალითად, შესაძლებელია მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ზოოლოგიის განყოფილებამ შექმნას პროგრამა, რომელშიც ინტერგრირებული იქნება ხელოვნების ისტორია (პრეისტორიული ხანის გამოქვაბული, ადამიანი, კედლებზე ცხოველების ნახატები). ამოსავალი მაინც იქნება ცხოველების კოლექცია და საუბრები მათ შესახებ.

ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის კვლევაში პრიორიტეტი ენიჭება დამთვალიერებელს და მუზეუმის აქტივობის გაზრდას კოლექციების ხელმისაწვდომობისაკენ. მუზეუმის წარმატების მთავარი კრიტერიუმი არის დამთვალიერებელი დ ამ მიზნით გაწეული მუშაობა.

საგანმანთლებლო პროგრამის მომზადების სხვადასხვა ფორმა არსებობს. სპეციალისტების (ნ. გედევანიშვილი) მიერ შემუშავებულია სტანდარტული სქემა, თუ როგორ უნდა მომზადდეს პროგრამა, რა პრინციპებს უნდა აკმაყოფილებდეს იგი:

ზოგადი პრინციპები:

- მუზეუმის საგანმანათლებლო პოლიტიკა და მოსამზადებელი პროგრამის მიზანი;
- აუდიტორიის მოთხოვნები;
- დამთვალიერებლების ინტერესები;
- პროგრამის წარმატების თვითშეფასება;
- მსმენელის სწავლის შედეგი;
- სამიზნე პროგრამის ასაკობრივი ჯგუფი;
- პროგრამის როლი ექსპოზიციის გაცნობისა და პოპულარიზაციის საქმეში;
- სწავლების მეთოდების გათვალისწინება;
- ისტორიული სიზუსტის დაცვა ინტერპრეტაციის დროს;
- განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური ჯგუფისადმი შემწყნარებლობის გათვალისწინება;
- აუდიტორიის ასაკი, განათლება, გამოცდილება;
- სადისკუსიო დროის გათვალისწინება და ა. შ. (სქემა პირობითია).

პროგრამის მომზადებამდე სასურველია გათვალისწინებულ იქნას ის რეკომენდაციები, რომლებსაც სპეციალისტები გვთავაზობენ:

- მუზეუმში ამ მიმართულებით უნდა მუშაობდეს სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებსაც შესაბამისი განათლება და კომპეტენციები გააჩნია;
- პროგრამის ლიდერი უნდა ერკვეოდეს მუზეუმის საგამოფენო პოლიტიკაში;
- პროგრამის დაგეგმვა და მომზადება დაწყებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 5 თვით ადრე;
- გაიწეროს პროგრამის მომზადების ეტაპები ვადების მითითებით;
- დადგინდეს პროგრამის ხარჯები.

5.4. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა მუზეუმში

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მუზეუმების საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რომელიც განსაზღვრულიადოკუმენტური წყაროების შეგროვებით, მათი დამუშავებითა და დამთვალიერებლებისათვის გაცნობით.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შინაარსი დამოკიდებულია მუზეუმის პროფილზე და ფონდების სპეციალიზაციაზე. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მიმართულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს მუზეუმის განვითარების კონცეფციაში.

სამეცნიერო კვლევები მუზეუმებში გადის იგივე ეტაპებს, რასაც ნებისმიერი სამეცნიერო კვლევა სამეცნიერო-საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მუზეუმში კვლევების დროს:

- მიმდინარეობს წყაროების ბაზის ჩამოყალიბება, ანუ ფაქტების შეკრება და სისტემატიზაცია;
- შეკრებილი ფაქტებიდან დასკვნის გამოტანა, ყალიბდება შესაძლო ჰიპოთეზები მათი გააზრების მიზნით და მოცემული ფაქტების ადგილის დადგენა მეცნიერებისა და კულტურის სისტემაში;
- ჰიპოთეზები მოწმდება, ყალიბდება თეორიებად, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მაპროფილებელ დისციპლინაში ახალი ცოდნის დანიშნულებასა და ადგილზე;
- ხდება საშუალებების შერჩევა მოცემული სამეცნიერო კვლევის სოციალურად მნიშვნელოვანი ასპექტების საზოგადოებამდე ოპტიმალური გზით მისატანად.

პირველი ეტაპი მუზეუმებისათვის დაკავშირებულია ფონდების დაკომპლექტებასთან, საყოფაცხოვრებო გარემოდან საგნების შერჩევასთან, მათი თავდაპირველი სისტემატიზაციისა და კლასიფიკაციის შერჩევასთან.

მეორე ეტაპზე ხდება სხვადასხვა სახის სამუზეუმო ამოცანის რეალიზება: ატრიბუცია (ნაწარმოების მიკუთვნება მისი ნამდვილი ავტორისათვის), საგნების კლასიფიკაციის დაზუსტება, სამუზეუმო საგნების თვისებების გამოვლენა და ა.შ.

მესამე ეტაპი დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, ექსპოზიციის ნამუშევრის კონცეფციის ფორმირებასთან, მაპროფილებელი დისციპლინის ჩარჩოებში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს-

თან, მუზეუმების კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოებთან.

მეოთხე ეტაპის რეალიზება ხდება სამუზეუმო კვლევების შედეგების წარდგენის ფორმის შერჩევით: ექსპოზიცია, გამოფენა, სამუზეუმო პუბლიკაცია (მონოგრაფია, გზამკვლევი, კატალოგი და ა.შ.

შესწავლის პროცესში ხდება სამუზეუმო საგნების (კოლექციების, კრებულების), როგორც ცოდნის, ასევე კულტურული, ისტორიული ან საბუნებისმეტყველო წყაროების თვისებების გამოვლენა. სამუზეუმო საგნების შესწავლას (კოლექციების, კრებულების) უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაკომპლექტების თვალსაზრისით და სამუზეუმო ფონდების ასღარიცხად, ექსპოზიციური სამუშაოების რეალიზაციისათვის, მუზეუმების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისათვის.

სამუზეუმო საგნების შესწავლა ხდება იმ მეთოდების საფუძველზე, რომლებიც შემუშავებულია მაპროფილებელი დისციპლინების მიერ: ბუნების ობიექტებისათვის ესაა საბუნებისმეტყველო მეთოდები (ბიოლოგიის, გეოლოგიის, ნიადაგმცოდნეობის და ა.შ.), ხელოვნების ქმნილებებისათვის – ხელოვნებათმცოდნეობის მეთოდები, ისტორიული ძეგლებისათვის (გამომდინარე იქედან, თუ რა საგანია) – არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის, ისტორიის მეთოდები და ა.შ.

ნებისმიერი სამუზეუმო საგნის შესწავლა იწყება მისი ატრიბუციით. ატრიბუცია (განსაზღვრა) – ესაა სამუზეუმო საგნისათვის დამახასიათებელი ნიშნების გამოვლენა. შესწავლის ეტაპი ითვალისწინებს როგორც საგნის ფიზიკურ, ქიმიურ და ა.შ. თვისებებს (ეს აუცილებელია შენახვის, დაცვის რეკომენდაციის შემუშავებისათვის), ასევე თვისებებს, რომელიც საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საგნის დანიშნულებაზე, მის წარმოშობაზე და ყოფის ისტორიაზე.

საგნების ფიზიკური და ქიმიური თვისებების შესწავლის საფუძველზე ადგენენ: რომელი მასალისგანაა დამზადებული, მათი დამზადების მეთოდი (ხელით ნამუშევარია თუ მასობრივი მექანიკური წარმოების პროდუქტია, ჩამოსხმულია, ნაჭედია, მოჭრილია, ნატვიფრია და ა.შ., ხელოვნების ქმნილებებისათვის – ზეთი, ტემპერა, აკვარელი, სანგინა, გრიფელის ფანქარი, გრავიურა, ლითოგრაფია და ა.შ.).

ასევე განისაზღვრება ფერი (მათ შორის ისიც, არის თუ არა ეს ფერი ბუნებრივი. ეს ეხება, მაგალითად, ნახევრად ძვირფას ან შე-

ღებვის შედეგად მიღებულ ქვებს, მაშინ მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომელი საღებავით ან რომელი საშუალებით დამზადდა იგი).

ზოგიერთი საგნისთვის მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ წონა: ნუმიზმატიკა, ძვირფასი ქვებისაგან და ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაკეთობანი. ხდება ყველა საგნის ზომის, ფორმის, მოწყობილობის, შექმნის დროსა და ადგილის, წარწერების, წებოს, ქარხნული ნიშნების (მარკების), ჰერალდიკის ნიშნების არსებობა და ა.შ.

ატრიბუტიკა ასევე გულისხმობს საგნის საავტორო, სოციალური, ეთნიკური, ღირსსახსოვარი კუთვნილების დადგენას. ეს საკითხი ყოველთვის მარტივად როდი წყდება. მუშაობაში გვეხმარება მონოგრაფიები, ალბომები, კატალოგები, სახელმძღვანელოები.

არსებობს სპეციალური გამოცემა – განმსაზღვრელები. განმსაზღვრელი ესაა სპეციალური სამუზეუმო გამოცემა, რომელიც გამოყოფს და აღწერს მონათესავე საგნების ჯგუფების ნიშნებს. ბინების ობიექტებისათვის განმსაზღვრელი გამოიყენება იგივე, რაც მაპროფილებელი დისციპლინისათვის.

როცა ვმუშაობთ ქაღალდზე დაფუძნებულ წყაროებთან (წერილობითი, სახვითი) გამოიყენება ფილიგრანის, შტემპელის, წლის ნიშნების (ქაღალდზე: მარკებზე, კონვერტებზე) კატალოგები და ა.შ., რაც საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ მასალის წარმოშობა, რომელზედაც შესრულებულია წყარო, მისი დამზადების დრო და ადგილი.

იარაღზე და სხვა ლითონისგან დამზადებულ ნივთზე მუშაობის დროს განისაზღვრება დაღი, იარაღის ტიპის და ა.შ. ხდებოდა ისეთი საგნების დაშანთვა, როგორიცაა აგური, კერამიკა, ფაიფური, მინა. მეტნაკლებად ხშირად გვხვდება განმსაზღვრელთა ჯგუფები – ნუმიზმატური და ფალერისტული: მონეტების, ჯილდოების, ფულის ნიშნების კატალოგების აღწერა (როგორც ქაღალდის – კუპონის, ტალონის, ასევე მეტალის).

ნებისმიერ შემთხვევაში, ატრიბუტიკას შეიძლება დაჭირდეს მნიშვნელოვანი „ძალისხმევა“, იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, რა საგანია ჩვენს თვალწინ. მაგალითად, ერთ-ერთ მუზეუმში ექსპონატის განსაზღვრისათვის დასჭირდათ თითქმის 40 წელი.

სირთულეები ატრიბუტიკასთან მიმართებაში შესაძლოა გაჩნდეს არა მარტო საგნებთან, რომელთა შესწავლასაც ჭირდება დრო რამდენიმე წლიდან რამდენიმე ათწლეულამდე. კარგად შეს-

წავლილი საგნები, რომლის შესახებაც ბევრი მონოგრაფიული კვლევაა დაწერილი, ასევე შეიძლება იყოს გაურკვევლად, არამკაფიოდ ატრიბუტირებული.

რთულია ხელოვნების საგნების ატრიბუტირება. შეიძლება მივმართოთ ხელოვნების ქმნილებათა კატალოგს სამხატვრო გალერეის ფონდებიდან, რომ გვქონდეს წარმოდგენა, თუ რა მეთოდებით დგინდება საგნის ავტორი, შექმნის დრო და ისეთი საგნების სხვა თვისებები, როგორიცაა სახვითი ხელოვნების ობიექტები. იკვლევენ გამოსახულების იკონოგრაფიას, ტარდება რენტგენოგრაფია (რაც საშუალებას გვაძლევს შევადაროთ ეტალონთან გრუნტის სიმკვრივე და საღებავის ფენა, დავადგინოთ ფერწერის ფენების რაოდენობა, თავდაპირველი კომპოზიციის გადაწერა), ტექნოლოგიური ანალიზი (გრუნტის დადების, შეღებვის, საღებავის ფენის მეთოდების ანალიზი და ა.შ.), ულტრაიისფერ და ინფრაწითელ დიაპაზონში, გრუნტის და საღებავის ქიმიური ანალიზი გრუნტის შექმნის და საღებავების შერევის მეთოდების ამა თუ იმ პიგმენტების არსებობის დასადგენად.

გამოსახულების ობიექტების დასადგენად (განსაკუთრებით, პორტრეტებში), იკონოგრაფიის გარდა, ასევე შეისწავლება ბიოგრაფიული, სამეცნიერო (თუკი არსებობს კვლევები) ლიტერატურა და ა.შ. ამასთანავე, ზოგჯერ ვერ ხერხდება ბოლომდე მიყვანა, რომ დადგინდეს, რა არის გამოსახული, ვის მიერ არის გამოსახული, ეს საკითხები შეიძლება სადაო გახდეს სამუზეუმო საგნის შესწავლის ახალ ეტაპზე.

სამუზეუმო საგნებისა და კოლექციების შესწავლისას მიღებული მონაცემები ფიქსირდება სამუზეუმო ფონდების აღრიცხვის დოკუმენტებში და სამუზეუმო ფონდების სამეცნიერო-ცნობათა აპარატში (საველე დოკუმენტებში, მიღების წიგნში და ინვენტარის წიგნში, მიღების აქტებში, კლასიფიცირებულ სქემებში, აღწერებში, ფონდების გზამკვლევებში, კარტოთეკებში, კატალოგებში და ა.შ.).

ატრიბუციის შედეგები, ისევე, როგორც სისტემატიზაციის, კლასიფიკაციის, საშუალებას გვაძლევენ ჩავატაროთ კრიტიკული ანალიზი, მივცეთ ინტერპრეტაცია სამუზეუმო საგნებს. ინტერპრეტაცია საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მოცემული საგნის ან კოლექციის ჭეშმარიტებაზე, უტყუარობაზე, რეპრეზენტაციულობაზე, საგანში ან კოლექციაში შემცველი სემანტიკური ინფორმაციის მოცულობაზე, ამ ინფორმაციის გამოყენების შესაძლებლობაზე სხვადასხვა მაპროფილებელი დისციპლინის მიერ, ასევე

საგნისათვის ან კოლექციისათვის დამახასიათებელ თვისებებზე: მისი ხანგრძლივი დროით შენახვის შესაძლებლობა, მიმზიდველობა (ატრაქციონიზმი), კომუნიკაციურობა, ექსპრესიულობა, უნიკალურ ან ტიპობრივ საგნებისადმი მიკუთვნება და ა.შ., ანუ განვსაზღვროთ მოცემული საგნის, კოლექციის სამუზეუმო ღირებულება (როგორც მთლიანობაში, ასევე კოლქციის ცალკეული საგნებისა). ყველაფერი ეს აისახება ექსპონატის პასპორტში.

ზემოთჩამოთვლილი ასპექტები მნიშვნელოვანია შენახვის რეჟიმისა და შენახვის სისტემის ნორმების განსასაზღვრად, კონსერვაციისა და რესტავრაციის მეთოდების ასარჩევად, საგნების ექსპონირების შესაძლებლობის საკითხების გადასაწყვეტად, მათი პუბლიკაციისა და ექსპონირებისათვის მოსამზადებლად და ა.შ. გარდა ამისა, სამუზეუმო საგნებისა და კოლექციების კვლევები განსაზღვრავენ მუზეუმების სამუზეუმო კვლევის პოლიტიკას.

კვლევები მუზეუმში საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სამუზეუმო კრებულის ყველა შემადგენელი ნაწილის ადგილი მაპროფილებელ სამეცნიერო დისციპლინების სისტემაში (კულტურის, საზოგადოებრივი წარმოების დარგები და ა.შ.). ეს ასახვას ჰპოვებს მუზეუმების მიერ შექმნილ გზამკვლევებში, კატალოგებში, აღწერებში, ცნობარებში, საინფორმაციო ცნობებში, სამეცნიერო სტატიებში და მონოგრაფიებში.

ასეთი სამუშაოების შედეგების მაგალითია ფონდებიდან დოკუმენტების კრებულის გამოცემა, კვლევითი ხასიათის სამუშაოები.

ასევე სამეცნიერო კვლევის შედეგები მუზეუმში გარდაიქმნებიან საკუთრივ სამუზეუმო მონოგრაფიების განსაკუთრებულ ვარიანტად: გამოფენები და ექსპოზიციები.

სამუზეუმო ექსპოზიციების შექმნის დროს, მაპროფილებელ დისციპლინებში კლვევების ჩატარების გარდა, ასევე ტარდება საკუთრივ სამუზეუმო კვლევა. მათ უნდა შეისწავლონ სამუზეუმო საგნის შესაძლო ინტერპრეტაცია (სამუზეუმო და საერთო წყაროთმცოდნეობა), რაც საშუალებას გვაძლევს ვაჩვენოთ სამუზეუმო საგნები საერთო სამეცნიერო და სპეციალური ცოდნის კონტექსტში, სპეციალისტების მიერ მოვლენებისა და პროცესების კონცეპტუალური გააზრების დონის გამოყოფა, მრავალი შესაძლო ინტერპრეტაცია.

ტარდება საკუთრივ სამუზეუმო კვლევა სამუშაოს სხვადასხვა მიმართულებით. მაგალითად, კვლევა სამუზეუმო პედაგოგიკის კუთხით: როგორ ვაჩვენოთ ექსპოზიცია სხვადასხვა ასაკის აუ-

დიტორიას, ამოვხსნათ ინფორმაციის აღქმის ფსიქოლოგიური თავისებურებანი სხვადასხვა ჯგუფის მეშვეობით (ასაკით, განათლების დონით, სოციალური სტატუსით და ა.შ.), შევიმუშავოთ საექსკურსიო მარშრუტი, ლექტორიუმი, უპირატესობა მივანიჭოთ ელექტრონული გიდების ან ექსკურსიამძღოლთან ერთად ტრადიციულ ექსკურსიებს.

გამოფენებისა და ექსპოზიციის შემუშავებისას ტარდება კვლევები დიზაინის დარგში (სხვადასხვა საგნების ერთიმეორესთან მიმართებაში აღქმა, ფერის, სინათლის, სამუზეუმო სივრცეში „მკვდარი ზონების“ აღქმა – ისეთი ადგილებისა, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ აღიქმება მაყურებლის მიერ და ა.შ.). ხდება სამუზეუმო ფონდების დაკომპლექტების სამეცნიერო საფუძვლების შემუშავება: კრიტერიუმების შემუშავება, რომელთა მიხედვითაც, საგნები იყოფა სამუზეუმო ღირებულების მხრივ და რეკომენდირებულია მათი ამოღება საყოფაცხოვრებო გარემოდან, ანუ მათი გარდაქმნა სამუზეუმო საგნებად.

სამუზეუმო კვლევის სპეციფიკური დარგი, რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია ბოლო ათწლეულის მანძილზე, ესაა სამუზეუმო მენეჯმენტი (უმეტესწილად კვლევები გამოყენებით ხასიათს ატარებენ, თუმცა შეიძლება მოხდეს სამუზეუმო მენეჯმენტის საერთო თეორიების შემუშავება). ეს კვლევები მიმართულია სხვადასხვა სტრუქტურების, თითოეული კონკრეტული მუზეუმისათვის ოპტიმალური ურთიერთქმედების მოდელის ჩამოყალიბებაზე (სამსახურების, განყოფილებების და ა.შ.), რენტაბელობის საკითხების გადაწყვეტაზე, მუზეუმის საქმიანობის შესაბამისობაზე მის წინაშე მდგარ ამოცანებთან, ზოგადად მუზეუმის, მისი სტრუქტურული ერთეულების განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული გეგმების განვითარებაზე და ა.შ.

მუზეუმში კვლევები მიმდინარეობს სამუზეუმო ფონდებში. კვლევის მიზანია ახალი ფაქტების გამოვლენა, ანალიზი და კვლევის შედეგების გამოქვეყნება პუბლიკაციის სახით.

კვლევები მუზეუმში ემსახურება სპეციფიკურ სამუზეუმო მოთხოვნებს: კონსერვაციისა და რესტავრაციის ამოცანების გადაწყვეტა, შენახვის რეჟიმისა და შენახვის სისტემაზე დაკვირვება, მიმდინარე პროცესებისა და მოვლენების დოკუმენტური აღნუსხვა და ა.შ. მუზეუმების კვლევითი სამუშაოები ატარებენ ინტეგრალურ ხასიათს, ანუ აერთიანებენ მუზეუმის საქმიანობის სხვადას-

ხვა მიმართულებას: სამეცნიერო-საფონდო, ექსპოზიციურ-გამოფენითი, კულტურულ-აღმზრდელობითი.

პრაქტიკაში ასეთი კვლევების ჩატარება შეუძლიათ მხოლოდ დიდ მუზეუმებს, რომელთაც აქვთ შესაბამისი საშტატო ერთეულები და გააჩნიათ სახსრები მათ შესანახად. მცირე მუზეუმები, შეზღუდული შტატების გამო, მოკლებული არიან ასეთი ტიპის მუშაობის ჩატარების შესაძლებლობას.

მაგალითად, საქართველოს ეროვნული მუზეუმი არის ქვეყანაში მთავარი სამუზეუმო სამეცნიერო-საგანმანთლებლო დაწესებულება, რომელიც შეიმუშავებს მეთოდოლიგიურ რეკომენდაციებს, არის სემინარების, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ორგანიზატორი და სხვ.

ბათუმში მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, არქეოლოგიის მუზეუმი და ხელოვნების მუზეუმი, თავიანთი პროფილით, წარმოადგენენ წამყვან სამუზეუმო დაწესებულებებს რეგიონში და, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებლობა აქვთ აწარმოონ კვლევითი და ანალიტიკური სამუშაოები. ამავდროულად ამ მუზეუმებს შეუძლიათ რეგიონის სამუზეუმო სფეროში სამეცნიერო-კვლევითი ლიდერობა. როგორც სამეცნიერო და მეთოდოლოგიური ცენტრი, ბათუმის მხარეთმცოდნეობის და არქეოლოგიის მუზეუმები ატარებენ სამეცნიერო კონფერენციებს, სიმპოზიუმებს. ხელოვნების მუზეუმი აწყობს ხელოვნების ბიენალეს (საერთაშორისო გამოფენა ან ფესტივალი, რომელიც ორ წელიწადში ერთხელ იმართება), ამზადებს სხვადასხვა შემეცნებით პროექტებს.

ამ მუზეუმებს აქვთ შესაძლებლობა სხვა მუნიციპალურ და უწყებრივ მუზეუმებს გაუზიარონ გამოცდილება, გაუწიონ მეთოდოლოგიური დახმარება, შეაფასონ მათი სამეცნიერო ნამუშევრის დონე, გამოაქვეყნონ კვლევის შედეგები, დაამყარონ კავშირები მაპროფილებელ უმაღლეს სასწავლებლებთან და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან და ა.შ.

სამუზეუმო საქმის რიგი საკითხების კვლევა შეიძლება სხვა სტრუქტურების კვლევის სფეროც იყოს: უმაღლესი სასწავლებლების მაპროფილებელი ფაკულტეტების, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების და სხვ.

რესპუბლიკური, რეგიონალური, მუნიციპალური და სხვა მუზეუმების გაერთიანებულ მუშაობას აქტუალურ სამეცნიერო პრობლემებზე დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი ფლობენ სა-

ინტერესო ფონდებს, ადგილობრივი მუზეუმები კი არ ფლობენ საკმარის რესურსებს კვლევის დამოუკიდებლად ჩასატარებლად.

მუზეუმის სამეცნიერო კვლევები უნდა იყოს დაკავშირებული მუზეუმის მუშაობის კონცეფციასთან. მუზეუმის კონცეფციაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს გეგმამ უნდა ჰპოვოს სათანადო ასახვა. ასეთი დაგეგმარების ვადები განისაზღვრება საკვლევი თემის „მოცულობით" და სირთულით, დავალების სიახლით (მუზეუმების პერსპექტიული დაგეგმარება, განსაკუთრებით, სახელმწიფო მუზეუმებისა, განისაზღვრება 5 წლის ვადით და იშვიათად უფრო მეტი ხნით, საზღვარგარეთის მუზეუმები გეგმავენ 5-10 წლის ვადით, ხოლო პერსპექტიული გეგმები დგინდება 20 წლის ვადითაც კი) და ა.შ.

გადაშენებული ჰომინიდები – ნეანდერტალელები ფართოდ იყვნენ გავრცელებული ევრაზიაში, მათ შორის, საქართველოშიც. მათი ისტორიის კვლევა პალეოანთროპოლოგიის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

დიდი ხნის განმავლობაში მათი შესწავლა არქეოლოგიური კვლევით შემოიფარგლებოდა. 1997 წელს მაქსპლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფმა პროფ. სვანტე პააბოს ხელმძღვანელობით მსოფლიოში პირველებმა შესძლეს შეესწავლათ ნეანდერტალელების გენი. ამავე ჯგუფმა მიიღო ნეანდერტალელების სრული გენომი.

ამჟამად მიმდინარეობს საქართველოს ეროვნული მუზეუმის და მაქს პლანკის ევოლუციური ანთროპოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოში აღმოჩენილი ნეანდერტალელების გენეტიკურ კვლევას.

5.5. ექსკურსია მუზეუმში

მუზეუმი არ მიეკუთვნება ადგილების იმ კატეგორიას, სადაც მისვლა ადამიანისთვის აუცილებელია (სკოლა – ბავშვებისათვის, სამსახური – უფროსებისათვის). შესაბამისად, მუზეუმის ამოცანაა – დამთვალიერებლების მოზიდვა. ეს მოითხოვს საზოგადოებასთან მუშაობის სპეციფიკური ფორმების შემუშავებას, მათში მუზეუმის ნახვის სურვილის გაჩენას, დაათვალიერონ ექსპოზიციები და გამოფენები, მონაწილეობა მიიღონ მუზეუმის ღონისძიებებში და ა.შ.

ამ ფორმების შემუშავება მთავარი ამოცანაა მუზეუმის მუშაობის ისეთი მიმართულებისა, როგორიცაა კულტურულ-საგანმანათლებლო და რეკრეაციული მოღვაწეობა. დღევანდელ დღეს გვაქვს სრულიად ჩამოყალიბებული ტრადიციები, თუმცაღა ახალ ფორმებსაც ეძიებენ. მუზეუმების კულტურულ-საგანმანათლებლო და რეკრეაციული მუშაობის ძირითადი ფორმა არის ექსკურსიების მომზადება და ჩატარება.

ექსკურსია (ლათინურად: excursio – მგზავრობა) ესაა მუზეუმის მუშაობის ფორმა, რომელიც დაფუძნებულია წინასწარ განსაზღვრულ თემაზე სამუზეუმო ჩვენების ობიექტების კოლექტიურ დათვალიერებაზე და სპეციალურ მარშრუტზე სპეციალისტის, ექსკურსიამძღოლის ხელმძღვანელობით. ექსკურსიის მონაწილეებს, დამთვალიერებლებს უწოდებენ ექსკურსანტებს. ექსკურსიები, როგორ მუშაობის ფორმა გამოიყენება არა მარტო სამუზეუმო საქმეში, არამედ მოღვაწეობის სხვა სფეროებშიც. სამუზეუმო ექსკურსია მიმაგრებულია სპეციალურად ორგანიზებულ სივრცეს – სამუზეუმო დაწესებულებებსა და ტერიტორიებს.

ექსკურსიები, როგორც მუზეუმში კულტურული-შემეცნები-

თი მუშაობის ფორმა, გამოიყენება გვიან შუასაუკუნეებში. ექსკურსიის ცალკეული ელემენტები მუზეუმების საქმიანობაში გაჩნდა მუზეუმის გაჩენისთანავე: განმარტებები, რომლებიც დაცვის თანამშრომლებმა მისცეს მუზეუმების მნახველებს, შეიძლება მივიჩნიოთ თანამედროვე ექსკურსიის თავისებურ წინამორბედად. მოგვიანებით საექსკურსიო სამუშაოს ჩამოყალიბება, როგორც სამუზეუმო საქმიანობის განსაკუთრებული მიმართულება, გაჩნდა XVIII საუკუნიდან. XIX საუკუნეში სამუზეუმო პედაგოგიკის ჩამოყალიბებასთან ერთად ჩნდება ექსკურსიებიც, რომლებიც გათვლილია სხვადასხვა ასაკობრივ, სოციალურ, პროფესიონალური დონის კატეგორიაზე.

ექსკურსიაში საგნების ჩვენება და მათზე მონათხრობი ერწყმის ერთმანეთს. მნახველის შთაბეჭდილებები ყალიბდება საგნის სხვადასხვა კუთხით დათვალიერების შესაძლებლობიდან გამომდინარე, სხვადასხვა მანძილიდან, სამუზეუმო დაწესებულების გადაადგილების პროცესში. ექსკურსიამძღოლის მონათხრობი შეიცავს დანახულ საგნებს უფრო ფართო ინფორმაციულ კონტექსტში, რომელიც გადმოცემულია ვერბალურად. თავის მხრივ, ვერბალური ინფორმაცია ძლიერდება იმ ფენომენების განსაკუთრებული საგნობრივი სახის (სამუზეუმო სახე) ჩამოყალიბების ხარჯზე, რომელთაც ეძღვნება ექსკურსია. ექსპოზიციის მასალების ზემოქმედების გაძლიერებას ხელს უწყობს ექსკურსიის კოლექტიური ხასიათიც, რომელიც ქმნის გამოცდილებათა ერთიანობას, რომელიც საშუალებას გვაძლევს მოსაზრებები გავცვალოთ ნანახისა და გაგონილის შესახებ. ექსკურსიებს უფრო და უფრო ხშირად განიხილავენ როგორც კომუნიკაციის განსაკუთრებულ საშუალებას (ცნება „სამუზეუმო კომუნიკაციაც“ კი გაჩნდა), რომლის საგანია ისტორიის, კულტურის, ბუნების ღირებულებები, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ ექსკურსიის ყველა მონაწილისათვის, ექსკურსანტებისა და ექსკურსიამძღოლებისათვის.

სამუზეუმო ექსკურსია შეიძლება იყოს სხვადასხვა ხასიათის. სამუზეუმო ექსკურსიის სახე და შინაარსი დამოკიდებულია სამუზეუმო კოლექციის პროფილზე: საბუნებისმეტყველო, ისტორიული და ა.შ.;

მიზნობრივი მიმართულების მიხედვით ექსკურსია შეიძლება იყოს:

- ზოგადსაგანმანათლებლო;
- მეთოდური (რომლებიც სპეციალისტებზეა ორიენტირებუ-

ლი და დაკავშირებულია ცალკეული მიმართულებების პრინციპების ამოხსნასთან, ფონდების ორგანიზაციის თავისებურებებთან, ექსპოზიციის აგების პრინციპებთან, სამუზეუმო ექსპოზიციების სასწავლო პროცესში შეტანასთან და ა.შ.);

- სასწავლო (რომელიც დაკავშირებულია სასწავლო დაწესებულებების პროგრამების რეალიზაციასთან), აკადემიური ან სპეციალური (სპეციალისტებისათვის მაპროფილებელი დისციპლინებში);

თემატიკის მიხედვით:

- მიმოხილვითი (მუზეუმის ყველა ექსპოზიციაზე, რომლებიც ძირითადად ექსკურსანტებზეა გათვლილი, ვისაც ადრე არ უნახავს აღნიშნული მუზეუმი);
- თემატური (დეტალურად განიხილავენ რომელიმე თემას ან პრობლემას);
- ციკლური (რამდენიმე ლექცია, რომელიც რომელიმე თემასთან არის დაკავშირებული; უფრო ხშირად ორიენტირებულია მუმდივი მნახველების ჯგუფებზე);

ექსკურსანტები შემადგენლობის მიხედვით შეიძლება იყოს:

- ასაკის მიხედვით (ბავშვები, უფროსები);
- სოციალური შემადგენლობის მიხედვით (სხვადასხვა პროფესიული ჯგუფისათვის);
- საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;
- ქვეყნის მოქალაქეებისათვის თუ უცხოელებისათვის;
- საექსკურსიო ჯგუფების ხასიათის მიხედვით (შემადგენლობის მიხედვით, ერთნაირი აუდიტორიისათვის თუ სხვადასხვა შემადგენლობის აუდიტორიისათვის, მაგალითად, მშობლები შვილებთან ერთად და ა.შ.).

ჩვენების ჩატარების ადგილისა და ობიექტების მიხედვით:

- სამუზეუმო ექსკურსია: ექსპოზიციის, დროებითი გამოფენების, საფონდო ექსკურსია (ექსკურსია სამუზეუმო ტერიტორიაზე);
- მუზეუმსგარეთა ექსკურსია: ღირსშესანიშნავ ადგილებში და ა.შ.
- კომპლექსური ექსკურსია: ერთ თემად აერთიანებს სამუზეუმო ექსპოზიციისა და ძეგლების ჩვენებას (მუზეუმსგარეთა სამუზეუმო და არასამუზეუმო ობიექტებს);

გადაადგილების მეშვეობით:

- ავტობუსით;
- ქვეითად;
- საზღვაო და ა.შ.

ექსკურსიის სხვა კლასიფიკაციაც არის შესაძლებელი. მაგალითად, გერმანულმა მუზეუმებმა 1997 წლიდან საკმაოდ წარმატებულად დანერგეს „სამუზეუმო ღამეების“ იდეა – ღამის ექსკურსიები სამუზეუმო ექსპოზიციებში. ექსკურსიის მონაწილეების გადაადგილება უზრუნველყოფილია ავტობუსებით, რომლებსაც გადაყავს ისინი მუზეუმიდან მუზეუმში, ასევე უზრუნველყოფილია საკვებით.

პირველი ქალაქი, რომელმაც ეს ექსპერიმენტი შემოგვთავაზა, იყო ბერლინი (2004 წ). ექსპერიმენტში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 50 ქალაქი ღებულობდა მონაწილეობას. ამჟამად ამ გამოცდილებას იყენებენ ევროპის ქალაქები (გერმანულ ქალაქებთან ერთად, დღევანდელ დღეს, ექსპერიმენტში ჩაერთო დაახლოებით 120 ქალაქი, მაგალითად, პარიზი, რეიკიავიკი, ამსტერდამი, ბაზელი და ა.შ.).

ექსკურსიის წარმატებით წაყვანა ბევრადაა დამოკიდებული ექსკურსიამძღოლის მიერ მასალის სწორად მიწოდების შესაძლებლობასთან, დააინტერესოს მნახველი თემით. ექსკურსია უნდა იყოს „მიმართულებითი“, ანუ გაითვალისწინოს სწორედ კონკრეტულ დამთვალიერებელთა ჯგუფის თავისებურებები. ექსკურსიამძღოლისათვის მნიშვნელოვანია კონტაქტი დაამყაროს აუდიტორიასთან, მოიპოვოს მათი ყურადღება.

ექსკურსია შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან:

- შესავალი სიტყვა;
- ძირითადი ნაწილი;
- დასკვნითი სიტყვა.

ექსკურსიის მომზადებაში მონაწილეობს მუზეუმის თანამშრომლების ფართო წრე: ექსკურსიამძღოლები, მეთოდისტები, მეცნიერ-მუშაკები (მონაწილეების ასეთი ჩამონათვალი უფრო მეტად ახასიათებს დიდი შტატის მქონე მსხვილი მუზეუმის მუშაობას). ზოგიერთ მუზეუმს, ჩვეულებრივ, ზომით და შტატით არც თუ ისე დიდს, შეიძლება არ გააჩნდეს ექსკურსიამძღოლების სპეციალური თანამდებობები, ეს ფუნქცია შეიძლება მეცნიერ-თანამშრომლებმა შეითავსონ.

ნებისმიერ ექკურსიას სჭირდება მომზადება. მუშაობა იწყება

თემის ფორმულირებით, მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრით, ბიბლოგრაფიის შედგენით (წყაროებისა და კვლევების), ლიტერატურასთან მუშაობით. შემდეგ წარმოებს სამუშაოები ექსპოზიციასთან: ხდება საჩვენებელი ობიექტების შერჩევა, იქმნება ექსკურსიის მარშრუტი, განისაზღვრება მისი სტრუქტურული ნაწილები, ფონდის დოკუმენტაციის საფუძველზე შეისწავლიან ცნობებს საგნების შესახებ, ხდება ექსპონატების წარმოდგენის ოპტიმალური მეთოდის შერჩევა, ლოგიკური კავშირები ობიექტებს შორის და ექსკურსიის პროცესში ერთი ექსპონატიდან მეორეზე გადასვლის შესაძლებლობა.

ამ სამუშაოს შედეგების საფუძველზე ექსკურსიის ავტორი წერს ტექსტს და ადგენს დეტალურ გეგმას. გეგმაში ჩამოყალიბებულია ექკურსიის მიზანი, მოცემულია მისი სტრუქტურა, თემებისა და ქვეთემების მოკლე შინაარსი, მარშრუტი, ჩვენების (ექსპონატების) ობიექტების შემადგენლობა და მათი ჩვენების დრო, კონკრეტდება შესავალი და დასკვინითი სიტყვის შინაარსი, კეთდება დასკვნა იმ ჯგუფის ხასიათზე, რომელზეც ორიენტირებულია ექსკურსია (ასაკი, სოციალური და პროფესიული სტატუსი და ა.შ.).

გეგმის საფუძველზე ტარდება საცდელი ექსკურსია. იგი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ პოტენციური ექსკურსიის დადებითი და უარყოფითი მხარეები და შევიმუშაოთ მისი უარყოფითი მხარეების გამოსწორების მეთოდები.

სამუშაოს ამ ეტაპის შედეგების მიხედვით ხდება ექსკურსიის მეთოდური შესწავლა. იგი იგება იმავე თემაზე, რაზეც დეტალური გეგმა, მაგრამ ემატება მეთოდური ხერხების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც რეკომენდირებულია ამ ექკურსიასთან მომუშავე ექსკურსიამძღოლებისათვის. შემაჯამებელი დოკუმენტი განიხილება მუზეუმის მეთოდურ საბჭოზე და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ექსკურსიის დამტკიცების შემდეგ მას ეცნობიან ექსკურსიამძღოლები. ექსკურსიამძღოლი უნდა იყოს კომპეტენტური, ანუ ფლობდეს თემას მაღალ პროფესიულ დონეზე, მზად უნდა იყოს გასცეს კითხვებს პასუხი, მათ შორის, უპასუხოს პროფესიონალებსაც. შეცდომები თუ უზუსტობები ექსკურსიიდან მიღებულ შთაბეჭდილებას აფერმკრთალებენ, „კლავენ“ არა მარტო კონკრეტული ექსკურსიის მნახველის ინტერესს, არამედ ზოგადად, მუზეუმის ნახვის ინტერესს. ასევე მნიშვნელოვანია როგორ წარმოთქვამს ტექსტს ექსკურსიამძღოლი. იგი ზეპირად უნდა იქნას შესწავლი-

ლი, მაგრამ ეგეც არ არის საკმარისი. ექსკურსია ტექსტის წარმოთქმა კი არა, არამედ ტექსტის მოყოლაა. ექსკურსიამძღოლი უნდა ფლობდეს აუდიტორიის ყურადღებას, რეაგირებას ახდენდეს ექსკურსიის მონაწილეთა განწყობილებაზე და ა.შ.

ჯგუფთან კონტაქტის დასამყარებლად მნიშვნელოვანია სწორად ჩამოვაყალიბოთ გამოსასვლელი სიტყვა. ამ ნაწილში ექსკურსიამძღოლმა წარმოდგენა უნდა შექმნას მუზეუმის შესახებ, ექსკურსიის თემის შესახებ, მისი წარმართვის პროცესზე. აქ მნიშვნელოვანია არა მარტო გავცეთ ინფორმაციის მინიმუმი, არამედ ზეგავლენა მოვახდინოთ აუდიტორიაზე. ექსკურსიამძღოლი უნდა „ასხივებდეს“ კეთილგანწყობას, უნდა მოახდინოს აუდიტორიაში დაინტერესება და ამავე დროს ისეთი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდეს, რომელმაც „ცოტათი“ მეტი იცის, ვიდრე სხვა დანარჩენმა, და არა ქედმაღალი ადამიანის შთაბეჭდილებას, და იგი მზადაა გაუზიაროს ეს ცოდნა სხვას.

უდიდეს როლს თამაშობს მოსაყოლად შერჩეული ინფორმაცია. ზედმეტი ინფორმაცია ღლის ადამიანს, ხოლო ინფორმაციის უკმარისობა შეიძლება შეურაცხმყოფელად მოგვეჩვენოს („იგი ღებულობს სახეს, თითქოს ეს ყველასთვისაა ცნობილი, ჩემს გარდა“, – იფიქრებს მნახველი, თავს კარგად ნამდვილად ვერ იგრძნობს).

წარუმატებელი ექსკურსიის მაგალითი აღწერა უილიამ ჰატონმა, რომელიც ესტუმრა ბრიტანეთის მუზეუმს 1794 წელს. ექსკურსიამ იგი ძალიან გააოცა: „დაახლოებით 30 წუთის განმავლობაში ჩვენ დავასრულეთ მდუმარე მსვლელობა ამ დიდებულ შენობაში – მოგზაურობა, რომელსაც თავისუფლად შეეძლო დაეკავებინა 30 დღე. მე გამოვედი არანაირად მეტად დახელოვნებული, ვიდრე შევედი, მაგრამ მწარე ფიქრით იმის შესახებ, რომ ხელიდან არ გამეშვა ეს შესაძლებლობა, მე იმ დილით უდიერად შევწყვიტე საინტერესო მუსაიფი სამ ჯენტლმენთან, უარი ვთქვი საუზმეზე, სულ დავსველდი, ნახევარი კრონი გადავიხადე დაქირავებულ კარეტაში და 2 შილინგი – ბილეთში და ყველაფერი ეს მხოლოდ იმისათვის, რომ მე უხეშად ვეტარებინე დარბაზებში და დავკარგე რა ის მცირე ნაგლეჯი კარგი სულიერი განწყობილებისა, რომლითაც მოვედი, დავტოვე მუზეუმი უკიდურესად განაწყენებულმა“.

ამიტომ, როდესაც ვარჩევთ ინფორმაციას ექსკურსიისათვის, მნიშვნელოვანია გავაკეთოთ მთავარი, თუკი ექსკურსანტს სურს გაიგოს უფრო მეტი, მაშინ მას ექსკურსიამძღოლთან ურთიერთო-

ბისას, მისთვის კითხვების დასმის დროს, მას შეუძლია მიიღოს უფრო დეტალური ინფორმაცია. მნიშვნელოვანია წარვმართოთ ექსკურსია, როგორც საუბარი, ურთიერთობა, შევეცადოთ ზემოქმედება მოვახდინოთ მნახველზე, გავარკვიოთ მისი დანახულისა და მოსმენილის შთაბეჭდილებები. ექსკურსიის მნიშვნელოვანი ნაწილია დათვალიერების ერთი ობიექტიდან მეორეზე გადასვლა. ჯობს მათი გამოყენება ჯგუფთან ურთიერთობისათვის: კითხვებზე პასუხების გასაცემად, ინფორმაციის დაზუსტების მიზნით, რომ მოვყვეთ, თუ რას ვნახავთ ამის შემდეგ.

უამრავი მეთოდი (ხერხი) არსებობს მნახველთან კონტაქტის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად. ევრისტული მეთოდი (ბერძნულად, „ვიპოვე“, „მოვძებნე“) გულისხმობს საუბარს კითხვა-პასუხის ფორმატში. გვაცნობებს რა საწყისს მასალას, ექსკურსიამძღოლს იმგვარად მიყავს საუბარი, რომ შემდეგ, კითხვის დასმის დროს, მნახველი კითხვაზე პასუხს ღებულობს. ეს ქმნის ექსპოზიციის მასალის დამოუკიდებლად გათავისების შთაბეჭდილებას, სადაც ექსკურსიამძღოლი დამხმარის როლს ასრულებს. პირდაპირ, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ კითხვებს მხოლოდ საბავშვო აუდიტორიას უსვამენ. უფროსების აუდიტორიის მიმართ კი კითხვები ირიბად უნდა დავსვათ, რადგან მათ გავუღვივოთ ინტერესი გაგვიზიარონ ინფორმაცია და აზრი, რომელიც ექსკურსიის მონაწილეებს გააჩნიათ.

ამოცანის მეთოდი ითვალისწინებს არც თუ ისე რთული დავალების შესრულებას: ყველაზე საინტერესო ექსპონატის არჩევა, ჩვენების ობიექტიდან მიღებული შთაბეჭდილებების მოყოლა და ა.შ.

ბავშვების და უფროსების აუდიტორიასთან მუშაობა მოითხოვს სხვადასხვანაირ თხრობას. ბავშვებს შეიძლება მივაწოდოთ ინფორამცია და აქცენტი გავაკეთოთ ინფორმაციის შემეცნებასა და სიახლეზე. მათთვის მისაღები და ბუნებრივია, რომ უფროსმა ადამიანმა მასზე მეტი იცის, შეუძლია მოყვეს რაღაც ახალი და საინტერესო. კითხვების დასმა და ვიქტორინის მოწყობა შეიძლება, ასევე შეიძლება შეჯიბრი ცოდნაში. მსგავსი სახის თხრობა აბსოლუტურად მიუღებელია უფროსების აუდიტორიისათვის. ზრდასრული ადამიანისათვის, როგორც წესი, უცხოა როგორც „ფრიადოსანის“ როლი (გაახაროს თავისი ცოდნით მასწავლებელი), ასევე „ოროსანის“ როლი (რომელმაც არ იცის ის, რაც ყველასთვის ცნობილია).

ჩვენი აზრით, მუშაობის მეტ-ნაკლებად მოცულობითი ხერხები უფროს აუდიტორიასთან აღწერა კ. ჰადსონმა, ისინი აღნიშნა

როგორც „ანჟეს მიდგომა“ (დავიდ დ’ანჟეს მუზეუმის სახელწოდების მიხედვით). იგი გვირჩევდა აგვეღო სამი ამოსავალი წერტილი: „პირველი, მოვიდა მნახველი, იმიტომ, რომ მას უნდოდა მოსვლა, იმიტომ, რომ ის ჭეშმარიტად დაინტერესებულია; მეორე, იგი არ ელის თავისი თავისთვის მუზეუმისგან პრობლემებსა და დაბრკოლებებს, მესამე, როცა მნახველი შედის მუზეუმში და იმ თემის შესახებ არაფერი იცის, რომელიც მიძღვნილია მუზეუმისადმი და იმედი აქვს, რომ დათვალიერების დროს ბილეთის ღირებულების ფასად მიიღებს რაღაც მნიშვნელოვანს. მას მიაჩნია, რომ ის სხვებზე უარესი არ არის და მუზეუმმა არ უნდა გადაარწმუნოს იგი ამ საკითხში“.

ამიტომაც კითხვები, რომლებიც უფროსი აუდიტორიის მიმართ არის განკუთვნილი, რეკომენდირებულია ირიბი სახით დავსვათ: „როგორც თქვენ ალბათ გახსოვთ...“, „თქვენ, რა თქმა უნდა, იცით...“ და ა.შ. ეს საშუალებას აძლევს მნახველს მიიღოს ცოდნა და არ განიცადოს დისკომფორტი საკუთარი უცოდინარობის გამო, შესაძლებლობას გვაძლევს ნდობაზე დაფუძნებული საუბრის შთაბეჭდილება შევქმნათ, სადაც თანამოსაუბრეები სხვადასხვა არიან და ერთმანეთისათვის საინტერესო.

ასევე მნიშვნელოვანია ისიც, თუ როგორ მოძრაობს ექსკურსიამძღოლი, მისი ჟესტიკულაცია და ა.შ., რადგან ექსკურსია არა მხოლოდ მოყოლა, არამედ ექსპოზიციაში საგნების ჩვენებაცაა. ექსკურსიამძღოლი არ უნდა დაეფაროს ჩვენების ობიექტებს, არ უნდა დადგეს მათკენ ზურგით (ეს უინტერესობის და ჩვენების ობიექტების უმნიშვნელობის შთაბეჭდილებას ქმნის), არამედ ნახევრად შებრუნებული. ექსკურსიამძღოლმა უნდა მიუთითოს საგნებზე, გამოყოს ისინი დასათვალიერებლად თხრობის მომენტში, განსაზღვროს საგნის მდგომარეობა ან რომელიმე ფრაგმენტი (ამ მოძრაობებს ექსკურსიის სხვა მონაწილეები გაიმეორებენ).

მნიშვნელოვანია შევქმნათ შესაძლებლობა კარგად დავათვალიეროთ ჩვენების ობიექტი პაუზის გაკეთებით. ჟესტები ზუსტად უნდა იყოს გათვლილი და ხელი არ უნდა შეუშალოს საგნების აღქმას. ახლა, როგორც წესი, უარს ამბობენ მაჩვენებლების გამოყენებაზე, რადგან ისინი ექსკურსიამძღოლისკენ იქცევენ ყურადღებას და ყურადღება გადააქვთ საგნიდან ადამიანზე. მაგრამ „ჟესტიკულაციის“ წესები იგივე რჩება: ჟესტი მხოლოდ მიგვითითებს საგანზე, არ შეიძლება ამაოდ გამოვიყენოთ მაჩვენებელი ან ხელი, როცა მივუთითებთ საგანზე, უნდა გამოვწიოთ მაჩვენებელი ან ხე-

ლი, ჩვენების ობიექტი დასათვალიერებლად ხელმისაწვდომი უნდა გავხადოთ. ზედმეტი ჟესტიკულაცია ადამიანისკენ იქცევს ყურადღებას, დაძაბულობისა და დისკომფორტის მდგომარეობას ქმნის.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს ექსკურსიამძღოლის ემოციური განწყობაც. დამწყებ ექსკურსიამძღოლებს ზოგჯერ ურჩევენ „აღელდნენ“, რათა გამოავლინონ ზედმეტი ემოციურობა ვიდრე არანაირი ემოცია.

ექსკურსიის დასკვნით ნაწილში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ის ნაწილი, რომელიც კითხვებზე პასუხისაგან შედგება. ექსკურსიამძღოლმა უნდა გამოავლინოს ინტერესი იმის მიმართ, თუ როგორი შთაბეჭდილება მოახდინა მისმა მონაყოლმა ექსკურსანტებზე, რა გაიგეს ახალი და ა.შ. თუკი კითხვები „გამოილია“, არაა მიზანშეწონილი უბრალოდ დავტოვოთ ჯგუფი. დადებითი შთაბეჭდილებები მყარდება დამოუკიდებელი დათვალიერებით, აი, რისი შეთავაზება ჯობს.

თუკი ექსკურსია თემატურია (არა ყველა ექსპოზიციისა), მაშინ ჯობს შევთავაზოთ მუზეუმის დათვალიერება ან მისი ნახვა სხვა ექსკურსიის შემადგენლობაში. ექსკურსიამძღოლს სრულიად შეუძლია „ურჩიოს“ რომელიმე სამუზეუმო ღონისძიება, შეატყობინოს მისი ჩატარების თარიღი, გადასცეს ასეთი ღონისძიებების ანოტაციები და სამახსოვრო ფურცლები. შეიძლება კიდევ ერთხელ „შევახსენოთ“ რეკრეაციული ზონების შესახებ: მაღაზიები, ჯიხურები და ა.შ. იქ შეძენილი ბუკლეტები, სუვენირები და ა.შ. გაამყარებენ მეხსიერებას მუზეუმში ვიზიტის შესახებ. მთავარია, რომ ეს გავაკეთოთ ზუსტად „კეთილი ნაცნობის რჩევის“ სახით, თავს არ მოვახვიოთ ჩვენი სამსახური და წინადადებები, როგორც შესასრულებლად აუციცილებელი. მნახველმა მუზეუმიდან უნდა წაიღოს დადებითი ემოციები და სურვილი, კიდევ ერთხელ მობრუნდეს.

5.6. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის სხვა ფორმები მუზეუმში

მუზეუმის ნახვა, ადამიანების უმრავლესობისათვის (როგორც ჩანს, ცხოვრებისეული გამოცდილებიდან გამომდინარე), ჩვეულებრივ ასოცირდება ან ორგანიზებულ ექსკურსიაში მონაწილეობასთან, ან ექსპოზიციის „ინდივიდუალურ“ დათვალიერებასთან.

თუმცა ექსკურსია სულაც არ არის მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ერთადერთი ფორმა. კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ფორმათა რაოდენობა მუზეოლოგიის ლიტერატურაში მერყეობს ათიდან ასამდე და უფრო მეტიც არის. პირველი რიცხვი, ჩვენი აზრით, უფრო ახლოა ჭეშმარიტებასთან.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საბაზო ფორმებს მიაკუთვნებენ, ექსკურსიის გარდა, ლექციას, კონსულტაციას, სამეცნიერო ხასიათის მოხსენებითი გამოსვლა (კონფერენციები, სესიები, სხდომები და ა.შ.); კლუბი (სტუდია, წრე და ა.შ.); კონკურსი (ვიქტორინა, ოლიმპიადა და ა.შ.); შეხვედრების საღამო, კონცერტი (კინოსეანსი, თეატრალური წარმოდგენა, ლიტერატურული, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო); სამუზეუმო დღესასწაული, ოჯახის გამოსასვლელი დღის აბონემენტები, სამუზეუმო თამაში, მუზეუმის გამოსასვლელი დღე, მასტერ-კლასი და სხვ.

ამ ფორმების რიცხვი, მუდმივად ცვალებადი სიდიდეა: ერთი სახის ფორმები გამოჩნდებიან, მეორე სახის ფორმები წყვეტენ პუბლიკის მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამიტომ საზოგადოებას მათთვის საინტერესო ახალი პროექტები უნდა შევთავაზოთ.

მუზეუმების მასობრივი მუშაობის ერთ-ერთი ტრადიციული ფორმა, ექსკურსიასთან ერთად, არის ლექცია. ლექციები შეიძლება გაერთიანდნენ ციკლებად – ლექტორიუმებად. ლექტორიუმების ორგანიზაცია მუზეუმებში XIX საუკუნიდან გამოიყენება. თავდაპირველად ლექციების წასაკითხად იწვევდნენ რომელიმე სამეცნიერო დარგის წამყვან სპეციალისტებს. დღეს ყველაზე ხშირად ლექციებს კითხულობენ მუზეუმის შესაბამისი განყოფილებების მეცნიერ-მუშაკები. სამუზეუმო ლექციის თავისებურება არის მისი მჭიდრო კავშირი სამუზეუმო კოლექციებთან. მაშინაც კი, როცა თავად საგნების ჩვენება ხდება, ლექციების კითხვას აუცილებლად თან ერთვის ასლების, დუბლიკატების, ფოტოების, სლაიდების ჩვენება და ა.შ.

თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებები საშუალებას გვაძლევს სამუზეუმო ლექციას აბსოლუტურად განსხვავებული სახე შევძინოთ, ვიდრე ეს იყო ჯერ კიდევ რამდენიმე ათწლეულის უკან. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ ბათუმის ხელოვნების მუზეუმი. დაწესებულებას გააჩნია სალექციო დარბაზი და დამატებითი სივრცე საგამოფენო დარბაზში, კომპიუტერები, პროექტორი და ეკრანი, როიალი, გახმოვანების აპარატურა. ერთი სიტ-

ყვით, ყველა ტექნიკური საშუალება თანამედროვე კულტსაგანმანათლებლო პროექტების განხორციელებისათვის. დარბაზში კითხულობენ ლექციებს ან ატარებენ მასტერკლასებს როგორც პროფესიონალებისათვის (მაპროფილებელი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის, ისტორიკოსებისათვის, ხელოვნებათმცოდნეებისათვის და ა.შ.), ასევე შერეული აუდიტორიისათვის. ლექტორიუმების პროგრამაში „ჩააწნავენ“ ხოლმე მუზეუმის ექსპოზიციების ექსკურსიებს, საუბარს სპეციალისტებთან, მრგვალ მაგიდებს და ა.შ.

მუშაობის ტრადიციული ფორმაა კონსულტაცია. კონსულტანტის როლი ექსკურსიამძღოლის როლის მსგავსია, მაგრამ მუშაობა წარმოებს არა მასობრივ, არამედ ინდივიდუალურ მნახველთან (ან ძალიან ვიწრო ჯგუფთან, რომელიც საერთო ინტერესით არის გაერთიანებული და რომელმაც განაპირობა კონსულტაციისადმი მიმართვა).

სამწუხაროდ, საქართველოს მუზეუმებისათვის (საზღვარგარეთის მუზეუმებისაგან განსხვავებით), კონსულტანტების არსებობა მუზეუმის შტატში არც თუ ისე მიღებული პრაქტიკაა. გაცილებით ხშირად კონსულტაციები აღმოჩნდება ხოლმე მუზეუმის წრის, კლუბური მუშაობის ჩარჩოებში. ინდივიდუალური მნახველი ხშირად „მიტოვებულია“, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

დღეისათვის მუზეუმები დიდ ყურადღებას აქცევენ კონსულტაციის ორგანიზაციას. უდიდეს როლს თამაშობს ახალი ტექნიკური საშუალებების გამოჩენა, შესაბამისად, საკონსულტაციო მომსახურების გაწევის ფორმაც უდიდეს როლს ასრულებს, უპირველეს ყოვლისა, კომპიუტერული ცნობარების, კატალოგების, საინფორმაციო სისტემების გამოჩენა, რომლებიც ახალ შესაძლებლობებს ხსნიან როგორც მუზეუმებისათვის, ასევე მნახველებისათვის.

თავდაპირველად მუზეუმების მხარეთმცოდნეობითი მუშაობის ფარგლებში მუშაობის ისეთი ფორმები გამომუშავდებოდა, როგორიცაა წრე, სტუდია, კლუბი და ა.შ. მასობრივი მუშაობის ყველა ეს ფორმა მიმართულია თანამოაზრეების გასაერთიანებლად. მათ შორის, პრინციპული განსხვავება დამოკიდებულია გაერთიანების ორგანიზაციის ხერხზე. წრეების, სტუდიების თემატიკა ეძლევა თვითონ მუზეუმს გამომდინარე მისი წარმოდგენიდან მასობრივი საგანმანათლებლო სამუშაოს მიმართულებებზე და კორექტირდება მათი ნამუშევრების მიმართ გამოვლენილი ინტერესიდან გამომდინარე ან მსგავსი რამის არარსებობის შემთხვევაში.

სტუდიების, წრეების, კლუბების არსებობა მუზეუმს გარეთაც არის შესაძლებელი. მუზეუმების ჩარჩოებში, მუზეუმების საქმიანობის სპეციფიკა გამოიხატება მუზეუმის სპეციალისტების აქტიურ მონაწილეობაში. წრეებს, სტუდიებს, როგორც წესი, სათავეში უდგას მუზეუმის თანამშრომელი, რომელიც პედაგოგის, კონსულტანტის, მეთოდური ხელმძღვანელის როლში გვევლინება. რაც შეეხება კლუბებს, მათ ჰყავთ საბჭოები (ან სხვა ხელმძღვანელი ორგანოები), რომლებშიც შედიან მუზეუმის სპეციალისტები. მუზეუმის სპეციალისტი გვევლინება კლუბის მუშაობაში, როგორც პროფესიონალი კონსულტანტი, როგორც რომელიმე კვლევის ჩატარების დროს, ასევე გამოფენების მომზადების დროს და საკუთრივ როგორც მეცნიერ-კონსულტანტი.

გარდა ამისა, კლუბებს გამოუყოფენ ფართებს მუზეუმებში. რაიმე სახის ასაკობრივი შეზღუდვა კლუბების ორგანიზაციისათვის ან წრეებისათვის არ არსებობს (მხოლო დიდი „ძალისხმევით“ შეიძლება მივაკუთვნოთ სტუდია და წრე მუშაობის „საბავშვო“ ფორმებს, ხოლო კლუბი – „უფროსებისას“). მუშაობის ამ ფორმებისადმი ინტერესი, სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის მხრიდან, ბევრადაა დამოკიდებული თემატიკაზე, რაც შესანიშნავად ჩანს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მუშაობის მაგალითზე.

საზღვარგარეთის მუზეუმებს აქვთ „კლუბური“ მუზეუმების ორგანიზაციის გამოცდილება. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ „სამუზეუმო სახლი“ ტაკუბაიაში (მექსიკის გარეუბანი). მუზეუმის ექსპოზიცია განგებ იგება ტიპურ საგნებზე, ფილიალი არ „ნადირობს“ უნიკალურ საგნებზე. სამაგიეროდ მისი ექსპოზიციები, გამოფენები და ყველა ნამუშევარი ორიენტირებულია ამ სრულიად არაელიტარული რაიონის მცხოვრებლებზე. მუზეუმი ასრულებს კლუბის ფუნქციას ადგილობრივი მოსახლეობისათვის: ბავშვები იქ ღებულობენ წიგნიერებას, მოზარდები იმაღლებენ ცოდნის სასკოლო დონეს, მუზეუმი აწარმოებს სოციალურ სამუშაოს უფროსებთან – ქალებთან, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდნენ, უმუშევრებთან და ა.შ. მსგავს კლუბს მუზეუმის ბაზაზე წარმოადგენს „ანაკოსტია“, ისტორიისა და ტექნიკის ეროვნული მუზეუმის ფილიალი ვაშინგტონში, რომელიც შეიქმნა 1967 წელს ვაშინგტონის შავკანიანების რაიონში.

საკმაოდ ხშირად მონათესავე წრეები და კლუბები ერთიანდებიან სამუზეუმო ცენტრებში. ცენტრის ფარგლებში ტარდება კონკურსები, ვიქტორინები, ოლიმპიადები. ისინი უზრუნველყოფენ

მონაწილეების მიერ სამუზეუმო კოლექციების გაცნობას და თეორიული ცოდნის გამყარებას სამუზეუმო ექსპოზიციების გათავისებით.

მსგავსი პროექტების განხორციელების პრაქტიკა დამკვიდრდა საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, რომელიც სასკოლო ასაკის უფრო მეტ მოზარდებსა და ახალგაზრდებს იზიდავს.

საზოგადოებაში მუზეუმის ფუნქციის გაგების შეცვლა დამახასიათებელია XX საუკუნისათვის, განსაკუთრებით, მისი მეორე ნახევრისათვის, და აიძულებს მუზეუმს ეძებოს მნახველთან მუშაობის ახალი, არატრადიციული ფორმები. ყველაზე მეტად „გამაღიზიანებელი“, მნახველთან ურთიერთობის კლასიკურ კონცეფციაში, მუზეოლოგიის ბევრი სპეციალისტის აზრით, არის „ცხოვრების მასწავლებლის“ პოზიცია, რომელიც მუზეუმმა ევროპულ კულტურაში დაიკავა მისი აღორძინების ხანაში გამოჩენის მომენტიდან.

თანამედროვე ადამიანი ყველაზე ხშირად ფლობს საკმარის საგანმანათლებლო დონეს, რომელიც მას ჩამოუყალიბა სკოლამ, უნივერსიტეტმა. თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევებით საშუალება გვაქვს შეხება გვქონდეს ინფორმაციასთან გაცილებით იოლი ხერხებით, რომლებიც არ მოითხოვს სივრცეში ფიზიკურ გადაადგილებას (კინო, ინტერნეტი და ა.შ.). ასეთ პირობებში „მუზეუმის მოთხოვნების“ ჩამოყალიბებისათვის, მუზეუმს უხდება ძირითადი დატვირთვის გადატანა მნახველთან მუშაობის დროს „განათლებიდან და სწავლებიდან“ „გართობისა და დასვენების ორგანიზებამდე“. ამიტომაა, რომ ამჟამად ბევრი მუზეუმი მიმართავს სამუზეუმო სივრცეში სანახაობითი პროექტების განხორციელებას, რასაც ოსტატურად ერწყმის თემატური გამოფენები. ასეთი შემოქმედებითი პროექტები უფრო მეტ დამთვალიერებელს იზიდავს და შთამბეჭდავ გავლენას ახდენს მათზე.

მნახველთან მუშაობის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფორმაა მასტერ-კლასი. როგორც „საზოგადოებასთან კავშირის“ ფორმა (პიარი) მასტერ-კლასი ჩამოყალიბდა მუზეუმს გარეთ და ფირმებისა და მწარმოებლების სარეკლამო კამპანიის ნაწილი იყო, ძირითადად, ტექნიკური და მსგავსი სახის სახლის პროდუქციისათვის. შედეგად, ეს ფორმა, მნახველზე ზემოქმედების წარმატების გამო, მოთხოვნადი გახდა სხვა საზოგადოებრივი სტრუქტურების მიერ, რომლებიც თავიანთი საქმიანობის პროპაგანდით იყვნენ დაინტერესებული.

სამუზეუმო სამუშაოს ფარგლებში მასტერ-კლასებს აქვთ გარკვეული თავისებურება. პირველად მათი მიღება ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა დაიწყო, რომელმაც პროცესში ჩართო ანსამბლური ტიპის, ცოცხალი „ექსპონატების“ ექსპოზიციური კომპლექსების ჩვენება: მსახიობები, რომლებიც გვაჩვენებდნენ, თუ როგორ ცხოვრობდნენ მოცემული კულტურის, ეპოქის ადამიანები, როგორ მზადდებოდა და გამოიყენებოდა სხვადასხვა საგნები ამ კულტურათა ყოველდღიურ თუ სადღესასწაულო ცხოვრებაში. ამ გაგებით მასტერ-კლასი მუზეუმში შეიძლება აღვიქვათ როგორც სამუზეუმო ექსპოზიციის შექმნის კიდევ ერთი მეთოდი. მასტერ-კლასი გულისხმობს სამუზეუმო საგნების ან მათი ასლების აქტიურ გამოყენებას, ამ საგნების დამზადების პრინციპებთან და მეთოდებთან გაცნობა, რაც საშუალებას აძლევს მნახველს ექსპოზიციური მუშაობის აქტიური მონაწილე გახდეს.

მსგავსი ტიპის პროექტს ახორციელებს გ. ჩიტაიას სახელობის თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმი („მეგრული ჯარგვალი“, „გურული ოდა-სამზადისი“), შვედეთის სკანსენის მუზეუმი („შვედური სამზარეულო“, „შვედური სამჭდლო“, „შვედური სადურგლო“, „შვედური ბოსელი“), დიდი ბრიტანეთის ვიკინგების მუზეუმი და სხვ.

მაგალითი, როცა მუზეუმის მთელი ექსპოზიცია აგებულია მის საფუძველზე მასტერ-კლასის ჩასატარებლად, არის „საიტ-მუზეუმი“ (მუზეუმიფიცირებული ქალაქი) უილიამსბერგი (ვირჯინიის შტატი, აშშ), რომელიც გაიხსნა 1934 წელს. მუზეუმის თანამშრომლები XIX საუკუნის დასაწყისის პერიოდის ტანისამოსში არიან გამოწყობილი, „აჩვენებენ“, თუ როგორ მიდიოდა ცხოვრება იმ დროს. როგორ მუშაობდნენ მჭედლები, ქალის ქუდების მაღაზიები და ა.შ. მნახველის თვალწინ შექმნილი საგნები-სუვენირები გამოაქვთ გასაყიდად.

ბოლო წლებში შორეული აღმოსავლეთის მუზეუმები აქტიურად იყენებენ მასტერ-კლასს, როგორც მუშაობის ფორმას. ვლადივოსტოკის ბიენალეს ვიზუალური ხელოვნების ფარგლებში, ვ.კ. არსენევის პრიმორსკის სახელმწიფო მუზეუმი გეგმავს მასტერ-კლასებს ტრადიციული წეს-ჩვეულებების ჩვენებით, შორეული აღმოსავლეთის ძირძველი ხალხების სიმღერისა და ცეკვის კულტურის, იკებანას, როგორც ტრადიციული იაპონური ხელოვნების მასტერ-კლასს და ა.შ.

2001 წლის ოქტომბერში, ტროიცკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში (ხაბაროვსკის მხარის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ფილიალი) ჩატარდა ნანაის რაიონის ოსტატების სუვენირული პროდუქციის ნაკეთობების გამოფენა-გაყიდვა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა მასტერ-კლასი კანადელი ტურისტებისათვის. სახალხო, დახელოვნებული ხის მეჩუქურთმეები, მქარგავები განთავსდნენ საპარკო ზონის ტერიტორიაზე სუვენირებით და დაუმთავრებელი ნამუშევრებით. ოსტატები მნახველებს სთავაზობდნენ თვითონ ეცადათ ნაკეთობის დამზადება ძველი ტექნოლოგიის გამოყენებით. მუზეუმმა აღიარა, რომ მასტერ-კლასის მოწყობამ გააააქტიურა სუვენირების გაყიდვა.

მნახველის გართობის ამოცანას (როგორც უფროსის, ასევე ბავშვის) წარმატებით წყვეტს სამუზეუმო დღესასწაული.

როგორც წესი, დღესასწაული აერთიანებს მუზეუმის მუშაობის რამდენიმე ფორმას: ექსპოზიციების ჩვენება, თეატრალიზებული წარმოდგენა როლური თამაშების ელემენტებით, კონკურსები და ვიქტორინები, მასტერ-კლასები. სამუზეუმო დღესასწაულები პრეზენტაციის, ღონისძიების ფორმით შეიძლება ჩატარდეს, რომელთა დანიშნულებაც არის წარმატებით წარმოადგინონ და ამოხსნან კონკრეტული პროდუქტის არსი (ასეთი პროდუქტი შეიძლება იყოს სამუზეუმო და სამეცნიერო შენობა და ა.შ.).

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ინტეგრალური ფორმები ფართოდ გავრცელებულია თანამედროვე სამუზეუმო პრაქტიკაში. მუშაობის სასურველი ფორმის არჩევით, მუზეუმმა უნდა გაითვალისწინოს თავისი (რეალური და პოტენციური) აუდიტორიის ინტერესი, შეისწავლოს ეს ინტერესები და მოთხოვნები და უზრუნველყოს უკუკავშირი – მუზეუმი-დამთვალიერებელი.

5.7. სამუზეუმო პედაგოგიკა და სოციოლოგია

მუზეუმის აუდიტორიის შესწავლასა და პრაქტიკული რეკომენდაციის შემუშავებას სწავლობს სამუზეუმო სოციოლოგია და სამუზეუმო პედაგოგიკა.

სამუზეუმო პედაგოგიკა, ესაა სოციალურ-სამეცნიერო დისციპლინა მუზეოლოგიის, პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის და მუზეუ-

მის მაპროფილებელი დისციპლინების, რომელთა საგანიც არის სამუზეუმო კომუნიკაცია. მისი ამოცანაა მნახველთან მუშაობის ახალი მეთოდების, სამუზეუმო-პედაგოგიური პროგრამების შემუშავება, სამუზეუმო კომუნიკაციის სამუზეუმო აუდიტორიის სხვადასხვა ჯგუფზე ზემოქმედების ფორმების შესწავლა.

მუზეუმის აუდიტორიის ქვეშ, მოცემულ შემთხვევაში, მოიაზრება ადამიანების ერთობლიობა, რომლებიც ჩართული არიან მუზეუმების კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში (მუზეუმების თანამშრომლების გარდა, რომლებიც ამ საქმიანობის სფეროში თავისი პროფესიის წყალობით არიან ჩართული).

სამუზეუმო პედაგოგიკამ, როგორც მუშაობის პრაქტიკულმა ფორმამ, ჩამოყალიბება დაიწყო XIX საუკუნის მეორე ნახევარში.

ტერმინი „სამუზეუმო პედაგოგიკა“ შემოიტანა ფრეიდელმა 1931 წელს. თავდაპირველად სამუზეუმო პედაგოგიკა ორიენტირებული იყო მუშაობის მეთოდების შემუშავებაზე და საბავშვო აუდიტორიის სასარგებლოდ შესწავლაზე. სპეციალისტები მხოლოდ XX საუკუნის 70-80-იან წლებში აცნობიერებენ ასეთი კვლევების მნიშვნელობას დამთვალიერებლების სხვა ჯგუფებისათვისაც (თუმცა მუშაობა ბავშვთა და მოზარდთა ჯგუფებთან ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებად რჩება), სამუზეუმო პედაგოგიკის კავშირს მუზეუმის მუშაობის ყველა მხარესთან.

მონაცემებს, რომლის საფუძველზეც აკეთებს დასკვნებს სამუზეუმო პედაგოგიკა, აწვდის სამუზეუმო სოციოლოგია – სპეციალური სამეცნიერო დისციპლინა სოციოლოგიის, კულტურისა და მუზეოლოგიის მენეჯმენტის (უპირველეს ყოვლისა, კულტურის სოციოლოგია).

სამუზეუმო სოციოლოგია სწავლობს მუზეუმის, როგორც სოციალური ინსტიტუტის, ფუნქციონირებას; მის საქმიანობაში საზოგადოებრივი მოთხოვნების, შეკითხვებისა და მოლოდინის რეალიზაციას; მუზეუმის საზოგადოებაზე და საზოგადოების მუზეუმზე ზემოქმედებას; მუზეუმის ურთიერთობას სხვადასხვა სოციალურ, პროფესიონალურ, ასაკობრივ და სხვა ჯგუფებზე, მათ მოთხოვნებსა და ღირებულებებს.

თანამედროვე მუზეოლოგიაში ჩამოყალიბდა წარმოდგენა სოციოლოგიური კვლევის მნიშვნელობაზე არა მარტო მუზეუმის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაში, არამედ მუშაობის სხვა მიმართულებებშიც. სოციოლოგია შეიმუშავებს ექსპერტის

შეფასების მეთოდიკას, სამუზეუმო ფონდების ფუნქციონალურ მახასიათებლებს, მუზეუმის საქმიანობის შინაარსობრივ-აზრობრივ მაჩვენებლებს, შიდასამუზეუმო კომუნიკაციის კრიტერიუმების ეფექტურობას, კავშირს მუზეუმისა და მუზეუმსგარე სამუშაოს შორის (ამ სამუშაოს მნიშვნელობის ზომების და მისი ცალკეული ფორმების განსაზღვრა სამუზეუმო აუდიტორიისათვის, ექსპერტებისათვის, სპეციალისტებისათვის და ა.შ.).

სოციოლოგიური კვლევები თანამედროვე მუზეუმების სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენენ. სამუზეუმო სოციოლოგია ეყრდნობა როგორც საერთო სოციოლოგიურ მონაცემებს (მაგალითად: აღწერისა და საერთოსოციოლოგიური კლვევების მონაცემებს მოსახლეობის რაოდენობრივ, ასაკობრივ, სოციალურ, პროფესიონალურ და ა.შ. მაჩვენებლებს), ასევე ატარებს საკუთარ კვლევას გამოკითხვის, ანკეტირების, დაკვირვების, დოკუმენტების შესწავლისა და ა.შ. გზით.

სამუზეუმო სოციოლოგიის გამოყოფა მეცნიერული ცოდნის დამოუკიდებელ დარგად ხდება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში.

საზღვარგარეთ, სამუზეუმო აუდიტორიის შესწავლის ამოცანას, როგორც წესი, წყვეტენ განსაკუთრებული სამსახურები: მარკეტინგის განყოფილება ან/და პიარ განყოფილება (public relation – საზოგადოებასთან ურთიერთობები). XX საუკუნის 20-30-იან წლებში ბიჰევიორიზმის (ინგლისურად: ბეჰავიორ – ქცევა) პოპულარობის მწვერვალზე ფართო კვლევები ტარდებოდა აშშ მუზეუმებში, სადაც დაკვირვებისა და ქრონომეტრაჟის მეთოდებით (ექსპოზიციებთან გავლის დროის განსაზღვრა, ექსპონატთან „კონტაქტის“ პერიოდი და ა.შ.) განისაზღვრებოდა მიზიდულობა (ატრაქციულობა), ექსპრესიულობა და სხვა თვისებები როგორც ცალკეული საგნების, ასევე ექსპოზიციების მთლიანად.

გასული საუკუნის 60-70-იან წლებში კვლევის თემატიკა ფართოვდება, მათ შორის, სამუზეუმო სოციოლოგიის თეორიული განახლების მიზეზითაც: შეისწავლება არა მარტო მუზეუმში ქცევის მოტივაცია, არა მარტო სამუზეუმო აუდიტორიის სოციალურ-დემოგრაფიული შემადგენლობა, არამედ ექსპოზიციის ეფექტურობაც გამომდინარე „გადაწყვეტილების ინფორმაციის საფუძველზე მიღების“ თეორიიდან. სოციოლოგიური კვლევები ამ პერიოდიდან კომპლექსურ ხასიათს ატარებს. აშშ-ში ფუნქციონირებს დამთვა-

ლიერებლების შესწავლის საერთაშორისო სოციოლოგიური ლაბორატორია, რომელმაც 1988 წელს გამოსცა ჟურნალი „JLVS Review – A Journal of Visitors Behavior“ (სტუმრების ქცევის ჟურნალი).

XX საუკუნის 90-იან წლებში, საზღვარგარეთის მუზეუმების გავლენით, საქართველოს მუზეუმები იწყებენ პიარ სამსახურების შექმნას, სამეცნიერო-საგანმანათლებლო განყოფილებების რეორგანიზებას, მნახველებთან მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებას. ეს დაკავშირებულია მუზეუმის, როგორც სოციალური ინსტიტუტის როლის გაგების შეცვლასთან. დღეს მუზეუმი არა იმდენად ცოდნის ტრანსლატორია (მთარგმნელი), რამდენადაც დასვენებისა და გართობის ადგილი. მუზეუმს შეხება უნდა ქონდეს არა მარტო გონებასთან, არამედ დამთვალიერებლის გრძნობასთან, წარმოსახვასთან, შინაგან სამყაროსთან. ეს მოქმედებს მუზეუმების მუშაობის ფორმის ცვლაზე, უპირველეს ყოვლისა, კულტურულ-საგანმანათლებლო სამუშაოზე, სტიმულს აძლევს ახალი იდეების ძიებას და რეალიზაციას.

5.8. მუზეუმის დამთვალიერებლებთან (ვიზიტიორებთან) მუშაობა

(მომზადებულია ნ. გედევანიშვილის ნაშრომის „მუზეუმები 21-ე საუკუნის გამოწვევების პირისპირ“ მიხედვით)

უახლესმა ტექნოლოგიურმა პროცესებმა და კომუნიკაციის საშუალებებმა რადიკალურად შეცვალა ადამიანის დამოკიდებულება კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების მიმართ. ინტერნეტის საშუალებით ადამიანს ბინიდან გაუსვლელად შეუძლია მიიღოს ყველა სახის ინფორმაცია ან დაიკმაყოფილოს ინტერესი სანახაობითი პროექტების შესახებ და მიიღოს „ესთეტიკური სიამოვნებაც“. თუმცა რამდენად შეცვლის ინტერნეტი მუზეუმში, თეატრში და სხვა დაწესებულებაში მიღებულ შთაბეჭდილებასა და ემოციებს ეს სხვა საკითხია, რომელიც ადამიანის კულტურის დონეზე არის დამოკიდებული.

ამ პრობლემებიდან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოში წამყვანი მუზეუმები დამთვალიერებლებზეა ორიენტირებული. მუზეუმები სწავლობენ დამთვალიერებელთა ინტერესებს, რომ ამ

ფაქტორის გათვალისწინებით დაგეგმონ მომავალი საქმიანობა.

მუზეუმის დამთვალიერებელთა (ვიზიტიორთა – მუზეუმში ვიზიტით მოსული, ანუ სტუმარი) შესწავლას საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდი ტრადიციები გააჩნიათ აშშ-ში და კანადაში, ასევე საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში. ბრიტანელი სპეციალისტები პ. მაკმანუსი და რ. მაილსი 1993 წელს დამთვალიერებელთა კვლევის შედეგების ანალიზისას აღნიშნავდნენ, რომ „არ შეიძლება იყო მოსაწყენი და გულგრილი, უნდა ზუსტად განსაზღვრო მიზნები და გაამართლო დამთვალიერებელთა მოლოდინი“.

სპეციალისტები მუზეუმისადმი აქტიური ინტერესის გამოხატვის თვალსაზრისით, გამოყოფენ აქტუალურ (რეალურ აუდიტორიას, მათ ვინც მოდის მუზეუმში) და პოტენციურ აუდიტორიას (მათ, ვინც შესაძლოა მოვიდეს). პოტენციური აუდიტორია გულისხმობს იმ ნაწილს, რომელიც სავარაუდოდ შეიძლება მოვიდეს, მაგრამ გარკვეული მიზეზით ამას ვერ ახერხებს.

დამთვალიერებელთა შესწავლის განსხვავებული მეთოდები არსებობს:

- დაკვირვება;
- გამოკითხვა;
- ანკეტირება;
- ტესტირება;
- ჯგუფებთან დიალოგი.

ვიდრე დამთვალიერებელთა (ინდივიდუალურ, ან ჯგუფურ) შესწავლას დავიწყებთ, აუცილებელია კვლევის ამოცანების ზუსტი განსაზღვრა – რისი გამოკვლევა გვსურს? ამისათვის საჭიროა:

- მეთოდოლოგიის შერჩევა

(დაკვირვება, გამოკითხვა/ანკეტირება და სხვ.)

- ნიმუშების განსაზღვრა
- კითხვარების მომზადება (დახურული, ღია, რაოდენობრივი)
- ტესტირების ფაზა

მუზეუმის სპეციალისტები აჯამებენ კვლევის შედეგებს. საბოლოოდ, ხდება შედეგების ანალიზი, რომელიც უნდა გახდეს მომავალი საქმიანობის დაგეგმვის აუცილებელი საფუძველი.

დამთვალიერებლებთან მუშაობა მუზეუმის მისიიდან გამომდინარეობს, ვინაიდან წარმოუდგენელია მუზეუმი უდამთვალიე-

რებლოდ, როგორც თეატრი მაყურებლის, ან ბიბლიოთეკა მკითხველის გარეშე.

არის კატეგორია მუზეუმებისა, რომლებიც კოლექციებზეა ორიენტირებული, მეორე ნაწილი – დამთვალიერებლებზე. არც ისე დიდია მუზეუმების რიცხვი, რომლებშიც ერთიც და მეორეც პროპორციულად იყოს განვითარებული. მუზეუმისადმი საზოგადოების დღევანდელი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, მუშაობის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება. სწორედ ამ იდეას ეფუძნება ცნობილი მუზეოლოგის ჯორჯ ჰეინის მიერ შემუშავებული კონსტრუქტივისტული (კონსტრუქტივიზმი იყო ხელოვნებისა და არქიტექტურის მიმდინარეობა რუსეთში 1914 წლიდან, რომელიც უარჰყოფდა წმინდა ხელოვნებას, უპირატესობას ანიჭებდა რა ხელოვნებას, როგორც სოციალური დანიშნულების ინსტრუმენტს) სწავლის თეორია, რადგან ის თავად გულისხმობს მუშაობის მეთოდების მრავალფეროვნებას.

რას გულისხმობს კონსტრუქტივისტული თეორია სამუზეუმო სივრცეში?

ტერმინი „კონსტრუქტივიზმი“ სწავლის თეორიაში ეფუძნება იდეას, რომ პიროვნება სწავლის პროცესში თავად ახდენს ცოდნის კონსტრუირებას პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით. ჯორჯ ჰეინი წიგნში „სწავლა მუზეუმში“ დეტალურად განიხილავს სწავლის თეორიებსა და მათ კავშირს მუზეუმებთან. ამ თეორიის თანახმად, მუზეუმი ადგილია, სადაც სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ისტორიული ცოდნა კონსტრუირდება და განიხილება. დამთვალიერებლები, ამ შემთხვევაში, მოიაზრებიან, როგორც ინტერპრეტატორები, რომლებსაც ეძლევათ საშუალება, ცოდნის კონსტრუირება საკუთარი იდენტურობის პოზიციიდან მოახდინონ. ანუ, დამთვალიერებელი ახალ ცოდნას წინასწარი კულტურული და სოციალური გამოცდილების გათვალისწინებით აგებს.

სპეციალისტების დაკვირვებით, მაგალითად, საბუნებისმეტყველო მუზეუმში ბავშვების 50% უყურებს გამოფენილი ნივთების ნახევარზე ნაკლებს და მხოლოდ ერთ წუთზე მცირე დროს მათ შესწავლას. ეს არის ის, რასაც შეიძლება ველოდებოდეთ ნებისმიერი მუზეუმის დათვალიერებებისას. საერთო მაჩვენებელი, შეიძლება გაიზარდოს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დამთვალიერებლებს, განსაკუთრებით კი ბავშვებს, სტატიკურ გამოფენებზე მეტად ინტერაქტიული გამოფენები აინტერესებთ. აქ ექსპონატებ-

თან გატარებული დროის მაჩვენებელი იზრდება. ისინი ჩერდებიან იმისთვის, რომ დააჭირონ ღილაკს ხელი ან მოქაჩონ სახელური და თამაშის პროცესში ხალისით ითვისებენ სამეცნიერო ინფორმაციას.

პრაქტიკულ გამოცდილებას „ხელით შეხება“ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ გამოფენის დროს. ეს ზრდის ნივთებთან შეჩერების ხანგრძლივობას და ხელს უწყობს პერსონალური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას.

კონსტრუქტივისტულ მოდელში მასწავლებელმა უნდა შექმნას მულტიმოდალური (კომბინირებული) გარემო, რომელიც ორიენტირებული იქნება საინტერესო კომუნიკაციაზე. ეს გარემო, ერთი მხრივ, მიმართულია გამოცდილებაზე, რომელიც უკვე აქვს მოსწავლეს, მეორე მხრივ, კი ის უნდა შეიცავდეს საიდუმლოსა და პოტენციური აღმოჩენების ინტრიგას. გარემო უნდა იზიდავდეს მოსწავლეს, ააქტიურებდეს მასში გამოძიების, შესწავლის, თვითორიენტაციის, პრობლემების დასმისა და მათი გადაწყვეტის სურვილს.

ტრადიციულ და კონსტრუქტივისტულ მიდგომას შორის განსხვავებას ადასტურებს წინამდებარე ინფორმაცია:

ტრადიციული მიდგომა	**კონსტრუქტივისტული მიდგომა**
მოსწავლე მოიაზრება იმ სასწავლო პროცესის ობიექტად, რომელიც იღებს მზა ცოდნას მასწავლებლისაგან	მოსწავლე პროცესის მთავარი მონაწილეა მთავარი შეხედულებებით და წარმოდგენებით გარე სამყაროზე
სასწავლო პროცესი ეყრდნობა სახელმძღვანელოს	სასწავლო პროცესი ეყრდნობა პირველად წყაროს
მასწავლებელი, როგორც წესი, აწოდებს მოსწავლეს ახალ ინფორმაციას დიდაქტიკურ მანერაში, როგორც ჭეშმარიტება ბოლო ინსტანციაში	მასწავლებელი გვევლინება, როგორც ორგანიზატორი სასწავლო-შემეცნებითი პროცესის და არ ახვევს თავზე მოსწავლეს თავის ცოდნას
სასწავლო პროგრამა აგებულია კერძოდან მთლიანის მიმართულებით; აქცენტი კეთდება საბაზო ცოდნასა და უნარებზე	სასწავლო პროგრამა აგებულია ზოგადიდან კერძოსაკენ მთლიანის მიმართულებით. აქცენტირებულია განზოგადებული ცნებები და უნარები

კონსტრუქტივიზის თეორიის ოპონენტები ეჭვის თვალით უყურებენ თამაშის ინტერგრირებას სწავლის პროცესში. მათი აზრით, სწავლას შედეგი შეიძლება მოჰყვეს მხოლოდ პირდაპირი დირექტივების გზით: „სწავლობ მხოლოდ მაშინ, თუ ვინმე გასწავლის. უნდა იყოს იერარქია, რომლის მიხედვითაც არსებობს მასწავლებელი, რომლემაც იცის მეტი, ვიდრე მეორე მოსწავლემ“.

პირველი, ვინც განსაზღვრა მუზეუმის მხატვრული მნიშვნელობა, იყო ფრანგი მხატვარი ჟაკ ლუი დავიდი (ფრანგული ნეოკლასიციზმის დამაარსებელი), რომელმაც კონვენტის წევრთა წინაშე გამოსვლისას აღნიშნა მუზეუმის უდიდესი აღმზრდელობითი დანიშნულება. დავიდი იზიარებდა განმანათლებლობის შეხედულებებს, რომ ხელოვნება ადამიანში მაღალ მოქალაქეობრივ გრძნობებს უნდა აყალიბებდეს.

დამთვალიერებლებში დიდ ინტერესს იწვევს წარსულის ეპოქის გაცოცხლება თამნამედროვე ტექნოლოგიებით. მაგალითად, მსოფლიოში ცნობილი ვიკინგების მუზეუმი იორკში (დიდი ბრიტანეთი) შეიქმნა არქეოლოგიური ძეგლების ბაზაზე და აღადგენს ვიკინგების გადასახლების ისტორიას IX-X საუკუნეებში.

ვიკინგების მუზეუმი იორკში. დიდი ბრიტანეთი

ბუნებრივი ეფექტის შესაქმნელად ექსპოზიცია გაახმოვანეს ირლანდიურ ენაზე შესრულებული ჩანაწერებით (თანამედროვე

ენებს შორის ეს ენა ახლოსაა ძველშვედურთან, რომელზედაც ლაპარაკობდნენ ვიკინგები). ექსპოზიციაში გამოყენებულია მექანიკური თოჯინები, ტყავისა და ხმელი თევზის სურნელი. მუზეუმის სპეციალისტები დამთვალიერებლებს უქმნიან ისეთ მიკროგარემოს, რომ მან ვიკინგების ეპოქაში წარმოიდგინოს თავი. დამთვალიერებლებს სთავაზობენ მუზეუმში დატოვონ ელფოსტის მისამართი და მიიღონ რეგისტრაციის ნომერი, იმისათვის, რომ ვიკინგების ისტორიით დაინტერესებულებს გაუგზავნონ უახლესი ლიტერატურა.

დღეს მსოფლიოში მრავალი მუზეუმი ითვალისწინებს დამთვალიერებელთა მრავალფეროვნებას გამოფენებისა და საგანმანათლებლო პროექტების მომზადების დროს. საინტერესო გამოცდილება აქვს ბერლინის ნოეკოლნის მუზეუმს, რომელიც ყოფილ საჯინიბოშია განთავსებული. მუზემის კოლექცია წარმოდგენილია მოქალაქეთა შემოწირული ნივთებით, რომელიც ქალაქის ისტორიას უკავშირდება. დამთვალიერებელს შეუძლია მისთვის სასურველი ნივთი ფართო ეკრანზე იხილოს. მსგავსი პრაქტიკა სხვა ქვეყნებშიც გვხვდება, მათ შორის საქართველოში.

2013 წლის 15 თებერვლიდან, ყოველ პარასკევს, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრი წარმოადგენს შემეცნებით პროგრამას „საუბარი ფიროსმანზე". სპეციალისტები დამთვალიერებლებს მოუთხრობენ ფიროსმანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე, რომელიც შედგენილია როგორც ფიროსმანის თანამედროვე, ასევე შემდგომი პერიოდის მხატვართა, მკვლევართა და საზოგადო მოღვაწეთა მოგონებების საფუძველზე. პროგრამა წარმოდგენილია ფიროსმანის თანადროული ეპოქის ახველი ფოტომასალით. პროგრამა გათვალისწინებულია უფროსი ასაკის მოსწავლეთა და ზრდასრული დამთვალიერებლისათვის.

ეროვნული მუზეუმის სასკოლო მოკლევადიანი პროგრამა „მუზეუმის მეგობარი“ შეიცავს მუზემის დათვალიერებას, პრაქტიკული სასწავლო კურსის გავლას, სამახსოვრო ნივთის ან ნახატის გაკეთებას და მიღებული ცოდნის ბლიც-ტესტირებას. ამის შემდეგ მონაწილეები დასაჩუქრდებიან სამკერდე ნიშნით „მუზეუმის მეგობარი”. მუზეუმი ამზადებს სასწავლო-პროფესიულ თეორიულ და პრაქტიკულ კურსს უფროსკლასელთათვის. პროგრამაშია მუზეუმის მეგზურის საფუძვლების შესწავლა საერთო სამუზეუმო საქმის შესწავლის ფორმატში.

კურსგავლილ მოსწავლეებს პრაქტიკა მუზეუმშივე ექნებათ

და ორმხრივი სურვილის შემთხვევაში იქნებიან მუზეუმის ვოლონტიერი-გიდები. კურსი ორთვიანია. სასკოლო ზოოლოგიის პროგრამასთან პარალელურად უტარდებათ გრძელვადიანი „საოჯახო პროგრამა“. სკოლის მოსწავლეებს ასწავლიან, როგორ მოუარონ, გამოკვებონ და იზრუნონ აბრეშუმის ჭიებზე სახლის პირობებში. სამი თვის შემდეგ მათივე მიღებული აბრეშუმის პარკით მოდიან მუზეუმში და სწავლობენ პარკიდან ძაფის ამოხვევას, მის შეღებვას ბუნებრივი საღებავით და ბოლოს რაიმე სამახსოვრო ნივთის დამზადებას. პროცესში მთელი ოჯახი იღებს მონაწილეობას.

მოქმედებს სხვა ტიპის პროექტებიც: მუზეუმთან ფუნქციონირებს ბავშვთა საკვირაო არტ-სტუდია და ბიბლიოთეკა. პროგრამები: „ფიროსმანი და ბავშვები“, „ლუვრის კალკოგრაფია”, „ფრანგული ესტამპი”, „პარიზის სპლინი”, „გაცოცხლებული გალერეა” (ცნობილ მხატვართა ნაწარმოებთა მიხედვით გაცოცხლებული კოსტიუმის ისტორია), „პოლ სეზანის საიუბილეო საღამო”, „კავკასია ჩვენი სახლი” – საერთაშორისო არტ ფესტივალი და სხვ.

5.9. სამუზეუმო მუშაობის საერთაშორისო გამოცდილება

5.9.1. დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთში არ არსებობს მუზეუმების უნივერსალური პოლიტიკა. მათი განვითარების სტრატეგიები უკანასკნელ ათწლეულში ჩამოყალიბდა.

დიდი ბრიტანეთი, რომელიც დაახლოებით 60 მილიონზე მეტ მცხოვრებს ითვლის, 2500 მუზეუმისა და გალერეის მფლობელია, მათ შორისაა 19 დიდი სახელმწიფო მუზეუმი, როგორებიცაა, მაგალითად, ეროვნული გალერეა (National Gallery) ან ვიქტორიასა და ალბერტის მუზეუმი (Victoria and Albert Museum). ამ ორი მუზეუმის ბიუჯეტი 29 მილიონი გირვანქა სტერლინგია და 800 თანამშრომელი ჰყავთ.

პირველი სახელმწიფო მუზეუმი British Museum 1753 წელს დაარსდა, მაგრამ ხელოვნების სახელმწიფო გალერეები ინგლისში XIX საუკუნემდე არ არსებობდა.

1845 წელს გამოვიდა კანონი მუზეუმების შესახებ, რომელმაც

მუნიციპალიტეტებს ხელოვნებისა და მეცნიერების სახელმწიფო მუზეუმების დაარსების ნება დართო. 1850 წელს კანონში შევიდა დამატებითი მუხლი მუზეუმების უფასო დათვალიერების შესახებ, რამაც საზოგადოებაში თანასწორუფლებიანობის განცდა წარმოშვა და ეს დაწესებულებები ეროვნული სიამაყის სიმბოლოდ იქცნენ. მუზეუმის მიზანი იყო გაერთო დამთვალიერებელი და გაეფართოებინა მათი კულტურული თვალსაწიერი. გართობისა და ცოდნის მიღების მსურველები შორიდანაც კი მოდიოდნენ.

დღეს მუზეუმების როლი მრავალმხრივია: ზოგი ხელოვნებისა და კულტურის ტაძარია, ზოგი ტექნიკისა და ინდუსტრიის განვითარების ამსახველი. მაგალითად, სართავი ფაბრიკები, ქვანახშირისა და კალის მაღაროები, ბევრი რამ, რაც ადრე ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენდა და ქუჩის, ქალაქისა თუ რეგიონის იმდროინდელი სახე იყო, დღეს კულტურული მემკვიდრეობის ცენტრია და „ცოცხალ ექსპერიმენტს“ გვთავაზობს, იქნება ეს ავტომატური დანადგარებისა თუ ინტერაქტიური პრეზენტაციები. ყველა მათგანს ერთი საერთო მიზანი გააჩნია: დაიცვას და წარუდგინოს საზოგადოებას კოლექციები, რათა აღზარდოს, შთააგონოს და სიამოვნება მიანიჭოს დამთვალიერებელს.

ბრიტანელი ექსპერტების ნაწილს მიაჩნია, რომ ქვეყანაში მუზეუმების რაოდენობა ძალიან დიდია და შესაძლოა ზოგიერთმა მათგანმა დაკარგოს დამოუკიდებელი მუზეუმის სტატუსი და უფრო დიდ მუზეუმთან გაერთიანდეს.

მიუხედავად ამისა, დიდ ბრიტანეთში მუზეუმების პოპულარობა დღითიდღე იზრდება. დამთვალიერებელთა რაოდენობა საშუალოდ წელიწადში 80 მილიონს აღწევს, აქედან 60% უცხოელი ტურისტია.

საინტერესოა მუზეუმის დამთვალიერებელთა სტატისტიკა. მუზეუმების რეგულარული დამთვალიერებელია ზრდასრული მოსახლეობის 40%, ზრდასრული მოსახლეობის 40% წარმოადგენს იშვიათ დამთვალიერებელს, ზრდასრული მოსახლეობის 20% კი საერთოდ არ დადის მუზეუმში. ითვლება, რომ ეს ერთ-ერთი კარგი მაჩვენებლია. მითუმეტეს, რომ მუზეუმების დამთვალიერებელთა 1/3-ს წარმოადგენენ მოზარდები და ისინი მუზეუმში მოდიან არა მხოლოდ სკოლებიდან, არამედ მშობლებთან ერთად.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმების პოპულარობასა და ეკონომიკურ დაწინაურებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კულტურული ტურიზმის განვითარებამ.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმები და გალერეები ჩართულია გართობისა და დასვენების ინდუსტრიაში, რომელიც სწრაფ აღმავლობას განიცდის. 1995 წლიდან დიდ ბრიტანეთში უქმე დღეებში მუზეუმების მუსაობამ გამოიწვია ის, რომ ისინი გართობისა და დასვენების ცენტრების, თემატური პარკების, კომერციული ცენტრებისა და სპორტული კომპლექსების კონკურენტები გახდნენ.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმების საერთო ლოზუნგია: კულტურულ მემკვიდრეობასთან ზიარება, საინფორმაციო ტექნოლოგიების მაქსიმალურად გამოყენება, გართობა, აღზრდა, სიამოვნება.

დიდ ბრიტანეთში 20-მდე ეროვნული მუზეუმია. ამ კატეგორიის მუზეუმთა შორის ცნობილია ლონდონის ნაციონალური გალერეა, მეცნიერების მუზეუმი, შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის მუზეუმები.

გარდა დიდი მუზეუმებისა, დიდ ბრიტანეთში 800-მდე მუზეუმი ფუნქციონირებს, რომლებიც შედის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების დაქვემდებარებაში. მოქმედებს, აგრეთვე, 1700-მდე დამოუკიდებელი მუზეუმი, რომლებიც დაფუძნებულია საქველმოქმედო ფონდების მიერ, ასევე საუნივერსიტეტო და სამხედრო მუზეუმები. დამოუკიდებელი მუზეუმების დაფუძნებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ადგილობრივმა მოსახლეობამ. ამ მუზეუმების უმეტესობა მცირე ზომისაა და მათ მართვაში აქტიურად არიან ჩართული ადგილობრივი მოხალისეები.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმების უმეტესობა გასული საუკუნის 70-იან წლებამდე არის დაარსებული.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმები სამ ძირითად კატეგორიად იყოფა: ეროვნული (ნაციონალური), ადგილობრივი და დამოუკიდებელი. სხვადასხვა სტატუსის მქონე მუზეუმებს შორის არსებითი განსხვავებაა დაფინანსების მხრივ და მათი მნიშვნელობის მიხედვით. გარდა ამისა, მოქმედებს კერძო მუზეუმებიც, რომლის დამფუძნებლები არიან კერძო პირები და კომპანიები. ამ ტიპის მუზეუმები არ გამოირჩევიან კომერციული წარმატებებით და რამდენიმე წლიანი მუშაობის შემდეგ წყვეტენ ფუნქციონირებას. დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობით ყველას აქვს მუზეუმის დაფუძნების უფლება.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმების განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბოლო წლებში განხორციელებულმა პროექტებმა. კერძოდ, 2001 წელს, მთავრობის გადაწყვეტილებით დაინერგა კოლექციების იდენტიფიკაცია. პროექტის მიზანი იყო

ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის იმ კოლექციების იდენტიფიცირება, რომლებიც ინახება არასახელმწიფო მუზეუმებში. ქვეყანაში აღრიცხულია 60 მუზეუმი, რომელთაც გააჩნიათ ეროვნული მნიშვნელობის კოლექციები. ამ კოლექციების იდენტიფიკაცია მოხდა პროფილის მიხედვით. მთავრობამ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყო თანხა ამ კოლექციების მოვლისა და წარმოჩენისათვის. სახელმწიფო პროგრამა გათვლილია რამდენიმე წელიწადზე.

მეორე პროექტის განხორციელება დაიწყო 2003 წელს. დიდ რეგიონულ მუზეუმებში ჩამოყალიბდა რეგიონული მართვის სისტემა. თითოეულ რეგიონში წამყვანი მუზეუმი მუშაობს რეგიონის რამდენიმე მთავარ პარტნიორ მუზეუმთან ერთად, რათა შემუშავდეს საუკეთესო პრაქტიკის სტანდარტები კოლექციების მოვლისა და საყოველთაო ხელმისაწვდომობისათვის. ამისათვის ქვეყნის ბიუჯეტიდან ეტაპობრივად გამოიყოფა დაფინანსება მუზეუმების საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველსაყოფად. ამ პროგრამას ზოგიერთი პატარა მუზეუმიდან მოჰყვა წინააღმდეგობა, რადგან ეს პროგრამა აღიქვეს მათი საქმიანობის ხელისშემშლად.

დიდ ბრიტანეთში მუზეუმების საქმიანობას კურირებას უწევს ქვეყნის კულტურის სამინისტროს კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი (DCMS). აღნიშნული უწყება აფინანსებს, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და არქივების საბჭოს, რომელიც ქვეყნის მთავრობისათვის წარმოადგენს მიუკერძოებელ მრჩეველს სამუზეუმო, საბიბლიოთეკო, საარქივო პოლიტიკისა და სტრატეგიის საკითხებზე. საბჭო შეიქმნა 1998 წელს. საბჭოს ზედამხედველობს კომისიის 14 წევრი და 50 თანამშრომელი. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი, რომელიც საბჭოს აკისრია, არის სტანდარტების დადგენა სამუზეუმო საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებისათვის. მაგალითად, სამუზეუმო კოლექციების მოვლის პირობების შემუშავებაზე.

მუზეუმების, ბიბლიოთეკებისა და არქივების მსგავსი საბჭოები (MLACs) ფუნქციონირებს რეგიონებშიც, რომლებსაც აფინანსებს ეროვნული საბჭო. დიდი ბრიტანეთის ყველა ტიპის მუზეუმი გაერთიანებულია რეგიონულ საბჭოში, მიუხედავად მათი სტატუსისა და საკუთრებისა. საბჭო უზრუნველყოფს დამოუკიდებელ და ობიექტურ რეკომენდაციებს მუზეუმებისათვის, ატარებს სემინარებს მუზეუმის პერსონალისა და მოხალისეებისათვის, წარადგენს მუზეუმების წინადადებებს მთავრობის სხვადასხვა ორგანოებთან,

უზრუნველყოფს მცირე გრანტების გამოყოფას იმ პროექტებისათვის, რომლებიც ზრდის საყოველთაო ხელმისაწვდომობის ხარისხს და ანვითარებს ახალ აუდიტორიას. საბჭო ახორციელებს სტრატეგიულ რეგიონულ ზედამხედველობას და რეკომენდაციას უწევს რეგიონის მუზეუმების პროექტებს სახელმწიფო ლატარეისა და სხვა ღონისძიებების დამფინანსებელ სააგენტოებთან. მათი მიზანია მუზეუმების სტანდარტების ამაღლება, რაც მიიღწევა რეკომენდაციის, ინფორმაციის ლობირებისა და მიზნობრივი გრანტების მეშვეობით.

კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი აფინანსებს, აგრეთვე, კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სწავლების (ტრენინგი) ორგანიზაციას, რომელიც ადგენს ნორმებს (სტანდარტებს) მუზეუმისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოღვაწე პერსონალის სწავლებისათვის.

დეპარტამენტის თაოსნობით შემუშავდა სტანდარტებისა და კვალიფიკაციების პროგრამა, რომელიც ქმნის სამუზეუმო საქმის ყველა მუშაკისათვის ადგილზე სწავლების გავლისა და სათანადო კვალიფიკაციის მიღების შესაძლებლობას. სწავლების სისტემა ახალია და მასში მონაწილეობის პირობები მუზეუმის ხელმძღვანელობისა და მუზეუმის მუშაკთათვის ხშირად იცვლება. კურატორების სწავლების კურსები მიმდინარეობს სხვადასხვა უნივერსიტეტებშიც სტუდენტებისათვის, რომელთაც თავდაპირველად მოუწევთ მოხალისეებად (ვოლონტიორად) მუშაობა, ვიდრე გაფორმდებიან მუზეუმის შტატიან თანამშრომლებად.

დიდი ბრიტანეთის კულტურის სამინისტროს კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტის რესურსებიდან ფინანსდება მუზეუმების დოკუმენტურების ასოციაცია (MDA). იგი ადგენს და ანვითარებს სტანდარტებს, სწავლებითა და რეკომენდაციებით უზრუნველყოფს მუზეუმების დოკუმენტირების პროგრამას. ასოციაცია უზრუნველყოფს ბევრი საჭირო პუბლიკაციის განხორციელების პროგრამას, მოიძიებს შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს მხარდაჭერას მუზეუმებში უახლოესი საინფორმაციო ტექნოლოგიების დასანერგად.

დიდ ბრიტანეთში მთავრობის მიერ დაფინანსებული სტრუქტურების გარდა არსებობს სხვა ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებშიც მუზეუმები და მათი კურატორები არიან გაერთიანებულნი. ამ ორგანიზაციებს შორის ყველაზე დიდი გავლება აქვს დიდი ბრიტანეთის მუზეუმების ასოციაციას (MA), რომელიც

1889 წელს დაარსდა. ეს ასოციაცია ადგენს ეთიკურ სტანდარტებს, კოორდინაციას უწევს თანამშრომელთა მომზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ყოველთვიურად გამოსცემს სამუზეუმო ჟურნალს.

აღნიშნული ასოციაციის გარდა, დიდ ბრიტანეთში არსებობს ეროვნული, დამოუკიდებელი მუზეუმების ასციაცია (AIM) და სპეციალიზებული ჯგუფები, რომლებშიც გაერთიანებულნი არიან მუზეუმების სხვადასხვა თემატური მიმართულების კურატორები (მაგალითად, ხელოვნების კურატორი, ისტორიის კურატორი და ა.შ.).

დიდი ბრიტანეთის რეგიონული მუზეუმების ფედერაცია ატარებს ადგილობრივ ფორუმებს მუზეუმების თანამშრომლებისათვის, კურატორებისა და მოხალისეებისათვის. ნებადართულია, კურატორი გაერთიანდეს ერთზე მეტ პროფესიულ ორგანიზაციაში.

დიდ ბრიტანეთში არ არის კანონმდებლობა მუზეუმის შესახებ. ეროვნული მუზეუმების სტატუსისა და მართვის შესახებ არსებობს პარლამენტის რამდენიმე აქტი (მაგალითად, ბრიტანეთის მუზეუმების 1963 წლის აქტი, 1983 წლის ეროვნული მემკვიდრეობის აქტი).

ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმების მართვისა და უფლებამოსილების პრინციპებს განსაზღვრავს საზოგადოებრივი ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების 1963 წლის აქტი. მუზეუმების დაფინანსება ხდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან. ადგილობრივი ხელისუფლება არ არის ვალდებული, ჩაერიოს ადგილობრივი მუზეუმების მართვაში ან დააფინანსოს ისინი, განსხვავებით ბიბლიოთეკებისა და არქივებისაგან. ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმების დაფინანსება დამოკიდებულია ადგილობრივი ხელისუფლების ნებაზე, მაშინ, როცა ბიბლიოთეკებისა და არქივების დაფინანსება სავალდებულოა.

დამოუკიდებელი მუზეუმები დაარსებულია საქველმოქმედო ფონდების მიერ და მათი მართვა ხორციელდება კანონით საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ. საქველმოქმედო სტატუსის მქონე მუზეუმები არ ეკუთვნის ფიზიკურ პირს, მაგრამ ისინი იმართება მეურვეთა საბჭოს მიერ. საქველმოქმედო მუზეუმების სტატუსს ატარებს უნივერსიტეტებისა და სამხედრო მუზეუმები.

დიდ ბრიტანეთში მოქმედებს კერძო მუზეუმები, რომლის კოლექციების მფლობელები არიან კერძო პირები. მუზეუმის დაარსების უფლება ყველას აქვს, მაგრამ სარეგისტრაციო სქემაში ვერ შევა, თუ არ დააკმაყოფილებს კოლექციების დაცვის მინიმალურ

სტანდარტებს და საზოგადოებისათვის არ იქნება ხელმისაწვდომი ფონდების დათვალიერება.

ბოლო წლებში შემცირდა დიდი ბრიტანეთის მუზეუმების ბიუჯეტი, განსაკუთრებით შეზღუდვები დაწესდა ექსპონატების შესაძენი თანხის გამოყოფაში. ყოველწლირად დაფინანსება შემცირდა 5 %-ით. პირველ ეტაპზე შემცირდა გამოფენების ხარჯები, შემდეგ – მუშაობის საათები, რამაც გამოიწვია მუზეუმის პერსონალის შემცირება. ცენტრალური მთავრობის მიერ ბიუჯეტის მკვეთრად შემცირებით ყველაზე მეტად დაზარალდა დიდ ქალაქებში არსებული დიდი მუზეუმები.

დიდი ბრიტანეტის კულტურის, მედიისა და სპორტის დეპარტამენტი აფინანსებს ეროვნულ მუზეუმებს და ამასთანავე ახორციელებს ამ მუზეუმების საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს. საბიუჯეტო დაფინანსება გათვალისწინებულია სამეურვეო საბჭოს მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების დასაფინანსებლად.

ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმები ფინანსდება ადგილობრივი მთავრობის მიერ. დამოუკიდებელი მუზეუმები დამოკიდებული არიან მოგებაზე, მაგრამ მათი უმეტესობა დაბალ ფასებს ინარჩუნებს მხოლოდ მოხალისეების ხარჯზე. დამოუკიდებელი მუზეუმების დიდი ნაწილი დაფინანსებას ღებულობს ადგილობრივი მთავრობისაგან. დაფინანსების პოლიტიკა ხორციელდება გრანტების მეშვეობით, აგრეთვე, მუზეუმებს უმცირდებათ შენობის, ელექტროენერგიისა და სხვა გადასახადების ხარჯები.

ფინანსური პრობლემები აქვთ უნივერსიტეტების მუზეუმებს. უნივერსიტეტების მხოლოდ 20 % ღებულობს მცირე დაფინანსებას მუზეუმისათვის უმაღლესი განათლების დაფინანსების საბჭოსაგან (უნივერსიტეტების დაფინანსება დაკავშირებულია სტუდენტების რაოდენობასა და კვლევის ხარისხზე).

უფრო მეტი პრობლემები აქვთ სამხედრო მუზეუმებს, რადგან თავდაცვის სამინისტრომ 1990 წლიდან შეამცირა ბიუჯეტი. სამინისტრო სამხედრო მუზეუმს არ მიიჩნევს შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვან საქმიანობად.

დიდ ბრიტანეთში საგადასახადო სისტემა არასტაბილურია. მუზეუმები იძულებულნი არიან მოიწვიონ ექსპერტები ცვალებად საგადასახადო პოლიტიკაში გასარკვევად. მუზეუმები არ სარგებლობენ სპეციალური საგადასახადო შეღავათებით, მაგრამ ეროვნული და ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმები არ იხდიან დღგ-ს 17.5 %-იან გადასახადს. ამ ხარჯებს ადგილობრივი ხელი-

სუფლება აინაზღაურებს სხვა საქმიანობისაგან. დამოუკიდებელი მუზეუმები იხდიან დღგ-ს, მაგრამ სარგებლობენ შეღავათებით მიწასა და შენობაზე.

დიდი ბრიტანეთის ყველა მუზეუმი დაინტერესებულია მოგებიდან მიღებული შემოსავლებით გაზარდოს ბიუჯეტი. მოგების გაზრდა განსაკუთრებით წარმატებულია ქ. ლონდონში და ტურისტულ ცენტრებში. ლონდონის მთავარი ეროვნული მუზეუმები 20-50 %-ით ახერხებენ შეივსონ ბიუჯეტი მოგებიდან მიღებული შემოსავლებით. ადგილობრივი დაქვემდებარების 800 მუზეუმიდან მხოლოდ 2 მუზეუმი ფარავს საკუთარ ხარჯებს. ამ კატეგორიის მუზეუმების მოგების შემოსავალი საშუალოდ ბიუჯეტის 13 %-ს შეადგენს. დამოუკიდებელ მუზეუმებში გამომუშავებული შემოსავალი ბევრად მეტია და შეადგენს 80 %-ს.

1989 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მუზეუემების ბიუჯეტის 2/3 მთლიანად იხარჯება კოლექციების მოვლაზე და ახალი ექსპონატების შეძენაზე, 1/3 – პერსონალის ხელფასებზე.

დიდ ბრიტანეთში არ არის ერთმნიშვნელოვანი აზრი მუზეუმში შესასვლელი ბილეთის თაობაზე. მუზეუმის სპეციალისტთა ნაწილს მიაჩნია, რომ კვლავ გაგრძელდეს ბრიტანული ტრადიცია – დამთვალიერებლების უფასოდ დაშვება მუზეუმში. ამ პოზიციის მიუხედავად, მუზეუმების ადმინისტრაცია იძულებულია დააწესოს მუზეუმში ფასიანი შესვლა, ბიუჯეტის შემცირების გამო. დიდი ბრიტანეთის მუზეუმების ნახევარზე მეტში შესვლა ფასიანია. ყველა მუზეუმში ხორციელდება ფასდაკლება სხვადასხვა ჯგუფებისათვის (ბავშვები, მოხუცები). ზოგ მუზეუმში დაწესებულია კვირაში ერთი დღე უფასო დათვალიერებისათვის. ბოლო პერიოდში მთავრობამ ეროვნულ მუზეუმებში გააუქმა ფასიანი დათვალიერება. მიღებული გადაწყვეტილებით გაიზარდა კონკურენცია ფასიან მუზეუმებს შორის. ქალაქის ცენტრში მდებარე მუზეუმები ფასიანია, ადგილობრივი მუზეუმების 2/3 – ფასიანი. თითქმის ყველა დამოუკიდებელი მუზეუმი ფასიანია (10 ფუნტიდან რამდენიმე ფუნტამდე), მუზეუმის ადგილმდებარეობისა და სიდიდის გათვალისწინებით.

დიდი ბრიტანეთის მუზეუმების 80-90 %-ს აქვს საკუთარი მაღაზიები, სადაც იყიდება მუზეუმების გამოცემები, კოლექციების რეპროდუქციები, საჩუქრები და სხვა ნივთები. ასევე მოქმედებს კვების ობიექტები – კაფეები და სხვა საცალო ვაჭრობის ცენტრები. მომსახურების სერვისები ხელშეკრულებით გადაეცემა კომერციულ კომ-

პანიებს, რომლებიც იხდიან ქირას, ან მოგების პროცენტს მუზეუმის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, მუზეუმები ვერ ახორციელებენ პირდაპირ კონტროლს მომსახურების სერვისზე.

ბილეთების გარეშე მომსახურების მიზეუმები აწესებენ სხვადასხვა გადასახდს დროებით გამოფენებზე და სხვა პროექტებზე. მაგალითად, საგანმანთლებლო პროგრამები მოზრდილთათვის.

ისევე როგორც საქართველოში, დიდ ბრიტანეთშიც რთულადაა სპონსორების მოძიება. ამ მხრივ, განსაკუთრებით უჭირთ ადგილობრივი დაქვემდებარების მუზეუმებს. აღსანიშნავია, რომ მათი ბიუჯეტის მხოლოდ 1 % მოდის სპონსორობაზე.

დამატებითი შემოსავლის მისაღებად მუზეუმები აქირავებენ შენობის ნაწილს შეხვედრებისათვის, კონფერენციებისათვის და სხვადასხვა სოციალური პროექტებისათვის.

მუზეუმებისათვის ფულის გაღება იშვიათია. დახმარების მისაღებად იქმნება მუზეუმების მეგობრების ჯგუფი. ამგვარი დაფინანსება, ხშირ შემთხვევაში, უფრო ნაკლებ მოთხოვნებს საჭიროებს, ვიდრე კორპორატიული სპონსორობა.

დაფინანსების მიღების ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს საგრანტო სისტემა. მუზეუმები მონაწილეობენ სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში. ქვეყნის შიგნით მოქმედებს მთავრობის დაფინანსება რეგენერაციისათვის, მუზეუმის სპეციალური ფონდები და საქველმოქმედო ფონდები.

დიდ ბრიტანეთს საკმაოდ განვითარებული საინფორმაციო და დაცვის სამსახური აქვს, მაგრამ მუზეუმების რიცხვის ზრდამ და შემოსავლების შემცირებამ შესაძლოა მათ საქმიანობაში ხარვეზების სერიოზული დაგროვება გამოიწვიოს. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მაგალითად, მუზეუმების მხოლოდ 3%-ს გააჩნია კოლექციების შემდგომი გამდიდრებისათვის საჭირო ვრცელი საცავები; 12%-ს აქვს კლიმატიზაციის სისტემა და ნახევარზე მეტი წელიწადში ერთხელ მაინც ახერხებს გაანალიზოს ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის მონაცემები.

საბაზრო ეკონომიკის გავლენა ყველა სექტორში იგრძნობა. შეიცვალა დაფინანსების მოთხოვნები და საშუალებები. ახალ ათასწლეულში მუზეუმები ახალი გამოწვევების წინაშე დადგა – გართობისა და დასვენების ინდუსტრიის არნახული ტემპებით განვითარებამ მნიშვნელოვნად შეცვალა დიდი ბრიტანეთის მუზეუმების სამოქმედო პოლიტიკა. მუზეუმები „იძულებულნი“ არიან ეპოქის გამოწვევას განახლებული და შესაბამისი პროექტებით უპასუხონ.

5.9.2. ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებული შტატები ცნობილია მუზეუმების მრავალფეროვნებითა და რაოდენობის სიდიდით. ოფიციალური ცნობარით (OMD) აღრიცხვაზეა 8300 მუზეუმი. ეს მონაცემები არ არის ზუსტი. ცნობარში შეტანილია სახელმწიფო მუზეუმები. ამერიკის მუზეუმების ასოციაციის (AAM. შეიქმნა 1906 წელს. გაერთიანებულია 16 ათასზე მეტი პროფესიონალი. ასოციაცია ხელს უწყობს მუზეუმის მუშაკთა პროფესიული განათლების დონის ამაღლებას, საქმიანობის პროფესიული სტანდარტების დადგენასა და დაცვას, ინფორმაციის გაცვლას, მუზეუმების აკრედიტაციას და საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას) და მუზეუმებისა და ბიბლიოთეკების მომსახურების ინსტიტუტის (IMLS) ინფორმაციით, რომელმაც მოამზადა ამერიკის მუზეუმების მონაცემთა ბაზა, ეს რიცხვი მიახლოებითია. სინამდვილეში ამერიკის მუზეუმების რაოდენობა 17 500-ს აღწევს.

ამერიკის მუზეუმებს ყოველწლიურად სტუმრობდა დაახლოებით 860 მილიონი დამთვალირებელი, დღეში საშუალოდ – 2.3 მილიონი. განსხვავებულია დამთვალიერებელთა რიცხვი მუზეუმის სახეების მიხედვით. ყველაზე მეტი დამთვალიერებელი ჰყავს ზოომუზეუმებს, სამეცნიერო-ტექნიკურ მუზეუმებს, ბოტანიკურ მუზეუმებს, ბავშვთა მუზეუმებს, ყველაზე ნაკლები – ხელოვნებისა და ისტორიის მუზეუმებს.

აშშ-ში განსხვავებულია მუზეუმში შესასვლელი ბილეთის ფასი. მუზეუმის ბილეთის საშუალო ფასი 5 დოლარია. მუზეუმების 30 პროცენტზე მეტში შესვლა უფასოა. თითოეული დამთვალიერებელი მუზეუმის მაღაზიებში საშუალოდ ხარჯავს 1.72 დოლარს, მუზეუმის კვების ობიექტებში – 0.73 დოლარს.

მუზეუმის შემოსავლები საშუალოდ ფარავს ხარჯების 1/3-ს. მუზეუმის დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს კერძო საქველმოქმედო ფონდებიდან შემოსული შემოწირულობები (35 %), სახელმწიფო დაფინანსების წილი შეადგენს 25 %-ს, ხოლო საინვესტიციო შემოსავალი – 10 %-ს.

აშშ-ში მუზეუმის დაფუძნებისა და აკრედიტაციის ერთიანი სტანდარტი არ არსებობს. მუზეუმის აკრედიტაციის პროცესი გამომდინარეობს მისი პროფილიდან. ახალი მუზეუმის დაფუძნება არ არის შეზღუდული.

მუზეუმი სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ატარებს სემინარებს. მუზეუმების საერთაშორისო პარტნიორობის საზოგადოება (IPAM) უზრუნველყოფს ამერიკის მუზეუმის თანამშრომელთა გაცვლას (1 თვით) უცხოეთის რომელიმე ქვეყნის მუზეუმში, რათა მან უცხოელ კოლეგასთან ერთად იმუშაოს ერთობლივ პროექტზე.

ამერიკის მუზეუმები დაინტერესებული არიან ახალი კადრების მოწვევით. ამერიკის ბევრ უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალური პროგრამა სამუზეუმო საქმის შესწავლისათვის. მიუხედავად ამისა, მუზეუმში მუშაობის დაწყებამდე, უნივერიტეტის კურსდამთავრებული ვალდებულია გაიაროს მუზეუმის მიერ შემუშავებული სპეციალური კურსი. ყველა მუზეუმს შეიძლება განსხვავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები ჰქონდეს.

სმიტსონიანების ინსტიტუტი ეროვნული სტატუსის მქონე დაწესებულებაა. იგი სახელმწიფოს დაქვემდებარებაშია. მუზეუმის ბიუჯეტის 70 %-ს აფინანსებს მთავრობის ბიუჯეტი. ამერიკის მუზეუმის უმრავლესობა კერძო სექტორიდან ფინანსდება და მათი სახელმწიფო დაფინანსების წილი 10-დან 25 %-მდე მერყეობს, დანარჩენი სახსრების მოზიდვა ხდება კერძო სექტორიდან (ფიზიკურ პირთა შემოწირულობა, სხვადასხვა ფონდები, მუზეუმის მეგობრები) და მუზეუმის შემოსავლებიდან. სმიტსონიანების ინსტიტუტის მუზეუმებში შესვლა უფასოა. სხვა მუზეუმების შემოსავლებია: ცალკეული გამოფენების ინვესტიციები, საგამომცემლო საქმიანობა, კაფე-რესტორნებიდან და მაღაზიებიდან მიღებული ფულადი სახსრები.

სმიტსონიანის ინსტიტუტის 18 მუზეუმში დასაქმებულია 6500 ადამიანი. დასაქმებულთა ნაწილი ფინანსდება ფედერალური ბიუჯეტიდან, ნაწილი კი – კერძო სექტორიდან. მუზეუმის ბიუჯეტის დიდი ნაწილი იხარჯება სარესტავრაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებში. მუზეუმში არის სარესტავრაციო ლაბორატორიები.

სმიტსონიანის ინსტიტუტის დირექტორს თანამდებობაზე ნიშნავს აშშ-ის პრეზიდენტი. ინსტიტუტის მმართველი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომლის მეორე პირი ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტია. საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქვეყნის კონგრესმენები და მოქალაქეები, რომლებსაც წვლილი შეაქვთ მუზეუმების დაფინანსებაში. საბჭო იკრიბება წელიწადში ოთხჯერ. მუზეუმში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მრჩეველთა საბჭოს, რომელიც 34

წევრისაგან შედგება. საბჭო აქტიურ როლს ასრულებს მუზეუმის სამუშაო გეგმების შემუშავებასა და მისიის განხორციელებაში.

სმიტსონიანის ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ პროგრამებში წელიწადში 100 მილიონი დოლარი იხარჯება. ინსტიტუტი გამოსცემს ყოველთვიურ ჟურნალს „Smithsonian"-ი. პროგრამებს შორის აქტუალურია საბავშვო პროგრამები, ოჯახური პროგრამები, „დისქავერის" დარბაზი, სმიტსონიანის კარუსელი, შაბათ-კვირას ზოოპარკის მომსახურის როლი და ა.შ.

სმიტსონიანის ინსტიტუტი წარმოადგენს ქვეყნის მნიშვნელოვან სამუზეუმო-საგანმანათლებლო დაწესებულებას. ინსტიტუტმა საფუძველი ჩაუყარა „ახალი მუზეოლოგიის" კონცეფციას – მუზეუმი გახდა კულტურულ-საგანმანთლებლო და პრობლემების განხილვის სადისკუსიო ცენტრი.

5.9.3. საფრანგეთი

საფრანგეთის კანონმდებლობით, სამუზეუმო კოლექციების დაცვა და ექსპონირება ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. დეპარტამენტის ან კომუნის თანხმობით, სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის საფუძველზე კომუნის მუზეუმები შეიძლება დააფინანსოს სახელმწიფო ბიუჯეტმა.

სახელმწიფო მნიშვნელოვან ფინანსურ ინვესტიციას ახორციელებს სამუზეუმო ქსელის განვითარებისათვის. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყოფა სახსრები ხელოვნების ნიმუშების შეძენისათვის.

გარდა დაფინანსებისა, კანონმდებლობით განსაზღვრულია საგადასახადო პრივილეგიები. ისინი განკუთვნილია იმ კერძო პირთათვის ან დაწესებულებებისათვის, რომლებიც კულტურის სფეროს ინვესტირებას ახდენენ და რომლის გარეშეც და ისინი ამ ინვესტიციებს არ გაიღებდნენ („ბერკეტის ეფექტი"). ეს ფორმა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ზოგიერთ სფეროში: წამოწყების მეცენატობა, სამუშაოების წარმოება კერძო მფლობელობაში მყოფ ისტორიულ ძეგლებზე და სხვ.

კულტურის დარგების დასაფინანსებლად საფრანგეთში სახელმწიფო თანხები სხვადასხვა სამინისტროებიდან „მოედინება", მაგრამ ძირითადი დამფინანსებელი კულტურის სამინისტროა.

საფრანგეთის კულტურის სამინისტრო არ არის ერთადერთი სახელმწიფო ორგანიზაცია, რომელიც კულტურას აფინანსებს. სხვა სამინისტროებიც, ერთად აღებული, 25 პროცენტით მეტ სახსრებს გაიღებს, მაგრამ წამყვან როლს მაინც კულტურის სამინისტრო ასრულებს.

საფრანგეთის მუზეუმების მართვას კოორდინაციას უწევს საფრანგეთის მუზეუმების უმაღლესი საბჭო, რომელიც ექვემდებარება კულტურის მინისტრს.

საფრანგეთის მუზეუმის სტატუსი ენიჭება მუზეუმს, რომელიც ეკუთვნის სახელმწიფოს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ან არაკომერციული მიზნის მქონე კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

მუზეუმისათვის სტატუსის მისანიჭებლად მუზეუმების უმაღლესი საბჭო ამზადებს წარდგინებას ხელისუფლების ორგანოს წინაშე.

კანონმდებლობა ავალებს სამუზეუმო დაწესებულებებს, მუზეუმში შესასვლელი ფასი დაადგინონ ისე, რომ ხელმისაწვდომი იყოს ყველა კატეგორიის დამთვალიერებლისათვის.

მუზეუმს გააჩნია სპეციალური სამსახური, რომელსაც ევალება დამთვალიერებელთა მიღება, ინფორმაციის გავრცელება. რამდენიმე მუზეუმს შეიძლება ერთი სამსახური ემსახურებოდეს.

საფრანგეთის მუზეუმების სამეცნიერო საქმიანობაზე პაუხს აგებს სახელმწიფო საბჭოს დეკრეტით განსაზღვრული კვალიფიციური პერსონალი.

მუზეუმის ადმინისტრაცია ვალდებულია კოლექცია შეიძინოს შესაბამისი სამეცნიერო ინსტანციის გადაწყვეტილებით. კოლექციების აღწერა ხდება ყოველ 10 წელიწადში ერთხელ. მუზეუმებს უფლება აქვთ კერძო პირისაგან საგამოფენოდ ითხოვონ ხელოვნების ნიმუშები. ნებისმიერი ნივთის რესტავრაციამდე საჭიროა კომპეტენტური სამეცნიერო ინსტანციების კონსულტაცია, რომელსაც ახორციელებენ დეკრეტით განსაზღვრული კვალიფიციური ან პროფესიული გამოცდილების მქონე პირები.

ევროპული ტრადიცია მუზეუმს განიხილავს როგორც მეცნიერების, ხელოვნებისა და განათლების ტაძარს, ჩრდილოამერიკული კონცეფციით მუზეუმი არის სწავლების, დასვენებისა და გართობის ადგილი.

საფრანგეთის მთავრობა მნიშვნელოვან სახსრებს გამოჰყოფს კულტურის სფეროს, მათ შორის სამუზეუმო ქსელის დასაფინან-

სებლად. სახელმწიფო აფინანსებს არა მხოლოდ არაკომერციულ სფეროებს, არამედ ის ნაწილობრივ ან მთლიანად კომერციულ საქმიანობებსაც (მაგალითად, მომხმარებლებისათვის ფასების შემცირება).

სახელმწიფო აკონტროლებს 2000 მუზეუმს, აქედან 1000 კერძოა. ასევე არსებობს ათასობით სხვა მუზეუმი, რომელიც სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარება.

საფრანგეთის მუზეუმები ხშირად მიმართავენ კომპლექსური, მულტიდისციპლინარული პროექტების განხორციელების პრაქტიკას, რაც პარიზის კუტურული ცხოვრებისათვის დანახასიათებელია და სხვადასხვა ორგანიზაციათა შეთანხმებული თანამშრომლობის შედეგია.

მაგალითად, თანამედროვე ხელოვნების დიდ გამოფენაზე „ვიეტნამური გაზაფხული“ წარმოადგინეს მუსიკაც, ცეკვაც, ფოტოხელოვნებაც. „იტალიურ შემოდგომაზე“ ტიეპოლის გამოფენას ახლდა ბაროკოს მუსიკის კონცერტები. პროექტში ჩართული ბიბლიოთეკები აშუქებდა მოვლენებს იტალიური ლიტერატურის შესახებ და ა.შ.

სხვადასხვა პროფილის კულტურულ დაწესებულებათა ასეთი თანამშრომლობა მომგებიანად წარმოაჩენს საექსპოზიციო მასალას, ავსებს და აღრმავებს ინფორმაციას მის გარშემო.

საფრანგეთის სამუზეუმო პოლიტიკით განისაზღვრა ქალაქებში ახალი სივრცეების ათვისების საჭიროება. სწორედ ამიტომ უსმან სიუს ნამუშევრები ხელოვნების ხიდზე, ხოლო მის მარკ დი სუვერო ინვალიდების მოედანზე გამოფინეს, რამაც ბევრი განაცვიფრა, ბევრიც კრიტიკულად განაწყო. ხელოვნებით „დაპყრობის“ ერთ-ერთი გამოხატულება იყო ალექსანდრე III-ს ხიდზე თანამედროვე ხელოვნების ექსპოზიცია (მსგავსი პროექტი განახორციელა აჭარის ხელოვნების მუზეუმმა პეტრა-ციხისძირში).

5.9.4. ნიდერლანდები

ნიდერლანდებში 700-ზე მეტი მუზეუმია. ამათგან განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტროს (კულტურის საქმეებს სამინისტრო 1994 წლიდან განაგებს) მხოლოდ ჩვიდმეტი ექვემდებარება. გარდა ამისა, სამინისტრო ახორციელებს ზოგადად კულტურის პოლიტიკას და სამუზეუმო პოლიტიკას, რაც გულისხმობს ნიდერლანდების კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობის ნიმუშების შეგროვებას, შესწავლასა და გამოფენას.

1987 წელს სახელმწიფო მუზეუმების მდგომარეობის შესახებ წაკითხულ მოხსენებაში პირველად დადგა მუზეუმების ავტონომიის საკითხი. იგი დღის წესრიგში თვით მუზეუმებმა დააყენეს. საპარლამენტო არჩევნებით ხელისუფლებაში მოსულმა ახალმა მთავრობამ ჩამოყალიბებისთანავე განაცხადა, რომ კრედიტებს გამოყოფდა კულტურის სამინისტროსათვის.

1989 წელს ნიდერლანდების კულტურის, სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გადაწყვიტა შეემუშავებინა სპეციალური გეგმა მუზეუმების კოლექციების დაცვა-შენახვის საქმეში დაგროვილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

1990 წელს, სამთავრობო არჩევნების დროს, კონსერვაციის პრობლემის წინ წამოწევამ დიდი როლი შეასრულა ახალი მთავრობის მოსვლაში. ახალმა მთავრობამ ეროვნული მემკვიდრეობის გადასარჩენად დამატებითი სახსრები გამოყო.

გაითვალისწინეს რა დაგროვილი ხარვეზები, პრიორიტეტი კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მიენიჭა: ეროვნულ საგანძურზე ზრუნვა დაეკისრა კულტურული მემკვიდრეობის პოლიტიკაზე პასუხისმგებელ დეპარტამენტს, რომელიც სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს იმ მიზეზით გამოეყო, რომ უფრო ღრმად შეესწავლა და ზუსტად აღერიცხა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები. კულტურული მემკვიდრეობის დასაცავად შემუსავებულ გეგმას „დელტა“ ეწოდა.

ქვეყნის პარლამენტმა წამოაყენა პირობა: სახელმწიფო მუზეუმებს ავტონომია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიენიჭებოდა, თუ მუზეუმები მართვის, კოლექციების კონსერვაციისა და მოვლის ჯანსაღი საფუძვლის შექმნის გარანტიას წარადგენდნენ. ამგვარად, გეგმა „დელტას“ განხორციელება გახდა მუზეუმებისათვის ავტონომიის მინიჭების წინა პირობა.

კულტურის მინისტრმა თავი მოუყარა გეგმის განსახორციე-

ლებლად საჭირო სახსრებს. გეგმა სამ ფაზად დაყვეს: 1. ხარვეზების ლოკალიზაცია და იდენტიფიკაცია, 2. მათ აღმოსაფხვრელად სპეციფიკური გეგმების შემუშავება, 3. უშუალოდ გადარჩენის ოპერაციები.

გეგმა „დელტას“ ძირითადი არსი მდგომარეობს შემდეგში: კოლექციების მოვლის ხელმძღვანელობა ევალება დაცვის პირველ პირს. მთავრობას ეკისრება განსაკუთრებული პასუხისმგებლობა სახელმწიფო მუზეუმების კოლექციებზე. ვინაიდან სხვა მუზეუმებიც დიდ როლს ასრულებს ეროვნული საგანძურის შენარჩუნებაში, მათი დაფინანსებაც „დელტას“ განხორციელებისათვის გამოყოფილი სახსრებიდან გადაწყვიტეს.

სამუშაოს მოცულობის გამო საჭიროების შემთხვევაში დამხმარეებსაც იწვევდნენ, კონსერვაციასა და რესტავრაციაში დაგროვილი ხარვეზების დასადგენად კი აუცილებელი იყო მუზეუმის სპეციალისტების შრომა, თანაც, არანორმირებული სამუშაო დღის რეჟიმით.

1990 წლის 12 დეკემბერს მინისტრმა აღწერის შედეგები პარლამენტს წარუდგინა. გამოირკვა, რომ მობილიზებული ასსამოცდაოთხი მილიონი გირვანქა სტერლინგი (!) პრობლემის დასაძლევად არ იყო საკმარისი. თანხა 21 სახელმწიფო მუზეუმზე განაწილდა: 9 მილიონი გირვანქა სტერლინგი ინვენტარიზაციისათვის, 30 მილიონი – დანადგარებისა და კლიმატიზაციისათვის, 125 მილიონი კი – კონსერვაციისა და რესტავრაციისათვის.

დაგროვილ ხარვეზთა მოცულობის დასადგენად საჭირო გახდა სპეციალური ანკეტა. ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას დაევალა სხვადასხვა სახის საგნის კატალოგიზაციის ვადების საშუალო ღირებულების განსაზღვრა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის დიდი მნიშვნელობის გაცნობიერებამ მალე მუზეუმებში ახალი ატმოსფერო ჩამოაყალიბა. „დელტას“ ამოქმედებისათვის მუზეუმების თანამშრომლებმა დიდი ენთუზიაზმი გამოავლინეს. სპეციალისტების აქტიურობამ ძლიერ შეუწყო ხელი ოპერაციის წარმატებით განხორციელებას.

ნიდერლანდები მსოფლიოს უმდიდრესი ქვეყნების სიაში მოიხსენიება, მაგრამ „დელტას“ წარმატება მარტო ამ ფაქტორმა როდი განაპირობა. საჭიროა ქვეყნის ხელისუფლებამ ირწმუნოს, რომ აუცილებელია სახელმწიფომ გაიღოს სახსრები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისათვის.

5.9.5. უნგრეთი

უცხოეთის მუზეუმების საქმიანობის გამოცდილებიდან საინტერესოა ევროპის ყოფილი სოციალისტური ბანაკის წევრი ქვეყნის უნგრეთის გამოცდილება. საბჭოთა კავშირის მსგავსად აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტურ ქვეყნებში მუზეუმები სტაბილურად ფინანსდებოდნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სარგებლობდნენ მთავრობის ყოველმხრივი მხარდაჭერით. ამაში არც იყო რაიმე მიუღებელი და კანონგარეშე. ქვეყნის კულტურული მეკვიდრეობა სახელმწიფოს მეურვეობითა და დაფინასებით უნდა სარგებლობდეს. მაგრამ პრობლემას წარმოადგენდა არა დაფინანსების, არამედ სამუზეუმო საქმიანობის სახელმწიფო მონოპოლია და რეგულირება. შესაძლოა, მუზეუმი დაფინანსების განსაზღვრულ ოდენობას (სრული ან ნაწილობრივი) ღებულობდეს, მაგრამ მუზეუმი საქმიანობას უნდა არეგულირებდეს მხოლოდ კანონი, საერთაშორისო და ეროვნული ნორმატიული აქტები და არა პარტიული ორგანოების დირექტივები.

ახალ სოციალურ პირობებთან ადაპტაცია ყველა დაწესებულებამ უნდა შეძლოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურების გავლენისაგან თავისუფლდებიან. უნგრეთში საპარლამენტო დემოკრატიის დამყარებამ, მრავალპარტიულ სისტემაზე გადასვლამ, ვარშავის ხელშეკრულების გაუქმებამ, რაც საბჭოთა კავშირთან და ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოსთან თანამშრომლობის შწყვეტას გულისხმობდა, გამოიწვია ნელი, ერთმანეთისაგან გამომდინარე ეკონომიკური და სოციალური ძვრები, რომლებსაც რიგ შემთხვევაში სერიოზული ცვლილებები ახლდა.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებას, კერძო სტრუქტურების გაჩენას და მრავალ სიახლეს სოციალური ინსტიტუტების გარდაქმნა მოჰყვა. სამუზეუმო ქსელი აღმოჩნდა ისეთი რეალობის წინაშე, რომელსაც ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: ერთი მხრივ, ისტორია და ტრადიცია, მეორე მხრივ, ორიენტაციის რადიკალური შეცვლიდან გამომდინარე ახალ მოთხოვნათა მთელი სერია.

ნაწილობრივ ბუნებრივი ევოლუციური ფაქტორის და ასევე, გარკვეულწილად ქვეყნაში მიმდინარე ღრმა სოციალიური გარდაქმნების გამო შეიცვალა სტრუქტურა, მოქმედების წესი და მეთოდები, მაგრამ მუზეუმების ძირითადი საქმიანობა (შეძენა, აღ-

რიცხვა, დაცვა, რესტავრაცია, გამოფენა, კოლექციების შესწავლა, სამეცნიერო ინფორმაციის გამოქვეყნება) იგივე დარჩა.

უნგრეთის მუზეუმების ისტორია 1802 წლიდან, უნგრეთის ეროვნული მუზეუმის დაარსებიდან იწყება. თანდათან გაიზარდა მუზეუმების რიცხვი და დაიწყო მათი დიფერენციაცია პროფილისა და მიმართულების მიხედვით.

უნგრეთში, გარდა კულტურული სამინისტროს დაქვემდებარებული მუზეუმებისა, არსებობდა, ასევე, ადგილობრივი სპეციალიზირებული ეროვნული მუზეუმები, რომლებიც ჯერ კიდევ XIX დაარსდა. მათი კონტროლი და მუშაობის ხარჯები შესაბამის სამინისტროს ეკისრებოდა. გამოიფინა მრავალი ახალი კოლექცია, რომლებიც სხვადასხვა ორგანიზაციებს, სკოლებსა თუ კერძო პირებს ეკუთვნოდათ. ეკლესიები ფლობდნენ შესანიშნავ კოლექციებს, რომელთაგან ზოგიერთმა დასაბამი მისცა მნიშვნელოვანი მუზეუმების დაფუძნებას.

1949 წელს შეიქმნა კანონი მუზეუმების შესახებ, რაც კულტურისა და განათლების სამინისტროს ბიუჯეტზე კონტროლის და ფინანსების განკარგვის უფლებას ანიჭებდა. გარკვეული უფლებები ჰქონდა, ასევე, სხვადასხვა სამინისტროებს ეროვნულ მუზეუმებზე და ყველა ეკლესიას თავის კოლექციაზე. შეიქმნა რეგიონალური მუზეუმების ქსელი. ცალკეული რეგიონალური მუზეუმები გაერთიანდა ამ რეგიონის მთავარი ქალაქის მუზეუმის მმართველობის ქვეშ. ბუდაპეშტს, როგორც ქვეყნის დედაქალაქს, საკუთარი ქსელი ჰქონდა. მუზეუმების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯები ეკისრებოდა სამეურვეო ორგანოებს – სამინისტროებს, ეკლესიებს და რეგიონალურ საბჭოებს.

1989-1990 წლებში პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები არ შეხებია ამ სქემას. 1997 წელს კანონში შეტანილმა დამატებებმა ის კიდევ უფრო განამტკიცა. სახელმწიფო მუზეუმებმა, რომლებიც კულტურისა და განათლების სამინისტროს ექვემდებარება, შეინარჩუნა თავისი ძირითადი სტრუქტურა. სამინისტროების უმრავლესობამ, რომლებიც მუზეუმებს აფინანსებდა, კვლავაც განაგრძო ეს საქმიანობა, მაგრამ ზოგიერთმა, რესტრუქტურიზაციის შედეგად, ფონდის ტიპის ორგანიზაციებად გარდაქმნა ისინი. რეგიონალური მუზეუმების სისტემა შეინარჩუნეს, რადგან კანონმა ავტონომიის შესახებ ადგილობრივ მუზეუმებს დამოუკიდებლად არსებობის შასუალება მისცა.

სისტემა ძირითადად არ შეცვლილა, მაგრამ შეიცვალა დაფი-

ნანსების წესი. ადრე სამეურვეო ორგანოები ფარავდა ფუნქციონირებისა და პროგრამით გათვალისწინებულ სხვადასხვა ხარჯებს. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში, ისინი ცდილობენ ცალკეული პროექტების დაფინანსების პრაქტიკა დანერგონ, რაც შემდეგში მდგომარეობს: მეურვეები თვითონ კისრულობენ შენობების მოვლასა და კადრების ხელფასით უზრუნველყოფას და თავიანთი ბიუჯეტის მხოლოდ 3-4%-ს რიცხავენ მუზეუმების ისეთი ძირითადი საქმიანობებისათვის, როგორებიცაა: შეძენა, არქეოლოგიური სამუშაოები, სამეცნიერო დოკუმენტაციის შედგენა და გამოფენების ორგანიზება.

დღეს ამისათვის მუზეუმებს შეუძლიათ ფინანსური დახმარება მოითხოვონ სხვადასხვა ფონდებიდან, რომელთაგან ყველაზე მნიშვნელოვანია სპეციალურად ამ მიზნით დაარსებული ეროვნული კულტურის ფონდი.

მუზეუმები აქტიურად ეძებენ და შოულობენ კიდეც დაფინანსების წყაროებს, მაგრამ ამ მიზნით დაფუძნებული ფონდები და მათთან ერთად კერძო სექტორის დახმარება უნგრეთში ვერ ცვლის სახელმწიფო დაფინანსებას. იგივე ითქმის სხვა ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებზეც. დაფინანსების ეს ახალი ფორმა სახელმწიფო დაფინასებას ვერ შეცვლის.

ფინანსურმა პრობლემებმა გამოიწვია მუზეუმების გარკვეული ნაწილის ფონდის ტიპის სტრუქტურებად გარდაქმნა, რაც ხშირად ძველი სამეურვეო ორგანოების გადაწყვეტილებით ხდებოდა, რომელთაც სურდათ მათი მოვლის პასუხისმგებლობა თავიდან აეცილებინათ.

უნგრეთის ეროვნული მუზეუმის დირექტორის იშტვან გედაის დაკვირვებით, მსგავსი გადაწყვეტილებები არ შეიძლება სასარგებლო იყოს მუზეუმების საქმიანობისათვის, რადგანაც ეს ცვლილებები გამოწვეულია ეკონომიკური ფაქტორების ზეწოლით და არა ამ ფონდების ნებით.

არის ქვეყნები, სადაც ტრადიციულად სამუზეუმო სისტემა კონკრეტული ფონდების დოტაციაზეა დამყარებული (აშშ). უნგრეთში ამის ტრადიციას ახლა ეყრება საფუძველი.

თავი VI. მუზეუმის მმართვის საფუძვლები

6.1. მმართვის როლი მუზეუმში

თანამედროვე მუზეუმების ფუნქციები საგრძნობლად გაფართოვდა. მუზეუმები აღარ წარმოადგენენ მხოლოდ შენობებს საგანგებოდ დაცული კოლექციებით, მუზეუმი კომპლექსური კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. ამიტომ აუცილებელი გახდა მუზეუმის ეფექტიანი მართვის ახალი ფორმების დამკვიდრება.

დიდი ბრიტანეთის კულტურის სამინისტროს მრჩეველი, UNESCO-ს ექსპერტი, ICOM-ის ევროპის საბჭოს წევრი ბარბარა ვორონცოვი სტატიაში „მენეჯმენტის წესები XXI საუკუნის მუზეუმებისათვის“ აღნიშნავს, რომ მენეჯმენტის ახალი წესების გათვალისწინება აუცილებელია მუზეუმის შემდგომი განვითარებისათვის. მთავრობა და სხვა დამფინანსებელი არ გამოყოფს ფულს მხოლოდ იმიტომ, რომ მუზეუმი „კარგია“. მუზეუმმა უნდა გაამართლოს თავისი არსებობა. ეს ნიშნავს, რომ მან უნდა წარმოაჩინოს თავისი მოღვაწეობა – დაფინანსების სანაცვლოდ მოახდინოს მისი, როგორც საზოგადოებისათვის სასარგებლო დაწესებულების დემონსტრირება.

როგორ შეიძლება დაინტერესებული პირების ფართო მოთხოვნების დაკმაყოფილება? სტატიის ავტორი (ბარბარა ვორონცოვი) მუზეუმის წარმატების გასაღებს ადამიანურ რესურსებში ხედავს და არა კოლექციების მრავალფეროვნებაში. ადმინისტრაციულმა პერსონალმა უნდა განავითაროს მენეჯერული და ლიდერის უნარ-ჩვევები.

მუზეუმის ხელმძღვანელ პირებთა ლიდერობისათვის, აკადემიური კვალიფიკაციისა და სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობის გარდა, აუცილებელია მართვის უნარ-ჩვევების შეძენა.

მუზეუმის კარგი მენეჯმენტი ადამიანური და ფინანსური რესურსების სწორად დაგეგმვასა და განაწილებას, ყოველდღიური საქმიანობის ეფექტურად წარმართვას გულისხმობს.

ამავე დროს მმართვისას აუცილებელია თანამშრომლების მოტივირება კონკრეტული ამოცანებისა და პროექტების განსახორციელებლად.

როგორც ბ. ვორონცოვი აღნიშნავს, წლების მანძილზე მუზე-

უმებში, მათ შორის ბრიტანეთის მუზეუმებშიც მენეჯერული ჩვევები უფრო მეტად იყო განვითარებული, ვიდრე ლიდერობა. დიდი ხანია არ არის, რაც მუზეუმების სპეციალისტები ჩაერთნენ დებატებში ლიდერობასა და მენეჯერობას შორის განსხვავების თემაზე. ზოგმა ამერიკულმა და ბრიტანულმა მუზეუმმა სცადა ორი დირექტორის (აკადემიური და ბიზნესის მიმართულებით) არჩევა, მაგრამ ეს სტრატეგია წარუმატებელი აღმოჩნდა.

XXI საუკუნის მუზეუმმა უნდა შეძლოს მოდიფიცირება, რომ მისი მენეჯმენტი ყოვლისმომცველი გახდეს. მუზეუმმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს საზოგადოებას და გაიზიაროს მისი აზრი. მართალია, არ არსებობს მუზეუმების მართვის უნივერსალური მოდელი, მაგრამ სწორედ საზოგადოების შეფასება უნდა იქცეს მუზეუმის საქმიანობის ამოსავალ წერტილად. მუზეუმის ხელმძღვანელები უნდა იყვნენ კარგი ლიდერები, მათ უნდა შეძლონ თანამშრომელთა ეფექტური ჯგუფების შექმნა. ამ ჯგუფებმა უნდა აითვისონ მართვის ის უნარები, რომლებიც მათ დაეხმარებათ მუზეუმის პროექტების შემუშავებასა და წარმატებით განხორციელებაში.

უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ „მუზეუმის მენეჯერის“ პროფესიისადმი საზოგადოების დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ეს არ არის მხოლოდ საქართველოში წარმოშობილი პრობლემა. ამ ახალი პროფესიის მეთოდოლოგიური ბაზა განვითარებულ ქვეყნებშიც კი ჯერ კიდევ გააზრების პროცესშია. მხედველობაშია მისაღები თვით პროფესიის „ასაკი“ და სფერო, რომელშიც უნდა იმუშაოს სპეციალისტმა. ნებისმიერ სფეროში მომუშავე მენეჯერი ამოდის იმ კონკრეტული სფეროს სპეციფიკიდან, რომლის წარმატებისთვისაც იღწვის, კულტურის დარგები კი ყველაზე ნაკლებად ემორჩილება ბიზნესის ზოგად ეკონომიკურ კანონებს. კულტურის სფეროში მოქმედებს როგორც მენეჯმენტის ზოგადი წესები და პრინციპები, ასევე უფრო სპეციფიკური და განზოგადებული კანონები.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ მუზეუმის მენეჯერი, როგორც პროფესიონალი, უნდა გამოირჩეოდეს განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით. ამიტომ ამ ფაქტორების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია საკადრო საკითხების გადაწყვეტა სამუზეუმო დაწესებულებებში.

კულტურის სფეროს სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ კულტურა უმეტესად არაკომერციული საქმიანობის დარგია. აქ მენეჯმენტის მთავარი უპირატესობა გამოიხატება იმაში, რომ კულ-

ტურაში ძირითადი თანხები ჩნდება არა კომერციით, არამედ სახსრების მოზიდვით, სხვადასხვა ინსტანციის ჩართვით, იქნება ეს ბიუჯეტზე პასუხისმგებელი სამთავრობო ორგანოები, სპონსორები, საქველმოქმედო ორგანიზაციები, თუ სხვა დონორები. არაკომერციული საქმიანობა არ ნიშნავს ბიზნესისათვის არამომგებიანს, მთელს მსოფლიოში არაკომერციული სექტორი ეკონომიკის ერთერთი ყველაზე ინტენსიურად განვითარებადი სექტორია.

კულტურის სფეროში მოქმედებს სულ მცირე ორი ბაზარი: მომხმარებლის ბაზარი და დონორის ბაზარი. ეს ფაქტორი, თავის მხრივ, აისახება კულტურის სფეროში მენეჯმენტის ტექნოლოგიებზე.

მუზეუმი, როგორც კულტურის სხვა სფერო, საჭიროებს პროფესიონალურ მართვას. ამიტომ ამ დარგის სპეციალისტების მომზადებას სპეციფიკური საგანმანათლებლო პროგრამები ესაჭიროება. მუზეუმის მენეჯერის პროფესიონალური მოღვაწეობის ბაზა კულტურის ღრმა ცოდნისა და მისი ნიმუშების შეფასების უნარის გარეშე ვერ ჩამოყალიბდება.

რომ შევაჯამოთ ზემოაღნიშნული, მუზეუმის მართვამ უნდა უზრუნველყოს მუზეუმის მისიის შესრულება, უფლებამოსილების შესაბამისობა, მიზნების მიღწევა და ამოცანების გადაწყვეტა, იგი კარგად უნდა ასრულებდეს არა ერთ, არამედ ერთდროულად ხუთ როლს:

- შთააგონოს მუზეუმს საკუთარი მისიის მნიშვნელობა;
- განმარტოს მუზეუმის უფლებამოსილება;
- წარმართოს მუზეუმი საკუთარი მიზნების განსახორციელებლად;
- გააკონტროლოს მუზეუმის ამოცანების შესრულება;
- შეაფასოს მუზეუმის მიერ საკუთარი ფუნქციების შესრულების ხარისხი.

მუზეუმის ყველა ხელმძღვანელს არ ჰყოფნის შესაბამისი განათლებისა და კვალიფიკაციის დონე ან ამ დარგის მართვისათვის აუცილებელი შემოქმედებითი უნარები, რომ წარმატებით განახორციელოს ხუთივე როლი. რომელიმე ერთი როლის იგნორირება კი გამორიცხავს სპეციალისტის პროფესიონალ მენეჯერად ჩამოყალიბებას.

არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება კულტურის დაწესებულებების საქმიანობიდან, რომლებიც ნათლად ადასტურებს, რომ მხოლოდ ის მუზეუმი ართმევს წარმატებით თავს თავისი მი-

სიის შესრულებას, თუ მისი ხელმძღვანელი მუზეუმის თანამშრომლებს შთააგონებს მუზეუმის მისიის მნიშვნელობას.

მუზეუმი სხვადასხვა პროფესიის, ასაკისა და სქესის ადამიანებითაა დაკომპლექტებული. ყველა მათგანი ინდივიდუალობით გამოირჩევა, მაგრამ ყველას აერთიანებს ერთი დაწესებულება – მუზეუმი. „ცალკეული მევიოლინე თვითონ მართავს თავის თავს, ორკესტრს კი დირიჟორი ესაჭიროება“. მუზეუმის ხელმძღვანელმა,როგორც დირიჟორმა, უნდა შთააგონოს თითოეულ პერსონალს მუზეუმის მნიშვნელობა და მისია. მხოლოდ ერთსულოვნებით, საერთო მიზნებითა და ამოცანებით შეძლებს მუზეუმი მისიის შესრულებას.

მუზეუმის ხელმძღვანელის მეორე ამოცანაა, ნათლად ჰქონდეს წარმოდგენილი მუზეუმის უფლებამოსილების ჩარჩოები და მათი მიმართება სხვა დაწესებულების უფლებამოსილებასთან.

მუზეუმი, რომელიც თავის უფლებამოსილებას ვერ ასრულებს, და ამასთან, მის მიმართ არის საზოგადოების ინტერესი, მაშინ ამ მუზეუმის ადგილს დაიკავებს სხვა დაწესებულება. მაგალითად, თუ ხელოვნების მუზეუმმა არ დააკმაყოფილა საზოგადოების ინტერესი ხელოვნების კოლექციების მიმართ, მაშინ შეიძლება სხვა დაწესებულებამ, ან მუზეუმმა, თუნდაც მწირი კოლექციებით, მიიზიდოს დამთვალიერებელი უკეთესი შემოქმედებითი პროექტებითა და საგანმანათლებლო პროგრამებით.

მუზეუმის მართვაში მნიშვნელოვანია მუზეუმის წარმართვა დასახული მიზნების განსახორციელებლად. მუზეუმის მიზნები აისახება სტრატეგიულ და მიმდინარე სამუშაო გეგმებში, რომლებიც გამომდინარეობს მუზეუმის მისიიდან.

სტრატეგიული და მიმდინარე (თვე/კვარტალი/წელი) სამუშაო გგემების განხორციელება პირდაპირ კავშირშია ეფექტურ მართვასთან, რომელიც მოითხოვს აუცილებელი რესურსების (ადამიანური, მატერიალური, ფინანსური) მობილიზებას და პერიოდულად შესრულების მიმდინარეობის გაკონტროლებას.

არც თუ იშვიათად, მუზეუმის ხელმძღვანელობა ნაკლებ ყურადღებას უთმობს დაწესებულების შინაგანაწესისა და დაგეგმილი პროექტების შესრულების პროცესში კონტროლის სისტემის დანერგვას. რა ფორმით მოხდება საქმიანობის კონტროლი ეს მუზეუმის მასშტაბებზეა დამოკიდებული. მთავარია, მუზეუმს ზუსტად ჰქონდეს დადგენილი შესრულების ვადები და გარკვეული იმ პირის ვინაობა, რომელიც პასუხისმგებელია კონკრეტული პროექტის შესრულებაზე. მუზეუმის ადმინისტრაციამ უნდა დანერგოს მართვის ისე-

თი სტილი, რომ პასუხისმგებელი პირი ანგარიშვალდებული იყოს მმართველი რგოლის წინაშე და პროექტის შესრულების სხვადასხვა ეტაპზე (დასაწყისი-მიმდინარეობა-დასკვნითი ნაწილი-შედეგი) მოახდინოს ინფორმირება შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელის.

მუზეუმის მართვის შემდეგი არსებითი ნიშანია შესრულებული სამუშაოს შეფასება. ყოველი პროექტისა თუ დასახული ამოცანის დასრულების შემდეგ მმართველმა სუბიექტმა (დირექტორი/ხელმძღვანელი/გამგე/კოორდინატორი და ა.შ.) პროექტში ჩართული პირების თანდასწრებით უნდა გააანალიზოს და შეაფასოს სამუშაოს შედეგები. ეს, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმისათვის, რომ მომავალში მსგავსი პროექტების განხორციელების დროს გაანალიზებულ იქნას მუშაობის პროცესში დაშვებული ხარვეზები, ნაკლოვანებები, სხვადასხვა ცთომილებანი, რომლებიც სამუშაოს თანმდევი პროცესებია და შემდგომში გაითვალისწინოს ისინი. გარდა ამისა, ხელმძღვანელს ელემენტარული მადლიერების გრძნობა არ უნდა ღალატობდეს და შეფასების პროცესში თანამშრომლების პირადი წვლილი რაიმე ფორმით უნდა აღნიშნოს.

მუზეუმის პერსონალს არა მარტო უნდა შთავაგონოთ მუზეუმის მისია, როლი და დანიშნულება, პროექტების დასრულების შემდეგ უნდა დაინახონ ამ მისიაში თავიანთი ადგილი და პირადი წვლილი.

მუზეუმის ფუნქციების შესრულების შეფასების სიზუსტე წარმოადგენს მუზეუმის წარმატებული მმართვის მნიშვნელოვან ფორმას.

6.2. მუზეუმის დაგეგმვა

> 2013 წლის 1-2 დეკემბერს ბათუმში გაიმართა „ვორკშოპი“ მუზეუმის მენეჯერებისათვის, რომლის თემა იყო „მეთოდური რეკომენდაციები სახელმწიფო მუზეუმის საქმიანობის განვითარების კონცეფციის შემუშავების შესახებ“. „ვორკშოპს“ უძღვებოდა ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი ი. ქარაია. ქალბატონ ინგას თავაზიანი ნებართვით წინამდებარე პარაგრაფში გამოვიყენეთ მის მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციები, რისთვისაც მადლობას ვუხდით მას.

ყოველ დაწესებულებას საკუთარი მისია, მიზანი და ამოცანა გააჩნია, რომელიც დაწესებულების გეგმაში ან განვითარების კონცეფციაში აისახება.

მუზეუმის გეგმა შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმისა და ვადის: ყოველთვიური გეგმა, კვარტალური გეგმა, წლის გეგმა, სტრატეგიული გეგმა, გენერალური გეგმა.

წლის, კვარტლის, თვის გეგმების შემუშავება ხდება ტრადიციული წესით, იმის მიხედვით წლის რომელ პერიოდში რის ჩატარებასაც გეგმავს მუზეუმი. გეგმას, როგორც წესი, ახლავს შესრულების ვადა, პასუხისმგებელი შესრულებაზე, ჩატარების ადგილი, ფინანსური ხარჯები (იმ შემთხვევაში, თუ გათვალისწინებულია) ყოველი პროექტისათვის. გეგმის მომზადებაში მონაწილეობს ყველა სტრუქტურული ერთეული (მცირე მუზეუმებში ყველა პერსონალი). გეგმის პროექტს განიხილავს და ამტკიცებს მუზეუმის გამგეობა ან ხელმღვანელი.

სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს გეგმის ტიპსაც და ამგვარი გეგმის შედგენის პროცესსაც. სტრატეგიული გეგმის შემუშავება გულისხმობს დაწესებულებისათვის საუკეთესო მომავლის განსაზღვრას, რასაც საფუძვლად უდევს მუზეუმში არსებული სიტუაციის ანალიზი, კონსულტაციები მუზეუმთან დაკავშირებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, რომლებიც მხარს უჭერენ მუზეუმს ან სარგებლობენ მისი მომსახურებით. სტრატეგიული გეგმა შეიძლება შეიქმნას 3-5 წლით.

სტრატეგიული გეგმისაგან განსხვავებით გენერალური გეგმა გათვალისწინებულია უფრო ხანგრძლივი პერიოდისათვის (10-20 წელი) და გაცილებით დეტალურია, ვიდრე სტრატეგიული გეგმა.

გენერალური გეგმა მოიცავს:

- ინსტიტუციურ გეგმას (აკავშირებს მუზეუმის მმართველობით სტრუქტურას სხვა სუბიექტებთან);
- ბაზრის ანალიზს (დამთვალიერებელთა გამოკითხვები, რეგიონის დემოგრაფიული და სოციოლოგიური ანალიზი);
- კოლექციის ანალიზს;
- მარკეტინგის სტრატეგიას (სამიზნე ბაზრების გაფართოება);
- პერსონალთან მუშაობის გეგმას;
- დამთვალიერებლებზე ორიენტირებული პროგრამების გეგმას;
- განთავსების გეგმას;
- კაპიტალური მშენებლობის ხარჯების პროგნოზს;
- დამთვალიერებელთა ვიზიტის, ხარჯებისა და შემოსავლების გეგმას;

- დაფინანსების სტრატეგიას;
- შესასრულებელი სამუშაოების (პროექტების) გრაფიკს;

მუზეუმის კონცეფცია

კონცეფცია ეს არის დასახული მიზნებისა და ამოცანების ერთობლიობა, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულების სახეეს, მის როლსა და ადგილს საზოგადოებაში, დაწესებულების მოკლე ან გრძელვადიან სტრატეგიას. დაწესებულების მომავალი სწორად განსაზღვრულ კონცეფციაზე დიდადაა დამოკიდებული. ამიტომ კონცეფციის შემუშავებას საპროექტო ჯგუფის სწორად შერჩევა, გულმოდგინე მუშაობა და განხილვა სჭირდება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დასამტკიცებლად წარდგენა.

ძალიან ხშირად, დაწესებულებაში არ ითვალისწინებენ პერსონალის აზრს, კონცეფციაზე მხოლოდ ერთი პირი, უმეტესად ხელმძღვანელი მუშაობს. ძირითადად, ეს იქ ხდება, სადაც დასაქმებულ პერსონალს საკმარისი განათლება, კვალიფიკაცია და გამოცდილება არ გააჩნია და ხელმძღვანელიც იძულებულია თავად იტვირთოს ამ მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულება. უკეთეს შემთხვევაში, ხელმძღვანელის, ან კოლეგიალური ორგანოს (გამგეობა/საბჭო) გადაწყვეტილებით იქმნება სპეციალური ჯგუფი/კომისია, რომელიც მუშაობს კონცეფციის პროექტზე.

მუზეუმის საქმიანობის განვითარების კონცეფციის შემუშავებაც იგივე ეტაპებს გადის. სპეციალისტების რჩევით, კონცეფციის დაგეგმვის რეკომენდებული ვადა 3 წელია (პრაქტიკაში მიღებულია 6 წლიანი და უფრო გრძელვადიანი კონცეფციებიც). რაც უფრო გრძელვადიანია კონცეფცია, მით უფრო ზოგადი ხასიათისაა, რადგან შეუძლებელია შორეული პერსპექტივისათვის ზუსტად განსაზღვრო საქმიანობის ესა თუ ის მხარე.

მუზეუმის საქმიანობის განვითარების კონცეფციას სპეციალისტები 8 პუნქტად ჰყოფენ.

I. მოკლე ინფორმაცია მუზეუმის შესახებ:

1. მუზეუმში ამჟამად დაცული კოლექციები;
2. მუზეუმის შენობა;
3. მუზეუმის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. ბოლო 3 წლის განმავლობაში

განხორციელებული განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროექტები.

II. მუზეუმის საქმიანობის ძირითადი მიზნები და ამოცანები. მუზეუმის მისიის განსაზღვრა.

საპროექტო ჯგუფმა კონცეფციის ამ ნაწილში უნდა განსაზღვროს ის მიზნები და ამოცანები, რომელთა განხორციელებაც მუზეუმს გათვალისწინებული აქვს კონცეფციის სამოქმედო ვადებისათვის. დასახული მიზნები უნდა იყოს კონკრეტული, რეალური და განხორციელებადი. მათი ფორმულირება უნდა იყოს იმ სახით, რომ კონცეფციის განხორციელების დამამთავრებელ ეტაპზე შეიძლებოდეს მათი მიღწევების ხარისხის შეფასება. ხაზგასმული უნდა იყოს კავშირი მუზეუმის მიზნების, ამოცანებსა და ქვეყნის სამუზეუმო სფეროს განვითარების ძირითად მიმართულებებს შორის.

მუზეუმის მისია უნდა იყოს მოკლე, მკაფიო და ამომწურავად პასუხობდეს მუზეუმის დანიშნულებას კონკრეტულ ქალაქში, მუნიციპალიტეტში, რეგიონში თუ ქვეყანაში, გამომდინარე მუზეუმის სტატუსიდან და პროფილიდან. სპეციალისტები გვთავაზობენ მისია განისაზღვროს კონცეფციის შემუშავების დამამთავრებელ ეტაპზე.

III. მუზეუმის მიმდინარე საქმიანობის საერთო ანალიზი

მნიშვნელოვანია, რამდენად კვალიფიციურად და აკადემიურ დონეზე მომზადდება მუზეუმის მიმდინარე საქმიანობის ანალიზი, რომელიც დასკვნის სახით უნდა შევიდეს კონცეფციაში. მიზანშეწონილია, საქმიანობის ანალიზის მომზადებაში ჩართული იყოს მუზეუმის პერსონალი. სასურველია გამოყენებულ იქნას თანამშრომელთა გამოკითხვის, სოციოლოგიური და სხვა სახის მეცნიერული კვლევის მონაცემები, რომლებიც შეიძლება თან დაერთოს კონცეფციის დამატებით ნაწილს.

მუზეუმის მიმდინარე საქმიანობის საერთო ანალიზის მომზადებისას გამოკვლეული უნდა იყოს: მუზეუმის საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები, ახლო პერსპექტივაში დაგეგმილი შესაძლებლობები, მუზეუმის შიდა საფრთხეები და რისკები.

IV. გარემოს ანალიზი, რომელშიც მიმდინარეობს მუზეუმის საქმიანობა

კონცეფციის ამ ნაწილში უნდა მოხდეს მოკლე აღწერა მუზეუმის „მომხმარებელთა“ სხვადასხვა კატეგორიის, იქნება ეს სოციალური ჯგუფები, ასოციაციები, ორგანიზაცია-დაწესებულებები

თუ კერძო პირები. მიზანშეწონილია ამ ჩამონათვალში ისინი წარმოდგენილი იყვნენ თანმიმდევრობით, მუზეუმისათვის მათი მნიშვნელობის პრიორიტეტის გათვალისწინებით.

V. ინფორმაცია მუზეუმის დამთვალიერებლების შესახებ

მიზანშეწონილია ამ პუნქტში გაკეთდეს ანალიზი მუზეუმის დამთვალიერებელთა რაოდენობის, ვიზიტის ინტენსივობის შესახებ სოციალური ჯგუფების მიხედვით მათი ასაკის, სქესის, ეროვნების, რელიგიური აღმსარებლობის, საცხოვრებელი ადგილის, ინტერესის და ა.შ. გათვალისწინებით. მხედველობაში ინდა იქნას მიღებული მუზეუმის დამთვალიერებელთა ახალი აუდიტორია. ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ბოლო 3 წლის შედეგებს.

VI. მუზეუმის საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლები

უნდა გაკეთდეს მუზეუმის ფინანსური ხარჯების მოკლე ანალიზი შემოსავლებისა და გასავლის აღნიშვნით ბოლო 3 წლის განმავლობაში. აუცილებელია მუზეუმის მცირე სამეწარმეო საქმიანობის შეფასება, აგრეთვე შემოსავლების გაზრდის პერსპექტივის დასახვა.

VII. მუზეუმის განვითარების კონცეფციის რეალიზაციის ძირითადი მიმართულებები და მოსალოდნელი შედეგები

კონცეფციის ამ ნაწილში აუცილებელია იმ ღონისძიებების დასახვა, რომლებიც მუზეუმისათვის პრიორიტეტულია, მათი განხორციელების ვადებისა და აუცილებელი ფინანსური და სხვა რესურსების მითითებით.

1. მუზეუმის კოლექციები

ამ პუნქტში აღწერილი უნდა იყოს მუზეუმის ნივთებითა და კოლექციებით ფონდების დაკომპლექტების, აღრიცხვისა და დაცვის, კვლევითი პროგრამების განხორციელებისათვის დაგეგმილი საქმიანობის ანალიზი.

2. დაგეგმილი სარესტავრაციო და სარემონტო სამუშაოები მუზეუმის ობიექტებზე.

3. დამთვალიერებლებთან მუშაობა და ვიზიტიორთა ახალი ჯგუფების მომსახურება

ამ პუნქტში უნდა იყოს ასახული ინფორმაცია მუზეუმში გათვალისწინებული კულტურულ-საგანმანთლებლო და სამეცნიერო მუშაობის შესახებ (ახალი მუდმივი ექსპოზიციის შექმნა, გამოფენები, საგამომცემლო საქმიანობა, საგანმანთლებლო და სოციო-

კულტურული პროგრამები და სხვ.), დამთვალიერებელთა მომსახურებასთან დაკავშირებული საქმიანობა (სპეციალური პროგრამები და პროექტები, დამთვალიერებელთათვის კომფორტული გარემოს შექმნისაკენ მიმართული დამატებითი სერვისები).

ეს პუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს რეკომენდაციების მე-5 პუნქტში მითითებული მონაცემების გათვალისწინებით. აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს იმ პროექტებს (აქაც და წიგნის ყველა ნაწილში, სადაც უნდა იყოს სიტყვა „ღონისძიება“, აჭარის ხელოვნების მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ ნინო ნიჟარაძის რჩევით შევცვალეთ სიტყვა „პროექტით“, და მართებულადაც. პროექტი, მართალია, არ არის ქართული ტერმინი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ უფრო ზუსტად ასახავს კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-შემოქმედებითი საქმიანობის თანამედროვე რეალობას) და მომსახურების სფეროს, რომლის მიზანია მუზეუმის დამთვალიერებელთა ახალი ჯგუფების მოძიება და მუზეუმით დაინტერესება.

4. პარტნიორთა ქსელის გაფართოება

ამ ნაწილში უნდა აისახოს მუზეუმის პარტნიორთა წრის გაფართოებისათვის დასახული

საქმიანობისათვის სფერო (მე-5 პუნქტში აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით).

5. მარკეტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა

ამ პუნქტში მოცემული უნდა იყოს მუზეუმის მომავალი საქმიანობის პერსპექტივა სარეკლამო-საინფორმაციო და მუზეუმის დადებითი იმიჯის შექმნისათვის საჭირო სხვა სამუშაოების ჩატარების გათვალისწინებით.

6. პერსონალთან მუშაობა

კონცეფციის ამ ნაწილში ასახული უნდა იყოს მუზეუმის პერსონალთან მუშაობის კონკრეტული ამოცანები: მუზეუმის სტრუქტურული ორგანიზაციის სრულყოფა; ახალგაზრდა კადრების მოზიდვა; თანამშრომელთა სწავლება და კვალიფიკაციის ამაღლება.

VIII. მუზეუმის განვითარების კონცეფციის რეალიზაციის ეფექტურობის შეფასების მეთოდები

ამ პუნქტში უნდა შევიდეს ის მაჩვენებლები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ მუზეუმის განვითარების კონცეფციის მიმდინარეობა (მთლიანად და შუალედურ ეტაპებზე). ეს

მაჩვენებლები შეიძლება ატარებდეს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ ხასიათს.

შესაძლებელია, კონცეფციას ახლდეს შესავალი და დასკვნითი ნაწილი.

შესავალში მოკლედ უნდა აღინიშნოს კონცეფციის მიღების მნიშვნელობა მუზეუმისათვის, დასკვნით ნაწილში კი – მოსალოდნელი შედეგი.

6.3. ადამიანური რესურსები მუზეუმში

თანამედროვე მუზეუმების მართვა სამ მნიშვნელოვან კომპონენტზეა დამოკიდებული: პერსონალის განათლება, კომპეტენტურობა და სამუშაო გამოცდილება. ჩვენში, მუზეუმის პერსონალს სამუშაო გამოცდილება გააჩნია სპეციალური განათლებისა და კომპეტენტურობის გარეშე. ამ შემთხვევაში, კომპეტენტურობა სპეციალური განათლებით მიღებულ უნარ-ჩვევებთანაა დაკავშირებული და არა სამუშაო გამოცდილებით გამომუშავებულ კომპეტენტურობის ხარისხთან.

მუზეუმის პერსონალს ისევე ესაჭიროება სპეციალური განათლების მიღება, როგორც ბიბლიოთეკას – ბიბლიოთეკარის და სხვა ნებისმიერ პროფესიას. დღემდე სამუზეუმო განათლება იგნორირებული იყო და მხოლოდ მოკლევადიანი კურსებით ან რამდენიმედღიანი სემინარებით ამოიწურებოდა. მუზეუმში დასაქმება შეეძლო ნებისმიერ ადამიანს. უკეთეს შემთხვევაში მუზეუმში სამუშაოდ იწვევდნენ ხელოვნებათმცოდნეებს, ფილოლოგებსა და ისტორიკოსებს, უარეს შემთხვევაში – ყველას ვისაც დიპლომი გააჩნდა. ახალბედა „მუზეოლოგები“ მუზეუმის სტაჟიანი პერსონალისაგან სწავლობდნენ მუშაობის ელემენტარულ წესებს.

ახლა ვითარება შეიცვალა. დრომ მოიტანა ახალი მიდგომა სამუზეუმო განათლებისადმი. საქართველოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში შევიდა „მუზეუმმცოდნეობა“. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის კვლევების სამაგისტრო პროგრამაში შეტანილია მიმართულება მუზეუმმცოდნეობა, თბი-

ლისის სამხატვრო აკადემიაში მომზადდა მუზეუმმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა.

მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. ორიოდე სამაგისტრო პროგრამა ვერ გადაწყვეტს კადრების პრობლემას. აუცილებელია მომზადდეს მუზეუმმცოდნეობის საბაკალავრო და პროფესიული პროგრამებიც. ვინაიდან აღნიშნული მიმართულება საზოგადოებაში არ არის პოპულარული, აბიტურიენტების დაინტერესება ასეთი პროგრამებით ნაკლებად სავარაუდოა.

ამიტომ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო წინანადებით უნდა შევიდეს საქართველოს მთავრობაში, რათა სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საგანმანთლელო პროგრამებს დაემატოს მუზეუმმცოდნეობა. გადაწყვეტილებაში უნდა აისახოს, აგრეთვე, მუზეუმცოდნეობის პროგრამების დაფინანსების შესაძლებლობა სასწავლო უნივერსიტეტებში.

ეს არის ერთადერთი გამოსავალი ახლო პერსპექტივაში დაიწყოს სამუზეუმო დარგის სპეციალისტების მომზადება. რაც შეეხება მუზეუმებში დასაქმებულ პერსონალს, მათი დიდი უმრავლესობა გამოცდილი და კვალიფიციური კადრია. მათი კვალიფიციურობა სამუშაო გამოცდილებას ეყრდობა და ეს ისეთი კაპიტალია, რომელსაც გაფრთხილება ესაჭიროება. ამიტომ მუზეუმმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამები არ წარმოადგენს საფრთხეს, საშიშროება შეექმნას მუზეუმის გამოცდილ და კვალიფიციურ პერსონალს. ასე, რომ ვიფიქროთ, მაშინ სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზეც უნდა გამოვაცხადოთ მორატორიუმი და გარკვეული ვადით უარი ვთქვათ აბიტურიენტთა მიღებაზე, რაც არალოგიკურია.

მუზეუმის პერსონალის რაოდენობა მუზეუმის სიდიდეზეა დამოკიდებული. თანამედროვე სამუზეუმო პრაქტიკა მართვისა და პერსონალის რიცხოვნობის ოპტიმალურ მოდელებზეა ორიენტირებული.

პატარა მუზეუმებში ხშირად ყველა ფუნქცია სრულდება ერთი-ორი ადამიანის მიერ. თუ არის სამი-ოთხი თანამშრომლის აყვანის შესაძლებლობა, მაშინ ეს ფუნქციები შეიძლება უკვე მათ შორის გადანაწილდეს. დიდ მუზეუმებში თითოეულ ქვედანაყოფს შეიძლება ჰქონდეს საკუთარი განყოფილებები.

მუზეუმებში, სადაც შტატი არც თუ მრავალრიცხოვანია, ერთ თანამშრომელს შეიძლება დაევალოს ამ მოვალეობებიდან რამდენიმეს შესრულება, მაშინ, როდესაც უფრო დიდ მუზეუმებში თითოეუ-

ლი ქვედანაყოფი აიგება, როგორც დამოუკიდებელი პირამიდა.

თუ მუზეუმის შტატში მხოლოდ სამი თანამშრომელია, მაშინ შესაძლოა, ერთი დაკავებული იყოს კოლექციებით, მეორე – დამთვალიერებელზე გათვალისწინებული პროგრამებით და მესამე – ადმინისტრაციული საქმეებით. ამა თუ იმ დანაყოფის შტატის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილება, ყოველთვის ასახავს მუზეუმის პრიორიტეტებს.

სხვადასხვა ქვეყანაში მუზეუმის თანამშრომლების თანამდებობები სხვადასახვაგვარად იწოდება. მაგალითად, ჩინეთში „მკვლევარები“ დაკავებული არიან იმავე საქმიანობით, რასაც დასავლეთის მუზეუმებში მცველები ასრულებენ.

მუზეუმის ხელმძღვანელის თანამდებობა, ჩვეულებრივ, დირექტორია. ზოგან შეიძლება ეს თანამდებობა სხვა სახელწოდებითაც იყოს, როგორიცაა აღმასრულებელი დირექტორი, პრეზიდენტი, მთავარი მცველი, მცველი, დირექტორ-მცველი ან მუზეუმის გამგე.

არსებობს ბევრი მუზეუმი, რომელშიც მხოლოდ მოხალისეები მუშაობენ. ეს მუზეუმები ან კერძო პირების დაფუძნებულია ან ასოციაციებისა და საზოგადოებების.

გასული საუკუნის I ნახევარში მუზეუმებში მომუშავე ადამიანთა უმეტესობა იყო მოყვარული. ისინი მუშაობდნენ ანაზღაურების გარეშე. მოგვიანებით მუზეუმების პერსონალს დაუნიშნეს ხელფასები, მაგრამ ანაზღაურების ოდენობა ბევრად ჩამორჩებოდა ადამიანის საარსებო მინიმუმს. არც ამჟამად ღებულობენ მუზეუმის მუშაკები ღირსეულ ანაზღაურებას.

მუზეუმის თანამშრომლების საშტატო დასაქმების ალტერნატივას ხშირად წარმოადგენს თანამშრომლების მოწვევა ხელშეკრულებით. პერსონალის შერჩევისა და დაქირავების ეს მეთოდი კარგად მუშაობს ისეთ სფეროში, როგორიცაა, მუზეუმის საზოგადოებრივი კვების ობიექტი, სათავსოების დალაგება, შენობების ექსპლუატაციისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ.

მუზეუმის ეფექტური მართვისა და სამუშაო პროცესის ორგანიზებისათვის მნიშვნელოვანია თანამშრომლების საქმიანობის შეფასება. თანამშრომლის შეფასების მიზანია მუზეუმის ფუნქციების შესრულებაში მისი მონაწილეობის რენტაბელობის განსაზღვრა. საქმიანობის შეფასების აუცილებელ ნაწილად ითვლება ანგარიშები, რომლებშიც თანამშრომლები თავად აფასებენ საკუთარ თავს. საქმიანობის შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია უნდა იყოს კონფიდენციალური.

6.4. მუზეუმის მარკეტინგი და დაფინანსება

მუზეოლოგთა და მუზეუმში მოღვაწე პერსონალს შორის ხშირად კამათის საგანს წარმოადგენს მარკეტინგის როლი მუზეუმი.

მუზეუმმა სრულფასოვნად რომ განახორციელოს მისიით დასახული მიზნები და ამოცანები გარდა მატერიალური და ადამიანური რესურსებისა, სჭირდება შესაბამისი დაფინანსება.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მუზეუმების დაფინანსების პოლიტიკა ერთმანეთისგან განსხვავებულია, მაგრამ ყველგან ერთი პრინციპი მოქმედებს – მუზეუმი დაფინანსების გარეშე არ ფუნქციონირებს. დამფინანსებლის როლში გვევლინება ან სახელმწიფო ბიუჯეტი, ან კერძო პირი და ასოციაცია თუ საზოგადოება. სახელმწიფოს წვლილი მუზეუმების დაფინანსებაში ყველგან განსხავებულია, მაგრამ არსად მუზეუმი თვითდაფინასებაზე არ ფუნქციონირებს. იქ, სადაც სახელმწიფო ბიუჯეტის წვლილი წილობრივია, მუზეუმის ბიუჯეტის ნაწილი ივსება კერძო სექტორიდან შესული დაფინანსებით. აქაც ხელშემწყობის როლში სახელმწიფო ორგანოები გვევლინება შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით გარანტირებული ქვემოქმედებით.

მუზეუმი არაკომერციული, ფინანსურად არამომგებიანი დაწესებულებაა, სადაც ქვეყნის კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობაა დაუნჯებული. სახელმწიფო ორგანოების ვალდებულებაა ისეთი მექანიზმი შექმნან, რომ მუზეუმს გარანტირებული დაფინანსება გააჩნდეს. რომელი „ჯიბიდან“ შევა მუზეუმში ფული, ეს არ უნდა იყოს მუზეუმის თავსატეხი.

ამიტომ ზოგიერთი არაკვალიფიციური და არაკომპეტენტური ჩინოვნიკის პირად ახირებაზე არ უნდა იყოს დამოკიდებული ქვეყნის მნიშვნელოვანი კულტურის ობიექტის ფუნქციონირება და პერსპექტივა. კანონი უნდა უზრუნველყოფდეს დაფინანსების წყაროების სტაბილურობას.

ყველა მუზეუმი ქმნის საკუთარ ბიუჯეტს. ბიუჯეტი – ესაა გეგმა თანდართული ფინანსებით. მუზეუმის წლის საფინანსო გეგმასთან შესაბამისობაში უნდა იყოს მუზეუმის გრძელვადიანი და მიმდინარე წლის სამუშაო გეგმა.

ჩვეულებრივ, მუზეუმის ბიუჯეტი დგება განყოფილებების მიხედვით. მუზეუმის ხელმძღვანელმა უნდა განსაზღვროს განყოფილებებიდან წარმოსადგენი ბიუჯეტის პროექტის ვადები, რომე-

ლიც შესაბამისობაში უნდა იყოს მთავარი საფინანსო დოკუმენტის ზემდგომ ორგანოში წარდგენის ვადასთან.

შესაძლოა, ბიუჯეტი ცალკეული პროგრამების მიხედვითაც შედგეს.

მუზეუმებს უწევთ ბიუჯეტებისა და ხარჯთააღრიცხვების შედგენა სხვადასხვა ფონდებისა და სხვადასხვა მიზნებისათვის.

მიმდინარე ბიუჯეტი: ყოველწლიური შემოსავლები და მათი ხარჯვა მუზეუმის კოლექციის მომსახურებაზე, დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროგრამების ორგანიზებაზე, ტერიტორიისა და შენობის შენახვაზე.

შესყიდვის ფონდები: სახსრები, რომლებიც გამოყოფილია ახალი ექსპონატების შესაძენად და თანმხლები ხარჯებისათვის.

საქველმოქმედო ფონდები: მუზეუმისათვის შემოწირულობის სახით მიღებული სახსრები, რომლის პროცენტები (მთლიანად ან ნაწილობრივ) გამოიყენება მიმდინარე ხარჯების დასაფარავად ან კონკრეტულ მიზნებზე, როგორიცაა, შესყიდვები, გამოფენები, ან ლექციათა ციკლები.

კაპიტალური მშენებლობა: სახსრები, რომლებიც გამოყოფილია მუზეუმის შენობებსა და მის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამუშაოებისათვის: რეკონსტრუქცია, ადგილმდებარეობის შეცვლა, ახალმშენებლობა ან ექსპოზიციის განახლება.

გრანტები: სამთავრობო ფონდები ან ორგანიზაციები, რომლებიც გრანტებს გასცემენ, ითხოვენ ცალკე საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებას იმ პროექტებისათვის, რომლებიც ხორციელდება მათი ფინანსური დახმარებით.

რეზერვები: სახსრები, რომლებიც გამოყოფილია გაუთვალისწინებელი გარემოებების ან სამომავლოდ შესაძლო განვითარების პროექტებისათვის.

მიმდინარე ბიუჯეტი წარმოადგენს ბიუჯეტზე წლიური მუშაობის შედეგს. პროცესი უწყვეტად მიმდინარეობს: როგორც კი დამტკიცდება მიმდინარე წლის ბიუჯეტი, იწყება მუშაობა მომდევნო წლის ბიუჯეტზე.

წლის ბიუჯეტი, როგორც წესი, ნაწილდება კვარტალების მიხედვით.

ბიუჯეტის პროექტზე მუშაობისას მნიშვნელოვანია ფაქტობრივი შემოსავლებისა და ხარჯების მონიტორინგი, როგორც მიმდინარე წლის განმავლობაში ფინანსების კონტროლისათვის, ასევე მომავალი წლის ბიუჯეტის მოსამზადებლად. ბიუჯეტზე მუშაობის

პროცესში ეს ციფრები მუდმივად უნდა ზუსტდებოდეს და ასახავდეს თითოეულ ეტაპზე ბიუჯეტის რეალურ მდგომარეობას და მის შესაბამისობას მუზეუმის საჭიროებებთან. ეს აუცილებელია მომდევნო წელს შესაძლო თანხების უკმარისობისა და გადახარჯვების გათვალისწინებისათვის. როცა ახალი ბიუჯეტი დამტკიცებულია, ბუნებრივია, იგი ხდება მონიტორინგის ობიექტი და იწყება ბიუჯეტზე მუშაობის ახალი ციკლი.

გარდა სუფსიდიისა, მუზეუმის დაფინანსების წყაროა შემოსავლები. ამ შემთხვევაში, შემოსავლების წილი მუზეუმის ბიუჯეტში დამოკიდებულია მუზეუმის სტატუსზე. რა თქმა უნდა, ილუზიაა ფიქრი იმაზე, რომ შემოსავლები მეტი იქნება სუფსიდიაზე. ეს განვითარებულ ქვეყნებშიც შეუძლებელია. გამონაკლისს წარმოადგენს აშშ-ი, სადაც სახელმწიფო სუფსიდია ნაკლებია მუზეუმის დანარჩენ შემოსავლებზე. მიუხედავად ამისა, აშშ-ში არასაბიუჯეტო შემოსავლები „გარანტირებულია“ საკანონმდებლო აქტებით და მუზეუმს დაფინანსების პრობლემა არა აქვს.

უცხოეთში მუზეუმებიც ცდილობენ სახსრების მოძიებას, მაგრამ ამ გზით მიღებული შემოსავლები მუზეუმის დამატებითი შემოსავლებია, რომლებიც სხვადასხვა პროექტების განხორციელებაში იხარჯება, ან პერსონალის წახალისების ფონდში გროვდება და დამატებითი ანაზღაურებისათვის გამოიყენება.

მუზეუმს გააჩნია დამოუკიდებელი შემოსავლები. მათ განეკუთვნება:

- მუზეუმში შესვლის საფასური/ ბილეთის ფასი;
- საცალო ვაჭრობა;
- კვება;
- მუზეუმის ხელშემწყობი ორგანიზაციის წევრობა;
- იჯარის საფასური;
- ფილმების ჩვენება, სხვადასახვა პროექტების წარდგენა (პრეზენტაცია);
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- საგამომცემლო საქმიანობა და ინფორმაციის საშუალებები;
- სახელშეკრულებო მომსახურება.

მუზეუმში შესვლის საფასური ყველგან სხვადასხვაგვარია. თვით აშშ-შიც კი, რომლის მაგალითად მოყვანა უყვართ ჩვენს ახალგაზრდა „რეფორმატორებს“, ბევრ დიდ მუზეუმში შესვლა უფასოა. ყველა მუზეუმი ცდილობს დააწესოს სხვადასხვა ფასი

სხვადსხვა სოციალური ჯგუფისათვის, რომ მუზეუმში შესვლა ყველა მოქალაქისათვის იყოს ხელმისაწვდომი. არის ქვეყნები, სადაც ზოგიერთ მუზეუმში შესვლა უფასოა, ზოგან ფასიანია. შეიძლება მუდმივი ექსპოზიციის დათვალიერება უფასო იყოს, სპეციალურ გამოფენებზე კი – ფასიანი.

მაგალითად, ბაქინჰემის საგრაფოს ქ. ეილსბერის სამუზეუმო სამსახური, რომელმაც 1996 წელს მიიღო ბრიტანეთის „წლის მუზეუმის“ წოდება, დამთვალიერებელს სთავაზობს საგრაფოს მუზეუმებში უფასო შესვლას, მაგრამ აწესებს საფასურს როალდ დალის შესანიშნავი გალერეის მოსანახულებლად. ცალკეულ შემთხვევებში ამგვარი სტრატეგია ზრდის საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და დამთვალიერებლებზე ორიენტირებული პროგრამებისაგან მიღებულ შემოსავლებს. ეს სტრატეგია წარმოადგენს დამთვალიერებელთა გაცილებით მეტი რაოდენობის მოზიდვის საშუალებას, ვიდრე იქ, სადაც ყველასათვის და ყველგან დაწესებულია შესვლის თანაბარი საფასური.

უცხოეთის ზოგიერთ მუზეუმში წარმატებით დაინერგა შესვლის საფასურის კომპიუტერით შემოწმების სისტემა. ამ ფორმით მუზეუმს საშუალება ეძლევა, დააფიქსიროს დამთვალიერებელთა ვინაობა, მისამართი, რაც მას შესაძლებლობას აძლევს, იცოდეს მისი მუდმივი დამთვალიერებლის ვინაობა. მათი სია შეიძლება გამოყენებულ იქნას მუზეუმში ახალ დამთვალიერებელთა მოზიდვისათვის (ტელეფონით, ფოსტით), აუდიტორიის ანალიზისათვის.

თანამედროვე მუზეუმებში დაინერგა საცალო ვაჭრობის ფორმა. სპეციალისტთა ანალიზით, დამთვალიერებელთა გამოკითხვები ადასტურებს, რომ მუზეუმის დამთვალიერებელთა (განსაკუთრებით უცხოელები) დიდი რაოდენობა მოელის, რომ მუზეუმში დახვდება მაღალხარისხოვანი სავაჭრო ობიექტი და უკმაყოფილო რჩება თუკი არჩევანი, საქონლის ხარისხი და მათი განთავსება, ან მომსახურება ვერ პასუხობს მის მოთხოვნებს. სავაჭრო პუნქტი დამთვალიერებელს საშუალებას აძლევს შინ წაიღოს რაიმე ისეთი (ალბომი, ბუკლეტი, სასაჩუქრე ნივთი, საკანცელარიო საქონელი და სხვ.), რაც შემდგომში მას მოაგონებს მუზეუმში ვიზიტს.

მუზეუმებში შევიდა კვების ობიექტებიც. დღეისათვის ეს აპრობირებული ფორმაა და ბევრი მუზეუმი ცდილობს ვაჭრობის ამ ფორმის დანერგვას. მთავარია, მუზეუმის კვების ობიექტების ასორტიმენტის ფასები ხელმისაწვდომი იყოს და მენიუც საგანგე-

ბოდ შერჩეული. მუზეუმს, რომელსაც თავის შენობაში კვების ობიექტის გახსნის საშუალება არ გააჩნია, შეუძლია ბილეთზე დაბეჭდოს ახლომდებარე კაფეებისა და რესტორნების სქემა და მისამართი. მუშაობის ასეთი ფორმა დააინტერესებს თავად ამ ობიექტების მფლობელებსაც და შეიძლება თანამშრომლობის სურვილიც გაუჩნდეთ.

მუზეუმს, რომელსაც ფართის საშუალება აქვს შეიძლება გახსნას ბავშვთა ოთახიც, სადაც ბავშვებს, მშობლებისაგან დამოუკიდებლად, დასვენებისა და გართობის საშუალება ექნებათ (იგულისხმება მცირე ასაკის ბავშვთა ოთახი). ზოგიერთი მუზეუმი სასკოლო ასაკის ბავშვთა კვების ოთახსაც ხსნის, რომ კლიენტებისაგან განტვირთოს კვების ობიექტის მთავარი დარბაზი.

ერთი სიტყვით, მუშაობის ყველა ფორმა მისაღებია, რომელიც მუზეუმის ინტერესებიდან გამომდინარეობს და არ ეწინააღმდეგება ქვეყნის კანონმდებლობას.

თავი VII. სამუზეუმო ინსტრუქციები და აქტები

მუზეუმი არის კანონით დადგენილი წესით შექმნილი (დაფუძნებული) ან/და რეგისტრირებული იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეცნიერო-კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, კულტურული მემკვიდრეობის გამოვლენა, შეგროვება, აღრიცხვა, დაცვა, შესწავლა, ექსპონირება და პოპულარიზაცია.

საქართველოს კანონმდებლობა მუზეუმების შესახებ შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, „კულტურის შესახებ“ და „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონებისა და „მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონისგან, აგრეთვე, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისაგან.

„მუზეუმების შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა 2001 წელს.

კანონის ძირითადი მიზნებია საქართველოს სამუზეუმო საქმიანობის სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება და საქართველოს სამუზეუმო ფონდის დაცვა.

7.1. კანონი მუზეუმის შესახებ

სამუზეუმო საქმიანობის სფერო. საქართველოს კანონი მუზეუმის შესახებ განმარტავს სამუზეუმო საქმიანობის სფეროებს და ქონების მნიშვნელობას.

მუზეუმის ფონდი – მუზეუმში დაცული ექსპონატებისა და კოლექციების ერთობლიობა.

სამუზეუმო ნივთი – მუზეუმის ფონდში დაცული კულტურული ფასეულობა, მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლი, კულტურის უძრავი ძეგლის ფრაგმენტული ნაწილი ან კულტურის ძეგლის ნიშნის მქონე ანტიკვარული საგანი.

სამუზეუმო ექსპონატი – დადგენილი წესით აღრიცხული სამუზეუმო ნივთი, რომელსაც მინიჭებული აქვს სამუზეუმო ექსპონატის სტატუსი.

სამუზეუმო კოლექცია – რაიმე საერთო ნიშნით ერთმანეთ-

თან დაკავშირებული ნივთების ერთობლიობა, რომელიც შეადგენს მუზეუმის ფონდის ნაწილს.

სამუზეუმო საქმიანობა – მუზეუმთან დაკავშირებული საკანონმდებლო და საფინანსო-ეკონომიკური, შგროვებითი, საფონდო, სარესტავრაციო, სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საგანმანთლებლო და საექსპოზიციო საქმიანობა.

მუზეუმის საინვენტარო წიგნი – დადგენილი წესით შედგენილი სააღრიცხვო დოკუმენტი, რომელშიც აღნიშნულია ძირითადი მონაცემები თითოეულ სამუზეუმო ექსპონატსა და კოლექციაზე.

სამუზეუმო ექსპოზიცია – გარკვეული სისტემით ექსპონირებული მუზეუმის ფონდის ის ნაწილი, რომელიც განკუთვნილია დამთვალიერებლისათვის.

მუზეუმის კატეგორია. საქართველოს მუზეუმები თავისი მნიშვნელობისა და სამოღვაწეო არეალის მიხედვით, განურჩევლად მათი კუთვნილებისა, იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) სახელმწიფო (ეროვნული) და ბ) ადგილობრივი.

მუზეუმს სახელმწიფო (ეროვნული) კატეგორიას, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარდგინებით და საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, ანიჭებს საქართველოს პრეზიდენტი.

მუზეუმს ადგილობრივ კატეგორიას, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოს წარდგინებით ან მუზეუმის მესაკუთრის განცხადებით, ანიჭებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

მუზეუმის შექმნა. მუზეუმი იქმნება სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებით და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

არასახელმწიფო და შერეული საკუთრების ფორმის მუზეუმები ფუძნდება ფიზიკური და/ან იურიდიული პირის მიერ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუზეუმის შემქმნელის (დამფუძნებლის) უფლებები განისაზღვრება მის მიერ შექმნილი (დაფუძნებული) მუზეუმის დებულებით (წესდებით) ან/და მუზეუმის შემქმნელსა (დამფუძნებელსა) და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულების ფორმას ადგენს და ამტკიცებს

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

მუზეუმის რეგისტრაცია. მუზეუმი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის შესაბამისად იურიდიული პირის სტატუსს იძენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირების მომენტიდან.

საქართველოში არსებულ და ახლადშექმნილ მუზეუმებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო აღრიცხავს მუზეუმების სახელმწიფო რეესტრში.

ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები აღრიცხავენ მათ ტერიტორიაზე არსებულ მუზეუმებს.

მუზეუმის შექმნისათვის საჭირო პირობები. სახელმწიფო მუზეუმის შექმნისათვის (დაფუძნებისათვის) აუცილებელია ფართობი, მუზეუმში დაცული ექსპონატების შესანახად ვარგისი შენობა, სამუზეუმო ექსპოზიციისა და საქმიანობისათვის საჭირო სახსრები.

მუზეუმის შემქმნელი (დამფუძნებელი) წერილობით აცნობებს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მუზეუმის შექმნის (დაფუძნების) მიზანს, მის ტიპს, სახელწოდებასა და ადგილმდებარეობას.

მუზეუმით სარგებლობა. მუზეუმში ექსპონირებული ნივთებისა და კოლექციების სანახავად დაიშვება ყველა მოქალაქე. მუზეუმის ექსპოზიცია ღია უნდა იყოს ყველა კატეგორიის დამთვალიერებლისათვის მოსახერხებელ საათებში.

მუზეუმის საცავებში დაცული სამუზეუმო ექსპონატებით სარგებლობის წესი განისაზღვრება მუზეუმის დებულებით (წესდებით).

მუზეუმის მესაკუთრეს ან მფლობელს უფლება აქვს შეზღუდოს მუზეუმის ფონდში დაცულ ექსპონატებთან დაშვება მათი დაცულობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, რესტავრაციის ან საცავებში მოთავსების გამო.

სამუზეუმო ექსპონატების დაცვა. სამუზეუმო ექსპონატის დაცვა ხორციელდება „საქართველოს სამუზეუმო ფონდის აღრიცხვისა და დაცვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

სამუზეუმო ექსპონატი უნდა ინახებოდეს და გამოიფინებოდეს სათანადოდ აღჭურვილ შენობაში, სამუზეუმო საცავში ტემპერატურის, ტენიანობის თუ სხვა აუცილებელი რეჟიმის დაცვით.

სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაცია. სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაცია ხორციელდება იმ მუზეუმში, რომელშიც არ-

სებობს სარესტავრაციო განყოფილება ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებულ სპეციალურ სარესტავრაციო ცენტრებში.

სამუზეუმო ექსპონატის რესტავრაციის უფლება აქვთ მხოლოდ შესაბამისი სერთიფიკატის მქონე რესტავრატორებს.

სამუზეუმო ექსპონატის აღრიცხვა. სამუზეუმო ექსპონატი აღირიცხება დადგენილი წესით. სამუზეუმო ექსპონატი არ ექვემდებარება საბუღალტრო აღრიცხვას.

მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტებია:

- ძირითად შემოსულობათა საინვენტარო წიგნი;
- მუზეუმის საინვენტარო წიგნი;
- სამეცნიერო-დამხმარე წიგნი;
- დროებით შემოსულობათა საინვენტარო წიგნი;
- ძვირფასეულობის შემცველი სამუზეუმო ექსპონატის აღრიცხვის სპეციალური წიგნი;
- სამუზეუმო ექსპონატის მიღება- ჩაბარების აქტი;
- სამუზეუმო ექსპონატის სამეცნიერო პასპორტი.

მუზეუმის ძირითადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის გარდა მუზეუმში არსებობს დამატებით სამუშაოთა დოკუმენტაცია, მათ შორის:

- სამუზეუმო ნივთის შესყიდვის დეტალური აღრიცხვის დოკუმენტი;
- სამეცნიერო მასალა – კატალოგები, ბიბლიოგრაფია, სამეცნიერო-კვლევითი მასალა და სხვ;
- საქართველოს კულტურისა დაძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ინსტრუქცია სამუზეუმო სამუშაოთა წარმართვის შესახებ.

სამუზეუმო რეფორმის პროგრამა. საქართველოს კულტურისა დაძეგლთა დაცვის სამინისტრომ „სამუზეუმო რეფორმის პროგრამის“ ფარგლებში ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელა საქართველოს მუზეუმების ოპტიმიზაციის, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის, ინფრასტრუქტურისა და ექსპოზიციების განახლების, სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების, საინფორმაციო და სამეცნიერო კრებულების გამოცემის, პერსონალის სტაჟირების მიზნით.

სამუზეუმო რეფორმის პირველ ეტაპზე განხორციელდა საქართველოს რამდენიმე მუზეუმის გაერთიანება და მათ ბაზაზე

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ეროვნული მუზეუმის“ ჩამოყალიბება.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შემადგენლობაში შევიდა:

- სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზეუმი;
- შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი;
- ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმი;
- მოსე თოიძის სახლ-მუზეუმი;
- იაკობ ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი;
- უჩა ჯაფარიძის სახლ-მუზეუმი;
- იოსებ გრიშაშვილის სახელობის თბილისის ისტორიის მუზეუმი (ქარვასლა);
- გიორგი ჩიტაიას სახელობის ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი;
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი;
- სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი;
- დმანისის მუზეუმ-ნაკრძალი.

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში შეიქმნა საერთაშორისო გამოცდილებაზე დაფუძნებული მმართველობითი და ადმინისტრაციული მოდელი.

სამწუხაროდ, ამ პროგრამაში ვერ ჰპოვა ასახვა სამუზეუმო აკადემიური განათლების, მუზეუმებისათვის კვალიფიციური, პროფესიონალი კადრების მომზადების (და არა სტაჟირების) პოლიტიკამ. ეს იმას ნიშნავს, რომ სამინისტროს დღემდე არა აქვს ჩამოყალიბებული მკაფიო, მწყობრი სამუზეუმო განათლების პროგრამა. დღეს საქართველოს მუზეუმებში დასაქმებულნი არიან სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, რომლებსაც სპეციალური განათლება არ გააჩნიათ. არც ახლო მომავალში ჩანს იმის პერსპექტივა, რომ მუზეუმები დაკომპლექტდება პროფესიონალი კადრებით. თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის სამხატვრო აკადემიაში მოქმედი მუზეუმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამები ამ პრობლემას ვერ გადაწყვეტს, კურსდამთავრებულთა მცირერიცხოვანი კონტინგენტის გამო.

საჭიროა, საქართველოს კულტურისა დაძეგლთა დაცვის სამინისტრომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერებათა სამი-

ნისტროსთან შეთანხმებით შეიმუშაოს სამუზეუმო აკადემიური განათლების მიზნობრივი პროგრამა.

ამისათვის უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

- სამუზეუმო აკადემიური განათლება გამოცხადდეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სამუზეუმო პოლიტიკის პრიორიტეტულ მიმართულებად;
- მომზადდეს მუზეუმმცოდნეობის პროფესული და აკადემიური საგანმანთლებლო პროგრამები;
- იმისათვის, რომ უნივერსიტეტები დაინტერესდნენ ასეთი პროგრამების მომზადებით, მუზეუმმცოდნეობა უნდა შევიდეს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ დასაფინანსებელი სპეციალობების ნუსხაში.
- მომზადდეს და სამინისტროს დაფინანსებით გამოიცეს სახელმძღვანელოები მუზეუმმცოდნეობაში.

საქართველოს მუზეუმების პასპორტიზაცია. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ დაფინანსებით განხორციელდა საქართველოს მუზეუმების პასპორტიზაციის პროექტი.

შეიქმნა საინფორმაციო ბაზა საქართველოში მოქმედი სახელმწიფო და კერძო, აგრეთვე, სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციებთან არსებული მუზეუმების შესახებ. მომზადდა ანოტაციები.

შედგა ყველა მუზეუმის პასპორტი, რომელშიც შევიდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- მუზეუმის პროფილი;
- ადგილმდებარეობა;
- ინფორმაცია კოლექციებსა და განყოფილებებზე, ექსპონატთა რაოდენობასა და დაცულობაზე, მატერიალურ-ტექნიკურ მდგომარეობაზე და სხვ.;
- მუზეუმისა და რამდენიმე ექსპონატის ფოტო.

მოპოვებული მასალის დამუშავებისა და ანალიზის შედეგად გამოიკვეთა სტატისტიკური მონაცემები საქართველოში არსებული მუზეუმების შესახებ.

ამჟამად საქართველოში სხვადასხვა პროფილის (ისტორიული, ხელოვნების, მემორიალური, ლიტერატურის და სხვ.) და დაქვემდებარების 228 მუზეუმია. მათ შორის: თბილისში – 70 მუზეუმი, აჭარაში – 16, აფხაზეთში – 5 (გასაგებ მიზეზთა გამო, ინფორმაცია

არ არის დაზუსტებული), გურიაში – 8, იმერეთში – 31, სამეგრელო-ზემო სვანეთში – 16, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონში – 5, სამცხე-ჯავახეთში – 6, შიდა ქართლში – 15, ქვემო ქართლში – 10, მცხეთა-მთიანეთში – 10, კახეთში – 32. წყარო: www.culture.gov.ge).

ქვეყნის მუზეუმების 99% ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. მათ შორის: 24 მუზეუმი (საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით) ფინანსდება უშუალოდ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან, 12 მუზეუმ-ნაკრძალი და 3 მუზეუმი – კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, 12 მუზეუმი _ თბილისის მერიის, ხოლო რეგიონებში არსებული მუზეუმები (არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის სტატუსით) კი – ადგილობრივი მმართველობის ბიუჯეტიდან.

7.2. ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ

სამუზეუმო ფონდი შედგება: ძირითადი და დამხმარე ფონდისაგან. საბუნებისმეტყველო პროფილის მუზეუმებში კი, გარდა აღნიშნულისა, არის „ნედლეულ მასალათა ფონდი“.

საბუნებისმეტყველო მუზეუმებში ძირითად ფონდს განეკუთვნება:

- ბუნებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების განვითარებასთან დაკავშირებული ნივთები;
- გრძელვადიანი შენახვისათვის დამუშავებული და დაკონსერვებული ბუნების ნიმუშები;
- ცოცხალი და არაცოცხალი ბუნების უნიკალური ობიექტები, მაგალითად, ცხოველთა და მცენარეთა იშვიათი ნიმუშები, მეტეორიტები, უჩვეულო ფორმის კრისტალები და სხვ;
- პრეპარირების ტექნიკისა და სამეცნიერო ტაქსიდერმიის ნიმუშები;

- ბიოჯგუფები და ლანდშაფტური დიორამები;
- ბუნებრივი პირობებისათვის დამახასიათებელი მასალები (კარტოგრაფიული, ფოტოგრაფიული);
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ისტორიის ამსახველი წერილობითი, სახვითი, ნივთიერი მასალები.

ისტორიული პროფილის მუზეუმებში ან განყოფილებებში სამუზეუმო ფონდებს შეადგენს საზოგადოების ისტორიისა და განვითარების ამსახველი დოკუმენტური და სამუზეუმო მასალები, მათ შორის:

- არქეოლოგიური მასალა (გათხრების შედეგად ან შემთხვევით ნაპოვნი);
- სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ეკონომიკური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური განვითარების ამსახველი მასალები (შრომის იარაღები, პროდუქციის ნიმუშები, იარაღი, დროშები, ყოფის ნივთები, ტანსაცმელი, საომარი აღჭურვილობა, პროფესიონალური გამოყენებითი ხელოვნების და ხალხური შემოქმედების ნამუშევრები);
- ნუმიზმატიკური მასალა (მონეტები, ბონისტიკა, ორდენები, მედლები), სფრაგისტიკა (საბეჭდავები), ჰერალდიკა და სხვ;
- სახვითი ხელოვნების ნიმუშები: დოკუმენტური, მემორიალური, მხატვრული მნიშვნელობის, სახვითი და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები (ფერწერა, სკულპტურა, გრაფიკა, პლაკატები და სხვ.);
- დოკუმენტური, მემორიალური, მხატვრული მნიშვნელობის ფოტოგრაფიული მასალა (დაგეროტიპები, ნეგატივები და პოზიტივები);
- ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებული რუქები, ატლასები, გლობუსები, გეგმები, ნახაზები;
- წერილობითი ძეგლები – ხელნაწერი და ბეჭდვითი დოკუმენტები;
- ხელნაწერი და ძველბეჭდური წიგნები, გასული საუკუნის იშვიათი გამოცემები, წიგნები ავტოგრაფებით;
- კინომასალები – დოკუმენტური და მხატვრული;
- ფონოჩანაწერები – დოკუმენტურ-მხატვრული ღირებულების მქონე მუსიკალური და სიტყვიერი ჩანაწერები.

ლიტერატურულ, თეატრალურ, მუსიკალურ მუზეუმში ან

განყოფილებებში – სამუზეუმო ნივთები, რომლებიც ასახავენ ლიტერატურის, თეატრალური ხელოვნებისა და მუსიკალური კულტურის განვითარებას, მათ შორის:

- წერილობითი ძეგლები: მხატვრული ლიტერატურის, დრამატურგიის, პუბლიცისტიკის (ხელნაწერები, ბეჭდური გამოცემები – ავტოგრაფებით ან ავტორისეული ჩასწორებებით, იშვიათი გამოცემები და სხვ.) ნაწარმოებები;
- შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობის, მწერალთა, მსახიობთა, რეჟისორთა, კომპოზიტორთა, მუსიკოსთა, თეატრის მხატვართა ცხოვრება-შემოქმედებისა და გარემოცვის ამსახველი დოკუმენტები;
- სახვითი ძეგლები – სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები, ფოტოები, რომლებიც ასახავენ შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობას, ლიტერატურის, თეატრალური, მუსიკალური ხელოვნების წარმომადგენელთა შემოქმედებით გზას, ეპოქას, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ;
- დეკორაციის და თეატრალური კოსტიუმების ესკიზები, მაკეტები;
- ლიტერატურული ნაწარმოებების ილუსტრაციები;
- ნივთიერი ძეგლები, ყოფის მემორიალური ნივთები, ეპოქის ამსახველი ყოფითი ნივთები;
- მუსიკალური ინსტრუმენტები, თეატრალური კოსტიუმები და სხვ;
- ფონოჩანაწერები და კინოფილმები.

ტექნიკური მუზეუმების ფონდებში თავმოყრილია ტექნიკის განვითარების ისტორიის დოკუმენტური მასალები, მათ შორის:

- ნივთიერი ძეგლები: მანქანები, მექანიზმები, ხელსაწყოები და სხვ.
- სახვითი ძეგლები – სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები, ნახაზები და ფოტოები, რომლებიც ასახავენ მეცნიერთა, გამომგონებელთა ცხოვრებასა და მოღვაწეობას, სხვადასხვა ტექნიკურ პროცესებს და ა.შ.
- წერილობითი ძეგლები – მეცნიერთა ცხოვრება – მოღვაწეობასთან დაკავშირებული დოკუმენტები, ტექნიკური დოკუმენტაცია, ფონოჩანაწერები და კინოფილმები, რომლებიც ასახავენ ტექნიკის განვითარების ეტაპებს.

მემორიალური მუზეუმების ფონდს შეადგენს:

- მემორირებული პიროვნებისა და მისი უახლესი პირების კუთვნილი მემორიალური ნივთები (ნივთიერი, სახვითი, წერილობითი ძეგლები, ფოტო-კინო დოკუმენტები);
- მემორირებულ მოვლენასთან დაკავშირებული მემორიალური ნივთები;
- იმ ეპოქის ამსახველი არამემორიალური ნივთები, რომელშიც ცხოვრობდა მემორირებული პირი ან ხდებოდა ესა თუ ის მოვლენა;
- მემორირებულ პირთან და მოვლენასთან დაკავშირებული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები.

სახვითი ხელოვნების მუზეუმების ფონდს შეადგენს

- სახვითი, დეკორატიული, გამოყენებითი და მონუმენტური ხელოვნების ყველა სახის ნიმუში, არქეოლოგიური, ნუმიზმატიკური და სხვა კოლექციები.

განსაზღვრული ფონდისთვის ნივთის მიკუთვნება ხდება საფონდო-შემსყიდველი კომისიის მიერ და ფორმდება ოქმით, რომელსაც ამტკიცებს დირექტორი.

ძირითადი ფონდიდან შეიძლება გამოიყოს გაცვლითი ფონდი, რომელიც შედგება ისეთი სამუზეუმო ნივთებისაგან, რომლებიც ნაკლებად პასუხობენ მუზეუმის პროფილს; აგრეთვე, ზედმეტი დუბლირებული ეგზემპლარებისაგან. გაცვლითი ფონდიდან სხვა მუზეუმისთვის ექსპონატების გადაცემა შესაძლებელია გაცვლის ან გაჩუქების წესით სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობით.

სამეცნიერო-დამხმარე ფონდს განეკუთვნება: ფოტოასლები, მულაჟები (საგნის ნატურალური ზომის მოდელი – თაბაშირის, სანთლის და სხვ.), მაკეტები, ტვიფრი (ნაძერწი), რუქები, დიაგრამები, სქემები, გეგმები და სხვა, რომლებიც შექმნილია ან შეძენილია მუზეუმის კოლექციის დაკომპლექტების, შესწავლისა და ექსპონირების პროცესში:

- სასოფლო-სამეურნეო კულტურისა და სხვა ნატურალური მასალის მალფუჭებადი ნიმუშები, რომლებიც სისტემატურ შეცვლას საჭიროებენ;
- ნატურალური მასალები – ბუნების ობიექტები, რომელთაც არ აქვთ სამუზეუმო მნიშვნელობა, მაგრამ გამოიყენებიან ბუნებისა და მისი მოვლენების საჩვენებლად;

- ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია სამეცნიერო-დამხმარე ფონდის მასალა გადატანილ იქნას ძირითად ფონდში (მაგალითად, უნიკალური ან დაკარგული ნივთის ზუსტი ასლი).

სამეცნიერო-დამხმარე ფონდს შეიძლება გამოეყოს **გაცვლითი ფონდი**.

„ნედლეული“ სამეცნიერო მასალის ფონდს განეკუთვნება: ორგანული და არაორგანული ბუნების ობიექტები, რომლებიც ექვემდებარებიან ლაბორატორიულ დამუშავება-კვლევას და პრეპარაციას (დამუშავება გარკვეული წესით; რამესთვის გარკვეული სახის მიცემა). მაგალითად, ცხოველის ტყავი, სველი საექსპედიციო მასალა და სხვა.

7.2.1. სამუზეუმო ნივთების აღრიცხვა

სამუზეუმო ფონდი ექვემდებარება სახელმწიფო აღრიცხვას, რომელიც ითვალიწინებს 2 სტადიას: შემოსული ნივთების პირველადი რეგისტრაცია და ინვენტარიზაცია, ანუ სამუზეუმო ნივთების სამეცნიერო რეგისტრაცია.

ნივთების გაცემის ან მიღების შემთხვევაში აქტების გაფორმება ხდება დაუყოვნებლივ. აქტი იბეჭდება ან ივსება ხელით, შავი ან იისფერი კალმით სამ ეგზემპლარად (პირველი ეგზემპლარი ინახება მთავარ მცველთან ან სააღრიცხვო განყოფილებაში, მეორე ეგზემპლარი – იმ განყოფილებაში, რომელსაც გადეცა ან საიდანაც გაიტანეს ნივთი, მესამე – გადაცემა იმ პირს, რომელმაც ჩააბარა ან მიიღო ნივთი). აქტს ხელს აწერენ აღრიცხვის განყოფილება ან მთავარი მცველი და ის პირი, რომელიც იღებს მათზე მატერიალურ პასუხისმგებლობას. ხელმოწერასთან ერთად ფრჩხილებში გარკვევით უნდა ჩაიწეროს ხელმომწერ პირთა გვარები. აქტს ხელს აწერს, აგრეთვე, დირექტორი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მოადგილე. აქტი მტკიცდება მუზეუმის ბეჭდით.

მუზეუმში მუდმივი სარგებლობისათვის შესული ნივთი, დასკვნისა და აქტის გაფორმების შემდეგ, ერთი თვის განმავლობაში უნდა გატარდეს შესაბამის წიგნში. მუზეუმში შემოსული განძეულობა ინახება ცალკე. იგი შემოსულობათა წიგნში იღებს ერთიან

ნომერს და დაწვრილებით აღირიცხება აღწერისას. საგანს გატარებისთანავე უნდა დაესვას მუზეუმის შიფრი და შემოსულობათა წიგნის რიგითი ნომერი. მხატვრულ ნაწარმოებს ნომერი სასურველია დაეწეროს ფანქრით (კერძოდ, ქაღალდზე შესრულებულ ნაწარმოებს), ქვეჩარჩოზე – ფლომასტერით ან ფანქრით, ხოლო პატარა საგნებზე ნომერი უნდა დამაგრდეს მუყაოს ეტიკეტით. აუცილებელია ძირითადი ფონდის მასალების ფოტოგრაფირება.

7.2.2. სამუზეუმო ნივთების ინვენტარიზაცია

მუზეუმში შემოსული ნივთი ინვენტარიზაციისას სისტემატიზირდება ძირითადი ფონდის კლასიფიკაციის მიხედვით, მუზეუმებში – განყოფილებების მიხედვით, განყოფილებაში – სამუზეუმო ნივთების ჯგუფების მიხედვით.

ხელოვნების მუზეუმებში სამუზეუმო ნივთების სისტემატიზაცია ხდება:

- ხელოვნების დარგების მიხედვით – მხატვრობა, სკულპტურა, გრაფიკა, დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება და სხვ.
- დანიშნულების მიხედვით – ავეჯი, ნუმიზმატიკა, გამანათებელი მოწყობილობა.
- მასალებისა და ტექნიკის მიხედვით – ხე, ლითონი, ძვალი, გრავიურა, ნახატი.

დიდი მხატვრული კოლექციების მქონე მუზეუმებში სამუზეუმო ნივთების სისტემატიზაცია ხდება შემდეგი სახით:

- ფერწერა;
- ხატწერა;
- გრაფიკა (ნახატები, აკვარელი, გრავიურა და ლითოგრაფია, პლაკატები, გრავიურებიანი წიგნები, გამოყენებითი გრაფიკა);
- სკულპტურა;
- არქიტექტურული დეტალები და ფრაგმენტები;
- დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (კერამიკა, მინა, ლითონის ნაწარმი, ხე, ძვალი, ქვა, ავეჯი);
- ნუმიზმატიკური მასალები (მონეტები, ორდენები, მედლე-

ბი, შტამპები (ამოტვიფრულია დაწესებულების, ორგანიზაციის სახელწოდება), ჟეტონები (ლითონის პატარა ნიშანი), პლაკატები და სხვ.);

- არქეოლოგიური კოლექციები.

მცირე კოლექციის მქონე სამხატვრო მუზეუმებში ჯგუფების რიცხვი შეიძლება შემცირდეს 3-4-მდე:

- მხატვრობა და ხატწერა;
- გრაფიკა და არქიტექტურული ნახაზები;
- სკულპტურა და არქიტექტურის ფრაგმენტები;
- დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება (ავეჯი, ქსოვილი, ფაიფური და სხვ).

მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ნივთები იყოფა წყაროების ტიპების, კოლექციების, მასალის სახეობის, ხელოვნების დარგების, ტექნიკისა და დანიშნულების მიხედვით.

მუზეუმში ჯგუფების რაოდენობის დადგენის შემდეგ კოლექციები უნდა გადანაწილდეს განყოფილებებში და მიეკუთვნოს შიფრი. მაგალითად, ფერწერული ტილოების ჩასაწერად – ფ, გრაფიკისათვის – გ, ფოტოგრაფიისათვის – ფ და ა.შ.

მუზეუმებში, სადაც დაცულია ერთი სახის დიდი რაოდენობის კოლექცია, ნებადართულია საინვენტარო წიგნის განსაკუთრებული ფორმა (მაგალითად, გრავიურა, არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, ნუმიზმატიკური კოლექციები და სხვ.).

მხატვრული კოლექციის განყოფილებაში მიზანშეწონილია შეიქმნას ცალკე საინვენტარო წიგნი მხატვრული ჩარჩოებისათვის, რომელშიც გარდა ჩვეულებრივი მონაცემებისა (ზომა, მასალა და სხვ.), აუცილებელია ინფორმაცია ჩარჩოს პროფილზე და იმ სურათის საინვენტარო ნომრის დაფიქსირება, რომელიც ჩასმულია ჩარჩოში.

ძვირფასი ლითონების ინვენტარიზაცია. ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნივთების საინვენტარო წიგნში შეტანისას, გარდა აუცილებელი ცნობებისა, საჭიროა ჩაიწეროს ნივთის საერთო წონა (გრამებში), მასში შემავალი სხვადასხვა ძვირფასი ლითონის დასახელება, წონა, ძვირფასი ქვების ჩამონათვალი, რაოდენობა, წონა აღინიშნება კარატებით, თუ ნივთს აქვს ცარიელი ბუდეები, აუცილებლად უნდა მეთითოს.

სააღრიცხვო აღნიშვნები. სამუზეუმო ნივთს უკეთდება სააღრიცხვო აღნიშვნა: მუზეუმის შიფრი, შემოსულობათა წიგნის

ნომერი, საინვენტარო წიგნის ნომერი და შიფრი, რომლებიც ნივთზე უნდა აღინიშნოს. თუ ნივთზე ნომრის დაწერა შეუძლებელია, ამ შემთხვევაში მასზე მაგრდება ეტიკეტი ან იარლიყი, რომელზეც დაეწერება ნომერი.

მუზეუმში დროებით საექსპოზიციოდ შემოტანილი ნივთი ინომრება ისე, რომ ადვილი იყოს ნომრის მოხსნა. სურათზე ნომერი იწერება ფანქრით, ქვედა ჩარჩოზე, გრავიურაზე – გრაფიტის ფანქრით, სკულპტურაზე, კერამიკაზე, ლითონისაგან დამზადებულ ნივთებზე, ქსოვილებზე – მაგრდება დასაკიდი იარლიყი.

სამუზეუმო ნივთებზე აღნიშვნა კეთდება განსაზღვრულ ადგილზე, განსხვავებულად, ექსპოზიციის სახეების მიხედვით (დეტალური აღწერა იხილეთ: ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ, თბ., 2006, გვ. 36-40).

7.2.3. სამუზეუმო ფასეულობათა დაცვა

მუზეუმში უნდა იყოს ყველა პირობა ექსპოზიციის შენახვისა და დაცვისათვის. აკრძალულია მუზეუმის ფონდის გადატანა სხვა შენობაში, სხვენისა და სარდაფის ფართის ფონდსაცავებად გამოყენება, მუზეუმის შენობის სხვა დანიშნულებით გამოყენება ან სხვა დაწესებულების ფუნქციონირება. განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა არსებობდეს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება.

მუზეუმის შენობა უნდა იყოს იზოლირებული, ცეცხლგამძლე ქვით ნაშენი, რკინა-ბეტონით გადახურული, თუნუქის ან კრამიტის სახურავით, ცენტრალური გათბობით, ჰაერის განიავების გამწოვი და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. მუზეუმის დამხმარე ობიექტები (გარდერობი, ბუფეტი, სანიტარული კვანძები და სხვ.) იზოლირებული უნდა იყოს საცავებისა და საექსპოზიციო დარბაზებისაგან.

თუ მუზეუმის შენობა ხისაა, ან წარმოადგენს არქიტექტურულ ძეგლს, ისტორიისა და ხელოვნების უნიკალურ ნიმუშს, მისი გათბობისა და განათების რეჟიმი უნდა აკმაყოფილებდეს დაცვის მოთხოვნებს.

მუზეუმში დაწესებული დაცვის რეჟიმი უნდა ითვალისწინებდეს ფონდსაცავისა და საექსპოზიციო დარბაზების დალუქვისა და დაბეჭდვის წესს. შენობის სარდაფის, პირველი სართულისა და სხვენის ფანჯრებს უნდა ჰქონდეს რკინის გისოსები. ძვირფასი ლითონებისა და ქვების საცავის გასაღები ინახება ლითონის ყუთში. სეიფში უნდა ინახებოდეს ჟურნალი, რომელშიც დირექტორისა და მცველის ხელმოწერით აღინიშნება ძვირფასი ლითონებისა და ქვების საცავისა და სეიფის გახსნის ყველა შემთხვევა.

საექსპოზიციო დარბაზის მოწყობა და აღჭურვა ითვალისწინებს არა მარტო ექსპონატის საჩვენებლად პირობების შექმნას, არამედ მათ დაცვას დატაცების, ხელყოფისა და დაზიანებისაგან. საექსპოზიციო ინვენტარი უნდა დამზადდეს ექსპონატის მოცულობისა და წონის გათვალისწინებით.

სამუზეუმო ფონდი ინახება საცავში, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს საგანგებო ტემპერატურული რეჟიმით (18 გრადუსი), განათებითა და უსაფრთხოების (ჰაერის დაბინძურება, ბიოლოგიური რეჟიმი) პირობებით. ფონდსაცავის პირობები ერთმანეთისაგან განსხვავდება ექსპონატების სახეების მიხედვით. მაგალითად, ქაღალდის ექსპონატები ინახება მშრალ და გასანიავებლად მოსახერხებელ სათავსოში.

შეზღუდვებია დაწესებული ექსპონატების ფოტო და ვიდეო გადაღებისას. გადასაღები აპარატიდან ექსპონატი უნდა მოთავსდეს 4 მეტრის მანძილზე. სინათლე უნდა ჩაირთოს მინიმალური დროით (3-5 წუთი). გადაღება წინასწარ უნდა შეთანხმდეს დირექტორთან და ფონდების მთავარ მცველთან.

სხვადასხვა სახის კოლექციის ერთ საცავში შენახვის აუცილებლობის შემთხვევაში, მცველი ვალდებულია ექსპონატები განალაგოს ერთმანეთისაგან განცალკავებით. ტემპერატურისა (18 გრადუსი) და ტენიანობის რეჟიმი უნდა შეესაბამებოდეს კომპლექსური ექსპოზიციის რეჟიმს.

ფერწერის შენახვისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

- კედლებზე განთავსებისას – სურათი კედელზე იკიდება გამძლე თოკით ან ლითონის მავთულზე მოძრავი რგოლით; თოკის ერთი ბოლო მაგრდება ლითონის ძელზე; მეორე კი ეყრება ჩარჩოზე მიხრახნილ ორ რგოლში და იკვანძება ძელზე. დაუშვებელია სურათის დაკიდება რადიატორის, სარკმლის, გასათბობი საშუალებების, სავენტილაციო მოწყობილობის ახლოს.

- ფარებზე განთავსებისას:

ჩარჩოიანი სურათი იკიდება მოძრავ ან უძრავ ფარებზე, რომლებიც გადაკრულია ლითონის მსხვილ ბადეზე. უმჯობესია უძრავი ფარის გამოყენება.

ბადეზე სურათის დაკიდება ხდება S ფორმის კაუჭით.

ბადესაც და კაუჭსაც უნდა ჰქონდეს ანტიკოროზიული საფარი.

- თაროზე განთავსებისას:

თითოეული სურათისათვის თაროზე კეთდება ინდივიდუალური დასადები. განსაკუთრებით დიდი ზომის სურათისათვის კი თაროს აუცილებელია ჰქონდეს ცხაური იატაკი, რათა ჰაერმა თავისუფლად იმოძრაოს, აგრეთვე თამასებს შორის საკიდარი, რათა სურათის მოძრაობისას შემცირდეს ხახუნი.

თარო იატაკიდან დაცილებული უნდა იყოს 25 სმ-ით.

თარო მზადდება მშრალი, დაუზიანებელი ხისგან.

- შტაბელზე განთავსებისას (მხოლოდ დროებითი შენახვისათვის):

ფერწერული ნიმუშები, რომლებიც შესრულებულია სქელ დაფაზე არ აქვთ ჩარჩო, იწყობა ზომის მიხედვით, ერთმანეთისკენ პირით, მათ შორის იდება ტილოს ქსოვილის საამორტიზაციო ბალიშები ან ბამბა.

ტილოზე შესრულებული უჩარჩოო სურათები უნდა დაეწყოს წყვილ-წყვილად, ზომის მიხედვით, პირით-პირზე, ისე, რომ შტაბელი ეხებოდეს ქვეჩარჩოს და არა ტილოს. შტაბელი თავსდება იატაკიდან 15 სმ-ით დაშორებულ წყვილ ძელზე.

შტაბელზე ჩარჩოიანი სურათების შენახვისას, მათ შორის უნდა დაიდოს საამორტიზაციო ბალიშები ისე, რომ არ შეეხოს ტილოს.

ფონდსაცავში თაროებს, შტაბელებს და სხვ. შორის მანძილი უნდა იყოს 1 მეტრი.

- ლილვზე განთავსებისას:

ლილვი მზადდება მშრალი, დაუზიანებელი ხის მასალისგან. მისი დიამეტრი შეიძლება იყოს 50 სმ. და მეტი.

ლილვის კარკასი იჭიმება ორ ფანერაზე, ზემოდან კი იფარება ქაღალდით. მისი ზედაპირი უნდა იყოს გლუვი, ლილვის ორივე ბოლოზე მაგრდება ქარგილი, რომლის დიამეტრი ლილვის დიამეტრზე მეტია. ლილვზე გადახვეული დაზგური ფერწერის ნიმუშები იატაკიდან დაცილებულ უნდა იყოს 10-15 სმით. ლილვის სიგრძე 5-10 სმ-ით უნდა აღემატებოდეს სურათის სიგანეს.

ერთ ლილვზე შეიძლება არაუმეტეს 10 სურათის შენახვა. დაუშვებელია დიდფორმატიანი სურათების შენახვა 2-3 წელიწადში ერთხელ შემოწმების გარეშე. წელიწადში ორჯერ ლილვი უნდა შემობრუნდეს ღერძზე 180 გრადუსით.

სურათის ქვეჩარჩოდან ამოღება და მისი ლილვზე ჩამოცმა, ასევე სურათის გადაჭიმვა ქვეჩარჩოზე, ხდება გამოცდილი რესტავრატორის მეთვალყურეობით.

ჩინური და იაპონური ფერწერის გრაგნილები შეიძლება შენახულ იქნეს ლილვზე, აგრეთვე კარადაში ჰორიზონტალურ ან ვერტიკალურ მდგომარეობაში.

- დაზიანებული გრაგნილები სასურველია ინახებოდეს სპეციალურ კარადაში ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.
- ტემპერის წებოვანი, შერეული ტექნიკით შესრულებული ფერწერა უნდა ინახებოდეს შემინულ კარადაში.
- ექსპონირებული ფერწერა სასურველია ინახებოდეს მინის ქვეშ, განსაკუთრებით კი ისინი, რომლებიც შედარებით დაბლა ჰკიდია. იმისათვის, რომ მინა არ შეეხოს სურათს, კიდეებში უკეთდება ხის, მუყაოს ან საცობის 2-5 მმ-ის შუასადები.
- ფერწერული ნამუშევრები საჭიროებს სისტემატურ დათვალიერებასა და მოვლას. კერძოდ, მტვრის მოცილებას სურათის ზედაპირიდან რბილი, ფაფუკი ქსოვილით (ხავერდის ბალიშით), ხოლო ზურგზე – მტვერსასრუტის რბილბეწვიანი ჯაგრისით. აღნიშნული სამუშაოების ჩატარება უნდა მიმდინარეობდეს მეცნიერ-თანამშრომელთა მეთვალყურეობით.
- კატეგორიულად აკძალულია:

ფერწერის გაწმენდა სველი ნაჭრით ან ჯაგრისით.

სურათის პირდაპირ იატაკზე გადაადგილება – მისი გადატანა უნდა მოხდეს თამასების საშუალებით ისე, რომ არ შევეხოთ ტილოს. დიდი ზომის სურათის გადაადგილება ხდება ვერტიკალურ მდგომარეობაში, ორი კაცის მიერ. ქვეჩარჩო მზადდება მშრალი ხის მასალისგან, შუაში ერთი ან ჯვარედინი კატონით (ძელით). აკრძალულია ქვეჩარჩოზე საკიდის გაკეთება. საკიდი მაგრდება მხოლოდ ჩარჩოზე, ხატისთვის კი მზადდება სპეციალური კაუჭი.

ტილოზე იარლიყისა და ნომრების მიწებება, შტამპის, ბეჭდის დასმა, წარწერების გაკეთება ხდება მელნით, საღებავით, ქიმიური ფანქრით.

- ზეთისა და ტემპერის საღებავით შესრულებული სურათის

ტემპერატურისა და ტენიანობის ცვალებადობის ზემოქმედებისაგან დასაცავად, სურათის ზურგი და ხატის ტორსი იფარება ცვილით, ხოლო ჩარჩოიანი სურათი კონვერტირდება სრულად ან ნაწილობრივ.

სრული კონვერტირების დროს სურათის პირი იფარება მინით, ხოლო ზურგი-შესაბამისი მასალით, ხოლო ნაწილობრივი კონვერტირების დროს დიდი ზომის სურათს უკეთდება მხოლოდ ზურგი, რომელიც მზადდება ორგლიტის ან მუყაოს წებოვანი დერმატინით და მაგრდება ხის ან ლითონის ტრიალათი-აღნიშნული სამუშაო სრულდება გამოცდილი რესტავრატორის მიერ.

იმ მუზეუმებში, რომლებიც არ თბება, კონვერტირება დაუშვებელია; ფერწერის სრული კონვერტირება დასაშვებია მისი შექმნიდან ხუთი წლის შემდეგ.

განსხვავებულ პირობებს მოითხოვს ქაღალდის, ქსოვილის, ტყავის, ძვლის, ხის, ფაიფურის, კერამიკის, შუშის, კირქვის, მინის, მარმარილოს, თაბაშირის, ლითონის, გეოლოგიური, მინერალოგიური, ბოტანიკური, ზოოლოგიური, ანთროპოლოგიური ექსპონატები, ფოტო და მაგნიტური ლენტები (სრულად იხილეთ: ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ, თბ., 2006, გვ. 61-76).

სამუზეუმო ნივთების შეფუთვისა და ტრანსპორტირების წესი. ტრანსპორტირებამდე სამუზეუმო ნივთები უნდა შეამოწმოს სარესტავრაციო საბჭომ ან სპეციალურმა კომისიამ, რომელიც ღებულობს გადაწყვეტილებას ნივთის ტრანსპორტირების შესაძლებლობის შესახებ. კომისიის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი ნივთი იყოფა ჯგუფებად შეფუთვის სპეციფიკის მიხედვით. შესაფუთი მასალა მზადდება ნივთის ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინებით. აკრძალულია ექსპონატების შეფუთვა რბილ მასალაში, სხვადასხვა სახეობის ნივთის ჩალაგება ერთ ყუთში. შეფუთვამ უნდა უზრუნველყოს ექსპონატების იზოლირება გარეშე ატმოსფერული ზემოქმედებისაგან და დაცვა მექანიკური დაზიანებისაგან. ნივთი მყარად უნდა მოთავსდეს ყუთში. შესაფუთ ყუთში უნდა ჩაიდოს ექსპონატების ნუსხის ერთი ეგზემპლარი. ტრანსპორტირების შემდეგ ექსპონატების ყუთი უნდა გაიხსნას დახურულ შენობაში, რომლის ტემპერატურისა და ტენიანობის პირობები უნდა უახლოვდებოდეს მუზეუმის ნორმალურ რეჟიმს.

ექსპონატების გადასატანი ყუთები მზადდება კარგი ხარის-

ხის, დაუზიანებელი ფანერისაგან. ფანერის ფურცლებს შორის აფენენ პერგამენტს. ყუთის შიდა კედლებს უნდა გამოეკრას მტვერ და ნესტგაუმტარი მასალა (მუშამბა, დერმატინი ან ტექნიკური ქაღალდი). ყუთზე ტრაფარეტით აღინიშნება ნომერი და შიფრი, აგრეთვე გამაფრთხილებელი წარწერა (მაგალითად „არ აბრუნოთ“). ყუთზე მითითებული უნდა იყოს ყუთის ზედა და ქვედა მხარე.

ექსპონატების შეფუთვის წესი ერთანეთისგან განსხვავდება სამუზეუმო ნივთის სახეობის მიხედვით. სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის ინსტრუქცია ზუსტად განსაზღვრავს ყოველი სახეობის ნივთის შეფუთვის წესს (სრულად იხილეთ: ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ, თბ., 2006, გვ. 80-87).

7.2.4. სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად შეცვალა სამუზეუმო სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოების წესი. უცხოეთში დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა კატალოგის მუყაოს ბარათები და სარეგისტრაციო წიგნები. საქართველოს მუზეუმებში დაიწყო და ახლაც მიმდინარეობს გადასვლა კომპიუტერულ მონაცემთა ბაზაზე. უცხოეთში შექმნილია სხვადასხვა კომპიუტერული პროგრამა, რომელიც სპეციალურად შემუშავდა მუზეუმის აღრიცხვის სამსახურის თანამშრომლებისათვის. არცერთი პროგრამა არ არის იდეალური. ყველა პროგრამას შეიძლება გააჩნდეს ხარვეზები. ამიტომ თავად მუზეუმის სპეციალისტებმა უნდა გადაწყვიტონ, რომელი სისტემა აირჩიონ შემოთავაზებულ საუკეთესო სისტემებს შორის.

ელექტრონული აღრიცხვა შრომატევადი პროცესია, რომელიც პროგრამის საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს. ზოგჯერ ამისათვის საჭირო ხდება კოლექციის ხელახლა ფოტოგრაფირება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ შეიმუშავა მუზეუმის ექსპონატის პასპორტისა და სააღრიცხვო ბარათის ნიმუშები კომპიუტერულ მონაცემთა ბაზისათვის, რომელიც დაინერგა საქართველოს მუზეუმებში.

მოძრავი ძეგლის პასპორტი

1	სარეგისტრაციო ნომერი	
2	მოძრავი ძეგლის სახეობა	
3	დასახელება ორიგინალის ენაზე	
4	ქართულად	
5	ინგლისურად	
6	ავტორი	
7	ავტორის ცხოვრების წლები	
8	სკოლა	
9	შექმნის თარიღი ან პერიოდი	
10	შექმნის ადგილი	
11	მინიჭებული კატეგორია	
12	წარმომავლობა	
13	ამჟამინდელი ადგილმდებარეობა	
14	დაცვის პირობები	
15	შემადგენლობა	
16	ჟანრი	
17	მასალა	
18	ზომები	
19	აღწერა	
20	გაფორმების მასალა	
21	გაფორმების ზომა	
22	საავტორო წარწერა	
23	სხვა ნიშანი	
24	ცვლილებები	
25	დაცულობის ხარისხი დაზიანების მითითებით	
26	რესტავრაცია	
27	გამოფენები	
28	ესკიზები, ასლები	
29	ძირითადი ბიბლიოგრაფია	
30	შენიშვნა	
31	დაზღვევის თანხა პასპორტის	

	შედგენის დროს	
32	პასპორტის შედგენის თარიღი	
33	შემდგენელი	

მოძრავი ძეგლის სააღრიცხვო ბარათი

1	სარეგისტრაციო ნომერი	
2	მოძრავი ძეგლის სახეობა	
3	სახეწოდება (სათაური)	
4	ავტორი	
5	შექმნის დრო, ადგილი	
6	ამჟამინდელი ადგილმდებარე-ობა	
7	დაცულობის ხარისხი	
8	მინიჭებული კატეგორია	

თავი VIII. საერთაშორისო სამუზეუმო გაერთიანებები

8.1. მუზეუმთა საერთაშორისო საბჭო (ICOM)

სხვადასხვა ქვეყნის მუზეუმებს შორის თანამშრომლობაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საერთაშორისო გამოფენებმა.

პირველი საერთაშორისო, ანუ როგორც მაშინ უწოდეს, დიდი გამოფენა, ჩატარდა ჰაიდ-პარკში, ლონდონი, 1851 წლის 1 მაისიდან 15 ოქტომბრამდე და პირველი იყო მსოფლიო კულტურული და ინდუსტრიული მიღწევების ექსპოზიციათა სერიაში — ერთობ პოპულარული ღონისძიება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

დიდი გამოფენა ჰაიდ-პარკში 1851 წელს

გამოფენის იდეა იშვა საფრანგეთში, 1833 წელს. მისი გამართვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ 18 წლის შემდეგ. პირველი საერთაშორისო გამოფენის დევიზი იყო „ყველა ერი ერთი დიადი მიზნისაკენ – კაცობრიობის კეთილდღეობა“. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო იმ ეპოქის ტექნიკის მიღწევები.

საერთაშორისო ინდუსტრის მიღწევათა დიდი გამოფენის ორგანიზატორები იყვნენ პრინცი ალბერტი, ჰენრი კოული, ფრენსის ფულერი და სამეფო აკადემიის სხვა წევრები, ხელოვნების, წარმოებისა და კომერციის წახალისების მიზნით, და თანამედროვე

ინდუსტრიული ტექნოლოგიისა და დიზაინის მიღწევების აღსანიშნავად. კრიტიკოსთა შეხედულებით დიდი გამოფენა 1844 წელს საფრანგეთის ინდუსტრიული ექსპოზიციის უაღრესად დიდი წარმატების გამოძახილი იყო.

"ბროლის სასახლე"

გამოფენის მოსაწყობად სპეციალური შენობა, მეტსახელით "ბროლის სასახლე", დააპროექტა ჯოზეფ პაქსტონმა (ჩარლზ ფოქსის დახმარებით). არქიტექტურულად საკმაოდ გაბედული შენობა პაქსტონის მიერ დევონშირის გრაფისთვის ზამთრის ბაღის პროექტის გამოცდილებით შეიქმნა ლითონის ჩონჩხითა და მინით, რომელიც ბირმინგემსა და სმეტნიკში დამზადდა, რასაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად. მასიური მინის შენობა (563 მ სიგრძე და 138 მ სიგანე) სულ რაღაც ცხრა თვეში დასრულდა. შენობა მოგვიანებით გადაიტანეს სიდენჰემში, სამხრეთ ლონდონი.

დიდი გამოფენა ფინანსურად მომგებიანი აღმოჩნდა, ამონაგებმა 186 ათასი ფუნტი სტერლინგი შეადგინა, რაც ვიქტორიისა და ალბერტის მუზეუმის, მეცნიერების მუზეუმისა და ბუნების ისტორიის მუზეუმების დაარსებისთვის გამოიყენეს. ეს მუზეუმები გამოფენის სამხრეთით ააგეს, იმპერიული ინსტიტუტის გვერდით – ამ ადგილს შემდეგ ალბერტოპოლისი დაერქვა.



დიდი გამოფენის მთავარი შესასვლელი

გამოფენას ურთიერთწინააღმდეგობრივი რეაქცია ჰქონდა საზოგადოებაში. ზოგი შიშობდა, რომ დამთვალიერებელთა დიდი მასა შეიძლება რევოლუციურ ბრბოში გადაზრდილიყო, მაშინ როდესაც ისეთი რადიკალები, როგორც კარლ მარქსი, მას ნივთების მიმართ კაპიტალისტური ფეტიშიზმის განსახიერებად თვლიდნენ. დღეს დიდი გამოფენა ვიქტორიანული ერის სიმბოლოდ ითვლება და მისი სქელტანიანი კატალოგი მაღალი ვიქტორიანული დიზაინის პირველადი წყაროა.

XIX საუკუნეში გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო გამოფენა:

ჩატარების ადგილი	**ქვეყანა**	**ჩატარების წელი**
ლონდონი	დიდი ბრიტანეთი	1851
პარიზი	საფრანგეთი	1855
ლონდონი	დიდი ბრიტანეთი	1862
პარიზი	საფრანგეთი	1867

1929 წელს მიღებულ იქნა პარიზის კონვენცია საერთაშორისო გამოფენების ორგანიზაციის რეგულირების შესახებ. კონვენციის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით 1939 წელს შეიქმნა საერთაშო-

რისო გამოფენების ბიურო (UFL), რომლის უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა. იგი ითვლება მთავარ საკოორდინაციო ორგანოდ საერთაშორისო გამოფენების ორგანიზაციის საქმეში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით დაიწყო სამუზეუმო პოლიტიკისა და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ღონისძიებათა შემუშავება.

გაეროს შტაბ-ბინა ნიუ-იორკში

ამ მიზნით 1946 წელს გაიმართა საერთაშორისო კონგრესი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა 14 ქვეყნის დელეგატი, აგრეთვე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, იუნესკოსა და მუზეუმების საერთაშორისო ბიუროს წარმომადგენლები. კონგრესის მონაწილეებმა დააარსეს მუზეუმების საერთაშორისო საბჭო (International council of museums – ICOM). პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ბუფალოს (აშშ) მუზეუმის დირექტორი ჩ. დ. ხემლინი.

საბჭოს სტრუქტურა შედგება ეროვნული და საერთაშორისო კომიტეტებისაგან. რეგულარულად ტარდება ICOM-ის გენერალური კონფერენციები. ICOM-ისა და UNESCO-ს ერთ-ერთი პირველი ერთობლივი აქცია იყო „ჯვაროსნული ლაშქრობა მუზეუმების მხარდასაჭერად“. საერთაშორისო კამპანიის მიზანი იყო მთავრობებისა და საზოგადოების მიერ ხელშემწყობი პირობების შექმნა მუზეუმების საგანმანათლებლო როლის გაფართოებისათვის.

იუნესკოს შტაბ-ბინა პარიზში

2002 წლისათვის ICOM-ის 106 ეროვნულ კომიტეტში გაერთიანებული იყო 12 ათასი ინდივიდუალური წევრი. 1989 წელს მიღებული ICOM -ის წესდებით უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა გენერალური ასამბლეა, რომელსაც იწვევენ სამ წელიწადში ერთხელ. სესიებს შორის პერიოდში საკოორდინაციო სამუშაოს ატარებს აღმასრულებელი კომიტეტი. მოქმედებს, აგრეთვე, სათათბირო ორგანო – საკონსულტაციო საბჭო. ორგანიზაცია გამოსცემს ყოველკვარტალურ ბიულეტენს „ICOM-ის ახალი ამბები“. UNESCO-სთან ერთად გამოდის ერთობლივი ყოველკვარტალური ჟურნალი „საერთაშორისო მუზეუმი“.

1956 წელს შეიქმნა მთავრობათაშორისი ორგანო კულტურული ღირებულებების დაცვისა და რესტავრაციის საერთაშორისო კვლევითი ცენტრი. მისი ამოცანაა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე ექსპერტიზის ჩატარება ბუნებრივი სახის შენარჩუნების დაცვის მიზნით, აგრეთვე, სემინარების ჩატარება რესტავრაციის ტექნოლოგიებზე.

1965 წელს შეიქმნა ძეგლებისა და ისტორიული ადგილების დაცვის საერთაშორისო საბჭო (ICOMOS). იგი ახორციელებს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეტანილი ობიექტების შეფასებას, აგრეთვე, შედარებით ანალიზს და ადგენს ანგარიშს ამ ძეგლების მდგომარეობის შესახებ. საბჭოსთან მოქმედებს 13 კომიტეტი. ორგანიზაციაში გაწევრიანებულია 70-ზე მეტი ქვეყანა. გამოსცემს ჟურნალს „მონუმენტური“.

1975 წელს მუზეუმის მეგობართა მეორე საერთაშორისო კონ-

გრესზე შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია „მუზეუმის მეგობარი“, რომლის ოფისი განთავსებულია ბრიუსელში. ორგანიზაცია დღეისათვის აერთიანებს 700 ათასზე მეტ წევრს. ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს 30 მიმართულებას, მათ შორის, სარეკლამო კამპანია, სამუზეუმო ღირებულებების შეძენისა და რესტავრაციისათვის სახსრების შეგროვება, კატალოგების შედგენა, ახალი მუზეუმების შექმნა და სხვ.

1993 წელს შეიქმნა მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ორგანიზაცია, რომელიც ამჟამად 100-ზე მეტ ქალაქს აერთიანებს.

სამუზეუმო საქმის ინტერნაციონალიზაცია შეეხო, აგრეთვე, მუზეუმების საერთაშორისო კონკურსების ორგანიზაციას. საუკეთესო მუზეუმის კონკურსის იდეა 1971 წელს იშვა დიდ ბრიტანეთში. 1976 წელს ამ კონკურსმა მოიცვა მთელი ევროპა და ჩატარდა ევროსაბჭოს ეგიდით, როგორც მუზეუმების ევროპული ფორუმი. შეიქმნა ან განხორციელდა სხვა ტიპის სამუზეუმო პროექტები: მეგობართა ფორუმის ასოციაცია, მასტერ-კლასი, ლექტორიუმი, კონსულტაცია და ექსპერტიზა, გამოიცა საინფორმაციო ბიულეტენები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა სამუზეუმო დარგში საერთაშორისო სამართლისა და საკანონმდებლო აქტების მომზადება-მიღებისათვის.

1954 წელს ICOM-ის ინიციატივით მიღებულ იქნა ჰააგის კონვენცია „შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“.

1964 წელს მიღებულ იქნა ვენეციის ქარტია ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების კონსერვაციისა და რესტავრაციის შესახებ.

1970 წელს ხელი მოეწერა კონვენციას კულტურული ღირებულებების არაკანონიერი გატანის, შეტანის ან გასხვისების აკრძალვის ან გაფრთხილების შესახებ.

1972 წელს UNESCO-ს მე-17 სესიაზე მიღებულ იქნა კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ. კონვენცია ითვალისწინებდა, აგრეთვე, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის შედგენას. 2000 წლისათვის ამ სიაში რეგისტრირებული იყო 690 ობიექტი, მათ შორის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი – 529, ბუნებრივ-კულტურული – 23. დღეისათვის კონვენციაში ჩართულია თითქმის 160 ქვეყანა, მაგრამ მსოფლიო

კულტურული მემკვიდრეობა გამოვლენილია 122 ქვეყანაში. საქართველოდან ამ სიაში შეტანილია 5 ძეგლი (სვეტიცხოველი, ჯვარი, გელათი, ბაგრატის ტაძარი, სოფელი ჩაჟაში).

ზოგიერთი ეროვნული ორგანიზაცია არასაკმარისად მიიჩნევს საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მიღებულ საკანონმდებლო აქტებს და ღებულობს ეროვნულ კონვენციას. მაგალითად, 1979 წელს ICOMOS-ის ავსტრალიის განყოფილებამ მიიღო საკუთარი კონვენცია, რომელიც ცნობილია ბარსკის ქარტიის სახელით.

1977 წელს ICOM-მა მე-11 გენერალურ კონფერენციას შესთავაზა წინადადება ყოველი წლის 18 მაისი გამოცხადებულიყო მუზეუმების საერთაშორისო დღედ (აღინიშნება 1984 წლიდან). მე-11 გენერალური კონფერენცია ჩატარდა მოსკოვში.

ICOM-ის და სხვა გაერთიანებების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მუზეოლოგ-სპეციალისტების მომზადება, მუზეოლოგიის, როგორც მეცნიერების დარგის და სამუზეუმო კვლევების ორგანიზაცია.

1977 წელს მე-11 გენერალურ კონფერენციაზე ყურადღება გამახვილდა მუზეუმის მუშაკებისათვის სახელმძღვანელოებისა და მეთოდური საშუალებების მომზადებაზე და გამოცემაზე, მუზემმცოდნეობის თუ მუზეოლოგიის კურსის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შეტანის აუცილებლობაზე.

1986 წელს ICOM-მა გამოსცა სამუზეუმო სპეციალური ტერმინების განმარტება მსოფლიოს 20 ენაზე.

ICOM (International Council of Museums) წარმოადგენს მუზეუმებისა და მუზეუმების პროფესიონალთა საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც ემსახურება მსოფლიოს ბუნებრივი და კულტურული, მატერიალური და არამატერიალური მემკვიდრეობის კონსერვაციას, განვითარებასა და საზოგადოებისთვის გაცნობას.

ICOM-ი დაარსდა 1946 წელს. იგი წარმოადგენს UNESCO-სთან არსებულ არასამთავრობო ორგანიზაციას, რომელსაც გააჩნია საკონსულტაციო სტატუსი გაეროს ეკონომიკურ და სოციალურ საბჭოში. ამჟამად ICOM-ის ეროვნული კომიტეტები ფუნქციონირებს მსოფლიოს 117 ქვეყანაში.

ICOM-ის სტრატეგიული გეგმა მტკიცდება მისი გენერალური ასამბლეის მიერ და ხორციელდება ICOM-ის სამდივნოს, ასევე ICOM-ის ეროვნული და საერთაშორისო კომიტეტების მიერ, რომლებიც მონაწილეობენ ICOM-ის პროგრამების რეალიზებაში.

ICOM-ის საქმიანობა და აქტივობები პასუხობს სამუზეუმო პროფესიის საჭიროებებს და ფოკუსირებულია შემდეგ თემებზე:

- პროფესიული თანამშრომლობა და გაცვლები;
- ცოდნის გავრცელება და მუზეუმების გაცნობა საზოგადოებისათვის;
- მუზეუმების მუშაკთა გადამზადება;
- პროფესიული სტანდარტების ამაღლება;
- პროფესიული ეთიკის დეტალური დამუშავება და პოპულარიზაცია;
- კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და ბრძოლა კულტურული მემკვიდრეობით უკანონო ვაჭრობასთან.

ICOM მდებარეობს პარიზში (საფრანგეთი). მის მთავარ ოფისში განთავსებულია ICOM-ის სამდივნო და UNESCO-ICOM-ის სამუზეუმო ინფორმაციის ცენტრი.

ICOM-ში გაწევრიანებულია 140 ქვეყანა. ICOM-ს აქვს 14 საერთაშორისო ასოციაცია. ICOM მოქმედებს თავისი წესდების საფუძველზე. ICOM-ის ოფიციალური ენებია: ინგლისური და ფრანგული.

ICOM-ს გააჩნია **სამუზეუმო ეთიკის კოდექსი.** მისი საბოლოო ვერსია მიღებულ იქნა ICOM-ის 2-ე გენერალურ ასამბლეაზე, სეულში, 2004 წელს.

სამუზეუმო ეთიკის კოდექსი წარმოადგენს მინიმალური ნორმების კრებულს მუზეუმებისათვის. იგი ჩამოყალიბებულია პრინციპების სახით, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს სპეციალისტების პროფესიულ საქმიანობას.

ზოგიერთ ქვეყანაში ეს მინიმალური ნორმები ეროვნული კანონით ან რეგლამენტითაა განსაზღვრული, ზოგან კი აკრედიტაციის ან სხვა მსგავსი სისტემითაა ფორმულირებული. მაშინ, როცა ეს ნორმები ადგილობრივ დონეზე განსაზღვრული არ არის, მათი მოპოვება შეიძლება ICOM-ის სამდივნოში ან მის ეროვნულ და შესაბამის საერთაშორისო კომიტეტებში.

მუზეუმების საერთაშორისო საბჭო არ წარმოადგენს ნორმატიული აქტებით შეზღუდულ მმართველობით სტრუქტურას, იგი შემოქმედებითი გაერთიანებაა, რომელშიც გაწევრიანებული არიან სამუზეუმო დარგის ცნობილი მოღვაწეები და სპეციალისტები, რომლებსაც მუშაობის პრაქტიკული გამოცდილება გააჩნიათ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მუზეუმების რაოდენობა

მსოფლიოში საგრძნობლად გაიზარდა. მათი სამი მეოთხედი არ არსებობდა 1945 წლამდე. მუზეუმების ასეთი რაოდენობის ზრდა განაპირობა ახალი ტიპის მუზეუმების დაარსებამ. შეიცვალა დამთვალიერებელიც.

მუზეუმები ადრე უფრო საზოგადოების ე.წ. ელიტარულ ნაწილს ემსახურებოდა (საბჭოთა კავშირის გამოკლებით). ომის შემდეგ მომხდარმა ცვლილებებმა და ტექნიკურმა პროგრესმა წარმოქმნა ახალი ტიპის დამთვალიერებელი. მათ სურთ დასვენებისა და გართობისათვის განკუთვნილი დრო მათივე კარნახით ორგანიზებულმა პროექტებმა შეავსოს. ამიტომ მუზეუემბი განუწყვეტლივ ზრუნავენ თავიანთი მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე.

სიტყვა „მომხმარებელი“ „დამთვალიერებლის“ მაგივრად ორმოცდაათი წლის წინ მიუღებელი იყო. დღეს ეს ჩვეულებრივი ფრაზაა. მუზეუმები ჩართული არიან კონკურენციაში და ყველას თავისი მომხმარებელი ჰყავს.

გართობისა და დასვენების ინდუსტრიის ნაწილის – მუზეუმების წარმატება კონკურენტული გარემოს, ბაზრის სპეციფიკის შესწავლას საჭიროებს. ბაზრის შესწავლის ერთ-ერთი ფორმაა წინასწარი გამოკითხვა (ანკეტირება) და მიღებული პასუხების ანუ მოთხოვნების შეძლებისდაგვარად გათვალისწინება. ეს მუდმივი პროცესი უნდა იყოს.

იმ მუზეუმებში, სადაც იღებენ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მეთოდს, ტრადიციული განსხვავება მუდმივ და დროებით გამოფენებს შორის აღარ არსებობს.

გასულ საუკუნეში არც ერთი მუზეუმი არ ითვლებოდა კომერციულ დაწესებულებად. ამჟამად მიდგომა შეიცვალა მუზეოლოგებს შორისაც კი. ზოგიერთ სპეციალისტს (ქენეთ ჰადსონი) მიაჩნია, რომ ეს შესაძლებელია.

ადრე ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მუზეუმის დირექტორისა და მცველის ხელში აღმოჩნდებოდა მუზეუმების ფინანსური რესურსების მოძიება და მართვა. მუზეუმში მუშაობა მიჩნეული იყო წყნარ, მშვიდ საქმიანობად და განკუთვნილი იყო ერუდირებული ადამიანებისათვის. მუზეუმში სამუშაო ადგილის შენარჩუნება პენსიაზე გასვლამდე იყო შესაძლებელი. მუზეუმებზე მუნიციპალიტეტი და სახელმწიფო ზრუნავდა. მუზეუმებისათვის უცნობი იყო კომერციული მეცენატობის თანამედროვე პრაქტიკა ახალი პროექტების განხორციელებაში. სახელმწიფოც მთლიანად აფინანსებდა

მუზეუმის შენახვის ხარჯებს. ცოტა იყო მუზეუმი, რომელიც დამთვალიერებელს ფულს ახდევინებდა. მუზეუმებისათვის უცხო იყო ჯიხურები, კაფეები, რესტორნეები, სხვა კომერციული და სავაჭრო ობიექტები.

ითვლებოდა, რომ მუზეუმი უნდა ყოფილიყო მშვიდი ადგილი, სადაც ყველა ასაკის დამთვალიერებელი შეძლებდა თავის ნებაზე სიარულს და იმის ნახვას, რაც აინტერესებდა. პრაქტიკულად მუზეუმში არ არსებობდა აქტივობის ისეთი ფორმა, რასაც დღეს კულტურულ-საგანმანთლებლო პროექტებს უწოდებენ.

გამოცდილი მუზეოლოგის (ქენეთ ჰადსონი) ასეთ შეფასებას ვერ დავეთანხმებით. მუზეუმები ყველა ეპოქაში, მათ შორის, საბჭოთა პერიოდში, იდეოლოგიური წნეხისა და შეზღუდულობისა, მუზეუმები საზოგადოების ყურადღების ცენტრში იდგა და უმნიშვნელოვანეს კულტურულ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტებს ახორციელებდა. ამას მოწმობს ის უზარმაზარი გამოცდილება და მემკვიდრეობა, რომლებიც მიზეუმების ბიბლიოთეკებსა და არქივებშია დაუნჯებული.

დღეს მუზეოლოგთა შორის დავისა და კამათის საგანს წარმოადგენს სამეცნიერო დაწესებულებები, პარკები, აკვარიუმები და სხვა მსგავსი ტიპის დაწესესებულებები მიაკუთვნონ თუ არა მუზეუმთა კატეგორიას.

განვლილი ორმოცდაათი წლის განმავლობაში მუზეუმის ცნება კიდევ უფრო გაიზარდა.

ნახევარ საუკუნეზე მეტია მუზეუმების საერთაშორისო საბჭო (ICOM) ცდილობს ისე განსაზღვროს მუზეუმის ცნება, რომ ის მეტნაკლებად მისაღები იყოს ყველასათვის. მუზეუმის სტატუსის შესახებ 1989 წლის მე-15 გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული და 1995 წლის მე-18 ასამბლეის მიერ შესწორებული კანონის ბოლო ვერსიის თანახმად მუზეუმი არის მუდმივმოქმედი არაკომერციული დაწესებულება, რომელიც საზოგადოების სამსახურში დგას და მის განვითარებას ემსახურება, ღიაა საზოგადოებისათვის, იკვლევს ადამიანისა და მისი გარემოს ამსახველ და დამადასტურებელ მასალებს; მოიპოვებს, იცავს, ერთმანეთთან აკავშირებს და გამოფენს მათი შესწავლის, აღზრდისა და დამთვალიერებლისათვის სიამოვნების მინიჭების მიზნით.

8.2. მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს (ICOM-ის) შემადგენელი ერთეულები:

- ეროვნული კომიტეტები;
- რეგიონალური ორგანიზაციები;
- ეროვნული კორესპოდენციები;
- საერთაშორისო კომიტეტები;
- ფილიალები;
- გენერალური ასამბლეა;
- გენერალური კონფერენცია;
- საკონსულტაციო კომიტეტი;
- აღმასრულებელი საბჭო
- სამდივნო
- მუზეოლოგიის საინფორმაციო ცენტრი;
- ICOM-ის ფონდი

ეროვნული კომიტეტი წარმოადგენს ICOM-ის ძირითად გაერთიანებებს და ICOM-სა და მის წევრებს შორის ურთიერთობის უმთავრეს საშუალებას. ეროვნული კომიტეტი უზრუნველყოფს ICOM-ის ინტერესების გატარებას თავის ქვეყანაში, წარადგენს თავისი წევრების ინტერესებს იკომში.

რეგიონალური ორგანიზაცია იქმნება ერთი რეგიონის სამი ან მეტი ეროვნული კომიტეტის განაცხადის საფუძველზე, რომელსაც ICOM-ის აღმასრულებელი საბჭო დაარსებულად ცნობს. მაგალითად, აზიის ICOM-ი.

გენერალური ასამბლეა არის ICOM-ის პოლიტიკის გამტარებელი უმაღლესი ორგანო. მას გააჩნია შემდეგი ფუნქციები: წესდების მიღება და შესწორებების შეტანა; პროგრამის მიღება; ბიუჯეტის დამტკიცება და ICOM-ის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გადაწყვეტილებების მიღება.

გენერალურ კონფერენციას ICOM-ი იწვევს სამ წელიწადში ერთხელ. გენერალური კონფერენცია წარმოადგენს ფორუმს, განიხილავენ და მსჯელობენ მუზეოლოგიისა და მუზეუმებთან დაკავშირებულ პრაქტიკულ თუ თეორიულ საკითხებზე.

საკონსულტაციო კომიტეტის ფუნქციებია: გაუწიოს კონსულტაცია აღმასრულებელ საბჭოს და გენერალურ ასამბლეას ყველა იმ საკითხის გარშემო, რომელიც ეხება ICOM-ის პოლიტიკას,

პროგრამებს, პროცედურებსა და ფინანსებს.

აღმასრულებელ საბჭოს ევალება გენერალურ ასამბლეაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და რეზოლუციების განხორციელება.

გენერალურ ასამბლეას და აღმასრულებელ საბჭოს სხდომებს იწვევს და უძღვება ICOM-ის თავმჯდომარე. სხდომებს შორის პერიოდში იგი იღებს გადაწყვეტილებებს და ატარებს ღონისძიებებს ICOM-ის წესდებიდან და პროგრამიდან გამომდინარე.

ICOM-ის ფონდი დაარსდა ICOM-ის მუშაობის ხელშეწყობისათვის. ფონდის დებულებას ამტკიცებს გენერალური ასამბლეა.

ICOM-ის საქართველოს ეროვნული კომიტეტის დაფუძნების თარიღია 2006 წელი.

8.3. მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს (ICOM-ის) საერთაშორისო კომიტეტები

VICOM (Audiovisual & New Technologies) – სამუზეუმო აუდიოვიზუალური საშუალებებისა და ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო კომიტეტი;

ICLM (Literary Museums) – ლიტერატურული მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

Education & Cultural Action – საგანმანთლებლო კულტურული მუშაობის საერთაშორისო კომიტეტი;

ICMAN (Archaeology & History) – არქეოლოგიისა და ისტორიის საერთაშორისო კომიტეტი;

CIDOC (Documenttion) – სამუზეუმო დოკუმენტირების საერთაშორისო კომიტეტი;

ICMAM (Museums of Arms & Military History) – იარაღისა და სამხედრო ისტორიის მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

CIMAN (Modern Art) – თანამედროვე ხელოვნების მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

ICME (Ethnography) – ეთნოგრაფიული მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

CIMCIM (Musical Instruments) – მუსიკალური ინსტრუმენტების მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

ICMS (Security) – სამუზეუმო უსაფრთხოების საერთაშორისო კომიტეტი;

CIMUSET (Science & Technology) – მეცნიერებისა და ტექნიკის მუზეუმების საერთაშორისო კომიტეტი;

ICOFOM (Museology) – მუზეოლოგიის საერთაშორისო კომიტეტი;

ICTOP (Training of Personnel) – მუზეუმის პერსონალის მომზადების საერთაშორისო კომიტეტი;

INTERCOM (Manag)ment) – სამუზეუმო მენეჯმენტის საერთაშორისო კომიტეტი და სხვ.

დასკვნა

რომ შევაჯამოთ სამუზეუმო საქმის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე, შეიძლება გამოვყოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი:

1. წინასამუზეუმო პერიოდი უძველესი დროიდან XIV-XV საუკუნემდე.

2. მუზეუმის, როგორც სოციოკულტურული ფენომენის ჩამოყალიბება, კოლექციონირების (ცნებას „კოლექციონერობა“ სათავე რომაელმა ორატორმა მარკ ციცერონმა დაუდო ორი ათასზე მეტი წლის წინ. თავის ერთ-ერთ ცნობილ გამოსვლაში ცალკეულ საგანთა შეგროვებას ერთ მთლიანობად მან „კოლექცია“ უწოდა. თავად ციცერონს, როგორც ცნობილია, ჰქონდა ხელნაწერებისა და ხელოვნების ნაწარმოებთა მდიდარი კოლექცია, მაგრამ კოლექციონერობა, მის სახელწოდებასთან შედარებით, გაცილებით ადრე ჩაისახა. არქეოლოგიური გათხრების შედეგად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მეცნიერებმა აღმოაჩინეს სხვადასხვა საგნების „კოლექციები“), როგორც კულტურის განსაკუთრებული დარგის გამოყოფა, ელიტარული (დახურული) მუზეუმების შექმნა XIV-XV საუკუნიდან XVIII საუკუნის ბოლომდე.

3. სამუზეუმო საქმის, როგორც კულტურის დამოუკიდებელი დარგად ჩამოყალიბება, ახალი პროფილური მუზეუმების დაარსება, მუზეუმის საჯარო დაწესებულებად გარდაქმნა XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის I ნახევარში.

4. მუზეოლოგიის (მუზეუმმცოდნეობის) როგორც სამეცნიერო დისციპლინის ჩამოყალიბება, მუზეუმის ახალი პროფილური ჯგუფების შექმნა და მუზეუმის თანამედროვე კლასიფიკაციის დამკვიდრება, საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების დაწყება სამუზეუმი სფეროში XIX საუკუნის II ნახევარში და XX საუკუნის დასაწყისში.

5. ახალი ტიპის მუზეუმების შექმნა, ტექნიკისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, მუზეოლოგიის (მუზეუმმცოდნეობის) დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად ჩამოყალიბება, საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაზრდა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დამკვიდრება, მუზეუმის მართვის ახალი მოდელების

შემუშავება და განხორციელება, სამუზეუმო მუშაობის გარდაქმნა დამთვალიერებელზე ორიენტირებული პროექტებით.

მუზეოლოგია, როგორც ჩამოყალიბების სტადიაზე მყოფი სამეცნიერო დისციპლინა (თუ მიმართულება) ძიების, კვლევისა და ანალიზის პროცესში ამკვიდრებს ნოვატორულ მეთოდებსა და ფორმებს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მუზეუმის მართვაში საზოგადოების ფართო ფენების ჩართვას, მათი სურვილებისა და მოთხოვნების გათვალისწინებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მუზეუმი მოწყდება რეალობას და დაკარგავს მისთვის ყველაზე სასურველ და აუცილებელ სეგმენტს დამთვალიერებლის სახით. დამთვალიერებლის გარეშე კი მუზეუმი გადაიქცევა ნივთის უბრალო საცავად, რომელიც დაკარგავს მიმზიდველობას.

დამთვალიერებლებთან მუშაობა არის უმთავრესი მიზანი და არსი სამუზეუმო საქმიანობის, როგორც თეატრისათვის – მაყურებელი, ბიბლიოთეკისათვის – მკითხველი, უნივერსიტეტისათვის – სტუდენტი და ა.შ.

წარმატებას მიაღწევს მხოლოდ ის მუზეუმი, რომელიც ამ საყოველთაო კონკურენციის – საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროგრესის პირობებში ორიენტაციას აიღებს დამთვალიერებელზე და სამუზეუმო საქმიანობას ამ უზენაეს მიზანს დაუქვემდებარებს.

გამოყენებული ლიტერატურა

შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1978

ფ. არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო, თბ., 1961

ა. აფაქიძე, მცხეთა – ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959

ხ. ახვლედიანი, აჭარის სახელმწიფო მუზეუმი, ბათუმი, 1958

ს. ბოლქვაძე, მუზეუმ-ნაკრძალი, ქსე, ტ. 7, თბ., 1984

გ. გაფრინდაშვილი, ვარძია, თბ., 1976

ნ. გედევანიშვილი, განათლება და მუზეუმი, თბ., 2010

ნ. გედევანიშვილი, მუზეუმები 21-ე საუკუნის გამოწვევების პირისპირ, თბ., 2010

გაელ დე გიშენი, პრევენციული კონსერვაცია: უბრალოდ მეთოდი თუ ძირეული ცვლილება? კრებული „კულტურის პოლიტიკა, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება“, თბ., 2003

ი. გედაი, უნგრეთის მუზეუმები გარდამავალ პერიოდში, კრებული „კულტურის პოლიტიკა, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება“, თბ., 2003

ჟ. გოტიე, პარიზი – განსაკუთრებული შემთხვევა, კრებული „კულტურის პოლიტიკა, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება“, თბ., 2003

მ. თავაძე, თბილისის ისტორიის მუზეუმის 100 წლის ისტორია, თბ., 2010

ინსტრუქცია სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვისა და დაცვის შესახებ, თბ., 2006

კიბრი ტალეი ირი, გეგმა „დელტა“: დაცვა-გადარჩენის ოპერაცია სახელმწიფოებრივ დონეზე, კრებული „კულტურის პოლიტიკა, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება“, თბ., 2003

ნ. კვარაცხელია, კულტურული ტურიზმი, თბ., 2009

რ. კობრავა, სიახლეები ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის მუზეუმის საგმანათლებლო საქნიანობაში, მუზეუმის მაცნე, IV, ბათუმი, 2011

თ. კომახიძე, აჭარის კულტურის ისტორია, ბათუმი, 1999

დ. კონსტანტიოსი, ნ. კონსტანტიოსი, ლ. ცომბანოღლუ, სახელმძღვანელო მუზეუმის მენეჯერთათვის, თბ., 2005

ი. კოშორიძე, მუზეუმმცოდნეობის შესავალი, ევროპული და ამერიკული მუზეუმების მართვის თანამედროვე მეთოდები, თბ., 2009

კრებული მუზეუმების შესახებ, თბ., 2006

ბარი ლორდი, გაილ დექსთერ ლორდი, სამუზეუმო ექსპოზიციების სახელმძღვანელო, თბ., 2009

დ. ლორთქიფანიძე, ეროვნული მუზეუმი – ეს ბრენდია! თბილისის კულტურული გზამკვლევი, თბ., 2011, N 9
მ. მანია, კავკასიის სააბრეშუმო სადგური, www.silkmuseum.ge
ნ. მეგრელიძე, ახალციხის მულტიკულტურული ისტორია, ჟურნ. მუზეუმი, 2012, დეკემბერი
რ. მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, თბ., 1982
ქ. მილნერი, ვინ არის პასუხისმგებელი? კონსერვაცია თანამედროვე მსოფლიოში, კრებული „კულტურის პოლიტიკა, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება“, თბ.,2003
ვ. მუჯირი: სამუზეუმო არქიტექტურის თანამედროვე ტენდენციები აშშ-ში, www.palimfsesti.ge
ი. მჭედლიშვილი, საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეა, ქსე, ტ. 9, თბ., 1985
ქ. ნებიერიძე, მხარე-საგანძური, ჟურნალი მუზეუმი, 2012, დეკემბერი
სამეცნიერო მუზეუმი, თბ., 1965
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული (1918-1921), თბ., 1990
ს. სალუქვაძე, თბილისის N 1 აფთიაქი-მუზეუმის ისტორია, თბ., 2004
მ. სამადაშვილი, ჟურნ. მუზეუმი, 2012, დეკემბერი
ნ. სანადირაძე, კულურის სფეროს პროექტების მენეჯმენტი და დაგეგმარება, თბ., 2011
თ. სანიკიძე, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, ქსე, ტ. 9, თბ., 1985
ო. სესკურია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მინერალოგიის და პეტროგრაფიის მუზეუმი, სამთო ჟურნალი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ – გრიგოლ წულუკიძის სამთო ინსტიტუტი, თბ., 2012, N1(28).
კ. სვირავა, ზუგდიდის მუზეუმი, მოკლე ბიბლიოგრაფიული ცნობარი, ზუგდიდი, 2000
ი. სიხარულიძე, აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლები, ბათ., 1962
ლ. სუმბაძე, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმი ღია ცის ქვეშ, თბ., 1978
რ. სურმანიძე, ბათუმში პირველი მუზეუმის გახსნის
დათარიღებისათვის, მუზეუმის მაცნე, IV, ბათუმი, 2011
უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 2006
გ. ჟორდანია, კავკასიური მუზეუმის დაარსება, თბ., 1951
გ. ჟორდანია, დაბრუნებული საუნჯე, თბ., 1983
ლ. შენგელია, კულტურა და მენეჯმენტი: როგორ შევათავსოთ შეუთავსებელი, კრებული, კულტურათაშორისი კომუნიკაციები, № 15, თბ., 2003

ი. ფენენკო, მართვის (მმართველობითი) სოციოლოგია, თბ., 2012
ხელოვნების ენციკლოპედიური ლექსიკონი, თბ., 1991
გ. ჩხაიძე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი (1852-1932), თბ., 2003
მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989
ი. ჭავჭავაძე, საისტორიო მუზეუმის დაარსების გამო, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი IV, თბ., 1987
ი. ჭავჭავაძე, ალექსანდრე როინაშვილი, რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი IV, თბ., 1987
ლ. ჭილაშვილი, მუზუმმცოდნეობა და სამუზეუმო საქმის საფუძვლები, თბ., 1984
ლ. ჭილაშვილი, მსოფლიოს დიდი სამუზეუმო ცენტრები, ნაკვეთი I, თბ., 1984
ლ. ჭილაშვილი, მსოფლიოს დიდი სამუზეუმო ცენტრები, ნაკვეთი II, თბ., 1985
ი. ჭოტორლიშვილი, აბრეშუმის მუზეუმი, თბ., 2006
მ. ჯავახიშვილი, ქართული ეროვნული მუზეუმი, თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. VII, თბ., 2008
ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმის ისტორია, საქართველოს ეროვნული მუზეუმის საგანმანათლებლო ცენტრის მაცნე, თბ., 2007, N 1
ქ. ჰადსონი, უარი ვუთხრათ უძრაობას, კრებული „კულტურის პოლიტიკა, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების გამოცდილება", თბ., 2003
«Скансен» под ред. Кристины Вестберг, ORD&FORM AB, Упсала, 2005 г.
100 Великих музеев мира, www.tourlib.net
Музеолология и основы музейного дела, Барнаул, 2006
Е.А.Поправко, Музееведение, www.abc.vvsu.ru
Музееведение, Под редакцией Н.В. Мягтиной, Владимир, 2010
Т.Ю. Юренева, Музееведение, М., 200
Л.Я. Ноль, Информационные технологии в деятельности музея. Музейные ассоциации за рубежом М., 2007
Музейная педагогика за рубежом, М., 1997
Словарь актуальных музейных терминов, М., 2009
И.М.Коссова, Культурное наследие и современный музей, www.icom.org.ru
Ключевые понятия музеологии, М., 2012
Я. Долак, Посетитель на экспозиции как объект музеологического исследования, www.history.spbu.ru
Музей, Маркетинг, Менеджмент, М., 2001
И. Б. Сидорова, Общая музеологиа как учебная дисцирлина, www.history.spbu.ru
Л.М. Шляхтина, С.В. Фокин, Основы музейного дела, СПб., 2000

დაიბეჭდა გამომცემლობა „უნივერსალში“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30

E-mail: universal@internet